გაემოჩენილ
აღამიანთა
ცხოვრება

ი. ხუდოლეი

ედმონდ ჰალლეი

ჯეს ლონდონის ბიოგრაფია

№28

· ნაკაღული ·
19 თებერვალი 65

8И (Амер)
82.092 [ლონდონი]
ს 859

თარგმნა ნიკოლოზ ჩიქოვანმა

„თუ შენ სიმართლე არ აღიარე, დამალე იგი, თუ არ წამოდექი და შეკრებილობაზე სიტყვით არ გამოხვედი, თუ გამოხვედი და სრული სიმართლე არ თქვი, — შენ სიმართლეს უღალატე“.

„შემაძლებინეთ სახეში შევხედო სიმართლეს. მიამბეთ, როგორი სახე აქვს მას“.

ჯეკ ლონდონი

ეს ამბავი ჯეკ ლონდონის შესახებ მოთხრობილია მისივე სიტყვებით, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი და განუმეორებელი კოლორიტით, ხასიათითა და დრამატიზმით. იქ, სადაც ჯეკი თვით მოგვითხრობს თავის თავზე, ვერც ერთი ბიოგრაფი ვერ მოასერხებდა უკეთესად ეთქვა რაიმე.

„მეზღვაური უნაგირზე“ ემყარება იმ მასალას, რომელიც მოიცავს ლონდონის გამოქვეყნებულ ორმოცდაათ წიგნს და ორას ათას წერილს, შავ ხელნაწერს, დოკუმენტს, დღიურს. ყველაფერი ეს თვით ჯეკია. ესაა მოთხრობა იმაზე, თუ როგორ უყვარდა მას, როგორ მუშაობდა და იბრძოდა.

ირვინგ სტოუნი



I

1875 წლის ივნისში, დილაადრიან, სან-ფრანცისკოს მცხოვრებლებმა გაზეთ „ქრონიკლში“ გულშემზარავი ამბავი წაიკითხეს: ქალმა საფეთქელში რევოლვერი დაიხალა. თურმე ქმარს „სახლიდან გამოეგდო, რადგან ქალი არ დათანხმებოდა მოეკლა თავისი პირმშო, რომელიც ჯერ კიდევ არ დაბადებულიყო, — აი, უსულგულობისა და გაწამებული ოჯახური ცხოვრების მაგალითი“.

ქალი ფლორა უელმანი იყო, ოჰაიოს შტატის ქალაქ მესლონის. მკვიდრ უელმანთა ოჯახის გზააბნეული ცხვარი; მამაკაცი კი — მოგზაური-ასტროლოგი, ირლანდიელი პროფესორი ჩანი. რაც შეეხება პირმშოს, მას წილად ხვდა მსოფლიოს მილიონობით ადამიანისათვის ცნობილი გამხდარიყო ჯეკ ლონდონის სახელით.

„ქრონიკლში“ მოთავსებული სტატია ლანძღვა-გინებით იხსენიებდა პროფესორს. თუმცა დასკვნაში ავტორი აღიარებდა, რომ ეს ამბავი მას თვით ფლორამ და მისმა მეგობრებმა უამბეს. გაზეთი ბრალს სდებდა პროფესორს იმაში, რომ იგი ერთ დროს სასჯელს იხდიდა ტუმსის საპყრობილეში, რომ მან რამდენიმე ცოლადყოფი-

ლი უკვე დაასაფლავა — „მათ სასთუმალთან მწვანე ბალახი ბიბინებს, ფეხებთან კი მძიმედ ჩაწოლილა ცივი ქვა“, რომ იგი აიძულებდა ფლორას მთელი დღეები ვარცლთან წელმოზნექილი მდგარიყო, ყოფილიყო სხვისი ბავშვების გადია, და ცოლის ფულით შეძენილი ავეჯის გაყიდვასაც კი არ თაკილობდა. ბოლოს ფლორას სახლიდან გაგდება დაუპირა, მაგრამ წასვლაზე რომ ვერ დაითანხმა, ადგა და თვითონ მიატოვა.

ამ ბრალდებებიდან ბევრი რამ ისევე არ შეეფერება სინამდვილეს, როგორც თვით სტატიის სათაური — „მიტოვებული ცოლი“. ფლორა არასოდეს ყოფილა პროფესორ ჩანის ცოლი და მას ფიქრადაც არ მოსვლია სიცოცხლე თვითმკვლელობით დაემთავრებინა. სასიკვდილო ჭრილობის ნაცვლად მხოლოდ კანი აღმოაჩნდა გაფხაჭნილი და ამან პროფესორ ჩანის უფრო დიდი ზიანი მიაყენა, ვიდრე ფლორას — გაზეთებმა ეს ამბავი მთელ ქვეყანას ამცნეს. ჩანი სამუდამოდ შეურაცხყოფილი და სახელგატეხილი დარჩა. ამ შემთხვევის შემდეგ მალე გაუჩინარდა კიდეც სან-ფრანცისკოდან და ჯეკ ლონდონს მამამისი აღარასოდეს უნახავს.

იმ დროს, როცა „ქრონიკლმა“ სტატია გამოაქვეყნა, ფლორა უელმანი ოცდაათი წლის იყო. დაბალი, შეუხედავი, ულაზათოდ ჩაცმული, იგი სათვალესა და ხუჭუჭა შავ პარიკს ატარებდა, რადგან თვალები და თმა ტიფს დაეზიანებინა; მოყვითალო-მკრთალი სახე, დიდი ცხვირი და ასეთივე ყურები ჰქონდა. წარმოშობით ფლორა კარგი უელსური ოჯახიდან იყო. 1800 წელს მისმა ბებიამ, მისის ჯოელ უელმანმა, შუა ზამთარში ოთხი ბავშვით გადაიარა ალეგანის მთები — ნიუ-იორკის შტატში მდებარე კანანდეიგუას ტბიდან ვეინ კაუნტამდე, ოჰაიოში. ამდაგვარი მოგზაურობისთვის საჭირო იყო ენერგია, გამბედაობა და რწმენა საკუთარ თავში. მისის ჯოელ უელმანის ორთავე ვაჟს — ჰაირამსა და მარშალს (ჯეკ ლონდონის ბაბუას) — შთამომავლობით დაჰყვა ყველა ეს თვისება. ერთხელ, შემოდგომის მიწურულში, კლიველენდში სტუმრობისას, ძმები გემით გაემგზავრნენ პუტ-ინ-ბეის ყურეში მდებარე კუნძულზე. უკან გამობრუნებისას კი — იმ წელიწადს ეს უკანასკნელი რეისი იყო — გემი რატომღაც აქ აღარ შეჩერდა და ბავშვები ულუკმაპუროდ, თავშესაფრის გარეშე დარჩნენ უკაცრიელ კუნძულზე. ზამთარი იწყე-

ბოდა. მათ, ნაჯახის ნაცვლად ქვებით შეიარაღებულებმა, ნაპირზე გამორიყული მორებისაგან ისეთი მკვიდრი ტივი შეჰკრეს, რომ მატერიკამდე კი არა, თვით კლივლენდამდე მიაღწიეს.

მარშალ უელმანი ოჰაიოს შტატის ქალაქ მესლონში დასახლდა. მას აქ არხები გაჰყავდა და პატენტებსაც იღებდა თავის გამოგონებებზე, რომელთა შორის უმთავრესი იყო „უელმანის ნახშირის გათბობა". დააგროვა საკმაოდ დიდი თანხა და აიშენა სახლი, რომელიც მესლონში ერთ-ერთ ულამაზესად ითვლებოდა. სწორედ აქ დაიბადა მისი ქალიშვილი ფლორა.

ფლორა უელმანს შესაძლებლობა ჰქონდა იმ დროისათვის შესაფერი, მრავალმხრივი განათლება მიეღო. სწავლობდა მუსიკას, დაამთავრა კოლეჯი, ბევრს კითხულობდა, საინტერესო მოსაუბრე იყო, მოხდენილი სიტყვა-პასუხიც შეეძლო და საზოგადოებაში თავის დაჭერაც. უელმანის მდიდარი ოჯახის ქალიშვილს არ გაუჭირდებოდა შესაფერ ქმარს გაჰყოლოდა და დარბაისლურად ეცხოვრა ისე, როგორც მისი დები და ძმები ცხოვრობდნენ. მაგრამ გამართულ ჩარხში რაღაც ბზარი გაჩნდა და დახელოვნებულმა გამომგონებელმა, მარშალ უელმანმა ვერ შესძლო დაუდეგარი ქალიშვილის დამორჩილება.

მეგობრების გადმოცემით, ფლორა ცვალებადი განწყობის, ჭკვიანი, ნიჭიერი, მაგრამ ნერვიული ქალიშვილი ყოფილა. ის ძნელად ეჩვეოდა წესრიგსა და მკაცრ მოთხოვნებს ვერ წაუყენებდით, რადგან ოცი წლის ასაკში ტიფი გადაიტანა და ამ ავადმყოფობის შემდეგ, როგორც იტყვიან, თავში ყველაფერი რიგზე ვერა ჰქონდა.

ოცდახუთი წელი რომ შეუსრულდა, ფლორამ თავისი ხაბაკხუბაკი ჩემოდანში ჩაალაგა და მესლონიდან გაემგზავრა. ეს გაუგონარი ამბავი იყო ახალგაზრდა ქალიშვილისაგან. მშობლებთან კავშირი მას ალარასოდეს აღუდგენია. უთუოდ რაღაც უსიამოვნება მოხდა, რისი ნამდვილი მიზეზი მხოლოდ შეიძლება ვივარაუდოთ. „ქრონიკლის" გამჭრიახი რეპორტიორის ვარაუდით, „ფლორა ჩვენს სანაპიროზე დაახლოებით იმ დროს გამოჩნდა, როცა სალბით დაფარული ნევადის რომანტიულ სივრცეებზე გავლით აქ სამოგზაუროდ ჩამოვიდა პროფესორი". სინამდვილეში ფლორა მხოლოდ სამი წლის შემდეგ შეხვდა ჩანის სიეტლში.

ჯეკ ლონდონის ბიოგრაფი ბევრ რამეს დათმობდა, ოღონდ ფარდა აეხადა ფლორა უელმანის იმ სამი წლის ცხოვრებისათვის, როცა იგი ქალაქიდან ქალაქში დაეხეტებოდა და თავს მუსიკის გაკვეთილებით ირჩენდა. შემორჩენილი ცნობები გვაფიქრებინებს, რომ მისი ცხოვრების ეს პერიოდი სასიამოვნო ამბებს არ უნდა შეიცავდეს.

პროფესორი ჩანი წერს: „... იმავე სასტუმროში, სადაც ფლორა ჩემს მეუღლედ მიაჩნდათ, იგი ჩემამდე თავს ლი სმიტის მეუღლედ აცხადებდა. ეს სასტუმრო მეტად სოლიდურ დაწესებულებად ითვლებოდა და, აი, ერთხელ შინ დაბრუნებულმა დავინახე, რომ მოშინადრეები გადასასვლელად ემზადებოდნენ და მთელი სახლი საშინელ მღელვარებას მოეცვა. ვერც კი მოვასწარი ოთახში შესვლა, რომ ფლორამ კარები ჩაკეტა, ჩემს წინ მუხლებზე დაეცა და ტირილით პატიება მთხოვა. მე არც კი ვიცოდი, რა უნდა მეპატიებინა. დიდი ხნის წუწუნისა და მიდებ-მოდებით ლაპარაკის შემდეგ მიამბო სიმართლე ლი სმიტის შესახებ. მობინადრენიო, — მითხრა მან, — იმიტომ გადადიან, რომ მას, ფლორას, თითქმის ერთსა და იმავე დროს იცნობდნენ, როგორც მისს უელმანს, მისის სმიტს და მისის ჩანის. პირველ გულისთქმას რომ ავყოლოდი — უნდა გავცლოდი მას; ხმით მომავალში თავს დავიზღვევდი ტანჯვისაგან. მაგრამ ჩავუფიქრდი ჩემს განვლილ, მორალურად დამახინჯებულ ცხოვრებას და ვაპატიე“.

ფლორა უელმანს ჩანი პირველად ქალაქ სიეტლის მერის, იესლერის ოჯახში შეხვდა. იესლერი წარმოშობით ოჰაიოდან იყო და უელმანების ოჯახს კარგად იცნობდა. იმ დროს ფლორა სტუმრად იყო მერსა და მის მეუღლესთან. მისტერ და მისის იესლერებმა ჩანის საიდუმლოდ გაანდვეს. რომ მათი სტუმარი მეტად საპატიო მშობლების ქალიშვილია, მაგრამ ეტყობა, რაღაც დაუშავებია. ალბათ, ამ საიდუმლოდ დარჩენილმა „რაღაცამ“ აიძულა ფლორა სახლიდან წასულიყო. ჩანი ახლო იცნობდა იესლერებს, ხშირად დადიოდა მათთან. როცა უკვე მოგვიანებით, მან სან-ფრანცისკოში ნახა ფლორა, ერთმანეთს ისე შეხვდნენ, როგორც ძველი მეგობრები.

როგორი ადამიანი იყო ჯეკ ლონდონის მამა? მისი წარსულის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი. ვიცით მხოლოდ, რომ იგი წმინდა წყლის ირლანდიელი იყო; დაბადებულა მორებისაგან ნაგებ ქოხში,

შენის შტატში. ახალგაზრდობაში მრავალი წელი გაუტარებია ზღვაზე. დაბალი იყო, მაგრამ ისეთი მძლავრი აღნაგობა ჰქონდა, რომ უკვე სამოცი წლის მოხუცმა კიბიდან გადმოაგდო ხულიგანი, რომელიც საცემრად მიუგზავნეს. რა საქმიანობას ეწეოდა? წერდა, სცემდა ჟურნალებს, კითხულობდა ლექციებს, მასწავლებლობდა და ადგენდა ჰოროსკოპებს. მის მდიდარ ბიბლიოთეკაში ნახავდით წიგნებს ფილოსოფიურ, მათემატიკურ, ასტრონომიულ და ოკულტურ საკითხებზე; იყო ენათმეცნიერი, ნიჭიერი ისტორიკოსი და ბიბლიის დიდი მცოდნე. უახლოეს მოწაფეებსა და მიმდევრებს შორის სახელი გაითქვა, როგორც შესანიშნავმა ადამიანმა, ასტროლოგებს შორის კი — ერთ-ერთმა საუკეთესოთაგანმა. ამბობენ, რომ სიბერის ჟამს, როცა ჩიკაგოში ცხოვრობდა, მან მთელი თავისი არაჩვეულებრივი ნიჭი ასტროლოგიას შესწირა, რაზედაც ყოველდღე თექვსმეტ-თექვსმეტ საათს მუშაობდა. მას ვატაციებითა და გულწრფელად სწამდა ასტროლოგია და ისეთივე ზუსტ მეცნიერებად მიაჩნდა იგი, როგორც ქიმია ან მათემატიკა, მეცნიერებად, რომელსაც შეეძლო ჭაობიდან ამოეყვანა კაცობრიობა.

ჩანის ყველაზე სუსტი მხარე ქალებთან ურთიერთობა იყო. როცა მეგობრები პროფესორს უსაყვედურებდნენ ხოლმე მისი მორალური შეცდომების შესახებ, იგი ჰოროსკოპზე მიუთითებდა და წამოიძახებდა: „ეჰ, მე ეს შთამომავლობით მომდევს". სულ ადვილი იყო მისი გაჯავრება, მასთან საქმის დაჭერა კი მეტად ძნელი, რადგან ყოველთვის და ყველაფერში სურდა თვითონ ყოფილიყო წინამძღოლი, ჭკუის დამრიგებელი და ხელმძღვანელი. . ცხოვრების უმეტესი ნაწილი სიღარიბეში გაატარა, ფულის ყადრი არ იცოდა. თუ მოწაფეებს არ შეეძლოთ გადახდა, უსასყიდლოდ ასწავლიდა და იმ მცირედსაც კი, რაც გააჩნდა, სხვებს უნაწილებდა.

სტუდენტები იგონებდნენ, მის ლექციებს ყოველთვის შეუნელებელი ყურადღებით ვისმენდითო. მან იცოდა, რა ეთქვა და როგორ გადმოეცა თავისი ცოდნა. ირონიით ლაპარაკში ვერავინ შეედრებოდა. მის მეგობრებს ბევრი რამის შეძენა შეეძლოთ მისგან, თუ ამის უნარი შესწევდათ, თუ არა და მის მეგობრად დიდხანს ვერ დარჩებოდნენ. ქალაქ პორტლენდში (ორეგონის შტატი) საყოველთაოდ ცნობილი იყო მისი ყოველკვირეული ლექციები. მსმენელე-

ბის წინ დაფაზე გამოსახული იყო ერთი მეტრის სიმაღლის ჰოროს-კოპი და ჩანი, ჯოხით ხელში, აუდიტორიას უხსნიდა ვარსკვლავ-თა სხვადასხვაგვარი განლაგების მნიშვნელობას. საათნახევრიანი ლექციის შემდეგ, მისთვის ჩვეული, ირლანდიური ძარღვიანი იუმორით, იგი მოწაფეებს თავშესაქცევი ამბებით ართობდა.

ერთ-ერთი მისი მომდევარი ჯო ტაუნსონი გელდზბურგიდან, შემდგომში ჯეკ ლონდონის თანამებრძოლი სოციალისტური პარტი-იდან, 1909 წელს წერდა: „მე განსაკუთრებით მომწონდა, როდე-საც იგი საუბრის მსვლელობისას ზოგჯერ წამოიძახებდა: „ა-ა! ამან რაღაც მოსაზრება გამიჩინა...“ და იწყებდა ამ მოსაზრების განვითა-რებას, თანაც ბრწყინვალედ ასაბუთებდა ამა თუ იმ მეცნიერულ ჭეშმარიტებას, აღწერდა ბუნების მოვლენებს, რომელთათვისაც ჯერ არავის მიუქცევია ყურადღება. განსაცვიფრებელი იყო მისი ცოდნა მათემატიკასა და ასტროლოგიაში; მან შემასწავლა ძველთა-ძველი წარწერების გაშიფვრის მეთოდი; ჩინებულად ერკვეოდა გრამატიკაში; ჰქონდა ღრმა შემეცნების უნარი, ნამდვილი მეცნიერის ცოდნა და განსაკუთრებული მეხსიერება; შეეძლო დღე-ღამეში თექ-ვსმეტი საათი ეწერა და დაღლას არ იგრძნობდა; ხშირად კითხუ-ლობდა ლექციებს, რომლებშიც არკვევდა სიღარიბის მიზეზებსა და მასთან ბრძოლის საშუალებებს, ლაპარაკობდა იმაზე, რომ მდიდრე-ბი სულ უფრო მდიდრდებიან, ღარიბები კი — უფრო ღარიბდებიან; მეტად მრავალმხრივი ადამიანი იყო და მისგან უფრო მეტი ვისწავ-ლე, ვიდრე ყველა სხვა ჩემი მასწავლებლისაგან. ერთხელ მითხრა: „მე შეგასწავლით, როგორ გამოითვალოთ მზის დაბნელების დრო; საერთოდ, რა მეცნიერებასაც მოისურვებთ, იმას შეგასწავლით“. მოკლედ რომ ვთქვა, როდესაც დამჭირდებოდა რისიმე გაგება, და-ხმარებისათვის ყოველთვის პროფესორ ჩანის მივმართავდი“.

ტაუნსონს არ დავიწყნია ჩანის უარყოფითი მხარეების ჩამო-თვლაც; პროფესორს თურმე მუსიკის არაფერი გაეგებოდა, სძულდა ქალთა თანასწორუფლებიანობის დამცველები, შეეძლო ყოფილი-ყო ერთგული მეგობარიც და დაუნდობელი მტერიც; კამათის დამთავრების შემდეგ იშვიათად თუ აღიარებდა მოწინააღმდეგის და-დებით მხარეებს. ათეისტებს ფულს ართმევდა რელიგიის საწინააღ-მდეგო ლექციების წაკითხვაში... და, იმავე დროს, ნებისყოფა არ ჰყოფნიდა შორს დაეჭირა თავი ახალგაზრდა ქვრივებისაგან.

ფლორა უელმანთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრების დაწყებიდანვე, ჩანი დაბინავდა პირველ ავენიუზე, როგორც მაშინ ეწოდებოდა მიშენისა და ვალენსიას შუა მდებარე ქუჩას. მან თანამშრომლობა დაიწყო ჟურნალ „საღ აზრში", რომელსაც ერთადერთ ათეისტურ ჟურნალად ასაღებდნენ მისი მესვეურნი კლდოვანი მთების დასავლეთით. ჩანი წერდა სტატიებს ფილომატების საზოგადოებისათვის, კითხულობდა ლექციების ციკლს სოციოლოგიაზე, შინ კი ჰოროსკოპების განმარტებას ეწეოდა.

„პროფესორი სან-ფრანცისკოში დასახლდა ასტროლოგიაში მუშაობის მიზნით. განზრახვა აქვს აგრეთვე ასტროლოგიის გაკვეთილები ჩაუტაროს იმათ, ვინც მოისურვებს ცის სამყაროს ამ დარგში დახელოვნებას. ასტროლოგია ესმოდათ და მას მხურვალედ ეჭერდნენ მხარს ისეთი დიდი და გამჭრიახი მოაზროვნეები, როგორიც იყვნენ გალილეი და ისააკ ნიუტონი. იმ პირთა გრძელ სიაში, რომელთაც ამ ქალაქში თავი ასტროლოგებად მოაქვთ, არც ერთს წარმოდგენაც არა აქვს ამ მეცნიერებაზე. ასტროლოგებად თავი მოაქვთ, ჩვეულებრივ თაღლითებს, რომელნიც ბანქოს გაშლით ან ყავის ნალექებზე მკითხაობენ. მათმა მარჩიელობამ ცუდი სახელი შეუქმნა ნამდვილ ასტროლოგიას. სამუშაო დრო განსაზღვრულია დილის 10 საათიდან 12 საათამდე და დღის 2-დან—4-მდე. საღამოს კონსულტაციებს პირადად შეთანხმებით აწარმოებს".

ჩანი არ იყო შარლატანი. თავისი სიცოცხლის უმეტეს მანძილზე ასწავლიდა ასტროლოგიას, წერდა მასზე და ლექციებსაც კითხულობდა უფასოდ. აქედან აშკარაა, რომ ის შეგნებულ თაღლითობას როდი ეწეოდა გულუბრყვილოთა შორის. აი, ერთი ანეგდოტი, რომლის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, თუ რა ადგილი ეკავა მას თავის დარგში.

ერთხელ ქალაქში ხანძარი გაჩენილა. დამწვარა სახლი. დაეჭვებულან, რომ ხანძარი წინასწარი განზრახვით იყო გაჩენილი. სახლის პატრონს პროფესორ ჩანისათვის უთხოვია დახმარება. პროფესორს უთქვამს, რომ ხანძრის გაჩენაში მონაწილეობას იღებდნენ სამნი, და თანაც ისეთი სიზუსტით აუწერია ისინი, რომ სახლის პატრონი დამნაშავეებთან მისულა და განუცხადებია, ჩანიმ გამხილათო. ისინი მაშინვე გამოტეხილან. თუ ჩანიმ თქვა, უარყოფას რაღა აზრი აქვსო.

კვირა საღამოობით ჩანი ლექციებს კითხულობდა ასტროლოგიაში ჩარტერ ოუკ ჰოლში. შესასვლელთან ბილეთებს ფლორა ყიდდა — თითოს ათ ცენტად. ერთ ხანს ლექციები კარგ შემოსავალს იძლეოდა, თუმცა ზოგიერთი იმ მიზნით მოდიოდა, რომ ლექტორი აბუჩად აეგდო.

ჩანის შეხედულებებისა და გამჭრიახობის საუკეთესო დამადასტურებლად შეიძლება ჩაითვალოს ჟურნალ „საღ აზრში“ დაბეჭდილი მისი სტატიები: „სიღარიბე, მისი მიზეზები და მასთან ბრძოლის საშუალებები“, „როგორ უნდა მოვექცეთ ბოროტმოქმედებს?“ სტატიაში „ადამიანს უნდა შეეძლოს მომავლის წინასწარმეტყველება“, იგი წერს: „სწავლების მცდარმა სისტემამ ჩაგვინერგა, რომ მომავალი ღმერთს ეკუთვნის და ადამიანის მიერ მომავლის განჭვრეტის ცდაც ღვთისგმობაა. ეს რწმენა ადრეული ბავშვობიდანვე ინერგება, და, ალბათ, ამერიკის შეერთებული შტატების მცხოვრებთა ცხრა მეათედს საეჭვოდ მიაჩნია მომავლის წინასწარმეტყველების შესაძლებლობა. მათი პოზიცია ისეთივეა, როგორიც გალილეიმდე ეჭირათ ადამიანებს. მათ სჯეროდათ დოგმისა, რომ დედამიწა ბრტყელია, და ზიზღით შეჰყურებდნენ ყველას, ვინც ამტკიცებდა, დედამიწა მრგვალიაო. როცა პაპმა და კარდინალებმა მეცნიერებისათვის ერთ-ერთი პირველი წამებული გალილეი საპყრობილეში ჩასვეს მტკიცებისათვის, დედამიწა ორბიტაზე მოძრაობსო, უბრალო ადამიანებმა მისი დასჯა მართებულად მიიჩნიეს“.

ჩანის სტატიები კარგი ენითაა დაწერილი, არგუმენტაცია დამაჯერებელია, თხრობის მანერა — მკაფიო და ნათელი. ჩანს, ავტორი ყოველმხრივ განათლებული ადამიანია და საკმაო გამბედაობაც შესწევს, გულახდილად ილაპარაკოს; უყვარს ადამიანები და სურს ჩაუნერგოს მათ სწრაფვა სრულყოფისაკენ. აქვს თანამედროვე, მოწინავე შეხედულებანი. კრიმინოლოგიის შესახებ დაწერილ სტატიაში იგი აღნიშნავს, რომ ბოროტმოქმედს იმდენად დასჯის სიმკაცრე კი არ აიძულებს თავი შეიკავოს დანაშაულისაგან, რამდენადაც დასჯის გარდუვალობა. მეორე სტატიაში ფილომატებს ურჩევს, შექმნან ძმური საზოგადოება, სადაც კვირაში ერთხელ შეიკრიბებიან მამაკაცები, ქალები და ბავშვები. უფროსები სხვადასხვა თემებზე დაიწყებენ ნაწარმოებთა წერასა და განხილვას, ბავშვები

კი იმეცადინებენ მუსიკაში, დაეუფლებიან კომპოზიციისა და კრიტიკის ხელოვნებას. ადამიანთა თაობა წინ წაიწევს და რამდენიმე მოდგმის შემდეგ მოისპობა მანკიერება და დანაშაულობა.

ფლორა არა მარტო ასტროლოგი, მგზნებარე სპირიტისტიც იყო. იგი ატარებდა სპირიტისტულ სეანსებს, რომლის დროსაც შეკრებილთ უნდა გამოეძახათ ახლობელთა სულები, გაენდოთ მათთვის თავიანთი ზრახვები და შეიძლებოდა მათგან იმის რჩევაც მიეღოთ, როგორ წარემართათ სავაჭრო ან სამეჯნურო საქმეები, როგორ ედევნებინათ თვალყური ქარაფშუტა მეუღლისათვის, ან როგორ მოეგვარებინათ სხვადასხვა უსიამოვნებები—უხილავი სულებისთვის ხომ უფრო მოხერხებულია ამქვეყნიური საქმეების მეთვალყურეობა. გასული საუკუნის 70-იან წლებში სპირიტიზმი დიდ მოდაში იყო. მთელ სან-ფრანცისკოში ათობით სეანსი ეწყობოდა და სპირიტიზმის მიმდევრები იქამდეც კი მიდიოდნენ, რომ სულებს თანხმობას გამოსთხოვდნენ ეკონომი ქალის დაქირავების საკითხშიც.

ფლორა და ჩანი რამდენიმე თვე ბედნიერად გრძნობდნენ თავს სან-ფრანცისკოში. ფლორა დიასახლისობდა, ასწავლიდა მუსიკას, აწყობდა სპირიტისტულ სეანსებს, კითხულობდა ლექციებს სპირიტიზმის შესახებ. ნახერხმოყრილ მიწის იატაკიან ფარდულში ჩანი ლექციებს კითხულობდა ქიმიაში, ასტრონომიაში, ოკულტურ მეცნიერებებში, ფლორა კი კარებში იდგა და დამსწრეებს ბილეთებს უსინჯავდა. მათ ჰყავდათ მეგობრები ასტროლოგთა შორის, კარგი სახელი ჰქონდათ გავარდნილი და თავის დარგში პირველები იყვნენ. როგორც ჩანს, ფლორას უყვარდა პროფესორი და ძალიან უნდოდა მისი ცოლი გამხდარიყო, მაგრამ ჩანი მეტად დატვირთული იყო ლექციებით ფილომატების საზოგადოებაში — „ფიზიკური, გონებრივი, მორალური და სულიერი ცხოვრების მოვლენათა შესახებ“—და არ ეცალა ისეთი საფუსფუსო საქმეებისათვის, როგორიც ქორწინებაა.

როცა ჯეკ ლონდონს ოცდაერთი წელი შეუსრულდა, ის წერილობით შეეკითხა ჩანის — არის თუ არა იგი მისი მამა. „ქრონიკლში“ სტატიის გამოქვეყნების ოცდათხი წლის თავზე, 1899 წლის 4 ივნისს, ჩანიმ საპასუხო წერილი გამოუგზავნა. ის ლონდონს „ძვირფას სერს“ უწოდებს და თანახმაა „შეასრულოს მისი სურვილი, ყოველივე საიდუმლოდ შეინახოს“; შემთხვევის შესახებ კი ატყობინებს თავის განმარტებებს:

„ფლორა უელმანთან არასოდეს ვყოფილვარ ქორწინებაში, — სწერდა ჩანი, — მაგრამ 1874 წლის 11 ივნისიდან 1875 წლის 3 ივნისამდე ჩვენ ერთად ვცხოვრობდით. იმ დროს მე არ შემეძლო მისი ქმარი ვყოფილიყავი, რადგან, მრავალ გაჭირვებასთან ერთად, სიღარიბესაც განვიცდიდი და მეტისმეტად დატვირთული ვიყავი გონებრივი მუშაობით. ასე რომ, მე თქვენი მამა არ შეიძლებოდა ვყოფილიყავი და არც ვიცი, ვინაა იგი“.

ჩანი თანახმაა, დაეხმაროს ჯეკ ლონდონს სინამდვილის დადგენაში და იმეორებს ხალხში გავრცელებულ ხმას, რომელიც 1875 წლის გაზაფხულზე ფლორას სახელს ორ სხვა მამაკაცთან აკავშირებდა. ამასთანავე გულახდილად აღიარებს, რომ „პირველი წყაროებიდან არაფერი იცის“. ამას მოსდევს ისეთი გულშემზარავი აღსარება, რაც კი ოდესმე ადამიანის ხელს დაუწერია: „თავის დროზე მე მეტად ნაზად შიყვარდა ფლორა, მაგრამ დადგა დღე, როცა იგი ისე ძლიერ შემძულდა, როგორც ეს ძალუძს მგზნებარე ადამიანს. იმ ადამიანებივით, რომელნიც მსგავს მდგომარეობაში აღმოჩენილან, მინდოდა ისიც მომეკლა და ჩემი თავიც. მაგრამ დრომ მომიშუშა ჭრილობა და მისადმი ცუდი გრძნობა არ დამრჩენია. რაც შეგეხებათ თქვენ, მხურვალედ თანაგიგრძნობთ. წარმოიდგენია, რა დღეში ვიქნებოდი თქვენს ადგილას... გაზეთებში წერდნენ, თითქოს მე ის სახლიდან იმიტომ გავაგდე, რომ არ დამთანხმდა აბორტის გაკეთებაზე. სტატია გადაბეჭდეს და მთელ ქვეყანაში დაგზავნეს. იგი ჩემს დებსაც წაუკითხავთ მენში და ამის გამო ორი მათგანი გადამემტერა. ერთი კი იმ რწმენით გარდაიცვალა, რომ მე დამნაშავე ვიყავი. მთელი ჩემი ნათესაობა, გარდა ერთი დისა, რომელიც პორტლენდში, ორეგონის შტატში, ცხოვრობს, ჩემი მტერია და დღემდე წყევლა-კრულვას არ მაკლებს იმის გამო, რომ მე ისინი შევარცხვინე. იმ ხანებში ბროშურაც კი გამოვეცი, სადაც მოთავსებული მქონდა პოლიციის უფროსისაგან მიღებული საიდუმლო პატაკი. ამ პატაკიდან ნათლად ჩანდა, რომ მე ცილი დამწამეს, მიუხედავად ამისა, „ქრონიკლმა“ და სხვა გაზეთებმა არ მოისურვეს უარეყოთ თავიანთი მოჭორილი ამბავი. ამის შემდეგ შევწყვიტე თავის მართლება. ცხოვრება მძიმე ტვირთად მაწვა მრავალი წლის მანძილზე. ბოლოს, როგორც იქნა, შეიცვალა ჩემდამი

დამოკიდებულება. ახლა მე უკვე მყავს მეგობრები და მათ ჩანი პატიოსან ადამიანად მიაჩნიათ. თუმცა სამოცდამეჩვიდმეტე წელში გადავდექი, მაინც ღარიბი ვარ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით“.

ამ პასუხით დაუკმაყოფილებელმა ჯეკ ლონდონმა ხელახლა მისწერა ჩანის და დაჟინებით მოითხოვა ინფორმაცია. პასუხად მისგან მიიღო უკანასკნელი წერილი, სადაც პროფესორი განაგრძობს თავისი მამობის უარყოფას: „აი, რატომ დავშორდით ჩვენ. ერთ მშვენიერ დღეს ფლორამ გამომიცხადა: იცი ყველაფერზე უფრო რა მინდა? გავხდე დედა, მაგრამ შენ მეტად მოხუცი ხარ. დავუშვათ, მოვძებნე მამაკაცი, კარგი, სანდომიანი ადამიანი: ნუთუ შენ არ დათანხმდები, რომ მისგან ბავშვი ვიყოლიო?“ მე ვუპასუხე, რომ დავთანხმდებოდი იმ პირობით, თუ შემდეგ ის მამაკაცი უპატრონებდა მას. არა, მას სურდა სამუდამოდ ჩემთან ეცხოვრა, რომ პროფესორ ჩანის მეუღლე ჰგონებოდათ. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ გამიმხილა, რომ იგი ჩემგან დაორსულდა. გავიფიქრე — ალბათ, ჩემი გამოცდა უნდა-მეთქი და არ დავუჯერე. საშინელი აურზაური ავტეხე იმ ვარაუდით, რომ ფლორა ხელს აიღებდა თავის განზრახვაზე. მთელი დღე და ღამე გრძელდებოდა კამათი. გათენდა თუ არა, ავდექი და განვუცხადე, რომ იგი ვეღარასოდეს გახდებოდა ჩემი ცოლი. დარწმუნდა თუ არა ჩემი გადაწყვეტილების სიმტკიცეში, მყისვე მიყუჩდა, დაეცა მუხლებზე, ფორთხვით მომიახლოვდა და პატიება მთხოვა გულამოსკვნილი ტირილით. შეწყნარებას არ ვაპირებდი, თუმცა, სიმართლე გითხრათ, ჯერ კიდევ მეგონა, რომ ბავშვის მოლოდინი სახელდახელოდ მოიგონა. საერთოდ, აუტანელი ხასიათისა იყო და ადრეც მიფიქრია იმაზე, რომ მასთან განშორება მომიწევდა.

ამ ამბის შემდეგ ფლორა ექიმ რატლისთან წავიდა უკანა ეზოს გავლით და მალე დაბრუნდა ცალ ხელში რევოლვერით, მეორეში კი ვაზნებიანი კოლოფით. შუბლის მარცხენა მხარეზე ჭრილობა მოუჩანდა და სახეზე სისხლი ჩამოსდიოდა. მისის რატლის შეკითხვაზე, თუ რა დაემართა, ფლორამ უპასუხა: „საწყალმა ქალმა თავის მოკვლა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო ამის გაკეთება ისე, როგორც საჭირო იყო“. საშინელი აურზაური ატყდა. შეგროვდა ხალხი, ასორმოცდა-

ათ კაცამდე, და დამემუქრნენ, რომ ფარნის პირველსავე ბოძზე ჩამომახრჩობდნენ".

პროფესორის მიერ გამოცემული ყველა ბროშურა გაქრა, მაგრამ აღმოჩნდნენ მოწმეები, რომელთაც ისინი თავის დროზე წაუკითხავთ. პოლიციის საიდუმლო რწმუნებულის მოხსენებაში დადასტურებული ყოფილა, რომ რევოლვერი ძველი იყო და უკანასკნელი დაზეთვის შემდეგ მას ტყვია არ გაუსვრია. ამიტომაც დენთის კი არა, თოფის ზეთის სუნი ასდიოდა. უკანა ეზოში, ფლორასაგან ათი მეტრის დაშორებით დურგალი მუშაობდა, მაგრამ გასროლის ხმა არ გაუგონია. თუ ფლორამ, როგორც ამას თვითონ ამტკიცებდა, რევოლვერი დაიხალა, სახეზე დენთის კვალი უნდა დარჩენოდა, მაგრამ ამის მსგავსი არაფერი აჩნდა.

ჩანი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ თვითმკვლელობა ინსცენირებული იყო, მაგრამ გაკვირვებას იწვევს, რატომ თვითონ არ გასინჯა ფლორას ჭრილობა, რათა დარწმუნებულიყო, ნამდვილი იყო იგი თუ მოჩვენებითი. თუმცა მნიშვნელოვანი საფუძველი ჰქონდა, მაგრამ ამის შესახებ იგი თავის ბროშურაშიც კი არაფერს ამბობს. ფლორას რომ საფეთქელზე ნაჭრილობევი აჩნდა, ამას ადასტურებდნენ მისი გერი ელიზა ლონდონ-შეპარდი და შვილიშვილი ჯონ მილერი. ცხადია, ჩანის სურვილი იყო დაემტკიცებინა, რომ თუ ფლორამ მართლაც დაიჭრა თავი, არ შეიძლებოდა ეს ისეთი საოიკვდილო იარაღით ჩაედინა, როგორიცაა რევოლვერი. ამ მიზნისათვის, მაგალითად, მას შეეძლო გამოეყენებინა უსწორმასწორო კიდეებიანი ლითონის ნაჭერი. ჩანის კიდეც რომ დაემტკიცებინა თავისი სიმართლე, ეს მას შეღავათს მაინც ვერ მოუტანდა.

რატომ არ უნდოდა ჩანის ჯეკ ლონდონის მამად გამოეცხადებინა თავი? ადვილი არაა მამის უფლებების აღიარება სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. თანაც ფლორა უელმანთან კავშირმა მას ისეთი მძიმე განცდები გადაატანინა, რომ აღარავითარი სურვილი არ ჰქონდა თავიდან დაეწყო ის, რაც რამდენიმე წლის განმავლობაში სიცოცხლეს უმწარებდა. ჯეკ ლონდონი მისთვის უცხო იყო; უცნობი სახელი და ცარიელი ბგერა — მეტი არაფერი. ფლორასა და ჯეკ ლონდონისაგან ჩანის მხოლოდ ერთი რამ უნდოდა: თავი დაენებებინათ მისთვის.

თვითმკვლელობის ამაო ცდის შემდეგ, ფლორამ თავშესაფარი იპოვნა „ქრონიკლის“ თანამშრომლისა და ჟურნალ „სალი აზრის“ მეპატრონის უილიამ გ. სლოკამბის ოჯახში. იგი აქ ცხოვრობდა, ვიდრე ჯეკი არ მოევლინა ქვეყანას.

რაც შეეხება ჩანის, იგი პორტლენდში წავიდა დასთან. ეს იყო ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ჯერ კიდევ სჯეროდა მისი უდანაშაულობა. აქ იგი დიდხანს ცხოვრობდა, შეაგროვა ჩინებული ბიბლიოთეკა, ბეჭდავდა პამფლეტებს, უშვებდა ასტროლოგიურ ალმანახს, მოწაფეები და მიმდევრებიც გამოუჩნდნენ. უფრო მოგვიანებით გადასახლდა ახალ ორლეანში, სადაც ოკულტური მეცნიერებისადმი მიძღვნილ ჟურნალს უშვებდა, ხოლო პენსიონის გადასახდელის საზღაურად ორ ბიჭს ამეცადინებდა მათსავე სახლში. უკანასკნელი ქალაქი, სადაც ჩანი ცხოვრობდა, ჩიკაგო იყო. სიცოცხლის ბოლო წლებში იქ დაქორწინდა, თავი გამოაცხადა ასტრონომიული კოლეჯის დირექტორად, ჰოროსკოპის განმარტებაში იღებდა ერთ დოლარს და ამით გაჭირვებით გაჰქონდა თავი. მისი ერთ-ერთი მოწაფის გადმოცემით, პროფესორს უწინასწარმეტყველეს, რომ იგი საუკუნის დამთავრებამდე მოკვდებოდა და დაასაფლავებდნენ ქარბუქის დროს. ასეც მოხდა. დღეც კი დაემთხვა.

ფლორა უელმანი საჯარო ლექციებს კითხულობდა სპირიტიზმის წესებებ და სპირიტისტულ სეანსებშიც მონაწილეობდა თვით მშობიარობის დღემდე. სან-ფრანცისკოს მცხოვრებლებს დაამახსოვრდათ, როგორ იდგა იგი ფიცარნაგზე დიდი მუცლით, უცნაურად ჩაცმული, მხრებამდე დაშვებული ხელოვნური შავი კულულებით. მათ ეცოდებოდათ ეს მარტოხელა, ყველასაგან მიტოვებული ნაზი ქალი. გულშემატკივრებმა რამდენჯერმე ფულიც კი შეაგროვეს მის დასახმარებლად.

1867 წლის 14 იანვარს „ქრონიკლი“ ისევ იხსენიებს ჩანის სახელს, მაგრამ ამჯერად რამდენადმე უფრო ლმობიერად: „სან-ფრანცისკო, 12 იანვარი. უ. გ. ჩანის მეუღლეს ვაჟი შეეძინა.“ ჯეკ ჩანის სახელით ბავშვმა მხოლოდ რვა თვე იცხოვრა, ვიდრე ფლორა ჯონ ლონდონზე არ გათხოვდა.

ჯონ ლონდონი, ინგლისური წარმოშობის ამერიკელი, დაიბადა პენსილვანიაში. სწავლობდა სოფლის სკოლაში. ცხრამეტი წლის ასაკში, პენსილვანია-ერის რკინიგზის უბნის უფროს დარაჯად ყოფნის დროს, იგი დაქორწინდა ენ ჯენ კევიტზე, რომელთანაც მეტად ბედნიერი წლები გაატარა და ათი ბავშვი შეეძინა. შემდეგ თავი გაანება რკინიგზას და ფერმერი გახდა. სამოქალაქო ომში იგი ჩრდილოელთა მხარეზე იბრძოდა, ვიდრე ტიფით არ გახდა ავად და ცალი ფილტვი არ ამოკვეთეს. ომის შემდეგ მოსკოვის ახლოს (აიოვას შტატი) სახელმწიფო მიწის ნაკვეთი მიიღო და სოფლის მეურნეობას მოეკიდა. ამავე დროს დურგლობდა, კალატოზობდა, იყო შერიფი და მეთოდური ეკლესიის დიაკვანიც. კვირაობით, წირვის დამთავრების შემდეგ, მოძღვარს მოიპატიჟებდა ხოლმე სადილზე.

ენი ჯენ კევიტის გარდაცვალებიდან ცოტა ხნის შემდეგ, ლონდონის ერთ-ერთ შვილს ბეისბოლის თამაშის დროს მკერდზე მაგრად მოხვდა ბურთი. ექიმმა ის კი ურჩია ბავშვი კალიფორნიაში გაეგზავნა, რომლის კლიმატი ხელს შეუწყობდა მის გამოჯანსაღებას, მაგრამ იმის თქმა დაავიწყდა, რომ ამ შტატში, ორი ათასი კილომეტრის მანძილზე, რამდენიმე კლიმატური რაიონი იყო. კალიფორნიაში ლონდონისათვის ცნობილი იყო მხოლოდ ერთი ქალაქი—სან-ფრანცისკო. ავადმყოფი ვაჟითა და ორი უმცროსი ქალიშვილით ჯონი დასავლეთისაკენ გაემგზავრა მატარებლით. სან-ფრანცისკოს ნისლიანი კლიმატი ბავშვმა ვერ აიტანა და ათი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

ამ შემთხვევის შემდეგ ლონდონმა აიოვადან კალიფორნიაში გამოიწვია ნაცნობი ცოლ-ქმარი მეურნეობისა და გოგონების მოსავლელად. ისინი რამდენიმე თვე უვლიდნენ ბავშვებს, მაგრამ შემდეგ ქმარს სამუშაო შესთავაზეს სან-ფრანცისკოდან მოშორებით და ცოლ-ქმარი წავიდა. ლონდონი ისევ მარტო დარჩა თავისი გოგონებით და იძულებული გახდა ისინი ობოლთათვის განკუთვნილ პროტესტანტულ თავშესაფარში მოეთავსებინა. ეს დაწესებულება, სადაც გადასახადი იყო დაწესებული, ჰეიტ-სტრიტზე მდებარეობდა.

ჯონ ლონდონი ამ დროს ორმოც წელზე მეტი ხნისა იყო. ყველა, ვისაც ჯონი ახსოვს, ამბობს, რომ ის ფრიად სიმპათიური, რბილი ხასიათის მქონე, გულკეთილი და მიმზიდველი შესახედაობის ადამი-

ანი იყო. ჯერ კიდევ ცოლსა და შვილზე მგლოვიარობის დროს ერთმა მეგობარმა ურჩია სპირიტისტულ სეანსზე წასულიყო. „წადი, ჯონ, იქნებ შენებმა რაიმე შეგატყობინონ“. მაგრამ გარდაცვლილი ცოლისაგან ამბის გაგების ნაცვლად ლონდონმა ახალი ცოლი შეირთო.

ძნელია დანამდვილებით ითქვას, როდის შეხვდა ლონდონი ფლორას — მშობიარობამდე თუ მშობიარობის შემდეგ; მაგრამ ეჭვს გარეშეა — მან იცოდა, რომ ფლორა არ ყოფილა ჩანის კანონიერი ცოლი. ამის შესახებ თვით ფლორა აცხადებდა საჯაროდ, როდესაც იგი თავის გამოსვლებში ჩარტერ ოუკ ჰოლში თავს ესხმოდა ამ დროისათვის უკვე ქალაქიდან წასულ პროფესორს. ბევრი ვერ მიმხვდარიყო, რატომ შეირთო ლონდონმა ფლორა. მართალია, ჯონი განსაკუთრებული ჯანმრთელობით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ ქონებრივად სრულიად უზრუნველყოფილი და თანაც სასიამოვნო კაცი იყო. ნაცნობ ქალებს იგი მოსწონდათ, განსაკუთრებით კი ერთ ლამაზ მსახიობს, რომელთან ერთად შაბათობით თავისი გოგონების სანახავად დადიოდა ხოლმე ობლების თავშესაფარში.

ჯონ ლონდონი სან-ფრანცისკოში მარტოობას განიცდიდა. იგი ბუნებით მეოჯახე ადამიანი იყო, დარდობდა ცოლსა და დანგრეულ ოჯახურ მყუდროებაზე; სურდა მის გოგონებს ოჯახი ჰქონოდათ, დედა ჰყოლოდათ. გულღია ხასიათის მქონე ფლორასთან კი საუბარი საინტერესო იყო. თუ შემთხვევით ლონდონი გრიპით გახდებოდა ავად, ფლორა უვლიდა; როიალზე დაკვრით ართობდა და მარტოობით განცდილ მწუხარებას უქარწყლებდა. ჯონის ლოგინად ჩავარდნის ორი კვირის შემდეგ, შაბათს, მშობლების ნახვის დღეს, ფლორა მივიდა ობლების თავშესაფარში და გოგონებს განუცხადა, რომ მამა ავად არის და ამიერიდან იგი იქნებოდა მათი ახალი დედა. გოგონებმა არ დაუჯერეს. 1876 წლის 7 სექტემბერს ფლორა უელმანმა ქორწინების მოწმობაზე მოაწერა — „ფლორა ჩანი“ და რვა თვის ვაჟით მუშათა უბანში, მარკეტ-სტრიტის სამხრეთით მდებარე ჯონ ლონდონის ბინაში გადასახლდა. როდესაც ოჯახი მოეწყო, ჯონი თავშესაფარში გაემგზავრა და ქალიშვილები შინ მოიყვანა. უფროსი, ელიზა, რვა წლის ულამაზო და გულუბრყვილო გოგონა იყო, ამასთანავე მეტად მოწიფული და უკვე დამოუკიდებელი თავის

წლოვანებასთან შედარებით. მამამ ელიზა ოთახებში დაატარა და უთხრა, რომ ბავშვი მისი ძმაა. ელიზამ პირველი დანახვისთანავე შეამჩნია, რომ ბავშვის სახე ბუზებს დაეფარა. ფლორას კი აზრადაც არ მოსვლოდა, ქინქლების საწინააღმდეგო ბადის ნაჭერი ეყიდა და ბავშვისათვის ჩამოეფარებინა. ელიზამ ხმის ამოუღებლად გააკეთა ქაღალდის მარაო და ლოგინთან ჩამოჯდა ბუზების მოსაგერიებლად. ამ წამიდან წლოვანებასთან შეუფერებლად სერიოზული რვა წლის გოგონა მზრუნველობას არ აკლებდა მას იმ დღემდე, სანამ „მთვარის ხეობაზე" გადმომდგარ ბორცვზე მიწას არ მიაბარა ჯეკ ლონდონის ნეშტი.

ფლორას არ მოეწონა დედის მოვალეობა. მოუსვენარი, ტემპერამენტიანი, განწყობილების ადვილად ამყოლი, იგი მეტად გატაცებული იყო მუსიკით, ლექციებითა და სპირიტიზმით. ბავშვის მოსავლელად, რომელიც იმ ხანებში ავადმყოფობდა, მას არ ეცალა. ექიმის რჩევით, ოჯახი სასოფლო რაიონ ბერნალ-ჰაიტსში გადასახლდა. ფლორა ძიძის ძებნას შეუდგა. მოპირდაპირე სახლში ცხოვრობდა ზანგი მისის ჯენი პრენტისი, რომელსაც ისის იყო ბავშვი გარდაცვლოდა. იგი გახდა ჯეკის ძიძა, დედობილი და მეგობარი მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე. მაღალი, დიდმკერდიანი, მსხვილძვლებიანი ძიძა ჯენი ნახშირივით შავი იყო. გამრჯე და ღვთისმოსავი ქალი ამაყობდა თავისი სახლით, ოჯახით და მდგომარეობით საზოგადოებაში. დაისვამდა ხოლმე ჯეკს მუხლებზე, უმღეროდა ზანგურ იავნანას და ისე მგზნებარედ უყვარდა, რომ საკუთარი შვილიც რომ შერჩენოდა, უფრო მეტად ვერ შეიყვარებდა. პატარა ჯეკს ელიზასა და ძიძა ჯენიზე უკეთესი მომვლელი არც ესაჭიროებოდა.

ერთი წლის შემდეგ ოჯახი ისევ დაბრუნდა მუშათა ხალხმრავალ რაიონში და ნატომა-სტრიტ 920-ში დაბინავდა. იმ დროს ჯეკი უკვე სიარულს სწავლობდა და თან პატარა წითელ ეტლს დააგორებდა. ელიზა ეტლში თავის დედოფალას ჩასვამდა ხოლმე და ჯეკი აქეთ-იქით დაასეირნებდა მას ტროტუარზე. ერთხელ, სკოლიდან დაბრუნებულ ელიზას დედოფალას ნამსხვრევებიღა დახვდა; თურმე ფლორას იგი შვილისათვის მიუცია სათამაშოდ, მაგრამ აზრადაც არ მოსვლია მისი ეტლზე მიბმა.

ლონდონები ორ წელს ცხოვრობდნენ სამსართულიანი ხის სახ-

ლის გრძელ და ვიწრო ბინაში. ფლორამ მდგმური აიყვანა, მაგრამ რასაც ეს უკანასკნელი პანსიონში იხდიდა, ჩინელ ხელზე მოსამსახურის ხელფასს თუ ეყოფოდა. ჯონ ლონდონი დურგლობდა, კალატოზობდა კიდეც, მაგრამ სამუშაო ცოტა იყო: დასავლეთი ჯერ კიდევ 1876 წლის კრიზისის კლანჭებში იმყოფებოდა. ერთხანს ჯონი რომელიღაც დიდ მაღაზიაში საქონლის შესაფუთი ყუთების გამჭვანელად მუშაობდა, შემდეგ ზინგერის კომპანიის საკერავი მანქანების აგენტად მსახურობდა, სადაც თუმცა მცირე ხელფასს ღებულობდა, მაგრამ, რაც არ უნდა ყოფილიყო, მაინც ხელფასი ერქვა.

როცა სან-ფრანცისკოს ეპიდემია მოუდო, ელიზა და ჯეკი ავად გახდნენ დიფთერიით. სიკვდილის პირამდე მისული ორივე ბავშვი ერთ ლოგინში იწვა.

ცოტა ხნით გონს მოსულმა ელიზამ როგორღაც ყური მოჰკრა შეკითხვას, რომლითაც ფლორამ ექიმს მიმართა: „მითხარით, შეიძლება თუ არა ორივე ერთ კუბოში ჩაეასვენო, რომ იაფად გამოვიდე?“ სანამ ჯეკის დედა დასაფლავების ამბებზე ფიქრობდა, მამინაცვალი თავქუდმოგლეჯილი დაეძებდა ქალაქში გამოცდილ მომვლელ ქალსა და ექიმს. რათა ბავშვებისათვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა. გაიგო თუ არა, რომ ოკლენდში, ყურეს იქითა ნაპირზე, იმყოფებოდა ექიმი, რომელიც წარმატებით არჩენდა დიფთერიას, ჯონი პირველივე ბორნით გაემგზავრა მასთან და დაიყოლია სან-ფრანცისკოში წამოსვლაზე. ექიმმა მოწვა დიფთერიის მოთეთრო მუწუკები, ბავშვებს გოგირდის ხსნარი გადააყლაპა და... წყვილის დასაფლავება აღარ შემდგარა.

ჯეკისა და ელიზას გამოჯანმრთელების შემდეგ ოჯახი სან-ფრანცისკოს გარეუბანში, მზის შუქით მოფენილ მთვლემარე ოკლენდში გადასახლდა, რომელიც სწრაფად იზრდებოდა. მათ მესამე ქუჩაზე დაიქირავეს ხუთოთახიანი მოხერხებული სახლი. ფლორა უკმაყოფილო იყო ჯონის მცირე შემოსავლით, რომელიც სულ უფრო და უფრო შემთხვევით ხასიათს იღებდა, და სწრაფი გამდიდრების გეგმებით გატაცებული მთელი დღეები სახლში არ შემოდიოდა. იგი დიდ იმედებს ამყარებდა გეგმაზე, ლუდხანის მფლობელებისათვის ჯიღჯიღა ოქრო მიეყიდა დახლთან ჩამოკიდებული სურათების ჩარჩოების მოსავარაყებლად. თუ ლუდხანის მფლობელს ლაპარაკით

ვერ დაარწმუნებდა, რომ მოვარაყებული ჩარჩოები გაცილებით უკეთესია, თვითონვე ადიოდა დახლზე და ავარაყებდა მათ.

ცოტა მოგვიანებით ოკლენდში უნდა ჩამოსულიყო ძიძა ჯენი, რათა უფრო ახლოს ყოფილიყო თავის „თეთრ შვილიკოსთან“. ჯერ-ჯერობით ბავშვის მოვლა ელიზას კისერზე იყო, რომელსაც სკოლა-შიც კი ჯეკთან ერთად უნდა ევლო, ან თვითონაც შინ მჯდარიყო. მან მასწავლებელს აუხსნა, რატომ უხდებოდა ძამიკოს თან ტარება. მასწავლებელმა ბავშვს კათედრასთან ხის ყუთი დაუდგა, აძლევდა მას სურათებიან წიგნებს და ჯეკი, რომელიც ყუთთან ისე დასკუპულიყო, თითქოს მერხთან ზისო, გულმოდგინედ ათვალიერებდა მათ. ოთხი წლის ბიჭუნა სკოლის ეზოში ბავშვებთან თამაშით ერთობოდა. გოგონები ხშირად სთავაზობდნენ ელიზას ხან ვაშლს, ხან რაიმე სამკაულს, რათა მას ჯეკისთვის ნება დაერთო მათთან დამჯდარიყო.

ჯონ ლონდონმა გადაწყვიტა ახალი საქმე წამოეწყო და ამ მიზნით სასურსათო საქონლის დუქანი გახსნა ოკლენდის მუშათა უბანში, მეშვიდე და პერალტა-სტრიტის კუთხეში. ოჯახი მაღაზიის უკან მოთავსებულ ოთხ ოთახში დაბინავდა. პირველად სწორედ აქ იგრძნო ჯეკმა, რომ ოჯახში არ იყო ურთიერთგაგება. ავტობიოგრაფიის შავ ჩანაწერებში, რომელიც ჩაფიქრებული ჰქონდა სახელწოდებით „მეზღვაური უნაგირზე“, ჯეკ ლონდონი მოგვითხრობს, რომ ერთსელ, ექვსი წლის ბავშვს ყური მოუკრავს, როგორ ჩხუბობდნენ მშობლები მაღაზიის უკანა ოთახში. მამა დედას ჰკიცხავდა უკანონო ბავშვისთვის. „მაშინ ხომ მე მეტად ახალგაზრდა ვიყავი“, — თავს იმართლებდა ფლორა.

მაღაზიაში საქმე კარგად მიდიოდა. ჯონ ლონდონი ჩინებულად ერკვეოდა პროდუქტებში. შორეულ ფერმებს შემოივლიდა ხოლმე და საუკეთესო ხილსა და ბოსტნეულს შეისყიდიდა. ფლორა და ელიზა ვაჭრობდნენ, ჯეკი კი ექსკურსიებს აწყობდა მაღაზიაში, რომლის დროსაც არ ავიწყდებოდა ტკბილეულითა და ნიგვზით პირის ჩატკბარუნება. ძიძა ჯენიმ ოკლენდის მახლობლად, ალამედაში, პატარა სახლი მოძებნა და იქ დაბინავდა. ჯეკი მთელ დღეებს მასთან ატარებდა: თამაშობდა მის ბავშვებთან, მათთან ერთად სვამდა და ჭამდა-

კეთილი ქალი ისე უვლიდა და ზრუნავდა მასზე, როგორც საკუთარ შვილზე. ჯეკი მას მიაშურებდა ხოლმე ნუგეშისა და რჩევისათვის. სხვა ბავშვებთან ეზოში თამაშით რომ გულს მოიჯერებდა, ძიძის მუხლებზე მოიკალათებდა და ყურს უგდებდა ბავშვობიდანვე ნაცნობ იავნანასა და ზღაპრებს, რომლებიც ჯენ პრენტისს მემკვიდრეობით ერგო თავისი ერისაგან.

როგორც ჩანს, ოჯახისათვის ეს ბედნიერი ხანა იყო. მაგრამ ფლორა მაინც უკმაყოფილებას გამოთქვამდა: მისი აზრით, საქმე ნელა მიიწევდა წინ. მან ჯონს გააცნო ვინმე სტოუელი და ურჩია, იგი კომპანიონად აეყვანა, რათა საქმე გაეფართოებინათ და ჩქარა გამდიდრებულიყვნენ. სტოუელის ოჯახთან ერთად ლონდონებმა მეთექვსმეტესა და ვუდ-სტრიტის კუთხეში დაიქირავეს თანამედროვე სტილის დიდი სახლი. რაიონი საკმაოდ დიდი და რესპექტაბელური იყო. მაღაზიასთან ერთად საქმეც ისე გაფართოვდა, რომ ჯონ ლონდონს გამუდმებით ფერმებში უხდებოდა ყოფნა საქონლის შესასყიდად. მაღაზიასა და შემოსავალს სტოუელი განაგებდა. ლონდონმა უკვე აღარ იცოდა, რა ხდებოდა მაღაზიაში. ერთხელ ჯონს მაღაზია გამოცარიელებული დახვდა. სტოუელს პროდუქტების მარაგი და მაღაზიის მთელი მოწყობილობა გაეყიდა და ამოგებულ თანხიანად მიმალულიყო.

ხელმოცარული ჯონ ლონდონი დაუბრუნდა ერთადერთ, მისთვის ნამდვილად საყვარელ საქმეს — ფერმას. მან ალამედაში იჯარით აიღო ოცი აკრი ნაკვეთი დევენპორტის სახელწოდებით და დაიწყო სიმინდისა და ბოსტნეულის მოყვანა გასაყიდად.

ჯეკისათვის ეს მოწყენილობის პერიოდი იყო. ახლომახლო ბავშვები არ იყვნენ, ვერავისთან თამაშობდა და თავისანაბარა მიშვებული, უნებურად ჩუმი და გულჩათხრობილი გახდა.

ლონდონი სოფლის მეურნეობაში ჩახედული კაცი იყო. იგი საქმეს კარგადაც წარმართავდა, ფლორა რომ შეგუებოდა პრინციპს— „სიკეთისათვის სიკეთეს ნუ მოელი“. მაგრამ ეს ასე როდი მოხდა. ოჯახში ფლორას ჭკვიანი, მოხერხებული ქალის სახელი ჰქონდა მოპოვებული და ჯონმა მას მიანდო საქმეები. ლონდონს არასდროს არ ჰქონია წარმოდგენა, თუ რაში ეხარჯებოდა ფლორას ფული. როგორც ჩანს, იგი ანგარიშებს არ ანაღდებდა. ფლორა ღრმად იყო

დარწმუნებული, რომ იგი არაჩვეულებრივი ჭკუის პატრონია და გამდიდრების იმედით სულ ახალ-ახალ ავანტიურებს იწყებდა: ხან ლატარიის ბილეთებს შეისყიდდა, ხან კიდევ ბირჟის აქციებს. მართალია, საუკეთესო განზრახვები ჰქონდა, მაგრამ აბსოლუტურად უპასუხისმგებლო ადამიანი იყო საქმიან ურთიერთობაში. ამასთანავე, მეურნეობის თუნდაც სრულიად უმნიშვნელო საქმეებზეც კი რჩევა-დარიგებისათვის დაქინებით მიმართავდა გარდაცვლილთა სულებს. ქორწინების შემდეგ ლონდონი აღარ ესწრებოდა სპირიტისტულ სეანსებს. მაგრამ ფლორა მაინც იწვევდა შინ სპირიტისტებს. სეანსის დროს შუა ოთახში დადგამდნენ მაგიდას, ზედ დააწვენდნენ ექვსი წლის ჯეკს, რომლისაკენ რვა წყვილი ხელი იყო გამოწვდილი, და მაგიდა ბავშვთან ერთად იწყებდა მოძრაობასა და ტრიალს ოთახში.

ამ შემზარავმა თავყრილობებმა, ოკლენდში, მაღაზიის უკანა ოთახში ყურმოკვრით მოსმენილმა შემაშფოთებელმა ლაპარაკმა, მშობლებისაგან მემკვიდრეობით მიღებულმა სულიერმა უწონასწორობამ, თავშეუკავებლობამ და ფლორასაგან დაყოლილმა ნერვიული სისტემის მოშლილობამ — ყველაფერმა ხელი შეუწყო იმას, რომ ბავშვი დაუდეგარი, მშფოთვარე ხასიათის გამხდარიყო. ზოგჯერ მას ნერვების სერიოზული დაავადების საშიშროებაც მოელოდა.

ფლორა პატარა ტანის ქალი იყო — ქმარს მხრებამდე ვერ წვდებოდა, მაგრამ გრანდიოზული, ტანთან შეუფერებელი სცენების გამართვა შეეძლო. ამას გარდა, მას თურმე „გულიც" ჰქონდა. ზოგჯერ მაგიდასთან გულის შეტევა მოსდიოდა და ბავშვებს უხდებოდათ მისი ლოგინში ჩაწვენა და მოვლა. ამ დროს დიასახლისობა ელიზას ეკისრებოდა. ცამეტი წლის გოგონას უნდა მოემზადებინა საჭმელი, დაესუფთავებინა ბინა და მთელი ოჯახის სარეცხიც გაერეცხა.

ჯეკ ლონდონის ბავშვობის შესახებ მრავალი მოგონებაა გავრცელებული, თუმცა უმეტესი მათგანი საეჭვოა და მეტად ფრთხილ მოპყრობას საჭიროებს. პერიოდული ნევრასთენიის შეტევებს თუ არ ჩავთვლით, ჯეკი ნორმალური, ჯანმრთელი, უწყინარი და, როგორც იტყვიან, ოქრო ხასიათის ბავშვი იყო. მას ოდნავ ხუჭუჭი ქერა თმები ჰქონდა, ლურჯი თვალები, გადატკეცილი სუფთა კანი

და მგრძნობიარე ტუჩები, რომელნიც მცირეოდენი მღელვარებისაგანაც კი აუცახცახდებოდა ხოლმე. მან აქ, ალამედაში, დაიწყო სკოლაში სიარული. მისთვის უბედნიერესი იყო ის საათები, როდესაც ჯონ ლონდონთან ერთად დაეხეტებოდა მინდვრებში — იგი აღმერთებდა მამინაცვალს.

შაბათობით ოჯახი წარმოდგენებს ესწრებოდა ოკლენდის თეატრ ტივოლში, სადაც დამსწრენი მოქმედების მსვლელობის დროს სენდვიჩებსა და ლუდს შეექცეოდნენ. ჯონი მაგიდაზე დასვამდა ჯეკს, რათა ბავშვს უკეთ დაენახა, რა ხდებოდა სცენაზე. ბავშვიც იცინოდა და ტაშს უკრავდა. ერთხელ, როდესაც ელიზა სამზარეულოში იატაკს რეცხავდა, მისი მეთვალყურეობით მოთამაშე ჯეკმა თავი ჩამოკრა წყლის ბაკნის წვეტიან ნაპირს. ჭრილობამ შუბლიდან ცხვირამდე გადასერა სახე. ელიზას გაახსენდა, თუ როგორ მკურნალობდა მამა ცხენს გაჭრილ ფეხზე: ჯეკს ჭრილობაზე აბლაბუდა დაადო და ზედ კუპრი წაცხო. შაბათს ჯონმა ბავშვს თავი შეუხვია და, როგორც ყოველთვის, თეატრში წაიყვანა. მაგრამ მომდევნო შაბათს ფლორამ უკვე უარი განაცხადა თავშეხვეული ბავშვის თეატრში წაყვანაზე და ელიზას უბრძანა, ან ჭრილობიდან კუპრი ჩამოეფხიკა, ანდა ორივენი შინ დარჩენილიყვნენ. ბავშვებს ძალიან უნდოდათ წარმოდგენის ნახვა. ელიზამ ჯეკი სამზარეულოს შუაგულში დააყენა და კუპრი ქერქიანად ააძრო. ამის გამო ჯეკს მთელი სიცოცხლის მანძილზე შემორჩა ნაჭრილობევი შუბლზე.

ლონდონებმა ამ დროისათვის შეიძინეს კარგი სახლი, იყიდეს ძროხა. ბოსტნეული თავსაყრელი ჰქონდათ. ჯონი თავის მოსავალს ახარისხებდა: საუკეთესო ბაზარზე გაჰქონდა, მდარეს კი ღარიბ მეზობლებს უნაწილებდა. იმის გამო, რომ იგი მხოლოდ უმაღლესი ხარისხის საქონელს ჰყიდდა, დამამზადებელთა შორის ჩინებული მიმწოდებლის რეპუტაცია დაიმსახურა. ჯონს კვლავაც შეეძლო საკმაოდ დიდი შემოსავალი მიეღო დევენპორტიდან, მაგრამ არ გასულა დიდი ხანი, რომ მან მიატოვა ეს კარ-მიდამო და სან-მატეოში, სან-ფრანცისკოდან სამხრეთით, რამდენიმე მილის მანძილზე, ყურესთან მდებარე პატარა ქალაქში გადასახლდა. ოჯახის წევრთა ნაამბობის მიხედვით, ისინი თურმე იმიტომ გადასახლებულან, რომ ძველ ფერმაში ადგილი აღარ ჰყოფნიდათ ცხენების მოსაშენებლად.

საეჭვოა, ჯონს თვითონვე გადაეწყვიტა დევენპორტის მიტოვება. შესაძლებელია, იგი ფლორამ დაიყოლია თავისი მაცდუნებელი ლაპარაკით იმაზე, თუ რა მოკლე დროში შეიძლებოდა გამდიდრებულიყვნენ ცხენთსაშენი ქარხნის მოწყობით. ან იქნებ ფლორას დაავიწყდა ანგარიშების განაღდება და ოჯახი იძულებული გახდა დაეტოვებინა შეჩვეული ადგილი. ნისლში გახვეულ სანაპიროს გასწვრივ გადაჭიმულ სამოცდათხუთმეტი აკრის ფართობის ნაკვეთზე ჯონ ლონდონს მოჰყავდა კარტოფილი, მწყემსავდა ცხენებს და იჯარით აძლევდა საძოვრების ნაწილს. სკოლა, სადაც ჯეკი სწავლობდა, გორაკზე იდგა და ოთხი-ხუთი კლასის სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებს ერთდროულად ერთი და იგივე მასწავლებელი ასწავლიდა. თავისუფალ საათებში ჯეკი და ელიზა წყალში დატყაპუნობდნენ და საჭმელად ვარგის მოლუსკებს აგროვებდნენ. ირგვლივ უდაბური და უშნო მიდამო იყო, პირქუში სანაპირო ზღვას დაესერა. ჯეკმა აქ გაატარა თავისი ბავშვობის ყველაზე გაუხარელი წელი. მეგობრები არა ჰყავდა: ფერმიდან ფერმამდე, მეზობლებამდე დიდი მანძილი იყო და ისინიც ან იტალიელები იყვნენ ან ირლანდიური წარმოშობის ამერიკელები, რომელნიც ფლორას არ უყვარდა. ჯეკი ბედნიერ წუთებს მაშინ განიცდიდა, როცა ელიზას თანხლებით შორ მანძილზე მდებარე მეზობელ ფერმებში წავიდოდა ხოლმე იტალიური ქორწილის ან ცეკვების საყურებლად; და კიდევ მაშინ, როცა მაღალ ორთვალაზე შემომსხდარ ჯონსა და ჯეკს კარტოფილი მიჰქონდათ სან-ფრანცისკოს ბაზარზე.

ჯეკს ეს დრო დაამახსოვრდა, როგორც ყველაზე უფრო დუხჭირი თავის ცხოვრებაში. იგი იგონებდა, თუ როგორ ამოაცალა ერთხელ ძლიერ მოშიებულმა ერთ გოგონას საუზმიანი ჩანთიდან ხორცის თხელი ნაჭერი; ხოლო როცა გამაძღარი მოსწავლეები საუზმის ნარჩენებს ყრიდნენ, მას მხოლოდ თავმოყვარეობა არ აძლევდა ნებას ნასუფრალი აეკრიფა ჭუჭყიანი მიწიდან.

როცა ჯეკს რვა წელი შეუსრულდა, ჯონ ლონდონმა ოკლენდის ბახლობლად, თბილ ხეობაში — ლიეერმორში, განვადებით შეიძინა რანჩო, რომელიც ოთხმოცდაშვიდ აკრის ფართობს შეიცავდა. ოჯახი ფერმერის ძველ სახლში გადასახლდა. ჯონმა რანჩოს ირგვლივ ზეთისხილის ხეების მწკრივი შემოავლო, ჩაყარა ვენახი, გააშენა

ხეხილის ბაღი და ხელი მიჰყო მინდვრის დამუშავებას. კალიფორნიაში ჩამოსვლის შემდეგ პირველად შეიძინა საკუთარი მიწის ნაკვეთი და ფიქრობდა სამუდამოდ აქ დამკვიდრებულიყო. მეურნეობაში ჯეკსაც მოუძებნეს ადვილად შესასრულებელი ვალდებულებები: კვერცხებისა და შეშის შეგროვება და ჭიდან წყლის ამოღება. ხშირად კოფოზე მოიკალათებდა ხოლმე მამის გვერდით, როცა იგი ოკლენდის ბაზარზე მიემგზავრებოდა საქონლის გასაყიდად. ჯეკს მამინაცვლის სიყვარული არ განელებია და მამას ეძახდა მას შემდეგაც კი, რაც შეიტყო, რომ მათ შორის სისხლით ნათესაობა არ იყო. ჯეკმა ლონდონისაგან მემკვიდრეობით მიიღო სიყვარული სოფლის მეურნეობისადმი, მაგრამ ისეთი სოფლის მეურნეობისადმი, რომელიც მეცნიერთა მიერ შემუშავებულ ყველა წესს დაიცავდა. ვიდრე ჯეკი გაიგებდა, ვინ იყო მისი ნამდვილი მამა, ეგონა, რომ ეს მიდრეკილება შთამომავლობით ჰქონდა თანდაყოლილი.

აქვე, რანჩოში, გაიღვიძა მასში იმ დიდმა ლტოლვამ. რომელიც მართლაც შთამომავლობით მიიღო მამისაგან, პროფესორ ჩანისაგან, და რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა. ეს სანუყვარი თილისმა, ერთგული მრჩეველი, ცოდნის დაუშრეტელი წყარო — წიგნებისადმი სიყვარული იყო. მასწავლებელმა მას წასაკითხად მისცა ირვინგის „ალგამბრუ". მეზობლებში, შემთხვევით შეგროვილ წიგნებს შორის, წააწყდა პოლ დიუ შეიუს „მოგზაურობას აფრიკაში", გარფილდის ცხოვრების აღწერას და, რაც მთავარია, უიდას „სინიას" — ლირიულად დაწერილ ისტორიას იტალიელი გლეხი ქალიშვილისა და მოხეტიალე მხატვრის უკანონო შვილის ცხოვრების შესახებ — ისტორიას, რომელიც ძირითადად იმეორებდა ჯეკის წილხვედრილ ცხოვრებას. სიღარიბესა და გაჭირვებაში გამოწრთობილი წიგნის მთავარი გმირი იტალიის ერთ-ერთი გამოჩენილი კომპოზიტორი ხდება.

ჯეკი წერს, რომ „სინიამ" გაარღვია ის მთები, რომლებიც მას ჰორიზონტს უჩრდილავდა. ყველაფერი შესაძლებელი ხდებოდა ქვეყანაზე, მხოლოდ საჭირო იყო გამბედაობა. ელიზა იგონებს, როგორ უთხრა მაშინ ჯეკმა: „იცი, ლიზა, მე ორმოც წლამდე ცოლს არ შევირთავ. შევიძენ დიდ სახლს და ერთ ოთახს მხოლოდ წიგნებით ვავავსებ." ორმოცი წლისას მას მართლაც ჰქონდა დიდი სახლი და წიგნებით სავსე რამდენიმე ოთახი.

ჯეკს უყვარდა ჯონთან ერთად მინდვრებში სიარული და ელიზასთან ერთად წიგნის კითხვა, მაგრამ ლივერმორში გატარებული ორი წელი მისთვის მაინც უსიხარულო იყო. იგი არც ისეთი პატარა იყო, რომ ვერ ეგრძნო ოჯახში გამეფებული უკმაყოფილება. სახლში არ იყო სიმყუდროვე, ფლორა ყველას აწუხებდა გამუდმებული ალიაქოთით, აყალმაყალით, გულის შეტევებითა და ჟინიანობით. არ შეიძლება ითქვას, რომ იგი შვილს ცუდად ეპყრობოდა. ჯეკსაც უყვარდა დედა, როგორც ყველა ნორმალურ ბავშვს. უბრალოდ, ფლორას სინაზე არ ჰყოფნიდა ჯეკისათვის. გულთბილ სიტყვასა და ალერსს ჯეკი ელიზასთან პოულობდა. ამას ისიც დაერთო, რომ ფლორამ პანსიონზე აიყვანა შდგმური — სამოქალაქო ომის ვეტერანი, ვინმე შეპარდი, შუახნის ქვრივი მამაკაცი სამი ბავშვით. თექვსმეტი წლის ელიზას ისედაც ჰყოფნიდა სამუშაო: საჭმლის დამზადებისა და ოჯახის მოვლის გარდა, მას ჯეკისთვისაც უნდა მიეხედა. ახლა კიდევ ერთი საზრუნავი მიემატა: შეპარდის ბავშვების მოვლა, რომელთაგან უფროსი მხოლოდ ცამეტი წლისა იყო.

რანჩოში ცხოვრების ერთი წლის თავზე ჯონ ლონდონმა ოკლენდში ისევ მოიხვეჭა ბოსტნეულის საუკეთესო მიმწოდებლის სახელი. მის საქონელზე ყოველთვის დიდი მოთხოვნილება იყო. მომავალი ისე წარმტაცად ისახებოდა, რომ ჯეკს პირველად უყიდეს პერანგი მაღაზიაში. ბავშვი აღტაცებული იყო: აქამდე იგი უხეშ, შინ შეკერილ საცვლებს ატარებდა. და, აი, საქმის მიმდინარეობის მეტისმეტად ნელი ტემპით უკმაყოფილო ფლორამ ისევ ახალი კომბინაცია წამოიწყო. მან რამდენიმეჯერ გადაიყვანა ჯონი ყურის იქითა მხარეს, სან-ფრანცისკოში, გააცნო დიდი სასტუმროს მეპატრონე და მიაღწია მასთან ხელშეკრულების დადებას: ჯონს ევალებოდა ქათმების მომრავლება, ხოლო სასტუმროს პატრონს—მთელი საქონლის — ქათმებისა და კვერცხების — შესყიდვა.

ჯონ ლონდონს სრულიად არაფერი გაეგებოდა მეფრინველეობის. ჯან რანჩოს შემოსავლის გირაოს ქვეშ აიღო სესხი, გააშენა დიდი საქათმეები, ბრუდერები ორთქლის გათბობით. ერთხანს სასტუმროს მეპატრონე მართლაც ყიდულობდა მისგან მთელ საქონელს. შემდეგ ჯონს ერთბაშად სამი უბედურება დაატყდა თავს: ელიზა, რომელიც ქათმებს უვლიდა, შეპარდს გაჰყვა ცოლად და რანჩოდან წავიდა.

ქათმების ნაწილი ეპიდემიამ იმსხვერპლა, ხოლო დანარჩენები კვერცხებს აღარ სდებდნენ. ლონდონს მთელი ფული ზეთის ხილის ხეებში, ბაღებსა და საქათმეებში ჰქონდა დაბანდებული. როცა გირაოს ვადა გავიდა და ვალის გადახდის შესაძლებლობა არ აღმოაჩნდათ, ბანკმა უარი უთხრა ლონდონს გამოსყიდვის უფლებაზე. კვლავ უსახლკაროდ დარჩენილმა ლონდონებმა მთელი თავისი აღლადიდება კარტოფილის საზიდ ფურგონზე დატვირთეს და გზას გაუდგნენ.

ჯეკის ტვინი იმ მგრძნობიარე სეისმოგრაფს ჰგავდა, რომელიც სულ უმნიშვნელო რხევებსაც კი იჭერს, ხოლო „რხევები" საძებარი არ იყო: უახლოესი ცამეტი წლის მანძილზე ოჯახის ხვედრი გამუდმებული სიღარიბე და წარუმატებლობა იყო. ლონდონი ხშირად ამბობდა, რომ ბავშვობა არ უგრძვნია. სიღარიბემ, რომელიც ფეხდაფეხ სდევდა, მოუწამლა ყველაზე ადრინდელი მოგონებანი.

ჯონ ლონდონმა სამუდამოდ უარი თქვა მისთვის მეტად საყვარელ ფერმერულ ცხოვრებაზე და ოკლენდში დაბრუნდა. ათი წლის ჯეკი ვერ შეურიგდა ელიზასთან გაწმორებას და განუწყვეტლივ მასზე დარდობდა. ჯანმრთელი, მუქცისფერთვალება ჯეკი ლამაზი ბიჭი დადგა. ჩხუბი არ უყვარდა, მაგრამ გარფილდის სკოლაში გამეფებული იყო ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი კალიფორნიული ჩვეულება: იმიტომაც არიან ისინი ბიჭები, რომ ერთმანეთს ეჩხუბონ. მალე ჯეკმაც აითვისა მუშტი-კრივი. ყველაფერზე მეტად მოსწონდა იხვებზე ნადირობა ან თევზაობა მამასთან ერთად, ალამედის სანაპიროზე. ჯონ ლონდონმა ბიჭუნას პატარა თოფი და ანკესი აჩუქა. დაუსრულებელი უსიამოვნებანი, ოჯახის ნაჩქარევი ადგილმონაცვლეობა, შიშისა და ზიზღის გრძნობა სპირიტისტული სეანსებისადმი, ეჭვი, რომ მას ისეთი მამა არა ჰყავს, როგორიც სხვებს,— აი, ყველაფერი, რამაც ხელი შეუწყო ჯეკს მორცხვი, მორიდებული და გაუბედავი გამხდარიყო. ორივენი — შუახნის მამაკაციც და ბავშვიც—უძლურნი იყვნენ რაიმე შეეცვალათ შექმნილ მდგომარეობაში, ერთნაირად იტანჯებოდნენ ფლორასაგან და სულ უფრო და უფრო ეთვისებოდნენ ერთმანეთს.

როგორც კი თავისუფალ დროს იხელთებდნენ, ორივენი სახლიდან გაიპარებოდნენ ხოლმე და მთელ დღეებს ზღვაზე ატარებდნენ. უსაზღვრო იყო სიყვარული და ურთიერთობა მამინაცვალსა და გერს შორის, თუმცა ამ სიყვარულში სევდის ანარეკლიც იგრძნობოდა.

ოკლენდის აღმოსავლეთ ნაწილში მეჩვიდმეტე ქუჩაზე ლონდონებმა ერკერიანი პატარა სახლი დაიქირავეს. იქვე, გვერდით, „კალიფორნია კოტონ მილზის" საფეიქრო ფაბრიკა იყო, რომლის მუშა-ქალიშვილები შოტლანდიიდან ჰყავდათ ჩამოყვანილი. ქარხნის მმართველმა ლონდონს შესთავაზა მათთვის ოთახები მიექირავებინა პანსიონით. გულმოკლული, დათრგუნვილი და იმაში დარწმუნებული, რომ მიწას ვერასოდეს ვეღარ დაუბრუნდებოდა, ჯონი დაეთანხმა. ამას გარდა, ცოტაღა იყო ისეთი სამუშაო, რომლისთვისაც მას, ორმოცდათხუთმეტი წლის კაცს, შეეძლო ხელი მოეკიდა.

ფლორა გონებამახვილი ქალი იყო და ყოველთვის, როცა ახალ საქმეს წამოიწყებდნენ, შეეძლო იგი, პირველ ხანებში მაინც, სარგებლიანად წარემართა. ქმარს, რომელსაც პროდუქტების ავკარგიანობაც გაეგებოდა და ფასებშიც ერკვეოდა, სურსათ-საზოვაგით მომარაგება დაავალა, თვითონ კი სამზარეულოს განაგებდა. კმაყოფილი იყვნენ შოტლანდიელი ქალიშვილებიცა და ქარხნის მმართველიც, ხოლო ლონდონებს რამდენიმე თვეში იმდენი მოგება დარჩათ, რომ შეეძლოთ ნაწილ-ნაწილ გადახდის პირობით შეეძინათ ის სახლი, სადაც ცხოვრობდნენ, და პირველად შესატანი თანხაც გადაეხადათ. როცა ქარხანამ მუშა-ქალების ახალი ჯგუფი გამოიწერა, ჯონმა, ფლორას დაჟინებითი მოთხოვნით, მოსაზღვრე მიწის ნაკვეთიც შეიძინა და ააშენა კოტეჯი, სადაც ქალიშვილები მოთავსდნენ.

რამდენიმე ხანს საქმე კარგად მიდიოდა. მეორე სახლიდან კიდევ მეტი შემოსავალი მიიღეს. ამჯერად ფლორა საქმეს უფრო ფრთხილად ეკიდებოდა, ვიდრე ოდესმე. მაგრამ მალე თავი იჩინა მისთვის დამახასიათებელმა უწონასწორობამ. გული აიცრუა თავისი მოვალეობისადმი. მისი აზრით, მართალია, საქმე თანდათან უმჯობესდებოდა, მაგრამ არც ისე სწრაფი ტემპით. ამას გარდა, რა იყო საინტერესო პანსიონში? მისი ჭკუისა და ენერგიის პატრონისათვის განა ცოტაა ისეთი საქმეები, რომ მალე შესძლოს გამდიდრება? მან

ხელი მიჰყო ფულის ფლანგვას, მაგრამ რაში ხარჯავდა, არავინ იცოდა. როცა ორივე გირაოს მორიგი გადახდის ვადა დადგა, ფული უკვე აღარ აღმოაჩნდათ. ბანკმა ორივე სახლი ჩამოართვა. მათთან ერთად გაქრა ჯონ ლონდონის მუდმივი შემოსავლის უკანასკნელი წყაროც.

მშობლების საქმიანობის ამ კეთილდღეობის დროს, პატარა ჯეკმა აღმოაჩინა, რომ თურმე ქვეყანაზე არსებულა ოკლენდის საჯარო ბიბლიოთეკა. აი, უკვე ხუთი წელია, რაც მან კითხვა ისწავლა, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ხუთი ნამდვილი წიგნის წაკითხვა შესძლო. დანარჩენს შეადგენდა იაფფასიანი ბულვარული რომანები და ძველი გაზეთები — აბა, ფერმაში უკეთესი რა მოიძებნებოდა? ბავშვი ბუნდოვნად გრძნობდა, რომ არსებობს უფრო უკეთესი წიგნები, მაგრამ როგორ მოახერხოს მათი შოვნა? მას ვერც კი წარმოედგინა, რომ არსებობს საჯარო ბიბლიოთეკა — სახლი, სადაც ათასობით წიგნი ინახება, და, თუ სურვილი გაქვს, შეგიძლია უფასოდ წაიკითხო, რომელსაც მოისურვებ. ჯეკს მიაჩნდა, რომ მისი სულიერი დაბადება მაშინ მოხდა, როცა, გაოცებისაგან თვალებდაჭყეტილი, ქუდით ხელში, ბიბლიოთეკის ხის შენობის ღია კარებთან შეჩერდა. ნუთუ შეიძლება ქვეყანაზე ამდენი წიგნი იყოს? მომავალ მწერალს მძიმე განცდები ხვდა წილად. იგი იტანჯებოდა, ადგილს ვერ პოულობდა. მას მოელოდა დამარცხებები, იგი სძულდათ, გაურბოდნენ როგორც ჭირიანს, მაგრამ, ამ დღიდან მოყოლებული, მარტოობა აღარასოდეს უგრძვნია.

საჯარო ბიბლიოთეკაში იგი პირველად შეხვდა განათლებულ ადამიანს — ქალს, რომელიც წიგნებს შორის ისე გრძნობდა თავს, როგორც საკუთარ სახლში. კალიფორნიის შტატის პოეტი-ლაურეატი მისს აინა კულბრიტი ამჩნევდა, როგორ უბრწყინავდა ბავშვს თვალები, როცა იგი თაროებს შორის დაეხეტებოდა და სიყვარულით უფათურებდა ხელს წიგნის ყდებს. ვიდრე აინა მოასწრებდა ბავშვისათვის დახმარება გაეწია, ჯეკი უკვე წააწყდა ისეთ „მოზრდილ“ წიგნებს, როგორიცაა სმოლეტის „პერიგრინ პიკლის თავგადასავალი“ და უილკი კოლინზის „ახალი მაგდალინა“.

როგორც კი შეატყო, ბავშვს ყველაზე მეტად სათავგადასავლო წიგნები, აღმოჩენების, ხმელეთსა და ზღვაზე მოგზაურობის ამბები აინტერესებსო, მისს კულბრიტი სპეციალურად უნახავდა ხოლმე

ასეთი შინაარსის ლიტერატურას, რისთვისაც ჯეკმა ის სულითა და გულით შეიყვარა. რასაც კი აძლევდნენ, ჯეკი ცდილობდა ყველაფერი ერთ დღეში წაეკითხა, რათა მეორე დღეს, წიგნის დაბრუნებისას, კვლავ შეხვედროდა მას.

კითხვას მოწყურებული ბიჭუნა წიგნს წიგნზე ნთქავდა. კითხულობდა ლოგინში, საჭმლის ჭამის დროს, გზაში—სკოლისკენ ანდა შინისკენ მიმავალი, შესვენებისას, როცა სხვა მოწაფეები თამაშობდნენ. ნერვიულს, შთაბეჭდილებიანს, დიდი წარმოსახვის პატრონს, უბაროდა, რომ წიგნის გმირებთან ერთად შეეძლო ბედნიერების მწვერვალზეც ასულიყო და სასოწარკვეთის უფსკრულშიც ჩაძირულიყო. მოკლე დროში მან იმდენი წიგნი წაიკითხა, რომ ნერვები სულ მთლად მოეშალა და ყველას ერთსადაიმავეს უმეორებდა: „მომშორდი, ნუ მაღიზიანებ". ძველი დროის მოგზაურობათა და მეზღვაურთა შესახებ რომანტიული სათავგადასავლო მოთხრობების წაკითხვის შედეგად მან ნაჩქარევად დაასკვნა, რომ ოკლენდი ნამდვილად შესაფერისი ადგილი იყო სხვადასხვა ქვეყნებში გასამგზავრებლად. ოღონდ ერთი გაქცევა მოეხერხებინა, შემდეგ კი, გიყვარდეს, მრავალი საინტერესო თავგადასავალი მოელოდა.

ჯონ ლონდონი იმხანად უმუშევრად იყო. ამიტომ საჭირო შეიქნა უბრალო ბინის მოძებნა და ოჯახი ოცდამეორე ქუჩის გვერდით მდებარე სან-პაბლოს ქუჩაზე გადასახლდა. იქვე ახლო ცხოვრობდა ძიძა ჯენი და ჯეკი ხშირად მასთან გარბოდა. იცოდა, რომ იქ შეიძლებოდა ლაპარაკი თავის გასაჭირსა და სიხარულზე; იქ მას აჭმევდნენ, წყლის ბაკანთან კისერს დაბანდნენ, დავარცხნიდნენ და ბეჭებზე გამამხნევებელი ხელის შემოკვრით გამოისტუმრნენ.

მამინაცვალი ბევრს ეცადა, მაგრამ მუდმივი სამუშაო ვერ იშოვა და ოჯახის მარჩენალის მოვალეობა თერთმეტი წლის ჯეკს დაეკისრა. იგი უთენია დგებოდა, თავისი კუთვნილი გაზეთების შეკვრას მიაკითხავდა და მისამართების მიხედვით დაარიგებდა.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ კიდევ ერთხელ უხდებოდა ჩამოვლა.

თორმეტ დოლარს, ერთი თვის ხელფასს, იგი მთლიანად ფლორას აძლევდა. ამას გარდა, შაბათობით მუშაობდა ყინულით მოვაჭრესთან, რომელსაც თავისი საქონელი ფურგონით დაჰქონდა. კვირა-

საღამოს კი კეგელბანში კეგლებს აყენებდა. ახლა, როცა გაზეთის სხვა დამტარებლებს ეჯიბრებოდა და თან ბარებში ატეხილ აურზაურებსა და ყოველთვის გემებით სავსე ოკლენდის პორტის კოლორიტულ სცენებს ადევნებდა თვალყურს, იგი ნელ-ნელა გაეცნო ცხოვრების სიამაღლილს ყოველგვარი შეფერადების გარეშე. პორტში თავს იყრიდნენ ევროპაზე მონადირენი ყინულოვანი ოკეანიდან, უცნაურობათა მოტრფიალენი სამხრეთის ზღვებიდან, კონტრაბანდისტები თრიაქის ტვირთით, ჩინური იალქნიანი ნავები, აფრიანი გემები ჩრდილოეთის შტატებიდან, ბერძენ მეთევზეთა ფელუკები, ჭვარტლისაგან გაშავებული სატვირთო გემები, მცურავი სახლები, შალანდები, კარავები, მეთევზეთა ბადრაგები. ათი წლის ბავშვი მძიმე ოჯახური მდგომარეობიდან ხსნას სათავგადასავლო წიგნებში ეძებდა, ახლა კი, ცამეტი წლის ასაკში, იგი სახლიდან ზღვისკენ გაქცევას ლამობდა.

ჯონ ლონდონმა, როგორც იქნა, დევის უორფის საწყობში ღამის დარაჯის ადგილი იშოვნა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ ამიერიდან ჯეკს შეეძლებოდა თავისი ჯამაგირი ისე დაეხარჯა, როგორც მოესურვებოდა. მას უფლება არ ჰქონდა შეეძინა სათამაშოები, თუნდაც ბზრიალა, ბურთულები ან ჯიბის დანა. ამიტომაც ცვლიდა ზედმეტ გაზეთებს სიგარეტების პარკებში ჩაწყობილ სურათებზე, რომლებზედაც დოღის ცნობილი ცხენები, ლამაზი პარიზელი ქალები ან ბოქსის ჩემპიონები იყვნენ გამოსახულნი. მთელი კომპლექტის შეგროვების შემდეგ, ჯეკს შეეძლო სანაცვლოდ მიეღო ისეთი სასურველი საგანძურები, რომელთა შესაძენად მის ტოლ ბიჭებს მშობლები აძლევდნენ ფულს.

იგი ნამდვილი ვაჭარი გახდა, რაც მეტად გამოადგა შემდეგში, როცა მოთხრობებისათვის გამომცემელთაგან ფულის გამოძალვა უხდებოდა. ნივთის ღირებულების გამოცნობის ისეთი მახვილი ალღო შეუმუშავდა, რომ ნაცნობი ბიჭები მას იშველიებდნენ მეძველმანისათვის ძველმანების, ბოთლების, ტომრებისა და თუნუქის ყუთების მიყიდვის დროს და საკომისიოსაც კი აძლევდნენ.

აინა კულბრიტი მოგვითხრობს, თუ როგორ მიდიოდა იმ დროს ბიბლიოთეკაში, იღლიის ქვეშ გაზეთების შეკვრით, ეს ცუდად ჩაცმული, უგერგილო, უპატრონო ბიჭი და ითხოვდა „რაიმე საინ-

ტერესო წასაკითხის“ მიცემას. იგი მზად იყო მაცდური სახელწოდების ყოველ წიგნს დასწაფებოდა. თუ მისს კულბრიტს დავუჯერებთ, ჯეკი მეტად თავდაჯერებული იყო და ეჭვი არ ეპარებოდა წარმატების მიღწევაში. ამ პერიოდში მის ბუნებაში წარმოიშვა პირველი ძირითადი წინააღმდეგობა: სახლში გამეფებულმა ქაოსმა და იმის შეგრძნებამ, რომ იგი უკანონოდაა დაბადებული, ჯეკი მოკრძალებული და მორცხვი გახადა. მაგრამ, ამავე დროს, დიდი ჭკუა სიმტკიცესა და თავისი თავისადმი რწმენას უნერგავდა.

იმ მასალიდან, რაც კი მისი სკოლაში ყოფნის პერიოდზეა ცნობილი, ყურადღებას მხოლოდ ცოტა რამ თუ იმსახურებს. მისი თანაკლასელი ფრანკ ეზერტონი მოგვითხრობს: ერთხელ ჯეკმა ყური მოჰკრა, რომ ფარული საზოგადოების წევრი ჩინელები, გადამწყვეტი ბრძოლისათვის ძალ-ღონის მოსაკრებად, გარეული კატის ხორცით იკვებებიან და ამ ხორცისათვის დიდ თანხას იხდიანო. მეგობრებმა შურდულები გააკეთეს და პიედმონტის გორაკებზე გარეულ კატებზე დაიწყეს ნადირობა. ხელში ფული რომ ჩაუვარდა, ჯეკმა სკოლისათვის თავის დანებება და მწერლობის დაწყება მოინდომა.

ეზერტონის ეს მონაყოლი შემდეგდროინდელ მოვლენათა გავლენით გამოწვეულ მოგონებათა დამახასიათებელი მაგალითია. ჯეკ ლონდონის ხასიათს უფრო მეტად მეორე ეპიზოდი შეესაბამება: მეგობრებმა ნავსადგურში ნავი დაიქირავეს და ღალღებზე სანადიროდ გაემგზავრნენ. შემთხვევით წყალში ჩაუვარდათ ჯეკის 22-კალიბრიანი რევოლვერი. ფრენკმა ცურვა იცოდა და ჯეკმა მეგობარს მოსთხოვა, ამოეღო რევოლვერი ოცდაათი ფუტის სიღრმიდან. როდესაც ფრენკმა უარი განაცხადა, ბრაზმორეულმა ჯეკმა ნიჩბები წყალში გადაყარა და მეგობრები რამდენიმე საათი ზღვაში უმწეოდ დალაყლაყებდნენ.

ყოველ დილით სკოლაში მოწაფეები ერთად მღეროდნენ. მასწავლებელი ქალის შეკითხვაზე, თუ რატომ სდუმდა, ჯეკმა უპასუხა, შენ თვითონ არ იცი სიმღერა, ხმას ურევ და ეს მე მხოლოდ სმას მიფუჭებსო. მასწავლებელმა იგი დირექტორთან გაგზავნა, რომელმაც უკანვე გამოაბრუნა ასეთი ბარათით — შეიძლება მოწაფე ლონდონი განთავისუფლებული იქნას სიმღერისაგან, მაგრამ, სამაგი-

ეროდ, ყოველ დილით თხზულება უნდა წეროს იმ თხუთმეტი წუთის განმავლობაში, როცა სხვა მოწაფეები მღერიანო. შემდგომში ჯეკი ამ დასჯას მიაწერდა თავის უნარს, ყოველ დილით ათასი სიტყვა დაეწერა.

მთელი ცხოვრების მანძილზე, წიგნებთან ერთად, მისი გატაცების საგანი ზღვა იყო. თავისუფალ დროს ყოველთვის იახტ-კლუბში ატარებდა იმედით — იქნებ, შემთხვევით, რომელიმე იალქანჯომარდობის მოყვარულს დასჭირდეს მოხმარება, და ცოტაოდენი სახარჯო ფული ვიშოვოო. იახტის მფლობელებმა იგი შეიყვარეს გამბედაობისათვის: მას შეეძლო მძვინვარე ქარბუქიან ამინდში შემძვრალიყო იახტის ცხვირის ძელში და სრულებით არ მორიდებოდა თავითფეხებამდე გაწუწვას. მცირე გასამრჯელოში გემბანს არეცხვინებდნენ. სამაგიეროდ, როგორც იცოდნენ, ისე ასწავლიდნენ მომცრო გემის მართვას. მალე მას დამოუკიდებლად შეეძლო აფრის ჩამოწევა ძლიერი ქარის დროს.

ზოგჯერ ჯეკი თავს ნებას აძლევდა არ მიეცა ფლორასათვის ხუთი-ათი ცენტი. ასე შეაგროვა ცამეტი წლისამ ორი დოლარი. ამ ფულით ძველი ნავი შეიძინა, რომლითაც დელტის ყველა კლაკნილში დაცურავდა, ზოგჯერ კი ცოტა ხნით ყურეშიც ბედავდა გასვლას. მალე ამ ძველმანმა ჟონვა დაიწყო; თანაც ნავს გამოსაწევი კილი არ ჰქონდა, რის გამოც იგი ზოგჯერ წყლით იესებოდა, სხვა ნავებს ეჯახებოდა ან გადატრიალდებოდა ხოლმე. ამდაგვარი გასაჭირი და შეცდომები ჯეკისათვის კარგი სკოლა გამოდგა. იგი ნეტარებას განიცდიდა, როცა ტუჩებზე ზღვის მლაშე წყლის გემოს გრძნობდა და ხედავდა, როგორ მისრიალებდნენ ტალღები მისი ნავის ქვეშ. ნავში მარტოდმარტო მყოფი ჯეკი შემობრუნებისას განკარგულებას იძლეოდა: „მკვეთრად ქარისაკენ!“

ცამეტი წლისამ დაწყებითი სკოლა დაამთავრა. კლასში იგი ისტორიის მცოდნედ ითვლებოდა და უთუოდ ეს იყო მიზეზი, რომ გამოსაშვებ ცერემონიაზე სწორედ მას დაავალეს სიტყვით გამოსვლა, მაგრამ არა თუ სიტყვით ვერ გამოვიდა, ვარგისი ტანსაცმლის უქონლობის გამო, ზეიმზეც ვერ გამოცხადდა. საშუალო სკოლაში შესვლაზე, ფიქრიც ზედმეტი იყო. მამინაცვლის შემოსავალი სულ უფრო და უფრო შემთხვევითი ხდებოდა. დღისით ჯეკი წინანდებუ-

რად გაზეთებს დაატარებდა, საღამოობით კი ყიდდა მათ ოკლენდის ქუჩებში; ვიზელ-პარკში ბარების დალაგებასაც არ უკადრისობდა. კვირა დღეს იქ ჩატარებული პიკნიკების შემდეგ. ეს ღარიბულად ჩაცმული, მედგარი, ფიცხი, შთაბეჭდილებიანი, თეთრკბილება ბიჭუნა, რომელმაც გულღია ღიმილი იცოდა, ყოველგვარ სამუშაოზე თანხმდებოდა.

ბავშვი ფლორასაგან მალულად სავალდებულო საათებზე მეტს მუშაობდა ძთელი წლის განძავლობაში და თანდათანობით ექვსი ოქროლარი შეაგროვა, რათა ამ ფულით, თავისუფლების მოპოვების სურვილით გატაცებულს, ნახმარი კარჭაპი შეეძინა. კიდევ დოლარი და საოცდათუთმეტი ცენტი დასჭირდა „გეშის“ ღია, მხიარული ფერით შეღებვას. კიდევ ერთი თვის განმავლობაში ზედმეტ საათებში მუშაობით აღებული ორი დოლარით აფრა იყიდა. საქმის დასაბოლოოებლად — წყვილი ნიჩბის შესაძენად — კიდევ საჭირო იყო დოლარი და ორმოცი ცენტი და აი, მის წინ ფართოდ გადაიშალა ვეება მაცდუნებელი სამყარო. ჯეკი სულ უფრო შორს მიდიოდა სან-ფრანცისკოს ყურედან; ზღვის მიქცევის დროს კუნძულ გოუტ აილენდზე თევზაობდა და უკან საღამოს—ზღვის მოქცევის დროს ბრუნდებოდა, უკანასკნელი ბორნის კვალდაკვალ. ქარი თეთრი ქუდებით უმკობდა მძლავრ ტალღებს კენწეროებს, ჯეკს თავზე ავლებდა ტალღების შხეფებს და ნავსაც წყლით უვსებდა. ის კი მღეროდა მეზღვაურულ სიმღერებს: „იგი ქარმა წალეკა“ ან „ჯონ, ვისკი, ვისკი“. ხშირად ღია კარჭაპით გადაცურავდა ხოლმე ყურეს სამხრეთ-დასავლეთის ძლიერი ქარის დროს, მაგრამ სათევზაო სანდალის მატროსებს ეს არ სჯეროდათ — ზღაპარს ჩმახავს, ამის გაკეთება შეუძლებელიაო.

იგი მარტო მამაცი კი არა, თავზეხელაღებული გულადიც იყო. რაც უფრო ცუდი ამინდი იდგა, მით უფრო გაშმაგებით ებმოდა ხიფათში. მუდამ იმის განსჯაში იყო, ბოლოს და ბოლოს, ვინ არის იგი; თავი წარმოედგინა ვიკინგად, ძლევამოსილ ზღვაოსანთა შთამომავლად, ატლანტის ოკეანე ღია ნავით რომ გადაცურეს. „მე მებრძოლი ხალხის შვილი ვარ, — არწმუნებდა თავის თავს, — მე ანგლოსაქსი ვარ და არაფრისა მეშინია“. მას მართლაც არაფრის ეშინოდა და ზღვას ისე შეეთვისა, რომ ყურეს ვერაგ წყლებში ერთ-ერთ დახელოვნებულ მენავედ ითვლებოდა.

იმ წელს, გაზეთების გაყიდვისა და შემთხვევითი სამუშაოების შემდეგ, ჯეკი ყოველდღე ახერხებდა თავისი საყვარელი ნავისათვის ერთი ან ორი საათის დათმობას. მაგრამ მალე, როდესაც იგი ჯერ კიდევ თხუთმეტი წლისაც არ იყო, მამინაცვალი მატარებლის ქვეშ მოყვა და მძიმედ დაშავდა. ამ დროს ლონდონები სანაპიროსთან ახლოს. ძველ სახლში, ცხოვრობდნენ და მეტად დიდ სიღარიბესა და გაჭირვებას განიცდიდნენ. მახლობლად ბლომად იყო არსებობადასრულებული ან მარცხგანცდილი გემების ნამსხვრევებისაგან აშენებული ქოხმახები. ლონდონების ბინა მოუვლელი, დანაგვიანებული იყო. დაკონკილ ტანსაცმელში გამოხვეულ ჯეკს განუწყვეტლივ ტანჯავდა სულიერი და ფიზიკური შიმშილი. მან იშოვა მუდმივი სამუშაო კონსერვის ქარხანაში, რომელიც რკინიგზის ლიანდაგთან უპატრონოდ მიტოვებულ საჯინიბოში მოეთავსებინათ. საათში ოცდახუთ ცენტს აძლევდნენ და ყველაზე მოკლე სამუშაო დღე ათ საათს გრძელდებოდა, ზოგჯერ—ოც საათსაც. ისეც ხდებოდა, რომ რამდენიმე კვირის განმავლობაში, ზედიზედ ღამის თერთმეტ საათზე ადრე ვერ ამთავრებდა სამუშაოს და შემდეგ, ტრამვაის ფულის უქონლობის გამო, კიდევ გრძელი გზის გავლა უხდებოდა ფეხით სახლამდე. პირველის ნახევარზე დაძინებულს, ექვსის ნახევარზე ფლორა უკვე ეჭაჩებოდა და ცდილობდა მძინარე ბავშვისათვის საბანი გადაეძრო. ბიჭი თავგამოდებული ებღაუჭებოდა. მოკუნტული ჯეკი მაინც ახერხებდა საბნის ქვეშ მოკალათებას. მაშინ ფლორა ძალ-ღონეს იკრებდა და მთელ ლოგინს იატაკზე გადმოათრევდა. სიცივისაგან თავდაცვის მიზნით, ბავშვიც თან მოყვებოდა და კაცს ეგონებოდა, ეს-ეს არის უნდა წაიქცესო, მაგრამ მალე გონს მოეგებოდა, დროზე ასწრებდა წამოდგომას და ამასობაში ფხიზლდებოდა კიდეც.

ტანსაცმელს სიბნელეში იცვამდა, სიბნელეშივე ხელის ფათურით გადიოდა სამზარეულოში და ჭუჭყისაგან გაპოხილ ბაკანს მიაშურებდა. მიუხედავად ყოველგვარი ცდისა, ჭურჭლის რეცხვისაგან გარუხებული საპნის ნალევი არ ქაფდებოდა; ნესტიანი, ჭუჭყიანი და დაგლეჯილი პირსახოცის ბეწვები სახეზე რჩებოდა. მაგიდასთან ჩამომჯდარს მოუტანდნენ ჭურის ნატეხს და ერთ ფინჯან ბურდოს, რომელიც ყავას არაფრით არ მოგაგონებდათ. მოწმენდილი ღამე

იყო, ციოდა და ჯეკი სიცივისაგან იკრუნჩხებოდა. ვარსკვლავები ჯერ კიდევ კიაფობდნენ, ქალაქი სიბნელეს მოეცვა. ფაბრიკის ალაყაფის კარებთან ჯეკი ყოველთვის აღმოსავლეთს გახედავდა: სახურავებს შუა, ჰორიზონტზე გარიჟრაჟის მკრთალი შუქი გამოკრთოდა.

1891 წლის პირველ იანვარს ჯეკმა თავის უბის წიგნაკში ცალკე ადგილი გამოჰყო სახელწოდებით: „შემოსავალი და გასავალი". „შემოსავლის" სვეტში აღნიშნულია თანხა თხუთმეტი ცენტის ოდენობით. 1-დან 6 იანვრამდე ხუთი ცენტი დახარჯა ლიმონში, ათი — რძესა და პურში. ეს იყო ყველაფერი, რისი ყიდვაც შეეძლო ხელფასის მორიგ მიღებამდე. ამ ხელფასიდან ათნახევარი დოლარი გადაიხადა ბინის ქირაში, იყიდა ცხიმეული, ნავთი, ხამანწკები, ნიგოზი, კრემიანი ფუნთუშები და სხვა ხორაგი. ოცდახუთი ცენტი ფლორასათვის შეძენილ აბებში გადაიხადა. დანარჩენ ხარჯებს შორის ჩაწერილია: „ორმოცდაათი ცენტი მრეცხავს". ფლორა, ეტყობა, მაინცდამაინც თავს არ იწუხებდა, გაჭირვებით გაეტანა თავი.

კვირა კვირას მისდევდა, თვე თვეს, დრო ნელა, მომქანცველად გადიოდა, ჯეკი კი ისევ თავის ჭაპანს ეწეოდა. ბიბლიოთეკაში სიარულს უკვე ვეღარ ახერხებდა, ღამღამობით კითხვის დროს წიგნზე ეძინებოდა. დატანჯული თავის თავს ეკითხებოდა: ნუთუ სიცოცხლის აზრი მხოლოდ ის არის, რომ მუშა საქონელი გახდე? ლონიერსა და ჯმუხს შეეძლო შავ მუშასავით ემუშავა, მაგრამ მისი ინტელექტი, ტემპერამენტი, წარმოსახვა — ყველაფერი ეურჩებოდა მექანიკურ შრომას.

ახსენდებოდა ნავსადგურში უქმად მდგარი მისი კარჭაპი, იგი თანდათან ნიჟარით იფარებოდა; აგონდებოდა აბობოქრებული ყურე, შზის ამოსვლა და ჩასვლა, რომელთაც ახლა უკვე ვეღარ ხედავდა; იხსენებდა სიდამწვრის მსგავს შეგრძნებას, როცა მწვავე, მარილიანი წყალი ტანზე ეხებოდა გემბანიდან თავდაყირა გადახტომისას. ზღვაში გასვლა მისთვის ნიშნავდა უაზრო, ერთფეროვანი ნუშაობისაგან თავის დაღწევას, ამასთან ისე, რომ ოჯახსაც დახმარებოდა. ჯეკის სიტყვებით, ეს იყო მისი ბიჭობუკის გაფურჩქვნის დრო, როცა იგი შეიპყრო სახიფათო თავგადასავალთა წყურვილმა, თავისუფალ, მაგრამ ხიფათებით აღსავსე ცხოვრებაზე ოცნებამ.

კვირაობით, როცა კარჭაპით სასეირნოდ გამოსული, ნაპირის ახლომახლო დაეხეტებოდა, ხანდახან ხვდებოდა ხოლმე ხამანწკებზე შეკობრეებს. ესენი ქეიფის მოყვარული ავანტურისტები იყვნენ, რომელნიც იოლი გზით ფიქრობდნენ გამდიდრებას. ყურეს შესართავთან თავს ესხმოდნენ ხამანწკებზე მონადირეთა ნავებს და ნადავლს კარგ ფასებში ყიდდნენ ოკლენდის ნავსადგურში. ჯეკმა იცოდა, რომ ისინი ღამეში ოცდახუთ დოლარზე ნაკლებს არ „შოულობდნენ“. საკუთარი ნავით კი ყოველ „გასვლაზე“ ორასი დოლარის ამოღებაც შეიძლებოდა. გაიგო თუ არა, რომ ერთ-ერთი ძველი მეკობრე, მეტსახელად „ფრენჩ ფრენკი“ („ფრანგი“) თავის კარჭაპს — „რეზლ-დეზლს“ („ნადიმს“) ყიდდა, ჯეკმა მყისვე გადაწყვიტა: „ვიყიდი“. მას აღარ შეეძლო გულისყურით მოჰკიდებოდა დისციპლინის მკაცრ განსჯას, რომელიც მის მეგობრებს აიძულებდა დამქანცველი, მაგრამ პატიოსანი შრომით ეცხოვრათ.

მაგრამ ბიჭუნას, თითოეულ გროშს რომ დაჰკანკალებდა, სად უნდა ეშოვა სამი დოლარი? დახმარებისათვის მან ძიძა ჯენის მიაშურა, რომელიც მოწყალების დად მუშაობდა. შეუძლია ძიძას, ფული ასესხოს თავის თეთრ ვაჟიშვილს? რასაკვირველია. ყველაფერი, რაც კი ძიძას გააჩნია, ჯეკს ეკუთვნის.

უახლოეს კვირას ჯეკმა მოუსვა ნიჩბებს და თავისი წინადადებით გამოცხადდა „რეზლ-დეზლზე“, სადაც ამ დროს მხიარულ ღრეობას უმაღლესი წერტილისათვის მიეღწია. მეორე დღეს, დილაადრიან, იგი „ლასტ ჩანსის“ ლუდხანაში შეხვდა ფრენჩ ფრენკს, რათა მისთვის ძიძა ჯენის ოცდახუთდოლარიანი ბრჭყვიალა ოქროს ფულები ჩაეთვალა. ჯეკმა აღნიშნა „რეზლ-დეზლის“ შეძენა — ვისკის გემო მაშინ პირველად იგემა და ნავსადგურისაკენ გაიქცა. თვალის დახამხამებაში ამოიღო ღუზა, ქანდარა ისე მოაბრუნა, რომ აფრებს მკვეთრად აეღოთ ბეიდევინდი და სამმილიანი ჰალსით გაჰყვა ქარის მიმართულებას ყურეში გასასვლელად. მძაფრი ბრიზი მაჩვენებელი ნიშნებით შემოფარგლულ გზას აჭავლებდა, იჭრებოდა ფილტვებში, მიერეკებოდა სათევზაო სანდალებს, რომელნიც საყვირით ნიშანს იძლეოდნენ, ხიდები გახსენითო. ელვის სისწრაფით ჩაუქროლებდნენ ხოლმე წითელსაკვამლემილიანი ბუქსირები და მათ მიერ გაკვალული წყლის ნაკადი აკვანივით არწევდა „რეზლ-დეზლს“.

შაქრით დატვირთული ორჩხომელი ზღვას მიაპობდა. მზის სხივები წყალზე კიაფობდნენ, ირგვლივ ცხოვრება ჩქეფდა. აი, ის, რომანტიკისა და სახიფათო თავგადასავალთა მაძებარი, მშფოთვარე, ბობოქარი სული!

ხვალიდან იგი ხამანწკებზე მეკობრე იქნება, ზღვის ყაჩაღი, თავისუფალი, როგორც ქარი, თუკი ეს შესაძლებელია მისი წლოვანების ყმაწვილისათვის ამ მუხანათურ წყლებში.

დილიდანვე მოიმარაგებს წყალსა და სანოვაგეს, აღმართავს დიდ გროტ-აფრას და ზღვის უკანასკნელი მიქცევის დახმარებით გასწევს წინ ქარის შესაბვედრად. მოქცევის დაწყებისთანავე აფრებს ოდნავ დაუშვებს, მიმართულებას აიღებს ყურის ქვემოთ მდებარე კუნძულ ასპარაგუს აილენდისაკენ და იქ ღუზას გამლილ ზღვაში ჩაუშვებს. ბოლოს და ბოლოს აღსრულდება მისი ოცნება: ღამეს ზღვაზე გაათევს.

11

ჯეკმა განცვიფრებით აღმოაჩინა, რომ ფრენჩ ფრენკისაგან სამას დოლარად შეძენილ „რეზლ-დეზლთან“ ერთად მიიღო ხამანწკებზე მეკობრეთა „დედოფალიც“. მემი ფრენჩ ფრენკის მეგობარი იყო; მაგრამ აი, „რეზლ-დეზლზე“ გამოჩნდა ჯეკი შესყიდვის პირობების შესათანხმებლად და მას ერთი შეხედვით შეუყვარდა ეს ნათელი სახის, ლამაზი ყმაწვილი. ლამაზი, თავნება, უთვისტომო გოგონა მემი მხოლოდ თექვსმეტი წლისა იყო. ჯეკი მოგვითხრობს, რომ იგი კეთილი და გულისხმიერი ყოფილა. „რეზლ-დეზლის“ პატარა კაიუტაში მან ჯეკს ნამდვილი ოჯახი შეუქმნა — მის ცხოვრებაში პირველი მყუდრო საკუთარი კერა. არც ერთ სხვა გემზე ქალი არ იყო და მეკობრეთა შორის ყველაზე უმცროსს — ჯეკს არა მარტო მუშტით მოუხდა თავისი მეგობრის გემზე დატოვების უფლების მოპოვება, არამედ კინაღამ სიცოცხლესაც გამოასალმა იგი ეჭვიანმა ფრენჩ ფრენკმა.

იმ ღამეს ჯეკი პირველად გავიდა „საშოვარზე“. მის ეკიპაჟს შე-

ადგენდა ნავსადგურის ავანჩავანის მცოდნე, შავულვაშა მეზღვაური მეტსახელად „სპაიდერი“ („ობობა“), რომელიც წინათაც მუშაობდა „რეზლ-დეზლზე“ და დათანხმდა მის ახალ მფლობელთანაც დარჩენილიყო. შეგროვდნენ მეკობრენი: დიდი ჯორჯი, სატანა ნელსონ-უმცროსი, ხამანწკა, ვისკი ბობი, ნიკი ბერძენი და კიდევ თორმეტი კაცი, რომელთაგან ზოგიერთი პატიმრობაშიც იყო ნამყოფი. ამ ახოვან, ბრგე ვაჟკაცებს საზღვაო წაღები და სათევზაო ტანსაცმელი ეცვათ და ყოველი მათგანი რევოლვერით იყო შეიარაღებული. მოქმედების გეგმის დასახვის შემდეგ ფლოტილიამ სიბნელით ისარგებლა და გზას გაუდგა. ივნისის სავსე მთვარე ანათებდა. ლოვერ ბეიში, ყურეს ქვედა წელში, ნავები ჩაუშვეს და მანამდე მიცურავდნენ, ვიდრე ნავის ძირი რბილ შლამს არ შეეხო. ჯეკმა თავისი კარჭაპი ნაპირთან დიდ მეჩეჩზე შეაყენა და ხამანწკის შეგროვებას შეუდგა. ტომარა ისე სწრაფად გაავსო, რომ გემიდან მეორის მოტანა დასჭირდა. განთიადისას სწრაფად გამოსწია ოკლენდისაკენ. დილის ბაზრობისათვის უნდოდა მიესწრო, სადაც ლუდხანებისა და სასტუმროების მეპატრონეები ხამანწკებს ყიდულობდნენ. გაყიდვის შემდეგ გამოირკვა, რომ ჯეკმა ერთ ღამეში იმდენივე აიღო, რამდენსაც საშ თვეში იღებდა კონსერვის ქარხანაში. განა ეს მარჯვე თავგადასავალი არ არის და ისიც თხუთმეტი წლის ყმაწვილისათვის! ძიძა ჯენის ვალის ნაწილი დაუბრუნდა, დანარჩენი კი ფლორას მისცა სახარჯოდ.

რამდენიმე კვირაში ჯეკმა მტკიცედ მოიდგა ფეხი ყველაზე უფრო თავზეხელაღებულ მეკობრეებს შორის. ფრენჩ ფრენკმა სცადა თავისი სანდალით თავს დასხმოდა „რეზლ-დეზლს“, ჩაეძირა იგი და მემი წამოეყვანა, მაგრამ „რეზლ-დეზლის“ გემბანზე ფრენჩ ფრენკისაკენ მიმართული ფილთათოფით ხელში იდგა ჯეკი, რომელსაც ფეხი თან რუმპელზე დაედგა, რათა გეშს აღებული კურსიდან არ გადაეხვია. ორმოცდაათი წლის მეტოქეს ძალაუნებურად მოუხდა საჭის მობრუნება და საერთოდ ხელის აღება ასეთ განზრახვაზე. როგორ შეიძლება ჯეკს დაავიწყდეს ის დღე, როცა მან ამაყად მიაყენა „რეზლ-დეზლი“ ნაპირს ისე დიდი ტვირთით, როგორზე ოცნებაც კი თითქმის შეუძლებელია, თუ ეკიპაჟი მხოლოდ ერთი კაცისაგან შედგება! ან ის ღამე, როცა მეკობრეები ლოვერ ბეიში წავიდნენ და მხოლოდ ჯეკის გემმა მოასწრო უკვე გახთიადისას

ლუზაზე მდგარიყო ასპარაგუს აილენდში! ანდა ის ღირსსახსოვარი ხუთშაბათი, როცა ფლოტილია მთელი სისწრაფით მიჰქროდა, რათა ბაზრის გახსნისათვის მიესწრო! „რეზლ-დეზლს“ საქე არ ჰქონდა, მაგრამ პირველი მაინც ჯეკი მივიდა და „ნაღებიც მან მოხადა“: პარასკევს, დილაადრიან მთელი თავისი საქონელი უკონკურენტოდ გაყიდა.

როცა გემბანზე პოლისმენები გამოცხადდებოდნენ, ჯეკი მათ მაგიდასთან მიიპატიჟებდა ხოლმე, უმასპინძლდებოდა ბლომად წიწაკამოყრილი საუკეთესო ხამანწკებით და თანაც სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდა, ისე გამუდმებით უვსებდა ტოლჩებს ლუდით დიდი დოქიდან.

გულლია ჭაბუკს უყვარდა თავისი მეგობარი მეკობრეები და უნდოდა, რომ მათაც ჰყვარებოდათ იგი. როცა ისინი სვამდნენ, ჯეკიც სვამდა. როცა ილეშებოდნენ, ჯეკიც — ეს თხუთმეტი წლის ჭაბუკი — მხარში ედგა და ცდილობდა ამ გადაყოლილი ლოთებისათვის დაემტკიცებინა, რომ იგი უკვე ვაჟკაცი იყო. მას დაუნდობელი მოჩხუბრის, დახელოვნებული მეზღვაურის და თანაც მხიარული დროისმტარებლის სახელი გაუვარდა. ამიერიდან მეკობრეები მას თავისიანად თვლიდნენ და როგორც თანასწორს, ისე ეპყრობოდნენ.

შესვენებისას, როცა ფლოტილია ნავმისაბმელში იდგა, ჯეკი ოკლენდის ბიბლიოთეკაში დადიოდა, იქ დიდხანს საუბრობდა მისს კულბრიტთან და შემდეგ წიგნების მთელი შეკვრა მიჰქონდა სახლში — „რეზლ-დეზლზე“; ჩაიკეტებოდა თავის კაიუტაში, რათა მეგობრები ანაზდეულად თავზე არ წამოდგომოდნენ, და ტახტზე წამოწოლილი წიგნს წიგნზე ნთქავდა. თან პირს შაქარყინულითა და წეულა კანფეტებით იტკბარუნებდა.

მეკობრეთა ფლოტილიაში ხშირად სვამდნენ; იშვიათი არ იყო ჩხუბიც, რასაც თან მოჰყვებოდა ხოლმე დანის ტრიალი და სროლა; ხან სხვის გემს გაიტაცებდნენ, ხან იალქნიან გემს ცეცხლს წაუკიდებდნენ, ხან კიდევ კომპანიონები წაკინკლავდებოდნენ, ეკიპაჟის წევრებს შორის დაიწყებოდა ჩხუბი, რაც დანის დაკვრითა და სიკვდილითაც მთავრდებოდა. ჯეკისათვის ეს იყო ნამდვილი ცხოვრება, ყოველგვარი შელამაზების გარეშე, თავისუფალი და ველური; ამაოდ კი არ კითხულობდა იგი მოთხრობებს ზღვაზე მოხეტიალეებსა და ყაჩაღებზე, გამარჯვებულთათვის გასაძარცვავად და დასანგრევად

გადაცემულ ქალაქებზე, სიახლისმღვრელ შეტაკებებზე. სწორედ აქ, ოკლენდის დელტის ქვიშის კარიერებთან, სადაც ხამანწკებზე მეკობრენი ერთმანეთს ანგარიშს უსწორებდნენ, სადაც დანები ელვარებდნენ და მოწინააღმდეგეს თვალებში ქვიშას აყრიდნენ, იწყებოდა პირდაპირი გზა საგმირო საქმეებისაკენ, რომელიც ისე თვალუწვდენელი იყო, როგორც თვით სამყარო, სადაც იბრძვიან სიყვარულისათვის და მაღალი, კეთილშობილი მიზნებისათვის.

ჯეკი დიდხანს დაცურავდა თავისი „რეზლ-დეზლით", ძიძა ჯენის ვალს უხდიდა და ოჯახს ინახავდა, მონაწილეობდა მრავალ სახიფათო ავანტიურაში და შეხმატკბილებულად ცხოვრობდა მემისთან თავისი კარჭაპის კაიუტაში. რამდენიმე ხნის შემდეგ დაუმეკობრდა თავზეხელაღებულ ოცი წლის მეკობრეს, მეტსახელად სატანა ნელსონ-უმცროსს. ჯეკი აღფრთოვანებით შესცქეროდა ლურჯთვალება, ქერათმიან, ხმელ-ხმელ, ჰერკულესივით მძლავრ უფროს ამხანაგს. იგი ნამდვილი ვიკინგი იყო. ერთხელ სიმთვრალეში ატეხილი მუშტი-კრივის დროს, რომელშიც მეკობრეთა მთელი ფლოტილია იღებდა მონაწილეობას, სატანა ნელსონს ხელი ტყვიით გაუხვრიტეს, ხოლო მისი გემი „რეინდირი" („ჩრდილოეთის ირემი") შლამზე დაჯდა და თანაც ყონვა დაიწყო. ჯეკი წაეჩხუბა თავის „ეკიპაჟს", ე. ი. სპაიდერს, რომელმაც ცეცხლი წაუკიდა „რეზლ-დეზლის" გროტ-აფრას და მიიმალა. მაშინვე გემბანზე ამოცვივდა მეკობრეთა გროვა სხვა გადამტერებული ეკიპაჟიდან, „რეზლ-დეზლს" ქ

გაუხვრიტეს, ცეცხლი წაუკიდეს და ჩაძირეს. ამის შემდეგ ჯეკმა და სატანა ნელსონმა ერთად შეაკეთეს „რეინდირი", პატარა სამიკიტნოს, „ლასტ ჩანსის" მეპატრონის — ჯონი ხეინოულდისაგან ისესხეს ფული, იყიდეს სანოვაგე, კასრებში სუფთა წყალი მოიმარაგეს, ასწიეს აფრა და „რეინდირი" ხამანწკების ხაფანგებისაკენ გაემართა.

ამქვეყნად არაფერი ისე დიდ სიხარულს არ ჰგვრიდა სატანა ნელსონს, როგორც თავისი გემის ბეწვის ხიდზე ტარება. მას სხვა უცნაურობაც ახასიათებდა: მაგალითად, როგორი აღელვებულიც არ უნდა ყოფილიყო ზღვა, იგი აფრას არ ჩამოსწევდა. რამდენჯერ სასწაულებრივ გადარჩენილან უეჭველი სიკვდილისაგან. აზრადაც არავის მოუვიდოდა ისეთ საოცრებათა წამოწყება, როგორსაც სატანა

ნელსონი ბედავდა. ჯეკი ცდილობდა არაფერში ჩამორჩენოდა მას, უფრო მეტიც, ისწრაფვოდა სიმამაცეში გადაეჭარბებინა კიდეც თავისი კაპიტნისათვის. ნელსონის მსგავსად, განა ისიც უშიშარი ვიკინგი არ იყო?

ისინი დაძრწოდნენ ყველა სანაოსნო უბესა და სრუტეში, აწყობდნენ მეკობრულ თავდასხმებს. ასეულ მილზე აყვებოდნენ ხოლმე ყურეს შენაკად მდინარეებს და ერთ ღამეში იმდენ ნადავლს აგროვებდნენ, რომლის ფასი ასოთხმოც დოლარზე ნაკლებს არ შეადგენდა. ამის მიუხედავად, არასოდეს ფული არ ჰქონდათ: საკმარისი იყო ნაპირზე გადმოსულიყვნენ, რომ ეს გადარეული ნელსონი იწყებდა თავაშვებულ ლოთობას, ეძებდა მძაფრ შეგრძნებებს და ისევე ტკბებოდა, როგორც ზღვაზე სიკვდილთან ანდა კატორღასთან დამალობანას თამაშით. ჯეკს მიაჩნდა, რომ მეგობარს არც ხმელეთზე უნდა ჩამორჩენოდა: თუ ის ერთ ჭიქა ვისკის დალევდა, ეს—ორს, თუმცა უნდა ითქვას, რომ დათრობის სურვილი მას არასოდეს ჰქონია.

მალე ჯეკიც შეეჩვია და უკვე ადვილად გადაკრავდა ხოლმე საზიზღარ, გაუზავებელ ვისკის. მას შეუყვარდა სიმთვრალის შეგრძნება, ველური სიცილი და სიმღერები, თავშეუკავებელი ჩხუბი, შემთხვევითი მეგობრები. მის აზროვნებაში წარმოსახული რაღაც უცნაური ფანტაზიები აიძულებდნენ, როგორც მას ეგონა, განსაკუთრებული მაღალფარდოვანი ენით ელაპარაკა. როგორც კი ეს ფანტაზიები გაუქრებოდა, ისევ დათვრებოდა. იგი მუდამ ყოველგვარი უკიდურესობის მომხრე იყო და საკუთარ თავში დაურწმუნებლობა აიძულებდა დაემტკიცებინა თავისი თავისა და სხვებისათვის, რომ იგი სხვაზე უარესი კი არა, უკეთესიცაა, რომ მისთვის შეუძლებელი არაფერია. მეკობრეთა მეფე ლოთების მეფეც უნდა გახდეს.

ოჯახი სილარიბეს განიცდიდა, მაგრამ ჯეკი მასზე აღარ ზრუნავდა და სამიკიტნოში ანიავებდა ფულს, რომელიც ასე აუცილებელი იყო საჭმელ-სასმელისათვის და ბინის ქირის გადასახდელად. ბევრი რამის მომსწრე, სმის მოყვარული „მოხუცები“ სანაპიროდან, გულისწყრომას გამოთქვამდნენ იმის გამო, თუ რა გაუგონრად სწრაფად ლოთდებოდა ეს თხუთმეტი წლის მეზღვაური, რომელიც დიდი ხანი არაა, რაც მათი დამხმარე მუშა იყო. ისინი ჯეკს, დიდიდიდი, ერთი წლის სიცოცხლეს უწინასწარმეტყველებდნენ, მეტს არა.

ერთხელ, ღამით, უფულოდ დარჩენილი, წყურვილით დატანჯული ჯეკი და სატანა ნელსონი ოვერლენდ ჰაუსის ლუდხანაში ისხდნენ იმ იმედით, რომ ვინმე თითო ჭიქას დაალევინებდა. მოულოდნელად ჯო გუსი შემოიჭრა ახალი ამბით: ჰეივარდში — პოლიტიკურ მიტინგზე, შეიძლება უსასყიდლოდ დალიოთ იმდენი, რამდენიც სულსა და გულს მოესურვებაო. მხოლოდ საჭიროა ჩაიცვან წითელი ხალათი, დაიხურონ მეხანძრის ჩაჩქანი და ჩირაღდნით ხელში მონაწილეობა მიიღონ პარადში. მეტი არაფერი! პარადის შემდეგ გაიხსნა რესტორნები და ძმაბიჭები ოკლენდის სანაპიროდან ერთი რესტორნიდან მეორეში გადადიოდნენ, მჭიდროდ ეკვროდნენ დახლს, რომელზედაც ვისკის გუბე იდგა. მაგრამ ჯეკმა და მისმა მეგობრებმა ეს ტემპიც არ იკმარეს: მებუფეტე განზე მიაყენეს და თვითონ დაიწყეს თაროებიდან ბოთლების ჩამოლაგება. შემდეგ მთელი ეს ბრბო ქუჩას მოედო, ტროტუარის ცემენტის ბორდურის ნაპირებზე თავებს ამტვრევდნენ ბოთლებს და ისე სვამდნენ.

ჯო გუსსა და სატანა ნელსონს ცხოვრებამ ასწავლა, რა ფრთხილად უნდა ეხმარათ გაუზავებელი ვისკი, ჯეკს კი — ვერა. რაკი ვისკი უფასოდაა, მაშასადამე, შეიძლება იმდენი დალიო, რამდენიც მოგესურვება. ჯეკმა იმ ღამეს ორ კვარტზე მეტი დალია. ხოლო როცა ოკლენდში დაბრუნების დრო დადგა, იგრძნო, რომ სუნთქვა ეკვროდა, მთელი გულ-მუცელი ეწვოდა. მატარებელში ჩირაღდნით ფანჯრის მინა ჩაამტვრია, რადგან ჰაერი აღარ ეყო. ეს გახდა მთვრალთა მუშტი-კრივის დაწყების ნიშანი. ჯეკს ისე სცემეს, რომ გრძნობა დაკარგა. სატანა ნელსონმა იგი სანაპიროს მახლობლად, ღამის სათევში მიათრია, სადაც მხოლოდ ჩვიდმეტი საათის შემდეგ გამოფხიზლდა. იგი ისე ახლოს იყო სიკვდილთან, რომ კიდევ ერთი ნაბიჯიც და აღსრულდებოდა სანაპიროს ძველი თაობის წარმომადგენელთა წინასწარმეტყველება: ეს ყმაწვილი წელიწადსაც ვერ გაატანსო.

ჯეკი რომ ისეთი ყოფილიყო, როგორიც დანარჩენი მეკობრეები, იგი გააგრძელებდა „საშოვარზე" სიარულს და სმას, ვიდრე ტყვია სიცოცხლეს არ გამოასალმებდა და ბენიციის სასამართლოს საცხედრის სკამზე არ გააჭიმვინებდა ფეხებს, როგორც ეს სატანა ნელსონს მოუვიდა. შეიძლება ზღვაში დამხრჩვალიყო ან ზურგში ჩაცე-

შული დანის მსხვერპლი გამხდარიყო, როგორც მისი მეგობრები „ხამანწკა“ და ვისკი ბობი; ანდა სპაიდერისა და ნიკი ბერძენის მსგავსად მოღვაწეობა სან-კვენტინის საპყრობილეში დაემთავრებინა, სადაც თავს ამოყოფდნენ ხოლმე უფრო დიდი საქმეებისათვის, ვიდრე ხამანწკის „საშოვარი“ იყო.

მაგრამ რაღაც შინაგანი ძალა ეწინააღმდეგებოდა, რომ ასე უაზროდ არ გაეტარებინა მთელი ცხოვრება დღენიადაგ სმასა და ქეიფში. რაღაც იზიდავდა გამოუკვლეველი ქვეყნებისაკენ, უფრო შინაარსიანი ცხოვრებისაკენ. სატანა ნელსონთან გატარებული ყოველი ღრეობის შემდეგ იგი თავდავიწყებას ეძებდა „რეინდირის“ კაიუტაში; ჩაიკეტავდა კარებს და მიუჯდებოდა თავის საყვარელ წიგნებს. გონებას უმღვრევდა ვისკი, მაგრამ ამშვიდებდა წიგნები, ახალი ტომები: „სინათლე ჩაქრა“ კიპლინგის, „ტაიპი“ მელვილის, „ჟერმინალი“ ზოლასი, „მოხალისე-სოციალისტი“ შოუსი. აინა კულბრიტმა მისთვის გადაინახა ნიუ-იორკიდან მიღებული ეს ახალთახალი წიგნები, რომელთაც ჯერ კიდევ სტამბის ტენიანი საღებავის სუნი ასდიოდა.

ნელ-ნელა, ფრთხილად ცდილობდა ჯეკი შეეცვალა ცხოვრების გეზი და ახალ გზაზე გასულიყო, როცა ასეთი რამ შეემთხვა: დიდი ნადავლის შემდეგ, სამი კვირის განმავლობაში განუწყვეტლივ ლოთობდა სატანა ნელსონთან ერთად; ჯეკის სიტყვებით, რომ ვთქვათ, ხანდახან თუ გამოფხიზლდებოდნენ ხოლმე და ისიც ნაწილობრივ. ერთხელ, ღამის პირველ საათზე, ჯეკი, ისე უგრძნობლად მთვრალი, რომ წაუბორძიკებლად ერთ ნაბიჯსაც ვერ ადგამდა, ცდილობდა ბენიციის ნავსადგურთან მდგარ თავისი კარჭაპის გემბანზე ასვლას, მაგრამ ამაოდ: ფეხი დაუცდა და წყალში გადავარდა. იგი კარკინესის სრუტის აქაფებულმა მორევმა ჩაითრია და დინებამ გაიტაცა. ჯეკი შემდეგ იგონებდა, როგორ გადაწყვიტა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა, რომ დახრჩობა იქნებოდა მისი ხანმოკლე, მაგრამ ბობოქარი კარიერის ბრწყინვალე დასასრული. წყალქვეშ დამკვიდრება თავისთავად ნეტარებაა, ამას გარდა, გმირები ხომ სწორედ ასე კვდებიან!

როცა დინებამ სალანოს ხალხმრავალ, გაკაშკაშებულ სანაპიროზე ჩაატარა, მოახერხა უჩუმრად ემოძრავა, რათა ვერ შეემჩნიათ;

საშიშროებამ განვლო და მან უკვე პანაშვიდიც შესთხოვა შორეულ ვარსკვლავებს. შეჰხაროდა ყველასა და ყველაფრისადმი გამოთხოვების ედეას. ზურგზე იწვა ვარსკვლავების ხხივებით განათებული და შესცქეროდა, როგორ მიცურავდნენ ნაცნობი სანაპიროს წითელი, ცწვანე, ყვითელი ლამპიონები და თითოეულ მათგანს სევდიანად ეგზავნიდა სენტიმენტალურ „მომიტევეს“. ამჟსობაში ჯეკი ცივმა წყალმა გამოაფხიზლა და მან დაასკვნა, რომ სიკვდილი მაინც არ ღირდა. ტანისამოსი გაიძრო და დინების გარდიგარდმო ხელების მძლავრი მოსმით ნაპირისაკენ იბრუნა პირი. განთიადისას კუნძულ მერ აილენდის წყლებში აღმოჩნდა, სადაც ერთმანეთს გაშმაგებით ეჯახებოდა კარკინესისა და ვალიეხოს სრუტეების მძლავრი დინებები. ძალ-ღონე გამოეცალა და სიცივისაგან გაითოშა. ქარი ნაპირიდან ჰავლს ურეკებოდა, პირი წყლით ეესებოდა. კიდევ რამდენიმე წამი და შესანიშნავი რომანები: „წინაპართა ძახილი“, „ზღვის მგელი“, „რკინის ქუსლი“, „მარტინ იდენი“, „მთვარის ხეობა“, „დრო-არ-იცდის“, „ვარსკვლავთა შორის მოხეტიალე“ და მათთან ერთად ასი საუკეთესო მოთხრობა ჩაიძირებოდა სან-პაბლოს ყურეს ტალღებში. საბედნიეროდ, იგი შენიშნეს ბერძენ მეთევზეთა ნავიდან, რომელიც ვალიეხოს წყლებში თევზაობის შემდეგ უკან ბრუნდებოდა, და გრძნობადაკარგული გემბანზე აათრიეს. თავაშვებულ ლოთობას დიდი ხნით მოეღო ბოლო.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ჯეკი და სატანა ნელსონი ხამანწკით დატვირთულნი ბენიციის ნავსადგურისაკენ მიდიოდნენ, ისინი საბაჟოს მოხელემ შეაჩერა და ურჩია, თავი დაენებებინათ ხამანწკებზე მეკობრეობის საეჭვო საქმიანობისათვის და სათევზაო პატრულის სამსახურის აგენტებად დაეწყოთ მუშაობა. სან-ფრანცისკოს ყურე სავსე იყო ორაგულის ჭერაში დახელოვნებული ბერძენი ბრაკონიერებითა და კრევეტებზე მონადირე ჩინელებით, რომელნიც თევზჭერის სახელმწიფო კანონებს არღვევდნენ. დანაშაულზე წასწრებისას დაპატიმრების ნაცვლად აჯარიმებდნენ. სამუშაოს პირობები ასეთი იყო: ჯეკი მიიღებდა დამრღვევებისაგან ჩამორთმეული თანხის ნახევარს. „პოლიციელები და ქურდების“ თამაშობანას ერთი მხარე ჯეკმა ჩინებულად იცოდა; იგი სიხარულით დაეთანხმა და დანიშნეს პატრულის სამსახურის აგენტად.

მისი პირველი დავალება ასეთი იყო: ალყა შემოერტყა კრევეტებზე მონადირე ჩინელებისათვის, რომელნიც ისეთ წმინდა ბადეებს ხმარობდნენ, საიდანაც ლიფსიტაც ვერ დაიძვრენდა თავს. ჩამობნელებისთანავე ჯეკი, სატანა ნელსონი და კიდევ ოთხი აგენტი „რეინდირითა“ და სათევზაო შალანდით ზღვაში გავიდნენ. ღუზა ჩაუშვეს პინოლის კონცხთან ციცაბო კლდის ძირში და გარიჟრაჟზე, დილის ნიავთან ერთად, ირიბად გადასერეს ყურე. წინ, სამი მილის მანძილზე, ნახევარმთვარისებურად, კრევეტებზე მონადირეთა ფლოტილია განლაგებულიყო. თითოეული ჯონკა მაგრად იყო დამაგრებული კრევეტების დასაჭერად ჩადგმული ბადის ლივლივებზე. ჩინელებს ტრიუმებში ეძინათ.

ჯეკს ნაბრძანები ჰქონდა, ერთ ჯონკაზე სატანა ნელსონი გადაესვა, მეორეზე — პატრული ჯორჯი, თვითონ კი მესამეზე დარჩენილიყო. მიუახლოვდა თუ არა ქარის მიმართულების მხრიდან პირველ ჯონკას, გაშალა გროტ-აფრა და ისეთი ნელი სვლით წავიდა კიჩოს გასწვრივ, რომ სატანა ნელსონი სრულიად ადვილად გადავიდა ჯონკას გემბანზე. მაგრამ მოულოდნელად ჩაბერეს ზღვის ნიჟარაში და ატყდა განგაში; გემბანზე ამოცვივდნენ ნახევრად შიშველი ჩინელები. ჯეკმა „რეინდირი“ მეორე ჯონკას მიაყენა და ჯორჯს საშუალება მისცა მის გემბანზე გადამხტარიყო. შემდეგ აუშვა გროტ-შტოკი და მთელი სისწრაფით, ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით, პირდაპირ წინ, ქარის მიმართულებით მდგარ ჯონკას, მიაშურა. გემები ტკაცანით დაეჯახნენ ერთმანეთს. ჯონკას მარჯვენა ფერდის ნიჩბები დაილეწა. აბრეშუმის ყვითელი ნაჭრით თავწაკრულ, ავბედითი შესახედაობის ჩოფურა ჩინელს გააფთრებისაგან გულშემზარავი ყვირილი აღმოხდა. წვეტიანი ჭოკით მიაწვა „რეინდირის“ ქიმს და ერთმანეთზე გადაბმული ნავების განთავისუფლებას შეუდგა. ჯეკს წამით შეაგვიანდა, ვიდრე კლივერფალს ჩამოუშვებდა, და სწორედ იმ დროს, როცა „რეინდირი“ ჯონკას უნდა გასცლოდა, გადახტა მის გემბანზე თოკით, რომელიც იქვე დაამაგრა.

უიარაღოდ, მარტოდმარტო მდგარ ჯეკს მუქარით უახლოვდებოდა ხუთი ჩინელი. თითოეულ მათგანს ქამარში გაჩრილი ჰქონდა გრძელი დანა. ჯეკმა ადგილიდან გაუნძრევლად, მრავალმნიშვნელოვნად ჩაიყო ჯიბეში ხელი. ჩინელებმა უკან დაიხიეს. ჯეკმა მოითხო-

ვა, ჯონკის ქიმიდან ღუზა ჩაეშვათ. ჩინელებმა უარი თქვეს. მაშინ ჯეკი თვითონ მივიდა ქიმთან, ღუზა ჩაუშვა და, ცარიელი ჯიბიდან ხელის ამოუღებლად, აიძულა ისინი „რეინდირზე" გადასულიყვნენ. შემდეგ მეორე ჯონკასთან მივიდა, სადაც ჯორჯის რევოლვერის შიშით ჩინელები ერთ გროვად შეჯგუფულიყვნენ.

ყვითელთავსაფრიანმა ჩინელმა თითქოსდა უცაბედად გვერდი გაპკრა ჯეკს, დარწმუნდა, რომ მას იარაღი არ ჰქონდა და თავისიანებს წაქეზება დაუწყო — გაქაჩეთ პატრულის ორივე მუშაკი და გემბანიდან წყალში გადააგდეთო. ჯორჯი, რომელსაც, მართალია, რევოლვერი ჰქონდა, მაინც დაფრთხა და ჯეკს მოსთხოვა, ჩინელები პედროს კონცხის წაფერდებულ ნაპირზე გადაესვა. ჯეკმა უარყო ეს წინადადება. მაშინ ჯორჯმა რევოლვერი მისკენ მიმართა და შესძახა:—აბა, ახლაც არ გაუხვევ ნაპირისაკენ?

რევოლვერი და დანებით შეიარაღებული თექვსმეტი ჩინელი... ნუთუ უნდა გაუშვას დანაშაულზე წასწრებულნი? ვაი, სირცხვილო! ჯეკმა ანაზდეულად ასწია ხელები და თავი ჩაქინდრა. გასროლა ისე მაღლა მოხდა, რომ ტყვია არავის შეხებია. ჯეკმა მოულოდნელად მაჯაში სტაცა ხელი ჯორჯს. ამის დანახვაზე ჩინელები მისკენ გამოქანდნენ. მაგრამ ჯეკმა მოასწრო მკვეთრად შემოებრუნებინა ჯორჯი, ისე, რომ მუშტები მას მოხვედროდა, გამოსტაცა რევოლვერი და ყოფილი ამხანაგი ისეთი სიმძლავრით დააჯახა ყვითელთავსაფრიანს, რომ ჩინელი წაბორძიკდა, თავი ვერ შეიმაგრა და ჯორჯთან ერთად გემბანზე დაენარცხა. ჯეკმა ამ მომენტით ისარგებლა და მოწინააღმდეგენი რევოლვერით დაიმორჩილა.

ამჯერად ჯარიმიდან მას თითქმის ასი დოლარი ერგო.

მრავალი ამდაგვარი თავგადასავალი გადახდა მომდევნო თვეებშიც. იყო შემთხვევა, როცა სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით, თავქუდმოგლეჯილი გარბოდა მარტინისის სანაპიროს გასწვრივ, უკან კი ღრიალით მისდევდა მეთევზეთა ბრბო. თურმე ჯეკს დანაშაულზე წაუსწრია მათთვის და ორი მეთევზე დაუპატიმრებია. მეორედ ორ ბრაკონიერს წააწყდა ზუთხის ჭერის წესების დარღვევისას და მათ დევნაში დიდხანს უარა გარშემო ხორბლით დატვირთულ გემს. ისეც მოხდა, რომ ვერ შეიპყრო აკრძალული თევზსაჭერი ხელსაწყოებით შეიარაღებული ორი მეთევზე. ისინი თითქოს ნება-

დართული წესით — ანკესით — იჭერდნენ ზუთხს, მაგრამ ფაქტიურად ათას გირვანქაზე მეტი თევზი ამოჰყავდათ კაუჭებით.

წელიწადზე მეტი დაჰყო ჯეკმა საპატრულო სამსახურში. ამ ხნის განმავლობაში ყოველდღე, ზღვასა თუ ხმელეთზე ხვდებოდა პატიოსან, უშიშარ მეპატრულეებს, ბანქოს მოთამაშეებს, მეზღვაურებს, ბარების მეპატრონეებს, მეთევზეებს, ნავსადგურის მტვირთავებს, საოკეანო გემების შტურმანებს. ამ ხალხს ბევრი რამ გადაეტანა და ენახა. არ დარჩენოდათ მსოფლიოს არც ერთი ნავსადგური, ისინი რომ არ ყოფილიყვნენ. ყველგან ახალ-ახალი ქალები ჰყავდათ და ახალ არაჩვეულებრივ შემთხვევებს ელოდნენ. მათთვის უცნობი არ იყო სისხლიანი ცემა-ტყეპა და არც საიდუმლოებით მოცული მკვლელობა. ყოველთვის, როცა „რეინდირით“ ყურეში გადიოდა ან უკან ბრუნდებოდა, ჯეკი ახლოს ჩაუვლიდა ხოლმე „ოქროს კარიბჭის“ სრუტეს, საიდანაც წყნარ ოკეანეში გადიოდა გზა. ამ კარიბჭის იქით ეგულებოდა საიდუმლოებითა და სახიფათო შემთხვევებით აღსავსე აღმოსავლეთი, რომლის შესახებ ასე აღტაცებით ჰყვებოდნენ ბევრის მნახველი ადამიანები. თითქოს თვალნათლივ ხედავდა ბიბლიოთეკის წიგნების ფურცლებზე ამოკითხულ სახიფათო შემთხვევებს. თუმცა ჯეკი მხოლოდ ჩვიდმეტი წლისა იყო, მაგრამ ტანადსა და ღონიერს ვაჟკაცური შესახედაობა ჰქონდა და თვითონაც დავაჟკაცებულად გრძნობდა თავს. მას სწყუროდა ქვეყნიერების შემოვლა და ამ მაცდუნებელი მიზნისაკენ მხოლოდ ერთადერთი გზა მიიმართებოდა.

სწორედ იმ წუთიდან, როცა ოთხი წლის წინათ ორ დოლარად დანჯღრეული კარჭაპი შეიძინა და ყურეში გავიდა, ჯეკის ბედი გადაწყდა: ზღვით მოგზაურობა ხომ მისი ბედისწერაა შთამომავლობით. სან-ფრანცისკოს დოკებში მრავლად იყრიდნენ თავს სანდალები, სატვირთო და სამგზავრო გემები: ასარჩევი აქ ბლომად იყო. ჯეკმაც ყველაზე რომანტიული, ერთ-ერთი უკანასკნელი გამოშვების იალქნიანი გემი შეარჩია, რომელსაც ზღვის მწავებზე სანადიროდ ჰქონდა აღებული კურსი კორეის, იაპონიისა და ციმბირისაკენ. ამაოდ არ ჩაუვლია მისთვის მელვილის რომანის „მობი დიკის“ მრავალჯერ წაკითხვას.

„სოფი საზერლენდი“ ოთხმოცი ტონა წყალწყვის სწრაფმავალი სანდალი იყო. მისი იალქნის თვალუწვდენელი კალთები ასეულ ფუტზე იყო გადაჭიმული — გემბანიდან ანძის თეფშამდე. ზევითა კაიუტაში, სადაც ჯეკმა თავისი ბარგი-ბარხანით სავსე კიდობანი დასტოვა, ორივე მხარეზე საწოლები იყო გამართული ქიმამდე; კედლებზე საშტორმოები, ზღვის ჩექჩები და ფარნები ეკიდა.

ჯეკი „ოქროს კარიბჭეს“ არასდროს გასცილებოდა, მაგრამ მაინც პირველი კლასის მატროსად ჩაეწერა, რათა მეტი ხელფასი მიეღო. ეკიპაჟის სხვა წევრებს მთელი წლები ჰქონდათ გატარებული ზღვაზე: სახომალდე საქმეს ისინი დიდი და მძიმე განსაცდელის გამოვლის შედეგად დაუფლებოდნენ. ძირითადად ესენი იყვნენ სკანდინავური წარმოშობის გულცივი, ხმელ-ხმელი ვაჟკაცები. ზღვაოსნობა მათ ჯერ კიდევ მოზარდის ასაკიდან დაეწყოთ და ახლა, უკვე მეზღვაურებს, მიაჩნდათ, რომ მოზარდები მათ უნდა მომსახურებოდნენ. ისინი აღშფოთებული იყვნენ იმით, რომ ამ ცინგლიან ბალღს თავი ნამდვილ მეზღვაურად მოჰქონდა. ცუდი დღე დაადგებოდა ჯეკს, თუ ვერ დაამტკიცებდა, რომ იცოდა თავისი საქმე! სანდალში, ღია ზღვაზე მყოფს, საიდანაც ვერსად გაიქცეოდა, შვიდი თვის განმავლობაში მას სიკვდილის პირამდე მიიყვანდნენ!

მაგრამ ჯეკი დიდი ხანია ტრიალებდა მეზღვაურთა შორის და კარგად შეისწავლა მათი მარტივი ფსიქოლოგია. მან მტკიცედ გადასწყვიტა ისე ემუშავა, რომ მის ნამუშევარს გადაკეთება არ დასჭირვებოდა. როცა გემსაბმელს ეწეოდნენ, იგი მოჩვენებით კი არა, ნამდვილად, მთელი ძალ-ღონით მუშაობდა. მან იცოდა, რომ ამხანაგები, რაიმე შარის მოდების მიზნით, ფარულად თვალს ადევნებდნენ მის მუშაობას. ამიტომაც გაიხადა წესად, მისი მორიგეობის დროს პირველ მორიგეებთან ერთად გასულიყო და ქვედა კუბრიგში უკანასკნელი ჩასულიყო. ამავე დროს, არასოდეს არ ტოვებდა დაუმაგრებლად საიალქნე ბაგირს და სხვა ტაკელაჟს. იგი მუდამ მზად იყო ვანტებზე ასასვლელად, რათა შეერჩია და დაებოშებინა მარსელის საიალქნე ბაგირი; ძალიან მალე აითვისა ზოგიერთი, აქამდე მისთვის უცნობი ახალი მოწყობილობის დანიშნულება და კომპასის ყველა რუმბის დასახელება.

მოგზაურობის მესამე დღეს, საჭესთან მისი მორიგეობის დროს,

„სოფი საზერლენდი“ შტორმში მოხვდა. კაპიტანი დაეჭვდა — შესძლებს თუ არა ჩვიდმეტი წლის მეზღვაური გემი კურსს არ ააცდინოს გაშმაგებული ქარისა და დიდი ღელვის დროსო. მაგრამ საჭის მართვაზე ხუთი წუთის დაკვირვების შემდეგ გამამხნევებლად დაუქნია თავი და სავახშოდ ძირს ჩავიდა. ჯეკი შტორმს ებრძოდა. გემბანზე აღარავინ იყო. ქარი სახეში სცემდა, ჩამოწეწილი თმები თვალებში ეპლანდებოდა. მაგრამ სიხარულით ცას ეწეოდა იმის გამო, რომ მთელი ეკიპაჟის ბედი მას მიანდვეს. მთელი საათი მიჰყავდა გემი კურსით. თავისი ცხოვრების მანძილზე არც ერთი გამარჯვებით არ ყოფილა იგი ასე ამაყი და კმაყოფილი!

ქარი ჩადგა. „სოფი საზერლენდი“ სწრაფად მიიწევდა წინ და ჯეკმა თავისი ამხანაგების სახეზე წინანდელი მტრული განწყობილების კვალიც ველარ ამოიკითხა. მართალია, ზოგჯერ შეხლა-შემოხლაც ხდებოდა: კუბრიგში სივიწროვის გამო ხშირი იყო ფეხის ფეხზე დადგმა, რასაც ჭირვეული ხასიათის პირველი კლასის მეზღვაური ვერ იტანდა. მიუხედავად ასეთებისა, მოგზაურობა ძალიან კარგად დამთავრდა. შტორმის შემდეგ გამოიდარა და ორმოცდაათი დღის განმავლობაში ღრუბლის ნატამალიც არ უნახავთ. ღამღამობით ჯეკი, თავქვეშ ხელებამოდებული, ზურგზე წამოწვებოდა ხოლმე თავის კაიუტაში. ვარსკვლავები ისე ახლოს კაშკაშებდა. თითქოს ვინმეს იალქანზე დაეკერებინოს და ეს იალქანი ხომალდზე ტენტივით გადაეჭიმოს. თბილ დღეებში მატროსები სულ მთლად ტიტვლდებოდნენ და ერთმანეთს მარილიან წყალს ასხამდნენ ვედროთი. ჯეკი დაუმეგობრდა დიდ ვიქტორსა და აქსელს; ამ რეისზე მათ განუყრელ სამეულს ეძახდნენ. სასიამოვნოა თავისუფალი საათების გატარება გემბანის ზედა კაიუტაში, როცა ამხანაგები ზღაპრებს ჩმახავენ საშინელი ქარიშხლებისა და თევზის გაუგონარი რაოდენობით დაჭერის შესახებ. თუ მოგწყინდება, შეგიძლია კიჩოსკენ გაიარო, სადაც შონადირეებს კუბრიგის კედლებზე თოფები ჩამოუკიდიათ და თავიანთ საწოლებზე წამოწოლილან. მათ არასოდეს შემოელევათ არაჩვეულებრივი ამბები, მუშტებზე კი უამრავი შეხლა-შემოხლის დაღი აჩნიათ. გვიან ღამით, როცა მორიგეობა თავდებოდა და გემბანის ზედა კაიუტაში გოლიათური ხვრინვა იმართებოდა, ჯეკი ისევე ფრთხილად და შეუმჩნეველად გადაირთვებოდა სხვა ცხოვრებაში, რო-

გორც ხამანწკებზე მეკობრედ ყოფნის დროს. წიგნით ხელში მოიკალათებდა გემის ცხვირზე ცრუქიმთან, ერთ ხელში ლამბაქზე ანთებულ პატრუქს დაიჭერდა, მეორეთი წიგნს გადაფურცლავდა და მთელი ღამეები კითხულობდა ავანსით შეძენილ მელვილისა და ჯეკობის მოთხრობებს, მისს კულბრიტის პირადი ბიბლიოთეკიდან წამოღებულ ფლობერის „მადამ ბოვარსა“ და ტოლსტოის „ანა კარენინას“.

„სოფი საზერლენდი“, როგორც იქნა, გასცდა ბონინის არქიპელაგის ვულკანურ რიფებს, მათ შორის გავლით შევიდა დახურულ ნავსადგურში, სადაც ორ ათეულამდე ასეთივე, ზღვაში მოხეტიალე, გემი დახვდა, და ღუზა ჩაუშვა. ყურეში ცხვირწაწვეტილი კანოებით მიდი-მოდიოდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები, წრეს უვლიდნენ იაპონელები სამპანებით.

ჯერ კიდევ შვიდი წლის ბიჭუნამ, როცა „აფრიკაში მოგზაურობა“ წაიკითხა, უკვე დაიწყო ოცნება. განვლო ათმა წელმა და, აი, მან გზა გაიკაფა ცხრა მთას იქით. ახლა საკუთარი თვალით შეუძლია ნახოს ის, რის შესახებაც წინათ მხოლოდ წიგნებში თუ წაიკითხავდა. მოუთმენლად ელოდა, როდის გადავიდოდა ნაპირზე, აჰყვებოდა გზას, რომელიც მწვანითმოსილ ხეობაში იკარგებოდა, შემდეგ კი ლავის შიშველ ფერდობებზე გავლით პალმებსა და ყვავილებს შორის მიიკლაკნებოდა ზევით, ადგილობრივი, უცნობი სოფლების ახლოს. მოუთმენლობისაგან ცახცახებდა. როგორც იქნა, აღსრულდა, სამპანით ითევზავებს!

განუყრელი სამეული ნაპირზე გადავიდა. რაკი ჯეკი მათი მეგობარია, მაშასადამე, ორივემ — დიდმა ვიქტორმა და აქსელმა — იგი პურ-მარილზე უნდა დაპატიჟონ. მაგრამ ორივენი ხომ მისი მეგობრებიც არიან, მაშასადამე, თვითონაც ერთი ბოთლი უნდა ჩამოდგას. დახლთან შეხვდნენ ნაცნობებს სან-ფრანცისკოს სანაპიროდან, სხვა რეისების თანამგზავრებს, მეგობრებს ხამანწკებზე მეკობრეობის დროიდან. ყოველი შეხვედრა ისევ პურ-მარილით უნდა აღენიშნათ — განა რამე სჯობია კარგ ამხანაგს ამქვეყნად?

„სოფი საზერლენდი“ ბონინის არქიპელაგში ათი დღე დარჩა, მაგრამ ჯეკმა მაინც ვერ მოახერხა აჰყოლოდა იმ გზას, რომელიც ყვავილებს შორის მიიკლაკნებოდა სოფლების გასწვრივ. სამაგიეროდ, ასობით მეგობარი შეიძინა ვეშაპებზე მონადირეთა შორის,

მოისმინა უამრავი სათავგადასავლო ამბავი, გული იჯერა მეგობრებთან ქეიფით, მონაწილეობა მიიღო ადგილობრივ მცხოვრებთა სოფელზე გამანადგურებელ თავდასხმაში, ღამღამობით ღია ცის ქვეშ მღეროდა ხოლმე მატროსების საგუნდო დარდიმანდულ სიმღერებს; ერთხელ ბავშვებმა, გამოქცეულმა იუნგებმა, გაძარცვეს კიდეც — ერთი სიტყვით, ისე იქცეოდა, როგორც ზღვის ძველი მგელი.

„სოფი საზერლენდის“ კასრები წყლით გაავსეს და სრული სვლით გასწიეს ჩრდილოეთისაკენ. ჯეკმა, რომელსაც მენიჩბეობა ევალებოდა, რამდენიმე დღე მოანდომა ნიჩბებზე ტყავის გადაკვრასა და ნიჩბის პალოების შემოწვნას, რათა უჩუმრად მიჰპარვოდნენ ზღვის მწავებს. იმ დღეს, როცა მზვერავმა იაპონიის სანაპიროებს მოჰკრა თვალი, ისინი ზღვის მწავების დიდ ჯოგს წააწყდნენ. ამ ჯოგთან ერთად ისინიც ჩრდილოეთისაკენ მიიწევდნენ, მისდევდნენ ციმბირის ნაპირებამდე და თან გზადაგზა უმოწყალოდ ხოცავდნენ. გატყავებულ მწავებს ზვიგენებს უყრიდნენ, ხოლო ტყავს ამარილებდნენ და ინახავდნენ. როცა მონადირეს სანდალზე დააბრუნებდა, ჯეკი აიღებდა გრძელ საყასბო დანას და მარჯვედ ატყავებდა მწავებს. ყოველდღე უხდებოდა მუშაობა ქონითა და სისხლით გალიპულ გემბანზე, რომელიც ტყავებითა და გატყავებული მწავებით იყო გავსებული. გემბანის წყალსაწრეტებიდან სისხლი ალისფერ ნაკადად მიედინებოდა. ეს მკაცრი, უხეში სამუშაო იყო, მაგრამ ჯეკს იგი სასიამოვნო თავგადასავლად ეჩვენებოდა. იგი ყოველი წუთით ტკბებოდა.

სამი თვის შემდეგ მწავები უკეთესი ადგილისაკენ გაემართნენ, ხოლო „სოფი საზერლენდმა“, რომლის ბაქანზე მთებივით იყო დაყუდებული ზღვის მწავების ტყავები, დიდი შემოსავლით მოლოდინით სამხრეთისაკენ — იოკოჰამასაკენ — აიღო კურსი. იოკოჰამაში ჯეკი იმათთან ერთად სვამდა, რომლებიც სიკვდილს თვალებში ჩასცქეროდნენ, და უჩუმრად იღიმებოდა იმის მოგონებაზე, რომ ჯერ კიდევ ხუთი თვის წინ ისინი მას ისეთ ბავშვად თვლიდნენ, რომელსაც მეზღვაურის სახელის ტარების უფლებაც არ ჰქონდა.

სან-ფრანცისკოში დაბრუნებული ჯეკი მეგობრებს თითო ბოთლი ვისკით გაუმასპინძლდა, შემდეგ დაემშვიდობა და ბორნით შინისაკენ, ოკლენდისაკენ გასწია.

ოჯახი ყელამდე ვალებში იყო ჩაფლული. მათ სარჩოს მხოლოდ ის რამდენიმე დოლარი შეადგენდა, რომელსაც ჯონ ლონდონი იღებდა ბრუკლინის რაიონში პოლიციელის თანამდებობაზე მუშაობისათვის. „სოფი საზღვრლენდზე“ სამსახურისათვის მიღებული თანხიდან ჯეკმა ვალები გადაიხადა, თავისთვის იყიდა ნახმარი ქუდი, პალტო. ორი პერანგი ორმოც-ორმოც ცენტად და ორი წყვილი საცვალი — თითო ორმოცდაათად. დანარჩენი ფული ფლორას ჩააბარა. ოკლენდის სანაპიროთი მხურვალე გატაცება გაქრა, გაუნელდა მაწანწალის ცხოვრებისადმი მისწრაფებაც. რამდენიმე დღე ნეტარებდა წიგნებს შორის და შემდეგ საქმეს შეუდგა.

მძიმე დრო იყო: 1893 წლის ფინანსურმა პანიკამ ქვეყანა მძიმე დეპრესიაში ჩააგდო; რვა ათასმა საწარმომ კრახი განიცადა. მათ შორის მრავალმა ბანკმაც. მეტად აუცილებელი საწარმოების გარდა ყველა დაიხურა. რამაც უმუშევართა ზრდა გამოიწვია. ბედნიერად თვლიდნენ იმას, ვისაც რაღაც სამუშაო შემორჩა. ათი ცენტი, აი მაქსიმუმი, რისი მიღებაც შეეძლო ჯანმრთელ მამაკაცს ოკლენდში. მუშები იფიცებოდნენ, კაპიტალისტები ლოკაუტით პასუხობდნენ და სამუშაოს შოვნა დღითიდღე ძნელდებოდა.

ერთადერთი, რაც ჯეკმა შეძლო, იყო ის, რომ ჯუთის ქარხანაში იშოვა ადგილი: საათში ათი ცენტი, ერთი დოლარი დღეში ათი საათის მუშაობისათვის. დაზგები უსასრულო გრძელ მწკრივებად იდგა ქარხანაში. სწრაფად ტრიალებდა თითისტრები. თბილ, ნესტიან ჰაერში ნაძენძის ხქელი ფანტელები დაფრინავდა. განუწყვეტელ ხმაურში მთელი ხმით უხდებოდათ ყვირილი, რათა მეზობლისათვის რაიმე გაეგებინებინათ. დაზგებთან, რვა წლიდან მოყოლებული, ყველა ასაკის ბავშვს ნახავდით. გამუდმებული შიმშილისაგან დაუძლურებულნი, მანქანებისაგან დასახიჩრებულნი, რაქიტითა და ჭლექით დაავადებულნი, კვირაში 60 საათს მუშაობდნენ, რათა ორი დოლარი მიეღოთ.

დაახლოებით ამ პერიოდში ჯეკს აღელვებდა, როგორც თვითონ უყვარდა თქმა, „იდუმალი მისწრაფებანი და ახალგაზრდული ძალ-ღონე“. ეს საკმაოდ იჩხიბი ფრაზა ასე უნდა გავიგოთ: იგი დაინტერესდა ქალიშვილებით. „რეზლ-დეზლზე“ მემი იყო მისი ცოლი. ბევრის მნახველ სხვა ქალებსაც იცნობდა სან-ფრანცისკოს ყურედან. ახლა, ჩვიდმეტი წლის ყამაწვილს, უკვე ესირცხვე-

ბოდა გაუთლელი მეგობრებისაგან გადმოღებული უხეში ჩვევებსა და ჩვეულებრივი, ზრდილობიანი ქალიშვილის საზოგადოებაში აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. წინათ ცდილობდა, რაც შეიძლება მალე გამხდარიყო მამაკაცი, და ამით ისე იყო გატაცებული, რომ ქალიშვილების შესახებ სრულიად არაფერი იცოდა.

იგი „იქითა მხრიდან“ იყო და ამიტომ ცოტა შანსი ჰქონდა გაცნობოდა კარგ, მიმზიდველ, პატიოსან ქალიშვილებს, რომელნიც ახლა უკვე მოსწონდა. მას ახალი მეგობარი გამოუჩნდა, მჭედლის ქარგალი, ვინმე ლუის შატოკი. ჯეკის თქმით, იგი სხვადასხვა უწყინარი გასართობების შეუდარებელი გამომგონებელი იყო და გამოცდილ, ბევრის მნახველ მოქალაქედ მოჰქონდა თავი. ლუისი მისი აღმზრდელი გახდა. მუშაობის დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდები ვახშმად შინ მიდიოდნენ, შემდეგ დაიბანდნენ და სუფთა პერანგებში გამოწყობილნი სიგარეტებსა და ტკბილეულობას იყიდდნენ საკონდიტროში. რომელიმე ქალიშვილთან სტუმრად მისვლას ერიდებოდნენ, იცოდნენ, სახლში არ შეუშვებდნენ. საცეკვაოდ წასულიყვნენ? ესეც არ შეეძლოთ. ორივეს საჭმელ-სასმელის ყიდვა და ბინის ქირის გადახდა უხდებოდა და ამიტომ ჯიბის ფულად მხოლოდ სამოცდათხუთმეტი ცენტი რჩებოდათ. გართობის სხვა შესაძლებლობას მოკლებულნი, საღამოობით ქუჩებში დასეირნობდნენ. ლუისი სულ იმის ცდაში იყო, მეგობრისათვის ეჩვენებინა, თუ როგორ შეეხედა მრავლისმთქმელი თვალებით, როგორ გაეღიმა ან მოეხადა ქუდი მისალმებისას. შეხედავ და შენც შეგამჩნევენ: აი, მოგესმის გაუბედავი სიცილი, ამით უნდა ისარგებლო და გამოელაპარაკო. მაგრამ ჯეკი მორცხვი და გაუბედავი იყო. ქალიშვილები რაღაც საოცრად მიუდგომლად ეჩვენებოდა; გადამწყვეტ მომენტში მხნეობა ღალატობდა, ჰკარგავდა თვითდაჯერებულობას და გაუბედავი ხდებოდა. ხოლო მოურიდებლობა, რაც აუცილებელია ასეთ შემთხვევებში, უკვალოდ ქრებოდა.

ზოგიერთებთან მაინც გაბა ნაცნობობა, მაგრამ იშვიათად თუ დაპატიჟებდა რომელიმე მათგანს ბლერ-პარკში. ტრამვაის ოცი ცენტი სჭირდებოდა, ორ ულუფა ნაყინს—ოცდაათი... შემდეგ კი მთელი კვირა ცარიელი ჯიბით უნდა ევლო. მას განსაკუთრებით ირლანდიელი ქალიშვილები მოსწონდა. აი, მის უბის წიგნაკში გაჩნდა

ქარხანაში მოეუშავე გოგონების: ნელის, დოლის და კეტის მისამართები. გოგონებს მოსწონდათ, რომ ჯეკი არ იღლებოდა ცეკვისაგან, აგრეთვე მისი ოხუნჯობა და გადამდები სიცილი. ყველაზე მეტად ჯეკს მოსწონდა ლიზი კონელონი, რომელიც ოკლენდის ერთ-ერთ სამრეცხაოში მუშაობდა. ლიზის სანდომიანი სახე და მეტად მოსწრებული ენა ჰქონდა: პასუხის გაცემა არ გაუჭირდებოდა. მან ჯეკს თავისი ქამეიანი ოქროს ბეჭედი აჩუქა, რათა ყველას დაენახა, ვინ იყო მისი მეგობარი.

ბოლოს სიყვარულიც ეწვია. მას ჰეიდი ერქვა. ხსნის არმიის პატივსაცემად გამართულ კრებაზე შემთხვევით ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდნენ ჯეკი და ეს თექვსმეტი წლის გოგონა, შოტლანდიურ ბერეტსა და კაბაში, რომელიც მაღალყელიან ფეხსაცმელებამდე სწვდებოდა. მას თხელი ოვალური სახე, ლამაზი თაფლისფერი თვალები, წაბლისფერი თმები და ნაზი ტუჩები ჰქონდა. ჯეკს იგი პირველი დანახვისთანავე შეუყვარდა.

ისინი მალულად ხვდებოდნენ ერთმანეთს სულ ნახევარი საათით და ჯეკმა ბოლომდე იგემა ახალგაზრდული სიყვარულის ყველა უცნაურობა. შეიძლება ჯეკი დარწმუნებული არც იყო ამ სიყვარულის მარადიულობაში, მაგრამ ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ეს იყო ნეტარებით აღსავსე სიყვარული. მას ხამანწკებზე მეკობრეთა მეფეს უწოდებდნენ, რომელსაც ნამდვილი მამაკაცების თანაბრად შეეძლო წასულიყო ყველგან, თუნდაც ცხრა მთას იქით; იცოდა გემების მართვა, ნამყოფი იყო ნავსადგურების ყველაზე ბნელ და გარყვნილ ბუნაგებში, შეეძლო გემბანზე დარჩენილიყო შტორმსა და უამინდობაში, თავი დაეცვა ყველაზე ხელაღებულებისაგან მაგარი ცემა-ტყეპის დროს, ხელში აეყვანა გემის მთელი რაზმი. მაგრამ არ იცოდა, როგორ დაეჭირა თავი ამ სუსტ გოგონასთან, რომელსაც იმდენადვე არაფერი გაეგებოდა ცხოვრებისა, რამდენადაც, როგორც ჯეკს ეგონა, თვითონ იყო გამობრძმედილი და გამოცდილი. მათ სულ ათჯერ თუ მოახერხეს შეხვედრა და ამდენჯერვე თუ უძღვნეს ერთმანეთს ბოკლე, გულუბრყვილო და არაჩვეულებრივი კოცნა. ისინი დილის წარმოდგენაზეც კი არ ყოფილან ერთად. ჯეკი თავს იიმედებდა, გოგონასაც ვუყვარვარო. თვითონ რომ შეყვარებული იყო, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. ჯეკი წელიწადზე მეტხანს

ოცნებობდა ჰეიდიზე ცხადსა თუ სიზმარში და იგი ძვირფას მოგონებად დარჩა სამუდამოდ.

ერთ საღამოს ფლორა, რომელსაც კარგად ახსოვდა, რომ ჯეკის მამა წიგნებს თხზავდა, შვილთან შევიდა გაზეთ „სან-ფრანცისკო კოლის“ ხელრით და სთხოვა, რამე დაეწერა გაზეთის მიერ გამოცხადებული კონკურსისათვის. ჯეკი წამით შეყოყმანდა, მაგრამ მაშინვე გაასხენდა ტაიფუნი, რომელთანაც „სოფი საზერლენდს“ მოუხდა შებმა იაპონიის ნაპირებთან; სამზარეულოს მაგიდას მიუჯდა და მოთხრობის წერას შეუდგა. წერდა ჩქარა, თავისუფლად, თითქმის ძალდაუტანებლად. მეორე დღეს მოთხრობა უკვე დამთავრებული იყო, დახვეწა რამდენადაც შეეძლო და „კოლის“ რედაქციაში გაგზავნა. მოთხრობას პირველი პრემია — ოცდახუთი დოლარი ერგო. მეორე და მესამე პრემია მიიღეს კალიფორნიისა და სტანფორდის უნივერსიტეტების სტუდენტებმა.

მოთხრობის გამოქვეყნებიდან ორმოცდახუთი წელი გავიდა, მაგრამ „ტაიფუნი იაპონიის ნაპირებთან“ დღესაც ახლებურად, ხალისით იკითხება და დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს. თხრობის რიტმში თითქოს ჩაგესმის ზღვის მწყობრი სუნთქვა, დაძაბული ყურადღება წუთითაც არ დუნდება, პერსონაჟები ცოცხლად წარმოგესახება. მუსიკა ეღერს საშუალოსკოლადაუმთავრებელ ამ ჩვიდმეტი წლის მოზარდის წინადადებებში. „კოლი“ წერდა: „განსაცვიფრებელია გაქანება, ცოდნის სიღრმე, აზრის მკვეთრად გამოსახვა და სიმძლავრე. ყველაფერში იგრძნობა ახალგაზრდა ხელოვანი“. რა წინასწარმეტყველური სიტყვებია!

აიოვადან წამოსვლის შემდეგ ჯონ ლონდონის ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი იყო ის დღე, როცა ეს სტატია გამოქვეყნდა. თავისი გამოგონებით კმაყოფილი ფლორა მხოლოდ ჩუმად იღიმებოდა, ჯეკი კი მაშინვე სამზარეულოს მაგიდას მიუჯდა და ნაოსნობის ახალი ამბის წერას შეუდგა. მაგრამ გაზეთი „კოლი“ ლიტერატურული ჟურნალი როდი იყო და ხელნაწერი უკანვე დაუბრუნეს. ამ პერიოდის უბის წიგნაკში ჯეკს ხარჯების სვეტში შეტანილი აქვს საფოსტო მარკებისა და ქაღალდის საფასური — ოცდაათი ცენტი; მაშასადამე, იგი განაგრძობდა წერას და ხელნაწერებს ჟურნალების რედაქციებს უგზავნიდა.

ჯეკს რომ წინანდებურად, როცა კონსერვის ქარხანაში მუშაობდა, თვითონ ეწარმოებინა „ფინანსების, ე. ი. შემოსავალ-გასავლის“ რეგულირება, შეიძლება ოჯახს რიგიანად ეცხოვრა. მაგრამ ვაი, რომ მთელ ხელფასს იგი ფლორას აძლევდა. ოკლენდის მცხოვრები ტოპას ე. ჰილი იგონებს, როგორ მოსთხოვა მისმა დამ ლონდონებს, მასთან ნაქირავები ბინა დაეცალათ, რადგან ფლორას ორი თვის ქირა არ ჰქონდა გადახდილი.

ჯუთის ქარხანაში ჯეკს ხელფასის მომატებას დაპირდნენ — დღეში მეოთხედ დოლარს. მაგრამ რამდენიმე თვის მუშაობამ იგი დაარწმუნა, ქარხნის პატრონები პირობის შესრულებას არ აპირებდნენ. ჯეკმა მუშაობას თავი დაანება. იგი დარწმუნდა, რომ ვერასოდეს საათში ათ ცენტზე მეტს ვერ მიიღებდა, თუ შავ მუშად დარჩებოდა, ვერასოდეს ვერ გაიმართებოდა წელში. ამიტომ გადაწყვიტა, სპეციალობას დაუფლებოდა. მომავალი თითქოს ახალ აღმოჩენას — „ელექტრობას“ — ეკუთვნოდა და ჯეკმაც მოისურვა ელექტრომონტიორი გამხდარიყო. მივიდა ოკლენდის ტრამვაის პარკის ელსადგურში და დირექტორს განუცხადა. რომ არავითარ სამუშაოს არ შეუშინდება, მზად არის თუნდაც ანბანიდან დაიწყოს. დირექტორმა იგი სარდაფში დააყენა ნახშირის მტვირთავად და თანაც თვეში ოცდაათი დოლარი და ერთი დასვენების დღე დაუნიშნა. მას ნახშირის მიწოდება უხდებოდა გამუდმებით მომუშავე ცეცხლფარეშებისათვის როგორც დღის, ისე ღამის ცვლაში. მუშაობდა შესვენების დროსაც და ცხრა საათზე ადრე იშვიათად თავისუფლდებოდა ხოლმე. საშუალოდ დღეში ცამეტი საათის მუშაობა უწევდა. ამრიგად, ხელფასი საათში რვა ცენტამდე შეუმცირდა. ეს იმაზე ნაკლები იყო, რასაც თოთხმეტი წლის ასაკში იღებდა კონსერვის ქარხანაში. საცეცხლურებისაგან საშინელი სიცხე იყო. ოფლად გაღვარული ჯეკი თუჯის მაზიდას ნახშირით გაავსებდა, აწონიდა, წაიღებდა საცეცხლურთან და მის წინ დაფენილ რკინის ფურცლებზე დაყრიდა. როცა ცეცხლფარეშები ჩამორჩებოდნენ მუშაობაში, ჯეკი ნახშირის მთელ გორას დააყენებდა და, რომ არ ჩამონგრეულიყო, მაგარ ფიცრებს შემოუყენებდა.

იგი ისევ მუშა საქონელი გახდა.

გვიან ღამით ბრუნდებოდა შინ. დაქანცულს ჭამის თავი აღარ

ჰქონდა. დაბანა და ლოგინში ჩაგდება — აი, ერთადერთი, რისი უნარიც კიდევ შესწევდა. წიგნებისათვის, კარგი ქალიშვილებისათვის და, საერთოდ, ცხოვრების სიამისა და სილამაზის შეგრძნებისათვის აღარც დრო ჰყოფნიდა და არც ძალ-ღონე. იგი ხომ კვირა დღესაც მუშაობდა. თანდათან გახდა, რადგან მთელი დღე შეუსვენებლივ, როგორც კოშმარში, ისე მოძრაობდა ნახშირის ცხელი, სულისშემხუთველი მტვრის ბურუსში. მაინც ვერ გაეგო, რატომ იყო ეს სამუშაო მისთვის ასე აუტანელი; იგი ხომ უფრო რთულ საქმეებსაც ართმევდა თავს, ხომ მუშაობდა მასზე უფროსებისა და უფრო ღონიერების თანაბრად. ბოლოს ერთ ცეცხლფარეშს შეეცოდა იგი და გაუმხილა, რომ მათ ყოველთვის ორი დამხმარე მუშა ჰყავდათ: ერთი დღის ცვლაში მუშაობდა, მეორე — საღამოსაში. თითოეული მათგანი ორმოც დოლარს იღებდა თვეში. მაგრამ აი, შემთხვევით გამოჩნდა ახალგაზრდა, სწავლის სურვილით გატაცებული ჯეკი და დირექტორმაც ამით ისარგებლა — ორივე დამხმარე მუშა დაითხოვა და მთელი სამუშაო მას დააკისრა. ჯეკმა ჰკითხა: „რატომ აქამდე არ მითხარი?“ „იმიტომ, რომ დირექტორი დამემუქრა, კისრის ტეხვით გაგაგდებო“, — უპასუხა ცეცხლფარეშმა.

რამდენიმე დღის შემდეგ იმავე ცეცხლფარეშმა ჯეკს უჩვენა ოკლენდის გაზეთში მოთავსებული ცნობა: ნახშირის მზიდავმა დამხმარე მუშამ, რომლის ადგილიც ჯეკმა დაიკავა ისე, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა: ვერ შეძლო ეშოვნა სამუშაო, რათა ცოლი და სამი ბავშვი გამოეკვება. ჯეკმა ნიჩაბი გადაიგდო.

გამძაფრებული მუშაობის დღეები იმით დამთავრდა, რომ ჯეკი სიძულვილით განიმსჭვალა ფიზიკური შრომისადმი. ან მონა უნდა იყო, ან მაწანწალა — საშუალოს ვერ იპოვნი! იგი ახალგაზრდა იყო, ღონიერი; სწყუროდა სიცოცხლე, თავშეუკავებლად იტაცებდა ხიფათით აღსავსე საშიშროებები და სათავგადასავლო შემთხვევები.... განა არ სჯობია თავის სიამოვნებაში, აურზაურში, ერთიდან მეორე ადგილზე ხეტიალში გაატაროს ცხოვრება, ვიდრე გაუმაძღარ ადამიანთა კეთილდღეობას შესწიროს ახალგაზრდობა და ჯანმრთელობა?

ასეთ დასკვნამდე ჯეკი 1894 წლის აპრილში მივიდა. მაშინ შეერთებულ შტატებში უმუშევრობამ წარმოუდგენელ მასშტაბებს

მიაღწია. ფლორას სამშობლოში, ოჰაიოს შტატის ქალაქ მესლონში, ვიღაც კოკსი უმუშევართა არმიას აგროვებდა, სურდა ისინი ვაშინგტონში წაეყვანა, კონგრესისაგან ხუთი მილიონი დოლარი მოეთხოვა ახალი დიდი გზების გასაყვანად და, ამრიგად, ხალხისათვის სამუშაო მიეცა. გაზეთები ისე დიდ ყურადღებას უთმობდნენ კოკსის ფედერაციულ არმიას, რომ ამერიკის მთელ რიგ ქალაქებში სტიქიურად იქმნებოდა რაზმები. ოკლენდში ვინმე კელიმ უმუშევრებისაგან სამხედრო ასეულები შეადგინა და რკინიგზელებს შეუთანხმდა ხალხის უფასოდ გადაყვანაში სატვირთო რონოდებით.

გაიგო თუ არა კელის არმიის შესახებ, ჯეკმა უმალ გადაწყვიტა ჩაწერილიყო მის რიგებში და ვაშინგტონისაკენ გაჰყოლოდა. ცდუნება მეტად დიდი იყო. ფლორასა და ჯონ ლონდონს ამით ცუდ მდგომარეობაში აყენებდა, მაგრამ მას ეს არ აკავებდა. ამგვარადვე მოიქცა იგი მაშინაც, როდესაც ხამანწკებზე მეკობრეობის საეჭვო შემოსავალი ამჯობინა კონსერვის ქარხანაში მუშაობას. ამაში გასაკვირიც არაფერი იყო. მისი მშობლები თვით არ იყვნენ მკაცრი დისციპლინის, თავგანწირვის ან მორალურ ვალდებულებათა თავგამოდებული დამცველები.

გენერალ კელის არმია ოკლენდიდან პარასკევს, 6 აპრილს უნდა დაძრულიყო. როდესაც დღის მეორე ნახევარში ჯეკმა და მისმა მეგობარმა ფრენკ დევისმა დასახარისხებელ ადგილს მიაღწიეს, სადაც სატვირთო რონოდები უნდა ჩამოეყენებინათ. გამოირკვა, რომ არმია უკვე ადრე დილით წასულიყო. მაშინ ჯეკმა წამოიძახა:

—ფრენკ, მოდი, წავიდეთ! მაწანწალობა ხომ ჩემი ხელობაა; უბრალოდ ვიმგზავროთ სატვირთო რონოდებით აღმოსავლეთისაკენ, ვიდრე კელის არმიას არ დავეწევით.

ერთი საათიც არ იყო გასული, რომ მან უკვე მოძებნა მატარებლის მზა შემადგენლობა. უჩუმრად გააღო სატვირთო რონოდის გასაწევი კარები, ჯერ ფრენკი შეუშვა, მერე თვითონაც აძვრა და კარები მოიხურა. გაისმა ორთქლმავლის სტვენა. ჯეკი სიბნელეში იწვა და იღიმებოდა.

ჯეკმა უთხრა ფრენკ დევისს, ჩემთვის უცხო არ არის მაწანწალობაო, და ეს სრული სიმართლე იყო. იგი პირველად როდი მი-

ლიოდა სახეტიალოდ. სამი წლის წინათ, როცა იგი თხუთმეტი წლის იყო, ხამანწკებზე საქმიანობა დროებით შენელდა. ჯეკის კარჭაპი ბენიციის ნავსადგურის ბოლოში იდგა, თვითონ კი გემბანზე იჯდა და ეზეზე თბებოდა. გრილი ნიავი სახეზე უბერავდა. იქვე ახლოს, მძვინვარედ მიექანებოდა მოქცევით ატაცებული ტალღები. ჯეკმა დინების სიჩქარის გასაგებად ფერდს იქით გადააფურთხა წყალში და გამოარკვია, რომ მიქცევით შეიძლებოდა თითქმის საკრამენტომდე მიეღწია. აღმართა იალქანი და გემი ახსნა.

საკრამენტოში მისვლისას იგი მდინარეზე წავიდა საბანაოდ და იქ წააწყდა მოზარდთა ჯგუფს, რომელნიც ქვიშიან მეჩეჩზე წამოწოლილიყვნენ გასაშავებლად და ჯეკისათვის უჩვეულო, რაღაც განსაკუთრებულ ენაზე ლაპარაკობდნენ. ესენი „მოხეტიალე ბიჭები" იყვნენ. მათ თავგადასავლებთან შედარებით ხამანწკებზე მეკობრეობა ბავშვურ გასართობს ჰგავდა. თითოეული მათგან გაგონილი სიტყვა ჯეკს ახალი სამყაროსაკენ, ვაგონების ღერძებისა და პლანშირების, „ბრმა" სატვირთო ვაგონებისა და „სატვირთო პულმანების", „ხარებისა" და „ფარაონების", „ნაყარ-ნუყარისა" და „მძორის", „მეძებრების", „გაქცეულების", „მეთუთუნეების", „ხარბების", „კატების", „მოხუცების", „მწვანე პიქონების" სამყაროსაკენ იზიდავდა; იგი ამ „თავშეკრების" ანუ ხროვის წევრი გახდა.

მას მეტსახელად „სეილორ კიდი" — „ახალგაზდა მეზღვაური" — შეარქვეს. ხროვის მეთაურმა, ბობმა, იგი ხელში ჩაიჭირა და „აბრამის ბატკანი" ანუ „დედის აზიზი ბიჭუნა" ბევრისმნახველ „პიქონად", ნამდვილ „გზის ბიჭად" გაწვრთნა. წარმატებით შეასწავლეს მათხოვრობა ცენტრალურ ქუჩებში; აჩვენეს, როგორ უნდა „გაასეირნოს" ლოთი, „გაასუფთაოს გატენილი ბოხჩა", „აწაპნოს" თავიდან სტეტსონის ხუთდოლარიანი მაგარფარფლიანი ქუდი მდიდარ ჩინელს საკრამენტოს ხეობიდან. ერთხელ ქუჩაში გამართულ ცემა-ტყეპაში მონაწილეობისათვის იგი პოლიციაში წაიყვანეს და სამი დღის პატიმრობა მიუსაჯეს.

მალე ჯეკს აუხსნეს, რომ „გზის" კანონის თანახმად, ნამდვილი „გზის ბიჭი" მანამ ვერ გახდებოდა, ვიდრე შუაში კარებდატანებული „ბრმა" ვაგონის ბაქნით სიერა-ნევადას არ გადასერავდა. სწორედ ამ პირობის განხორციელების მიზნით, ერთხელ, ღამით, ჯეკი და

ხროვასთან ახლად მიკედლებული ფრენჩ კიდი ცენტრალურ საკონტინენტთაშორისო ლიანდაგთან სიბნელეში ექსპრესს უცდიდნენ. როცა მატარებელი გაუსწორდა, მეგობრები ჩამოებღაუჭნენ გაქანებული მატარებლის „ბრმა“ ვაგონის ბაქნის კიდეს. ფრენჩ კიდი ბორბლების ქვეშ ჩავარდა და ორივე ფეხი დაკარგა.

ჯეკი წინასწარ გააფრთხილა ბობმა: ვიდრე როუზვილს არ გასცდები, სადაც ძაღლივით ავი პოლისმენი დგას, „გემბანიდან“, ე. ი. ვაგონის სახურავიდან, არ ჩამოხვიდე; შემდეგ კი საფოსტო რონოდის უკანა, „ბრმა“ ბაქანზე ჩამოცოცდიო. მაგრამ, აი, ექსპრესი უკვე სიერა-ნევადაზე მიჰქრის, უკან ჩამოიტოვა თოვლის ნამქერის საფარები, გასცდა გვირაბებსაც, მაგრამ ჯეკმა ვერა და ვერ გაბედა მთელი სისწრაფით მიმავალი მატარებლის სახურავიდან ჩამოსვლა. მთელი ღამე „გემბანზე“ ძაგძაგებდა, ვიდრე მატარებელმა ქედი არ გადალახა და სადგურ ტრეკთან არ გაჩერდა. „შეეშინდა!“ ხროვის ბიჭებისათვის არ გაუმხელია ეს სამარცხვინო ამბავი და საკრამენტოში დაბრუნებულ ჯეკს ხვევნა-კოცნით შეხვდნენ; ახალი მეტსახელი — „ფრისკო კიდ“ შეარქვეს და ნამდვილ მაწანწალად აღიარეს.

რამდენიმე კვირის შემდეგ ჯეკს მობეზრდა საკრამენტო; სატვირთო ვაგონში შეიპარა და ოკლენდში დაბრუნდა. სამმა წელმა განვლო და, აი, ახლა ისევ „აედევნა ქარს, რომელიც მთელ ქვეყანაზე დაბორიალებს“.

ჯეკსა და ფრენკ დევისს ტყუილად მოუხდათ „სატვირთო პულმანიდან“ ჩამოსვლა საკრამენტოში: კელის არმია დღის ოთხ საათზე ოგდენში წასულიყო. ბედი ეწვიათ და „ტრანსკონტინენტალურით“ ტრეკამდე მიაღწიეს, მაგრამ აქ კი გამოაძევეს რონოდიდან. ის ღამეს ერთხელ კიდევ სცადეს გაჰყოლოდნენ აღმოსავლეთისაკენ მიმავალ ექსპრესს. ფრენკს ბედმა გაუღიმა, ჯეკი კი ჩამორჩა. სამაგიეროდ, ჯეკმა სატვირთოში მოიკალათა. ვაგონში ციოდა, მაგრამ მაინც ისე მაგრად ჩაეძინა, რომ მაშინაც ვერ გამოიღვიძა, როცა რენოში რონოდა სათადარიგო ლიანდაგზე გადაიყვანეს. ის დღე რენოში გაატარა და თვალყურს ადევნებდა, თუ როგორ იკრიბებოდნენ ყოველ კუთხესა და გზაჯვარედინზე უმუშევართა რაზმები და აღმოსავლეთისაკენ გასამგზავრებლად ემზადებოდნენ. მთელ ხაზზე

ასეული უმუშევარი კვალდაკვალ მისდევდა კელის მუშათა არმიის მოწინავე რაზმს.

ჯეკმა გადაწყვიტა, რადაც უნდა დაჯდომოდა, დასწეოდა ფრენკს. არ დაუცადა უმუშევართა ასეულის შედგენას და გზას გაუდგა. მთელი დღეები იმგზავრა სატვირთო ვაგონით. შემდეგ, ვოდსვორდის დეპოში იმდენ ხანს ეძინა ორთქლმავლის ჯიხურში, ვიდრე დილის ოთხ საათზე ერთი ფეხით არ გაასწრო ვაგონების მრეცხავს; პირველივე სატვირთო მატარებლის „ბრმა“ ტენდერში შეძვრა და გზა განაგრძო. უეცრად პალტოს ჯიბეში ორთქლმავლის საცეცხლურიდან გამოტყორცნილი ნაპერწკალი ჩაუვარდა. იფეთქა ალმა, რომლის ჩაქრობა არც ისე ადვილია, როცა მატარებელი ორმოცი მილის სიჩქარით მიჰქრის. პალტო და პიჯაკი იმდენად დაუზიანდა, რომ იძულებული შეიქმნა ორივე გადაეგდო.

უკვე ღამე იყო, როცა ფრენკს დაეწია ვინემუკში. გადაწყვიტეს დალოდებოდნენ რენოდან მომავალ რაზმს და გზა მათთან ერთად განეგრძოთ. მაგრამ უეცრად სატვირთო მატარებელს წააწყდნენ და ცდუნება იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ მეგობრები ვაგონში შეძვრენ და აღმოსავლეთისაკენ გასწიეს. ორი დღის შემდეგ ისინი კვლავ განშორდნენ ერთმანეთს და ჯეკმა ნაჩქარევი, ბავშვური ხელით შემდეგი სიტყვები ჩაწერა თავის უბის წიგნაკში:

„ფრენკისათვის გზამ დაჰკარგა მთელი თავისი მშვენიერება. გაქრა სათავგადასავლო რომანტიკა და დარჩა მხოლოდ ულმობელი სინამდვილე, რომელიც ღაღადებდა: „გიჭირს — მოითმინე!“ ასე იყო თუ ისე, ფრენკმა დასავლეთისაკენ იბრუნა პირი. რას იზამ, მან ბევრი რამ ნახა, რაც მისთვის საჩარგებლო იქნება. მისი მსოფლმხედველობა გაფართოვდა. ახლა იგი უკეთ ერკვევა იმაში, თუ რას წარმოადგენს ჩვენი საზოგადოების „ქვედა ფენები“. მომავალში როცა გაჭირვებას თავს დააღწევს, რასაკვირველია, უფრო ლმობიერად, მეტი გულისხმიერებით განიმსჭვალება მაწანწალებისადმი. ამ საღამოს ის დასავლეთისაკენ გასწევს, მე კი — აღმოსავლეთისაკენ და ორთქლმავლისათვის ნახშირის მტვრევა მომიწევს თვით კარლინამდე“.

ჯეკისათვის მაწანწალური ცხოვრების მშვენიერება მის მრავალფეროვნებაში მდგომარეობდა. „ხობოს სამყაროში“, ამ მაწანწალა-

თა სამეფოში, უცნაური ცხოვრება მუდამ ცვალებადია; ყოველ ნაბიჯზე შეიძლება წააწყდე შეუძლებელ რამეს, ყოველ მოსახვევში ჩასაფრებულია ახალი მოულოდნელი შემთხვევა. ერთი დღე მეორეს არა ჰგავს და თითოეული მეხსიერებაში განუმეორებელ სურათებს ტოვებს! ღამღამობით ჯეკი მოგზაურობდა სატვირთო ან სამგზავრო მატარებლით, ხოლო მოაღწევდა თუ არა სადილობის დრო, ეზოეზო ან მთავარ ქუჩებში მათხოვრობას იწყებდა. ასეულ თავისსავე მსგავს „ხობოს“ ხვდებოდა გზადაგზა, მათთან ერთად მოგზაურობდა რკინიგზებზე უბილეთოდ და საერთო ჯამში შეჰქონდა თუთუნი და ფული, „დეღდა“ — ჩხუბობდა, „ჯუნგლებში“ — მაწანწალათა ბუნაგებში — მაწანწალათა ტრადიციულ კერძს — „მალიგანს“ ამზადებდა, მათხოვრობდა, აგებდა ბანქოში, ისმენდა და თვითონაც ჩმახავდა წარმოუდგენელ ამბებს, იძენდა ყველაზე ჩქარი მატარებლით მოგზაურობის უფლებას, ასრულებდა „პროფესიონალთა“ ბრძანებებს.

ერთხელ, ნევადას უდაბნოში იგი „თხრილში ჩააყუდეს“ — მატარებლიდან ჩამოაგდეს, მთელი ღამე ფეხით იხეტიალა, ვიდრე მახლობელ სადგურს არ მიაღწია. შუა ზამთარი იყო. მაღალ იალაღებზე უკვე ციოდა, მწვერვალებზე თოვლი იდო. ქარი შემაწუხებლად ზუზუნებდა; ჯეკმა, როგორც გაქნილმა მაწანწალამ, კოხტაობის გამო საბანიც კი არ წამოიღო. ხშირად საათობით დაეხეტებოდა ერთი სამზარეულოს კარიდან მეორემდე და მათხოვრობდა, მაგრამ პირში ჩალაგამოვლებული ბრუნდებოდა. ანდა, ნაშუაღამევს, უცნობ ქალაქში უკაპიკოდ ჩამოსული, მთელი ღამე სიცივისაგან ძაგძაგებდა რკინიგზასთან მდებარე „ჯუნგლებში“. ისეც ხდებოდა, რომ როგორმე მოიკალათებდა ცხელი ნაცრის წვიმის ქვეშ ორთქლმავლის ჩარჩოზე ან პირუტყვის გადმოსაყვან კიბეზე და ოცნებობდა, იქნებ ცოტა ხნით მაინც ჩავიძინოო ორთქლმავლის ქშენასა და ბორბლების გულის გამაწვრილებელ ჭრიალში. ერთხელ, შიმშილით კუჭგამხმარს, გაზეთის ქაღალდში გახვეული, ვეება შეკვრა მოწყალება გადმოუგდეს. სირბილით მიაშურა მახლობელ მყუდრო ადგილს, რათა მოელხინა. შეკვრაში აღმოჩნდა ოჯახში გამომცხვარი ტკბილი ნამცხვრის ნარჩენები. ჯეკი მიწაზე დაეშვა და ატირდა.

სწორედ მათხოვრობით მიაღწია სრულყოფას ხელოვნებაში — სწრაფად შეეთხზა მომენტისათვის შესაფერისი ამბავი. შედეგი ხომ

ომაზე იყო დამოკიდებული, როგორ უჭრიდა ენა! გაიღებოდა თუ არა უკანა კარი, იქვე უნდა გამოეცნო თავისი მსხვერპლის ხასიათი და მიდრეკილება და ამის შესაბამისი ამბავი შეეთხზა. ერთხელ, რენოში უკანა კარები გაუღო ხანშიშესულმა გულკეთილმა „დედილომ“ და ჯეკმა უმალ მოიკატუნა თავი სპეტაკ, უმანკო ყმაწვილად. მას უმ-ძიმს ლაპარაკი... თავის დღეში არ გაუწვდია ხელი ლუკმაპურისა-თვის, მხოლოდ მწვავე შიმშილმა აიძულა ასეთი სულმდაბალი და უღირსი საქციელისათვის მიემართა. მოწყალებას ითხოვს, მოწყა-ლებას! გულკეთილ დიასახლისს სხვა რაღა დარჩენოდა, გარდა იმი-სა, რომ ასეთი სასოწარკვეთილი შეცბუნების გასაქარწყლებლად იგი სამზარეულოში შესვლასა და „დასვენებაზე“ დაეთანხმებინა. ეს ხომ მაწანწალისათვის ნამდვილი ბედნიერება იყო.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ჰარისბურგში (პენსილვანიის შტატი) ჯეკმა ერთი სახლის უკანა კარებზე სწორედ იმ დროს დააკაკუნა, რო-დესაც დიასახლისები — ორი შინაბერა — სასაუზმოდ ემზადებოდ-ნენ. იგი სასადილოში შეიპატიჟეს და სთხოვეს, მათთან ერთად გაე-სინჯა კარაქიანი „გრენკები“ და თოხლო კვერცხები. ხანშიშესულ ქალწულებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ სათავგადასავლო შემთხვე-ვებზე. კეთილშობილი მაწანწალების სიტყვებით რომ ვთქვათ, „ისინი მუდამ ერთ ცვლაში მუშაობდნენ“. ჯეკს შიოდა: მთელი ღამე ტენდერით მოგზაურობდა. მოსამსახურე ქალს რამდენჯერმე მოუხდა კვერცხების, „გრენკებისა“ და ყავის შემოტანა, ქალები კი სულგანაბულნი უსმენდნენ ჯეკის მონაყოლს ველური და თავისუ-ფალი ცხოვრების შესახებ. მათ მყუდრო, განსაზღვრული ჩარჩოებით შემოფარგლულ სამყაროში შეიჭრა მძაფრი ოფლის სუნით გამსჭვა-ლული, ბრძოლითა და ხიფათებით აღსავსე ნამდვილი ცხოვრების მძლავრი ქარბუქი. ჯეკს მთელი ცხოვრების მანძილზე დაამახსოვრ-და ეს საუზმე. შეიძლება დაბეჯითებით ვივარაუდოთ, რომ მოხუც შინაბერებსაც არასოდეს დაავიწყდებოდათ „სტუმრის“ მდიდარი ფანტაზიის ნაყოფი — განსაცვიფრებელი ამბები.

როცა მოგზაურობა აღარ შეეძლო, როცა შეძლებულ მასპინძელ-თა კარები ჯიუტად არ იღებოდა, როცა მდიდართა სახლებში საჭმელ-ზე უარს ეუბნებოდნენ, ხოლო შიმშილი სულ უფრო აუტანელი ხდე-ბოდა, ჯეკი ღარიბებთან მიდიოდა. ქოხმახებში, სადაც ჩამტვრე-

ულ ფანჯრებში მინების ნაცვლად ჩვრები ჩაეტენათ, დაღლილი, მუშაობისაგან ჯანგატეხილი დიასახლისი ყოველთვის მოძებნიდა ხოლმე მისთვის რაიმე საშმელს. ღარიბები არასდროს უარს არ ეუბნებოდნენ იმაზე, რაც თვითონვე აკლდათ. ამაში დარწმუნებული ჯეკი შემდგომ ამბობდა, რომ მოწყალება ძაღლისათვის გადაგდებული ძვალი როდია. მოწყალება ეს ის ძვალია, რომელიც ძაღლს იმიტომ გაუნაწილე, რომ თვითონ ძაღლზე არანაკლებ მშიერი ხარ.

ჯეკს ყველაზე მეტად უყვარდა თავშესაქცევი და სახიფათო შეჯიბრი მატარებლის მომსახურე ბრიგადასთან; მან ხომ მიზნად დაისახა დაემტკიცებინა, რომ იგი უდიდესია „გზის“ კეთილშობილ რაინდთა შორის, „ხობოთა“ მეფეა. ღამით, ვიდრე საუცხოო ტრანსკონტინენტალური ექსპრესი „ოვერლენდი“ დეპოდან გამოვიდოდა, ჯეკი ჩვეულებრივ წინ გაიქცეოდა და როცა მატარებელი ახლო ჩაუვლიდა, პირველ „ბრმა“ ვაგონს შეახტებოდა. მაგრამ აი, იგი შეამჩნია ბრიგადამ. მატარებელი შეაჩერეს. ჯეკი ბაქნიდან ხტება და სიბნელეში წინ მირბის. ამჯერად „ბრმის“ ბაქანზე მემუხრუჭე კონდუქტორი ზის, მაგრამ „ბრმა“ ბაქნიდან ვაგონში შესვლა შეუძლებელია. ამიტომ, ვიდრე მატარებელი სიჩქარეს აიღებდეს, კონდუქტორი უნდა გადმოხტეს და უკანა ვაგონს შეახტეს. ჯეკი იმდენად შორს იდგა წინ, რომ როცა მატარებელმა ჩაუარა, კონდუქტორი „ბრმაზე“ უკვე აღარ იყო. მას დამშვიდებით შეეძლო შეხტომა, მაგრამ არ უნდა ჩამოვარდნილიყო, თორემ დაიღუპებოდა. მას ეგონა საშიშროებამ ჩაიარაო, მაგრამ იმავე წუთში მატარებელი შეჩერდა და მასთან მივიდა ორთქლმავალზე მყოფი კონდუქტორი. ჯეკი კვლავ ჩახტა ბაქნიდან და წინ გაიქცა. როცა მატარებელი გაუსწორდა, დაინახა, რომ პირველ „ბრმაზე“ კონდუქტორი იჯდა. ჯეკი მეორეს შეახტა. კონდუქტორმაც დატოვა პირველი და მეორეზე გაჩნდა. ახლა ჯეკი მეორე მხრიდან ჩახტა ძირს და მთელი ძალით გაიქცა, რათა გაესწრო მატარებლისათვის და ისევ პირველს შეხტომოდა... კონდუქტორიც მისდევდა, მაგრამ ამასობაში მატარებელმა უკვე აიღო სიჩქარე და ველარ დაეწია. ჯეკმა იფიქრა, საშიშროება აღარ მომელისო, მაგრამ... მოულოდნელად ცეცხლფარეშმა ტუმბიდან წყლის ნაკადი გადაასხა... მატარებელმა სვლა შეანელა და ჯეკი ისევ გაიქცა წინ, სიბნელეში...

ასეთი შემთხვევებით იგი მეტისმეტად ამაყობდა. ოღონდაც! ვინ არის იგი? საწყალი მაწანწალა! მის გამო კი ოთხჯერ შეაჩერეს „ოვერლენდი“ — უამრავი მგზავრი, ბრწყინვალე ვაგონები, მთავრობის ფოსტა და ორი ათასი ცხენის ძალა, რომელიც მოუთმენლობისაგან ტორებსა სცემდა ორთქლმავლის საცეცხლურში. ასე დაუსრულებლად გრძელდებოდა ეს თამაში მთელი ღამე გათენებამდე. ყველგანმყოფი კონდუქტორისაგან თავის დაძვრენის მიზნით ჯეკი ადიოდა „გემბანზე“, ისევ ჩამოდიოდა, ფართოდ გაშლილი ლაჯებით დგებოდა ხოლმე მომიჯნავე ვაგონების ბუფერების ძელებზე, შეძვრებოდა მატარებლის ქვეშ და „ჯოხს მიაჭენებდა“, ე. ი. ვაგონის ღერძზე შემჯდარი მგზავრობდა. ამჯერად უკვე ორი კონდუქტორი, ცეცხლფარეში, გამცილებელი და მემანქანე იღებდნენ მონაწილეობას დევნაში. თვრამეტი წლის ყმაწვილი სიამაყისაგან მეშვიდე ცაზე იყო: მან „პროფესიის“ უმაღლესი მწვერვალები გადალახა და მერე როგორ! რა უშავს, თუ წაგების შემთხვევაში ძვირად დაუჯდება ეს თამაში! მთელი მომხიბლაობა ხომ სწორედ ამაშია!

იგი წარმოუდგენელ რისკს ეწეოდა. ხტებოდა. მთელი სიჩქარით მიმავალი მატარებლიდან. ერთხელ, ამდაგვარი გადმოხტომის დროს ისეთი სისწრაფით გაიქროლა ჰაერში, რომ წააქცია და გააბრუა პოლისმენი, რომელიც გზაჯვარედინზე იდგა და მიმავალ მატარებელს თვალყურს ადევნებდა. „ჯოხს მიაჭენებდა“ ცუდ გზებზე — გზებზე, სადაც კონდუქტორები ბრძოლას სხვანაირად ეწევიან: მსხვილ გადასაბმელ ტაბიკს მოაბამენ ბაგირს, წავლენ იმ ვაგონის წინა ბაქნისაკენ, რომლის ქვეშაც მაწანწალაა ჩამოკიდებული, და ვაგონის ქვეშ ისვრიან ტაბიკს. წნელი ლიანდაგზე დაცემისას სხლტება და... მაწანწალა ან კვდება ან სასიკვდილოდ იჭრება. მაგრამ ჯეკს ამის არ ეშინოდა. რამდენადაც უფრო სარისკოა, იმდენად უფრო საინტერესოა. ვიკინგია იგი თუ არა? განა ის არ იყო, სან-ფრანცისკოს ყურე რომ გადასცურა სამხრეთ-დასავლეთის მძვინვარე ქარში?

ლიზი კონელონის ბეჭედი კი ერთმა ფულის მოყვარულმა კონდუქტორმა გამოცანცლა, რომელმაც იგი სატვირთო ვაგონში აღმოაჩინა. ეს მთებში მოხდა. ირგვლივ თოვლიანი ქარბუქი მძვინვარებდა და ასეთ დროს მეტი რა გზა ჰქონდა!

თუ ღამით ძალიან ცივოდა, ჯეკი დეპოში შეიპარებოდა და ორ-

თქლმაელის ჯიხურში იძინებდა. ღამის გათევა ელექტროსადგურის ქვაბებზედაც უხდებოდა, სადაც არაჩვეულებრივი სიცხისაგან სულ ეხუთებოდა. დღისით ბიბლიოთეკაში დადიოდა და კითხულობდა, ღამღამობით კი ცდილობდა ჩქარი მატარებლის „ბრმა“ საბარგოში მოეკალათებინა. აი რა აღფრთოვანებით წერს თვითონ ამის შესახებ:

„მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, მთელი ღამე მატარებელში დავრჩენილიყავი. მატარებლის ბრიგადის დევნისაგან თავი რომ დამეცვა, გვიან ღამით ვმოგზაურობდი „ბრმებზე“, ორთქლმავლის ტენდერზე, პირუტყვის გადასაყვანი ვაგონებით, ორორთქლმავლიანი შემადგენლობის „ორთავას“ ჩარჩოზე, „გემბანზე“ და მატარებლის შემადგენლობის ცენტრალური ნაწილის ბაქნებზე“. ღამღამობით ისე ძლიერად ციოდა, დღისით კი — ცხელოდა, რომ სახეზე კანი დაუსკდა. მისივე აღწერით, იგი ხანძრისაგან შეტრუსულ ადამიანს ჰგავდა.

ყველა ასეთი წვრილმანი და ათასი ამდაგვარი ჯეკს დაწვრილებით აქვს აღწერილი თავის უბის წიგნაკში. თავზეხელაღებული, უხეში მეგობრების წრეში ყოფნისა და მის მიერვე მრავალჯერ ჩადენილი საკმაოდ უხამსი საქციელის მიუხედავად, ამ პერიოდის სამოცდაცამეტგვერდიანი დღიურიდან იგი წარმოგვესახება, როგორც რბილი ხასიათის, გამჭრიახი ჭკუის გულკეთილი ყმაწვილი. დღიურში მრავალი სახასიათო ჩანახატია — შემთხვევით გაცნობილთა პორტრეტები, ყურმოკრული საუბრის ნაწყვეტები, შენიშვნები იმის შესახებ, თუ რამ მოიყვანა გზაზე ეს სხვადასხვა ჯურის ხალხი, მაწანწალებისა და რკინიგზებზე უბილეთოდ მოგზაურთა ყარგონული გამოთქმები, ქალაქების, სხვადასხვა შემთხვევებისა და თავგადასავალთა აღწერები. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფანქრით ჩანაწერები გაკეთებულია სატვირთო ვაგონებში, დეპოში, გარყვნილთა ბუნაგებსა და სამიკიტნოებში, ისინი გვხიბლავს პოეტური სიტყვის ბუნებრივი მშვენიერებით. ყოველ სტრიქონში იგრძნობა მწერლის თანდაყოლილი ნიჭი. ყოველი გვერდი გამსჭვალულია მხნე ჭაბუკის ჯანსაღი სიხარულით, რომელიც შეუყვარებულია თავბრუდამხვევ, მუდამ ცვალებად, წარმტაც, საინტერესო ცხოვრებაზე.

თუმცა მომეტებული სიხარულით აღსავსე ეს ტონი ზოგჯერ ეცელება. ყოველთვის როდი გაისმის უცვლელი, თავდაჯერებული „მე,

მომხრე ვარ!“ სულიერ წონასწორობას უცებ უგუნებობა ცვლის და ღღიურში ჩნდება მსჯელობა თვითმკვლელობის უფლების შესახებ. ამ ადგილის კითხვის დროს უნებურად გვახსენდება ის ღამე, როდესაც ბენიციის ნავმისადგომებიდან ჯეკი წყალში გადავარდა და გადაწყვიტა, რომ თავის დახრჩობა გმირის ცხოვრების ღირსეული დაბოლოება იყო. მთელი სიცოცხლის მანძილზე მას გამუდმებით ესმოდა ეს სიკვდილის მოწოდება.

ერთხელ, როცა კლდოვანი მთების მწვერვალზე თოვლის ქარბუქი მძვინვარებდა, ჯეკი კინაღამ გაიყინა „ბრმის“ ღია ბაქანზე, მაგრამ გულკეთილმა კონდუქტორმა აცნობა, რომ მეორე ლიანდაგზე სატვირთო ვაგონში იმყოფებოდნენ უმუშევრები რენოდან — ეს კელის არმიის ერთ-ერთი ნაწილი იყო. ვაგონში შესულმა ჯეკმა დაინახა, რომ სიცივისაგან აკანკალებული ოთხმოცდაოთხი კაცი ერთმანეთს ისე მჭიდროდ მიკვროდა, ნემსიც არ ჩავარდებოდა; ფეხის დასადგმელი ადგილიც აღარსად იყო. ჯეკმა ვიღაცას ხელზე ფეხი დაადგა და... თითქოს „სალეწ მანქანაში“ მოხვდაო, დაუწყეს ვაგონის ერთი კუთხიდან მეორეში გადასროლა; ასე გრძელდებოდა, ვიდრე ჩალადაგებულ თავისუფალ ადგილს არ წააწყდა. ამ თავისებური წესით აღინიშნა მუშათა არმიის რიგებში მისი შესვლა.

არმია შესანიშნავი ადამიანებისაგან შედგებოდა: ზოგნი უმუშევრები იყვნენ, რომელთაც ნამდვილად სჯეროდათ, კონგრესი საშუშაოს მოგვცემსო, ზოგნიც — მაწანწალები, რომელნიც კელის არმიას მხოლოდ იმიტომ მიეტმასნენ, რომ მათთან ერთად ემგზავრათ. ისეთი ახალგაზრდებიც იყვნენ, როგორიც ჯეკი იყო, თავგადასავალთა ხარბი მაძიებლები. მატარებელი თოვლის ქარბუქში შიჰქროდა, ვაგონში კი რაღაც „ათას ერთი ღამის“ მსგავსი გაიმართა: დაადგინეს, თბილანა ვაგონის ამ ოთხმოცდახუთი მგზავრიდან თითოეულს ეამბნა პირველხარისხოვანი, ე. ი. მეტად საინტერესო ამბავი. წარუმატებლობის შემთხვევაში, მორიგ შეჰერეზადას „სალეწ მანქანაში“ მოხვედრა მოელოდა. ჯეკი წერს, რომ ეს იყო ჩინებული ამბების ორგია, რომლის მსგავსი შემდგომ აღარ უნახავს.

ვიწრო ვაგონში გამოკეტილი, რენოდან მომავალი ეს რაზმი ოცდაოთხი საათი უცდიდა ქარბუქის ჩადგომას. ლუკმა პური არავის

გადაუყლაპავს. როცა მატარებელმა ნებრასკის ველს მიაღწია, რაზმის წევრებმა ფული შეაგროვეს და პატარა ქალაქ გრანდ აილენდის ადგილობრივ ხელისუფალთ დაახლოებით ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნეს: „ოთხმოცდახუთი ჯანსაღი, მშიერი მამაკაცი ჩამოვა სადილობის დროს. დააპურეთ“. ზუსტად შუადღით მატარებელი გრანდ აილენდთან გაჩერდა. ქალაქის პოლიცია და „სტუმრების“ მიმღები სპეციალური კომისიის წევრები ჩამოსულებს წაუძღვნენ სასტუმროებსა და სასადილოებში, ასადილეს და უკანვე მოიყვანეს რკინიგზის სადგურში, სადაც მატარებელი მათ დაბრუნებას ელოდა.

ღამის პირველ საათზე ომახაში ჩავიდნენ. აქ მათ პოლიციის სპეციალური რაზმი დახვდათ, რომლის მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ, ვიდრე მისურზე, კაუნსილ ბლაფსში, არ გადაიყვანდნენ. შატოკვას პარკში დაბანაკებულმა გენერალმა კელიმ ბრძანა, მას შეერთებოდნენ. ამ ბრძანების შესასრულებლად ხუთი მილი კოკისპირული წვიმის ქვეშ უნდა გაევლოთ. ჯეკმა და მისმა ახალმა მეგობარმა, ორი მეტრის სიმაღლის ქერათმიანმა ახმახმა, მეტსახელად „შვედმა“, პოლიციელების რკალს თავი დააღწიეს და ღამის გასათევის საძებრად გაემართნენ. მალე უზარმაზარ, საყრდენ მორებზე წამოდგმულ ცარიელ მოძრავ ბარს წააწყდნენ. ჯეკმა თავისი ცხოვრების მანძილზე ყველაზე საშინელი ღამე აქ გაატარა. ნაგებობა მაღალ საბჯენებზე იდგა, მის ფარღალალებში ქარი ყოველი მხრიდან თავისუფლად დაზუზუნებდა. თავით ფეხებამდე გაწუწული ჯეკი დახლის ქვეშ შეძვრა და მთელი ღამე ყველა წმინდანს ევედრებოდა, მალე გათენებულიყო. სიცივისაგან გალურჯებული, ცოცხალმკვდარი ხუთ საათზე ომახაში დაბრუნდა სატვირთო მატარებლით და წაჩანჩალდა საუზმის სამათხოვროდ. შემდეგ მიათვალ-მოათვალიერა იქაურობა და კელის ბანაკისაკენ გასწია. ხიდზე ბაჟის ამკრეფმა შეაჩერა. ვიღაც გულშემატკივარმა ოცდახუთი ცენტი — „მეოთხედი“ გაუწოდა შატოკვას პარკამდე მატარებლის ბილეთის საფასურად. როგორც იქნა, ბანაკამდე მიაღწია და გენერალ კელის წარუდგა. იგი არიერგარდის უკანასკნელ მწკრივში გაანაწილეს.

ომახა-ჩიკაგოს რკინიგზის ხაზის მეპატრონეები მეგობრულად არ ყოფნენ განწყობილნი და ვერ გადაეწყვიტათ არმიის აღმოსავლეთი-

საკენ გასამგზავრებლად სატვირთო შემადგენლობის უფასოდ დათმობის საკითხი; ეშინოდათ, ვაითუ სხვებმაც მოითხოვონო. მათ მატარებლებს კელისა და მისი ბიჭებისაგან შეიარაღებული პინკერტონელი მაძებრები იცავდნენ. არმია ლიანდაგის გასწვრივ განლაგდა. ხალხსა და მასთან ერთად ჯეკსაც ორი დღე და ღამე აწვიმდა, აყრიდა სეტყვას, ბოლოს კი სველი თოვლის ფანტელებიც წამოვიდა. მაშინ კაუნსილ ბლაფსის ახალგაზრდა ქალებმა შეაგულიანეს ერთი ყმაწვილი, წაეყვანა ორთქლმავალი, რომელზედაც მამამისი მემანქანედ მუშაობდა, ხოლო თანამგრძნობთა ომახას კომიტეტმა ძლივძლივობით შეძლო სატვირთო მატარებლის პატარა შემადგენლობის შეკოწიწება. მაგრამ, როცა მატარებელი არმიის განლაგების ადგილთან ჩამოდგა, გამოირკვა, რომ იგი ყველას ვერ დაიტევდა, და ამიტომ შემადგენლობა ქალაქში დაბრუნდა.

ხელისუფლებასთან რამდენიმე წარუმატებელი შეტაკების შემდეგ, კელიმ გადაწყვიტა გენერალ კოკსისთან შესაერთებლად არმია ლაშქრული წესით დაეძრა ვაშინგტონისაკენ. ომახასა და კაუნსილ ბლაფსის მცხოვრებლებისაგან შემოწირული სურსათ-სანოვაგე და ბანაკის ინვენტარი მათსავე ნაჩუქარ თორმეტ ფურგონში ჩატვირთეს და არმია გზას გაუდგა. კოლონას კელი მიუძღოდა, რომელიც კაუნსილ ბლაფსის აღფრთოვანებული მცხოვრებლების ნაჩუქარ შავ ცხენზე იჯდა. დროშებითა და ალმებით მიმავალ არმიას მეტად შთამაგონებელი შესახედაობა ჰქონდა. ორი დღის შემდეგ ჯეკს ფეხსაცმელი გაუცვდა. მან ინტენდანტს მიმართა, მაგრამ განუცხადეს, ჩექმები არა გვაქვს, ყოველ შემთხვევაში თქვენთვის მაინცაო. სხვა გზა არ იყო, წინდებით უნდა ევლო. მეორე დღეს ფეხები ისე გადაეყვლიფა, რომ ძლივძლივობით მიაბიჯებდა. გადაწყვიტა, პროტესტის ნიშნად ფეხშიშველი ევლო. მხოლოდ ამის შემდეგ გამოუძებნეს სასწრაფოდ ინტენდანტებმა რაღაც ფეხსაცმელი.

აიოვას შტატის მცხოვრებლებმა ისინი მეგობრულად, სიხარულით მიიღეს. რომელ ქალაქშიაც არ უნდა შესულიყვნენ, მთელი მოსახლეობა ალმებით ეგებებოდა. როგორც კი დაბანაკდებოდნენ კელის ჯარისკაცები, ადგილობრივი მცხოვრებნი ჯგუფ-ჯგუფად გაემართებოდნენ მათკენ, რათა ერთად ემღერათ, მოესმინათ პოლიტიკური შინაარსის სიტყვები ანდა ენახათ, როგორ იბრძოდა ბეისბოლის ად-

გილობრივი გუნდი არმიელთა წინააღმდეგ. „ქალთა წკრიალა ხმას,— წერს დღიურში ჯეკი,—უერთდებოდა მუშათა არმიის ჯარისკაცთა უამინდობისაგან ჩახლეჩილი ხმა“. ჯეკი სიამაყით აღნიშნავს, არმია ჩინებულ შთაბეჭდილებას სტოვებდა ყველაზეო, ბევრს უკვირდა, რომ ჯარისკაცებს შესანიშნავად ეჭირათ თავი, რომ თითოეულ მათგანს კეთილი, სანდომიანი სახე ჰქონდა.

ჯეკის თვითნებობამ აქაც იჩინა თავი: მკაცრ დისციპლინას ვერ ეგუებოდა, ყველაფერი ისე უნდოდა გაეკეთებინა; როგორც თვითონ სურდა, და ისწრაფვოდა რაც შეიძლება მეტი შეეტყო იმ მხარის შესახებ, სადაც მოგზაურობდა. როგორც კი შეღამდებოდა, უჩუმრად გაეპარებოდა გუშაგებს და ქალაქის დასათვალიერებლად გარბოდა. ფეხები ისევ გადაეყვლიფა და მტკიცედ გადაწყვიტა მგზავრობა სატვირთოთი განეგრძო: ადგილობრივმა შერიფებმა არმიას ფურგონები მისცეს იმათთვის, ვისაც ფეხით სიარული აღარ შეეძლო. ასე იყო თუ ისე, ვერც კი მოაწწრეს ქალაქ დე მოინამდე ჩასვლა, რომ სასიამოვნო მგზავრობას ბოლო მოეღო. ჯეკმა დაიფიცა — საპყრობილეშიც რომ ჩაესვათ, ერთ ნაბიჯსაც აღარ გადადგამდა დასიებული ფეხებით. როგორც იქნა, სადგურამდე მიაღწია, სადაც „საზოგადოების გულჩვილობით ისარგებლა და ბილეთის საფასური მოაგროვა“.

როცა ქალაქ დე მოინში შევიდნენ, კელის ჯარისკაცებმა განაცხადეს, რომ ფეხები ყველას გადაეყვლიფა. ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი, კმარა! ისინი აღარსად არ წავლენ. ორი ათასმა მლოცვარმა აავსო ქალაქი. გაჭირვებაში მყოფმა ქალაქმა ჯარისკაცები გაუქმებულ ღუმელების ქარხანაში მოათავსა და მათ დღეში ექვსი ათას ულუფას უგზავნიდა. ამავე დროს, ადგილობრივი ხელისუფალნი რკინიგზის ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ, რათა არმია შემდეგ სადგურამდე გადაეყვანათ, მაგრამ რკინიგზელები ვერ დაიყოლიეს. ჯეკი ისვენებდა, თამაშობდა ბეისბოლს, გამოჯანმრთელდა და გამოიძინა კიდევაც. ქალაქში შემოწირულება შეუგროვეს, არმიამ ტივები შეკრა და მდინარე დე მოინს დაუყვა.

ახალგაზრდა მეზღვაურმა სეილორ-ჯეკმა და კიდევ ცხრა კაცმა მისი ასეულიდან, მისივე სიტყვებით, ყველა ენერგიულმა და საქმოსანმა ბიჭმა — პატარა, მაგრამ კარგი გემი აირჩია და მდინარის

დინებას დაჰყვნენ. ისინი არმიას ყოველთვის წინ უსწრებდნენ ერთი დღით, ხოლო ზოგჯერ დღე-ღამითაც. გამოჩნდებოდა თუ არა ქალაქი, ამერიკულ დროშას ასწევდნენ, თავს მოწინავე გემად, ავანგარდად გაასაღებდნენ და ითხოვდნენ ანგარიშის ჩაბარებას, თუ რა ღონისძიებანი გაატარეს არმიის მოსამარაგებლად. ფერმერებს სურსათ-სანოვაგე მოჰქონდათ, სეილორ-ჯეკი და მისი მეგობრები ყველაფერს საუკეთესოს თვითონ იტოვებდნენ: თუთუნს, რძეს, კარაქს, შაქარსა და კონსერვებს. იმის თქმაც არ შეიძლება, რომ მთლად უსინდისოდ იქცეოდნენ, სრულიადაც არა! არმიისათვის ცალკე გადააწყობდნენ ფქვილს, მარცვლეულს ტომრებით და საქონლის ხორცს. თავიანთვის კი იმდენი ჰქონდათ გადამალული, რომ უდარდელად ეცხოვრათ. ასე გასინჯეთ, ისინი ყავასაც არ ხარშავდნენ წყალში. რა გასაჭირი ადგათ? რძე ხომ უამრავი ჰქონდათ! ჯეკს ეშვი არ ეპარებოდა იმაში, რომ არმიელებს უჭირდათ, მაგრამ რას იზამ? მათ ათეულში ფხიანი, ყოჩაღი ბიჭები იყვნენ და, თავისთავად გასაგებია, ისინი იმ ანდაზას მისდევდნენ, რომელიც ღაღადებს: „ჯერ თავო და თავო და მერე ცოლო და შვილოო“.

აღშფოთებულმა გენერალმა კელიმ პატარა კარჭაპი დააწინაურა, რათა „ავანგარდის“ ეს საქმიანობა აღეკვეთა. მაგრამ ვერაფერს გახდა. მაშინ ორი ცწენოსანი გაგზავნა ახლომდებარე მოსახლეობის გასაფრთხილებლად. ამის შემდეგ ჯეკსა და მის მეგობრებს, რომ არ გავაზვიადოთ, გულგრილად იღებდნენ და მათაც, ნებსით თუ უნებლიეთ, არმიასთან ერთად მოუხდათ მგზავრობა. ილინოისის შტატში ჩავიდნენ. კუინსში, რომელიც შეერთებული შტატების პატარა ქალაქებს შორის ყველაზე მდიდარ ქალაქად ითვლებოდა, ჯეკი მთელი დღე მათხოვრობდა და იმდენი საცვლები, წინდები, პერანგები, ფეხსაცმელები, ქუდები და კოსტუმები მოიტანა, რომ ნახევარ ასეულს ეყოფოდა. კუინსის მცხოვრებლებმა მისგან ერთმანეთზე უკეთესი მრავალი ამბავი მოისმინეს. შემდგომში, როდესაც წერა დაიწყო, ჯეკი წუხდა, რომ ოდესღაც ასე უთავბოლოდ ანიავებდა თავისი შთაგონების უხვ მოსავალს.

მაგრამ ვაი რომ კმაყოფილებისა და სიმაძღრის დღეები გაქრა! ოცდათექვსმეტი საათის განმავლობაში ფერმერებმა არმიას უფასოდ ლუკმა პურიც არ მისცეს. მზის სხივებს სიმხურვალე თანდათანო-

ბით ემატებოდა, გაზაფხული კარზე იყო მომდგარი; ჰაერი გამაბრუ-ებელი სურნელებით ივსებოდა... მუშათა არმია კი ნელ-ნელა, ჯგუფ-ჯგუფად იშლებოდა, იფანტებოდა.

თავის უბის წიგნაკში ჯეკმა ნაჩქარევად ჩაწერა: „ხვალ დილით ბარგი უნდა ავიკრა. აუტანელი შიმშილობაა". მასთან ერთად დე-ზერტირი გახდა მდინარის საქმოსნობაში შეძენილი ცხრავე ვაჟკა-ცი. გენერალი კელი ჯიუტად მიიწევდა წინ ერთი მუჭა ხალხის თან-ხლებით. ბოლოს, როგორც იქნა, ვაშინგტონში ჩააღწია, მაგრამ... გენერალი კოკსი საპყრობილეში დაუხვდა. კოკსმა თავის ეპოქას გა-უსწრო — იგი ფედერალური მთავრობისაგან უმუშევართა უზრუნ-ველყოფას ითხოვდა. რამდენიმე მთავრობის გამოცვლა შეიქნა სა-ჭირო, ვიდრე სხვებიც ამავე აზრამდე მივიდოდნენ. და ეს კაცი კაპი-ტოლიის დაცვის პოლისმენებმა გაზონებზე სიარულისათვის დააპა-ტიმრეს!

ჯეკსონვილამდე ჯეკმა ექსპრეს „კანონბოლით" („ზარბაზნის ყუმ-ბარა") იმგზავრა კანზას სიტისა და მესონ სიტის შუა ხაზზე მოძრა-ვი სამგზავრო მატარებლით. შემდეგ კი საქონლის გადასაყვან შემა-დგენლობაში მოიკალათა და მთელი ღამე ჩიკაგოსაკენ მიჰქროდა. იქ, ფოსტაში მას ელოდებოდა წერილები სახლიდან და ელიზას გამო-გზავნილი ოთხი თითო დოლარიანი მომწვანო ფერის ქაღალდი. ნახ-მარი ტანსაცმელების მაღაზიაში ჯეკმა შეიძინა ფეხსაცმელები, ქუდი, წყვილი შარვალი, პიჯაკი და პერანგი. საღამოს თეატრში იყო, და-ათვალიერა ქალაქი და ოკლენდიდან წამოსვლის შემდეგ თხუთმეტ ცენტად პირველად გაათია ღამე საწოლში. მეორე დღეს კი ბორნით ტბის მეორე მხარეზე, მიჩიგანის შტატში—ქალაქ ჯოზეფში გადავიდა, სადაც ფლორას და, მერი ევერგარდი ცხოვრობდა. ევერგარდების კარგად მოწყობილ სახლში ჯეკმა რამდენიმე კვირა დაჰყო. დღიურის ფურცლებს შენიშვნებით ავსებდა, ისვენებდა და ნელ-ნელა უბ-რუნდებოდა შიმშილობის დროს თანდათანობით დაკარგული ჯან-ღონე. ზოგჯერ ბაღში მიწასაც ჩიჩქნიდა. დეიდა მერი ანებივრებ-და და გემრიელ საჭმელებს სთავაზობდა, ჯეკი კი ნათესავებს „გზის" არაჩვეულებრივი ამბებით ართობდა. შუა ზაფხული იქნებოდა, როცა უბილეთოდ იმგზავრა ნიუ-იორკამდე. ჩვეულებისამებრ დილით მათ-ხოვრობდა, შემდეგ, პაპანაქებისაგან თავის დასაცავად, სიტი ჰოლ-

თან—ქალაქის თვითმმართველობის წინ მდებარე პატარა ბაღს მიაშურებდა. იქ იგი, ბალახზე წამოწოლილი, გატაცებით კითხულობდა იაფფასიან წუნდებულყდებიან ახალ წიგნებს და თან ყელს ყინულივით ცივი რძით ისველებდა, რომლის ყოველ ჭიქაში თითო ცენტს იხდიდა.

ერთ მშვენიერ დღეს ჯეკი უსაქმურთა გროვას მიუახლოვდა, რომელიც გარს შემორტყმოდა კენჭაობის თამაშით გართულ ბავშვებს. უცებ საშინელი ყვირილი გაისმა: „ხარები! თავს უშველეთ!“ უსაქმურთა გროვა გაიფანტა. ჯეკი, იღლიაში ამოჩრილი წიგნით, აუჩქარებლად გაემართა თავისი ბაღისაკენ. მალე შეამჩნია, რომ მისკენ პოლისმენი მოდიოდა. ჯეკი, თითქოს მას ვერ ამჩნევსო, გზას განაგრძობდა. პოლისმენი გაუსწორდა თუ არა, თავში ჯოხი უთავაზა და წააქცია. გაბრუებული და ტკივილისაგან დაბრმავებული ჯეკი ძლივ-ძლივობით წამოდგა და მოკურცხლა. ადგილზე რომ დარჩენილიყო, ერთი თვით ჩააყუდებდნენ ბლეკუელ აილენდის საპყრობილეში პოლისმენისადმი წინააღმდეგობის გაწევისათვის.

ორი დღის შემდეგ ჯეკი სატვირთო ვაგონით ქალაქ ნიაგარა ფოლსში ჩავიდა და მაშინვე ჩანჩქერს მიაშურა. თვალი ვერ მოაცილა ამ არაჩვეულებრივ სანახაობას და მთელი დღე მოჯადოებულივით შესცქეროდა ისე, რომ ჭამა არც გახსენებია. ღამის თერთმეტ საათზე ისევ ჩანჩქერთან იჯდა და ტკბებოდა იმის ყურებით, თუ როგორ კიაფობდა მთვარის შუქი მუქ წყალში. შემდეგ ქალაქგარეთ გასწია, გადაძვრა მაღალ ღობეზე და ვიღაცის მინდორში დაიძინა. დილის ხუთ საათზე გამოეღვიძა და ისევ ჩანჩქერისაკენ გაემართა. ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა. უცებ შეამჩნია, მისკენ სამნი მოემართებოდნენ: ორი „ხობო“, ხოლო შუაში „მეძებარი“ — პოლიციის აგენტი. „რომელ სასტუმროში გაჩერდით?“ საკმარისი იყო რომელიმე სასტუმროს დასახელება, მაგრამ ჯეკი დაიბნა. იგი დაატატიმრეს, როგორც მაწანწალა, და ქალაქის საპყრობილეში გაგზავნეს. მეორე დილით თექვსმეტი პატიმარი საბრალდებულო სკამზე დასვეს. მოსამართლე, რომელიც „შეთავსებით“ მდივნის მოვალეობასაც ასრულებდა, მაწანწალებს ერთიმეორეზე იძახებდა და თვალის დაუხამხამებლად თითოეულს ოცდაათ-ოცდაათი დღით გამასწორებელ სახლში მუშაობას უსჯიდა.

ჯეკს გვერდზე ვიღაც აყლაყუდა ზანგი ამოუყენეს და ხელბორკილით ერთმანეთს გადააბეს, შემდეგ ხელბორკილების ნახვრეტებში ფოლადის ჯაჭვი გაატარეს და რვა წყვილი ტუსაღი ერთმანეთზე გადაბმული აღმოჩნდა. ისინი ნიაგარა ფოლსის ქუჩებზე გაატარეს და სადგურში მიიყვანეს. მატარებელში ჯეკმა თუთუნი მიაწოდა მის უკან მჯდომ ტუსაღს. ლაპარაკის დროს გამოირკვა, რომ ახალი ნაცნობი უკვე რამდენიმეჯერ მჯდარა სხვადასხვა სატუსაღოში და კარგად იცოდა იქაური ზნე-ჩვეულებები. ისინი დამეგობრდნენ. პატიმრები ერის ოლქის გამასწორებელ საპყრობილეში მიიყვანეს. ჯეკი სუფთად გაპარსეს და, მიღებული წესის თანახმად, ტუსაღის ზოლებიანი ტანსაცმელი ჩააცვეს. დილით ადრე ტუსაღები ერთმანეთის მიყოლებით მჭიდროდ დააწყვეს და, საპყრობილის ეზოს გავლით, არხში მდგარი გემის დასაცლელად წაიყვანეს.

სამუშაო მეტად მძიმე იყო. ტუსაღები კი მხოლოდ პურსა და წყალზე ჰყავდათ. მართალია, კვირაში ერთხელ ხორციან საჭმელს აძლევდნენ, მაგრამ მისი ჭამა თითქმის შეუძლებელი იყო. გავიდა ორი დღე და, აი, ჯეკს მხსნელად მოევლინა მატარებელში გაცნობილი ტუსაღი. ზედამხედველთა შორის თურმე მისი მეგობრები, საპყრობილის „ძველი ვირთაგვები", აღმოჩენილან და იგი მაშინვე დერეფნის მამასახლისად დაუნიშნავთ. ჯეკსაც უშოვა ასეთივე თანამდებობა. დერეფნის მამასახლისის მოვალეობას შეადგენდა ტუსაღებისათვის ულუფის დარიგება და წესრიგის დაცვა. პურის ზედმეტ ნარჩენებს ჯეკი წიგნებზე, თუთუნზე, საბეჭურებზე ან ინგლისურ ქინძისთავებზე სცვლიდა, რომელთაც შემდეგ გრძელვადიანებს ხორცზე უცვლიდა.

„უფროსი" ნათლად ხედავდა, რაც ხდებოდა დერეფნის საკნებში. ჯეკი მოწმე იყო, როგორ ეხეთქებოდნენ იატაკზე ეპილეპსიით დაავადებულები, როგორ ირყეოდნენ ჭკუიდან ტუსაღები. მის თვალწინ ხალხი ცემით სიკვდილის პირამდე მიჰყავდათ, ხოლო ერთი მათგანი რვა მალიანი ქვის კიბიდან გადმოუშვეს და კიბის თითოეულ საფეხურზე სეტყვასავით აყრიდნენ მუშტებს. საპყრობილე სწორედ რომ წამების საკანი იყო, სადაც უმწეოდ დარჩენილებს აუწერელი საშინელებანი მოელოდათ. ჯეკი ზედამხედველების გარდა დაუახლოვდა დაცვის მუშაკებსაც, მოკლე და გრძელვა-

დიან ტუსაღებს. ყურს უგდებდა მათ ნაამბობს, იმახსოვრებდა განსაკუთრებულ გამოთქმებს, ქვეყანას მათი თვალთახედვით შეჰყურებდა და, საერთოდ, შეეთვისა კიდეც მათ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჯეკს თავის მეგობართან კარგი განწყობილება ჰქონდა. ისინი მრავალ საათს ატარებდნენ ტკბილ, მეგობრულ მუსაიფში, აწყობდნენ გეგმებს, თუ რა „საქმეები" მოეკვარახჭინებინათ ქურდობაში, როცა თავისუფლებას ეღირსებოდნენ.

როგორც იქნა, სასჯელის მოხდის ვადა გავიდა. მეგობრები გაანთავისუფლეს. ბუფალოს მთავარ ქუჩაზე „ცოტა რამ გაიკრეს ჯიბეში" და ლუდხანას მიაშურეს, რომ თითო ტოლჩა გადაეკრათ. ლუდისათვის ჯერ ხელი არ ეხლოთ, როცა ჯეკმა რაღაც მოიმიზეზა, მეგობარი ტოლჩებთან დატოვა და თვითონ უკანა კარებიდან გარეთ გამოვიდა, გადაახტა ზღუდეს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოკურცხლა სადგურისაკენ. ცოტა ხნის შემდეგ სატვირთო შემადგენლობა მას უკვე დასავლეთისაკენ მიაქროლებდა.

რამდენიმე თვე დასჭირდა, რათა კანადის რკინიგზებით სამი ათასი მილი გაევლო. რამდენჯერმე იგი მხოლოდ მისმა ტალანტმა იხსნა საპყრობილისაგან. შეეძლო ისეთი ამბავი გამოეგონებინა, როგორი პოლისმენიც არ უნდა ყოფილიყო, დააჯერებდა, რომ მის წინ მაწანწალა არ იდგა. შიმშილობაც ბევრჯერ გადაიტანა. ფრანგული ენა არ იცოდა, ხოლო კანადელ ფერმერებს მაწანწალებისა საერთოდ ეშინოდათ. ისეც ხდებოდა, რომ მთელი ღამის განმავლობაში, ვაგონ-რეფრეჟირატორით მგზავრობის შემდეგ, დილით ძლივ-ძლივობით ახერხებდა გარეთ გამოძვრომას საჭმლის საშოვნელად.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც მოსწონდა სათავგადასავლო შემთხვევები. განსაკუთრებით კარგი იყო ნახშირით დატვირთული საბარგო ვაგონით ათასი მილის გავლა. ყოველ გაჩერებაზე ჯეკი ქალაქში გადიოდა საჭმლის „გასაიმასქნებლად". ნადავლით დაბრუნებული ზეიმობდა თავის ნახშირის ბუნაგში და თვალს ადევნებდა, როგორ მიქროდნენ კანადის ტყეები და ველები. ბოლოს მიაღწია ვანკუვერს, იქ მატროსად მოეწყო „უმატილაზე" და სან-ფრანცისკოში დაბრუნდა.



III

რამდენიც არ უნდა ქექოთ საბუთები და ჩანაწერები ჯეკ ლონდონის შესახებ, მთელი ძიება ამაო იქნება: ღატაკებიდან უღატაკესთა შორის, რომელთაც სოციოლოგები „დათრგუნვილ მეათედს“ უწოდებენ, ცხოვრების ფსკერზე გატარებული იმ ერთი წლის წინ ჯეკი არც ფიქრობდა სოციალიზმზე. როგორც შემდეგში თვითონვე აღიარებს, იგი თავგამოდებული ინდივიდუალისტი იყო. ამ ინდივიდუალისტმა თავის მეგობრებთან ერთად უყოყმანოდ, მოტყუებით მშიერი დატოვა თავისი ამხანაგები — კელის არმია, იმიტომ, რომ „ინიციატივა ჩვენს ხელში იყო და ჩვენ ჯი მტკიცედ გვწამდა, რომ „სურსათი“ იმისია, ვინც პირველი მიასწრებს“. როცა იგივე ინდივიდუალისტი „გამასწორებელში“ დერეფნის მამასახლისად იყო, არც უფიქრია ზედმეტი პური საცოდავი ტუსაღებისათვის დაერიგებინა; პირიქით — აიძულებდა მათ, იმ მცირე მარაგიდან, რაც გააჩნდათ, ნატურითვე მიეცათ თუთუნი, ლუდი, ხორცი. სახარბიელო ჯანმრთელობა, მაგარი კუნთები და ისეთი კუჭი ჰქონდა, რომ, როგორც იტყვიან, ლურსმნის მონელებასაც შესძლებდა. შმაგად შეჰ-

ხაროდა თავის ახალგაზრდობას და არავის ეპუებოდა არც მუშ ლიად ში და არც ცემა-ტყეპაში. ეგონა, მუდამ ასე მძვინვარე ქა.ორე ქივით იქროლებდა ამქვეყნად და თავისი ძალ-ღონითა და უპირატესობით ყველასა და ყველაფერს დაიმორჩილებდა. ამაყობდა, რომ ბუნებამ მას ძლევამოსილი რჩეულის ბედი არგუნა.

შემდგომში ჯეკმა გაიგო, თუ როგორ ივსებოდა „დათრგუნვილი მეათედის“ რიგები. ამან გააოცა და ამანვე აუხილა თვალები. აქამდე ეგონა, რომ „გზაზე“ თავისი ნებით, ხეტიალის სურვილით გატაცებულნი მიდიოდნენ, რათა სათავგადასავლო შემთხვევების ძებნაში ჩაეხშოთ პასუხისმგებლობის გრძნობა. ზოგიერთი მაწანწალა მართლაც უსაქმური, გონებადახშული, ზარმაცი ან ლოთი იყო, განსაზღვრული ნაწილი კი — ნამდვილი ნაძირალა, რომელთა მიმართ უძლური იყო ყოველგვარი სოციალური სისტემა. ჯეკს კარგად ესმოდა ეს; მაგრამ, როგორც ძალიან მალე დარწმუნდა, მათი უმრავლესობა „ქერათმიანი საქმოსნები“ იყვნენ, ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანები, როგორიც თვითონ მუშები და მატროსები. გაჭირვებამ, მძიმე შრომამ და უბედურებამ ისინი სულიერად დაამახინჯა, შემდეგ კი „გზაზე“ გარიყა, როგორც ბებერი, ჯანგამოცლილი ჯაგლაგები. აი, ახლა, მაწანწალებად ქცეულებს, არც საქმელი აქვთ, არც ჩასაცმელი და არც თავშესაფარი უამინდობის დროს. ჯეკი მათთან ერთად ზელდა ტალახს გზებზე, მათთან ერთად ითხოვდა მოწყალებას კარდაკარ, სიცივისაგან კბილებს აკაწკაწებდა სატვირთო ვაგონებში და ბულვარის სკამებზე მჯდარი და ყურს უგდებდა იქ გაგონილ ამბებს. ისინი ისევე იწყებდნენ, როგორც თვითონ და თავის სიცოცხლეს სანაგვე ყუთში — სოციალური უფსკრულის ფსკერზე ამთავრებდნენ.

აქ იყვნენ ქარხნის მფლობელების მიერ დათხოვილი, უსაფრთხოების წესების დაცვის გარეშე დადგმული მანქანებისაგან დასახიჩრებული ადამიანები. ადამიანები, რომელთაც ჯანმრთელობა ქარხანაში თოთხმეტ-თოთხმეტი საათის უჰაერო მუშაობის შედეგად დაეკარგათ, ახლა კი დაეთხოვათ შრომის უუნარობის გამო; ადამიანები, რომელნიც დაბერებულიყვნენ ჭაპანწყვეტაში და ახლა, სხვებს, ძალ-ღონით სავსე ახალგაზრდებს, გამოედევნათ; აქ იყვნენ შინამრეწველები, რომელთაც ახალ დროში ვერ გამოეყენებინათ თავისი

ი, ადამიანები, რომელთა შრომას მანქანები ასრულებდნენ, ...ვაჟკაცები, რომლებიც ქალებმა და ბავშვებმა შეცვალეს, რადგან მათ მცირე ხელფასს აძლევდნენ. ზოგს სამუშაო კრიზისის გამო დაეკარგა და ვერსად მოწყობილიყო. აქ ისეთი მუშებიც იყვნენ, რომელთაც არ ჰყოფნიდათ კვალიფიკაცია, რათა ახალი, ტექნიკურად სრულყოფილი მანქანების მართვას დაუფლებოდნენ; სეზონური მაწანწალები, რომელთაც თვით პროფესია აიძულებდა წლის განმავლობაში ოთხი-ექვსი თვე უქმად ეხეტიალათ. იყვნენ უნიჭო, საშუალო და დეგენილი მუშებიც, რომელნიც კონკურენციის შედეგად ქაოტიური წარმოების წიდა გამხდარიყვნენ. ისინი ჯურღმულებში ყოფნას მაწანწალობას არჩევდნენ; აქ იყვნენ უზომოდ დიდი სამუშაო დღისა და მცირე ხელფასის წინააღმდეგ გაფიცვის მონაწილენიც; საწარმოთა მფლობელებს ისინი შავ სიაში შეეტანათ და მათი ადგილი შტრეიკბრეხერებს დაეკავებინათ.

ჯეკმა დაინახა, რომ ხუთი, ათი, ოცი წლის შემდეგ მის ადგილსაც უფრო ღონიერი, უფრო ახალგაზრდა დაიკავებდა და ის, ძალაუნებურად, მაწანწალა ან ჯურღმულების მკვიდრი გახდებოდა. მან ორი რამ შეითვისა: პირველი — საჭიროა განათლების მიღება, რათა იმუშაოს ჭკუამ და არა კუნთებმა, რომლებიც მალე ცვდება და რომელთა შეცვლაც ადვილია; მეორე — თუ ეკონომიური სისტემა ადამიანს ცხოვრების საუკეთესო წლებს ართმევს და შემდეგ კი სანაგვეში ისვრის, რათა იქ ცოცხლად გაიხრწნას ან შიმშილით სული ამოხდეს, ასეთი სისტემა მანკიერია, იგი ადამიანისათვის, ოჯახისათვის ტრაგიკულ სიტუაციას ქმნის და საზოგადოებას სიმკაცრესა და მფლანგველობას აჩვევს.

ოკლენდში დაბრუნებისას ჯეკი დარწმუნდა, რომ მისი მსოფლმხედველობა და ცხოვრებისადმი დამოკიდებულება შეიცვალა. იგი გაიტაცა რაღაც ახალმა, მაგრამ სახელდობრ რამ, ამაში ჯერ თვითონაც ვერ გარკვეულიყო. სად ეპოვა პასუხი? ისევ წიგნებს ჩაუჯდა. მუშებისა და „გზის“ სხვა თანამგზავრებისაგან, რომელთა შორის განათლებული და ნაკითხი ხალხიც ერია, მან ბევრი რამ გაიგო პროფესიული კავშირების, სოციალიზმისა და მუშათა სოლიდარობის შესახებ. ასე იპოვა მან ძიების გეზი.

უპირველეს ყოვლისა, გაიგო, რომ თანამედროვე სოციალიზმს

რაღაც სამოცდაათი წლის ისტორია აქვს. მაშასადამე, ეს სრულიად ახალი მოძღვრებაა, რომელიც დედამიწაზე რამდენიმე წლით ადრე გაჩენილა ამქვეყნად. ჯეკმა იგრძნო, რომ ბედი არაჩვეულებრივად სწყალობდა. იგი ამ მოძღვრების თანამედროვე, თითქმის მისი ჩასახვის მოწმეა და, ასე ვთქვათ, მხოლოდ ცოტა შეაგვიანდა, რომ მისი ერთ-ერთი მოთავეც გამხდარიყო. ეს საკმარისი აღმოჩნდა. აღფრთოვანებულიყო. განაგრძო ამ საკითხის შესწავლა, და უეცრად: სდექ! თურმე რევოლუციას ადამიანები კი არ ჰქმნიან, არამედ ეკონომიური პირობები. თანამედროვე სოციალიზმის აკვანი, საფრანგეთი, ამხედრდა, რათა მოეცილებინა საზიზღარი უღელი — დამპალი მონარქია; მაგრამ წელში გამართვა ვერც კი მოასწრო, რომ მას წინანდელზე არანაკლები სიმძიმის ტვირთი — ბურჟუაზია — აჰკიდეს. წარმოებაში მანქანების დანერგვას თან მოჰყვა სამუშაო დღის გადიდება, ხელფასის დაკლება და ციკლური უმუშევრობა; მშრომელები იმაზე უარეს პირობებში აღმოჩნდნენ, ვიდრე ეს თავაშვებული, უთავბოლოდ მფლანგველი მეფეების დროს იყო. წამოიჭრა ახალი რევოლუციის აუცილებლობა, ამჯერად უკვე ეკონომიურისა და არა პოლიტიკურის. აუცილებლობამ წარმოქმნა სოციალ-უტოპისტები, რომლებმაც აღნიშნეს: მხოლოდ უმცირესობაა ფუფუნებაში ჩაფლული, უმრავლესობა კი მუდამ შრომობს და სიცოცხლეს სიღარიბეში ატარებსო. ამ დაკვირვებამ ისინი სოციალიზმამდე მიიყვანა.

ჯეკი დაეწაფა ბაბეფის, სენ-სიმონის, ფურიესა და პრუდონის შრომებს. მათ პირველებმა აიმაღლეს ხმა კერძო საკუთრების წინააღმდეგ და პირველივე იყვნენ იმათ შორის, რომელთაც განსაზღვრეს ეკონომიური კლასები, წამოაყენეს დებულება, რომ კერძო საკუთრება ემყარება ადამიანის შრომას; მოითხოვეს არაშრომითი შემოსავლისა და სიმდიდრის მემკვიდრეობით გადაცემის გაუქმება, წამოაყენეს რევოლუციური კონცეფცია, რომ სოციალური რეფორმა მთავრობის ფუნქციას უნდა შეადგენდეს.

საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში ჯეკმა ხუთ ცენტად იყიდა მიხაკისფერფურცლებიანი ბლოკნოტი და დაუდევარი, გაკრული ხელით დაიწყო ჩაწერა, თუ რა მიზანს ისახავდნენ სოციალიზმის ეს პიონერები, რომელნიც ცდილობდნენ წარმოედგინათ

წარმოების ისეთი სისტემა, როცა შრომა ყველასათვის სავალდებულო გახდებოდა, ხოლო სამუშაოთი ყველა იქნებოდა უზრუნველყოფილი. მას აღნიშნული აქვს, რომ მათ ნიადაგი კი მოუმზადეს რევოლუციას, მაგრამ არ მიუთითეს სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის საშუალებებზე, რადგან იმედოვნებდნენ, ქრისტიანული გულშემატკივრობით გამსჭვალული კაპიტალისტები თვით შექმნიდნენ სოციალიზმს მუშებისათვის.

ერთხელ „გზაზე" მან როგორღაც ყური მოჰკრა ვიღაც მოხეტიალე ფილოსოფოსის საუბარს „კომუნისტური მანიფესტის" შესახებ. ჯეკმა მონახა „კომუნისტური მანიფესტი" და ხარბად დაეწაფა მის სტრიქონებს. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ამ ფურცლებზე — მოულოდნელად და სასწაულებრივად — მისი ნაფიქრალი და ნააზრევი ალაპარაკებულიყოს. უსიტყვოდ მოიხარა ქედი კარლ მარქსის დებულებათა წინაშე, რადგანაც სწორედ იქ იპოვა ის მეთოდი, რომელიც, არათუ შესაძლებლობას აძლევდა კაცობრიობას — შეექმნა სოციალისტური სახელმწიფო, არამედ ისტორიული და ეკონომიური აუცილებლობის გამო აიძულებდა მას მიეღო სოციალიზმი. ჯეკმა ნაჩქარევად ჩაწერა თავის ბლოკნოტში:

„კაცობრიობის მთელი ისტორია — ექსპლოატატორებისა და ექსპლოატირებულთა ბრძოლის ისტორიაა; კლასობრივ შეჯახებათა ეს ისტორია ისევე წარმოსახავს ეკონომიური ცივილიზაციის განვითარებას, როგორც დარვინის მოძღვრება — ადამიანის ევოლუციას. მსხვილი მრეწველობისა და კონცენტრირებული კაპიტალის დანერგვის შედეგად მიღწეულია ის საფეხური, რომელზედაც ექსპლოატირებულ კლასებს შეუძლიათ მმართველი კლასებისაგან განთავისუფლდნენ და ერთხელ და სამუდამოდ სავსებით გაანთავისუფლონ საზოგადოება ყოველგვარი ექსპლოატაციის, დაბეჩავების, კლასობრივი უთანასწორობისა და კლასობრივი ბრძოლისაგან".

„კომუნისტური მანიფესტიდან" ჯეკმა გაიგო, რომ მეცნიერული სოციალიზმი მოითხოვს მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმებასა და მემკვიდრეობის უფლების სრულ მოსპობას. ქარხნები, წარმოებისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი და ტრანსპორტი სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს; ამასთანავე, ყოველგვარი დოვლათი, მოხმარების საშუალებებს გარდა, კოლექტივის საერთო სა-

ჟუთრებას შეადგენს. „მანიფესტში“ მან მსხვილი ხაზი გაავლო სოციალისტებს მოწოდებას მთელი ქვეყნის მუშებისადმი:

„კომუნისტებს სამარცხვინოდ მიაჩნიათ დამალონ თავიანთი შეხედულებანი და განზრახვანი. ისინი აშკარად აცხადებენ, რომ მათი მიზნების მიღწევა შესაძლოა მხოლოდ მთელი არსებული საზოგადოებრივი წყობილების ძალდატანებით დამხობის გზით. დაე, გაბატონებული კლასები ძრწოდნენ კომუნისტური რევოლუციის შიშით. მასში პროლეტარები არაფერს დაკარგავენ, გარდა თავიანთი ბორკილებისა. შეიძენენ კი მთელ ქვეყნიერებას.

პ რ ო ლ ე ტ ა რ ე ბ ო ყ ვ ე ლ ა ქ ვ ე ყ ნ ი ს ა, შ ე ე რ თ დ ი თ!“

ამრიგად, ჯეკი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სოციალიზმზე უფრო დიადი ამქვეყნად არაფერია.

ჯეკმა გადაწყვიტა, ფიზიკური შრომის ნაცვლად გონებრივი შრომით ეცხოვრა და შეუდგა კიდეც ამ გადაწყვეტილების განხორციელებას.

„გზაზე“ გატარებული მთელი წლის განმავლობაში იგი დღიურს აწარმოებდა და ახლა უკვე ნამდვილად სჯეროდა, რომ ცხოვრებას მხოლოდ მაშინ ექნებოდა აზრი და იგი ბედნიერებას იმ შემთხვევაში მოუტანდა, თუ შესძლებდა დაეწერა ყველა ის მოთხრობა, რომელთაც თავი ვეღარ იტევდა.

მან სასწავლებელიც კი ამოირჩია, სადაც განათლება უნდა დაესრულებინა. ეს იყო კალიფორნიის უნივერსიტეტი, რომელიც, თუ ტრამვაით ივლიდა, მისი სახლიდან სულ ახლოს, ბერკლში, მდებარეობდა. მაგრამ ჯერ საშუალო სკოლა რომ არ ჰქონდა დამთავრებული! მიღებული წესის თანახმად, ჯეკს უნივერსიტეტში შესვლამდე სამი წელი კიდევ უნდა გაეტარებინა სკოლის მერხთან.

ოკლენდის საშუალო სკოლის ახალი მოსწავლე ცხრამეტი წლისა იყო. მას ცუდად მორგებული და ცუდად დაუთოებული მუქილურჯი კოსტუმი და საყელოგადაკეცილი შალის პერანგი ეცვა. ჩაფსკვნილი, მზემოკიდებული და, როგორც ჩანს, საკმაოდ ჯანმრთელიც, იგი წამდაუწუმ აიბურძგნიდა ხოლმე თავის ისედაც მუდამ აწეწილ მოყვალო-წაბლისფერ ქოჩორს. „გზაზე“ შეჩვეოდა თუ-

თუნის ღეკვას და ოკლენდში დაბრუნებულს ჯერ კიდევ ვერ დაეთ-ნო ეს ჩვეულება; თანაც ყველა კბილი გაფუჭებული ჰქონდა და თუთუნი კბილის ტკივილს უყუჩებდა. ელიზამ ძმას შესთავაზა, რომ გადაიხდიდა კბილის ექიმის გასამრჯელოს, რომელიც დაუპ-ლომბავდა კბილებს, უვარგისის ნაცვლად კი ახალს ჩაუსვამდა, მაგ-რამ იმ პირობით, თუ იგი თუთუნის ღეკვას თავს დაანებედა. ჯეკი სიამოვნებით დათანხმდა. მშვენიერი, ახალი კბილებით კმაყოფილ-მა ჯეკმა თავის სიცოცხლეში პირველად შეიძინა კბილის ჯაგრისი.

წელში მოხრილი სიარულიც იმ დროიდან შემორჩა, როდესაც კარდაკარ სამათხოვროდ დადიოდა. მერხის ზურგზე გადაწოლილი, ფეხებს მთელ სიგრძეზე გაჭიმავდა, ხელებს ჯიბეში ჩაიწყობდა, ფიქრებით კი სულ სხვაგან იყო. თავს ხან აქეთ მიაბრუნებდა, ხან იქით, თან სახეზე წამდაუწუმ ბინდი გადაეკვროდა ხოლმე. შემდეგ უცებ გონს მოვიდოდა, შეირხეოდა და ისევ მოღიმარი სახით იჯდა. როცა გამოიძახებდნენ, ნამდვილად უჭირდა წამოდგომა, ხელებით მერხზე დაეყრდნობოდა და ნახევრად წამომდგარი დაბალი, ძლივს გასაგონი ხმით, რაც შეიძლება მოკლედ პასუხობდა. დაამთავრებდა თუ არა პასუხის გაცემას, მაშინვე სკამზე ისე დაეხეთქებოდა, თით-ქოს მუხლები მოეკვეთაო.

მას თოთხმეტ-თხუთმეტი წლის გოგო-ბიჭებთან უხდებოდა ყოფ-ნა, რომელთა უმრავლესობა, თუმცა შეძლებული ოჯახებიდან იყო, მაგრამ სან-ფრანცისკოს გარდა ჯერ არაფერი ენახათ. ჯეკს ისინი ბალღებად მიაჩნდა. საერთოდ, განათლება რომ გზას ხსნის უკეთე-სი ცხოვრებისაკენ, ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ ფრანგული ენის, რომის ისტორიის, ალგებრის გაკვეთილები, რომლებზედაც დასწ-რება სავალდებულო იყო, მას სათამაშოდაც არ ჰყოფნიდა. იგი არც ცდილობდა დაემალა თავისი თანაკლასელებისათვის, რომ ასეთ უბრალო საქმიანობაზე ტყუილად ჰკარგავდა დროს; რომ მას მო-წიფული ადამიანების შესაფერისი საქმეები აინტერესებდა; თუმცა ისინი ხომ ჯერ ვერ გაერკვევიან ამდაგვარ საკითხებში.

მას სურდა ყველაფერში ამხანაგებს გატოლებოდა, მაგრამ სწო-რედ ამას ვერ ახერხებდა. შეეძლო გულდასმით ესმინა საერთო საუბრისათვის, მაგრამ საკმარისი იყო რომელიმე თანაკლასელი თვით მას გამოლაპარაკებოდა — გაგულისდებოდა და მაშინვე გაეც-

ლებოდა იქაურობას. აქ ისევ იჩინა თავი მისი ნატურის იმ ძირითადმა წინააღმდეგობამ, რომელიც პირველად ანა კულბრიტმა შენიშნა: უკიდურესი თავდაჯერებულობა და, იმავე დროს, მორცხვობა, შებოჭილობა და საკუთარი თავის არასრულფასოვნების შეგრძნება. მოწაფეებს ეგონათ, ალბათ, რაღაცით უკმაყოფილოა და იმიტომაც ჯავრობს, როცა ცდილობენ საერთო საქმეში ჩააბან. მათ იმდენი გამოცდილება არ გააჩნდათ, რომ გაეგოთ მისი სულისკვეთება. ჯეკის თანაკლასელი, ჯორჯია ლორინგ ბემფორდი ამბობს: ზოგჯერ ღიმილით გაბრწყინებულ მის სახეზე ამოიკითხავდით, რომ მას კარგი ბავშვის ჩვევები ჰქონდა; ზოგჯერ კი იყო მომენტები, როდესაც მას მაწანწალის გამომეტყველება ჰქონდა და, გეგონებოდათ, ამით თავიც მოაქვსო. ქუდს ჯიბეში ჩაიტენიდა, გაკვეთილების შემდეგ კი ამოათრევდა, თავზე ჩამოიფხატავდა და მატროსივით ხელების ქნევით ქუჩისაკენ გაიქცეოდა.

ოკლენდის საშუალო სკოლის მოსწავლეებს იგი კიდევაც რომ მიეღოთ თავის წრეში, ჯეკი მათთვის ერთ წუთსაც ვერ გამონახავდა. მართალია, რკინიგზელთა გაფიცვის დროს ჯონ ლონდონი დეპოს დაცვის სპეციალურ რაზმში მოეწყო სამუშაოზე, მაგრამ მას მაინც არ შეეძლო ჯეკის შენახვა. შაბათობითა და კვირაობით ჯეკი შოულობდა რაიმე შემთხვევით სამუშაოს: გაზონების გადაკრეჭა, ნოხების გაბერტყვა, სხვადასხვა დავალების შესრულება. ელიზამ, გარდა იმისა, რომ საჭმლისა და წიგნების შესაძენ ფულს აძლევდა, თავისი მცირედი სახსრებით ველოსიპედიც უყიდა, რათა სკოლაში სიარული შესძლებოდა. ჯეკს ფული ყოველთვის უჭირდა. როცა ოკლენდის საშუალო სკოლის კარისკაცს თანაშემწე დასჭირდა, ელიზამ ამ სამუშაოზე ჯეკი მოაწყო. მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ჯეკი სკოლაში რჩებოდა ოთახების დასაგველად და საპირფარეშოების იატაკის გასარეცხად. მრავალი წლის შემდეგ იგი სიამაყით სწერდა თავის ქალიშვილს, რომ მისი სკოლის ყოველი ფანჯარა საკუთარი ხელებით ჰქონდა დარეცხილი!

ერთხელ თანაკლასელმა გოგონებმა დაინახეს, როგორ შედიოდა იგი ლუდხანაში ორი მაწანწალის — „გზის“ დროინდელი მეგობრების თანხლებით. დაიწყო მითქმა-მოთქმა, რომ იგი ცუდ წრესთან მეგობრობს, უყვარს ცემა-ტყეპა... ამას ისიც დაერთო, რომ ჯეკმა

სკოლის დალაგება დაიწყო, და კედელი, რომელიც მას დანარჩენი მოსწავლეებისაგან თიშავდა, კიდევ უფრო მიუდგომელი გახდა.

ჯეკმა შემთხვევით გაიგო, რომ სკოლაში გამოდიოდა არც თუ ისე ცუდი ლიტერატურული ჟურნალი „ეგიდა“. როცა იქ ჯეკის ნარკვევი „ბონინის კუნძულები“ მიიღეს, მან დაასკვნა, სკოლაში ყოფნა არც ისე ცუდი ყოფილაო. ნარკვევი, რომელიც 1895 წლის იანვრისა და თებერვლის ნომრებში მოათავსეს, ნიჭიერად, ახლებურად და ცოცხლად იყო დაწერილი — აი, რატომაა, რომ იგი ახლაც სიამოვნებით იკითხება. ავტორი მკვეთრი შტრიხებით გვიხატავს სარეწაო ფლოტილიის ცხოვრებისა და კუნძულების სურათებს; დიდი სითბოთი და სიყვარულით აღწერს ადამიანებს, მაგრამ ყველაფერს ჩრდილავს მწერლის ენა, რომლის თითოეული სიტყვა მუსიკასავით ჟღერს. პრესაში საკუთარი ნაწარმოების გამოქვეყნებამ ჯეკს უფრო მეტად შეუწყო ხელი გარკვეულიყო სამწერლო ხელობის ავკარგიანობაში, ვიდრე ინგლისური ენის მასწავლებლის უამრავმა კრიტიკულმა შენიშვნამ. იგი ზიზღით უარყოფდა ჯეკის თავისუფალ, ლაღ მანერას, მის მძაფრ აღტყინებას, ბუნებით აღტაცებას. მარტში „ეგიდამ“ გამოაქვეყნა მოთხრობა „საკეჩო ხონა აზი და ხაკადაკი“, შემდეგ კიდევ ორი მოთხრობა, რომლებიც „გზაზე“ გადატანილი შემთხვევებისადმი იყო მიძღვნილი. ისინი გვაოცებს სპეციფიური გამოთქმების სიმდიდრითა და „ხობოს ქვეყნის“ მცხოვრებთა ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით. ერთს ეწოდება „ფრისკო კიდი“, მეორეს — „ფრისკო კიდიც უკან დაბრუნდა“.

რკინიგზელთა გაფიცვა შეწყდა და მასთან ერთად ჯონ ლონდონის მუშაობასაც მოეღო ბოლო. ახლა მთელი ოჯახი ჯეკზე ამყარებდა იმედს. ის იძულებული გახდა გარეშე სამუშაოები ეძებნა და მეტი დაძაბვით ემუშავა. თავისთვის სრულიად აღარაფერი რჩებოდა. ამხანაგებმაც შეამჩნიეს, რომ იგი თანდათანობით სულ ცუდად და ცუდად იცვამდა. გამუდმებული გადაღლის, უჭმელობისა და უძილობის შედეგად, ნერვიული და გულფიცხი გახდა. თავის თავგადასავალს გულახდილად ჰყვებოდა და მოსწავლეებმაც გაიგეს, რომ წარსულში მატროსი და მაწანწალაც იყო. გოგონებს არ სურდათ მასთან რაიმე საერთო ჰქონოდათ. მწერლობის დაწყების ფაქტმა არამც თუ არ შეარიგა გარეშენი მის უცნაურობებთან, პირიქით,

აიძულა უფრო მეტად მორიდებოდნენ. მას უყვარდა წერა ღამღამობით, როცა მუშაობიდან თავისუფალი იყო; ამ დროს იგი ტკბებოდა წიგნებით, რომლებიც ლონდონების ოჯახის ექვსივე წევრის აბონემენტით გამოჰქონდა თავისთვის ბიბლიოთეკიდან. ამ პერიოდში მას აკლდა სწორედ ის, რაც ასე აუცილებელია ადამიანის ბედნიერებისათვის: მეგობრობა, სიყვარული, თავისი კუთხის გამოძებნა ამქვეყნად... ყოველივე ამას კი იგი მოკლებული იყო. ამ დროს შედის იგი ჰენრი კლეის სახელობის სადისკუსიო კლუბში.

ჰენრი კლეის კლუბი ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ოკლენდის ინტელიგენცია იკრიბებოდა. ამ კლუბის წევრები იყვნენ ახალგაზრდა მასწავლებლები, ექიმები, იურისტები, მუსიკოსები, სტუდენტები, სოციალისტები. ამ ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებდათ საერთო ინტერესები გარე სამყაროსადმი. ისინი, ოკლენდის სხვა მცხოვრებთაგან განსხვავებით, ადამიანს ჩაცმულობით კი არა, ჭკუით აფასებდნენ. ჯეკი ერთ-ორ კრებაზე ჩუმად იჯდა, შემდეგ კი ისიც ჩაება კამათში. კლუბის წევრებს მოსწონდათ მისი აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბებისა და ლოგიკური მსჯელობის უნარი, მისი ძარღვიანი ირლანდიური იუმორი, ნათლად დაწერილი ზღვისა და „გზის“ მოთხრობები; მასში დაინახეს მხიარული და საინტერესო თანამოსაუბრე. შთაბეჭდილებას აძლიერებდა არა მარტო მისი მგზნებარე რწმენა სოციალიზმისადმი, არამედ მის მიერ ამ სფეროში დაგროვილი საფუძვლიანი ცოდნის მარაგიც. ჯეკისათვის კი იმ პერიოდში ყველაფერზე მთავარი ის იყო, რომ იგი მოეწონაო, რომ როგორც მეგობარი და თანასწორი, ისე მიიღეს. ასეთმა გულთბილმა დამოკიდებულებამ ჯეკს შეაძლებინა განთავისუფლებულიყო მოუქნელობისა და შებოჭილობისაგან; მისი დაღვრემილი გამოშეტყველებაც ნიავივით გაქრა, წელში გაიმართა, აზრს თავისუფლად და ამომწურავი სისრულით აყალიბებდა. მან მონახა თავისი ადგილი.

კლუბის წევრებს შორის ჯეკს ყველაზე უფრო მოეწონა თაფლისფერთვალება, გამხდარი ყმაწვილი ედუარდ ეპლგარტი. ჭკვიანი, ენამახვილი და გამჭრიახი ედუარდი, ოკლენდში ჩამოსახლებული ინგლისური ინტელიგენტური ოჯახის შთამომავალი იყო. ის

და ჯეკი ერთი ხნისა იყვნენ; მთელ თავისუფალ დროს ერთად სეირნობასა და მეგობრულ მუსაიფში ატარებდნენ და ერთმანეთს ეხმარებოდნენ ნათელი, ლოგიკური აზროვნების განვითარებაში. ეპლგარტისათვის ჯეკი ღარიბი, ცუდად აღზრდილი და საეჭვო რეპუტაციის მქონე ყმაწვილი კი არ იყო, არამედ ჭკვიანი, დამცინავი, ქარ-ცეცხლში გამოვლილი, მართალია, იმქამად მათხოვარი, მაგრამ აღმავლობის გზაზე მდგარი ადამიანი.

ეპლგარტმა ჯეკი შინ მოიყვანა და თავისი და მეიბლი[1] გააცნო. მისი პირველი დანახვისთანავე ჯეკს თავშეუკავებელი, განუსჯელი ტრფობის ალი მოედო.

ზეშთაგონებული გამომეტყველების მქონე, დიდცისფერთვალება და ოქროსფერ ფუმფულათმებიანი მეიბლ ეპლგარტი ჰაეროვანი არსება იყო. ჯეკი მას მაღალ ყლორტზე ატყორცნილ მკრთალ ოქროსფერ ყვავილს ადარებდა. ლამაზი ტემბრის ხმა ჰქონდა და მისი სიცილი ჯეკს მუსიკასავით ჩაესმოდა. მეიბლი სამი წლით უფროსი იყო ჯეკზე. მის საქციელში თვალთმაქცობის ნატამალიც არ შეიმჩნეოდა. მეიბლი კალიფორნიის უნივერსიტეტში ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობას ეუფლებოდა. ჯეკში გაოცებას იწვევდა, რაოდენ ფართო ცოდნას იტევდა ეს ლამაზი, პატარა თავი. უნაკლო მანერები ჰქონდა: ხელოვნებისა და კულტურის სფეროში აღზრდილს ზედმიწევნით შეეთვისებინა ტაქტის გრძნობა, საზოგადოებაში მოხდენილად თავდაჭერის უნარი. ჯეკს უყვარდა იგი, როგორც ღვთაება, რომელსაც მხოლოდ თაყვანი უნდა სცე, ხელის შეხება კი მკრეხელობად მიაჩნდა. ჯეკის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაინახა, რომ მეიბლი მას მეგობრულად, როგორც თავის ტოლს, ისე ექცეოდა. მაგრამ რა იცოდა, რომ ჯეკის უხეში, მამაკაცური ძალა ისევე ხიბლავდა მეიბლს, როგორც ჯეკს—მისი სინაზე.

ეპლგარტების მყუდრო ოჯახი წიგნებითა და სურათებით იყო სავსე. ჯეკი ამ სახლის ხშირი სტუმარი გახდა. ისინი სთავაზობდნენ მას წიგნებს და უზიარებდნენ ცოდნასა და გამოცდილებას იმ სფეროში, რომელიც ჯეკისათვის ჯერ კიდევ უცნობი იყო. იგი გულდასმით აკვირდებოდა ეპლგარტების ქცევასა და მეტყველებას. მისი ლექსიკონიდან თანდათან გაჰქრა მოუქნელი სიტყვები, მაგრამ ძვე-

[1] ჩარმიან ლონდონმა თავის წიგნში „ჯეკ ლონდონის ცხოვრება" მეიბლ ეპლგარტი გამოგონილი სახელით, ლილი მეიდით შესცვალა.

ლებური, მატროსული ქანაობით სიარული და უხეში მიხვრა-მოხვრა მაინც შემორჩა. მას უკვე კლუბის სხვა წევრებიც იწვევდნენ. მათ ოჯახებში ჯეკი გაეცნო კოქებამდე გრძელ კაბებში ჩაცმულ ინტელიგენტ ქალიშვილებს, რომლებთანაც ჩაის შეექცეოდა და საუბრობდა პოეზიაზე, ხელოვნებაზე და გრამატიკის დეტალებზე. იგი თანდათან ლმობიერი გახდა, მისი სახის მკვეთრი, მაგრამ სწორი ნაკვთები სიცილისაგან სულ უფრო ხშირად იბადრებოდა და სულ უფრო ღრმა სიყვარულით იმსჭვალებოდა თავისი ახალი მეგობრების მიმართ.

ოკლენდში აღტაცებით ლაპარაკობდნენ ჯეკ ლონდონის, როგორც მომხიბვლელი და განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ყმაწვილის შესახებ. მას ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ამ გამოხმაურებამ ოკლენდის საშუალო სკოლის მოწაფეებამდეც მიაღწია. ისინი გაკვირვებით შესცქეროდნენ ამ მუდამ მოწყენილ, ცუდად ჩაცმულ თანაკლასელს და ვერ მიმხვდარიყვნენ — რამ დაუხშო გონება უფროსებს, როცა მას ასეთ ხოტბას ასხამდნენ.

წყნარი ოკეანის სანაპიროზე პირველად ოკლენდში ჩამოყალიბებული სოციალისტური პარტიის[1] წევრებმა ჯეკს სთხოვეს მათი ორგანიზაციის წევრი გამხდარიყო. აქ მან გაიცნო ისეთი ადამიანები, როგორიც იყო ბრიტანეთის მუშათა სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე ოსტინ ლუისი, შეხვდა გამოცდილ და გამობრძმედილ გერმანელ სოციალისტებს, რომელნიც სამშობლოდან გამოეძევებინათ სოციალისტური პარტიების აკრძალვის გამო.

ამ საზოგადოებამ ჯეკის მიმართ ე. წ. საჩარხავი ქვის როლი შეასრულა; მან სიპრიალემდე გაჩარხა მისი იარაღი — გონება. ოკლენდის სოციალისტური ორგანიზაცია წარმოადგენდა ისეთ ადამიანთა ჯგუფს, რომელთაც უფრო სულიერი ინტერესები აკავშირებდათ, ვიდრე ეკონომიური. ისინი იკრიბებოდნენ საღამოობით, რათა თავი გაერთოთ მუსიკით, თიფო ტოლჩა ლუდი გადაეკრათ და ენა მოეფხანათ ამა თუ იმ პოლიტიკური საკითხის გარჩევაში. ესენი იყვნენ ინტელიგენტები, თეორეტიკოსები, რომელნიც კლასობრივ ბრძო-

[1] სტოუნს ალბათ მხედველობაში აქვს მუშათა სოციალისტური პარტია. ამერიკის შეერთებული შტატების სოციალისტური პარტია უფრო გვიან შეიქმნა.

ლაში უშუალო მონაწილეობას არ იღებდნენ: პარტიის რიგებში ჯერ კიდევ არც ერთი მუშა არ ირიცხებოდა. როგორი მადლობელიც არ უნდა ყოფილიყო ჯეკი მეცნიერული ცოდნის შეძენისა და სასიამოვნო შეხვედრებისათვის, იგი ვერ დაიჯერებდა, რომ სოციალიზმი ინტელიგენციის კუთვნილებას შეადგენდა. სოციალიზმი ეკუთვნის მუშებსა და მათ კავშირებს — იმათ, ვინც ისტორიის მსვლელობით მოწოდებულია კლასობრივი ბრძოლა აწარმოოს, მონაწილეობა მიიღოს რევოლუციურ ბრძოლებში და შექმნას საერთაშორისო სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც, როგორც კარლ მარქსი გვასწავლიდა, ცივილიზაციის განვითარების შემდეგი საფეხური იქნებოდა.

იგი ესწრებოდა მუშათა მიტინგებს, საუბრობდა პროფესიულ კავშირებში სოციალიზმზე და უსმენდა სხვების გამოსვლებს სიტი ჰოლ პარკში. ერთხელ ჯეკი სკამზე შეხტა და სიტყვით მიმართა ხალხს. იგი ალელეებით ლაპარაკობდა, რომ კაპიტალიზმი ორგანიზებული ძარცვის სისტემაა. მუშის ზურგზე წამომჯდარი კაპიტალისტი სუქდება მისი შრომით შექმნილი დოვლათით, ყვლეფს მას უკანასკნელ გროშამდე, შემდეგ კი აგდებს, როგორც ძველმანს... ათი წუთიც არ ელაპარაკა ჯეკს, რომ ბროდვეის ქვაფენილზე ცხენების თქარათქური გაისმა. პარკის ზღუდესთან სატუსაღოს შავი კარეტა შეჩერდა და ჯეკთან ორი პოლიციელი მიიჭრა. ხალხის თვალწინ იგი კარეტისაკენ წაიყვანეს, ფოლადის კარები გადარაზეს, ოკლენდის ქუჩები გაატარეს და საპატიმროში შეაგდეს. ჯეკმა პროტესტი განაცხადა, რომ ის იმყოფებოდა ამერიკაში, სადაც ხალხს სიტყვის თავისუფლება აქვს, სოციალიზმზე ლაპარაკი კი დანაშაული არ არის. უბნის მორიგე პოლიციელმა უპასუხა: შეიძლება სოციალიზმი არა, მაგრამ საჯაროდ სიტყვით გამოსვლა — კანონით აკრძალულია.

ეს ისტორია ოკლენდის გაზეთებმა დიდი სათაურით გამოაქვეყნეს, სადაც ჯეკს „ბავშვი-სოციალისტის“ სახელწოდებით იხსენიებდნენ. ეს სახელწოდება მას დიდხანს შემორჩა.

როგორ გახდა ჯეკ ლონდონი სოციალისტი? იგი სიღარიბეში გაიზარდა, შიმშილიც გამოიარა და გაჭირვებაც, მუშა კაცის ხვედრის მწარე სინამდვილეც განიცადა. მაგრამ შიმშილსა და სიცივეში

აღზრდილ მის თანამედროვე ასიათასობით ამერიკელს ხომ მოსწონდა კაპიტალისტური სისტემა და ცდილობდა როგორმე ხელში ჩაეგდო თავისი წილი სიმდიდრე. ჯეკს თავის დროზე იმდენი გამჭრიახობა კი ჰქონდა, მიმხვდარიყო, რომ ყოველგვარი ცივილიზაციის დროს ღატაკი ხალხის განსაზღვრული ნაწილი მაინც რჩება სამუშაოსა და ცხოვრებისაგან გარიყული. ამასთან ერთად, მისთვის უკვე აშკარა გახდა, სიძნელეებიდან, რომლებიც მას წილად ხვდა ახალგაზრდობაში, მხოლოდ რამდენიმე თუ იყო ამერიკული კაპიტალიზმის ანტისოციალისტური არსის შედეგი, ხოლო შიმშილობდნენ უმთავრესად დედამიწის თავდაუჭერელი. უაზრო წამოწყებების გამო; ამავე მიზეზით ჯონ ლონდონი დღენიადაგ ხელცარიელი რჩებოდა.

გახდებოდა თუ არა ჯეკ ლონდონი სოციალისტი, ფლორა რომ არ ჩარეოდა ჯონ ლონდონის საქმეებში და ოჯახს უზრუნველი ცხოვრება ჰქონოდა? ალბათ—კი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევაში მისგან დადგებოდა სოციალისტი-თეორეტიკოსი ანდა უტოპისტი, და არა სოციალისტ-პროლეტარი, მოქმედების ადამიანი. მას დააკმაყოფილებდა სოციალიზმის თანდათანობით — საუკუნეების მანძილზე— დანერგვა პარლამენტური რეფორმების საშუალებით. იგი ვერ აღიგზნებოდა საბრძოლო მოწოდებით: „პროლეტარებო, შეერთდით! დაამსხვრიეთ ბორკილები! ძალით აღვგავოთ პირისაგან მიწისა მძარცველებისა და მტაცებლების მმართველი კლასი!“

ჯეკი სოციალიზმში ხედავდა მწარმოებლური და სოციალური ურთიერთობის ისტორიული განვითარების ლოგიკით ნაკარნახევ დაგამრავლების ცხირილივით ურყევ სისტემას. მის მიერ შეძენილი ცოდნის მ ა რ ა გ ი ჯერ კიდევ შემოფარგლული იყო, მაგრამ მას ხელთ ჰქონდა გასაღები, რომელსაც აზროვნების მეცნიერული მ ე თ ო დ ი ს ათვისებისაკენ მიჰყავდა. მას შეეძლო ჯიუტად, გზიდან გადაუხვევლად გაჰყოლოდა შეხედულებათა განსაზღვრულ სისტემას, და ვაჟკაცურად მიეღო ყველა მისი შედეგი, თუნდაც იგი მისი თავდაპირველი მრწამსის საწინააღმდეგოც ყოფილიყო.

ამას გარდა, მას სხვა საფუძველიც გააჩნდა უკმაყოფილო ყოფილიყო გარემომცველი სამყაროსი — ეს იყო მისი ქორწინების გარეშე წარმოშობა. მას არ შეეძლო ამის გამო დედისადმი მტრული

განწყობილება ჰქონოდა, რადგან უბედურებას ეს ვერაფერს უშველიდა. ვერც საქვეყნოდ აღიარებდა თავის განაწყენებას, რომელიც გულის კუნჭულში ჩამალულიყო და იზრდებოდა მისი შეგნების ზრდასთან ერთად. გარე სამყაროში იგი მხოლოდ ერთ კონფლიქტს ხედავდა, რომელიც თავისი მასშტაბით მის შინაგან უთანხმოებას ეთანაბრებოდა, სახელდობრ — გაბატონებული კლასის დამხობა დაჩაგრული კლასის მიერ, რომლის წარმომადგენელიც თვითონ იყო.

სავაჭრო პალატის წევრები და ოკლენდის საზოგადოების გავლენიანი წრეების წარმომადგენლები აღშფოთებული იყვნენ. ვიღაცამ გაბედა არსებული წყობილების დამხობის იდეის წამოყენება და ისიც ქალაქის თვითმმართველობის ბაღში! დაატუსაღეთ იგი! მაგრამ, სასამართლოში საქმის გარჩევის დროს მოსამართლემ მხედველობაში მიიღო ბრალდებულის წლოვანება. ჯეკი გაანთავისუფლეს და გააფრთხილეს — თუ მომავალში ამდაგვარ რამეს გაიმეორებდა, მას საატუსაღოში ჩასვამდნენ.

აღსანიშნავია, რომ ჯეკ ლონდონის გარდაცვალების შემდეგ, ოკლენდის მერმა დევისმა, მის პატივსაცემად სიტი ჰოლ პარკში მუხის ხე დარგო იმ ადგილის მახლობლად, სადაც ჯეკი დააპატიმრეს პირველი მგზნებარე სიტყვისათვის.

დაპატიმრებამ და მის გარშემო ატეხილმა განგაშმა მეტად შეარყია ჯეკის მდგომარეობა. მას მხარში ამოუდგნენ მხოლოდ ოკლენდის სოციალისტები, ედუარდ და მეიბლ ეპლგარტები და ჰენრი კლეის კლუბის ზოგიერთი სხვა წევრი. იმ დღეებში ჯეკი ჩიოდა, რომ ნამდვილ ადამიანებსაც კი, რომელთაც მასთან საუკეთესო დამოკიდებულება ჰქონდათ, დაუშვებლად მიაჩნდათ, რომ მათი დები მასთან ერთად ხალხში გამოჩენილიყვნენ. კლუბის წევრების მეშვეობით გაცნობილი ოჯახების კარი მისთვის დაიხურა. რაც შეეხება ოკლენდის დანარჩენ მცხოვრებლებს, ისინი იმ აზრისა იყვნენ, რომ ჯეკი მეტად არასასიამოვნო პიროვნება, მაწანწალა და კანონის გარეშე გამოცხადებული ადამიანია; იმ დროს, როცა ჯეკი ხამანწკებზე მეკობრეობას ეწეოდა, ვინ მოთვლის, რამდენჯერ უნახავთ სანაპიროზე მთვრალი და ისიც ცუდი ამხანაგების წრეში. შთამომავლობითაც ღარიბი ოჯახიდან იყო, რომლის მდგომარეობა

სულ უფრო გაუარესდა და ახლა ქალაქის ყველაზე ცუდ უბანში ცხოვრობდნენ. ოკლენდის მცხოვრებლები დარწმუნებული იყვნენ, თუ სოციალისტი ხარ, მაშასადამე, ჯერ ერთი, ზნედაცემული ადამიანი ხარ, მეორეც — თავში ყველაფერი რიგზე არა გაქვს. სოციალისტობა იმდენად არაჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნდათ, რომ ჯეკს გაზეთების კორესპონდენტებიც კი მიუგზავნეს. როცა მან გაბედულად განაცხადა, კომუნალური ნაგებობები ქალაქის თვითმმართველობის საკუთრებაში უნდა გადაიცესო, იგი ანარქისტად, შფოთისთავად, წითელხალათიანად მონათლეს. ინტერვიუ პრესაში გამოაქვეყნეს პათოლოგიური გამოკვლევის სახით, რომელიც არანორმალური ადამიანის ახირებულ თვისებებს მიეძღვნა. ჯეკს ჟრუანტელმა დაუარა, როცა წარმოიდგინა, რას დაწერდნენ გაზეთები მის შესახებ, თუ გაამხელდა, რომ მას სწამს წარმოების ყველა საშუალებათა განსაზოგადოება.

მეიბლ ეპლგარტი შეცბუნებული და თან უკმაყოფილო იყო ჯეკის დაპატიმრებითა და გაზეთებში გამოქვეყნებული უხამსი ინტერვიუთი. მიუხედავად ამისა, ამ ეპიზოდს არაფერი შეუცვლია მათ დამოკიდებულებაში. ისინი შესანიშნავად ავსებდნენ ერთმანეთს: ჯანმრთელი, სიცოცხლით სავსე, ცოტა არ იყოს, ტლანქი ჯეკი და ნაზი, ნატიფი, ინტელექტუალური მეიბლი. ისინი ხან ველოსიპედით სეირნობდნენ, ხან პიკნიკებს აწყობდნენ ოქროსფერ, მაღალი ყაყაჩოებით დაფარული ბერკლის გორაკების ფერდობებზე, საიდანაც მთელი ყურე მოჩანდა; ხან დიდი ხნით მიდიოდნენ სასეირნოდ ჯეკის კარჭაპით. ერთხელ, ზაფხულის დასაწყისში, კვირა დილით ისინი ნელა მიცურავდნენ ქვევით, ყურეს შესართავისაკენ. მეიბლი ლამაზი თეთრი კაბითა და ფართოფარფლიანი ქუდით დინჯად იჯდა ნავის ცხვირთან და სუინბერნის სევდიან ლექსებს ისეთი მშვიდი და წყნარი ხმით უკითხავდა, რომ ჯეკს ჩაეძინა. დაიწყო უკუქცევა და ნავი თავთხელზე დაჯდა. მეიბლმა ჯეკი არ გააღვიძა; მან იცოდა, რა ცოტა დრო რჩებოდა ჯეკს დასვენებისათვის. გამოღვიძების შემდეგ ჯეკი იძულებული გახდა მუხლს ზევით აეკაპიწებინა თავისი ერთადერთი გამოსასვლელი შარვალი და მწებარე შლამიდან ნაპირზე ხელით გადაეყვანა თავისი თანამგზავრი: ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მისი სატრფო მასთან ასე ახლო იმყოფებოდა.

სკოლაში ჯეკმა პირველი სემესტრი კარგად — „ბ“ შეფასებით დაამთავრა[1]. ის მთელი ზაფხული მუშაობდა, რომ ოჯახსაც დახმარებოდა და სასკოლო ხარჯების დასაფარავადაც რამდენიმე დოლარი შემოენახა, ახლა კი იგი ოკლენდის საშუალო სკოლაში დაბრუნდა. „ეგიდაში“ წინანდებურად გამოჩნდა მისი სტატიები და მოთხრობები. უკვე ზუსტად ათი! — არც მეტი, არც ნაკლები. პატარ-პატარა მოთხრობებში, როგორიცაა, მაგალითად, „კიდევ ერთი უიღბლო“ და „ვის სწამს მოჩვენება?“ — კომპოზიციის უტყუარი ბუნებრივი ალღო შეიმჩნევა. „კიდევ ერთი უიღბლო“ ახალგაზრდა მუსიკოსის ისტორიაა, რომელზედაც დიდ იმედებს ამყარებდნენ. უიდა სინიეს გმირის მსგავსად, ამ ახალგაზრდასაც სურს მთელი მსოფლიო თავისი მუსიკით დაიპყროს. მაგრამ წლების მანძილზე მიღებული გამოცდილებით იგი რწმუნდება, რომ მას სრულიად ჩვეულებრივი ტალანტი აქვს; იგი სიხარულით აწრიპინებს ვიოლინოს სულ უბრალო ლუდხანაშიც კი, თავის უკანასკნელ თავშესაფარში. ერთ ღამეს კი თავს იკლავს, რადგან რწმუნდება ბავშვობის ოცნების მიუწვდომლობაში.

მოთხრობა „შტორმში“ — შექმნილია „სოფი საზერლენდზე“ ყოფნის დროინდელი საზღვაო თავგადასავალთა საფუძველზე. ავტორს ახარებს ბუნების სილამაზე, რომელიც ყოველ წუთს იცვლება; თვალს ადევნებს თოლიების დახვეწილ, გრაციით აღსავსე ნავარდს, ტკბება ზღვაზე მზის ჩასვლის მშვენიერების ცქერით, აკვირდება დელფინთა გუნდებს, ვეშაპებს, რომელნიც შადრევნებს უშვებენ გემის საქარო მხრიდან, ხედავს, როგორ ბუნდოვნად გამოკრთის წინ მესაჭის ლანდი, აფრები კი ცის მწუხრ კამარაში იკარგება. ყოველ ხმაურში თავისებური ჰარმონიაა. მუსიკის -ყოერად ეჩვენება ბლოკების ჭრიალი, საიმედოდ აღმართული, დაჭიმული აფრების კვნესა, წყლის ტლაშუნი ტალღებზე მოცეკვავე გემის ცხვირზე, იალქანზე მფრინავი თევზის დანარცხების ხმა. იგი ზეიმობს, როცა ბუნება იღუშება, როცა შტორმის შავი ღრუბლებიცას გადაეკვრის, ხოლო ირგვლივ ღმუის ჰაერი, როგორც უხილავი

---

[1] შეფასება „ბ“ დაახლოებით შეესატყვისება ჩვენებურ „კარგს“, შეფასება „ა“ — „ფრიადს“.

ავი სული და გემბანის ნაცვლად ფეხქვეშ აქაფქაფებულ წყლის ნაკადს გრძნობ. ბრძოლის სიხარული სისხლს უჩქეფებს, როცა სძლევს გამობერილ იალქნებს, როცა იმორჩილებს ურჩ მოწყობილობას და ბრწყინვალე სიმფონიად ჩაესმის მეზღვაურული სიმღერები — სიმღერა ადამიანისა, რომელიც სიცოცხლისათვის გაშმაგებულ ბრძოლაში ამარცხებს ბუნებას.

მას ნაზად უყვარდა ბუნება მისი სილამაზისათვის, მაგრამ უპირველესად უყვარდა მისი ურყევი სიმძლავრე, რომელთან შედარებითაც ადამიანები ქონდრისკაცებად მოჩანდნენ.

ოკლენდის საშუალო სკოლის ლიტერატურული ჟურნალის რედაქცია მხარს უჭერდა ლიბერალურ მიმართულებას. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ „ეგიდაში" მოათავსეს ჯეკის სოციალისტური სტატია „ოპტიმიზმი, პესიმიზმი და პატრიოტიზმი", სადაც იგი ამხელდა შეძლებულთა ხელისუფლებას, ხალხთა მასებს გზას რომ უხშობდა განათლებისაკენ. რატომ? იმიტომ, რომ განათლება აიძულებს მათ აჯანყდნენ მონური მდგომარეობის წინააღმდეგ. იგი მძიმე ბრალდებას უყენებდა კაპიტალიზმს: მეტად გრძელი სამუშაო დღე, პატაგონური სისტემა, ხელფასის განუხრელად შემცირება, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს საზოგადოების სოციალური და მორალური დაქვეითება. „ამერიკელებო, პატრიოტებო და ოპტიმისტებო, გაიღვიძეთ! — მოუწოდებს იგი. — გამოგლიჯეთ მმართველობის სადავეები გამყიდველ მბრძანებლებს და შეიტანეთ განათლება მასებში".

სკოლაში იცოდნენ, რომ ჯეკს შეეძლო მჭევრმეტყველურად და თანაც დამაჯერებლად ლაპარაკი. სწორედ ამიტომ შესთავაზეს მას მონაწილეობა მიეღო საშობაო არდადეგების დაწყებისადმი მიძღვნილ საზეიმო დისპუტში. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ დისპუტის თემას საერთო არაფერი ჰქონდა სოციალიზმთან. მაგრამ, აი, სიტყვა აიღო ჯეკმა და ხუთი წუთიც არ გასულიყო, რომ მორთულ-მოკაზმულ საზოგადოებას — მოწაფეებს, მათ მშობლებსა და მეგობრებს — ჯეკი თავს დაესხა მკაცრი, მამხილებელი კრიტიკით სოციალიზმის პოზიციიდან. ერთ-ერთი დამსწრე მანდილოსანთაგანი თავის მოგონებებში წერს, რომ მსგავსი რამ მას არასდროს მოესმინა. ჯეკი ლაპარაკობდა, რომ უკვე დადგა დრო არსებული

საზოგადოებრივი წყობის ნგრევისა და რომ თვითონაც მზად არის ებრძოლოს მას ყოველნაირი საშუალებითა და ძალით. იგი არაჩვეულებრივი გატაცებით ლაპარაკობდა. თითქოს დაავიწყდა კიდეც, სად იმყოფებოდა და ხელები უკვე კლასობრივი მტრის ყელისაკენ მიჰქონდა. ზოგიერთებს შეეშინდათ, სხვებს ეგონათ, რომ ეს ხუმრობა იყო; ნაწილმა კი სანახაობა შესაბრალისად ჩასთვალა; ისინი ამტკიცებდნენ, რომ ყმაწვილი პასუხს არ აგებს თავისი საქციელისათვის, რომ იგი ფარული ფორმის განდიდების მანიითაა შეპყრობილიო. განათლების კომიტეტის წარმომადგენლები მკაცრი ზომების მიღებას მოითხოვდნენ.

სავსებით დასაშვებია, რომ ჯეკმა ისარგებლა ამ ერთადერთი შესაძლებლობით: ამ შემთხვევის შემდეგ იგი აღარ დაბრუნებულა ოკლენდის საშუალო სკოლაში. სკოლის დამთავრებას კიდევ ორი წელი სჭირდებოდა, იგი კი უკვე ოცი წლის გახდა და დასაკარგავი დრო აღარ ჰქონდა.

ოკლენდის საშუალო სკოლისათვის თავის დანებების შემდეგ, იგი მოსამზადებელ კურსებზე შევიდა ალამედაში, რათა მომზადებულიყო უნივერსიტეტში საშემოდგომო მისაღები გამოცდებისათვის. ფული ელიზამ მისცა. ჯეკმა კურსებზე მხოლოდ ხუთ კვირას იარა. მან იმდენად სწრაფად მიაღწია წარმატებას, რომ სასწავლო დაწესებულების პატრონმა ფული უკანვე დაუბრუნა და წინადადება მისცა კურსებისათვის თავი დაენებებინა; როგორ შეძლებდა იგი კარგი რეპუტაცია შეენარჩუნებინა, თუ უნივერსიტეტში გაიგებდნენ, რომ მომზადების ორწლიანი კურსი შეიძლება ოთხ თვეში გაიარო?

კურსებზე გატარებულ ხუთ კვირას ფუჭად არ ჩაუვლია. ფაქტიური მასალის გარდა, იგი გაეცნო მუშაობის მეთოდს. მომდევნო სამი თვის განმავლობაში ჩაკეტილი იყო თავის ოთახში და დღე-ღამეში ცხრამეტ საათს წიგნებს ჩაჰკირკიტებდა; „ზუთხავდა“ მათემატიკას, ქიმიას, ისტორიასა და ინგლისურს. უარი თქვა ჰენრი კლეის კლუბზე, სოციალისტთა შეკრებებზე, მეცადინეობას შესწირა ის ძვირფასი საათებიც კი, რომელთაც ედუარდ და მეიბლ ეპლგარტების სახლში ატარებდა. დაღლილობამ თავისი გაიტანა: თავი ძველებურად ვეღარ მუშაობდა, მთელ ტანში ტეხდა, დაღლილობისაგან

ქუთუთოები უთრთოდა, მაგრამ ნებისყოფა ერთი წუთითაც არ შესუსტებია.

აქ განვლო თორმეტმა კვირამ, შემდეგ კი ტრამვაით გაემგზავრა ბერკლიში და რამდენიმე დღე დაჰყო იქ გამოცდების ჩასაბარებლად. დაამთავრა გამოცდები და სავსებით დარწმუნებულმა, რომ უეჭველად ჩაირიცხებოდა, ითხოვა ნავი, კაიუტაში შეიტანა ლოგინი, პაკეტები, ქილები საჭმლით და დილით ადრე, მიქცევასთან ერთად, ყურედან გავიდა. ზვირთცემის პირველ ტალღებთან ერთად აჰყვა ყურეს და ზურგის ქარის ხელშეწყობით წინ გასწია. კარკინესის სრუტეზე ჯერ მხოლოდ ბურუსი იფანტებოდა, როცა კიჩოს უკან დარჩა სანაპიროს ნაცნობი ნიშნები. ისინი პირველად მაშინ ნახა, როცა სატანა ნელსონთან ერთად „რეინდირზე" დაჰქროდა. ისიც გაახსენდა, რომ სატანა იალქანს ძირს არასდროს არ ჩამოუშვებდა. ბენიციაში ჯეკმა ნავი მისადგომთან მიაბა და კარჭაპებს მიაშურა. იქ ძველი მეგობრები დახვდნენ მეთევზეთა პატრულიდან. როცა ნავმისადგომში ჯეკ ლონდონის დაბრუნების ხმა დაირხა, თავი მოიყარეს მეთევზეებმა, რათა მოეგონებინათ ძველი დრო და მეგობრის სადღეგრძელო შეესვათ. წელიწადნახევარი იყო, რაც ჯეკს მაგარი სასმელი არ დაელია და იმ დღეს მაგრად დათვრა.

გვიან საღამოს მისმა ყოფილმა უფროსმა პატრულის სამსახურიდან. ორაგულებზე სანადირო ნავი მისცა. ჯეკმა თავის მოწყობილობას დაუმატა სათევზაო მაყალი, ყავადანი, ტაფა, შეიძინა ყავა, ხორცი, ცოცხალი თევზი და ნავი მისადგომიდან ახსნა. მოქცევა დამთავრებულიყო და ძლავრმა მიქცევამ, რომელიც მძვინვარე ქარს ებრძოდა, დიდი ღელვა გამოიწვია. ჯეკმა მიმართულება აიღო სასუნის ყურესაკენ, რომელიც აბობოქრებული ნაკადებისაგან გათეთრებულიყო. ყალყზე შემდგარი ზვირთების ნაკადი შალანდაში მუხლებამდე აღწევდა, ტალღა ნავს ზედ ეკლებოდა და აქეთ-იქით დააქანებდა. ჯეკი კი ხარხარებდა და ხმამაღლა მღეროდა: „ნუ დაჩაგრავ ჩემს ქალიშვილს!" და „აქეთ, მოთამაშე მაწანწალებო!" იგი ზეიმობდა იმ სამყაროში შესვლას, სადაც იღვწის და იმარჯვებს ადამიანის გონება.

შვიდი დღის ნაოსნობის შემდეგ, იგი გამოცოცხლებული დაბ-

რუნდა უნივერსიტეტში მეცადინეობის დასაწყებად. ჯემს ჰოპერი იგონებდა, როგორ გამოიყურებოდა იმ დროს ჯეკი. იგი სკანდინავიელი მატროსისა და ძველი საბერძნეთის კერპთაყვანისმცემელთა ღმერთის არაჩვეულებრივი შეხამების განსახიერება იყო. ჩამტვრეული წინა ორი კბილი, რომელიც უდარდელად შეეწირა სადღაც ცემა-ტყეპას, სავსებით ბავშვურ შესახედაობას აძლევდა. ჰოპერი ამბობს, რომ უნივერსიტეტის ეზოში მისმა პირველმავე დანახვამ თვალებში თითქოს მზის შუქი მომაფრქვია — მისი ტალღისებური გრუზა თმები „მზის ოქროს სხივებისაგან მოქსოვილს ჰგავდა". ღრმად ამოჭრილი რბილი პერანგიდან მზისაგან გარუჯული, ბრინჯაოსფერი ღონიერი კისერი მოუჩანდა; თვალები კი ისე ბრწყინავდა, როგორც ზღვა—მზის სხივებისაგან. დაუდევრად, თავისუფლად იყო ჩაცმული; სიარულის დროს განიერი ბეჭები ოდნავ ერხეოდა, რაც სახსოვრად შემორჩენოდა გემბანზე გატარებული დროიდან. თავშეუკავებელი ენთუზიაზმითა და გოლიათური განზრახვებით იყო გატაცებული. სურდა მოკლე დროში დაემთავრებინა ინგლისური ენისა და ლიტერატურის მთელი კურსი და აგრეთვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ისტორიისა და ფილოსოფიის კურსების უდიდესი ნაწილი. ბოლოს ჰოპერი ამბობს, რომ ჯეკი იყო უშიშარი ახალგაზრდა, პატიოსნებითა და მჩქეფარე ენერგიით აღსავსე.

ჯეკი აქ შეხვდა ოკლენდის საშუალო სკოლის ყოფილ მოსწავლე გოგონას, რომელზედაც ერთი წლის წინ მისმა საქციელმა და გარეგნობამ საზიზღარი შთაბეჭდილება დატოვა. გოგონას განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაინახა ეს სუფთა, ფაქიზი და ბედნიერი ყმაწვილი, რომელიც თავისუფლად გრძნობდა თავს ახალ გარემოცვაში. სად გაჰქრა მისი მოუქნელობა და მოღუშული შესახედაობა? მორცხვობა, რომელიც სულს უხუთავდა სკოლის წვრილფეხა საზოგადოებაში, თითქოს არც არასოდეს განეცადოს! უნივერსიტეტში იგი დღის უმეტეს ნაწილს მეიბლ ეპლგარტთან ერთად ატარებდა. აქვე იყვნენ მისი ამხანაგები ჰენრი კლეის კლუბიდან. სტუდენტთა შორის ჯეკს უკვე დაუმკვიდრდა თავზეხელაღებული, რომანტიული განწყობის ადამიანის სახელი. მან ბევრი ამხანაგი შეიძინა, რომელთა შორის პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა.

კალიფორნიის უნივერსიტეტში მცოდნე მასწავლებლებთან ერთად კარგი ბიბლიოთეკაც იყო. ჯეკი სულითა და გულით ტკბებოდა შუშაობით. ეკონომიური და პოლიტიკური საკითხებისადმი მიძღვნილი მისი წერილები იბეჭდებოდა ოკლენდის გაზეთ „ტაიმსში“, ხოლო მოთხრობები ისეთ ადგილობრივ ჟურნალებში, როგორიც იყო „საღამოები საკუთარ კერასთან“ და „ბოჰემის მოყვარული“. უნივერსიტეტის ლიტერატურულ ჟურნალ „დასავლეთს“ კი იგი, როგორც ეტყობა, არაფერს აწვდიდა. ძველებურად ხან აქ, ხან იქ შემთხვევით სამუშაოს შოულობდა, ხოლო როცა უფულოდ დარჩებოდა, ორმოც დოლარს სესხულობდა ლუდხანა „ლასტ ჩანსის“ მეპატრონე ჯონ ჰეინოულდისაგან, სწორედ იმისაგან, რომელთანაც „რეზლ-დეზლის“ შესყიდვისას პირველად იგემა ვისკი ცხოვრებაში.

მართალია, ჯეკმა უკვე ექვსი წლის ასაკიდან იცოდა, რომ ჯონ ლონდონი მისი მამინაცვალი იყო, მაგრამ გადაკრული სიტყვითაც კი არავისგან გაუგონია, ვინ იყო მისი ნამდვილი მამა. ახლა როგორღაც გაიგო, რომ ეს ადამიანი ჩანი იყო. საიდან გაიგო? შესაძლებელია, თვით ჯონ ლონდონმა აღსასრულის მოახლოების წინ უთხრა ჯეკს სიმართლე — ეს ხომ ხელს შეუწყობდა მას გაერკვია თავისი მდგომარეობა. შესაძლოა, თვით ჯეკმა მოჰკრა ყური ოკლენდის ან სან-ფრანცისკოს ძველ მაცხოვრებელთა მითქმა-მოთქმას: ბევრი მათგანისათვის ხომ ცნობილი იყო მისი წარმოშობის ამბავი. როგორც ვიცით, დედამისისა და პროფესორ ჩანის შესახებ სტატიაც დაიბეჭდა გაზეთში; ვინ იცის, ეგებ შემთხვევით თვითონ წაიწყდა „ქრონიკლში“ ამ წერილს. შეიძლება ვინმემ ჩააგონა, თვალი გადაევლო გაზეთის იმ ნომრისათვის, სადაც მოთავსებული იყო ცნობა მისი დაბადების შესახებ, და ჯეკმა აქედან დაასკვნა, რომ ქვეყნიერებას თურმე ჩანის სახელით მოევლინა. კიდევ ერთი ვარაუდი: „ქრონიკლში“ ცნობის მოთავსებიდან რვა თვის შემდეგ გაცემულ ქორწინების მოწმობას „ფლორა ჩანის“ ხელმოწერით ფლორა ყოველთვის საკეტ-გატეხილ ყუთში ინახავდა!

ჯეკმა თავისი აღმოჩენა ედუარდ ეპლგარტს გაანდო. თებერვალი, შზიანი დღე იყო. შეგობრები წმინდა მარიამის ძველი კოლეჯის მახლობლად ბროდვეიზე მისეირნობდნენ. ედუარდი მოგვითხრობს,

რომ ჯეკი საშინლად დაბნეული იყო და ნებართვა ითხოვა, ჩანისათვის ეპლგარტების მისამართი გაეგზავნა. მან გადაწყვიტა დედისათვის არ შეემჩნევინებინა, თუ რაიმე იცოდა მისი ცხოვრების ბოროტქარი წარსულის შესახებ. ჯერ ერთი, ეშინოდა მისთვის გული არ ეტკინა, და მეორე — სულაც არ სურდა, ფლორას ხელში ჩავარდნოდა ჩანის საპასუხო წერილი. ჯეკი სთხოვდა ჩანის, გაეფანტა მისთვის ის ეჭვი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გულს ულრღნიდა: „ვინ არის მამაჩემი? მართალია თუ არა, რომ დედაჩემს ცუდი, ზნედაცემული ქალის სახელი ჰქონდა გავარდნილი? იყო თუ არა იგი სულით ავადმყოფი?"

პირველი სემესტრი მან „ა" და „ბ" ხარისხის შეფასებებით დაასრულა, საშობაო არდადეგები მუშაობაში გაატარა და უნივერსიტეტში დაბრუნდა; რამდენიმე კვირის შემდეგ იგი დარწმუნდა, რომ განათლების მიღების ყველა ცდა განწირული იყო. დიდხანს დადიოდა ხმა, თითქოს მან უნივერსიტეტს თავი დაანება ინგლისური ენის ერთი პროფესორის მიზეზით, რომელმაც ჯეკის მიერ გადაცემული მოთხრობის ხელნაწერის კიდეზე მიაწერა სიტყვა „ულვარგისიას" ბერძნული სინონიმი. ნამდვილი მიზეზი უფრო პროზაული იყო. ჯონ ლონდონი ალამედაში კარდაკარ დადიოდა და სხვადასხვა წვრილმანით ვაჭრობდა, რის უფლებაც მან მიიღო, როგორც სამოქალაქო ომის ვეტერანმა. მაგრამ იმდენად დასუსტებული იყო, რომ ძალ-ღონე არ ჰყოფნიდა თავისი თავისა და ფლორას გამოსაკვებად. ეს მოვალეობა ჯეკს დაეკისრა. ხელმოკლეობა რომ არა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჯეკი გააგრძელებდა უნივერსიტეტში სწავლასა და ჟურნალ „დასავლეთში" ნარკვევებისა და მოთხრობების ბეჭდვას. ვინ იცის, ეგებ ჰყოფნოდა მოთმინება, რომ შეესრულებინა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა და უნივერსიტეტი დაემთავრებინა.

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახს მეტად უჭირდა, გადაწყვიტა ერთხელ კიდევ ეცადა ბედი, ვიდრე ახალი სამუშაოს ძებნას შეუდგებოდა. მან ასე დაასკვნა: სულ ერთია, ადრე თუ გვიან იგი გახდება მწერალი. მაშ, რაღას უცადოს, უკეთესი არაა ახლავე ჩაუჯდეს და წერა დაიწყოს? ეგებ რაიმე გამოვიდეს? იქნებ შესძლოს ოჯახის შენახვა? გამოიმუშაოს დღეში არა ერთი დოლარი, როგორც ეს

შრომის ბაზარზეა დამკვიდრებული — არამედ მეტი? ხუთი წელია რაც კითხულობდა, მსჯელობდა და კამათობდა სხვადასხვა თემებზე, ავითარებდა, ამდიდრებდა გონებასა და წარმოსახვას. იგი ხედავდა ბუნებასა და მის დაუვიწყარ სურათებს შტორმისა და ავდრის დროს, მთელი თავისი სილამაზით. მას უმუშავია სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა მხარდამხარ, ბევრჯერ ყოფილა საშიშროების პირისპირ. ახლა კი დროა თავისი საუნჯე სხვებსაც გაუზიაროს.

ჯეკი ისევ ჩაიკეტა ოთახში. იგი ჯიუტად, გამუდმებით მუშაობდა დღე-ღამეში თხუთმეტი საათის განმავლობაში. ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, თავისუფლად წერდა საკმაოდ დიდ ნარკვევებს, მეცნიერულ და სოციალისტურ ტრაქტატებს, მოკლე მოთხრობებს. იუმორისტულ ლექსებს, ტრაგიკულ იამბიკოებსა და ეპიკური პოემების სპენსერისებურ მძიმე სტილის სტროფებს. იგი ისე გაიტაცა შემოქმედებითი ციებ-ცხელების პირველმა შეტევამ, რომ ჭამაც კი დაავიწყდა; ჯეკი შემდეგ ამბობდა ხოლმე, რომ ყველასაგან განსხვავებით, ვინც კი შემოქმედებითი წვით ოდესმე ასე მძლავრად ყოფილა შეპყრობილი, მხოლოდ მან შესძლო საბედისწერო დასასრულის თავიდან აცილება.

დაამთავრებდა თუ არა ხელნაწერების ბეჭდვას, უკანასკნელ გროშებსაც არ იშურებდა საფოსტო მარკებისათვის, რათა ისინი აღმოსავლეთისაკენ გაეგზავნა. როცა მათ უკანვე დაუბრუნებდნენ, წიგნებსა და ნივთებს იაფად გაყიდდა, ისესხებდა ფულს ვისგანაც კი შეეძლო და განაგრძობდა წერას. მაგრამ როცა სახლში უკანასკნელი ცენტიც კი გამოილია, ჯეკმა ფანქარი გადასდო და მუშაობა დაიწყო ბელმონტის აკადემიის სამრეცხაოში, სადაც თავის დროზე ფრენკ ნორისი სწავლობდა. საჭმელ-სასმელსა და ბინაში არაფერს იხდიდა, ასე რომ, მთელი თვის ხელფასი — ოცდაათი დოლარი (თუ-თუნის საფასურის გამოკლებით) შეეძლო ფლორასათვის მიეცა. მის მოვალეობას შეადგენდა სტუდენტების, მასწავლებლებისა და მათი ბეუღლეების თეთრი პერანგების, საყელოების, მანჟეტების, თეთრი შარვლების დახარისხება, გარეცხვა, გახამება და დაუთოება.

მთელი კვირეების განმავლობაში ოფლს ღვრიდა თეთრეულის ულევ გროვაზე, მუშაობდა ღამღამობითაც ელექტრონის შუქზე, რათა ჭუჭყიანი თეთრეული არ დაგროვილიყო. წიგნებით გატენი-

ლი სკივრი, რომელიც სახლიდან დიდი იმედით წამოიღო, გაუხსნელი დარჩა: სამუშაოს დამთავრების შემდეგ ივახშმებდა აკადემიის სამზარეულოში და დასაძინებლად მიეგდებოდა. მთელი კვირის განმავლობაში ოთხმოცი საათის მუშაობით ქანცგამოლეულს და უძინარს, კვირაობით სიგრილეში წამოწოლისა და რაიმე კომიკურის წაკითხვის თავიღა ჰქონდა. ხანდახან, თუ მეტისმეტად დაქანცული არ იყო, კვირა დღით ოკლენდში მიემგზავრებოდა ველოსიპედით, რათა რამდენიმე საათი მეიბლ ეპლგარტთან ერთად გაეტარებინა. მან იცოდა, რომ ჩიხში იყო გამომწყვდეული, მაგრამ სად გაქცეულიყო? სხვა სამუშაო ეძებნა? სულ ერთი არ არის, სად იმუშავებს, თუკი დასვენების, კითხვის, ფიქრისა და ცხოვრებისათვის დრო აღარ დარჩება და იძულებული იქნება ლუკმაპურისათვის იმუშაოს? იგი სწორედ რომ სტანდარტული მანქანაა, რომელსაც იმდენ საჭმელს აძლევენ და ძილისათვის იმდენ დროს უთმობენ, რომ მეორე დღეს მუშაობა შეძლოს. დიდხანს უნდა შეაკლას თავი ამ უაზრო მუშაობას? როგორ იპოვოს გზა ისეთი ცხოვრებისაკენ, როგორიც მას სურს? პასუხი ბედისწერამ გასცა. კლონდაიკში აღმოაჩინეს ოქრო და, როცა 1896 წლის გაზაფხულზე იქითკენ დაიძრა ოქროსმაძიებელთა გიგანტური ტალღა, ჯეკი პირველთაგანი იყო მათ შორის. ფლორა და ჯონ ლონდონი მისი ოცდაათი დოლარის იმედით ცოცხლობდნენ. ეს ოცდაათი დოლარი რომ ეშოვნა, მან თავი დაანება უნივერსიტეტს, წერას, მაგრამ ახლა მშობლების მდგომარეობამაც ვეღარ შეაჩერა. მას თავგადასავალთა იდუმალი ხმა იზიდავდა.

გაჭირვების ტალკვესად ისევ ერთგული ელიზა მოევლინა. მისი ქმარი სამოც წელს უკვე გადაცილებულიყო, მაგრამ კლონდაიკის ციებ-ცხელებას ვერც იგი გაექცა. ელიზამ ათას დოლარად დააგირავა სახლი, ხუთასიც დანაზოგიდან აიღო და მამაკაცები გზას გაუყენა. ჯეკი და შეპარდი სან-ფრანცისკოსაკენ გაემგზავრნენ, სადაც ფართოდ გაეშალათ ალასკაში მოგზაურობისათვის საჭირო აღჭურვილობათა ხელსაყრელი ვაჭრობა. ჯეკმა და შეპარდმა შეიძინეს ბეწვგამოდებული ქურთუკები, ბეწვის ქუდები, წითელი ფლანელის პერანგები, საბნები, კარავი, პატარა ლუმელი, მარხილის კავები,

ღვედები და ხელსაწყოები ნარტებისა და ნავების ასაგებად; ამას დაუმატეს კიდევ ათას-ათასი გირვანქა სანოვაგე თითოეულისათვის.

1897 წლის 12 მარტს[1] ისინი „უმატილათი“ გზას გაუდგნენ. ეს სწორედ ის გემი იყო, რომლითაც ჯეკი სან-ფრანცისკოში დაბრუნდა „გზაზე“. ხეტიალის შემდეგ. სხვადასხვა ჯურის ხალხთა ამ შეკრებილობაში ყველაზე ახალგაზრდა ისევ ჯეკი იყო. ეს კუნთმაგარი ყმაწვილი საუკეთესოებს არ ჩამორჩებოდა არც კამათში, არც ცემა-ტყეპაში და არც მუშაობაში. მასში სიეშმაკისა და სიბოროტის ნატამალიც არ იყო; ყველა მოსწონდა და მისადმიც ყველა კარგად იყო განწყობილი. „უმატილაზე“ ჯეკი დაუმეგობრდა ფრედ თომპსონს, მეშახტე ჯიმ ჰუდმანს და დურგალ სლოუპერს. იმ გაჭირვების დღეებში, რომელიც მათ წინ ელოდათ, ეს ოთხეული განუყრელ მეკობრად დარჩა.

გამბედავი ოქროსმაძიებლებით სავსე „უმატილა“ არხში შევიდა და ღუზა ქალაქ სკეგვეისთან ჩაუშვა. აღგზნებული, მოუთმენლობით შეპყრობილი მოგზაურები კარჭაპებით გადაყავდათ და დაიის ნაპირზე სვამდნენ. იქ არქტიკული ზამთრისაგან თავდაცვისათვის განკუთვნილი სურსათ-სანოვაგით, ინსტრუმენტებითა და ტანსაცმლით გატენილ მრავალფუთიან ტომრებს შორის ათასობით მომავალი ოქროსმაძიებელი გაფაციცებით ვაჭრობდა, ქირაობდა ინდიელ მებარგულებს. როცა ჯეკი და შეპარდი სან-ფრანცისკოდან მიემგზავრებოდნენ, მათ უთხრეს, ჩილკუტის უღელტეხილზე ყოველი გირვანქა ბარგი ინდიელებს ექვს ცენტად გადააქვთო. მაგრამ იმ დროისათვის, როცა მათ დაიის ნაპირებს მიაღწიეს, მებარგულებმა ფასები ოცდაათ-ორმოც ცენტამდე ასწიეს. საკმარისი იყო გაოგნებული ოქროსმაძიებელი წამით შეყოყმანებულიყო, რომ ფასი ორმოცდაათ ცენტამდე ავარდებოდა.

თუ ჯეკი და შეპარდი ასეთ ფასს გადაიხდიდნენ, ერთი დოლარიც აღარ დარჩებოდათ და იუკონიდან მათ უკან დააბრუნებდნენ „ყვითელფეხებიანები“—ჩრდილო-დასავლეთის ცხენოსანი პოლიცია, რომელიც მოითხოვდა, გარდა ათასი გირვანქა სანოვაგისა, თითოეულ ოქროსმაძიებელს ხელზე ნაღდად ხუთასი დოლარი ჰქო-

[1] ჩარმიან ლონდონი მეორე თარიღს, 1897 წლის 25 ივლისს, ასახელებს.

ნოდა. ბევრს საშუალებაც არა ჰქონდა ასეთი გასამრჯელო გადაეხადა მებარგულებისათვის და არც ღონე შესწევდა ჩილკუტის უღელტეხილის მეტისმეტად მომქანცველ გზაზე ზურგით გადაეტანა თავისი ბარგი. ასეთებმა თავი დამარცხებულად სცნეს და „ულატილას“ უკან დაბრუნებისას თან გაჰყვნენ სან-ფრანცისკოში, მათ შორის იყო შეპარდიც. ჯეკი დარჩა; დარჩნენ აგრეთვე თომპსონი, ჰუდმანი და სლოუპერი.

ჯერ მხოლოდ აპრილი იყო, წინ თვეობით მძიმე მუშაობა მოელოდათ: უნდა გადაელახათ ჩილკუტი, ოცდახუთი მილის მანძილზე გადაეზიდათ თავიანთი ბარგი ლინდერმანის ტბამდე, გადასულიყვნენ მის მეორე მხარეზე, გადაელახათ ჭორომები, ასეულ მილზე აჰყოლოდნენ ზევით მდინარე იუკონს დოუსონამდე და ოქროს შემცველ მდინარე კლონდაიკამდე მიეღწიათ. ყველაფერი ეს უნდა მოესწროთ მანამ, ვიდრე ყინვები დაიწყებოდა და ზამთარი გზებს შეკრავდა. ჯეკმა, როგორც საზღვაო საქმის სპეციალისტმა, ნავი შეიძინა; დატვირთეს იგი სანოვაგით და მეგობრები მას ბაგირით ეზიდებოდნენ მდინარე დაიის, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ლინის არხის საწინააღმდეგო დინებით. შვიდი მილის გავლის შემდეგ მიაღწიეს ჩილკუტის უღელტეხილის დასაწყისს. ნავიდან ბარგი გადმოიღეს და მოფარებულ ადგილას დამალეს, თვითონ კი ისარგებლეს მდინარის საგაზაფხულო ბობოქარი დინებით და დაიოში დაბრუნდნენ ბარგის მორიგი ნაწილის გადასატანად. მეგობრებს რამდენიმე კვირა მოუხდათ მუშაობა, ვიდრე თოკგამობმული ნავით რვა ათას გირვანქა ტვირთს უღელტეხილის დასაწყისამდე გადაზიდავდნენ.

როგორც ცნობილია, ჩილკუტის უღელტეხილი ერთ-ერთი უძნელესია ბარგის გადატანის მხრივ; მისი კლდოვანი კალთები თითქმის ვერტიკალურადაა აღმართული. ჯეკმა ასორმოცდაათი გირვანქა ტვირთი მხარზე გაიდო და აღმართს შეუდგა. უღელტეხილის ძირიდან მის მწვერვალამდე, ექვსი მილის მანძილზე, თოკივით გაჭიმა ადამიანთა ნაკადი. ხანშიშესულები და ფიზიკურად სუსტები, ვინც სათანადო გამბედაობა ვერ გამოიჩინა, ვისაც მთელი სიცოცხლე თავის კანტორაში გაეტარებინა და ფანქარზე უმძიმესი ტვირთი ხელში არ აეღო, ახლა აქ ვეღარ გამოდგა და ქანცგამოლეულნი გზის

პირას წაიქცნენ. ასეთი ხალხი პირველივე გემით შტატებში დაბრუნდა.

ზაფხულის მზე სულ უფრო მხურვალედ აცხუნებდა. შუა გზაზე ჯეკმა გაიხადა პალტო და ქურთუკი და გაორკეცებული ენერგიით გასწია წინ. მისი ალისფერი ფლანელის პერანგი აღიზიანებდა ინდიელთა წარმოსახვას. თითოეული მწვერვალის გადალახვას ერთი დღე სჭირდებოდა. ჯეკმა, ჰუდმანმა, თომპსონმა და სლოუპერმა ოთხმოცდაათი დღე მოანდომეს რვა ათასი გირვანქა ბარგის უღელტეხილზე გადატანას. მის მიერ დაწერილ არც ერთ წიგნს იმაზე მეტი სიამოვნება არ მიუნიჭებია ჯეკისათვის, რაც იმ ფაქტს, რომ მან ინდიელ-მებარგულთაგან ბევრი უკან ჩამოიტოვა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ტვირთი არც ერთი მათგანის ტვირთზე ნაკლებს არ იწონიდა.

ლინდერმანის ტბასთან ოქროსმაძიებლებს კიდევ ახალი ჯგუფი გამოეყო და უკან დაბრუნდა იმის გამო, რომ ტბაზე გადასასვლელი ნავი ვერსად იშოვეს. ჯეკმა და მისმა მეგობრებმა ისევ საიმედო ადგილას ჩამალეს თავიანთი სურსათ-სანოვაგე და ყოველ დილით რვა მილის მანძილზე მიუყვებოდნენ ხოლმე ფეხით ტბის ნაპირს ალმა, სლოუპერის მიერ სახელდახელოდ გამართული ხე-ტყის სახერხისაკენ. რამდენიმე ხე მოჭრეს, დაამაგრეს და ხელის ხერხით ფიცრებად დახერხეს. ახლა სეილორ-ჯეკს ორი ბრტყელძირა ნავის გაკეთებისათვის უნდა ეხელმძღვანელა. ერთ მათგანს მან „იუკონის მზეთუნახავი“ დაარქვა, მეორეს — „მზეთუნახავი იუკონა“ და წყალში ჩაშვების დღეს თითოეულ მათგანს პოემა უძღვნა.

ჯეკმა ბრეზენტისაგან იალქნები გამოჭრა და შეკერა კიდევ. სარეკორდო სისწრაფით ნავი ტბის მეორე მხარეზე გადაიყვანა. ამრიგად, ყინვების დაწყებამდე დოუსონში ჩასვლის იმედიც გაორკეცდა. მეგობრებმა უკან ჩამოიტოვეს ლინდერმანი, იუკონის სათავეს მიაღწიეს და გადამწყვეტი ნახტომის სამზადისს შეუდგნენ. ეგრეთწოდებული „თეთრი ცხენის“ ჭორომებთან მგზავრებმა დაინახეს უამრავი ნავი, რომელთა გარშემო ათასობით ადამიანი ირეოდა. მათ გეგმები ჩაშლოდათ: ყველა ნავი, რომელიც კი ჭორომზე გადასვლას შეეცდებოდა, ეკიპაჟიანად იძირებოდა. თომპსონმა თქვა:

— წადი, ჯეკ, დაათვალიერე, განა ასეთი რა ჭორომებია. და თუ მეტისმეტად სახიფათოა...

ჯეკმა ორივე ნავი ნაპირთან მიაბა. მას გარს შემოეხვივნენ. ბევრი მათგანი თავის სიცოცხლეში ნავში არ მჯდარიყო, მაგრამ მაინც ერთხმად არწმუნებდნენ, ჭორომებზე გადასვლის ცდა სასიკვდილოდ თავის განწირვაო. ჯეკმა დაათვალიერა „თეთრი ცხენი“ და მეგობრებთან დაბრუნებულმა განაცხადა:

— არაფერია! თითოეული მათგანი ცდილობდა დინებას შებრძოლებოდა, რათა წყალქვეშა კლდეთა მწკრივებს არ დაჯახებოდა. ჩვენ კი დინებას გავყვეთ და გვერდს ავუვლით მათ.

ტვირთს ბრეზენტის იალქანი გადააფარა და ნავის კიდეებზე დაამაგრა. სლოუპერი ნიჩბით ნავის ცხვირთან დააყენა ჩაჩოქილი, თომპსონი და ჰუდმანი ცენტრში დასვა, თვითონ კი კიჩოზე მოთავსდა საჭესთან. ნაპირიდან გამამხნევებელი შეძახილები გაისმა. ნავი წყლის ძირიდან მასას გაჰყვა, მშვიდობით გადაევლო ჭორომს და ხელსაყრელ ადგილას ნაპირს მიადგა. მეგობრებმა ახლა მეორე ნავს მიაშურეს.

ჯეკს მრავალი მუშტარი გამოუჩნდა — ყველანი ნავის ჭორომზე გადაყვანას სთხოვდნენ. მან ფასი დააწესა: ოცდახუთი დოლარი თითოეული ნავის გადაყვანისათვის. რამდენიმე დღეში სამი ათასი დოლარი დააგროვა თავისი ჯგუფისათვის. შეიძლებოდა კიდევ ხუთი ათასის აღება, მაგრამ უკვე სექტემბრის მეორე ნახევარი იყო — ისედაც მეტად დიდ ხანს შეჩერდნენ აქ.

მდინარე სტიუარტის შესართავთან, დოუსონიდან სამოცდათორმეტი მილის მანძილზე, მოულოდნელად ზამთარი წამოეწიათ და გზის გაგრძელება შეუძლებელი გახდა. ოთხი მეგობარი ერთ ცარიელ ქოხს დაეპატრონა იუკონის ნაპირზე; მოიმარაგეს შეშა და გრძელი ზამთრის შემოტევისათვის მოემზადნენ. სტიუარტის შესართავთან ზამთარმა ორმოცდაათ-სამოცდაათამდე კაცს მოუსწრო, რომელთა შორის იყო ექიმი, მოსამართლე, პროფესორი და ინჟინერი. მდინარის ნაპირისაკენ ეშვებოდა ოდნავ დაქანებული მაღალი ბორცვები, რომლებიც აქა-იქ ნაკადულებს დაესერა. ირგვლივ ნაძვის ტყეები გადაჭიმულიყო. მიწას ერთ მეტრზე მეტი სისქის თოვლის საბურავი შემოეფუთნა. დოუსონისაკენ მიმავალი გრძელი გზა უთუოდ ჯეკის ქოხთან მიგიყვანდათ. საკვამლე მილიდან ზანტად მიიკლაკნებოდა მაღლა მაცდური თეთრი კვამლი, რომელიც სითბოს, სიმშ-

ვიდესა და მყუდროებას მოასწავებდა. სწორედ ამ კვამლმა მოიყვანა ქოხში დრო-არ-იცდის, ლუი სავოი, პიკოკი, პრუტი, სტივენსი, მეილმუტ კიდი, დელ ბიშოპი, მონადირეები, ინდიელები, „ყვითელფეხებიანები“, ჩეჩაკოები, გამობრძმედილი მკვიდრი მაცხოვრებლები, სხვადასხვა ჯურის ხალხი, რომლებმაც უკვდავება ჰპოვეს ჯეკ ლონდონის მიერ ალასკაზე შეთხზულ წარმტაც მოთხრობებში.

ჯეკმა აქ ჩინებულად გაატარა ზამთარი მრავალფეროვან, სასიამოვნო საზოგადოებაში; ბანაკში რამდენიც სურდა, იმდენი წიგნი იშოვებოდა. თვითონ ჯეკმა ჩილკუტის უღელტეხილზე გადმოიტანა დარვინის „სახეთა წარმოშობა“, სპენსერის „სტილის ფილოსოფია“, მარქსის „კაპიტალი“ და მილტონის „დაკარგული სამოთხე“. ერთხელ, ადგილობრივი ოქროსმაძიებელი ქარბუქში მოხვდა და ცოცხალ-მკვდარმა ქოხამდე ძლივს მოაღწია. ოთახი ხალხით იყო გაჭედილი. თამბაქოს სქელი ნისლი იდგა და ყველანი ერთად ყვირიოდნენ, ხელებს იქნევდნენ. როცა გაიგო, რაზეც კამათობდა ასე გააფთრებით ეს შეკრებილობა, ოქროსმაძიებელმა იფიქრა, ალბათ თოვლიან ქარბუქთან ბრძოლაში მე თვითონ დავკარგე გონებაო. რაზე კამათობდნენ? სოციალიზმზე.

ერთ საღამოს, მომიჯნავე ქოხის პატრონმა ვ. ბ. ჰარგრეივმა შემთხვევით ყური მოჰკრა ცხარე კამათს დარვინის თეორიის შესახებ. კამათობდნენ: მოსამართლე სალივანი, დოქტორი ბ. ფ. ჰარვი და ჯონ დილონი. ჯეკი საწოლზე წამოწოლილიყო; ისიც ყურს უგდებდა კამათს და რაღაცას იწერდა. როცა მეგობრებმა რომელიღაც საკითხს თავი ვერ გაართვეს, ჯეკმა შესძახა:

— მეგობრებო, ის ადგილი, რომლის ციტირებას ვერ ახერხებთ, დაახლოებით ასე უნდა ჰქონდეს ავტორს...

და მან საჭირო ციტატის ნაწყვეტი მოიყვანა. მაშინ ჰარგრეივი მეზობელი სახლისაკენ გაეშურა, სადაც „სახეთა წარმოშობა“ წაეღოთ, და წიგნით ხელში დაბრუნებულმა ჯეკს მიმართა:

— აბა, ჯეკ, გაგვიმეორე ის ადგილი და შევამოწმოთ ორიგინალში.

ჰარგრეივის გადმოცემით, ჯეკმა სიტყვა-სიტყვით გაიმეორა ის ნაწყვეტი.

ჰარგრეივი იგონებს, როცა პირველად მივედიო ჯეკთან, იგი საწოლზე ჩამომჯდარიყო და თუთუნს ახვევდა. ჰუდმანი საჭმელს ამზადებდა, სლოუპერი რაღაცას დურგლობდა. ჯეკი თურმე ჰუდმანის ორთოდოქსალურ შეხედულებებს აკრიტიკებდა და ახლა ჰუდმანი ჯიუტად ცდილობდა გაებათილებინა მეგობრის ბრალდებები. ჯეკმა საუბარი შეწყვიტა და ახლად შემოსულ ადამიანს ისეთი ნათელი ღიმილითა და გულთბილი სტუმართმოყვარეობით მიეგება, რომ ყოველგვარი უხერხულობა მყისვე გაქრა. სტუმარი მაშინვე ჩააბეს კამათში.

ჰარგრეივი ადასტურებს, რომ ჯეკი ბუნებით კეთილი იყო, განუსჯელად ხელგაშლილი, ჭეშმარიტი მეგობარი მეგობართა შორის და თვით ბრწყინვალე ახალგაზრდებს შორის მზეჭაბუკივით გამოირჩეოდა. შინაგანი სისათუთე, რომელიც მას გააჩნდა, როგორ უხეშ გარემოცვაშიც არ უნდა აღმოჩენილიყო, შეუბღალავი, წმინდა რჩებოდა, ხოლო თუ კამათის დროს მოწინააღმდეგე თავს ვეღარ გაართმევდა მის მიერვე დახლართულ მსჯელობათა ქსელს, ჯეკი თავს უკან გადასწევდა და გადამდები სიცილი აუტყდებოდა. დახასიათება, რომელსაც ჰარგრეივი გამომშვიდობების დროს აძლევს ჯეკს, იმდენად გულწრფელია, რომ მასში ერთი სიტყვის შეცვლაც არ არის საჭირო.

„როცა ირგვლივ ყველას ძილი მოერეოდა, ჩვენ, მე და ჯეკი, ღაბეების განმავლობაში ვიჯექით ხოლმე ნაძვის ხის მოგიზგიზე ნაპობებთან და საათობით ვსაუბრობდით. ნახევრადმიწოლილი იჯდა იგი უხეშად აგებულ ღუმელთან; სახეზე დასთამაშებდა ცეცხლის ანარეკლი და მის ვაჟკაცურ, ლამაზ ნაკვთებს ანათებდა. ადამიანთა მოდგმის რა არაჩვეულებრივი ეგზემპლარი იყო ჯეკი! მას სპეტაკი, სიხარულით აღსავსე, ნაზი, კეთილი, გული ჰქონდა, გული, რომელსაც ახალგაზრდული ეგოიზმის ნატამალიც არ გააჩნდა. ჯერ მხოლოდ ოცი წლისა იყო, მაგრამ უფრო მეტი ხნისად გამოიყურებოდა: მოქნილი და ღონიერი ტანი ჰქონდა, ფართო, გახსნილი საყელოდან მძლავრი კისერი მოუჩანდა, აბურდული გრუზა თმა შუბლზე ჩამოშლოდა და, ბაასით გატაცებული, წამდაუწუმ უკან გადაიყრიდა ხოლმე; მგრძნობიარე ტუჩებს შეეძლო ზოგჯერ მკაცრი, მბრძანებლური მოხაზულობაც მიეღო; ჰქონდა გასხივოს-

ნებული ღიმილი, გამოხედვა, რომელიც ხშირად სადღაც შორს, მისივე არსების სიღრმეში იკარგებოდა; მხატვრისა და მეოცნების სახისგან, რომელიც მკვეთრი შტრიხებით იყო მოხაზული, ნებისყოფა და უსაზღვრო ენერგია გამოსჭვიოდა. კარჩაკეტილი ბინადარი კი არა, უსაზღვრო ხალვათობის მოტრფიალე ადამიანი იყო; ერთი სიტყვით, ნამდვილი ადამიანი, ვაჟკაცი. იგი სიმართლის ძიების წყურვილით იყო შეპყრობილი. რელიგიას, ეკონომიკასა და, საერთოდ, ყველაფერს ქვეყნიერებაზე, ერთი საზომით უდგებოდა: „რა არის სიმართლე?“ მის აზროვნებაში დიდი იდეები იბადებოდა. მასთან შეხვედრისას არ შეიძლებოდა მთელი სიძლიერით არ გეგრძნოთ არაჩვეულებრივი ინტელექტის ზემოქმედება. იგი ცხოვრებას ურყევი რწმენით შესცქეროდა და სიკვდილის პირისპირ მდგარი, სიმშვიდესა და თავდაჭერილობას არ ჰკარგავდა“.

ფრედ თომპსონმა მარხილი და ძაღლის აღკაზმულობა შეიძინა და ჯეკთან ერთად ოქროს საბადოების დასაზვერად აჰყვა მრავალრიცხოვან ნაკადულებს, მდინარე იუკონის შენაკადებს. თომპსონის გადმოცემით, ჯეკი საგზაო ცხოვრების სპეციალისტი იყო. შეეძლო ქარბუქის დროს ცეცხლი გაეჩაღებინა, მშვენიერი კვერები გამოეცხო გემრიელად მოეხრაკა ლორი, ისე გაემართა კარავი, რომ ოცდაათგრადუსიანი სიცივის დროსაც კი თბილად ჩაგძინებოდა. ამდაგვარებზე ჯეკი უთუოდ იტყოდა, რომ ეს ადვილი საქმეა მაწანწალად ნამყოფი კაცისათვის, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ღია ცის ქვეშ იძინებდა ყოველგვარი საბნის გარეშე და სადღაც, რკინიგზასთან ახლოს, მაწანწალის „ჯუნგლებში“ კოცონთან მიმჯდარი, საუმელს კონსერვის ქილაში ხარშავდა.

ჯეკმა და თომპსონმა თავიანთი ძიებანი ჰენდერსონზე დაიწყეს, რომელიც იუკონს სტიუარტის ბანაკიდან ერთი მილის ქვემოთ უერთდებოდა. იქ, სადაც ჩქარი დინების გამო წყალი არ იყინებოდა, ხიმინჯი ჩაასვეს და როცა უკან ამოაძვრეს, მასზე მიკრულ ქვიშაში ბრჭყვიალა ნამცეცები შეამჩნიეს. მღელვარებისაგან სუნთქვაშეკრულებმა ნაკვეთი შემოფარგლეს და ძაღლები სტიუარტისაკენ გამორეკეს, რათა სასიამოვნო ამბავი ემცნოთ. ბანაკის მკვიდრნი უკლებ-

ლივ, ზოგი ქვეითად, ზოგი ძაღლებით გაეშურნენ ნაკვეთების დასაკავებლად.... „შეგიძლია დარწმუნებული იყო, რომ ჩვენ მეოთხედი მილიონი ოქრო ჯიბეში გვაქვს“,—უთხრა თომპსონმა ჯეკს. როგორ შეიძლებოდა ამ დროს ჯეკს არ ეოცნება: ოქროთი გატენილი ტომრებით დაბრუნდება ოკლენდში; ფლორა და ჯონი ხელგაშლილად იცხოვრებენ; ელიზას გადაუხდის კეთილი საქმეებისათვის გაწეულ ხარჯებს და ცოლად შეირთავს მეიბლ ეპლგარტს; ახლა მას საკმაო დრო ექნება, რომ წეროს, რამდენიც მოესურვება.

ოცნება დიდხანს არ გაგრძელებულა. ადგილობრივი მაცხოვრებლები, რომლებმაც აგრეთვე სასწრაფოდ მიაშურეს ჰენდერსონის ნაკადულს, სიცილ-ხარხარით დაბრუნდნენ უკან. ის, რაც ჯეკს წმინდა ოქროს ნამცეცებად მოეჩვენა, უბრალოდ ქარსი აღმოჩნდა. თომპსონის დაკვირვებით, ჯეკს მაინცდამაინც მწვავედ არ განუცდია იმედის გაცრუება; იგი ჯერ კიდევ „უმატილაზე“ ყოფნისას ეუბნებოდა თომპსონს, რომ ალასკაში ქვიშის საჩიჩქნად კი არ მიდის, არამედ წიგნებისათვის მასალის შესაგროვებლად. მაინც შეუძლებელია მასზე არ ემოქმედა ამ „უეჭველი“ მეოთხედი მილიონის დაკარგვას.

იმათ შორის, ვინც ჯეკს ალასკაში იცნობდა, მის შესახებ ყველაზე უკეთ წერს ემილ ჯენსენი, რომელიც ჯეკმა მეილმუტ კიდის პირველსახედ გამოიყენა. მწერალი შემდგომში მას იგონებდა, როგორც „კეთილშობილ ადამიანს“. ჯენსენი წერს, რომ ცივი, მივარდნილი მდინარის პირას პირველი გულთბილი სალამი ჯეკისაგან გაიგონა.

— შეუცდომლად შეიძლება ითქვას, რომ თქვენ მეზღვაური ხართ და ისიც სან-ფრანცისკოს ყურედან, — მითხრა ჯეკმა. — ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ თქვენ მოხდენილად, ყოველგვარი ბიძგის გარეშე, მიაყენეთ ნავი ნაპირს, ძლიერი დინებისა და მცურავი ყინულის მიუხედავად.

ჯენსენი დასძენს, რომ ამ სიტყვებს თან სდევდა ბავშვური, მეგობრული ღიმილი და პირდაპირი, მხიარული გამოხედვა. ყოველთვის ალერსიანი ჯეკი სულით არასოდეს არ ეცემოდა; იგი მუდამ საიმედო მეგობარი იყო. როცა ვინმე არ გაიზიარებდა მის სოციალისტურ მრწამსს, ჯეკი ეტყოდა:

— მოითმინეთ, თქვენ ჯერ საამისოდ არ მომწიფებულხართ; თავის დროზე ყველაფერი იქნება.

ჯენსენის გადმოცემით, ჯეკის სახლი ყოველთვის საერთო ინტერესის ცენტრს წარმოადგენდა: ფართო და მრავალმხრივი ნატურის მქონე ჯეკს ვერავინ შეედრებოდა მსმენელთა ყურადღების დაპყრობაში. ხანდახან, როცა ვისიმე მონაყოლი ამბავი მსმენელებში ეჭვს გამოიწვევდა, მოსაუბრენი მხრებს უნდობლად აიჩეჩავდნენ და დაიშლებოდნენ. ჯეკი კი რჩებოდა; მთქმელს ჯიუტად გამოჰკითხავდა ყველაფერს და ყოველ წვრილმანს ათქმევინებდა. ბანაკის ყოველდღიურ ცხოვრებაში მისთვის ყველაფერი ღრმა აზრს შეიცავდა და ამართლებდა მისი იქ ყოფნის თითოეულ საათს. იგი ყველგან პოულობდა რაიმე ახალს, მნიშვნელოვანს — იქნებოდა ეს ვისტის პარტია, კამათი ანდა გორაკების სამხრეთის კალთებზე მოციმციმე ნაშუადღევის მზის ცივი შუქი; როცა ღამღამობით, საიდუმლოებით მოცული ცის ქვეშ გაოცებული მოწიწებით და დუმილით შესცქეროდა თოვლის ბრწყინვას, ან როცა თავდავიწყებამდე აღელვებული თვალყურს ადევნებდა, როგორ ივსებოდა მძლავრი მდინარე წყალდიდობის დროს, იგი წინასწარ სიამით თრთოდა, როცა გაიფიქრებდა, რას უქადდა მომავალი.

ჯენსენი მოგვითხრობს ერთ სასაცილო ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ მისცა ჯეკმა მას „სახეთა წარმოშობა". როცა ჯენსენმა შესჩივლა, რომ წიგნი მისთვის მეტად ძნელად გასაგები ენით არის დაწერილი, ჯეკმა უფრო ადვილად წასაკითხი ჰეკელის „სამყაროს საიდუმლოება" შესთავაზა. მაგრამ მისთვის ესეც მიუწვდომელი აღმოჩნდა. მაშინ ჯეკმა საბნების გროვიდან გამოაძვრინა თავისი ყველაზე სანუკვარი საუნჯე — მილტონის „დაკარგული სამოთხე". ჯენსენი გამოუტყდა, ლექსები არ მიყვარსო. ჯეკი დაუყვა იუკონს, მიაღწია იმ ქოხამდე, სადაც კიპლინგის „შვიდი ზღვა" ჰქონდათ, მოუტანა ჯენსენს და შეევედრა მეგობარს, რამდენიმე გვერდი მაინც წაეკითხა, რათა ეგრძნო პოეზიის სიმშვენიერე. როცა ჯენსენმა იგი მთლიანად, უკანასკნელ სტრიქონამდე ჩაიკითხა, ჯეკმა ეს თავის უდიდეს გამარჯვებად ჩათვალა.

ჯენსენის ის სტრიქონები, რომელიც ჯეკის სამართლიან შეფასებას იძლევა, ღირსია იმისა, რომ მთლიანად იქნეს მოყვანილი:

„ჯეკთან ნაცნობობა გამაცოცხლებელი, სასარგებლო და ნაყოფიერი იყო. იგი არასდროს ვარაუდობდა: ღირს თუ არა კიდევ თავის საფრთხეში ჩაგდება, რა სარგებლობას უნდა გამოელოდეს ამისგან? მოკლედ რომ ვთქვათ, იგი ყოველთვის ყველგან იყო; მთელ ბანაკს შემოივლიდა, თუ წასაკითხი არაფერი ჰქონდა. არ დაიზარებდა მარხილით შეშის მოტანაში მიხმარებას; თუ დაინახავდა, რომ ჩვენ სულ უბრალო რამეზეც კი ვღიზიანდებოდით. მაგალითად, თუთუნის უქონლობის გამო, იგი მზად იყო ორი დღე ეძებნა თუთუნის ერთი შეკვრა. ვისიმე თხოვნით, ან თავისი სურვილით გაწეული დიდი თუ უმნიშვნელო დახმარებისათვის არათუ საკუთარ თავს, მთელ თავის ქონებასაც არ დაინანებდა. სახეზე მუდამ გაუქრობელი ღიმილი უკრთოდა“.

საწოლზე წამოწოლილ ჯეკს მრავალი საათი გაუტარებია წიგნების კითხვასა და ალასკურ შთაბეჭდილებათა ქაღალდზე გადატანაში. ყველაფერს იწერდა: გაგონილ ამბებს, პაექრობებს, რომლებშიაც თვითონაც იღებდა მონაწილეობას, მოსწრებულ გამოთქმებს, შეხედულებებს, მის სახლში ნამყოფ ადამიანთა პორტრეტებსა და დახასიათებებს. თომპსონი 1937 წელსაც კი ბუზღუნით იხსენებდა, რომ ზოგჯერ ჯეკზე არავითარი თხოვნა არ მოქმედებდა, დაეპო შეშა, რადგან, წარმოიდგინეთ, იგი თურმე მეტად დაკავებული იყო სოციალიზმის ქადაგებით. ალასკის ძველი მცხოვრებლები ადასტურებენ, რომ 1896 წლის ზამთარში სტიუარტის ბანაკში სოციალიზმი საყვარელ თემას წარმოადგენდა. ჯეკი მარტოხელა როდი იყო თავის რწმენაში; ბევრი იზიარებდა სოციალიზმის ეკონომიკის დებულებებს. ოქროს მაძიებლები ვეღარ ამჩნევდნენ სიტუაციის კომიზმს: ეს მებრძოლი ინდივიდუალისტები, რომელნიც პირადი გამდიდრების მიზნით ოქროს საძებრად გამოჭრილიყვნენ, თავისუფალ საათებს სოციალიზმის — კოლექტივიზმის ფილოსოფიის — ქებაში ატარებდნენ. ამაზე ჯეკი საწინააღმდეგო მოსაზრებას წამოაყენებდა, აქ გასაკვირი არაფერიაო: პიონერები, გულადი ადამიანები, ისევე არ შეუშინდებიან გამოიკვლიონ უცნობი, ხიფათით აღსავსე ქვეყნები, როგორც უცნობი, საშიშროებით აღსავსე თეორიები.

ბოლოს, როცა გაზაფხული დადგა, ჯეკს თავხედური განზრახვა შოუვიდა თავში — თავისი პაპის ნაკვალევს გაჰყოლოდა: მარშალ უელმანმაც ხომ თავის დროზე ტივი შეჰკრა და გასცურა პუტ-ინ-ბეის ყურედან კლივლენდამდე — საზღვრიდან საზღვრამდე. ჯეკმა და ექიმმა ჰარვიმ დაშალეს ექიმის ქოხი, მორებისაგან ტივი შეჰკრეს და დოუსონამდე მდინარით იმგზავრეს, სადაც მორები ექვსას დოლარად გაჰყიდეს.

დოუსონი ძალიან მხიარული, კარვებიანი ქალაქი აღმოჩნდა ხუთიათასი მაცხოვრებლით: გაუვალტალახიანი მთავარი ჭუჩის ორივე მხარეზე სამიკიტნოები იყო ჩამწკრივებული, სადაც არა მარტო სვამდნენ, არამედ ეძინათ, ყიდულობდნენ სურსათს, დებდნენ შეთანხმებებს, ცეკვავდნენ დანსინგების მოცეკვავე ქალებთან და პროფესიონალ-მოთამაშეებთან აგებდნენ ოქროს ქვიშას. სურსათსანოვაგე ცოტა იყო; ერთი ულუფა ლორიანი ერბო-კვერცხი სამნახევარი დოლარი ღირდა, მუშას კი დღეში ერთ უნცია ოქროს უხდიდნენ — დაახლოებით ჩვიდმეტნახევარ დოლარს. ქვეყნიერების ყოველი კუთხიდან ჩამოსულიყვნენ აქ დიდი ავანტურისტები. ცხენოსანი მილიციის მეთვალყურეობით უამრავი მეძავი ქალი მდინარის მეორე მხარეზე, ეგრეთ წოდებულ ლუს ტაუნში, გადაიყვანეს. მდინარის ნაპირებს აერთებდა ერთი კვარტალის სიგრძეზე გადაჭიმული, თოკებზე კიდული ხიდი. ჯეკი აღნიშნავდა, რომ ოქროს მაძიებელთა შორის ცოტანი იყვნენ ისეთები, რომელნიც ამ ხიდზე გადასვლას ერიდებოდნენ.

თომპსონი მოგვითხრობს, ჯეკს დოუსონში თითი თითზე არ დაუკარებიაო. მართალი რომ ვთქვათ, მან რამდენიმე დღე წაიმუშავა მდინარეში მორების დაჭერასა და ნავზე გამობმული ბაგირით სახერხ ქარხნამდე მითრევაზე. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რაღა საჭიროა მუშაობა, თუკი უფულოდ შეგიძლია შეხვიდე სადაც კი მოგესურვება? იგი სასურველი სტუმარი იყო დახლთან; ოქროს მაძიებლებს სასახელოდ მიაჩნდათ მისი მიპატიჟება, ოღონდ ჯეკს ყური დაეგდო მათი უსასრულო საუბრისათვის. ჯეკმა იცოდა, როგორ უნდა გამოეწვია ადამიანი სალაპარაკოდ, გაეგო მისგან ამბები, რომლებიც უვარგისი ვისკის დალევაზე უფრო აინტერესებდა. ქალებს იგი მოსწონდათ, რადგან, ჯერ ერთი, ლამაზი იყო და, მეორეც, იცოდა

მათთან საუბრის გაბმა. ფული რომ არა აქვს? მერე რა? სამაგიეროდ, მასთან არ მოგეწყინება! როცა მოსაუბრე არავინ ჰყავდა, ქუჩაში მოხერხებულ ადგილას გაჩერდებოდა და თავმოყრილ ხალხს თვითონ ართობდა საკუთარი მოთხრობებით. საღამოებს სათამაშო სახლებში ატარებდა, სადაც აკვირდებოდა და ჩანაწერებს აკეთებდა. ყურს უგდებდა სახელდობრ იმათ, ვინც სჭირდებოდა: მონადირეებსა და ალასკის მკვიდრ მცხოვრებლებს. რომელნიც იქ კლონდაიკის ოქროს საბადოს აღმოჩენამდე დასახლებულიყვნენ. ჯეკმა ნაწილ-ნაწილად, მაგრამ პირველმა აღადგინა ამ ადგილების უტყუარი ისტორია. მან ისიც იცოდა, რა მასალა სჭირდებოდა, და ისიც, როგორ უნდა შეეგროვებინა ის: თავისი მომავალი სამუშაოსათვის ძვირფასი მასალების შესაგროვებლად გამოკითხვას აწარმოებდა განსაკუთრებული, მის მიერვე გამომუშავებული მეთოდით.

ალასკაზე ცოცხალი მწვანილეულობა არ იშოვებოდა და ჯეკს სურავანდი დაემართა. სახეზე გამოაყარა, რამდენიმე შემორჩენილი კბილიც მოერყა. იგი მოათავსეს კათოლიკეთა ჰოსპიტალში, სადაც თომპსონმა, მისივე გადმოცემით, მცირეოდენი გადასახდელი შეიტანა ხარჯების დასაფარავად. აქ მას მანამ მკურნალობდნენ, ვიდრე ისე არ მოღონიერდა, რომ მგზავრობა შესძლებოდა. ივნისში კენტუკელი ტეილორი, ჯონ ტორნსონი და ჯეკი დანჯღრეული ღია ნავით დოუსონიდან გაეშგზავრნენ. მათ ათას ცხრაასი მილი გაიარეს იუკონის დაყოლებით ბერინგის ზღვის გასწვრივ. ნავი ჯეკს მიჰყავდა. შუადღის პაპანაქებაშიც კი განაგრძობდნენ გზას და ნაპირს მხოლოდ დაღამებისას თუ მიადგებოდნენ ხოლმე ღამის გასათევად. ისინი მიცურავდნენ იუკონის დაბლობების გასწვრივ, სადაც უთვალავი კოღო გასწიოდა; ჭორომებს გასცდნენ. გზადაგზა თვალს ადევნებდნენ, თუ როგორ ცეკვავდნენ ანგლო-საქსები ადგილობრივ სოფლებში ინდიელ ქალიშვილებთან.

მართალია, სურავანდმა სისხლნაღენთით მთლიანად დაუფარა ჯეკს ტანის ქვედა ნაწილი, ხოლო მარცხენა ფეხი ისე გაუკავა, რომ გაშლა არ შეეძლო, მაგრამ ღამღამობით, როცა ამხანაგებს ეძინათ, იგი მაინც გარეულ ფრინველებზე ნადირობდა. ყოველდღიურად უბის წიგნაკში ახალ ჩანაწერებს აკეთებდა იმაზე, თუ როგორ შაქრდებოდა ოქროლ ბარდით დაფარულ კუნძულებზე,

როგორ ტკრციალებდნენ მწყრები, როგორ ხმაშეწყობილად გაჰ-კიოდნენ თოლიები და ბატასინები, მიფრინავდნენ გარეული იხვები, აფრთხიალდებოდნენ ხოლმე ღალღები; რა ლამაზია ღამე, როცა წყნარად მიცურავ მდინარის დაყოლებით. შემდეგ კი იქვე, უბის წიგ-ნაკის კიდეებზე, აღნიშნავდა: ეს მასალა კარგია ჟურნალისათვის „სუფთა ჰაერზე“, ის — „ახალგაზრდობის თანამგზავრისათვის“.

ათას ცხრაასი მილის გასავლელად ჯეკსა და მის მეგობრებს ცხრა-მეტი დღე დასჭირდათ. მშვიდობიანად იმგზავრეს ბერინგის ზღვის სანაპიროების გასწვრივ და წმინდა მიხეილის ფორტთან ნავი ნაპირს მიაყენეს. ჯეკი ნახშირის გადამრჩევლად მოეწყო წმინდა მიხეილის ფორტიდან ბრიტანეთის კოლუმბიაში მიმავალ გემზე, იქიდან სი-ეტლამდე კი მეოთხე კლასით იმგზავრა. გაქნილი მაწანწალისათვის სიძნელეს არ წარმოადგენდა სატვირთო მატარებლებით სიეტლიდან ოკლენდამდე ჩასვლა.

შინ დაბრუნებულს ჯიბეში ერთი გროშიც არ მოეძებნა. მიუხე-დავად ამისა, სწორედ მან, რომელმაც ალასკაში ერთი უნცია ოქ-როც ვერ იშოვა, ოქროს ციებ-ცხელებით უფრო მეტი მოიგო, ვიდ-რე რომელიმე იქაურმა ძველმა მცხოვრებმა, რომელმაც ოქროს შემ-



IV

შინ, აღმოსავლეთის მხარის მეთექვსმეტე ქუჩაზე № 962-ში დაბრუნებულმა ჯეკმა შეიტყო, რომ ჯონ ლონდონი გარდაცვლილიყო. მისთვის ეს დიდად სამწუხარო ამბავი იყო. გარდა სიკეთისა და მეგობრული თანაგრძნობისა, ჯეკს მამინაცვლისაგან არაფერი ახსოვდა.

აქამდე თავისთავად იგულისხმებოდა, რომ ოჯახის მეთაური ჯონ ლონდონი იყო. ყოველდღიურ ლუკმაპურზე სწორედ ის ზრუნავდა, რამდენადაც ხანდაზმულობა და სუსტი ჯანმრთელობა ამის საშუალებას აძლევდა. ახლა ოჯახის მეთაური ჯეკი გახდა. მას კიდევ ერთი საზრუნავი მოემატა: ფლორამ იშვილა ჯონი მილერი, ჯონ ლონდონის შვილისშვილი უმცროსი ქალიშვილისაგან, რომელიც მან თან ჩამოიყვანა კალიფორნიაში. ხუთი წლის ბიჭუნამ ფლორას სახით შეიძინა თავდადებული დედა, რომელიც მისთვის არ იშურებდა სინაზეს, რაც ასე აკლდა ჯეკს ბავშვობის სევდიან წლებში.

ჯეკს მხოლოდ ერთი მისწრაფება ჰქონდა: გამხდარიყო მწერალი. ეს გადაწყვეტილება ახირებულობით, განდიდებისა და გამდიდ-

რების წყურვილით, ანდა პრესაში თავისი სახელის გამოჩენის სურვილით კი არ იყო გამოწვეული. იგი მისი შინაგანი არსიდან მომდინარეობდა და ნაკარნახევი იყო მთელი მისი მბრძანებლური ბუნებითა და ტალანტით. უბის წიგნაკი სავსე იყო „გზის“ დროინდელი სახასიათო ჩანახატებით, ალასკური ყოფის სცენებით, დიალოგების ნაწყვეტებით, სიუჟეტური კომპოზიციებით, რომლებიც ძალდაუტანებლად, თავისთავად ისახებოდა ფურცლებზე. ჯეკი ბუნებით იყო დაჯილდოებული ნიჭით — მწვავედ აღექვა, ღრმად შეეგრძნო და თავისი შთაბეჭდილებები თავისუფლად გადმოეცა სიტყვებით.

თითქმის ორი ათასამდე მილის მანძილზე გემით მგზავრობისას, იუკონის დაყოლებით წმინდა მიხეილის ფორტიდან სიეტლამდე, ჯეკმა უკვე მოხაზა გეგმები და მასალები შეარჩია იმ მოთხრობებისათვის, რომელთა დაწერასაც აპირებდა შინ დაბრუნების შემდეგ. კლონდაიკში იგი ისეთი შეხლა-შემოხლისა და შეტაკებების მოწმე იყო, რომ თავი ვერ იტევდა მათ და თავისთავად მოითხოვდა ქაღალდზე გადატანას.

მოვალეობის გრძნობა ჯეკში დროგამოშვებით იღვიძებდა. გაზეთების გამყიდველად და საკონსერვო ქარხანაში მუშაობის დროს იგი ხელფასს მთლიანად საჭმელ-სასმელზე, ბინის ქირასა და ფლორას წამლებზე ხარჯავდა. შემდეგ უარი თქვა მუდმივ ხელფასზე და ხამანწკებზე დაიწყო მეკობრეობა. მეკობრეობიდან ამოგებული მთელი ფული ისევ ოჯახის საჭიროებისათვის იხარჯებოდა, ვიდრე ჯეკმა მისი განიავება არ დაიწყო თავშეუკავებელ ლოთობაში. „სოფი საზერლენდზე“ ნაცნობიდან დაბრუნების შემდეგ, მან ზოგჯერ შეიძინა ტანზე ჩასაცმელი, მაგრამ ისიც ნახმარი; დანარჩენი, რაც გემზე მუშაობისათვის მიიღო, უკლებლივ დედას გადასცა. ჯუთის ქარხანაში, ელექტროსადგურზე, ანდა სამრეცხაოში მუშაობის დროს, თავისთვის იგი კვირაში მხოლოდ სამოცდათხუთმეტ ცენტს იტოვებდა. ასეთი სამაგალითო ყოფაქცევა რამდენიმე თვე გრძელდებოდა, რაც მას მეტად მოსაწყენად და ერთფეროვნად ეჩვენებოდა; შემდეგ „ზამბარა“ შეჩერდებოდა, მოვალეობის გრძნობა სადღაც გაჰქრებოდა და ჯეკიც გაიპარებოდა თავგადასავალთა საძებრად „გზაზე“ ან კიდევ კლონდაიკში. ახლა, ოცდაორი წლის ასაკში, იგი დაუოკებელმა სურვილმა შეიპყრო, რაღაც შე-

ექმნა, სიცოცხლე შეეწირა შემოქმედებითი მუშაობისათვის, ყური არ ეგდო მოვალეობის გრძნობისათვის და, პირველად ცხოვრებაში ექნებოდა კიდეც სერიოზული მიზეზი.

ამის ნაცვლად მან მტკიცედ გადაწყვიტა ჯერჯერობით უარი ეთქვა თავის განზრახვაზე. მოთხრობები დაიცდის. თექვსმეტი თვის განმავლობაში თავისუფალი ცხოვრების შემდეგ იგი გაორკეცებული ძალით შეიპყრო მოვალეობის გრძნობამ. „ზამბარა“ ისევ ამუშავდა. იგი ვერ დატოვებს დედასა და მის შვილობილს გაჭირვებაში. მოთხრობები ჯერ უნდა დაიწეროს, მერე გაიყიდოს! ამას კი თვეები დასჭირდება. არა. ახლობლებს აკლიათ თვით ყველაზე აუცილებელიც კი. მაშასადამე, დაუყოვნებლივ უნდა იშოვოს სამუშაო.

მძიმე დრო იყო. შორეული დასავლეთი ჯერ კიდევ განიცდიდა 1893 წლის კრიზისის შედეგებს, რომელმაც ხუთი წლის უკან ჯეკი აიძულა ჯუთის ქარხანაში დაეწყო მუშაობა, საათში ხუთ ცენტად. იმით გულმოსული, რომ კაპიტალისტურ, ძვალრბილში ანგარებაგამჯდარ საზოგადოებაში ყოველთვის მძიმე დროა, ჯეკი სამუშაოს ძებნას შეუდგა. დიდხანს დაეხეტებოდა ქუჩებში და ნავსადგურების სანაპიროებზე — ამაოდ. ახლა თვით ყველაზე ჭუჭყიანი, ყველაზე შავი სამუშაოს შოვნაც კი შეუძლებელი იყო. ოკლენდის ყველა სამრეცხაოში სცადა ბედი — მას ხომ ჰქონდა გამოცდილება ამ დარგში. უშედეგოდ. უკანასკნელი სახსრებიდან ორი დოლარი გაზეთებში გამოცხადებაზე დახარჯა. თვითონაც აკითხავდა ღრმად მოხუცებულ ინვალიდთა განცხადებებს, რომელნიც კომპანიონებს ეძებდნენ; დადიოდა კარდაკარ და საკერავ მანქანებს ყიდდა, როგორც ჯონ ლონდონი სან-ფრანცისკოში ოცი წლის უკან. იგი გრძნობდა, რომ მუშახელის ბაზარზე ხელსაყრელი საქონელი იყო: ღონიერი, ჯანმრთელი, წონით ას სამოცდახუთი გირვანქა. ყოველივე ამის მიუხედავად, ვერაფერი იშოვა, გარდა ისეთი შემთხვევითი სამუშაოებისა, როგორსაც ოკლენდის საშუალო სკოლის მოწაფედ ყოფნის დროს ეწეოდა: აქ გაზონების გათიბვა, იქ ცოცხალი ღობეების გაკრეჭა, ფანჯრების გარეცხვა, უკანა ეზოში ნოხების გაბერტყვა, მაგრამ იშვიათად თუ მოახერხებდა დღეში ერთი დოლარის შოვნას.

ბეიბლ და ედუარდ ეპლგარტებმა სადილი გამართეს მისი დაბრუნების აღსანიშნავად. მოწვეულთა შორის იყვნენ ჯეკის ძველი მეგობრები ჰენრი კლეის სადისკუსიო კლუბიდან. ყველა გულითადად ესალმებოდა, ზოგი მაგრად ართმევდა ხელს, ზოგიც ბეჭებზე უტყაპუნებდა — ყველა მოხარული იყო, რომ იგი ისევ მათთან, ოკლენდში დაბრუნდა. გულითადი მიღებით გულაჩუყებული ჯეკი უხვად გაუმასპინძლდა მათ კლონდაიკის ამბებით და... თან თითოეულს ჩუმად ეკითხებოდა: „სამუშაო ხომ არ გეგულებათ სადმეო?“ ამაოდ.

თექვსმეტი თვის განშორების, სტიუარტის ბანაკისა და დოუსონის ოქროს მაძიებელთა შორის ცხოვრების მკაცრი პირობების შემდეგ, ჯეკს ბეიბლი კიდევ უფრო ნაზი და მშვენიერი მოეჩვენა. როცა კლუბის წევრთაგან, როგორც იქნა, უკანასკნელი გამოემშვიდობა მათ და წავიდა, ედუარდშა კი ტაქტიკურად თავის ოთახს მიაშურა, ბეიბლმა ზედა სინათლე ჩააქრო, ჯეკს ნაზად გაუყარა ხელი, როიალთან მიიყვანა და სიმღერა დაიწყო თავისი აკომპანემენტით. ეს ის სიმღერა იყო, რომელიც მაშინ მოისმინა, როცა პირველად მოვიდა ამ ოჯახში; ბეიბლმა იგრძნო, როგორ იზიდავდა და თანაც როგორ აშინებდა ჯეკის უხეში ვაჟკაცური ძალა. მის პირდაპირ იდგა მუსიკითა და სუნამოს ნაზი სურნელებით გაბრუებული, როიალზე დაყრდნობილი ჯეკი. ბეიბლი ხედავდა, როგორ ელვარებდა მისი თვალები და გრძნობდა, რომ მასაც—მასაც უყვარდა ჯეკი! განა ამიტომ არ ყღერს მთელი სისრულით მისი მელოდიური პატარა ხმა? სენტიმენტალური ბალადის სიტყვებით ბეიბლი მას სიყვარულს უმღერავნებს. ჯეკი გრძნობს ამას, მაგრამ გულის გახსნა ჯერ ადრეა; მას უფლება არა აქვს წაიყვანოს იგი ამ ფაქიზი გემოვნებით მორთული სახლიდან, ჩამოაშოროს წიგნებს, სურათებს, მუსიკას. რა შეუძლია მას შესთავაზოს ამის ნაცვლად? რაღაც ძონძები და ნახევრადმშიერი არსებობა?

მეორე დილით ჯეკმა ოკლენდის გაზეთში თვალი მოჰკრა განცხადებას: ფოსტის მუშაკის თანამდებობაზე ტარდებოდა შესარჩევი გამოცდები. ჯეკი ისარნაკრავივით გაიქცა მთავარ ფოსტამტში, ჩაბარა გამოცდა და 85,38 ქულა შეაგროვა. მაშინვე რომ გამოძებნილიყო თავისუფალი ადგილი, ჯეკს ახლო მომავალში მოუხდებოდა

თავისი მარშრუტით სირბილი ოკლენდის ქუჩებში, ფოსტალიონის ჩანთით მხარზე.

შემთხვევითი სამუშაოები, რომელთაც ჯეკი ასრულებდა, მისგან, მართალია, მთელ დღეს არ მოითხოვდა, მაგრამ, სამაგიეროდ, აღებული ფული არ ჰყოფნიდა ოჯახის საჭიროებებს. სან-ფრანცისკოში გამომავალ გაზეთ „ეკზამინერის“ საკვირაო დამატებაში ჯეკმა წაიკითხა, რომ ჟურნალებში მოთავსებული ყოველი ათასი სიტყვისათვის მინიმალური განაკვეთი ათი დოლარი იყო. მას მზად ჰქონდა საინტერესო მასალა და გრძნობდა კიდეც, თუ როგორ ითხოვდა მოთხრობები ქაღალდზე გადატანას.

იგი მიუჯდა თავის პაწაწინა — ორნახევარი-სამ მეტრზე ფართობის — ოთახში ფლორას მიერ გამართულ უხეშ მაგიდას, დაწერა ათასსიტყვიანი მოთხრობა ღია ნავით იუკონის დაყოლებით მოგზაურობის შესახებ და გაუგზავნა „ეკზამინერის“ რედაქტორს სან-ფრანცისკოში. ჯეკს აზრადაც არ მოსვლია, რომ ასე იწყებოდა მისი ლიტერატურული კარიერა — მისი სურვილი იყო ათი დოლარის შოვნა, რათა ბინის პატრონის გულიც მოეგო და როგორმე თავიც გაეტანა ფოსტალიონის ადგილის განთავისუფლებამდე. მან ხომ გადაწყვიტა ლიტერატურულ სიმაღლეებზე შეტევა მანამდე გადაედო, ვიდრე რამდენიმე ასეულ დოლარს არ შეაგროვებდა-ან, უკიდურეს შემთხვევაში, ოჯახის ერთადერთი მარჩენალი არ შეიქნებოდა.

მაგრამ რაკი ერთხელ იგემა შემოქმედების სიხარული, ვეღარ შესძლო თავის შეკავება და, დაუყოვნებლივ, მთელი მონდომებით შეუდგა დაახლოებით ოცდათასსიტყვიანი მოთხრობის წერას „ახალგაზრდობის თანამგზავრისათვის“. ამ ჟურნალს ბიბლიოთეკაში კითხულობდა ხოლმე და მასში მოთავსებულ ნაწარმოებებზე თვალი გაჩვეული ჰქონდა. თითოეული ქვეთავის სიდიდეს სტანდარტის გათვალისწინებით ანგარიშობდა. ვერც კი მოასწრო გარკვევა, რა ხდებოდა, რომ უკვე მზად იყო შვიდი მოთხრობა ალასკის სერიიდან. ისინი უკვე დიდი ხანია მოფიქრებული ჰქონდა და რაბების უმნიშვნელო აწევაც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ოდნავ შესამჩნევი ჭუჭრუტანიდან მძლავრ ნაკადს გადმოეხეთქა. მისი შეკავება უკვე შეუძლებელი გახდა.

ფოსტიდან არაფერი ისმოდა თავისუფალი ადგილის შესახებ. „ეკზამინერმა" არამც თუ ათი დოლარი არ გამოუგზავნა, არც კი შეატყობინა ხელნაწერის მიღების ამბავი. უგროშოდ, ულუკმაპუროდ დარჩენილმა ჯეკმა ველოსიპედი დააგირავა, რომელიც ელიზამ აჩუქა ოკლენდის საშუალო სკოლაში სასიარულოდ. ამას მოჰყვა სახლის პატრონის კატეგორიული მოთხოვნა: „ან გადაიხადე, ან გაეთრიე აქედან"; ჯეკმა დააგირავა შეპარდის, ელიზას ქმრის, ნაჩუქარი საათი. დააგირავა მაკინტოშიც, ერთადერთი ნივთი, რაც ჯონ ლონდონის მემკვიდრეობისაგან ერგო.

ჯეკი შემთხვევით შეხვდა ნავსადგურის ძველ მეგობარს, რომელსაც გაზეთში გახვეული ფრაკი და შარვალი ეჭირა. აწაპნე? პასუხი მაინცდამაინც დამაჯერებლად არ ჟღერდა. ჯეკმა შეკვრა ჩამოართვა და, სამაგიეროდ, ალასკიდან ჩამოტანილი ორი ცალი სუვენირი გადასცა, ხოლო ფრაკი და შარვალი ხუთ დოლარად დააგირავა. ამ ფულის დიდი ნაწილი მარკებსა და კონვერტებში დაიხარჯა: ხელნაწერები დაგროვდა და საჭირო იყო ჟურნალების რედაქციებში მათი დაგზავნა. იგი წინანდებურად ანგარიშს არ უწევდა იმას, რომ პროფესიონალური მწერალი ხდებოდა. უბრალოდ, ადამიანი მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, სამუშაო ვერსად იშოვა, დახმარებასაც არსაიდან ელოდა, ამიტომაც თავგამოდებით ცდილობდა რაიმე ხეირი ენახა თავისი აუღიარებელი ტალანტისაგან: რადაც არ უნდა დაუჯდეს, უთუოდ უნდა იშოვოს ყოველდღიური საზრდო. შემდეგ კი ადგილი განთავისუფლდება და მუშაობას დაიწყებს.

ზამთარი დადგა, ჯეკი კი ისევ საზაფხულო თხელი კოსტუმით დადიოდა. კუთხეში მოვაჭრე ბაყალი საქონელს ნისიად აძლევდა, ვიდრე დავალიანებამ ოთხ დოლარს არ მიაღწია, შემდეგ კი უარი უთხრა და თავის სიტყვას მტკიცედ იცავდა. მოპირდაპირე საყასბოს პატრონი უფრო გულკეთილი აღმოჩნდა, მაგრამ ხუთ დოლარზე მეტი არც იმან ანდო. ერთგული მეგობარი — ელიზა — ლონდონებს უზიდავდა ყველაფერს, რასაც კი თავის ოჯახს ჩამოარჩენდა; ჯეკსაც წვრილ ფულს შეაჩეჩებდა ქაღალდისა და თუთუნისათვის, რომელთა გარეშე მას არსებობა არ შეეძლო. ჯეკი გახდა, ლოყები ჩაუცვივდა, დროდადრო ნერვებიც აწუხებდა. მუშახელის ბაზარზე იგი უკვე აღარ გამოდგებოდა უმაღლესი ხარისხის საქონლად. კვირაში

მხოლოდ ერთხელ, მეიბლთან, თუ შესვამდა ხორცს მაძღრისად. ძლივძლივობით იოკებდა მადას სუფრასთან, რადგან არ უნდოდა საყვარელ ქალიშვილს შეემჩნია, რომ შიმშილობდა. მომავლის ნათელი იმედები არ უქარწყლდებოდა. ჟურნალები ათ დოლარს იხდიდნენ ათას სიტყვაში—ეს მას მტკიცედ ახსოვდა. თითოეული გაგზავნილი ხელნაწერი ოთხიდან ოც ათასამდე სიტყვას შეიცავდა. ერთიც რომ აიღონ — ოჯახი გადარჩენილია. გულის სიღრმეში კი მაინც უღვივოდა იმედის ნაპერწკალი: ვინ იცის, რა არ ხდება, ეგებ ორი ან სამი მოთხრობაც აიღონ, მაშინ იგი უკვე შესძლებს ლიტერატურით ფულის შოვნას. აღარ დასჭირდება გამოუვალი მდგომარეობის გამო ფოსტალიონად მუშაობა. იგი ოქროს მთებზე არ ოცნებობდა; ათას სიტყვაში — ათი დოლარი, მეტის იმედიც არ ჰქონდა. ამრიგად, თუ ყოველ გაგზავნილ სტრიქონს დაბეჭდავდნენ, იგი თვეში სამას დოლარზე მეტს მაინც ვერ მიიღებდა, უფრო სწორედ, ას ორმოცდაათს ან კიდევ უფრო ნაკლებსაც!

ოცნებით დაიმედებული — იქნებ დაბეჭდონ? — იგი ისე ღრმად ჩაეფლო თავის მოთხრობებში, რომ მაგიდას მაშინაც ძლივს სცილდებოდა, როცა გაზონები უნდა გაეკრიჭა ან ნოხები გაებერტყა. ოჯახი უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა. ფლორასათვის ტყუილად არ ჩაუვლია ოცი წლის მანძილზე თითქმის გამუდმებით შიმშილს. იგი გამოწრთობილი იყო და სწორედ ეს შველოდა. უჭმელობისაგან ჯეკი დასუსტდა, შემდეგ კი სულ მთლად დავარდა. ახლა მისთვის აზრების მოკრებაც კი თითქმის შეუძლებელი იყო. ტანსაცმელიც ისე დაეხა, რომ იძულებული გახდა ხელი აეღო კვირაში ერთადერთი საღამოს მეიბლთან გატარებაზე. ბოლოს იქამდეც მივიდა, რომ სიხარულით დაუბრუნდებოდა ნახშირის მაზიდას ელექტროსადგურში და თვეში ოცდაათ დოლარს დასჯერდებოდა. დღედაღამე სულ უფრო და უფრო ცუდად ხდებოდა. სხეულს შიმშილი სტანჯავდა, სულს კი — მომავლისადმი უიმედობა. ისევ გაუელვა თავში თვითმკვლელობის აზრმა, ისევე, როგორც იმ სამახსოვრო ღამეს ბენიციის ნავსადგურში, როგორც „გზაზე" ყოფნის მეკუნვარე დღეებში. ფლორასი და პაწაწინა ჯონის ბედის ანაბარად დატოვების რომ არ შეშინებოდა, ჯეკი თავს მოიკლავდა. მისი ბავშვობის მეგობარი, ფრენკ ეზერტონი წერს:

„ჯეკი უკვე გამოსამშვიდობებელ წერილებსა წერდა, როცა მასთან გამოსათხოვებლად მივიდა ერთი მეგობარი — თურმე იმასაც გადაეწყვიტა თავის მოკვლა და აღარ სურდა გადაედო.“ როგორც ეტყობა, მიღებული გადაწყვეტილების გადასათქმევინებლად ჯეკმა მეგობარს ისეთი მჭევრმეტყველური მოსაზრებანი წაუყენა, რომ თვითონაც შეეცვალა აზრი.

სწორედ იმხანად, ნოემბრის ბოლოს, ერთ უსიხარულო დილას, ლიტერატურულ ჟურნალ „ტრანსკონტინენტური ყოველთვიურიდან“ ჯეკის სახელზე მოვიდა მოგრძო კონვერტი. ეს საქვეყნოდ ცნობილი ჟურნალი ბრეტ-გარტმა დააარსა 1868 წელს სან-ფრანცისკოში. ერთ-ერთი მოთხრობა ალასკის შესახებ მიიღეს! ჯეკს იქ გაგზავნილი ჰქონდა „იმათთვის, ვინც გზაშია“. მოთხრობას დაბეჭდავენ! მან ელვის სისწრაფით გამოიანგარიშა: ხელნაწერში ხუთი ათასი სიტყვაა, ათას სიტყვაში ათი დოლარი, მაშასადამე, აქ ორმოცდაათი დოლარის ჩეკი იქნება. გადავრჩი! შეიძლება წერა განვაგრძო! წარმოსახვამ თრთოლვით ჩამოგლიჯა საბურველი, რომელიც მომავლის ბრწყინვალე პერსპექტივებს გადაჰფარებოდა. იგი საწოლის ნაპირზე დაეშვა და აკანკალებული თითებით კონვერტი გახია.

ჩეკი არ აღმოჩნდა. კონვერტში მხოლოდ რედაქტორის ოფიციალური წერილი იყო, რომელიც ატყობინებდა, რომ მოთხრობა „მიჩნეულია ვარგისად“. გამოქვეყნების შემდეგ ავტორი ხუთ დოლარს მიიღებს. ხუთ დოლარს! ხელნაწერს მან ხუთი დღე მოანდომა! ისევ ერთი დოლარი დღეში, როგორც საკონსერვო ფაბრიკაში, ჯუთის ქარხანაში, ელექტროსადგურში, სამრეცხაოში! შეძრწუნებული, განძრევის უნარდაკარგული, ციებიანივით აცახცახებული ჯეკი გარინდული იჯდა და ერთ წერტილს მიშტერებოდა. იგი გაასულელეს, გულუბრყვილო რეგვენი! დაუჯერა საკვირაო დანამატს! თურმე ჟურნალებიც თაღლითობენ — ერთ სიტყვაში კი არ იხდიან ცენტს, არამედ ათში! ასეთი გასამრჯელოთი ვერ იარსებებს. ოჯახის შენახვაზე ხომ ფიქრიც ზედმეტია, თუნდაც შედევრი შექმნას, ყველაფერი დაბეჭდოს, რასაც კი ქაღალდზე გადაიტანს მისი მსხვილი ფანქარი. გაჰქრა იმედი! მდიდრებს, მხოლოდ მდიდრებს შეუძლიათ წერონ. იგი ისევ გაზონების გასაკრეჭად წაეთრევა, ისევ ნოხების ბერტყვას განაგრძობს. საჭიროა როგორმე გაძლოს, ვიდრე ფოსტაში ადგილი განთავისუფლდება.

იმავე დღეს ჯეკის სახელზე კიდევ ერთი თხელი მოგრძო კონვერტი მოვიდა. თუ არა ეს დამთხვევა, თვით ჯეკი იმ დღეს როგორ-ღა გადაიტანდა, მაგრამ მისი შემოქმედება კი ვერა. ამჯერად წერილი მოვიდა აღმოსავლეთ შტატებიდან, ჟურნალ „შავი კატადან". „შავ კატას" მიეღო მოთხრობა. იგი ჯეკმა კალიფორნიის უნივერსიტეტში მეცადინეობისა და ბელმონტის აკადემიის ორთქლის სამრეცხაოში დაძაბული მუშაობის შუალედ პერიოდში დაწერა. „შავი კატას" მეპატრონე და გამომცემელი იყო ვინმე უმსტეტერი, რომელსაც ცოტა რამ როდი ჰქონდა გაკეთებული ახალგაზრდა ამერიკელი მწერლების წასახალისებლად. უმსტეტერი ჯეკს წერდა, რომ მოთხრობა „იმდენად ძლიერი კი არაა, რამდენადაც გრძელი", მაგრამ თუ ჯეკი დათანხმდება, ოთხი ათასი სიტყვის შემცველი ხელნაწერი ორჯერ შემცირდეს, იგი, უმსტეტერი, დაუყოვნებლივ გამოუგზავნის ორმოცი დოლარის ჩეკს.

დათანხმდებაო? ეს თანხმობა ხომ ოც დოლარს ნიშნავს ათას სიტყვაში, ესე იგი ორჯერ მეტს, ვიდრე მოელოდა. თურმე სულაც არ უფიქრიათ მისი გასულელება და გაბრიყვება. იგი ნამდვილად შესძლებს ოჯახის რჩენას და ამავე დროს საყვარელ საქმესაც გააკეთებს. ჯეკმა უმსტეტერს მისწერა, რომ თანახმაა მოთხრობის ორჯერ შეკვეცაზე, ოღონდ ფული გადმოუგზავნოს. მომდევნო ფოსტით უმსტეტერმა გადმოუგზავნა ორმოცი დოლარი. აი, სწორედ ასე და ამრიგად, — ამბობდა ჯეკი, — მან მაინც გაიმარჯვა.

პირველად ლომბარდისაკენ გასწია და გამოისყიდა ველოსიპედი, მაკინტოში და საათი. შემდეგ ვალები გადაიხადა: ბაყალს ოთხი დოლარი მისცა, ყასაბს ხუთი. უამრავი სურსათ-სანოვაგე მიზიდა სახლში, შეიძინა ნახმარი საზამთრო კოსტუმი, ქაღალდი, ფანქრების ერთი შეკვრა და ქირით აიღო საბეჭდი მანქანა. საღამოს პატარა წვეულება გადაიხადა სამზარეულოში, დილით კი მეიბლ ეპლგარტთან წავიდა ველოსიპედით. მათ ერთმანეთის გვერდიგვერდ ველოსიპედებით გადაჰკვეთეს ქალაქი და თავიანთ საყვარელ გორაკს წვერზე მოექცნენ. მშვენიერი მოწმენდილი დღე იდგა. მზეს ნისლი გადაჰკვროდა, ზოგჯერ ნიავი დაუბერავდა. გორაკებშუა, ხეებში, მსუბუქი ქსოვილის მსგავსად დაწნული, გამჭვირვალე სოსანის-

ფერი ნისლი ჩამალულიყო. გამდნარი ლითონისფერი მკრთალი ელვარება გადაჰკრავდა ყურეს; მდორე დინებას მინებებული იალქნიანი გემები ადგილზე ირწეოდნენ ან ნელა მიცურავდნენ. მეორე მხარეზე ბუნდოვნად ლივლივებდა სან-ფრანცისკოს კონტურები. შორიდან ძნელად თუ გამოიცნობოდა ვერცხლისფერ მირაჟში გახვეული ტამალპაისის მთის ლოდი, უფრო იქით კი, ჰორიზონტზე, წყნარი ოკეანის ზედაპირიდან ციცაბო კლდეებივით აზიდული ღრუბლები ნაპირისაკენ მიიწევდნენ.

აქ, მაღალ ბალახებში, თავისი პირველი საყვარელი ქალის გვერდით წამოწოლილმა ჯეკმა უამბო მას, რომ „ტრანსკონტინენტურმა ყოველთვიურმა“ და „შავმა კატამ“ მისი მოთხრობები მიიღეს. მეიბლმა სიხარულისაგან შეჰყვირა. დიდ წარმატებას მიაღწია ჯეკმა ამ რაღაც სამი წლის განმავლობაში! იგი ბედნიერად გრძნობს თავს მისი მიღწევებით. მოკრძალებით გაწვდილი ჯეკის ხელი მეიბლს შემოეხვია და იგი ნაზად, ალერსიანად მიიზიდა. ქალიშვილის მკლავები მის ცხელ, გარუჯულ კისერს შემოეჭდო; მეიბლს მოეჩვენა, თითქოს გრძნობდა, როგორ მიედინებოდა მის სუსტ სხეულში ჯეკის ძალა.

მეიბლ ეპლგარტი და ჯეკი სრულიად საწინააღმდეგო ხასიათისანი იყვნენ. ჯეკი ჯანმრთელი იყო, ღონიერი, მეიბლი — სუსტი, ფაქიზი. ჯეკი უგულვებელყოფდა ყოველგვარ პირობითობას, მეიბლი — მხოლოდ იმით ცოცხლობდა. ჯეკი ვაჟკაცური, ძნელი გზით მიდიოდა, არაფერი არ იფარავდა ულმობელი გარემოსაგან; მზრუნველობითა და ყურადღებით გარშემორტყმული მეიბლი კი საიმედოდ იყო დაცული. ჯეკი ამსხვრევდა ტრადიციებს, მეიბლი მისი ყურმოჭრილი მონა იყო. ჯეკში მშფოთვარე სასიცოცხლო ძალა ბობოქრობდა, მეიბლს მყუდროება, განმარტოება იზიდავდა. ჯეკი არავის არ ემორჩილებოდა, მეიბლი კი თავკერძა, მბრძანებლური ხასიათის დედის გავლენის ქვეშ იყო, რომელიც ფხიზლად უთვალთვალებდა ყოველ მის ნაბიჯს. ჯეკმა იცოდა, რომ მისის ეპლგარტი დიდ იმედებს ამყარებდა მეიბლის მომავალზე, ცდილობდა შეძლებული კაცისათვის მიეთხოვებინა, და ამით ოჯახის საქმე გამოეკეთებინა — თურმე მისტერ ეპლგარტის მიერ ინგლისიდან ჩამოტანილი კაპიტალი ხელსაყრელად ვერ დააბანდეს: საწარმო გაკოტრდა.

ჯეკს მისის ეპლგარტის არ ეშინოდა. უკიდურეს შემთხვევაში, მისი დამორჩილება იმაზე უფრო ძნელი არ იქნებოდა, ვიდრე შტორმის დროს აფრააწეული „რეინდირის“ ან „სოფი საზერლენდის“ შტურვალისა, ტრანსკონტინენტური ექსპრესის „ბრმა“ ვაგონების ან კიდევ „თეთრი ცხენის“ ჭორომებისა.

შეყვარებულებმა მიირთვეს ჯეკის მიერ წინა საღამოს გამზადებული ბუტერბროდები და თან გადაწყვიტეს, რომ ერთი წლის განმავლობაში ნიშნობას მოაწყობდნენ; მანამდე კი ჯეკი მტკიცედ დადგება ფეხზე და დაქორწინებასაც შესძლებენ. ექნებათ პატარა სახლი, თაროები წიგნებით, კედლებზე სურათები, როიალი, რათა მეიბლმა შეძლოს დაუკრას და იმღეროს ჯეკისათვის; სამუშაო ოთახი, სადაც იგი შექმნის პირველხარისხოვან მოთხრობებსა და რომანებს. ცოლს კი ხელნაწერების გადათვალიერება მოუხდება, რათა შემთხვევით გრამატიკული შეცდომები არ გაიპაროს; ექნებათ საკმაო ფული და ეყოლებათ ბევრი საინტერესო და ჭკვიანი მეგობარი. ორივენი ერთად აღზრდიან ბავშვებს, იმოგზაურებენ და ძალიან, ძალიან ბედნიერები იქნებიან!

კაშკაშა დღე ილეოდა, ისინი კი ისევ ისხდნენ სიყვარულის დიადი სასწაულითა და ბედის უცნაური ახირებულობით განცვიფრებულნი, რომელმაც ისინი ერთმანეთს შეახვედრა. ჩამავალი მზე ჰორიზონტამდე ბოლქვებად დამდგარ ღრუბლებში ჩაიმალა და ცის გუმბათს ვარდისფერი გადაეკრა. მეიბლმა, რომელიც ჯეკს გულში ჩაეკრა, დაბალი ხმით სიმღერა წამოიწყო — „მშვიდობით, მშვენიერო დღევ“. როცა სიმღერა დაამთავრა, ჯეკმა ერთხელ კიდევ აკოცა მას, შემდეგ თავიანთი ბედი ერთმანეთს მიანდეს, ხელიხელჩაკიდებული გორაკიდან ძირს დაეშვნენ და ველოსიპედებით ოკლენდში დაბრუნდნენ.

„შავი კატიდან“ გამოგზავნილი ორმოცი დოლარიდან ჯეკს მხოლოდ ორიღა დარჩა. ამ ფულით შეიძინა მარკები, რათა აღმოსავლეთის ჟურნალებიდან დაბრუნებული ხელნაწერები ხელახლა დაეგზავნა. უწინ ისინი მაგიდის ქვეშ შეჰყარა, რადგან მარკების შესაძენი ფული არ მოეძებნა. ახლა ისევ ჩაეფლო მუშაობაში და როგორც კი მოათავებდა ხელნაწერის მანქანაზე დაბეჭდვას — დაუყოვნებლივ აგზავნიდა. მაგრამ ერთმა მერცხალმა მას გაზაფხული ვერ მო-

უყვანა: სხვა ხელხაწერები უკანვე უბრუნდებოდა უარის ჩვეულებრივი ფორმულირებით. საშზარეულო თაროებზე სურსათ-სანოვაგე თანდათან დნებოდა. საათი, ველოსიპედი, მაკინტოში და, ბოლოს, ზამთრის თბილი კოსტუმიც ისევ ლომბარდს დაუბრუნდა. დაე, ჟურნალებმა ერთი ცენტი ან თუნდაც ერთი დოლარი იხადონ სიტყვაში, მას რა — თუკი თვითონ ერთ სტრიქონსაც ვერ გაყიდის?

1899 წლის 16 იანვარს ჯეკმა წერილი მიიღო საფოსტო უწყებიდან: სამუშაოდ იწვევდნენ მუდმივ ადგილზე; მთელი სიცოცხლის მანძილზე უზრუნველყოფდნენ სამუშაოთი — თვეში სამოცდახუთ დოლარად. ყოველდღე შეეძლო ესადილა, რიგიანი კოსტუმი შეეძინა — ახალი და არა ნახმარი: ასეთი ფუფუნების უფლება აქამდე არ შეეძლო მიეცა თავისი თავისათვის აგერ უკვე ოცდასამი წლის ასაკში. შეეძლო წიგნები და ჟურნალები შეეძინა — მერედა როგორ ენატრებოდა ისინი! ფლორასა და ჯონისაც შესანიშნავად უზრუნველჰყოფდა. თუ მეიბლი დათანხმდება ჯერჯერობით მათ ოჯახში ცხოვრებაზე, ახლავე შეიძლება დაქორწინებაც.

ჯეკმა და ფლორამ ყოველმხრივ განსაჯეს საქმის ვითარება, აწონ-დაწონეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. თუ ჯეკი წერას განაგრძობდა, მათ წლების მანძილზე ისევ გაჭირვებაში მოუწევდათ ყოფნა. მაგრამ დავუშვათ, იგი ფოსტალიონი გახდა. რისი მაქნისი იქნება მაშინ გემრიელი სუფრა, ახალი ტანსაცმელი, წიგნები და ჟურნალები? ნუთუ იგი იმისათვის ცხოვრობს ამქვეყნად, რომ გემრიელი საჭმელებით ინებივროს და კითხვით გაერთოს? არა. იგი მხოლოდ იმისათვის ცხოვრობს, რომ შექმნას. მზად არის გადაიტანოს ყოველგვარი გაჭირვება, როგორსაც კი ხელოვანი თავის თავს განუმზადებს. სანოვაგე? მატერიალური კეთილდღეობა? რარიგ უღიმღამოდ და წვრილმანად ეჩვენება ყველაფერი ეს ადამიანს, რომელიც ფლობს ზღვა სიხარულის იდუმალ წყაროს — ტალანტს! მაგრამ ფლორას რა ეშველება — რა შეუმსუბუქებს მძიმე მდგომარეობას? მას რომ სცენები გაემართა, გულის შეტევა წარმოესახა, თვალცრემლიანი შევედრებოდა, ჯეკს შეიძლება ფოსტაში დაეწყო მუშაობა. მაგრამ იმავე დედამ, რომელმაც იგი ქორწინების გარეშე დაბადა, არ აღირსა დედობრივი სიყვარული და სინაზე, მოუწამლა ახალგაზრდობა გაჭირვებით, აურზაურითა და

მწარე შეურაცხყოფით — ახლა მტკიცედ განუცხადა, რომ საჭიროა წეროს, იმუშაოს მოთხრობებზე, ვინაიდან იგი დაჯილდოებულია ტალანტით და, მაშასადამე, გამარჯვებასაც მიაღწევს. რა ვუყოთ, თუკი ეს მოკლე ხანში არ მოხდება. მტკიცედ სწამდეს, რომ დედა მას მხარში ამოუდგება, ვინაიდან სამწერლო ასპარეზზე ჯეკის წარმატება მესლონელ უელმანთა ოჯახის გზააბნეული ცხვრის, ფლორა უელმანის დღესასწაულიც იქნება.

ახლა, როცა საბოლოო გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო, ჯეკი მისთვის ჩვეული სიმტკიცითა და მხურვალე გატაცებით შეუდგა საქმეს. მწერალი რომ გახდეს, ორი რამ სჭირდება — ცოდნა და წერის უნარი. მან იცოდა, რომ გასაგებად წერს ის, ვინც ნათლად აზროვნებს. თუ იგი ნაკლებ განათლებულია, თუ აზროვნებაში უთავბოლობა და უწესრიგობაა, როგორ შეიძლება კარგი სტილის იმედი ჰქონდეს? მხოლოდ ღირსეული აზრები პოულობენ ღირსეულ გამოთქმას. მან იცოდა, რომ მოუხდებოდა ცხოვრების შინაგანი პულსის მოსინჯვა; მთელი მისი აქტიური ცოდნის ჯამი უნდა გახდეს მისთვის ს ა მ უ შ ა ო ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა. ამ პრიზმით უნდა განსაჯოს სამყარო, რათა შეესძლოს ყველაფრის გაზომვა, აწონ-დაწონა, შეჯამება და განმარტება. უკეთ უნდა შეისწავლოს ისტორია, გაეცნოს ბიოლოგიას, დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობისა და განვითარების თეორიებს, ეკონომიკასა და ცოდნის სხვა მრავალ ღირსშესანიშნავ დარგს. ისინი გააღრმავებენ მის გონებრივ ჰორიზონტს, მისცემენ პერსპექტივას, გააფართოებენ იმ დარგის საზღვრებს, რომლის სფეროშიც მას სურს იმუშაოს; მოამარაგებენ სამუშაო ფილოსოფიით, რომლის მსგავსი არავის არ ექნება; შეასწავლიან დამოუკიდებელ აზროვნებას, დაეხმარებიან იმ ახლის, არსებითის მოძებნაში, რომელსაც ანგარიშს გაუწევენ. იგი არც ფიქრობს წეროს ბანალურ თემებზე, რათა ტკბილი ამბები მიართვას უგუნურ ადამიანებს.

მაშ ასე, იგი ჩაუჯდა წიგნებს და დაეწაფა მათში მოთავსებულ სიბრძნეს. იგი მოწაფე როდი იყო, გამოცდების წინ ამა თუ იმ ადგილს რომ იზეპირებს, ანდა შემთხვევითი გამვლელი, გზაზე რომ შეჩერებულიყო და ცოდნის დიდ კოცონთან ხელი მოეთბო. იგი შეუვარებულისათვის დამახასიათებელი ჟინით მიისწრაფვოდა ცოდნი-

საკენ; ზეიმობდა, როცა ახალ ფაქტს დააღგენდა, ახალ თეორიას შეითვისებდა, როცა ამსხვრევდა ძველ თვალსაზრისს, რათა ახალი დამკვიდრებულიყო: კიდევ ერთი მორიგი გამარჯვება! იგი იკვლევდა, არჩევდა, ცნობისმოყვარეობით აანალიზებდა წაკითხულს. ავტორთა სახელების ბრწყინვალება არ აბრმავებდა და არც მოწიწებას უნერგავდა. დიდი მოაზროვნეების მიმართ გულგრილი რჩებოდა, თუკი ისინი დიდ იდეებს არ ჩააგონებდნენ, ტრადიციული შსჯელობანი არაფერს ნიშნავდა ამ კაცისათვის, რომელიც ფეხქვეშ თელავდა ყველა ტრადიციას. კერპებს თვითონ აცამტვერებდა; არ აშინებდა და არც ეჯავრებოდა სხვისი მოსაზრებანი, რომელნიც საყოველთაოდ აღიარებული რწმენების წინააღმდეგ იყო მიმართული. იგი პატიოსანი და გულადი იყო, ჭეშმარიტებისაკენ პირდაპირი გზით მიდიოდა და ყველაფერზე მეტად სიმართლე უყვარდა — სწორედ ეს იყო ოთხი აუცილებელი პირობა სამყაროს შესაცნობად.

განათლებაში არსებული ხარვეზების მიუხედავად, იგი მაინც საკუთარ თავში მეცნიერის ბუნებრივ მონაცემებს გრძნობდა. ცოდნის სამყაროში ჯეკი იმაზე ცუდად როდი ერკვეოდა, ვიდრე შტურმანის ჯიხურში. არც უცნობი წიგნებისა ეშინოდა: იცოდა, რომ ძნელი იყო მისი გადაცდენა იმ გზიდან, რომელზედაც საკმაო დრო დაჰყო, რათა გაერკვია, რომელ სამყაროს დაუფლებოდა. ჯეკი არ ეკუთვნოდა იმათ, რომელნიც წიგნს გასაღებით უდგებიან. ბოქლომს ფრთხილად ტეხენ და უჩუმრად იპარავენ შიგ მოთავსებულს. როცა ჯეკ ლონდონი ულრან ტყეში ბილიკის გაკაფვის დროს ახალ წიგნს წააწყდებოდა, მას იმ მშიერი მგელივით ეცემოდა, რომელიც მიწაზეა გაკრული ნახტომისათვის. კბილებით ყელში წასწვდებოდა და გაშმაგებით ებრძოდა წიგნს, ვიდრე იგი არ დანებდებოდა; მაშინ კი ხარბად გამოსწოვდა სისხლს, შესანსლავდა ხორცს, ძვლებს ისე დაღრღნიდა, რომ მათი ყოველი უჯრედი მისი საკუთარი არსების ნაწილი ხდებოდა და მის ძალას ითვისებდა.

მან უკან დაიხია; დაიწყო ეკონომიური მეცნიერების მამით—ადამ სმიტითა და მისი „ხალხთა სიმდიდრით" და თანმიმდევრულად გასწია წინ; გულდასმით შეისწავლა მალთუსის „მოსახლეობის თეორია", რიკარდის „განაწილების თეორია", ბასტიას „ეკონომიური ჰარმონიის თეორია", ადრინდელი გერმანული თეორიები ღირებულებისა და მოგების შესახებ, ჯონ სტიუარტ მილის „მონაწილეობა

შემოსავალთა განაწილებაში“ და ასე შემდეგ, ისტორიული თანმიმ-
დევრობით, ვიდრე მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლებამდე
არ მივიდა; აქ კი უკვე ნაცნობი ნიადაგი იგრძნო ფეხქვეშ. პოლი-
ტიკურ მოძღვრებათა გაცნობა მან არისტოტელედან დაიწყო, გი-
ბონთან ერთად განიცდიდა რომის იმპერიის გაფურჩქვნასა და
დაცემას, აკვირდებოდა, თუ როგორ წარმოიშვა და ღვივდებოდა
კონფლიქტი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის შუა საუკუნეებში;
რა გავლენა მოახდინა ლუთერისა და კალვინის რეფორმაციებმა პო-
ლიტიკურ სტრუქტურაზე; ინგლისელი მოაზროვნეების — ჰობსის,
ლოკის, იუმის და მილის წიგნებში გაეცნო თანამედროვე პოლიტი-
კური კონცეფციის საწყისებს; გაიგო, თუ როგორ წარმოიშვა ცხოვ-
რებისადმი ეკონომიური რევოლუციით გამოწვეული რესპუბლიკუ-
რი მმართველობის ფორმა. შეისწავლა ფილოსოფოსების—ჰეგელის,
კანტის, ბერკლის, ლაიბნიცის და ანთროპოლოგების ბოასის, ფრე-
ზერის შრომები. დარვინი, ჰექსლი და უოლესი ადრეც ჰქონდა წა-
კითხული, მაგრამ ახლა მათ გაცილებით უფრო ღრმა გაგებით და-
უბრუნდა. სოციოლოგიაში ყველაფერს ეტანებოდა, რასაც კი წა-
აწყდებოდა: შრომებს უმუშევრობის, წარმოებისა და კრიზისის ცი-
კლურობის, სიღარიბის მიზეზისა და ლიკვიდაციის ხერხების, ჯურ-
ღმულებში ცხოვრების პირობების, კრიმინოლოგიისა და ქველმოქ-
მედების შესახებ. გულმოდგინედ შეისწავლა ტრედ-უნიონიზმის
თეორია. ყველაფერ წაკითხულს გულდასმით აკონსპექტებდა. შე-
ადგინა კარტოთეკური კატალოგი, რათა საჭირო მასალა სწრაფად
ეპოვნა. მაგრამ ადამიანთა აზროვნების სხვადასხვა მიმართულებათა
შორის კავშირის დადგენის მეთოდი, რომელიც ჯეკმა თავისი სამუ-
შაო ფილოსოფიისათვის გამოძებნა — ეს დიდი ხნის ნანატრი მე-
თოდი — მან მხოლოდ მას შემდეგ იპოვა, რაც ჰერბერტ სპენსერის
„ძირითადი საწყისები“ აღმოაჩინა. ეს აღმოჩენა, შეიძლება ით-
ქვას, ყველაზე ღირსშესანიშნავი იყო თავგადასავლებით აღსავსე მის
ცხოვრებაში. ერთხელ, საღამოთი, ჯეკმა დიდხანს იკითხა უილიამ
ჯემსისა და ფრენსის ბეკონის ნაწარმოებები, შემდეგ, სახელდახე-
ლოდ დაწერა სონეტი და „ძირითადი საწყისების“ წიგნით ხელში
საწოლს მიაშურა. გათენდა, ის კი ისევ კითხულობდა. კითხულობ-
და მთელი დღე. დროდადრო, როცა წოლით დაიღლებოდა, იატაკ-

ზე ჩამოცოცდებოდა. იგი მიხვდა, რომ აქამდე მხოლოდ ზედაპირზე ტივტივებდა, ამჩნევდა ცალკეულ შემთხვევებს და ზერელე განზოგადებას აწარმოებდა. სამყაროში ყველაფერი უწესრიგოდ და ცვალებადად ესახებოდა, ეგონა, რომ ყველაფერი შემთხვევათა ახირებულობის გამო ხდებოდა, რომ მოვლენებს ერთმანეთთან არაფერი აკავშირებდა. მაგრამ აი, წააწყდა სპენსერს. ამ ადამიანმა მთელი მისი ცოდნა სისტემაში მოიყვანა, გააერთიანა და განცვიფრებულს თვალნათლივ დაანახვა სამყარო, სადაც ყველაფერი ისე გარკვეულია და ისე კონკრეტული, რომ შუშის ქილის ქვეშ მდგარ გემის მოდელსა ჰგავს — ასეთების გაკეთება მატროსებს უყვართ ხოლმე. არავითარი შემთხვევითობა არ არსებობს; ყველაფერი გარდაუვალ კანონს ემორჩილება. ჯეკზე ამ აღმოჩენამ უფრო მეტად იმოქმედა, ვიდრე ოქროს აღმოჩენამ ჰენდერსონის ნაკადულთან: დაეჭვებაც კი არ შეიძლებოდა, რომ სპენსერის მონიზმი მას შეცდომაში არ შეიყვანდა, მაშინდელივით ქარსი არ აღმოჩნდებოდა.

ჰერბერტ სპენსერმა თვალები აუხილა მას, გააბრუა, გაუმჟღავნა ოდუმალი საიდუმლოებანი. ხორცის ნაჭერში, რომელიც მის წინ თეფშზე იდო, ჯეკი ახლა მზის ენერგიის მოელვარე შენადედს ხედავდა. ამ ენერგიის ხორცად გარდაქმნის ყველა საფეხურის შებრუნებული წესით აწონ-დაწონისას მან მილიონობით მილი გაიარა, ვიდრე საწყისს მიაღწევდა. შემდეგ იგი წარმოიდგენდა ამ გარდაქმნის შემდგომ მსვლელობას: აი, იგი თანდათან მისი მკლავების კუნთების ენერგიად იქცევა, როცა ხორცს სჭრის, მაგრამ კუნთები ხომ ტვინის განკარგულებებს ემორჩილება და ჯეკი უკვე წარმოდგენით ხედავს თავის ტვინში ენერგიის მოელვარე შენადედს. მისი ტვინი და მზე ერთი და იგივე მატერიისაგან შედგება, თანაზიარად აღწევენ ერთმანეთში. ჰერბერტ სპენსერმა დაანახვა, რომ სამყაროში ყველა ნივთიერება ურთიერთ დაკავშირებულია — დაწყებული შორეული ვარსკვლავებიდან სამყაროს სივრცეში, და დამთავრებული ფეხქვეშ მოხვედრილი მტვრის ნამცეცის უკანასკნელი ატომით. კაცობრიობა, ადამიანი, პიროვნება — ყველაფერი ეს პროტოპლაზმის არსებობის ერთ-ერთი, ძალზე თავისებურად ცვალებადი ფორმაა.

დარვინი, სპენსერი, მარქსი და ნიცშე—აი, ჯეკ ლონდონის სულიერი მამები. მისი სამუშაო ფილოსოფია უშუალოდ გამომდინა-

რეობს მეცხრამეტე საუკუნის ინგლისისა და გერმანიის ამ ოთხი უდიდესი მოაზროვნის გავლენისაგან. სულის მცირეოდენი სიმტკიცე როდი სჭირდებოდა ამ რევოლუციონერთა[1] შრომების შესწავლას. 1899 წელს, როცა ისინი საყოველთაო გაკილვისა და გაკიცხვის საგანი იყო. მათ გაგებას ნათელი და გამჭრიახი გონება ესაჭიროებოდა. ჯეკი სწორედ იმას ფლობდა, რაც აუცილებელი იყო: გამბუდაობა და გონება; ამ ოთხმა მასწავლებელმა გაამდიდრა მისი ცხოვრება, უფრო სრულყოფილი გახადა მისი ფილოსოფია, გააღრმავა მისი ჯანსაღი სკეპტიციზმი და სიყვარული ჭეშმარიტებისადმი თვით ჭეშმარიტებისათვის. მათ ერთი ხელის მოსმით აღგავეს საუკუნეობრივი სქოლასტიკის ნაგავი და ჯეკი შემეცნების ულმობლად ლოგიკური მეცნიერული მეთოდით შეაიარაღეს. ჯეკიც ვალში არ დარჩენილა: მან მხატვრულ ნაწარმოებთა სახით ხალხს გადასცა მათი თეორია.

მაგრამ, ჯეკზე ალბათ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მაინც ფრიდრიხ ნიცშემ[2] იქონია, რომლის ბედი მისას ენათესავებოდა. ნიცშე პასტორის შვილი იყო და ღვთისმოსაობის აულაგმავი გატაცებისაგან ნაკლებად როდი დაიტანჯა, ვიდრე ჯეკი დედამისის თავშეუკავებელი გატაცებისაგან სპირიტისტული სეანსების ავბედითი რიტუალით. აი, რატომ ილაშქრებდა ჯეკი რელიგიურ გრძნობათა ყოველგვარი გამოვლინების, ზებუნებრივი ძალისადმი რწმენის, იმქვეყნიური ცხოვრების, სამყაროს გამგებლის — ღმერთის წინააღმდეგ: „მე მწამს, რომ სიკვდილის შემდეგ ჩემგან იმაზე მეტი არაფერი დარჩება, ვიდრე ადამიანის ხელით გასრესილი სრულიად უმნიშვნელო მუმლისაგან". ქრისტიანულ რელიგიას იგი წმინდა წყლის მონაჭორად თვლიდა, რომელშიც უამრავი ფუჭი წეს-ჩვეულებები იყო თავმოყრილი. იგი დარწმუნებული იყო, რომ ყოველ-

---

[1] სიტყვა „რევოლუციონერი" სტოუნს აქ ფართო გაგებით აქვს ნახმარი: ყველა, ვინც ტრადიციული შეხედულებებისა და წესების წინააღმდეგ იბრძვის.

[2] ი. სტოუნი მეტად აზვიადებს ფ. ნიცშეს გავლენას ჯეკ ლონდონზე. ნიცშეს თხზულებებს იგი გვიან გაეცნო. თავის მასწავლებლად ჯეკი მარქსსა და სპენსერს ასახელებს, გერმანელ რეაქციონერ ფილოსოფოსს კი — არა. პირიქით, მის იდეებს ებრძოდა, რის შესახებ სიკვდილისწინა ჩანაწერებში ნათქვამი აქვს: „მარტინ იდენი" და „ზღვის მგელი" იერიშია ნიცშეს ფილოსოფიაზე..."

გვარი სახის რელიგია ადამიანის უმძვინვარესი მტერია, ვინაიდან აჩლუნგებს გონებას, აბრუებს დოგმებით, აიძულებს ბრმად, განუსჯელად ირწმუნოს ყველაფერი, არ აძლევს დამოუკიდებელი აზროვნების საშუალებას. რელიგია ადამიანში აბშობს შესაძლებლობას თავი პლანეტის ბატონ-პატრონად იგრძნოს — მაშასადამე, ხელს უშლის მას ცხოვრების გაუმჯობესებაში. ·ნიცშესთან ჯეკმა იპოვა ყველა თავისი მოსაზრების დადასტურება რელიგიის მოჩვენებითი ელვარების, პირმოთნეობისა და სიყალბის შესახებ. ყველაფერი ეს ნიცშეს ისე ბრწყინვალედ ჰქონდა გადმოცემული, რომ უკვე ეჭვი აღარავის ეპარებოდა მის მიერ ქრისტიანობის დასამარებაში.

ჯეკმა იქვე. ნიცშესთან აღმოაჩინა თეორია ზეკაცისა — არსებისა, რომელიც თავის თანამოძმეებს აღემატება ჭკუით, სიმაღლით, ღონით, ყოველგვარი ზღუდეების გადალახვისა და ბრბოზე მბრძანებლობის უნარით. ზეკაცის ფილოსოფია ჯეკს ჭკუაში დაუჯდა. თვით მასაც თავი ზეკაცად, გიგანტად მიაჩნდა, რომელიც გადალახავს ყოველგვარ ზღუდეს, რათა ბოლოს და ბოლოს ბრბოს წინ წარუძღვეს. მას ალბათ, სულაც არ აცბუნებდა ის ფაქტი, რომ ფილოსოფია, რომელიც ზეკაცის ბატონობას აცხადებდა, მის შემქმნელს ზიზღს უნერგავდა სოციალიზმისადმი, როგორც უსუსურთა და უნიჭოთა ხელისუფლებისადმი და რომ ამ ფილოსოფიამ შიცშე ტრედ-უნიონთა დაგმობამდე მიიყვანა. — ეს უკანასკნელნი მუშებს თავისი ბედისადმი უკმაყოფილებას შთააგონებდნენ. ჯეკმა გადაწყვიტა, ერთდროულად ნიცშეს მოძღვრებაც ეღიარებინა და სოციალიზმიც, თუნდაც მათ ერთმანეთი გამოერიცხათ. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ჯეკი ინდივიდუალისტიც იყო და სოციალისტიც. ინდივიდუალიზმი მას თავისთვის სჭირდებოდა. იგი ხომ ზეკაცია, გამარჯვებული, ქერათმიანი გაიძვერა, სოციალიზმი კი — იმათთვისაა, ვინც სუსტია და დაცვას საჭიროებს — მასებისათვის. ჯეკი მრავალი წლის მანძილზე დაჰქროდა ამ ორი ფილოსოფიის რაშებით, თუმცა ისინი სხვადასხვა მხრისაკენ მიიწევდნენ.

განათლება უპირველესი ამოცანა იყო. მაგრამ ჯეკს მოსვენებას არ აძლევდა მეორე, უფრო გადაუდებელი ამოცანაც: როგორ იშოვოს ყოველდღიური საზრდო. საათობით იჯდა იგი ბიბლიოთეკასთან არსე-

ბულ უფასო სამკითხველო დარბაზში, ჭირვეულად, დაწვრილებით არჩევდა ჟურნალებს, სხვის მოთხრობებს თავისას ადარებდა და თავს იმტვრევდა — რაშია საიდუმლოება? როგორ შესძლო ავტორმა ამ უხალისო, უღიმღამო, უფერული ლეშის დაბეჭდვა? საიდანაა ეს უამრავი მოკლე მოთხრობა! ისინი მსუბუქად და, ეტყობა, გამოცდილი ხელითაა დაწერილი, მაგრამ, საოცარია! მათში არც სიცოცხლის ნიშანწყალი ჩანს, არც სიმართლის ნატამალი. ცხოვრებაში იმდენი უცნაურობა და სიმშვენიერეა, ცხოვრება სავსეა გრანდიოზული ამოცანებით, ზრახვებით, მიღწევებით! ეს საჟურნალო მონაჩმახი კი მთლიანად ბანალურ წუწუნს წარმოადგენს. ო, არა! ეს მის გემოვნებას არ ეგუება! იგი გრძნობს ცხოვრების დაუოკებელ ტემპს, მის აღგზნებულ მაჯისცემას, მის დაძაბულობას, მის ბობოქარ სულს — აი რაზე უნდა იწერებოდეს! მისი სურვილი იყო ხოტბა შეესხა სამკვდრო-სასიცოცხლო ლაშქრობათა ბელადებისათვის; შეყვარებულებისათვის, რომელნიც მზად არიან სიყვარულის სახელით ყოველგვარი სიგიჟე ჩაიდინონ; ბუმბერაზი ადამიანებისათვის, რომელნიც სტიქიათა ჯიბრზე უშიშრად იკაფავენ გზას უბედურებათა და საშინელებათა შორის ისე, რომ ქვეყნიერება ზანზარებს მათი ძლევამოსილი ნაბიჯების ქვეშ. ხოლო ჟურნალის მჯღაბნელები? რიჩარდ ჰარდინგ დევისი („ბედის ჯარისკაცები", „თავადის ასული ალინი"), ჯორჯ ბარ მაკაჩინი („გრაუსტარკი"), სტენლი ვეიმანი („საფრანგეთის კავალერი", „მეფის მანტიის ქვეშ"), მარგარეტ დელანდი („ჯონ უორდი, ქადაგი"), კლარა ლუიზა ბერნჰემი („ექიმი ლატიმერი", „ბრძენი ქალი") — როგორც ეტყობა, ყველა მათ და მათ მსგავსებს ეშინიათ უფრო ღრმად ჩაიხედონ ცხოვრებაში და შეულამაზებლად აღწერონ სიმართლე. ისინი ნაჩქარევად თხუპნიან ვარდისფერი ფერებით, თავს არიდებენ სიმართლეს, თავის გმირებს ცრუ რომანტიკის საბურველში ახვევენ, გაურბიან ყველაფერს, რასაც კი შეუძლია გულისწყრომა გამოიწვიოს.

კარგად აწონ-დაწონის შემდეგ ჯეკი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ასეთი პოზიციის საფუძველს შიში წარმოადგენს. მართლაც საშინელება იყო, ვაითუ გაანაწყენო გამომცემელი, ან არ მოეწონო მას, უგულებელჰყო მკითხველთა გემოვნება, აიმხედრო პრესისა და აქციების მფლობელები, დაჰკარგო კაპიტალის გავლენის ქვეშ მყოფი

ეკლესიისა და სკოლის კეთილგანწყობილება. უფერულნი და უძლურნი არიან ეს მჯლაბნელები, უხერხემლო დოყლაპიები, ლიტერატურის საჭურისები; მათ ეშინიათ სულფთა ჰაერის, უხეში სიმართლის, მაგრამ ყველაზე მეტად იმისა, რომ საწყენი არ შეხვდეთ. ორიგინალურობა, სამუშაო ფილოსოფია, ცხოვრების ცოდნა? არავითარი! მათი მრწამსი რეცეპტია — როგორ შეთითხნონ რომანი საქარინზე. მოკლე ჭკუა, უბადრუკი ლიტერატურა. ქონდრისკაცები! მხოლოდ ტიტანების ხვედრია ნამდვილ ლიტერატურასთან შებმა. არა, მისმა მკითხველებმა და რედაქციებმა უნდა მიიღონ მისი პირობები.

ჯეკი მიუბრუნდა იმ მწერლებს, რომელნიც ლიტერატურაში, როგორც თვითონ ფიქრობდა, საკუთარი, განუმეორებელი გზით მიდიოდნენ: სკოტს, დიკენსს, პოს, კიპლინგს, ჯორჯ ელიოტს, უიტმენს, სტივენსონს, სტივენ კრეინს. გატაცებით კითხულობდა შექსპირს, გოეთეს, ბალზაკს — გენიათა ამ ტრიუმვირატს, როგორც მან შეარქვა. სპენსერმა, დარვინმა, მარქსმა და ნიცშემ ასწავლეს მას აზროვნება, სულიერმა მამებმა ლიტერატურაში — კიპლინგმა და სტივენსონმა კი — წერა. ახლა, როცა მან მეცნიერული დეტერმინიზმის სამუშაო ფილოსოფია აითვისა, რათა უზადო, ორგანული სახეები დაეხატა, როცა მან მიაღწია სტილის სიცხადეს, იგი შექმნის ჯანსაღ, ახალ, მართალ წიგნებს.

ამქვეყნიური, ერთ-ერთი უდიდესი სასწაულთაგანი ჯეკისათვის იყო მშვენიერი, ეღერადი, ბასრი, გესლიანი და გულში ჩამწვდომი სიტყვები. ძნელად გასაგებ ფოლიანტებს ყოველთვის ლექსიკონის დახმარებით კითხულობდა, ყველაფერ გაუგებარს ქაღალდის პატარა ფურცლებზე იწერდა და მათ კარადის სარკის ჩარჩოებში ჩრიდა, რათა წვერის პარსვის ან დილის ტუალეტის დროს ზეპირად ესწავლა. ამ სიტყვების სიებს სარეცხის თოკზე ამაგრებდა სარეცხისავე სარჭებით, რათა ყოველთვის, როცა თავს ასწევდა ან ოთახში გაივლ-გამოივლიდა, დაენახა ახალი სიტყვები მათი მნიშვნელობის განმარტებებით. ამ სიებს ჯიბეებში ჩაიჩრიდა ხოლმე და იზეპირებდა გზაზე ბიბლიოთეკაში ან მეიბლთან მიმავალი, სადილობისას და თვით დაწოლის დროსაც კი. სამაგიეროდ, როცა მოთხრობაზე მუშაობისას რაიმე სხარტი სიტყვის მოძებნა დასჭირდებოდა და ქა-

ღალდის ასობით ნაკუწს შორის იპოვიდა სწორედ იმ ერთადერთ სწორ გამოთქმას, იგი უდიდეს სიხარულს განიცდიდა.

მაგრამ როგორ გაარღვიოს ის ქვის ბარიკადი, რომელიც რედაქტორებმა აღმართეს, რათა „სპეტაკი" საზოგადოება დასავლეთელი ველურების შემოსევისაგან დაეცვათ? დამხმარე ან რჩევის მომცემი არავინ ჩანდა. იგი მარტოდმარტო იბრძოდა, ალალბედზე. მხოლოდ თავისი თავის — საკუთარი ძალის, გამბედაობის, ლიტერატურული გემოვნების იმედი უნდა ჰქონოდა. სხვა დასაყრდენს ვერ ხედავდა. ჯეკი ნარკვევებსა და მოთხრობებში აქსოვდა მთელ თავის გულისნადებს. როცა ნაწარმოებს დაამთავრებდა, ლამაზად დაკეცავდა, ჩადებდა მოგრძო კონვერტში, თანაც არ დაავიწყდებოდა პასუხისათვის საჭირო მარკების ჩაწყობა, გარედანაც რამდენიმეს დააკრავდა და საფოსტო ყუთში ჩაუშვებდა. კონვერტი მთელ ქვეყანას შემოივლიდა და განსაზღვრული დროის შემდეგ ფოსტალიონი უკანვე მოუტანდა. შესაძლოა გზის იმ თავში არავითარი რედაქტორი არ არსებობს და მის მაგივრად დადგმულია კბილოვანი კბილანას გონებამახვილური მოწყობილობა, რომელსაც შეუძლია ხელნაწერი ერთი კონვერტიდან მეორეში გადააწყოს და მარკებიც დააკრას?

დრო! დრო! აი, რა არ ყოფნიდა მას ყოველთვის — დრო, რომ ესწავლა, რომ დახელოვნებულიყო, ვიდრე უსახსრობა ხელიდან კალამს არ გააგდებინებდა. დღე-ღამეში მეტად ცოტა დროა იმისთვის, რომ გააკეთოს ის, რაც მას სჭირდება. თავს ვერ ანებებდა მოთხრობაზე მუშაობას, რათა მეცნიერულ შრომას ჩაჯდომოდა; ძლივძლივობით ანებებდა თავს სერიოზულ მუშაობას, რათა ბიბლიოთეკაში წასულიყო ჟურნალების წასაკითხად; სინანულით ტოვებდა სამკითხველო დარბაზს, როცა მეიბლთან მიდიოდა, თუმცა მასთან გატარებული საათის გარდა, ერთი წუთითაც არ აძლევდა საკუთარ თავს დასვენების უფლებას.

ყველაზე საწყენი მაინც ის იყო, რომ აღგზნებული თვალები უნდა მოეშორებინა წიგნებიდან, გადაედო ფანქარი და დაეძინა. შემოქმედებითი ჟინით გატაცებულმა, ძილის ხანგრძლიობა ხუთ საათამდე შეამცირა, მაგრამ ამ მცირე ხნითაც საშინლად ენანებოდა ცხოვრებისაგან გამოთიშვა. ერთადერთ ნუგეშად ისღა რჩებოდა, რომ ხუთი საათის შემდეგ მაღვიძარას მკვეთრი ხმა გამოაღვი-

ძებდა და წინ ისევ ცხრამეტი საათი დრო ექნებოდა, როცა შეიძ-ლებოდა მუშაობით გული ეჯერა. ეს აკვიატებული აზრით შეპყრობილი ადამიანი, ეს მოხიბლული სული მხოლოდ მუშაობით ტკბებოდა.

და აი, როგორც იქნა, დადგა სანატრელი დღე: „ტრანსკონტინენტურ ყოველთვიურში“ დაიბეჭდა მოთხრობა „იმათთვის, ვინც გზაშია“. ეს იყო ჯეკის, როგორც პროფესიონალი მწერლის, პირველი გამოსვლა. სხვათაშორის, რედაქტორმა არათუ ხუთი დოლარი არ გადაუხადა, ისიც კი ვერ მოიფიქრა, რომ ჟურნალის თუნდაც ერთი ეგზემპლარი გამოეგზავნა. ოკლენდის ბროდვეიზე ჯეკი დაღონებული შეაცქერდა ვიტრინას — სად იშოვოს ათი ცენტი, რათა შეხედოს მაინც, როგორ გამოიყურება ჟურნალში მისი მოთხრობა? რა ქნას. წავიდეს ეპლგარტებთან? .ათი ცენტი ისესხა ედუარდისაგან, დაბრუნდა ჯიხურთან და მაინც იყიდა ჟურნალი.

ოკლენდელმა მეგაზეთეებმა ეს ნომერი მალე გაყიდეს. ჯეკის მეგობრებმა ჰენრი კლეის კლუბიდან წინასწარ თადარიგი დაიჭირეს და მოთხრობაზე ხალხში კარგი ხმა გავრცელეს. ოკლენდის სწორედ იმ გაზეთმა, რომელმაც თავის დროზე არც ქირდვა და არც დაცინვა არ დააკლო „ბიჭ-სოციალისტს“, ახლა სტატია მიუძღვნა მისტერ ჯეკ ლონდონს, სადაც პატივისცემითა და სიამაყითაც კი აცხადებდა, რომ „ნორჩმა მწერალმა“ მოთხრობა მოათავსა ისეთ საპატიო ჟურნალში, როგორიც არისო „ტრანსკონტინენტური ყოველთვიური“. ჯეკი კი წინანდებურად გაჭირვების მკაცრ კლანჭებში იყო გამომწყვდეული, ისევ ძველმანები ეცვა, ისევ მშიერი კუჭით უხდებოდა სიარული. მაგრამ მისდამი დამოკიდებულებაში უკვე ნათლად შეიმჩნა გარდატეხა. თუ იგი მართლაც ნამდვილი მწერალი ხდება, მაშასადამე, ეპატიება კიდეც უცნაურობანი შეხედულებებში, საქციელსა და ჩაცმის მანერაში.

„იმათთვის, ვინც გზაშია“ არ შეიძლება მიეკუთვნოს ჯეკ ლონდონის საუკეთესო მოთხრობებს ალასკაზე — გმირების ხასიათისა და ბუნების აღწერილობათა საზიანოდ, იქ მეტად დიდი ყურადღება ექცევა სიუჟეტს. განსაკუთრებით იმ მომენტიდან, როცა მეილმუტ კიდი ტოლჩით ხელში წამოდგება, შეხედავს ყინულის სქელი ფენით დაფარულ სარკმელზე გაკრულ გაქონილ ქაღალდს და იტყვის: „იმა-

თი სადღეგრძელო იყოს, ვინც ამაღამ გზაშია! ვუსურვოთ, რომ ჰყოფნოდეთ სანოვაგე, შეძლებოდეთ ძაღლების შებმა მარხილში და ასანთის მშრალად შემონახვა!"—ამ მომენტიდან ბოლომდე, მოთხრობა მთლიანად იმორჩილებს ყურადღებას და რწმუნდები, რომ ამერიკულ ლიტერატურაში ახალი, ჭაბუკური და ძლევამოსილი ხმა აღერდა.

„ტრანსკონტინენტურმა ყოველთვიურმა" მართლაც მეფური გასამრჯელო აღუთქვა: შვიდნახევარი დოლარი თითოეულ ნაწარმოებში. ჯეკი არ დაელოდა ხუთი დოლარის გამოგზავნას მოთხრობისათვის და ჟურნალს „თეთრი მდუმარება" გაუგზავნა. მოთხრობის მიღება არ დააყოვნეს და თებერვალში დაბეჭდეს კიდეც. ჯეკს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები იყო და მასში სულ მცირე ორმოცდაათი დოლარი მაინც ერგებოდა, მაგრამ სხვადასხვა მოსაზრებამ აიძულა მოთხრობა ჩალის ფასად — შვიდნახევარ დოლარად — დაეთმო. ჯერ ერთი, იმედი ჰქონდა, რომ მოთხრობა თვალში მოხვდებოდათ და მოეწონებოდათ აღმოსავლეთის კრიტიკოსებსა და ჟურნალების რედაქტორებს, მეორე, იგი სულ იმის ცდაში იყო მეიბლისათვის დაემტკიცებინა, რომ ამაოდ არ შრომობდა; მესამეც, თუ შესძლებდა ჟურნალისათვის შვიდნახევარი დოლარის გამოცანცვლას, მაშასადამე, დაახლოებით ერთი თვე ოჯახი მაძღარი იქნებოდა.

თუ მოთხრობამ — „იმათთვის, ვინც გზაშია" ოკლენდის საზოგადოება იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ შესაძლოა ჯეკ ლონდონი მწერალი გახდეს, „თეთრმა მდუმარებამ", ამ უკვდავმა კლასიკურმა ნაწარმოებმა ყინულოვანი ქვეყნის შესახებ, უკვე თვალები აუხილა ოკლენდს. დიახ, ამ ადამიანს შეუძლია წერა. ამბავი, რომელიც განსაცვიფრებელი რელიეფურობით, სინაზით, ღრმა გრძნობით არის დაწერილი, ერთსადაიმავე დროს იწვევს სიბრალულსაც, შიშსაც, აღტაცებასაც და ყველაფერს, რასაც კი ადამიანი განიცდის ხელოვნების სრულყოფილი ნაწარმოების კითხვისას. ჯეკი ყოველდღიურად ასობით ლექსს კითხულობდა და გადასწერდა, რათა ეღერადი, მწყობრი სტილი გამოემუშავებინა და, ამას გარდა, იმიტომაც, რომ მის აზროვნებაში სიტყვებს ისევე ეღერა, როგორც მელოდიებს კომპოზიტორის აზროვნებაში. ძნელად თუ ვინმე და-

იჯერებდა, რომ მის პირობებში აღზრდილი ყმაწვილი ნამდვილი პოეტი დადგებოდა, მაგრამ სწორედ ასე კი მოხდა: „თეთრი მდუმარება“ პოეტის ნაწარმოებია.

„ადამიანს რომ თავისი არარაობა დაუმტკიცოს, ამისათვის ბუნება უამრავ მოულოდნელობას ფლობს — ზღვის მოქცევანი და უკუქცევანი, რომელნიც გამუდმებით ენაცვლებიან ერთმანეთს მძვინვარე ქარიშხლებში, მძლავრი მიწისძვრები. მაგრამ არაფერი შეედრება თეთრი იდუმალების შემაძრწუნებელ საშინელებას. არაგითარი მოძრაობა; ცას სპილენძისფერი ელვარება გადაჰკრავს და ღრუბლის ნატამალიც არ მოჩანს. ოდნავ გასაგონი ჩურჩული, საკუთარი ბგერაც კი აშინებს, შეურაცხყოფს სმენას. მკვდარი სამყაროს მოჩვენებით სივრცეებში ეული ქვიშის მარცვალი მოძრაობს. ეს ადამიანია. თავისი კაცნიერება მას შიშის ზარსა ჰგვრის. ნუთუ არ ესმის, რომ მისი სიცოცხლე ჭიაყელას სიცოცხლეზე უფრო უმნიშვნელოა? უცნაური, დაუპატიჟებელი აზრები ებადება თავში: აი სადაცაა მისთვის ცნობილი გახდება ყოფიერების საიდუმლოება“.

ამბობენ, რწმენა მთებსაც კი დასძრავსო. მაგრამ ჯეკი იმედებს უფრო გულმოდგინეობაზე ამყარებდა. მან თავის თავს დაუწესა ულუფა — ათასხუთასი სიტყვა დღეში — და მუშაობას მხოლოდ მაშინ წყვეტდა, როცა გაკრული ხელით მათ ჯერ ქაღალდზე გადაიტანდა, შემდეგ კი მანქანაზე გადაბეჭდავდა. ვიდრე თავის აზრს ქაღალდს გაანდობდა, კარგად აწონ-დაწონიდა მას გონებაში და შემდეგ უკვე არავითარ ძალას აღარ შეეძლო აეძულებინა, რაიმე გადაეკეთებინა, თუ არ ჩავთვლით ერთი სიტყვის მეორეთი შეცვლას; ველოსიპედი, საათი, მაკინტოში და საზამთრო კოსტუმი დიდი ხანია გამსესხებელ სავაჭროში ჰქონდა წაღებული. ოჯახს კარგახანია ლობიოსა და კარტოფილის გარდა არაფერი ენახა. მენიუში ცვლილება ხანდახან ელიზას თუ შეჰქონდა, როცა იგი თავისი ოჯახის კერძიდან ცოტა რამის მიტანას ახერხებდა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ჯეკმა იუმორისტული ლექს-ტრიოლეტებისა და სალაღობო მოთხრობების წერა დაიწყო იმ იმედით, იქნებ ისინი, თუნდაც თითო დოლარად მიეყიდა იუმორისტული ჟურნალებისათვის.

ამ გაზაფხულზე ჯეკი ორჯერ გამოიძახეს ფოსტაში სამუშაოდ;

ოჯახში არც ერთი გროში, პურის ერთი ნამცეციც არ მოეპოვებოდათ. „ტრანსკონტინენტური ყოველთვიური“ პასუხსაც არ იძლეოდა მუდარით აღსავსე მის წერილებზე და ჯიუტად არ უგზავნიდა ხუთ დოლარს მოთხრობაში „იმათთვის, ვინც გზაშია“ და შვიდნახევარს „თეთრი მდუმარებისათვის“. ჯეკმა ელიზას სესხად გამოართვა ბორნით გადასვლის საფასური; მისი წარმოდგენით, მთელი თავისი „რაინდული აღტკურვილობით“ შემოსილმა გადასცურა ყურე და რედაქციას მიადგა. შედგა თუ არა რედაქციის ზღურბლზე ფეხი, იგი მიხვდა, რომ ეს ჟურნალი არ იყო საერთოსაქვეყნო მნიშვნელობის ბრწყინვალე ჟურნალი, როგორადაც ეს ჯეკს წარმოედგინა. ჟურნალის ფინანსური მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. მართალია, იგი ჯერ კიდევ სუნთქავდა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ რედაქტორი როსკო ეიმსი და გამომცემელი ედუარდ პეინი შიმშილით არ დახოცილიყვნენ. ამ შემთხვევითი შეხვედრის შემდეგ ორივენი შეიჭრნენ ჯეკის ცხოვრებაში, რათა სამუდამოდ მასთან დარჩენილიყვნენ. ეიმსი და პეინი მეტად მოხარული დარჩნენ ჯეკ ლონდონთან შეხვედრით, მაღალფარდოვანი ფრაზებით შეამკეს მისი ტალანტი... და დაპირდნენ, რომ მეორე დილით, პირველივე ფოსტით გადაუგზავნიდნენ ხუთ დოლარს. მაგრამ დამშეული ავტორის ზორბა მუშტებმა ისეთი ეფექტი მოახდინა, რომ ამ ორმა ლიტერატურულმა ჯენტლმენმა იკადრა და მაშინვე ჯიბიდან ამოიღეს ხუთი დოლარი.

ვალებით წელგაწყვეტილმა ჯეკის ოჯახმა ხუთი დოლარით მარტში თავი გაიტანა. „ტრანსკონტინენტურმა ყოველთვიურმა“ ითხოვა, აპრილის ნომრისათვისაც გაეგზავნა რაიმე. ჯეკმა უპასუხა, ვიდრე რედაქცია „თეთრი მდუმარებისგან“ კუთვნილ გასამრჯელოს არ გადაუხდის, ახალი ნაწარმოების გაგზავნაზე ლაპარაკიც ზედმეტიაო. მრავალგზის დაბეჯითებითი მოთხოვნის შემდეგ „ყოველთვიურმა“, როგორც იქნა, ვალი გადაუხადა და ჯეკმა რედაქციას „მგლის შვილი“ გაუგზავნა. სწორედ იმ დროს, აპრილში, სან-ფრანცისკოს ჟურნალმა „საქალაქო თემებზე“ დაბეჭდა ერთ-ერთი მისი იუმორისტული ლექსი-ტრიოლეტი „იგი სიცილით დაიხრჩო“. ფლორასა და მის შვილს კრედიტორებმა და სახლის პატრონმა იმდენად მოაბეზრეს თავი, რომ ჯეკი თანახმა იყო ხუთიოდას სიტყვიანი მოთხრობები ერთ დოლარად დაეთმო — მზად იყო ყვე-

ლაფერზე, ოღონდ როგორმე ორიოდე ცენტი ეშოვა. მუშაობა საკუთარ თავში რწმენას უნერგავდა, მაგრამ დროდადრო ნერვები ღალატობდა; სადღაც, გულის სიღრმეში მიყუჟული მერყეობა იღვიძებდა და ჩასჩურჩულებდა, რომ წარმატების შანსი მეტად უმნიშვნელოა, რომ იგი გამარჯვებას ვერასოდეს ვერ მიაღწევს.

პირველი ნამდვილი წარმატება მაისმა მოუტანა. ჟურნალმა „საქალაქო თემებზე“ დაბეჭდა პოემა „ერთი საათით ღმერთი რომ ვიყო“, ხოლო „ტრანსკონტინენტურმა ყოველთვიურმა“ — მეოთხე მოთხრობა ალასკის შესახებ—„მეორმოცე მილის მამაკაცები“, რომელიც ძარღვიანი სტილით, გამსჭვალავი, უხეში იუმორითა და ირლანდიური მებრძოლი სულით იყო დაწერილი. მისტერ უმსტეტერმა თავის „შავ კატაში“, როგორც იქნა, დაბეჭდა „ათასი დუქინი“, ხოლო „ორინჯ ჯოდ ფარმერმა“ — მოთხრობა „თავისიანების მოსანახულებლად“. ბედნიერებისაგან თვალებგაბრწყინებული ჯეკი იჯდა თავის ვიწრო, ცუდად განათებულ პატარა საძინებელ ოთახში, თითებით ჩასჭიდებოდა აბურძგნილ ბღუჯა თმებს, გადაეშალა ოთხივე ჟურნალი და თავის პირმშოებს დასცქეროდა. სახლში ცივა, შეშა გაუთავდათ, საკუჭნაო გამოცარიელებულია, მაგრამ რა ბედენაა! ყბები ჩაუცვივდა, კოსტუმიც ისე დაუძველდა, რომ ეპლგარტების ოჯახში ვეღარ გამოჩნდება, ვაითუ დედამისმა შენიშნოს. არაფერია! ის და ფლორა შეჩვეულები არიან; ისინი ძარღვიანი ხალხია და ისეთსაც გადაიტანენ, სიფაფუკეს შეჩვეულ ოჯახს წელში რომ გასტეხდა. დიახ, ცხოვრება მას ფიანდაზად არ ეგება ფეხქვეშ — აკვნიდან როდი დაჰყვა რკინისებური მტკიცე ხასიათი. ადრიდანვე მიეჩვია იგი საშიშროებისათვის თვალის გასწორებას და გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნისას სულის სიმტკიცის შენარჩუნებას. მერე რა, რომ მოწიფულია, განა ამიტომ ახლა ვიკინგი ღარ არის? მან თავისთავს დაუსახა ამოცანა, რომელზეც უფრო ძნელს ვერც მოისაზრებს ადამიანი. მაშასადამე, უფრო მეტი მიზეზებიც ექნება მის დასაძლევად: გმირული იერიშის ღირსი ხომ მხოლოდ ყველაზე მოუდგომელი მწვერვალებია. ჯერ კიდევ მოზარდი იყო, როცა საგანგებოდ ეძებდა საშიშროებას და სიამოვნებასაც მათში ხედავდა, მაგრამ ამით ხასიათი სულაც არ ეცვლებოდა. იგი გულადი ადამიანი იყო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით,

თუმცა ზოგჯერ რომანტიულ საბურველში უხდებოდა ამ გულადობის გახვევა. ყოველ შემთხვევაში, იგი ასე ფიქრობდა, როცა თავის ლიტერატურულ ნადავლს დასცქეროდა თავისი დადუმებული სენაკის მყუდროებაში.

ივნისში მისი ნაწარმოები უკვე ალმოსავლეთის პრესაშიც გამოჩნდა: ბუფალოს გაზეთმა „ექსპრესმა“ მოათავსა „დოუსონიდან ზღვამდე“ — ნამდვილი ამბავი თითქმის ორი ათასი მილის მანძილზე მდინარე იუკონზე ღია ნავით მოგზაურობის შესახებ. ჟურნალმა— „საკუთარ კერასთან“ — მოათავსა ნარკვევი „კლონდაიკის გზაზე უფსკრულებზე გავლით“, ხოლო „ტრანსკონტინენტურმა ყოველთვიურმა“ ჩრდილოური სერია შეავსო მოთხრობით „შორეულ მხარეში“. ივლისში ჯეკმა მტკიცედ მოიკალათა პროფესიონალურ მწერალთა შორის. ერთ თვეში მისი ნარკვევები და მოთხრობები ხუთ პერიოდულ გამოცემაში დაიბეჭდა. ეს მართლაც სასწაული იყო ოცდასამი წლის ყმაწვილისათვის, რომელმაც წერა მხოლოდ ცხრა თვის უკან დაიწყო. რამდენად ბევრის შეძენა მოასწრო მან თვითგანვითარებით, ეს ნათლად ჩანდა ჟურნალ „განათლებაში“ მოთავსებული ორი სტატიიდან: ერთი მათგანი ეხებოდა ენის საკითხებს, მეორე — ზმნების გამოყენებას. მისი მოკლე მოთხრობები გამოქვეყნდა ჟურნალებში „ბუ“, „ტრანსკონტინენტური ყოველთვიური“ და „ტილოტსონის სინდიკატი“.

ურიგო არ იქნებოდა ამ თვის სასიხარულო ამბების ზეიმით აღნიშვნა. ჯეკმა ლომბარდიდან ველოსიპედი გამოისყიდა, მეიბლს გაუარა და ორივენი გორაკებისაკენ გაემგზავრნენ. ჯეკმა წინანდებურად ფეხქვეშ ფიანდაზად გაუგო მას თავისი წარმატებები, მაგრამ შენიშნა, რომ მისი საცოლე ამჯერად მხიარულად არ გამოიყურებოდა. მეიბლის კითხვაზე, თუ რამდენი მიიღო ხუთივე დაბეჭდილ ნაწარმოებში, ჯეკი გამოუტყდა, რომ ჯერჯერობით მხოლოდ ხუთი დოლარი გამოუგზავნეს და იმედი აქვს, რომ დანარჩენი ორი მოთხრობისათვის შვიდნახევარს მიიღებს „ტრანსკონტინენტური ყოველთვიურიდან“. მეიბლმა თავი ვეღარ შეიკავა, მის მუხლებზე დაემხო და მწარედ აქვითინდა. მათი დანიშვნის შემდეგ უკვე ნახევარმა წელმა განვლო და, მეიბლის აზრით, ის მცირე შემოსავალი, რომელიც მან კარგ ჟურნალებში მოთავსებული მოთხრობებისათვის

მიიღო, მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ ისინი ვერასოდეს ვერ შეძლებენ ლიტერატურული გასამრჯელოთი ცხოვრებას. თვით იგი მზადაა მასთან ჭირი და ლხინიც გაიზიაროს, მაგრამ დედამ, მისის ეპლგარტმა, კატეგორიულად და არაორაზროვნად განაცხადა, რომ ვიდრე ჯეკი არ მიაღწევს მნიშვნელოვანი თანხის გამომუშავებას, მეიბლი მისი ცოლი არ გახდება.

ჯეკმა ახალი ხელნაწერები წაუკითხა — როგორმე ხომ უნდა დაუმტკიცოს, რომ აღმოსავლეთის მდიდარი გამომცემლობებიც დაიწყებენ მისი ნაწარმოებების ბეჭდვას, ეს მხოლოდ დროს მოითხოვს. იგი სულ უფრო და უფრო რწმუნდება, რომ ქმნის მძლავრ, ნამდვილ ნაწარმოებებს, რომლებიც არ წაგავს იმათ, ახლა რომ ამერიკაში წერენ. ამ მტკიცე თავდაჯერებულობის საპირისპიროდ მეიბლმა გამბედაობა მოიკრიბა და უპასუხა, რომ მისი მოთხრობები მას არ მოსწონს. ისინი დაუხვეწავია, არ არის სიტყვაკაზმული ენით დაწერილი, მხატვრულადაც დაბალ დონეზეა: ყველა ეს აღწერები პრიმიტიული, უხეში ცხოვრების შესახებ, ეს ტანჯვა-წამებანი, სიკვდილი... მკითხველი მათ არ მიიღებს. მას უყვარს ჯეკი, უყვარს, როგორც არასოდეს... ამის დასამტკიცებლად მეიბლი მოეხვია და მხურვალედ აკოცა. მას იგი ყოველთვის ეყვარება. მზადაა ახლავე გაჰყვეს ცოლად... მხოლოდ გამოიჩინოს გონიერება და ფოსტაში დაიწყოს მუშაობა. ანდა, განა არ შეიძლება, გაზეთის რეადქციაში მუდმივ ადგილზე მოეწყოს? აი, თუნდაც კორესპონდენტად?

ჯეკს ეწყინა, რომ მეიბლს მისი არ სჯეროდა, მაგრამ ამის გამო წინანდელზე ნაკლებ როდი უყვარდა. აღმოსავლეთის ჟურნალების რაფინირებული ბატონების მსგავსად, მეიბლიც სათუთად იზრდებოდა სათბურის ატმოსფეროში. კეთილი, იგი მათ უჩვენებს! შესძლებს მათი პირგაცვეთილი თვითკმაყოფილების გაბიაბრუებას. ისინი გაიგებენ, რა არის ნამდვილი მოთხრობა!

აი, ის კვლავ მიუჯდა ცუდად შეკრულ ხის მაგიდას. მოიმარაგა უამრავი სქელტანიანი პაპიროსი და კიდევ უფრო გაშმაგებით შეუდგა მუშაობას. საწერი მანქანიდან ძლივს ასწრებდა გადმოსვლას კლასობრივი ბრძოლის შესახებ დაწერილი გესლიანი სტატიის უკანასკნელი სიტყვები, რომ კლავიშები უკვე ბეჭდავდა სათავგადასავლო მოთხრობას ბავშვებისათვის; წარმტაც მოთხრობებს იმის შესახებ,

თუ როგორ ებრძვის ბედს და როგორ ხვდება სიკვდილს ჩრდილოეთის ხალხი, სცვლიდა იუმორესკები ჟურნალისათვის „საქალაქო თემებზე“. გაორკეცებული ენერგიით ჩაკირკიტებდა იგი წიგნებს, მთელ გვერდებს გადმოიწერდა ხოლმე ომის, მსოფლიო ვაჭრობის, ხელისუფლებასა და სასამართლოებში მოსყიდვის სისტემის, კონკურენციათა გამო საწარმოთა დანაკარგების, გაფიცვების, ბოიკოტების, ქალთა თანასწორუფლებიანობის შესახებ; წერდა შენიშვნებს თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე, თანამედროვე სამედიცინო კრიმინოლოგიაზე. ამდაგვარი ცნობებით შევსებულ ბარათს ადრე შევსებულ ბარათებს უმატებდა და უნაკლო სიზუსტით ალაგებდა მათ თავის საცნობარო კარტოთეკაში. არ იყო დღე, რომ მას თექვსმეტი საათი არ გაეტარებინოს წიგნებსა და მანქანასთან, ხოლო თუ შეატყობდა, რომ მეტის ატანაც შეეძლო, ცხრამეტ-ცხრამეტ საათს მუშაობდა დღე-ღამეში; ასე გრძელდებოდა კვირის შვიდივე დღეს. გულმოდგინეობას ისეთი მთების დაძვრა შეუძლია, როგორიც რწმენას არც კი დასიზმრებიაო, რომ იტყვიან, სწორედ ამ შემთხვევაზეა ნათქვამი.

დაძაბული მუშაობის შედეგად ჯეკს ცოტა დრო რჩებოდა მეგობრებისა და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის. მეიბლი და დედაშისი სანტა-კლარას ხეობაში მდებარე პატარა ქალაქ სან-ხოსეში გადასახლდნენ. მარტოობამ თავისი გაიტანა: ჯეკი მეტად გაემიჯნა ხალხს, თუმცა შეგობრებთან ყოფნა და საინტერესო თანამოსაუბრეებთან შეხვედრა მისთვის აუცილებელი მოთხოვნილება იყო. ამიტომ იგი სიხარულით დათანხმდა შესულიყო ახლად დაარსებულ რიოსკინის კლუბში, სადაც ადგილობრივი ლიბერალური ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები იკრიბებოდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ იგი გაუფრთხილებლად მივიდა ოკლენდის სოციალისტების მიტინგზე, სადაც მას გულითადი შეხვედრა მოუწყვეს და ჩააცივდნენ, სიტყვით გამოსულიყო. ჯეკი ტრიბუნაზე ავიდა და ლაპარაკი დაიწყო „მაქსიმუმის საკითხზე“. მისი სიტყვის დედააზრი იმაში მდგომარეობდა, რომ განვითარების მაქსიმალური დონის მიღწევისას კაპიტალიზმი გარდუვალად გადაიზრდება სოციალიზმში. ერთი კვირის წინ ჯეკმა ამ თემაზე დაწერა სტატია, რომელიც თუმ-

ცა, შეიძინა ერთმა აღმოსავლურმა ჟურნალმა, მაგრამ არ დაბეჭდა. სტატიაში „მაქსიმუმის საკითხისათვის“[1] ჯეკი მსჯელობს, როგორც უკვე ჩამოყალიბებული ეკონომისტი. იგი ჩინებულად ფლობს ისტორიული ფაქტების ეკონომიკის ენით გადმოცემის უნარს. უფრო მეტიც: სტატიიდან ჩანს, რა დიდი გამოკვლევა ჩაუტარებია ავტორს პოლიტიკური ეკონომიის დარგში.

იმით კმაყოფილი, რომ კარგად მიიღეს მისი გამოსვლა, ჯეკი დათანხმდა მონაწილეობა მიეღო ზოგადსაგანმანათლებლო საკვირაო ლექციების ციკლში, რომელიც სოციალისტური პარტიის ინიციატივით იმართებოდა. რაოდენ უსაზღვრო იყო მისი განცვიფრება, როცა პირველი ლექციის შემდეგ ოკლენდის პრესაში სერიოზული და მეგობრული ტონით დაწერილი შეფასებები გამოქვეყნდა! ესეც ახალი ამბავი, თურმე ჯეკ ლონდონთან ერთად სოციალიზმიც მიუღიათ საზოგადოებაში.

სექტემბერში, ოქტომბერსა და ნოემბერში კიდევ სამი ციხესიმაგრე დაეცა: ჟურნალები „კონკიზი“, „გამომცემელი“ და „ახალგაზრდობის თანამგზავრი“. რიოსკინის კლუბელ მეგობრებსა და თანამოძმე სოციალისტებს მიაჩნდათ, რომ ჯეკმა, როგორც მწერალმა, უკვე მიაღწია წარმატებას. კვირაობით, როცა ლექციებისაგან თავისუფალი იყო, ჯეკი ოკლენდიდან ორმოცი მილის მანძილზე მდებარე სან-ხოსეში მიდიოდა ველოსიპედით მეიბლის სანახავად. კვირაში რამდენიმე საღამოს მიტინგებზე, ლექციებსა და დისპუტებში ატარებდა. ერთ ასეთ საღამოს ჯეკი ყოფილ მოქადაგესთან, იმჟამად კი მწერალ ჯიმ ვაიტეკერთან და მტკიცე ანარქისტ სტრონჰამილტონთან ერთად ყურეს მეორე მხარეზე გადავიდა, რათა ტერკ სტრიტ ტემპლში ოსტინ ლუისის ლექცია მოესმინა სოციალიზმის შესახებ. აქ იგი შეხვდა მგზნებარე სოციალისტს ანა სტრუნსკაიას, რომელსაც ჯეკი „გრძნობათა გენიას“ ეძახდა. იგი უთუოდ ყველაზე ბრწყინვალე ქალი იყო იმათ შორის, რომელთაც ჯეკი თავის ცხოვრებაში შეხვედრია.

შთაბეჭდილებიანი, მორცხვი ქალიშვილი, მუქთაფლისფერთვა-

---

[1] ეს სტატია ადრე იყო დაწერილი, სახელდობრ — 1898 წელს, და პირველად 1905 წელს გამოქვეყნდა კრებულში „კლასთა ბრძოლა“.

ლება, შავხუჭუჭთმიანი, ტანადი ანა სტრუნსკაია სტანფორდის უნი-ვერსიტეტის სტუდენტი იყო. ჩამომავლობით იგი სან-ფრანცისკოს ერთ-ერთ პირველმოსახლე ოჯახს ეკუთვნოდა[1], რომელიც ამავე დროს, ქალაქის კულტურულ ცენტრადაც ითვლებოდა. მას ვიღა-ცამ დაანახვა ჯეკი და უთხრა, რომ იგი ოკლენდელი სოციალისტი და პროფესიული მწერალია და ქუჩებში გამართულ მიტინგებ-ზეც გამოდისო სიტყვით. ლექციის შემდეგ ისინი ერთმანეთს გააცვ-ნეს; ანას მოეჩვენა, თითქოს ახალგაზრდა ლასალს, ახალგაზრდა მარქსს, ანდა ბაირონს შეხვდა. როგორც თვითონ მისს სტრუნ-სკაია წერს, მას მყისვე უგრძვნია, რომ მის წინ ისტორიული პიროვ-ნება იდგა. ხოლო რაც შეეხება სინამდვილეს, იგი ანა სტრუნსკაიას წინ წარმოისახა ახალგაზრდა კაცის სახით, რომელსაც მუქი წარბე-ბის ჩარჩოში ჩამჯდარი დიდი ცისფერი თვალები და ლამაზი ბაგეები ჰქონდა, და რომელსაც გაღიმებისას ორი ჩამტვრეული წინა კბილი მოუჩანდა. შუბლი, ცხვირი, ლოყების კონტური და მასიური კისერი კი მას ანტიკურ ქანდაკებას მოაგონებდა. წარმოსადეგი იყო, თავისუფალ მიხვრა-მოხვრაში ათლეტური ძალა იგრძნობოდა. ჯეკს ნაცრისფერი კოსტუმი და თეთრი რბილი პერანგი ეცვა მისაბნევი საყელოთი და შავი ყელსახვევით.

ჯეკ ლონდონსა და ანა სტრუნსკაიას შორის მეგობრული და თა-ნაც მეტად მგზნებარე ურთიერთობა დამყარდა; რაღაზე არ კამა-თობდნენ ისინი და მერე როგორი გააფთრებით! საზოგადოებრივ საქმეებზეც, ეკონომიკაზეც და ქალთა საკითხებზეც! მისს სტრუნ-სკაია აღაშფოთა ჯეკის განცხადებამ, რომ თუმცა იგი სოციალის-ტია, მაგრამ განზრახული აქვს კაპიტალისტები მათსავე წამოწყებულ თამაშში დაამარცხოს. სოციალისტებს უიღბლო, სუსტი ნებისყო-ფის მქონე, უნიჭო ადამიანებად სთვლიან. ჯეკი კი დაამტკიცებს, რომ სოციალისტი არაფერში არ ჩამოუვარდება კაპიტალისტთა შო-რის ყველაზე რჩეულსაც კი. ეს იქნება სოციალიზმის ყველაზე უკე-თესი პროპაგანდა. ანა სტრუნსკაიამ აღშფოთებით განაცხადა, რომ

---

[1] მისი მშობლები წარმოშობით რუსეთიდან იყვნენ.

ნამდვილი სოციალისტისათვის სავსებით მიუღებელია ამდაგვარი ზრახვები. როგორ! მიზნად დაისახოს დიდება და სიმდიდრე? ის, ვინც ძველი წყობის სიუხვით სარგებლობს, თვითონაც ხომ, ასე თუ ისე, მხარს უჭერს ამ წყობას და სულიერად მას უნათესავდება. ჯეკმა გულკეთილად გადაიხარხარა. არა უშავს! მართალია, აღმოსავლეთის ჟურნალების გამომცემლები ახლა მას შიმშილით სულსა ხდიან, მაგრამ მოვა დრო და ისინი ფულს არ დაზოგავენ, ოღონდ მისი მოთხრობები შეიძინონ. შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდეთ, რომ იგი კაპიტალიზმიდან ყველაფერს ამოქაჩავს, რასაც კი შესძლებს, თვით უკანასკნელ დოლარსაც კი.

თუ ვალებსა და მატერიალურ საზრუნავს არ ჩავთვლით, ჯეკი ახლა ცუდად არ ცხოვრობდა. თვეში ათ-თხუთმეტ დოლარს შოულობდა. იმ ჟურნალების რიცხვიც, რომლებიც მის ნაწარმოებებს ბეჭდავენ, თანდათან იზრდებოდა. ჯეკს უყვარდა წერა, მოსწონდა ჩაფიქრება, კვლევა-ძიება, შედარება, მიღწევა. კვირა საღამოს სოციალისტთა ადგილობრივ ორგანიზაციაში კითხულობდა ლექციებს ისეთ თემებზე, როგორიცაა, მაგალითად, „ექსპანსიონისტური პოლიტიკა"; სადილებსაც ესწრებოდა რიოსკინის კლუბში, სადაც ახლა მას უამრავი მეგობარი ჰყავდა: ახალგაზრდა მასწავლებლები კალიფორნიის უნივერსიტეტიდან, პროფესიული ლიტერატორები, ოკლენდის ახალი ბიბლიოთეკარი. შაბათობით ეპლგარტებს ეწვეოდა ხოლმე სან-ხოსეში. მათ ახალ ხელნაწერებს აცნობდა და თანაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეიბლის აზრს წაკითხულის შესახებ; ზოგჯერ, ტყეში სეირნობისას, ანდა სასტუმროში მარტოდ დარჩენილნი, სავარძელში ჩუმად ჰკოცნიდნენ ერთმანეთს. ხომ ასე ძლიერ უყვარდა მეიბლი, მაგრამ ფიქრადაც არასოდეს მოსვლია ადგილი მოეძებნა მისთვის იმ მჩქეფარე, ხმაურიან ცხოვრებაში, როგორსაც იგი ოკლენდში ეწეოდა. სოციალისტურ მიტინგებზე თუთუნის ბოლსა და ღრიანცელში მეიბლზე ფიქრიც კი მკრეხელობა იქნებოდა. იგი მისთვის ისევ ისეთ უშფოთველ, წყნარ ქალღმერთად რჩებოდა, რომელიც მაღლა ცაში დაფრინავდა ამქვეყნიურ მღელვარებათა და ამაოებისაგან შორს მყოფი. როცა ისინი დაქორწინდებიან, მეიბლი ალერსიანად, თავაზიანად მიიღებს ჯეკის მეგობრებს, პაექრობაში მის მოწინააღმდე-

გეებს. მაგრამ ჯიუტ, გამოუსწორებელ მოწინააღმდეგეებს კი არა, არამედ იმათ, ვინც უფრო მშვიდი იქნება. ხოლო როცა ჯეკი მწვავე კამათში გატარებული კრებიდან შინ აფორიაქებული და გაცხარებული დაბრუნდება, იგი მის ალერსში ჰპოებს იმ წყნარ ნავსაყუდელს, სადაც დაშოშმინებულს შეეძლება მოისვენოს და დაწყნარდეს. მას ყოველნაირი მონაცემები გააჩნია, რომ ზეადამიანის მეუღლე გახდეს.

ბოლოს, როგორც იქნა, საუკუნის მიწურულში ჯეკ ლონდონმა ნამდვილ, დიდ წარმატებას მიაღწია; იგი ამაში წინასწარ იყო დარწმუნებული. ჯეკს სწამდა, რომ წარმატება იმათი გარდუვალი ხვედრია, ვისაც „რწმენა, გულმოდგინეობა და ტალანტი“ აქვს. წინა კვირეებში მან დიდი მოთხრობა დაწერა „ჩრდილოეთის ოდისეას“ სახელწოდებით და სხვას კი არა, პირდაპირ ბოსტონის ჟურნალ „ატლანტიკის ყოველთვიურს“ გაუგზავნა. ეს მისი მხრივ მეტისმეტი თავდაჯერებულობა იყო. „ატლანტიკის ყოველთვიური“ იყო თეთრი ძვალი, შეერთებული შტატების ყველაზე თავდაჭერილი, მიუდგომელ-არისტოკრატიული ლიტერატურული ჟურნალი. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, „ატლანტიკის ყოველთვიურს“ ხელნაწერი უკანვე უნდა დაებრუნებინა მოკლე, ავტორის ღირსების შეურაცხმყოფელი უარით. ამის ნაცვლად ჯეკმა სწორედ ის გრძელი და თხელი კონვერტი მიიღო, რომლის ერთი დანახვითაც კი სიხარულისაგან თავბრუ ესხმოდა. რედაქტორი მოთხრობას აქებდა, ამასთანავე სთხოვდა, პირველი ნაწილი სამიათასი სიტყვით შეემცირებინა და მისი გამოცემის უფლებისათვის ას ოც დოლარს სთავაზობდა. სწორედ ისე, როგორც იმ დილას, როცა „ტრანსკონტინენტური ყოველთვიურიდან“ თხელი კნოვერტი მოუტანეს, აცახცახებული და თვალგაშტერებული ჯეკი საწოლის კიდეზე დაეშვა. ას ოცი დოლარი თავისუფლად ეყოფა, რომ ვალები გადაიხადოს, ლომბარდიდან ნივთები გამოისყიდოს, საკუჭნაო სანოვაგით გამოტენოს და სახლის პატრონსაც ექვსი თვის ქირა წინასწარ გადაუხადოს! შლეგიანივით წამოვარდა ლოგინიდან, ფეხით ფართოდ გააღო კარები, სამზარეულოში შევარდა, ფლორა ხელში აიტაცა და გიჟივით დატრიალდა:

— დედა! შეხედე! ამას შეხედე! საქმე გაიჩარხა! „ატლანტიკის ყოველთვიური“ მოთხრობას ბეჭდავს. აღმოსავლეთის ყვე-

ლა გამომცემელი წაიკითხავს მას, ყველას მოუნდება მოთხრობების მიღება. ახლა კი გაგვეხსნა გზა მწვერვალებისკენ!

ფლორა უელმანმა თავი დაუქნია და, ფოლადისჩარჩოიანი სათვალეების ვიწრო შუშების მიღმა ჩამალული მკაცრი ღიმილით აკოცა თავის ერთადერთ ვაჟს.

სინამდვილემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. „ტრანსკონტინენტურ ყოველთვიურში“ ალასკის შესახებ მოთხრობების გამოსვლის შემდეგ, ჰაფტონ მიფლინის საგამომცემლო ფირმა, რომელიც კავშირში იყო ბოსტონის „ატლანტიკის ყოველთვიურთან“, გაეცნო „ჩრდილოეთის ოდისეას“ ხელნაწერს და დათანხმდა საგაზაფხულოდ გამოეცა მოკლე მოთხრობების კრებული. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ფირმის შეფასება, რომელიც მაშინაა შედგენილი, როცა კრებულის გამოცემის საკითხი წყდებოდა, ჯეკ ლონდონის თხზულებათა სერიის პირველი პროფესიული კრიტიკული მიმოხილვა იყო. „მართალია ავტორი მეტისმეტად თავისუფლად იყენებს ოქროს საბადოში გავრცელებულ ჟარგონს და საერთოდაც არ გამოირჩევა დახვეწილი სიტყვაკაზმულობით, მაგრამ მის სტილს სიახლე, მჩქეფარე ძალა ახასიათებს. იგი ცხოველი ფერებით ხატავს შიმშილის, სიცივისა და წყვდიადისაგან გამოწვეულ ტანჯვა-წვალებას; სიხარულს, რომელსაც საშიში სტიქიით გარემოცული ადამიანები პოულობენ მეგობრობაში. ნამდვილ ადამიანურ ღირსებებს, რომელნიც ბუნებასთან მკაცრ ბრძოლაში მეღავნდება. მოთხრობა მკითხველს არწმუნებს. რომ ავტორმა თვითონ განიცადა ის ცხოვრება, რომელსაც აღწერს“.

ახლა უკვე შეეძლო აღარ გაეყიდა მოთხრობები შვიდნახევარ დოლარად, რომელთა მიღება ასე ძლიერ ჭირდა „ტრანსკონტინენტური ყოველთვიურიდან“. 1899 წლის 21 დეკემბერს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც ბოსტონს, ამერიკული კულტურის ამ პროინგლისური ჯალათების საყრდენს, ავალდებულებდა ყოფილიყო ამერიკულ ლიტერატურაში მომხდარი რევოლუციის ნათლია, რევოლუციისა, რომელიც ადგილობრივ ნიადაგში — კალიფორნიისა და ალასკის მიწაზე ჩაისახა. ახლა, როცა ჯეკ ლონდონის გაბედულ ახალ სიტყვას ლიტერატურაში მხარს უჭერდა ბოსტონის კონსერვატული გამომცემლობა, მწერალს შეეძლო იმედი ჰქონოდა,

რომ მის ნაწარმოებებს ანგარიშს გაუწევენ და უფრო მეტად მათ ღირსებებს მიაქცევენ ყურადღებას, ვიდრე საყოველთაოდ აღიარებული ნორმებისაგან გადახრას.

რამდენიმე დღემ განვლო. ახალი წლის წინა საღამოს ჯეკი იჯდა თავის ოთახში, რომელიც სავსე იყო ხელნაწერებით, ბარათებით, წიგნებითა და ათობით ჩაფიქრებული მოთხრობის მონახაზებით. რამდენიმე საათის შემდეგ ახალი — მეოცე საუკუნე დაიბადებოდა. ჯეკს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ამ ღამით დაიბადებოდა ხელახლა და ახალ საუკუნესთან ხელიხელჩაკიდებული გავიდოდა შარაგზაზე.

ასი წლის წინათ, სწორედ ასეთსავე ღამეს, ადამიანი ამღვრეული გონებით დაეხეტებოდა შუა საუკუნეთა მომწამვლელ ბურუსში. მას სამყაროში ყველაფერი ურყევად, ღვთისაგან წინასწარ განსაზღვრულად წარმოედგინა; ნდობით აღსავსეს მიაჩნდა, რომ მმართველობის ფორმები, ეკონომიური სტრუქტურა, მორალი, რელიგია და სხვა საზოგადოებრივი მოვლენები, ერთხელ და სამუდამოდ მამა ღვთისაგანაა დადგენილი უცვლელი ნიმუშის მიხედვით, რომლის სულ უბრალო წვრილმანიც კი ურღვევი, შეუვალი დოგმაა. მეამბოხე გერმანელმა ფილოსოფოსმა ჰეგელმა ააფეთქა ეს ურყევი წარმოდგენა, რომელიც მეფეებისა და სამღვდელოების მიერ იყო ძალად თავსმოხვეული. უმეცრების, შიშის, პირმოთნეობისა და სიყალბის იმავე წყვდიადში აიდგეს ფეხი დარვინმა და სპენსერმა, რომლებმაც ადამიანი გაანთავისუფლეს რელიგიის ბორკილებისაგან. ხოლო კარლ მარქსმა მას ხელში მისცა იარაღი, რომლითაც შეეძლო ნაცარტუტად ექცია თავისი ბორკილები და შეექმნა საზოგადოება, რომელიც მის მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. ასი წლის უკან, ასეთსავე ღამეს ადამიანი მონა იყო; იქნება თუ არა იგი ასი წლის შემდეგ, ასეთსავე ახალწლის ღამეს, საკუთარი თავის ბატონ-პატრონი? ახლა იგი ფლობს განთავისუფლებისათვის საჭირო საშუალებებსაც და იარაღსაც; თვით მასზეა დამოკიდებული იმ სამყაროს შექმნა, რომელიც მას ესაჭიროება. ნებისყოფა აი, ერთადერთი, რაც ახლა მას აკლია. იგი, ჯეკ ლონდონი, ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ამ კოლექტიური ნებისყოფის შემუშავებაში.

დაკვირვებით, აუჩქარებლად წონიდა იგი თავის ძალას, აფასებდა საკუთარ თავს, თავის მუშაობას და ეპოქას, თავის მომავალსაც.

ქალში მეტად ძლიერაა განვითარებული ჯოგური გრძნობა; იგი კარგად გრძნობს თავს მისსავე მსგავსთა შორის, ეგრეთ წოდებულ „საზოგადოებაში“ კი — როგორც ნაპირზე გარიყული თევზი. მშობლიურმა წრემ ასწავლა მას უნდობლად, მტრულად მოეკიდოს პირობითობას. იგი მიეჩვია აღიაროს ის, რასაც ფიქრობს — არც მეტი, არც ნაკლები. ათი წლის ბიჭუნამ მწვავედ განიცადა გაჭირვების ბასრი კლანჭები, რომელმაც თუმცა გრძნობიერება მოუსპო, მაგრამ გრძნობას ვერაფერი დააკლო. გაჭირვებამ იგი პრაქტიკული და ფხიზელი გახადა, ასე რომ, ზოგჯერ გულქვა, გრძნობადაკარგული, უკმეხიც გეგონებოდათ. გაჭირვებამ განუვითარა რწმენა, რომ გონება უფრო მძლავრია, ვიდრე წარმოსახვა, რომ ცოდნა გრძნობაზე უფრო მაღლა დგას. „შემთხვევითი სტუმარი, ზღვის შლაშე წყლით ფრთებგაწუწული გადამფრენი ფრინველი, ცოტა ხნით, ხმაურით შემოიჭრა თქვენს ცხოვრებაში, — სწერდა იგი ანა სტრუნსკაიას გაცნობის პირველ დღეებში; — წარმოიდგინეთ გარეული, მაღალ, ლაღსა და გაშლილ სივრცეებს მიჩვეული, მოუქნელი ფრინველი, რომელმაც ვიწრო გალიაში ვერ შეითვისა თავაზიანი მოპყრობა. ასეთი ვარ მე და ასეთად მიმიღეთ“.

მოჩვენებითს, ნაძალადევს ვერ ეგუებოდა. დაე, იწამონ იგი ისეთი, როგორიც არის, ან საერთოდ თავი დაანებონ. უფრო ხშირად სვიტერს ატარებდა, სტუმრად წასვლისას საველოსიპედო კოსტუმს იცვამდა. მეგობრებს, როცა იგი ახლო გაიცნეს, აღარაფერი უკვირდათ, რაც არ უნდა გაეკეთებინა, მხოლოდ იტყოდნენ: „რა გიკვირთ, ეს ხომ ჯეკია“.

არავის არ ეპირფერებოდა, ხასიათს არავის უწყობდა, ვისიმე გულის ფოგებასაც არ ცდილობდა და მიუხედავად ამისა, მაინც სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობდა, რადგან, ანა სტრუნსკაიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „მასთან გაცნობა იმას ნიშნავდა, რომ მყისვე მხურვალე ინტერესი გაგღვიძებოდათ ადამიანებისადმი“. მისი სიცილი, მისი ლაპარაკი და გამოხედვა ცხოველმყოფლად მოქმედებდა გარშემომყოფებზე; საკმარისი იყო მისი გამოჩენა, რომ ყველანი გამოცოცხლებულიყვნენ. თითქოს იგი ელექტროდენს აფრქვევდა; ოთახში მისი შესვლისთანავე იქ მყოფნი შეირხეოდნენ, რათა ძილის მომგვრელი სიზარმაცე მოეშორებინათ.

შეიძლება ითქვას, რომ ჯეკის ყველაზე ცხოველ გატაცებას შეადგენდა სწრაფვა ზუსტი ცოდნისადმი. „ფაქტები მომეცით, უცილობელი ფაქტები“! — ასეთი იყო მთელი მისი სიცოცხლის, მთელი მისი მუშაობის ლეიტმოტივი. მას სწამდა, რომ ცხოვრება მატერიალურ საფუძველს უნდა ეყრდნობოდეს; რადგანაც მას შესაძლებლობა ჰქონდა თვალნათლივ დარწმუნებულიყო, რა უგუნურება, პირმოთნეობა და უსინდისობა იყო დამალული სულიერ საფუძვლებს მიღმა. განუსჯელი თვითრწმენის ნაცვლად ილტვოდა მეცნიერული ცოდნის დანერგვისაკენ; მხოლოდ მკვირცხლი, გამჭრიახი გონება შესძლებს განდევნოს ადამიანთა აზროვნებიდან შავბნელი შუა საუკუნეების ღმერთი, დაამხოს იგი და მის ტახტზე კაცობრიობა დაამკვიდროს. როგორც აგნოსტიკოსი, ადამიანის სულის გარდა, იგი სხვა ღმერთს თაყვანს არ სცემდა. საკუთარ თავზე გამოსცადა, თუ რა ღრმა წუმპეში შეიძლება ჩაეფლოს ადამიანი, მაგრამ იმაშიც დარწმუნდა, რა მიუწვდომელ მწვერვალს შეიძლება მიაღწიოს. „რა პატარაა ადამიანი და იმავე დროს რა ბუმბერაზიც!“ — ამბობდა ჯეკი.

ვაჟკაცობა, აი, უწინარეს ყოვლისა, რას ითხოვდა ჯეკ ლონდონი ადამიანისაგან. „ფუჭ, რა კაცია ის, რომელსაც წარბშეუხრელად შეუძლია აიტანოს დარტყმა ან შეურაცხყოფა და სამაგიერო არ გადაუხადოს. ისინი რომ თუნდაც გულდასმით ღალადებდნენ ამაღლებულ გრძნობებზე — მე მათთან საერთო არაფერი მაქვს; ასეთები საშინლად მეზიზღება“. სიმხდალე მის თვალში ზიზღს იწვევდა. „მტერია? მერე რა! გაარტყი როგორც შეფერის, თუ საქმე აქამდე მივიდა; შეიძლება იმან გაჯობოს, მაგრამ გულისწყრომა არ დამალო. მორიგდით? — მორჩა და გათავდა, აპატიე, დაივიწყე წყენა“. მეგობრებთან ჯეკი დიდსულოვანი და ხელგაშლილი იყო; იმათთვის, ვინც უყვარდა, თავს არ დაზოგავდა; მათ მაშინაც არ გაურბოდა, როცა შემთხვევით გაანაწყენებდნენ ანდა შეცდებოდნენ. „მე ვკიცხავ მეგობრების ნაკლს, მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი არ მიყვარს?“

მისი ცხოვრების საფუძველს სოციალიზმი წარმოადგენდა. სწამდა, რომ სახელმწიფო სოციალისტური უნდა გახდეს და ამ რწმენაში პოულობდა ძალას, სიმტკიცესა და სიმხნევეს. იგი არ ელო-

და, რომ კაცობრიობა თანდათან, რამდენიმე დღის განმავლობაში აღორძინდებოდა, არ ფიქრობდა, რომ საჭიროა ადამიანის ხელახლა დაბადება, რათა მან ააშენოს სოციალიზმი. იგი ამჯობინებდა სოციალიზმის თანდათანობით, რევოლუციისა და სისხლისღვრის გარეშე დამყარებას. შეძლებისდაგვარად ცდილობდა ესწავლებინა ხალხისათვის. თუ როგორ დაპატრონებოდა მრეწველობას, ბუნებრივ რესურსებსა და სახელმწიფოებრივ აპარატს. მაგრამ თუ კაპიტალისტების მიზეზით ევოლუციური გზა შეუძლებელი გახდება, ჯეკ ლონდონი მზად იყო ბარიკადებზე ებრძოლა სამართლიანი საქმისათვის. რომელი ახალი ცივილიზაცია არ იყო მონათლული სისხლიან ემბაზში?

სოციალისტურ მრწამსთან ორგანულად იყო დაკავშირებული მისი ფილოსოფიური შეხედულებებიც, რომელიც — ჰეკელის მონიზმის, სპენსერის მატერიალისტური დეტერმინიზმისა და დარვინის ევოლუციის თეორიის შეხამებას წარმოადგენდა. „ბუნებისათვის უცხოა მგრძნობიარობა, შემბრალებლობა და გულკეთილობა. მართალია, ჩვენ მხოლოდ მარიონეტები ვართ ძლევამოსილი სტიქიის ძალების ჭიდილში, მაგრამ შეგვიძლია ჩავწვდეთ ამ ძალთა კანონებს და მათთან შეთანხმებით გავიკაფოთ გზა. ადამიანი რასათა შორის ბუნებრივი შერჩევის ბრმა იარაღია.' ბეკონის კვალდაკვალ მეც ვამტკიცებ, რომ ადამიანის მთელი შემეცნება გრძნობადი აღქმის სამყაროდან გამომდინარეობს. ისევე, როგორც ლოკი. მეც ვაღიარებ, რომ ადამიანის იდეები წარმოიქმნება გრძნობათა ორგანოების ფუნქციათა მეშვეობით. ისევე, როგორც ლაპლასს, მეც მიმაჩნია, რომ ჰიპოთეზა შემქმნელის შესახებ არ გვესაჭიროება. კანტთან ერთად. მეც დარწმუნებული ვარ სამყაროს მექანიკურ წარმოშობაში, იმაში, რომ სამყაროს შექმნა ბუნებრივი ისტორიული პროცესია“.

რაც შეეხება მუშაობას, იგი ცდილობდა თავისი მასწავლებლის —კიპლინგისათვის[1] მიებაძა. „კიპლინგი თვით მოვლენათა არსს ეხება. იგი უშრეტი, უსაზღვრო ცოდნის წყაროა. მან აღმოაჩინა გონებ-

[1] ჯეკ ლონდონი კიპლინგისაგან უმთავრესად სამწერლო ხელოვნებას სწავლობდა. კაპიტალისტური წყობის შეურიგებელი მტრის, ლონდონისათვის უცხო იყო ინგლისური იმპერიალიზმის ამ ბურდოს რეაქციონური იდეები.

რივი და ლიტერატურული განვითარების ახალი ჰორიზონტები". ჯერ-კი არ მალავდა, რომ მას ეზიზღებოდა „ახალგაზრდა ამერიკელი ქალწული, რარიგადაც არ უნდა ეხამუშოს, ანდა ეწყინოს ეს საბ-რალოს. იგი ხომ უმარილო ცხენის რძის მაგვარი კერძით უნდა კვებო, უფრო ცხარესაგან კი ღმერთმა დაიფაროს". ეს ათწლედი — მისი მომწიფების ხანა, — საუკუნის უკანასკნელი ათწლედი, როცა ვიქტორიანობის კოჰორტები დამკვიდრდნენ და ყველაფერი თავის ნებას დაუმორჩილეს, — დაქვეითების პერიოდი, სიცარიელისა და უნაყოფობის წლები იყო. ლიტერატურა შუადასავლეთური მორა-ლის მტკიცე, ვიწრო ჩარჩოებით შემოიზღუდა; წიგნებსა და ჟურ-ნალებს უშვებდნენ იმიტომ, რომ ეაბნათ იმ საზოგადოებისათვის. რომელსაც ლუიზა ალკოტი და მარია კორელი დიდ მწერლებად მიაჩნდა. ძნელი იყო რაიმე თვითმყობადის შექმნა; წერა შეიძლე-ბოდა მხოლოდ წესიერი ბურჟუებისა და მილიონერების შესახებ; სათნოებას აუცილებლად უნდა გაემარჯვა, ბიწიერება კი—დაგმობი-ლიყო. ამერიკელ მწერლებს ნაბრძანები ჰქონდათ ემერსონის მსგავ-სად ეწერათ, ცხოვრების მხოლოდ სასიამოვნო მხარეები შეემჩნი-ათ, ხოლო ყოველივე ხორკლიანის, დუხჭირის, ჭუჭყიანისა და უტ-ყუარისათვის გვერდი აევლოთ. იმათ შორის, რომელნიც ამერიკულ ლიტერატურას ედგნენ სათავეში, ჯერ კიდევ გაისმოდა ჰოლმსის, უიტტიერის, ჰიგინსონის, უ. დ. ჰოუელსის, ფ. მარიონ კროუფო-რდის, ჯონ მურის, ჯოელ ჩანდლერ ჰარისის, ჯოაკინ მილერის მე-ლოდიურ-პოეტური ხმები. გაუხშოებული, გამთოშავი ატმოსფეროს მოუწვდომელ სიმაღლეთა მცხოვრებნი — ამერიკელი გამოჩცემლე-ბი—გაუგონარ თანხებს იხდიდნენ ბარრის, სტივენსონისა და ჰარდის ნაწარმოებებისათვის; ისე შორსაც კი მიდიოდნენ, რომ ფრანგე-ბისა და რუსი მწერლების[1] მიერ გულახდილად აღწერილ საჩოთირო ადგილებსაც კი ბეჭდავდნენ (რასაკვირველია, მათი წინასწარი გა-მოფიტვის შემდეგ), მაგრამ თავისიანებისაგან, ამერიკელებისაგან, ისევ იმავე მოჩვენებით-რომანტიული რეცეპტით შეთითხნილ ნა-

[1] მაგალითად, ლ. ნ. ტოლსტოის რომანი „აღდგომა" ამერიკის შეერთებულ შტა-ტებში იცემოდა ზოგიერთი „საჩოთირო" (რასაკვირველია, გამომცემლობის აზ-რით) ადგილების გარეშე. თეოდორ დრაიზერის რომანი „კერი" საერთოდ აკრძა-ლული იყო „ზნედაცემული" შინაარსის გამო.

წარმოებებს მოითხოვდნენ; თუმცა ნებას რთავდნენ, დეკორაციებ-ში ცოტაოდენი ცვლილებები შეეტანათ.

ლიტერატურაში რევოლუციური გადატრიალება რუსეთში ტოლ-სტოიმ და რეალისტებმა მოახდინეს, საფრანგეთში — მოპასანმა, ფლობერმა და ზოლამ; ნორვეგიაში — იბსენმა, გერმანიაში — ზუ-დერმანმა და ჰაუპტმანმა. როცა ამერიკელ მწერლებს კითხულობდა და მათ ჰარდის, ზოლასა და ტურგენევს ადარებდა, ჯეკს უკვე აღარ უკვირდა, თუ რატომ სთვლიდნენ კონტინენტზე ამერიკას ველურე-ბისა და ყრმათა ნაციად. ამერიკული ლიტერატურის უდიდესი ქუ-რუმი — „ატლანტიკის ყოველთვიური" — კეტ დუგლას ვიგგინისა და ფ. გოპკინსონ სმიტის ნაწარმოებებს აქვეყნებდა. „მშვიდი, სავ-სებით უწყინარი ნაწარმოებები, უკვე ღრმად და საიმედოდ დასა-მარებულნი". მაგრამ არა უშავს, რამდენიმე დღის შემდეგ „ჩრდი-ლოეთის ოდისეა" გამოვა და „ატლანტიკის ყოველ-თვიური" და ამერიკული ლიტერატურაც დიდხანს ვეღარ იბოგინე-ბენ. მან გადაწყვიტა, მშობლიური ლიტერატურისათვის იგივე გააკე-თოს, რაც მხატვრული პროზისათვის გააკეთეს რუსეთში — გორ-კიმ, საფრანგეთში — მოპასანმა, ინგლისში — კიპლინგმა. ჰენრი ჯემსის მაღალი წრის სალონიდან იგი ლიტერატურას სამზარეულოში შეიყვანს, სადაც შეიძლება ზოგჯერ სუნიც აუვიდეს, მაგრამ ყო-ველ შემთხვევაში, იმ ცხოვრებისეული მაინც იქნება.

იმდროინდელი ამერიკული ლიტერატურისათვის სამი „ტაბუ"-არსებობდა, სამი აკრძალული თემა — ათეიზმი, სოციალიზმი და-ქალის ფეხები. იგი თავის როლს შეასრულებს ორგანიზებული ეკ-ლესიისა და ორგანიზებული კაპიტალიზმის დანგრევაში; ხოლო-თუ მამაკაცისა და ქალის დამოკიდებულება რაღაც ქვენა, ბილწ-და სამარცხვინოდან მეცნიერულად დასაბუთებულ ბუნებრივი შერ-ჩევის მამოძრავებელ ძალად გადაიქცევა, ძალად, რომელიც ადამი-ანის მოდგმის გამრავლებისაკენ იქნება მიმართული, ამ გარდაქმ-ნაში მისი წვლილიც იქნება. იგი მხოლოდ პოლიტიკური სტატიების წერას როდი ფიქრობს, არა; იგი უწინარეს ყოვლისა მწერალია, ლიტერატურის შემქმნელი და შესძლებს, ისე წარმართოს თხრო-ბა, რომ პროპაგანდა თვით ნაწარმოების ქარგაში იქნეს ჩაქსოვილი-ხელოვნებასთან.

ამ ოთხწახნაგოვანი ჩანაფიქრის განსახორციელებლად საჭირო იქნება იგი ახლადჩასახული საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე განათლებული ადამიანი გახდეს. ბევრი რამის გაკეთება კი შეძლო მან ამ ტიტანური ამოცანის გადასაწყვეტად? შემფასებლის გამოხედვით მიმოავლო ჯეკმა თვალი წიგნებს, რომლებიც მაგიდასა და ლოგინზე ეწყო და რომელთაც ახლა გულდასმით სწავლობს, აკონსპექტებს, შენიშვნებს უკეთებს. დიახ, იგი სწორ გზას ადგას: სენტ-ამანის „1848 წლის რევოლუცია", ბრიუსტერის „ნარკვევები სტრუქტურისა და სტილის შესახებ", ჟორდანის „შენიშვნები ევოლუციის შესახებ", ტირელის „წინაპოლარეთი", ბომ ბავერკის „კაპიტალი და მოგება", ოსკარ უაილდის „ადამიანის სული სოციალიზმის დროს", უილიამ მორისის „სოციალისტური იდეალი — ხელოვნება", ჯილიამ ოუენის „მომავალი ერთიანობა".

დედის ოთახში საათმა თერთმეტი ჩამოჰკრა. კიდევ ერთი საათი და საუკუნე მიიწურება. როგორი იყო იგი ამერიკისათვის, ქვეყნისთვის, რომელიც 1800 წელს ერთ მუჭა, ერთმანეთთან მცირე კავშირის მქონე სასოფლო-სამეურნეო შტატებს წარმოადგენდა? პირველი ათწლედი უკაცრიელი, მიყრუებული ადგილების გამოკვლევასა და ათვისებას მოუნდა; შემდეგი — მანქანებისა და ფაბრიკების შექმნასა და კონტინენტის დაპყრობას; ხოლო უკანასკნელი, დასკვნითი ათწლედები — უდიდესი დოვლათის დაგროვებას, რომლის მსგავსი ოდესმე თუ იცოდა სამყარომ, ტექნიკურ პროგრესსა და იმას, რომ ხალხი მანქანებისა და სიღარიბისათვის მიეჯაჭვათ.

სამაგიეროდ, ახალი საუკუნე — ოჰ, რა კარგი იქნება ეს ახალი დრო! აი როდის იქნება ცხოვრება საამური! მანქანები, მეცნიერული მიღწევები, ბუნებრივი სიმდიდრენი კი არ დათრგუნავენ ადამიანს, არამედ მას მოემსახურებიან. ადამიანი დაეუფლება ბუნების კანონების შეცნობას, უცილობელი ფაქტებისადმი თვალის გასწორებას. იმის ნაცვლად, რომ თავი გააბრუებინოს სუსტებისათვის შექმნილ რელიგიასა და სულელების დასამონებლად მოგონილ მორალს. ტოლმნიშვნელოვანი შეიქნება ლიტერატურა და ცხოვრება. ადამიანის ნამდვილი სულიერი არსი განსახიერდება ხელოვნებაში, ლიტერატურასა და მუსიკაში, რომლებიც ჯერ კიდევ აკვანში ჩაახრჩო სამთავიანმა გველეშაპმა — რელიგიის, კაპიტალიზმისა და უბადრუკი მორალის ვიწრო ჩარჩოებმა.

რაოდენ მშვენიერებით აღსავსე წარსდგება ამერიკა თავის შვილისშვილთა წინაშე, როცა ისინი ასი წლის შემდეგ, ახალი წლის ღამით თვალს გადაავლებენ მიმავალ საუკუნეს. დაეხმაროს ამ ახალი ამერიკის აშენებაში — ესაა მისი ხვედრი! იგი დაამსხვრევს სიბნელით მოცული, დრომოჭმული საუკუნის უღელს; ვერავინ ვერ აიძულებს მას გაიკეთოს უდრეკი, უშნო, მაღალი საყელოები, რომელიც ტანში ერჭობა; სწორედ ასევე გადაისვრის იგი მკაცრ, უმსგავს, მაღალფარდოვან იდეებს, რომლებიც იპრება ადამიანის აზროვნებაში და ამახინჯებს მას. ზურგს შეაქცევს მეცხრამეტე საუკუნის მოძველებულ იდეოლოგიას და უშიშრად, მტკიცე ნაბიჯით შეეგებება მეოცე საუკუნეს, რაც არ უნდა მოუტანოს მან. იგი იქნება თანამედროვე ადამიანი, თანამედროვე ამერიკელი. ასი წლის შემდეგ კი მისი შვილები და შვილიშვილები სიამაყით მოიგონებენ მას ახალი წლის ღამეს.

ფლორასთან საათმა თორმეტი დაჰკრა. ძველი საუკუნე წავიდა, იწყებოდა ახალი. ჯეკი მაგიდიდან წამოხტა, სვიტერი და შარვალი ჩაიცვა, ველოსიპედი გამოიტანა, პედალს ფეხი დააჭირა და უკუნ ღამეში ორმოც მილზე მდებარე სან-ხოსეს გზას გაუდგა. დაქორწინდე ახალი საუკუნის პირველსავე დღეს საყვარელ ქალიშვილზე — უკეთეს დასაწყისს ვერაფერს მოიგონებ! თუ მას სურს, მისმა შვილისშვილებმა და შათმა შვილებმა სიამაყით მოიგონონ იგი ასი წლის შემდეგ ახალი წლის ღამეს — წამის დაკარგვაც არ შეიძლება.



V

მისის ეპლგარტი სულაც არ იყო მოწადინებული, ჯეკი მისი სიძე გამხდარიყო. დანიშვნისათვის მაინც და მაინც ხელი არ შეუშლია, რადგან იცოდა, ქორწინება მანამდე არ მოხდებოდა, ვიდრე ჯეკი ლიტერატურული ჰონორარით ცოლის შენახვას არ შესძლებდა; მისი აზრით კი, ეს საფრთხე მათ არ მოელოდათ. როცა ჯეკი ელმისა და ესბერის ქუჩების კუთხეში მდებარე მათ კოტეჯში გამოცხადდა და მასა და მეიბლს ბედნიერი ახალი წლის მახარობლის — „ჩრდილოეთის ოდისეას“ — საავტორო ეგზემპლარი აჩვენა, მისის ეპლგარტმა მაშინვე შეცვალა ტაქტიკა. კეთილი, იგი თანახმაა, რომ დაქორწინდნენ. დღესვე? სიამოვნებით... მაგრამ ერთი პირობით. მისტერ ეპლგარტი ხომ გარდაცვლილია, ედუარდი კი აქ არ ცხოვრობს, ამიტომ ჯეკი ან ამ ოჯახის მეთაური შეიქნება, ან არა და ცოლთან ერთად სიდედრიც თან უნდა წაიყვანოს ოკლენდში და პირობა დადოს, რომ ქალიშვილს არასოდეს დააშორებს.

სულ რამდენიმე დღის წინ ჯეკი ერთ თავის მეგობარს სწერდა: „ოჯახის შენახვა უკვე მაწევს კისერზე. ეს კი თურმე საშინლად

ძნელი ყოფილა, როცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ". მიუხედავად ამისა, იგი კიდევ ერთი ოჯახის ზურგზე წამოკიდების პერსპექტივამ იმდენად როდი შეაშფოთა, რამდენადაც იმ არაორჭოფულმა მანერამ, რომლითაც მისის ეპლგარტმა თავისი რკინის კლანჭები ჩაასვა ამ საქმეს. გაიმართა სცენა. მისის ეპლგარტმა ჯეკს განუცხადა, რომ მეიბლი მორჩილი ქალიშვილია, რომ იგი მადლობელია ყველაფრისათვის, რაც დედამ მისთვის გააკეთა და სიბერის დროს არ მიატოვებს. ყოველივე ეს სინამდვილეს ეწინააღმდეგებოდა, რადგან მისის ეპლგარტი ქალიშვილზე უფრო მტკიცე ხასიათისა იყო; იგი სტანჯავდა მეიბლს, აიძულებდა მისთვის ელოლიავნა და იმასაც კი მოითხოვდა, საუზმე ლოგინში მიერთმია.

გაფითრებული, დაბნეული და ჩხუბისაგან გაოგნებული იჯდა მეიბლი მათ შორის. ორივე უყვარდა და არ შეეძლო, რომელიმე მათგანი აერჩია. ეს ნაზი, სუსტი ნებისყოფის არსება დედის თანდასწრებით სიტყვის ამოღებასაც ვერ ბედავდა. საკვირველია, მას ნებისყოფა მხოლოდ იმისათვის ჰყოფნიდა, რომ ჩუმად მჯდარიყო და ეცქირა, როგორ უმსხვრევდნენ ცხოვრებას, ასამარებდნენ მის ოცნებებს სიყვარულზე, ოჯახზე, შვილებზე.

ხასიათწამხდარმა და დაღვრემილმა ჯეკმა საღამოთი ოკლენდამდე მიაღწია, იქ კი ახალი უსიამოვნებანი დაატყდა თავს. ფლორამ განუცხადა, რომ „ატლანტიკური ყოველთვიურიდან" მიღებული ფული უკვე მთლიანად შემოეხარჯა. დილით ჯეკმა მაკინტოში ველოსიპედს დააკრა და ნაცრობი გზით ლომბარდისაკენ გასწია. რამდენიმე დოლარი კი მოიტანა, მაგრამ შინ უკვე ფეხით მოუხდა დაბრუნება. თითქოს არ კმაროდა მისის ეპლგარტის ულტიმატუმი, რომ უფულობაც თან არ დართვოდა. გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა. თუ მეიბლი მათთან იცხოვრებდა, ამით ხარჯი თითქმის არ მოემატებოდათ. სიყვარული შეაძლებინებდა მათ გაჭირვების გადატანას. მაგრამ რამდენმა წელმა უნდა განვლოს, ვიდრე მისი შემოსავალი სიდედრსაც ეყოფა. მისის ეპლგარტისა და ფლორას ერთად ცხოვრებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო; ერთი დღეც არ იქნებოდა გასული, რომ ისინი უკვე წაიჩხუბებოდნენ. იმდენიც რომ იშოვნოს, რაც ორ ოჯახს ეყოფა, განა შეიძლება დარწმუნებული იყოს, რომ ოდესმე იგი ოჯახის უფროსი იქნება? განა მისის ეპლგარტი არ

დაიწყებს ბატონობას მის ოჯახსა და მის ცოლზე? მეიბლი იძულებული იქნება პირველ რიგში შვილის მოვალეობა შეასრულოს, შემდეგ კი — ცოლისა. ეს აუტანელია!

ჯეკი სიბრაზისაგან ცახცახებდა. ამ ქალმა ჩაფუშა მისი ოცნებები. უცებ წარმოიდგინა, თუ რა უმწეოა მეიბლი ამ ორ ცეცხლს შუა; მძლავრი ნებისყოფის მქონე ეს ორი ადამიანი სპობდა მას, გულს უკლავდა. სიბრაზემ თანდათან გადაუარა, გული სინაზითა და მზრუნველი თანაგრძნობით აღევსო. არა, როგორც არ უნდა შეუშალონ ხელი, იგი მეიბლს დედის ანაბარად არ მიატოვებს. ისინი დაქორწინდებიან, რაც შეეხება სიდედრს, მას როგორმე მოუვლის, თუკი საჭირო იქნება. ჯეკი დაწყნარდა; ყველაფერი უთუოდ მოგვარდება. მას დაუბრუნდა საღი აზროვნების უნარი. ნორმალური ოჯახი რომ შექმნას, უნდა შეებრძოლოს მისის ეპლგარტს, მაგრამ აშკარაა, რომ ყოველი გამარჯვება მეიბლის ნაზი ჯანმრთელობის ასწილ საფასურად იქნება მოპოვებული.

ჯეკი თავს ირწმუნებდა, რომ იგი არ დაუშვებს, მეიბლმა თავი გასწიროს; ცალკე ოჯახს შექმნის, როგორც კი ჰონორარის ოდენობა ამის საშუალებას მისცემს. დაე, მართვა-განმგებლობის სადავეები მისის ეპლგარტმა დაისაკუთროს. სიდედრის დესპოტიზმის ატანა უფრო ადვილია, ვიდრე მისი და მეიბლის ასეთ ტანჯვაში ყოფნა. ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყო; კვლავ დაუბრუნდა მომქანცველი ფიქრები: საკმარისია მეიბლის დედას დაემორჩილოს. რომ ისინი დაილუპებიან. განა შეიძლება ოჯახი ბედნიერი იყოს, როცა ცოლი სულითა და ხორცით დედისადმი მონურ მორჩილებაშია?

ჯეკი მეტად გულგატეხილი იყო. მეიბლისადმი მისი სიყვარული უფრო დარბაისლური გახდა, ჩამოყალიბდა, მომწიფდა; ისინი ბედნიერები იქნებოდნენ. მეიბლი ფლობდა კარგი ტონის ყველა წვრილმანს, სწორედ იმას, რაც ჯეკს აკლდა. იგი აღტაცებული იყო მეიბლით, პატივს სცემდა მას. მეიბლი ჰაეროვანი, ნაზი, სუსტი არსება იყო; ჯეკი მზრუნველობით გაუფრთხილდებოდა და დაიცავდა, ეცდებოდა არასოდეს არ შეელახა მისი თავმოყვარეობა და არც ეწყენინებინა. ჯეკამდე მეიბლს არავინ ჰყვარებია და არც აღარავინ შეუყვარდებოდა. იგი ერთგული ცოლი იქნებოდა და სწორედ ისეთ

ოჯახს შექმნიდა, როგორზედაც ჯეკი მთელი თავისი ახალგაზრდობა ოცნებობდა. იგი უაღრესად უბედურად გრძნობდა თავს მარტო იმიტომ კი არა, რომ ინგრეოდა მისი ოცნება ცოლზე, ოჯახზე, ბავშვებზე. ქალიშვილი, რომელიც მას უყვარდა, უაზრო ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩავარდა, მას კი ძალა არ ჰყოფნიდა გამოსავალი მოეძებნა. ეს ტრაგედია დალუპავს არა მარტო მათ ურთიერთობას, არამედ შეიბლსაც.

თუმცა იანვარი წარმატებათა თვე იყო, მაგრამ დიდების ამომავალ მზეს ჯერჯერობით მცირე ფინანსური სითბო მოჰქონდა. „ატლანტიკურმა ყოველთვიურმა“ დაბეჭდა „ჩრდილოეთის ოდისეა“; ეს მაშინ, როცა ჟურნალი თვეში ერთ ან ორ მოკლე მოთხრობაზე მეტს არ აქვეყნებდა, „მიმოხილვათა მიმოხილვამ“ — „ეკონომიკა კლონდაიკში“, ხოლო „ახალგაზრდობის თანამგზავრმა“ — მოთხრობა „გამბედაობა და სიჯიუტე“. „ჩრდილოეთის ოდისეა“ მოთხრობაა ნაასზე, აკატანის ბელადზე, ჩვენი დროის ულისზე, რომელიც მთელ სამყაროში დაეძებს ყვითელთმიანი ვიკინგის მიერ ქორწინების ღამეს გატაცებულ ცოლს, უნგას. „თეთრი მდუმარების“ მსგავსად, ამ მოთხრობასაც მკითხველი ტრაგიკულ აღტაცებამდე მიჰყავს. აღმოსავლეთში ყველა დიდი ქება-დიდებით შეხვდა. მას — ერთის ვაჟკაცობა სხვებსაც დიდ გაბედაობას უნერგავს. ოკლენდის ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა სტატია იმის შესახებ, რომ ოკლენდი სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მშობლიური ლიტერატურის შექმნაში, და რომ ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის მისტერ ჯეკ ლონდონს. მეგობრებს, რომელთაც ახსოვდათ, თუ რა ტანჯვა-წვალება გამოიარა ჯეკმა, სულაც არ შურდათ მისი, როგორც ეს ზოგჯერ ემართებათ ხოლმე მეგობრებს, როცა ერთს ბედი გაუღიმებს. მათ ჯეკს ზეიმი მოუწყვეს და სულითა და გულით უხაროდათ მისი წარმატება.

თვის ბოლო რიცხვებში ჯეკმა ერთი მეგობრისაგან ხუთი დოლარი ისესხა, ლომბარდიდან ველოსიპედი გამოისყიდა და სან-ხოსეში გაემგზავრა. მთელი ეს დღეები სულ იმის ფიქრში იყო, როგორ დაესაბუთებინა მეიბლისთვის თავისი მოსაზრებანი მკაფიოდ და ნათლად, რათა მას წინააღმდეგობა არ გაეწია და დამოუკიდებლობისათვის მიეღწია. მაგრამ საეჭვოა, საერთოდ დადიოდა თუ არა მე-

ბლის შეგნებამდე მისი სიტყვები. გაოგნებული, თითქოს რაღაც ტრანსშიაო ჩავარდნილი, იგი ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— მე დედას ვეჩრდები. დედა უჩემოდ ვერ იცოცხლებს. არ შეიძლია, დედას თავს ვერ დაანებებ.

საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ, 1937 წელს ედუარდ ეპლგარტი ნაღვლიანად ამბობდა:

— დედაჩემი ყოველთვის ეგოისტი იყო. მეიბლმა მთელი სიცოცხლე მის მოვლა-პატრონობას შეალია.

მიუხედავად ამისა, ჯეკი საბოლოოდ მაინც არ ჰკარგავდა იმედს: მას მეიბლი წინანდებურად უყვარდა. მაგრამ ახლა სხვა ქალებთანაც დაიწყო შეხვედრა. მაგალითად, ანა სტრუნსკაიასთან, რომელთანაც სასადილო მაგიდაზე მუდამ ორ-სამ ზედმეტ ჭურჭელს აწყობდნენ — ეგებ შემთხვევით ვინმემ შემოიაროსო. მათთან ჯეკი ხშირად შეივლიდა ხოლმე. ანაც წერდა მოთხრობებსა და აგრეთვე ნარკვევებს სოციოლოგიაზე. ის და ჯეკი ერთად არჩევდნენ თავიანთ ნაწარმოებებს და ერთმანეთს მრავალ ნაკლზე მიუთითებდნენ. ხმის ჩახლეჩამდე კამათობდნენ სხვადასხვა საკითხებზე და ერთმანეთით ორივენი აღტაცებული რჩებოდნენ. „ანა, ნუ წაართმევ თქვენს თავს ქვეყანას, იცოდეთ ამაში თქვენ თვითონ იქნებით დამნაშავე". ანას გარდა იყო კიდევ ვინმე ერნესტინა, სან-ფრანცისკოს გაზეთის თანამშრომელი, რომელსაც, ფოტოსურათებით თუ ვიმსჯელებთ, მშვენიერი პროფილი ჰქონდა და თვალები ეშმაკურად უბრწყინავდა. ჭორებისაგან თავის დასაზღვევად ჯეკი მასთან ერთად შორ მანძილზე დადიოდა სასეირნოდ.

იანვარში საქმეები დიდებულად წარიმართა, სამაგიეროდ თებერვალში ერთი სტრიქონიც ვერსად დაბეჭდა. „ანტლანტიკური ყოველთვიურიდან" მიღებული ახალი ჰონორარი ვალების გადახდას, ფლორასათვის რიგიანი კაბის, თავისთვის კოსტუმის, წიგნებისა და საჭირო ჟურნალების. ხოლო ჯონისათვის პატარ-პატარა რაღაცეების შეძენას მოუნდა. სახლში ისევ აღარაფერი რჩებოდა. ყველაფერმა ამან ჯეკს მეტისმეტად მოაბეზრა თავი. დამამცირებელმა მატერიალურმა გაჭირვებამ იგი დაარწმუნა, რომ სიღატაკე ისევე დაუშვებელია, როგორც კოლოსალური სიმდიდრე. უთუოდ არ ვარგა, როცა ადამიანი იძულებულია მოითმინოს ის, რასაც ჯეკ

ლონდონი ჯერ კიდევ ბავშვობაში გაეცნო. ჯეკი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იქ, სადაც საქმე ფულის საკითხს ეხება, — იგი თანმიმდევრული და ცინიკი იქნება. ფულს მხოლოდ სულელები უკადრისობენ. „ფული — აი, რა მჭირდება მე, უფრო სწორედ ის, რისი ყიდვაც შეიძლება ფულით. რამდენი ფულიც არ უნდა მქონდეს, იგი ჩემთვის მაინც ცოტა იქნება. გროშებით თავის გატანა? ჩემი სურვილია რაც შეიძლება იშვიათად მომიხდეს ეს.' ადამიანს აკმაყოფილებს სახელდობრ პური ჩვენი არსობისა. რაც უფრო მეტი ფული გექნება, მით უფრო უკეთესია ცხოვრება. ფულის შოვნა ჩემს გატაცებას არ შეადგენს, მაგრამ ხარჯვა—ოო, ღმერთო შემინდე! ამაში ყოველთვის ცოდვილი ვიქნები. თუ ფული დიდებასთან ერთად მოდის, მომეცით დიდება; დიდების გარეშე — ამაზეც თანახმა ვარ“.

ამ სიტყვებით წიგნების, ჟურნალებისა და თავისი ახალი, საამაყო კოსტუმის დასაგირავებლად გასწია. უკან გამობრუნებისას აუცილებლად ფოსტაში უნდა შეეევლო: მარკები იყო საჭირო, რათა ხელნაწერებისათვის გზა დაელოცა. როცა ჟურნალმა „გამომცემელმა“ ათასშვიდას სიტყვიან ნარკვევში ხუთი დოლარი შესთავაზა, ჯეკმა იწყინა, მაგრამ ფული მაინც აიღო. გაორკეცებული გულმოდგინეობით შეუდგა მუშაობას. წინათ იგი კვირაში ექვს დღეს მუშაობდა; ყოველდღე ათას სიტყვასა წერდა და ამასთანავე, როგორც წესი, წინა დღის ჩამორჩენას მეორე დღესვე ანაზღაურებდა. ახლა ყოველდღიური დავალება ათასხუთას სიტყვამდე გაზარდა, შემდეგ — ორი ათასამდე აიყვანა, მაგრამ აქ შეჩერდა.

„მე დაბეჯითებით ვამტკიცებ, რომ შეუძლებელია ხარისხიანი შემოქმედებითი მუშაობა, თუ დღიური ნორმა სამი-ოთხი ათასი სიტყვა იქნება. კარგ ნაწარმოებს სამელნიდან ვერ ამოწუწნი: იაე როგორც ლამაზ შენობას. მასაც სულ აგურ-აგურ უნდა შეეყოწიწება“. ჯეკს ბევრი ფული სჭირდებოდა და თანაც, რაც შეიძლება მალე. მაგრამ ამის გამო იგი ნაკლებ გულმოდგინებას, მეთოდურობასა და დაკვირვებას როდი იჩენდა და არც უკვე ჩაფიქრებული მოთხრობის სქემას სცვლიდა. იგი თანახმაა, თუ სურვილი აქვთ, სულიან-ხორციანად მიეყიდოს ჟურნალებს, ოღონდ კარგი საფასური გადაუხადონ. მიუხედავად ამისა, მთელ თავისუფალ დროს გულდასმით სწავ-

ლობდა დრამონდის ევოლუციას, ჰუძონის შრომებს ფსიქოლოგიაზე და ყველაფერს, რასაც კი იშოვიდა ანთროპოლოგიის საკითხებზე. სრულებით არ უწევდა ანგარიშს იმ უცილობელ ფაქტს, რომ ევოლუციასა და ანთროპოლოგიის საკითხებზე თუნდაც ერთი ტონა ნაშრომი დაწეროს, მათში ჟურნალები გახვრეტილ გროშს არ გაიმეტებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ფული ისევე უნდოდა, როგორც ავბედითი მონობისაგან განთავისუფლება, იგი მაინც სოციალიზმის შესახებ წერდა მგზნებარე სტატიებს, თუმცა წინასწარ იცოდა, რომ მათ ვერსად გაასაღებდა. ალამედაში, სან-ხოსესა და სხვა ქალაქებში უფასოდ კითხულობდა ლექციებს სოციალისტებისათვის. უფულობისაგან სული ეხუთებოდა, მაგრამ, როგორც მეგობრები ამბობდნენ, მზად იყო ცხრა მთას იქით წასულიყო, ოღონდ ისეთ წრეში მოხვედრილიყო, სადაც გულს იჯერებდა ანთროპოლოგიის საკითხებზე კამათით. გაეცნო თუ არა ვაისმანის რადიკალურ თეორიას, რომელიც ამტკიცებდა, შეძენილი თვისებები მემკვიდრეობით არ გადაეცემაო, აღელვებულმა ჯეკმა ყველა საქმეს თავი მიანება და მეგობრებს ჩამოუარა გაშლილი წიგნით, რათა მათთვის გაეზიარებინა ეს შესანიშნავი აღმოჩენა. მან, რომელიც ამტკიცებდა, რომ მზადაა ყოველგვარ სისულელეზე წეროს, ოღონდ კარგი საზღაური მისცენ, ახლა საოცარი არათანმიმდევრულობა გამოიჩინა: მხოლოდ იმაზე წერდა, რაც სწამდა — რევოლუციური ხასიათის სტატიებსა და მოთხრობებს, მიუხედავად იმისა, რომ მათი მსგავსი სხვა ნაწარმოებები დღემდე მაგიდის ქვეშ, იატაკზე, განისვენებდა. მას ფული ესაჭიროებოდა, მაგრამ საზღაური, რასაც გამომცემლები მოითხოვდნენ ამ ფულის გასაცემად, მისთვის საშინლად დიდი იყო! „მე მტკიცე ხასიათის ადამიანი ვარ. ის, ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა ახლო გამცნობოდა, შეამჩნევდა, რომ ყველაფერი ისე ხდება, როგორც მე მსურს, თუნდაც ამას წლები დასჭირდეს. ერთხელ არჩეულ გზას ვერავინ გადამაცდენს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ყოველდღიურ წვრილმანებს. უაზრო ჯიუტი არა ვარ — სრულიადაც არა; განსაზღვრული მიზნისაკენ ვისწრაფვი, ისე როგორც კომპასის ისარი ჩრდილოეთისაკენ. გინდ აშკარა, გინდ ფარულ დაბრკოლებათა შექმნით რამდენიც არ უნდა ეცადოთ გზიდან

ჩემს გადაცდენას, სულერთია, მე მაინც ჩემსას გავიტან. ცხოვრება ხრძოლაა, მე კი მისთვის მომზადებული ვარ. ლოგიკურად მოაზროვნე მეტყველი ცხოველი რომ არ ვყოფილიყავი, აქამდე, რომელიმე გზისპირა ჭაობის ფსკერზე ვეგდებოდი ან სადმე კისერს მოვიტეხდი".

თებერვალში, ერთიმეორის მიყოლებით, რამდენიმე დღის განმავლობაში, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ ორი ისეთი შემთხვევა მოხდა, რომლებმაც ჯეკის ცხოვრების მთელი გზა განსაზღვრა. პირველი: იგი სან-ფრანცისკოში საუზმეზე მიიწვია „ტრანს-კონტინენტალური ყოველთვიურის" საქმეთა მმართველის ცოლმა მისის ნინეტა ეიმსმა. მეორე: მისი უნივერსიტეტელი ამხანაგი ფრედ ჯეკობსი, რომელიც სამხედრო ტრანსპორტით ესპანეთ-ამერიკის ომის ფრონტზე მიემგზავრებოდა, თურმე ხორცის იმ კონსერვებით მოიწამლა, რომლითაც ჯარს ამარაგებდნენ. უჩინმაჩინის ქუდით მოსილი, ომით გამდიდრებული სპეკულანტები. მიცვალებული ოკლენდში ჩამოასვენეს.

პირველშა შემთხვევამ — საუზმემ მისის ეიმსთან — ნაყოფი უფრო მოგვიანებით გამოიღო, სამაგიეროდ, მისი გავლენა დიდხანს გაჰყვა.

მისის ნინეტა ეიმსი მეტისმეტად პრანჭია, უშვილო, ორმოცი წლის მანდილოსანი იყო. „საბრალო ნეტა", როგორც მას ეძახდნენ, ეშმაკი და გამჭრიახი გახლდათ. ჭკუას არასდროს ჰკარგავდა და ლმობიერებისა და სენტიმენტალობის საბურველქვეშ სასიკვდილო, მჭიდე, ფოლადისებური ჭანგის გაკვრაც ემარჯვებოდა. მისი ქმარი სუსტი ნებისყოფის, ტრაბახა კაცი იყო და ოჯახის მთელ საქმეებს მისის ეიმსი განაგებდა. გასული საუკუნის 80—90-იანი წლების სხვა ქალების მსგავსად, მასაც უხდებოდა საკუთარი მიზნების განსახორციელებლად ქვეშქვეშ, ფარულად ქმრის წაქეზება და მისთვის გეზის მიცემა ისე, რომ გარეშეს არაფერი შეემჩნია.

საუზმის მიზანი იყო ჯეკისაგან ინტერვიუს მიღება, რადგან მისის ეიმსი „ყოველთვიურში" სტატიის მოთავსებას აპირებდა ჯეკ ლონდონზე. საუზმეზე მან თავისი ძმისწული და აღზრდილი კლარა ჩარმიან კიტრეჯიც მოიწვია, რომელიც მამიდის ზუსტი ასლი იყო. კლარა ჩარმიან კიტრეჯი ჩინებული, მოსაზრებული თანამოსაუბრე აღმოჩ-

ნდა; გამხდარი, მაგრამ მოხდენილი გარეგნობის კლარა, მიუხედავად თავისი ოცდაცხრა წლისა, გაუთხოვარი იყო. შესაძლოა მისის ეიმსს ახალგაზრდების ურთიერთდაახლოების განზრახვაც ჰქონდა.

ასე იყო თუ ისე, მისს კიტრეჯმა აგდებულად ჩაიცინა ჯეკის გაქუცული კოსტუმის დანახვაზე და აღშფოთდა იმის გამო, რომ დანახარჯი მამიდას უნდა გადაეხადა. მართალია, მან ცოტა არ იყოს ქედი მოიდრიკა, როცა მისის ეიმსმა ჯეკს უთხრა, ჩემი ძმისწული მემანქანედ მუშაობსო იქვე მახლობლად, კანტორაში. კლარამ მაგიდის ქვეშ უმალვე ფეხი გაჰკრა მამიდას: რად უნდა იცოდეს ამ ყმაწვილმა, რომ მას საკუთარი შრომით უხდება თავის შენახვა?

20 თებერვალს ჯეკმა დაამთავრა „მგლის შვილის" კორექტურის წაკითხვა და გულის ფანცქალით გაუგზავნა რედაქტორს. ეს მისი მოთხრობების პირველი კრებული იყო. მეორე დღეს ფრედ ჯეკობსის გასვენებაზე გაიცნო მიცვალებულის საცოლე — ბესი მადერნი, იუნონასავით ლამაზი, ტანადი ირლანდიელი ქალიშვილი. ჯეკი მას შორიდან იცნობდა, ოკლენდიდან. მეგობრებს იგი უყვარდათ და დიდად აფასებდნენ. ახლა კი თანაუგრძნობდნენ მის მწუხარებას. მეორე დილით ჯეკმა წერილი მიიღო მეიბლ ეპლგარტისაგან, სადაც იგი სთხოვდა, მისულიყო ბესისთან, მის ძველ მეგობართან და ენუგეშებინა რითაც კი შესძლებდა. საღამოს ჯეკი მადერნებს ეწვია.

ბესი მადერნმა, ცნობილი მსახიობი ქალის მინი მადერნ ფისკის მიძაშვილმა, სან-ფრანცისკოს ქალთა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ორი წელი პედაგოგიურ სასწავლებელში დაჰყო, ხოლო შემდეგ სამი წელი მასწავლებლობდა ალამედის დაწყებით სკოლაში. ახლა კერძო გაკვეთილებს აძლევდა მათემატიკაში დაწყებითი სკოლის ჩამორჩენილ ბავშვებს და ამასთანავე, საშუალო სკოლის მოსწავლეებს ამზადებდა უნივერსიტეტში შესასვლელად. მძლავრი აგებულების დინჯ და ფლეგმატურ ბესის, უამრავი გაკვეთილები ჰქონდა აღებული და მთელი დღე ალამედისა და ოკლენდის ერთი სახლიდან მეორეში გადადიოდა. იგი ჯეკზე ცოტათი უფროსი იყო. ხსივოსანი და თან სევდიანი თვალები ჰქონდა, არწივისებური ცხვირი, დიდი, მაგრამ ლამაზი ტუჩები, ძლიერი ნებისყოფის გამომხატველი ნიკაპი და უკან გადავარცხნილი შავი თმა, რომელსაც ვიწრო ზოლად გასდევდა ჭაღარა, სახსოვარი იმ უბედური შემთხვევის

მოსაგონრად, რომელიც ჯერ კიდევ თვრამეტი წლისას გადახდენოდა. მას ყოველთვის დინჯად და ღირსეულად ეჭირა თავი; ამასთანავე არაჩვეულებრივად პირდაპირი ადამიანი იყო.

მისს მადერნი ფრედ ჯეკობსის დაკარგვას დასტიროდა, ჯეკი კი მეიბლ ეპლგარტთან თავის უიმედო დაწინდვას. ერთმანეთთან ყოფნა მათ თითქოს ჰკურნავდა, სიამოვნებას ჰგვრიდა. ისინი სიმშვიდეს მაშინ გრძნობდნენ, როცა ერთად იყვნენ. მალე ჯეკმა შეამჩნია, რომ თითქმის ყოველ საღამოს იგი ბესისთან ატარებდა. ბესი მას მათემატიკასა და ფიზიკაში ეხმარებოდა, რომლებშიც იგი ძოიკოჭლებდა, ჯეკმა კი პირველი ინგლისელი მწერლების თხზულებებიდან დააწყებინა მას ლიტერატურის ისტორიაში მეცადინეობა. კვირაობით ხელს დაავლებდნენ ველოსიპედებს, გადავიდოდნენ ყურეს გადაღმა მარინ კაუნტის ოლქში, დაეხეტებოდნენ მიურსის ტყეში, იქვე აჩაღებდნენ ცეცხლს და ნაკვერცხლებზე ამზადებდნენ სადილს — სწვავდნენ ხორცს, ბატატებს, ხარშავდნენ კიბოსა და ყავას. თუ ჯეკს ცოტაოდენი ფული ეგულებოდა ჯიბეში — საღამოს, ჩრდილოეთის პლაჟზე მდებარე იტალიურ რესტორანში ისადილებდნენ და შემდეგ ოპერის თეატრში მიდიოდნენ.

ყოველ კვირას ჯეკი ძველებურად სან-ხოსეში მიდიოდა, მაგრამ მეიბლთან შეხვედრები მასში მხოლოდ უსიამოვნო გრძნობასა და გულგატეხილობას იწვევდა. შვებას მხოლოდ მაშინ გრძნობდა, როცა ყოველთვის მშვიდ, უპრეტენზიო ბესისთან ბრუნდებოდა. ამიერიდან ყველა მის ხელნაწერს ბესი უკეთებდა კორექტურას. ასწორებდა გაუმართავ გამოთქმებს. მას მოსწონდა ჯეკის ნაწარმოებები და ღრმად სწამდა, რომ იგი მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი მწერალი გახდებოდა; ეს რწმენა მას მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა.

მეთექვსმეტე ქუჩაზე მდებარე ლონდონების ბინა თავშეყრის ბუდემივ ადგილად გადაიქცა. ნაცნობები რაღაც დიდი გულმოდგინებით ცდილობდნენ, რომ ჯეკთან ყოფილიყვნენ. „მეგობრების შეძენის გასაოცარი უნარი მაქვს, მაგრამ ვერ დავიტრაბახებ მათი ჩამოცილების საშუალების ცოდნით“. ჯეკს ისე არაფერი არ მოსწონდა, როგორც სტუმრების მიღება, მაგრამ კარებთან უკვე მეტისმეტად ხშირად გაისმოდა ველოსიპედების ზარის ხმა. ზოგჯერ მას მაშინ უხდებოდა წერა, როცა თუთუნის ბოლით სავსე ოთახში

ლოგინზე ჩამომსხდარი სამი-ოთხი კაცი საუბრობდა წარსულზე და კამათობდა იმაზე, მაგალითად, ნამდვილად მივყავართ თუ არა მატერიალისტურ რწმენას პესიმიზმამდე. ჯეკს არ შეეძლო სტუმრების უპატივცემლოდ გაშვება. „ტრანსკონტინენტური ყოველთვიურიდან“ სტატიისათვის „რატომაა შეუძლებელი ომი“, ან ჟურნალ „ნეშნლ შეგეზინიდან“ „ჰერალდიკის გაკვეთილისათვის“ მიღებული უმნიშვნელო გროშებით იგი ყიდულობდა და, ყოველ შემთხვევისათვის, საყინულეში ინახავდა ბივშტექსებსა და შემწვარ დაბეგვილ ხორცს.

საბაასოდ ანდა სიგარეტის მოსაწევად შემოივლიდნენ ხოლმე მეგობრები რიოსკინის კლუბიდან, მოინახულებდნენ ამხანაგები სოციალისტური პარტიიდან და სთხოვდნენ შეკრებაზე სიტყვით გამოსულიყო; არ ივიწყებდნენ ძველი მეგობრებიც იუკონიდან, მეთევზეთა ბადრაგიდან, ხაშანწკებზე მეკობრენი, მაწანწალა ძმობილები „დიდი გზიდან“. „პირდაპირ უბედურებაა ამ ბინაში ცხოვრება: ვინ არ გინდა აქ არ შემოდიოდეს, მე კი ცამბედაობა არ მყოფნის ისინი გარეთ გავყარო“.

ეს სახლი მართლაც აღარ იყო საკმარისი ყველა წიგნის, მეგობრისა და მუშაობისათვის. ჯეკმა, „მგლის შვილის“ გაყიდვის შემდეგ მისაღები საავტორო ჰონორარის იმედით, გადაწყვიტა უფრო დიდ, ხალვათ ბინაში გადასულიყო. ახლოს, სულ რამდენიმე კვარტლის იქით, აღმოსავლეთის მხარის მეთხუთმეტე ქუჩაზე № 1130-ში მან და ფლორამ მოძებნეს ორსართულიანი პატარა სახლი. აქ იყო დიდი სასტუმრო ოთახი, საკმაოდ დიდი, შუშაბანდიანი საძინებელი ოთახი, რომელიც შეიძლებოდა სამუშაო ოთახად გამოეყენებინა. შვიდივე ოთახი ძირითადად ელიზამ მოაწყო, მაგრამ სიმყუდროვე და სილამაზე ჯეკის ოთახში ბესი მადერნმა დაამყარა. ახალ ბინაში ჩასახლების წინა საღამოს ელიზა და მისს მადერნი სამუშაო ოთახში ფარდებს ჰკიდებდნენ, ნოხზე წამოწოლილ ჯეკს კი თავქვეშ შემოეწყო ერთმანეთზე გადახლართული თითები სწორედ ისე, როგორც „სოფი საზერლენდის“ ქიმზე წამოწოლისას იცოდა ხოლმე საღამოობით. ფარდის ჯოხის ასაღებად შემობრუნებულმა ელიზამ შეამჩნია, რომ ჯეკი რაღაც უცნაური დაძაბული ყურადღებით შესცქეროდა ბესის. ამ გამოხედვამ ელიზა მაშინვე მიახვედრა, რომ ჯეკმა

უკვე გადაწყვიტა. ჯეკ ლონდონის დამ — უფრო დედამ, ვიდრე დამ — შეამჩნია ეს და ამიტომ სულაც არ გაჰკვირვებია, როცა შეორე დღეს ჯეკმა გამოაცხადა, ბესი მადერნს ვირთავო ცოლად.

ჯეკი მეიბლ ეპლგარტის ხელს ისე დაჟინებით მხოლოდ იმიტომ კი არ ითხოვდა, რომ იგი უყვარდა; მას დიდი ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა ცოლის შერთვა. ჯეკმა გაცილებით მეტი გადაიტანა, ვიდრე ეს ოცდასამი წლის კაცს შეეფერებოდა. მასში მეტად იყო განვითარებული მამობის ინსტინქტიც. ჯერ კიდევ „გზაზე“ ხეტიალის დროინდელი ჩანაწერები უბის წიგნაკში ადასტურებდნენ, რომ იგი შვილებზე ოცნებობდა. „ეს გადაწყვეტილება სულ სხვადასხვაგვარი და ღრმა სურვილების გამო მივიღე. როგორც არ უნდა იყოს, დაქორწინების საწინააღმდეგო ერთი მოსაზრებაც კი, სახელდობრ ის, რომ იგი ბოჭავს ადამიანს — არ შეიძლება ჩემს მიმართ იქნეს გამოყენებული. მე ისედაც შებოჭილი ვარ. მე ხომ უცოლშვილოსაც ჰიხდებოდა ოჯახის შენახვა. ჩინეთში წასვლაც რომ მომვნდომებინა, გინდ მყოლოდა ცოლი გინდ/არა, სულ ერთია, ჯერ ოჯახის უზრუნველყოფაზე უნდა მეზრუნა. ასე კი უფრო დავდინჯდები და მუშაობისათვისაც მეტ დროს გამოვნახავ. ბოლოს და ბოლოს ადამიანი ხომ ერთხელ ცხოვრობს და რატომ არ უნდა გაატაროს სიცოცხლე ისე, როგორც საჭიროა? უმიზნო და თავაშვებული ხეტიალის ნაცვლად, სპეტაკი და მტკიცე ადამიანი შევიქნები“.

ჯეკი და ბესი არ თვალთმაქცობდნენ, რომანტიკული ტრადიციის მსგავსად, ვნებით ალმოდებული შეყვარებულების როლს არ თამაშობდნენ. მათთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, რომ ბესის წინანდებურად უყვარდა ფრედ ჯეკობსი, ხოლო ჯეკს — მეიბლ ეპლგარტი. მაგრამ ქორწინებას ორივენი ესწრაფვოდნენ. ისინი კარგად გრძნობდნენ თავს ერთად, მოსწონდათ ერთმანეთი, ერთმანეთს პატივისცემით ეპყრობოდნენ და გრძნობდნენ, რომ შეუძლიათ კარგი, მტკიცე ოჯახი შექმნან და კარგი შთამომავლობა აღზარდონ. ორივეს კარგად ესმოდა, რომ თუმცა ლექსიკონში სიტყვა „სიყვარულს“ დიდი განმარტება არ ჰქონდა, მაგრამ შესაძლებელია მისი განვრცობა და მრავალნაირად განმარტება. მისს მადერნს რამდენიმე დღე დასჭირდა წინადადების ასაწონ-დასაწონად და ბოლოს დათანხმდა.

ჯეკი უხერხულად გრძნობდა თავს იმის გამო, რომ ატარებდა

გვარს, რომლის ტარების უფლება მას ფორმალურად არ ჰქონდა. ვაითუ ამით ქორწინების შემდეგ თავისი მომავალი შვილები ყალბ მდგომარეობაში ჩააყენოს? იგი მოუყვა მადერნებს, თუ რა ვითარებაში მოევლინა ამ ქვეყანას. ჯეკმა და ბესიმ მიმართეს მადერნების მეგობარ, ოკლენდის ერთ-ერთ მოსამართლეს. მან ახალგაზრდები დაარწმუნა, რომ ჯეკს უკვე კანონიერად დაუმკვიდრდა ლონდონის გვარი. მან ხომ მთელი თავისი სიცოცხლე ამ გვარით გაატარა და მისი ნაწარმოებებიც ამ გვარითვეა ცნობილი.

კვირას, სწორედ ერთი კვირის თავზე მას შემდეგ, რაც ჯეკმა ხელი სთხოვა ბესის, ისინი ჩუმად დაქორწინდნენ. შვილის „ღალატით" გაშმაგებულმა ფლორამ უარი განაცხადა ცერემონიას დასწრებოდა. ახალჯვარდაწერილები სამი დღით საქორწილო მოგზაურობაში გაემგზავრნენ ქალაქგარეთ ველოსიპედებით. შემდეგ კი, ოჯახის მოსაწყობად და სამუშაოდ ისევ ოკლენდში დაბრუნდნენ. რიოსკინის კლუბში მათ პატივსაცემად ბანკეტი მოეწყო. ოკლენდის გაზეთმა „ცნობების მომწოდებელმა" ქორწინებისათვის მიძღვნილ შენიშვნაში აღნიშნა, რომ პატარძალი „ლამაზი და ღირსეული ქალიშვილია" და მთელი ოკლენდი დაეთანხმა ამ სავსებით დამსახურებულ კომპლიმენტს.

დღისით ბესი ძველებურად ავარჯიშებდა ჩამორჩენილ მოწაფეებს; მისი გასამრჯელო ყოველდღიური ხარჯებისათვის ყოფნიდათ ხოლმე, როცა ჯეკის შემოსავალი ამოიწურებოდა. საღამოობით ბესი ასწორებდა და ბეჭდავდა ქმრის ხელნაწერებს; კითხულობდა იმ წიგნებს, რომლებიც ჯეკს აინტერესებდა. მერე ერთად მსჯელობდნენ მათ შესახებ. გადაწერა ასობით ლექსი, რომლებიც ჯეკს მოსწონდა, შემდეგ აკინძა ისინი და წითელი მუყაოს ყდაში ჩასვა; აგროვებდა ჟურნალებიდან სტატიებს პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე; ბნელ ოთახში ფოტოლაბორატორია მოაწყო და ჯეკს გამოჰყლავნება და სურათების დაბეჭდვა ასწავლა. კვირაობით დიდიხნით მიდიოდნენ ველოსიპედებით სასეირნოდ სან-ლეანდროს ნაყოფიერი ხეობის გაყოლებით. იქ ჯეკი უამბობდა ბესის ჯონ ლონდონის რანჩოში გატარებული ბავშვობის წლების ამბებს. ერთხელ მათ „უიკ-ენდი"[1] სანტა-კრუსში გაატარეს. შორ მანძილზე გავიდნენ

[1] „უიკ-ენდი" — კვირის დასასრული, კვირა დღე.

ცურვით ზღვაში, ცელქობდნენ პლაჟზე... მართალია, ნეტარების მწვერვალს ვერ აღწევდნენ, მაგრამ არც მოწყენას გრძნობდნენ. ისინი ერთგული, საიმედო მეგობრები იყვნენ. როგორც ეტყობოდა, ჯეკი კმაყოფილი იყო თავისი არჩევანითა და ოჯახური ცხოვრებით, 1937 წელს კი ბესიმ განაცხადა:

— როცა ცოლად მივყვებოდი, ჯეკი არ მიყვარდა, მაგრამ ძალიან მალე შემიყვარდა.

ქორწინებამ ჯეკს წარმატებაც მოუტანა. მაისში, როგორც იქნა, გზა გაიკაფა მამაკაცებისათვის განკუთვნილ მაკ-კლურის აღმოსავლურ ჟურნალში, სადაც იბეჭდებოდა მოკლე მოთხრობები შრომასა და საგმირო საქმეებზე. ჯეკ ლონდონისა და გამომცემლის ურთიერთობაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, თაფლობის თვე დაიწყო. გამომცემელმა მაკ-კლურმა თავისი სახელი იმით უკვდავჰყო, რომ დიდ ჰონორარს აძლევდა ჯერ კიდევ უცნობ მწერლებს: „ყმაწვილებს ხომ სარჩო სჭირდებათ“. ჯეკისაგან აიღო „ქალის თავდადება“ და „ცხოვრების კანონი“. თანაც წერილით შეატყობინა: „ჩვენ მეტად დაინტერესებული ვართ თქვენი ნაწარმოებებით და ამასთანავე გვინდა იცოდეთ, რომ აქ, ნიუ-იორკში, თქვენ მეტად გულმხურვალე მეგობრები გყავთ. ჩვენი სურვილია, ამიერიდან ლიტერატურის საკითხებში ჩვენ ჩაგვთვალოთ თქვენს მფარველად. თუ თქვენ შეძლებთ გამოგვიგზავნოთ ყველაფერი, რაც წერთ, შევარჩევთ, რისი გამოცემაც შეგვეძლება; დანარჩენი კი, შეეცდებით, თქვენთვის მეტად ხელსაყრელ პირობებში გავყიდოთ“.

ამაზე უფრო იმედის მომცემი წერილი და ისიც დამწყები მწერლისათვის წარმოუდგენელია. ჯეკმა ხელი ჩასჭიდა ამ წინადადებას: მთელი ყუთი ხელნაწერებით გაავსო, გაგზავნა და მაშინვე ახალი მოთხრობების წერას ჩაუჯდა, რომელნიც დიდი ხანია მოფიქრებული ჰქონდა. მაკ-კლურმა სამი ნაწარმოები აიღო, მათ შორის „საკითხი მაქსიმუმის შესახებ“, და სამასი დოლარი გაუგზავნა. ამდენი ფული ჯეკს თავის სიცოცხლეში არა ჰქონია. თავისი ჟურნალისათვის შეუფერებელი ნაწარმოებები მაკ-კლურმა სხვა ჟურნალებს შესთავაზა, ხოლო როცა იმდენი ხელნაწერი დაგროვდა, რომ თვი-

თონ თავი ვეღარ გაართვა, ისინი ლიტერატურის სოლიდურ აგენტს გადასცა. მაკ-კლურის[1] მიერ გამოცემულმა ნაწარმოებებმა და მისმა მფარველობამ ნიუ-იორკის ლიტერატურული სამყაროს გამომცემლებს შორის ჯეკ ლონდონს საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი.

„მგლის შვილმა", რომელიც 1900 წელს გამოვიდა, კრიტიკის ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა. წიგნი შენელებული მოქმედების უუმბარას წააგავდა, რომლის აფეთქებამ ახალი საუკუნის დაწყება აუწყა. თუ ორ-სამ მოძველებული ყაიდის წინადადებას არ ჩავთვლით, მას არაფერი არ აკავშირებდა დრომოჭმულ მეცხრამეტე საუკუნესთან. მოკლე მოთხრობებში მკაფიოდ გაისმოდა სიახლის ხმა, ევოლუციისა და სახეობათა შორის ბრძოლის მეცნიერული განხილვა; ტრადიციული მორალის გამო იმათი ღირსებების მიუღებლობა, ვისაც ეკლესიისაგან განკვეთაც არ აშინებს; მშვენიერებისა და სიკეთის ასახვის თანაბრად სიმკაცრის, სიმახინჯისა და საბედისწეროს გაბედული აღწერა; ლიტერატურაში მთელი რიგი ისეთი კატეგორიის გმირების გამოჩენა, რომელთათვისაც წინათ გზა დაკეტილი იყო „მოკლე მოთხრობის" დარბაისლურ საზოგადოებაში; თავშეუკავებელი ღრეობა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, ნაძალადევი სიკვდილი — მე-19 საუკუნის ლიტერატურისათვის მიუღებელი ყველა ეს დარგი სამგლოვიარო ზარის გუგუნით იუწყებოდა ყოველივე უსიცოცხლოს, სენტიმენტალურის, ორჭოფულისა და ფარისევლურის აღსასრულს.

ბევრმა იმდროინდელმა კრიტიკოსმა მხარი დაუჭირა ჯეკის ამ გამოწვევას. აი, რას წერდნენ ჟურნალები: „ბოსტონის ლიტერატურული სამყარო"—„ავტორი თვალწინ გვიშლის მოვლენათა ნამდვილ არსს"; „ატლანტიკური ყოველთვიური": „წიგნი მკითხველს რწმენას უნერგავს ადამიანური ვაჟკაცობისადმი"; სხვები: „გრძნობითა და ცეცხლითაა აღსავსე"... „მწერლადაა დაბადებული", „...ყველაფერი ვაჟკაცობითა და სიძლიერითაა გამსჭვალული",

---

[1] სტოუნი გადაჭარბებით აფასებს მაკ-კლურის როლსა და მის განზრახვათა უანგარობას. გაქნილი საქმოსანი ცდილობდა ხელში ჩაეგდო ახალგაზრდა, ნიჭიერი მწერალი, რათა რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიეღო მისი ნაწარმოებებისაგან. შემდგომში ლონდონი სიამაყის გრძნობით წერდა, რომ მას ეყო ძალღონე დროულად შეეწყვიტა კავშირი ამ გაიძვერა გამომცემელთან.

„თვალწინაა დიდი ტალანტის ყველა ნიშანი“, „დიდი, ძლიერი მხატვარია“. ერთმა კრიტიკოსმა აღნიშნა: „მისი მოთხრობები პოეზიითა და დიდი ჩრდილოეთის საიდუმლოებითაა გაჟღენთილი. ბედნიერ სტანდარტულობათა საპირისპიროდ მის მოთხრობებში უფრო ტრაგიკული ინტონაციები სჭარბობს. ისინი ყოველთვის იქ გაისმის, სადაც ადამიანი ბუნების სტიქიურ ძალებს ებრძვის. კლონდაიკის ცხოვრების ამსახველ კომედიებსა და ტრაგედიებში ბევრგან შეიცნობა კიპლინგისებური წარმოსახვის ძალა და დრამატული სიმძლავრე. მაგრამ ავტორს ნაზი სული აქვს და მასში ვმირობის მეტად უმნიშვნელო ნიუანსიც კი ცხოველ გამოხატულებას ჰპოვებს, ხოლო კიპლინგთან ამას იშვიათად თუ შეეხვდებით“.

ჯერ მხოლოდ პირველი წიგნი გამოვიდა, მას კი უკვე მისი საყვარელი მასწავლებლის გვერდში აყენებდნენ. შეფასებით ფრთაშესხმულმა მაინც არ დააყოვნა გესლიანი სტატიით მიემართა კრიტიკოსებისათვის. კიპლინგის უდაო დიდების შეუფასებლობა — ეს ხომ უმსგავსობაა!

„ბგლის შვილის“ გამოსვლით აღინიშნა თანამედროვე ამერიკული მოთხრობის საწყისი. მართალია, მას წინამორბედები ჰყავდა: ედგარ ალან პო, ბრეტ ჰარტი, სტივენ კრეინი და ამბროზ ბირსი — მათაც ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს დადგენილ ტრადიციებთან, რათა ნამდვილი ლიტერატურისათვის მოეკიდათ ხელი. მაგრამ ჯეკ ლონდონმა პირველმა მიიყვანა მოთხრობა უბრალო ადამიანებამდე და ის უაღრესად გასაგები გახადა, სიხარულის წყაროდ გადააქცია. აქამდე მოთხრობებს უმთავრესად ინტელიგენტი შინაბერებისათვის ეარაუდობდნენ; ჯეკის მოთხრობები კი ამერიკული საზოგადოების ყველა ფენისათვის იყო განკუთვნილი, გარდა ინტელიგენტი შინაბერებისა, რომლებიც ამ მოთხრობებს მალულად, ფარდებჩამოშვებულ და კარჩაკეტილ ოთახში კითხულობდნენ. ყველა ამის გარდა, ჯეკ ლონდონის ნაწარმოებებში მხატვრული ფორმა პირველად შეერწყა მეოცე საუკუნის მეცნიერულ შეხედულებებს—აი, საიდან წარმოიშვა მასში სასიცოცხლო ძალა და ენერგია, ისეთივე ძალა და ენერგია, რომლითაც ამერიკელები იპყრობდნენ კონტინენტს და აგებდნენ თავიანთი ინდუსტრიის გიგანტურ ნაგებობას.

უკვე დიდი ხანი იყო, რაც მას რომანი ჰქონდა ჩაფიქრებული.

რომანს მთელი თუ არა ნახევარი წელი მაინც დასჭირდებოდა; ამ ხნის მანძილზე არავითარი შემოსავალი არ იყო მოსალოდნელი. ამის გამო, ჯერჯერობით ძნელი იყო ისეთი წარმატების მიღწევა, რომ შესძლებოდა ამდენი ხნით ჩასჯდომოდა დიდ ნაწარმოებზე მუშაობას. მან თავისი მდგომარეობა წერილით აცნობა მაკ-კლურს, რომელმაც დაუყოვნებლივ უპასუხა: „მზად ვართ სესხი მოგცეთ თქვენს რომანში თქვენივე პირობების მიხედვით. ხუთი თვის განმავლობაში ყოველთვიურად გამოგიგზავნით ჩეკს 100 დოლარზე, ხოლო თუ დაინახავთ, რომ 125 გჭირდებათ, ჩვენ ამაზეც თანახმა ვართ. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ შესძლებთ ძლიერი რომანის დაწერას. როცა არ უნდა დაგჭირდეთ დახმარება, გთხოვთ შეგვატყობინოთ“.

სწორედ ამ დროს, როცა იგი, როგორც „რეზლ-დეზლი“, გაშლილი იალქნით მიისწრაფვოდა თავისი მიზნისაკენ, ბესიმ ახალი ამბავი შეატყობინა: იგი ფეხმძიმედაა. ჯეკი აუწერელმა სიხარულმა შეიპყრო: რასაკვირველია, ბიჭი იქნება! ამაში ეჭვი არ ეპარება. იგი აქამდეც გულკეთილი იყო ცოლის მიმართ, ახლა კი მით უმეტეს. როგორც ბავშვს, ისე უვლიდა, ნაზ მზრუნველობას არ აკლებდა მის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. შემოქმედებითმა ცეცხლმა მთელი სიმძლავრით იფეთქა მასში იმ შეგრძნების გამო, რომ მალე მამა გახდებოდა; ორ საათსაც არ გაევლო, რაც ბესიმ გაანდო თავისი საიდუმლოება, რომ ჯეკი უკვე შეუდგა თავისი პირველი რომანის — „თოვლის ქალიშვილის“ წერას.

თავის დროზე ჯეკმა ყველაფერი, სულ უმნიშვნელო წვრილმანიც კი, საქმის ღრმა ცოდნით მოიფიქრა და ისიც გაითვალისწინა, რომ იგი უკვე შეზღუდულია და, ასე თუ ისე, ოჯახის შენახვა უხდება, მაგრამ ამასთანავე დაუშვა ერთი, წმინდა მამაკაცური დაუდევრობა: ვერ გაითვალისწინა, რომ დედამიწის ზურგზე არ არსებობს ისეთი სამზარეულო, სადაც ორი ქალისათვის საკმარისი ადგილი შეიძლება აღმოჩნდეს. ფლორა შეუპოვრად ეჩხუბებოდა რძალს.

ფლორას მეტად ეწყინა ის, რომ შვილმა სწორედ მაშინ „უღალატა“, როცა რიგიანი შემოსავლის მიღება დაიწყო. განა იგი არ იყო, რომ თვეობით უყოყმანოდ ითმენდა გაჭირვებას? მას უფლება

აქვს მოითხოვოს, მიუზღან ის, რასაც იმსახურებს. ამის ნაცვლად კი ჯეკმა უცხო ქალი შემოიყვანა სახლში. იგი, მისი დედა, მისთვის იღვწოდა, გამოზარდა იგი და ახლა კი ინებეთ, დიასახლისობა ბესის სურს! წინათ ჯეკის მეგობრებს თვითონ იღებდა, ახლა კი ბესია დიასახლისი! შვილის გული უცხო ქალს დაუთმოს? ფლორას ეს არ მოეწონა; მან გადაწყვიტა, რომ მისი თავიდან მოშორება სურდათ. მოშლილი, ნერვიული, ნახევრად ავადმყოფი ფლორა ყველაფერზე და ყოველგვარი მიზეზის გარეშე ეჩხუბებოდა ბესის. ჯეკის გარდაცვალებიდან ოცი წლის შემდეგ ბესი ამბობდა:

„—ფლორას გული რომ მომეგო, მოვფერებოდი და მელოლიავა, ჩვენ შეხმატკბილებულად ვიცხოვრებდით. მაგრამ მე ხომ ახალგაზრდა ვიყავი და მინდოდა ქმრისათვის ყველაფერი თვითონ გამეკეთებინა. ამისთანაზე იტყვიან: მოვიდა სეტყვა — დახვდა ქვაო“.

მაშინ, როცა ჯეკი ცდილობდა მთელი გულისყური პირველი რომანის კომპოზიციურ სიძნელეებზე გაემახვილებინა, ვინ იცის მის სამუშაო ოთახში რამდენჯერ შემოჭრილა გაანჩხლებული ქალების ხმები და „თოვლის ქალიშვილი“ გონებიდან ქრებოდა. იგი ითმენდა, ითმენდა, ვიდრე შეეძლო, შემდეგ კი გამოვარდებოდა სახლიდან, მიიჭრებოდა ელიზასთან და ემუდარებოდა — ღვთის გულისათვის, იქნება დააშოშმინო ისინიო, თვითონ კი ორი-სამი საათის შემდეგ ბრუნდებოდა სახლში. ამ ხნის განმავლობაში, ელიზას წყალობით, ყველაფერი უკვე მოგვარებული იყო და ჯეკიც თავის სამუშაოს უბრუნდებოდა.

ახლა, როცა მეგობრების მიღების მეტი შესაძლებლობა ჰქონდა, ჯეკის ირგვლივ ფრიად საინტერესო ადამიანთა წრე შეიკრიბა; იგი მათ შაბათ საღამოობით იწვევდა. სტუმრებს შორის გამოირჩეოდა მაღალი, ათლეტური აგებულების ჯორჯ სტერლინგი, მეტად სათუთი სულის მქონე ადამიანი, რომლის შესახებ ჯეკი წერდა: „მე ვყავს მეგობარი, ყველაზე უფრო საინტერესო ადამიანი ქვეყნიერებაზე“. კათოლიკე მღვდლის ბედი სტერლინგმა პოეტის ხვედრზე გაცვალა. იგი ერთ-ერთი იმ იშვიათ პოეტთაგანი იყო, რომლის შემოქმედებაც აღსავსეა სილამაზით, სინაზითა და სიმართლისადმი მგზნებარე სიყვარულით. კლასიკოსების ნაწარმოებებზე აღზრდილი ესთეტი—

სტერლინგი გაორებული პიროვნება იყო: ერთი მხრივ, იგი სოციალიზმს იზიარებდა, მეორე მხრივ, ერთგულად იცავდა ამბროზ ბირსის მიერ შთაგონებულ პრინციპს — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. ჯეკი ბირსის მარცხმოსურნეობითი ფილოსოფიის საშინელი მოწინააღმდეგე იყო. მდიდარი წარმოსახვის მქონე სტერლინგი იმავე დროს ენის ჰარმონიასაც ფლობდა. მისმა უმწიკვლო მეგობრობამ, მგზნებარე ტემპერამენტმა, კრიტიკოსის ჭირვეულმა და ფხიზელმა თვალმა ბევრი რამ შესძინა ჯეკს. ჯეკს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჯემს ჰუპერთანაც. ამ ახოვან, ღონიერ ფეხბურთელს იგი ჯერ კიდევ უნივერსიტეტიდან იცნობდა. ჯემსიც თავის ძალ-ღონეს ცდიდა მოკლე მოთხრობების სარბიელზე. ახალ მეგობრებს შორის იყვნენ ჯიმ უაიტეკერი, შვიდი შვილის მამა. მან თავი დაანება მოქადაგის კათედრას, რათა რომანები ეწერა; ქსავიარ მარტინესი, მხატვარი, ნახევრად ესპანელი, ნახევრად ინდიელი. მოდიოდა ხოლმე წაგრძელებულ ესპანურწვერიანი, საღვთო მეცნიერებაში დიდად განსწავლული, ოკლენდის ბიბლიოთეკის უმცროსი ბიბლიოთეკარი, რიოსკინის კლუბის დამაარსებელი ფრედერიკ ბემფორდი. სან-ფრანცისკოდან ჩამოდიოდნენ: ანა სტრუნსკაია, ფილოსოფოსი-ანარქისტი სტრონ-ჰამილტონი, სოციალ-დემოკრატი ოსტინ ლუისი და სხვა რადიკალები სან-ფრანცისკოს ყურეს სანაპიროებიდან. არ ივიწყებდა მისის ნინეტა ეიმსიც, რომელსაც მეგობარი ლიტერატორები მოჰყავდა და თან ახალი ამბები მოჰქონდა იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა მისი ძმისწულის მოგზაურობა ევროპაში. ყველანი ვახშმის დროს იყრიდნენ თავს; შემდეგ კითხულობდნენ თავიანთ ნაწარმოებებს, კამათობდნენ ახალ წიგნებზე და პიესებზე. ბოლოს მამაკაცები პოკერს ან „წითელ ძაღლს“ ჩაუჯდებოდნენ. გატაცებით, აზარტით თამაშობდნენ და წამდაუწუმ თავშეუკავებლად ხარხარებდნენ. ოთხშაბათობით ჯეკთან გამართული ეს საღამოები მალე ცნობილი გახდა „ღია კარების ოთხშაბათების“ სახელწოდებით.

სამხრეთ კალიფორნიიდან ერთი კვირით ესტუმრა სასიამოვნო, ლამაზი გარეგნობის ყმაწვილი კლაუდსლი ჯონსი, რომელსაც მიეტოვებინა თავისი მშობლიური პატარა ქალაქიცა და სამსახურიც საფოსტო განყოფილებაში. ჯონსი პირველი იყო, რომელმაც აღფრ-

თოვანებული წერილი მოსწერა ჯეკს. როცა „ტრანსკონტინენტურ ყოველთვიურში“ გამოქვეყნდა მოთხრობა „მათთვის, ვინც გზაშია“. მას შემდეგ მათ მიმოწერა არ შეუწყვეტიათ. ყველა მაწანწალა „გზიდან“, მატროსები, სანაპიროელი „ძმაბიჭები“ სიხარულით მოინახულებდნენ ხოლმე ჯეკს, რათა იტალიური მომქავო ღვინო გადაეკრათ და თან გულახდილად ესაუბრათ. „შემოიელის რომელიმე ძველი ნაცნობი მატროსი. შეჰყვება ლაპარაკს და ბოლოს იმით ამთავრებს, რომ ეს-ესაა დაბრუნდა შორეული ნაოსნობიდან, რომ დღე-დღეზე დიდძალ გასამრჯელოს ელის...

— ჯეკ, ჩემო ძველო მეგობარო, ხომ ვერ მასესხებ ხვალამდე ორ დოლარს?

— ნახევარი არ გეყოფა?

— თანახმა ვარ ნახევარზეც“.

მასპინძელი ხელს ჯიბისაკენ გააცოცებდა და სტუმარიც ამის შემდეგ დიდხანს აღარ აყოვნებდა. ჯეკი ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ ხალხის პატივისცემა შეეძლო; იგი ყოველთვის მოხარული იყო, თუ სამუშაო დღის შემდეგ მასთან მეგობრები შეიკრიბებოდნენ.

მაკ-კლურისაგან ყოველთვე, დაუგვიანებლივ ღებულობდა ას ოცდახუთ დოლარს, მაგრამ ახლა ესეც აღარ კმაროდა! უფრო ხელგაშლილი ცხოვრება, ახალი მეგობრები და ოჯახი მეტს მოითხოვდა... ჯეკმა გაორკეცა სამუშაო დრო: დილის საათებს უფრო სერიოზულ სამუშაოს უთმობდა, დღის მეორე ნახევარს — ხალტურას. ამგვარი მუშაობის შედეგად მან ბოსტონის ჟურნალ „ასლში“ მოათავსა ნარკვევი იმის შესახებ, თუ როგორ გაათია ღამე ერთხელ მიყრუებულ, უკაცრიელ ადგილას, როგორ უჩმახავდა რაღაცეებს იაპონიის შესახებ მის დასატუსაღებლად მისულ პოლიციელს, რათა იგი საპყრობილეში არ წაეყვანა. „ჰარპერის ყოველკვირეულში“ მოათავსა ნარკვევი „ჯირკუტანა“ ალასკურ შესაბმელ ძაღლზე, სან-ფრანცისკოს „ტალღაში“ — სტატია „ექსპანსია“, რომელიც მოწინავე წერილად გამოქვეყნდა. ოჯახური ცხოვრების თემაზე დაწერილი ორი მოთხრობიდან ერთი, სათაურით — „იმათი სარეცელი“ დაბეჭდა „ქალის საოჯახო თანამგზავრმა“, ხოლო მეორემ — „მეოჯახეობა კლონდაიკში“ — მას გზა გაუხსნა „ჰარპერის ბაზრისაკენ“. ჟურნალში „საქალაქო თემებზე“ გაგზავნა ტრიოლეტი:

მეზობელი შემოვიდა,
ფული უნდა გამომძალოს.
გაეპარე სხვა კარიდან —
ვერ მოგართვეს, მეგობარო.
მომაკითხა, მოლახლახდა,
მაგრამ სახლში არვინ დახვდა.
და ცარიელ-ტარიელი
გატრიალდა მეზობელი[1].

აღებული ჰონორარებით ჯეკმა ცოტა სული მოითქვა!

წიგნებსა და საბეჭდ მანქანას იგი ისე ბეჯითად უჯდა, რომ ზოგჯერ ზედიზედ რამდენიმე დღე გარეთაც არ გაიხედავდა, თუ არ ჩავთვლით სადარბაზო კარებთან დატოვებული საღამოს გაზეთის ასაღებად გასვლას. იგი გახდა, მოეშვა და დარწმუნდა, რომ კუნთების სიმკვრივის პროპორციულად სულის სიმტკიცესაც ჰკარგავდა. რასაც ფიქრობდა, იმის დაწერის ეშინოდა; ვარაუდობდა — მიიღებენ თუ არა იმ ხელნაწერს, მოიწონებს თუ არა ამას ხალხი. იგი ყოველთვის იმ აზრისა იყო, რომ ჯანმრთელ ტანში — ჯანმრთელი სულია. ამ პრინციპის გავლენით შეიძინა ჰანტელები და ყოველ დილით ღია ფანჯარასთან ვარჯიშობდა. იშვიათად — ექვს საათზე გვიან დაეწყო მუშაობა. მუშაობის დამთავრების შემდეგ კი სანადიროდ მიდიოდა ბერკლის გორაკებს გადაღმა, ანდა ყურეში თევზაობდა. ძალღონის აღდგენასთან ერთად კვლავ დაუბრუნდა ენერგია და სიმშვიდე. განახლებული ენერგიით ამთავრებს თავის პირველ იუმორისტულ მოთხრობებს კლონდაიკზე — „მოუნანიებელი ჯანი“ და „სახენაიარევი კაცი“. ორივე მოთხრობა დაწერილია ირლანდიელი ოხუნჯის მეტად მოსწრებული იუმორით, რომელიც მიცვალებულსაც კი არ ინდობს მისსავე ქელეხზე.

პრესაში კარგი შეფასების მიუხედავად, „მგლის შვილი“ უფრო ნაკლებად იყიდებოდა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. ჟურნალებიც, მაკ-კლურის გარდა, მხოლოდ ერთდროულ ჰონორარს უხდიდნენ, საავტორო ანარიცხების გარეშე, და მადლობა უნდა ეთქვა, თუ ხელნაწერში ოც დოლარს მისცემდნენ. მკითხველთა ფართო მასამას ჯერ კიდევ არ იცნობდა. საჭირო იყო წერა და კიდევ წერა, ვიდრე არ დადგებოდა ის მომენტი, როცა ერთი გადამწყვეტი ნახ—

[1] ლექსები თარგმნა იორამ ქემერტელიძემ.

ტომით შეძლებდა მიზნის მიღწევას! მანამდე კი უნდა დაკმაყოფილებულიყო იმით, რაც ხელში მოხვდებოდა. ასე, მაგალითად: „შავმა კატამ“ გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო მოთხრობაზე. პირველხარისხოვანი სიუჟეტი, რომელიც პირველ პრემიას დაიმსახურებდა, რაღაც ვერ გამოსდიოდა. ერთ-ერთმა საღამოს გაზეთმა ჯეკს ბიძგი მისცა და მან დაწერა თავშესაქცევი მოთხრობა „Semper Idem“, რომელშიც პატარა პრემია მიიღო. შემდეგ ჟურნალმა „კოსმოპოლიტენ მეგეზინმა“ გამოაცხადა კონკურსი თემაზე — „რას ჰკარგავს ის, ვინც მარტოდმარტო მოქმედებს“. მილიონიდან მხოლოდ ერთი შანსის იმედით ჯეკმა რევოლუციურ თემაზე დაწერა სტატია სახელწოდებით „რას კარგავს საზოგადოება კონკურენციის ბატონობის დროს“. მას პირველი პრემია — ორასი დოლარი მიაკუთვნეს. ამან საფუძველი მისცა ჯეკს ეთქვა: „მე ერთადერთი ადამიანი ვარ ამერიკაში, რომელმაც სოციალიზმზე ხელის მოთბობა შესძლო“.

გადიოდა თვეები. ფლორა და ბესი კვლავ გამუდმებით ჩხუბობდნენ. ჯეკმა იქვე, ახლოს პატარა სახლი დაიქირავა და ფლორა ჯონთან ერთად იქ ჩაასახლა. ამ „ეკლესიიდან განკვეთამ“ ფლორა მთლად გააშმაგა. შვილმა იგი სახლიდან გამოაგდო! ამ ტაქტიკური ფანდით ჯეკმა მხოლოდ იმას მიაღწია, რომ ხარჯები მოემატა. გარდა იმისა, რომ ფლორა ახალ-ახალი ჭირვეულობით მოდიოდა მასთან, იგი მეზობლებშიც ეძებდა სამართალს თავისი შეურაცხყოფისათვის. დაიწყო ჭორაობა და მითქმა-მოთქმა... ფლორამ ძველებურად დამოუკიდებლად წარმოიდგინა თავი და ხელი მიჰყო რაღაც საეჭვო საქმეებს; ფული, რომელსაც შვილი აძლევდა, თოვლივით უდნებოდა ხელში. დაედო ვალები, რომელთა გადახდა ჯეკს უხდებოდა.

მთელი ზაფხული და შემოდგომა ჯეკმა რომანზე მუშაობაში გაატარა; ამავე დროს ლექციებს კითხულობდა სან-ფრანცისკოში სოციალისტური პარტიის მიერ მოწყობილ საჯარო მიტინგებზე; სხვა ორატორების გამოსვლებსაც ესწრებოდა, ჩაეწერა იბსენის წრეში; სწავლობდა ბოქსსა და ფარიკაობას თავისი სახლის უკანა ეზოში, შაბათობით კი მეგობრებს ღებულობდა. ჯეკი სრულებითაც არ იყო ფელანქოლიური ინტელიგენტი; იმ შემოდგომაზე მას ყველაზე დიდი

სიხარული აგრძნობინა ფეხბურთის მატჩმა, სადაც კალიფორნიის ნაკრებმა მიწასთან გაასწორა სტანფორდის გუნდი. მაგრამ მაინც ყველაზე დიდ მოვლენად მის ცხოვრებაში დიდ ნაწარმოებებთან გაცნობა რჩებოდა. მას ისინი ახლაც ისეთივე თავდავიწყებითა და მთელი არსებით იტაცებდა, როგორც ოდესღაც, ამ თოთხმეტიოდე წლის წინათ, როცა ჩამოკონკილი, უსახლკარო გაზეთის დამტარებელი ბიბლიოთეკაში შევიდა და მისის კულბრიტს სთხოვა „რაიმე საინტერესო წიგნი" მიეცა წასაკითხად. ანა სტუნსკაიასადმი მიწერილ ერთ წერილში ვკითხულობთ: „ახლახან ვიჯექი და პატარა ბავშვივით ვტიროდი: ეს-ეს არის დავამთავრე „უჩინარი ჯუდი". ჯუდისა და ტესის შექმნით ჰარდის შეუძლია დამშვიდებით განისვენოს". იგი ფიცს დებდა, რომ თვითონაც დამშვიდებით მოკვდებოდა, თუ შეძლებდა ერთი-ორი ისეთი წიგნის დაწერას, რომელიც ღირსი იქნება იმ წიგნების გვერდით დაიკავოს ადგილი თაროზე, რომლებმაც ასე დაამშვენეს მისი ცხოვრება.

უცნაური დამოკიდებულება დამყარდა ჯეკსა და ანა სტრუნსკაიას შორის. მათთვის საბოლოოდ ცხადი გახდა, რომ ჭკუისა და ხასიათის მიხედვით ისინი ერთმანეთისათვის იყვნენ შექმნილნი. ეს გარემოება მათ სრულებით არ უშლიდა ხელს ძველებურად გაცხოველებული კამათი განეგრძოთ ბიოლოგიაზე, მატერიალიზმსა და სოციალიზმზე. ივლისიდან მოყოლებული ჯეკის წერილები მისადმი სინაზითაა გამსჭვალული: „მიუხედავად ჭიქა წყალში ატეხილი ქარიშხლისა, რომლითაც აღინიშნა ჩვენი ნაცნობობა, სინამდვილეში ჩვენს შორის არასდროს ყოფილა უთანხმოება. გულის სიღრმეში ნამდვილად თანავუგრძნობდით ერთმანეთს, ნამდვილად შეხმატკბილებულები ვიყავით. გემი უკვე ჩაშვებულია წყალში; იგი ზღვისაკენ ისწრაფვის; მორები აღშფოთებით ღრჭიალებენ და კვნესიან, მაგრამ ზღვასა და გემს მათი არ ესმით. ჩვენც იგივე დაგვემართა, როცა ერთმანეთის ცხოვრებაში შევიჭერით".

ყველა თავისი სერიოზული ნაწარმოები ჯეკს ახლა ანა სტრუნსკაიას სამსჯავროზე გაჰქონდა. ამ ქალის შეფასებებში ფხიზელი და ნათელი ჭკუა გამოსჭვივის. თავის მხრივ ჯეკი არწმუნებდა მას წერა დაეწყო: „ეჰ, ანა, თქვენ რომ ქაღალდს გაანდობდეთ თქვენს ბგზნებარე გულსა და ცვალებად სულიერ განწყობას! ისეთი გრძნო-

ბა მაქვს, თითქოს სამყაროში გადმოსროლილ რაღაც უხილავ ენერგიას ენათესავებით. იკითხეთ თქვენი კლასიკოსები, მაგრამ არც ის დაივიწყოთ, რაც ჩვენს დღეებს ეკუთვნის — ახალი ლიტერატურა. თქვენ უნდა შეითვისოთ თანამედროვე ხერხები; ფორმასაც თავისი უნდა მიეზღოს. თუ ხელოვნება მარადიულია, ფორმა ხომ თაობასთან ერთად იბადება. ო, ანა, ნუ მომცემთ იმის საბაბს, რომ თქვენში მოვტყუვდე".

1900 წლის ბოლოს იგი წერდა: „წმინდა, უმშვენიერესი მეგობრობა? ისიც მამაკაცსა და ქალს შორის? ასეთი რამ სამყაროს არც კი შეუძლია წარმოიდგინოს, მას ისევე მიუწვდომლად ჩათვლიან, როგორც მარადიულობას". ჯეკს თვითონაც არ მიაჩნდა ეს შესაძლებლად, თორემ როცა მეიბლ ეპლგარტის შერთვის იმედი დაჰკარგა, შეეძლო სან-ფრანცისკოელ ქალიშვილს გაარშიყებოდა და არა ოკლენდელს. მას აზრადაც არ ჰქონია ღალატი, მაგრამ ანა სტრუნსკაიას გამჭრიახობამ მოაჯადოვა. ბესისთან მას ბევრი რამ აკავშირებდა — მეგობრობა და ახლადჩასახული სიცოცხლე, იგი ამისთვის უყვარდა კიდეც, ანასთან კი სხვა რამ აკავშირებდა — სულისა და გონების ერთობა — ამიტომაც უყვარდა იგი.

გაფუებული და დამძიმებული ბესი ბავშვს ელოდებოდა, ჯეკს კი ანა სტრუნსკაიაზე ფიქრი არ ასვენებდა, „ამ რუს ებრაელზე და თანაც გენიალურზე", როგორც თვითონვე წერდა. მაგრამ როგორიც არ უნდა ყოფილიყო მათი გრძნობა ერთმანეთის მიმართ, ხმამაღლა ერთი სიტყვაც არ წარმოთქმულა. „ართქმული, დამიჯერეთ, ანა, ყველაზე უფრო მაღლა დგას. ბედნიერება — მე? ძვირფასო, ჩემი ბედნიერება ხომ თქვენა ხართ, ბედნიერება და სულის დღესასწაული!" მან ცოლი შეირთო, რათა დადინჯებულიყო, მყარი, საიმედო ადგილი დაეკავებინა საზოგადოებაში, მაგრამ... „ჩემს თვალწინ ეს-ესაა გაიელვა თავისუფლებამ, მე კი უკვე ვგრძნობ, თუ როგორა ვარ შებოჭილი, როგორ მჭიდროვდება რკალი. ახლა მახსენდება ჩემი თავისუფლების ხანა, როცა არაფერი არ მაკავებდა და უფლება მქონდა გულისთქმას ავყოლოდი".

ეჭვს გარეშეა, იგი მისს სტრუნსკაიასადმი ჭეშმარიტი გრძნობით იყო გამსჭვალული, მაგრამ ამ გრძნობას მარტო შიში კი არ სდევდა თან, არამედ სინანული თავისუფლებაზე იმ ახალგაზრდა

კაცისა, რომელიც ეს-ეს არის მამა უნდა გახდეს და ამის გამო კიდევ უფრო მაგრად შეიბოჭება, ამჯერად უკვე სამუდამოდ. ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა მოვლენათა მსვლელობა მისის ეპლგარტს რომ დაეყოვნებინა თავისი ულტიმატუმი და იგი მაშინ წამოეყენებინა, როცა ჯეკი ანას სწერდა: „ბედნიერება—მე? ძვირფასო, ჩემი ბედნიერება ხომ თქვენა ხართ, ბედნიერება და სულის დღესასწაული!“

ენის დახვეწის მიზნით, ჯეკი განაგრძობდა ლექსების წერას; იგი განურჩევლად კითხულობდა ყოველგვარ თანამედროვე ბელეტრისტიკას, რათა კარგად შეეგრძნო სიახლე. ეს იყო ცდა, ძიება, მაგრამ პრესისათვის კი არა, არამედ უბრალოდ თავისთვის, თავის შესაძლებლობათა გასაფართოებლად. დიდ კრიტიკულ სტატიებს წერდა, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ თავის ნამუშევრებში გვერდი აევლო ისეთი დისჰარმონიული, დაუხვეწავი ფრაზისათვის, რომელიც ყურს ეხამუშებოდა. როცა მოეჩვენებოდა, რომ მეტად მაღლა ასწია ცხვირი თავისი მოთხრობებით, ძველი წიგნების შეკვრას გამოქექავდა და უმალ ცხვარივით მშვიდი გახდებოდა. კლაუდსლი ჯონსი, რომელსაც კლასიკური განათლება მიეღო, და ჯეკი ხელნაწერების კიდეებზე მწვავე კრიტიკული შენიშვნებით უმასპინძლდებოდნენ ერთმანეთს. ჯონსმა, რომელიც „გზის ფილოსოფიაზე“ მუშაობდა, ჯეკს გამოუგზავნა იგი სარედაქციოდ. ჯეკის შენიშვნა ამ ნაწარმოებზე მის ლიტერატურულ კრედოს წარმოადგენს: „თქვენ საინტერესო თემას მოჰკიდეთ ხელი: დაძაბული ცხოვრება, რომანტიკა, ადამიანთა ბედი, მათი დაღუპვა, კომიზმი და პათოსი. დალახვროს ეშმაკმა, მაშ მოექეცით მათ ისე, როგორც საჭიროა! თავი დაანებეთ მკითხველისათვის „გზის“ ფილოსოფიის მოყოლას. ის თქვენსავე გმირებს მიანდეთ, რათა იგი თვით მათ გადმოსცენ საქმით, საქციელითა და სიტყვით. აბა, ყურადღებით წაიკითხეთ სტივენსონი და კიპლინგი: თვითონ როგორ გაუჩინარდებიან ხოლმე, როგორ ჩამოსცილდებიან, მათი ნაწარმოებები კი ცოცხლობენ, სუნთქავენ, გიტაცებენ და დილამდე ლამფის ჩაქრობის საშუალებას არ გაძლევენ. თვით წიგნის არსი მოითხოვს, რომ შემოქმედი იქ არ ჩანდეს. შეიმუშავეთ მტკიცე, ნათელი, მეტყველი, ახალი სტილი; სწერეთ

ზრიანად, მოკლედ, ნუ მოჰყვებით გრძელ და დაწვრილებით აღწერას. საჭირო არაა მოყოლა — საჭიროა დახატვა, აღწერა სახოვნად, შენება, შექმნა! უმჯობესია ერთმანეთთან შეხამებული ათასი სიტყვა, ვიდრე უფერული, ვრცელი, აბდაუბით სავსე მთელი წიგნი. მიაფურთხეთ თქვენს თავს! დაივიწყეთ იგი! მაშინ მსოფლიო თქვენ არ დაგივიწყებთ!"

როცა „თოვლის ქალიშვილის" დასრულებას ბევრი აღარაფერი უკლდა, ჯეკი მიხვდა, რომ იგი არ გამოუვიდა. ამ ნაწარმოებში იმდენი ვარგისი მასალა ჰქონდა თავმოყრილი, რომ ორ კარგ რომანს ეყოფოდა და მესამე, უფრო მდარესთვისაც მორჩებოდა. „თოვლის ქალიშვილში" თავი იჩინა ღრმა, შეტად სერიოზულმა სისუსტემ. ისინი ჯერ კიდევ წიგნის დასაწყისში ჩაინიღბენ და მკვეთრად იჩინეს თავი, როცა ჯეკმა უკვე თავის ნაწარმოებთა ორმოცი ტომი გამოსცა: ჯერ ერთი, მან უპირატესობა მიანიჭა ანგლო-საქსურ რასას და, მეორე, ვერ შეძლო სისხლი და ხორცი შეესხა და რეალურად წარმოესახა ქალი, რომელიც ,,უშათა კლასს არ ეკუთვნოდა.

ჯეკის ჩანაფიქრის მიხედვით, ფრონა უელსი მეოცე საუკუნის ქალის ტიპიური წარმომადგენელია, მეცხრამეტე საუკუნის ქალის სრულიად საწინააღმდეგო: ღონიერი და ლმობიერი; ჭკვიანი, და გულთბილი; მამაცი, რომელსაც ამავე დროს შენარჩუნებული აქვს ქალური მიმზიდველობა. მოკლედ რომ ვთქვათ, ქალი, რომელსაც შეუძლია მუშაობა, აზროვნება, ცხოვრება, ბრძოლა და მამაკაცთა საუკეთესო წარმომადგენლებთან თანაბრად სიარული ცხოვრების უკლაან გზაზე. მას არ ახასიათებს ის თვისებები, რომელთაც ავტორი ვერ იტანდა ქალებში: სენტიმენტალობა, ულოგიკობა, კოკლუცობა, სისუსტე, შიში, უვიცობა, პირმოთნეობა, მსხვერპლზე შემოჭდობილი მცენარე-პარაზიტის მჭიდე სიფაფუკე. მეოცე საუკუნის გმირისათვის შესაფერი მეგობრის სახის შექმნის სურვილით გატაცებულს მერყეევი, უცნობი ნიადაგის გაკაფვა უხდებოდა. სულ ცოტაც და შეიძლება ფრონას სახე ცოცხალი, ნამდვილი გამოსვლოდა. ასეთივე განწყობით რომ განეგრძო, შეიძლება შეექმნა კიდეც ახალი ქალის სახე.

ფრონა ყველაზე უფრო ცუდად იქ გამოიყურება, სადაც იგი

ლონდონის სოციოლოგიური ნარკვევების ენით იწყებს ლაპარაკს შოვინისტურ აბდაუბდაზე — თეთრკანიანთა რასის უპირატესობა-ზე, იმის შესახებ, რომ მათ უფლება აქვთ მუდამ მბრძანებლობდნენ წითელ, შავ და ყვითელკანიანებზე. ეს ბოდვა ჯეკს კიპლინგის ნაწარმოებებში წაეკითხა და განუსჯელად მიეღო. ძნელი მისახვედრი არაა, თუ რატომ მიიღო ჯეკმა ასე ადვილად და ხალისით ყოველივე ეს. იგი ხომ ამის გარეშეც გატაცებული იყო თავისი ვიკინგებით. „წვრილქიმიანი საბრძოლო გალერები მზადაა, კუნთმაგარმა და მკერდგანიერმა, სტიქიით შობილმა, ხმლით მებრძოლმა ნორმანებმა ზღვას მიაშურეს... ჩრდილოეთის შვილთა გაბატონებული რასაა... დიდი რასა! მსოფლიოს ნახევარი და ყველა ზღვა მათია! კიდევ სამოცი თაობა და ის სამყაროს ბატონ-პატრონი შეიქმნება!“

ამ ანგლო-საქსური სიბეცის მიზეზით შეექმნა მას დამახინჯებული წარმოდგენა სოციალიზმზეც, სწორედ იმ სფეროზე, რომელშიც ყველაზე მეტად ისწრაფვოდა დაეცვა პატიოსნებისა და სიმართლისადმი ერთგულება. ამ ჩრდილოეთიდან გადმოსახლებული, გაბატონებული რასისადმი მიძღვნილი სტრიქონების დახვეწის პერიოდში ჯეკი კლაუდსლი ჯონსს სწერდა: „სოციალიზმი — მთელი კაცობრიობის ბედნიერებისათვის გათვალისწინებული იდეალური სისტემა როდია; ის განკუთვნილია მხოლოდ განსაზღვრული, ურთიერთმონათესავე რასების კეთილდღეობისათვის. მისი დანიშნულებაა ამ რჩეული რასების ძლიერების განდიდება იმ ვარაუდით, რომ შეავიწროონ უფრო სუსტი და მცირერიცხოვანი რასები მათ სრულ მოსპობამდე და მთელ მსოფლიოს დაეპატრონონ“. ასე დაამახინჯა კიპლინგით შეზავებულმა ნიცშემ კარლ მარქსის მოძღვრება.

სამწერლო საქმიანობაში ხელი რომ არ შეშლოდა, ჯეკმა თავის დროზე დაუფიქრებლად უარი თქვა ფოსტაში სამსახურზე და მატერიალურ კეთილდღეობაზე. ახლა უკვე ას ორმოცდაათი დოლარიც აღარ ჰყოფნიდა თვეში, თუმცა ერთი წელიც არ გასულიყო მას შემდეგ, რაც ასეთი თანხა წარმოუდგენელ სიმდიდრედ მიაჩნდა. ვიდრე მორიგ ჩეკს მიიღებდა, უკვე გრძელი სია დგებოდა. აი, საფინანსო „ოპერაციები“, რაც მან ჩაატარა შობიდან ახალწლამდე: ჯიმ უაიტეკერს მისცა სესხი; გაჭირვებაში ჩავარდნილი იმ ამხანაგის ან-

გარიში გაანაღდა, რომელმაც ორივე ფეხი მოიტეხა; ორმოცდაერთი დოლარი გადასდო ფლორას ვადაგადაცილებული ვალის გასანაღდებლად; ძიძა ჯენის მისცა ფული, რათა მას გირაოს პროცენტები გადაეხადა და უსახლკაროდ არ დარჩენილიყო. მასვე გადაუხადა გადასახადებიც და მხოლოდ ერთი არასასიამოვნო ოპერაცია ჩაატარა — უარი უთხრა კლაუდსლი ჯონსს ფულის სესხებაზე, რათა მას შეძლებოდა თავი დაენებებინა დაჩიავებულ ფოსტაში სამსახურისათვის. სხვათაშორის, უარი იმიტომ უთხრა, რომ თუ ფულს მისცემდა, თვითონ სესხად უნდა აეღო ოჯახის სარჩენად საჭირო ფული. ერთი კვირის შემდეგ კი ბესი ბავშვს ელოდა!

ბესი მოგვითხრობს, რომ მან გაკვეთილები ჩაატარა თვით იმ დილასაც კი, როცა ბავშვი დაებადა. ჯერ ეგონათ, რომ ბავშვი 12 იანვარს, ჯეკის ოცდახუთი წლის თავზე, დაიბადებოდა, მაგრამ მშობიარობა მხოლოდ თხუთმეტში დილით დაიწყო. იგრძნო თუ არა მომენტის მოახლოვება, ბესიმ ექიმი გამოაძახებინა, რომელსაც სიჩქარეში სადეზინფენქციო საშუალება დავიწყებოდა. ჯეკი გაგზავნეს ერთი შუშა ქლოროფორმის საყიდლად, მაგრამ უკან მობრუნებული ისეთი სისწრაფით მოჰქროდა, რომ ველოსიპედიდან გადმოვარდა, შუშა გაუტყდა და ხელიც გაიპრა. ბესიმ მშვიდობიანად იმშობიარა — ცხრაგირვანქანახევრიანი გოგონა შეეძინა, მაგრამ გამოუცდელი ექიმის დაუდევრობის გამო შემდეგ დიდხანს იავადმყოფა. ჯეკმა კი ვერ შეძლო ცოლისათვის არ შეემჩნევინებინა იმედის გაცრუება, რომელსაც იგი გოგონას დაბადებით განიცდიდა.

მაკ-ლურმა თავის ჟურნალში არ დაბეჭდა „თოვლის ქალიშვილი", მაგრამ, ამის მიუხედავად, ჯეკს ყოველთვიურად უგზავნიდა ას ოცდახუთ დოლარს. „მე თვითონ ოჯახის პატრონი ვარ და ვიცი, რომ კარტოფილს უფულოდ არ იძლევიან და ამიტომ გიგზავნით..." რომანის დამთავრების შემდეგ ჯეკმა მოკლე მოთხრობათა სერიის წერას მიჰყო ხელი. რამდენიმე კვირის შემდეგ სასოწარკვეთილების გრძნობამ რამდენადმე გადაუარა. შეეჩვია თავის გოგონას, მით უმეტეს, რომ პატარა ჯოანი ძალიან ჰგავდა მას. ლონდონებთან გადმოსახლდა ძიძა ჯენი, რათა ჯოანისათვის მოეევლო ისევე, როგორც ოცდახუთი წლის წინათ მამამისს უვლიდა ბერნალ ჰაიტსში.

ჯეკის აღიარებით, მისი დაცოლშვილების ერთ-ერთი მიზეზი იყო რწმენა, რომ ბესი ჯანმრთელ შთამომავლობას შესძენდა; ამაში იგი არ შემცდარა. გულისთქმას აყოლილმა ცოლი შეირთო, რათა ამით ორივეს ცხოვრების სიცარიელე შეევსოთ და იმედოვნებდა, რომ ისევ ჩაებმებოდნენ ცხოვრების ჩქარ დინებაში. ბესიმ გაამართლა ეს იმედები: იგი თავდადებული, ერთგული, ნაზი, ჭკვიანი ცოლი იყო, ამასთანავე მუდამ მზად იყო, ქმრის მხარდამხარ ემუშავნა და გაეზიარებინა მისი ტანჯვა და ვაება. ჯეკს უხაროდა, რომ იგი მამა გახდა; ბესის მეტად ემადლიერებოდა, მაგრამ ზოგჯერ, დაღლილი, შინაგანად ეწინააღმდეგებოდა მის სწორედ იმ თვისებებს, რომელთაც აფასებდა და რისთვისაც მეუღლედ აირჩია. ვერცხლისწყალივით დაუდგრომელსა და მჩქეფარე სისხლის პატრონს, უყვარდა წვაცა და დალხინებაც. თავდავიწყებით, მშფოთვარედ ცხოვრება; სიხარული უსაზღვრო სწამდა, მწუხარება — თავშეუკავებელი. ასეთ ორგიებს ბესი არ იზიარებდა, იგი თავდაჭერილი, მშვიდი, აუღელვებელი, დინჯი ადამიანი იყო. მუშაობის დროს, როცა ჯეკი ჩანაფიქრის ხორცშესხმით იყო გატაცებული, იგი ბესის ემადლიერებოდა, მაგრამ დაამთავრებდა თუ არა სამუშაოს, მზად იყო ამბოხებისათვის, უნდოდა დაეთმო გულისგამაწვრილებელი სურვილისათვის, თავი აეშვა და პირველსავე მიქცევას ზღვაში შეჰყოლოდა. აი მაშინ შემოაწვებოდა ბოლმა წინანდელ თავისუფლებაზე, დაკარგულ უფლებებზე, როცა შეეძლო სადაც სურდა და რომელ ქალთანაც, იქ წასულიყო. პირველი შემთხვევა იყო, რომ აღარ შეეძლო უგულებელეყო თავისი მოვალეობანი და თავგადასავალთა სამყაროში გადაშვებულიყო.

ასეთ მომენტებში იგი ანა სტრუნსკაიას სწერდა: „იჯდე აქ და აგროვებდე მონაცემებს, ახარისხებდე, აკოწიწებდე, წერდე მოზარდი თაობისათვის მოთხრობებს და თანაც გულდასმით ნიღბავდე ზნეობრივ მოძღვრებებს; ყოველდღე მანქანაზე ათას სიტყვას ბეჭდავდე, ღელდებოდე ბიოლოგიის ზოგ საკითხებზე კრიჭაში ჩადგომის შედეგად; გაწვდიდეთ უმნიშვნელო, გასართობ რაიმეს სიცილის გამოსაწვევად, რათა ქვითინი არ წაგსკდეთ და ეს, რასაკვირველია, ჯერ კიდევ ყველაფერი როდია! ორი არსება ერთმანე-

თისათვის არის შექმნილი, მაგრამ მათი ბაგეები სდუმან — ასეთი შეუსაბამობა განა მომხდარა სადმე!“

მათ გადაწყვიტეს წიგნი მიეძღვნათ თავიანთი სულიერი სიახლოვისა და დიდი მეგობრობისათვის, სახელწოდებით „კემპტონისა და უეისის მიმოწერა“; უეისი იქნებოდა ჯეკი, კემპტონი — ანა. ანა სიყვარულის პოეტურ და სულიერ საწყისებს დაიცავს ჯეკისაგან, ჯეკი მას თავს დაესხმის ბიოლოგიისა და მეცნიერული ევოლუციის პოზიციიდან. ისინი არავის აწყენინებენ, არც არავითარ ნორმებს არ დაარღვევენ. ხოლო თვითონ მგზნებარე, პოეტური სულიერი სიახლოვით დატკბებიან. ამრიგად, ჯეკი დაამტკიცებს, რამდენად გონივრულია მისი და ბესის ქორწინება, თანაც ამ მიმოწერით შეძლებს დროებით თავი დააღწიოს ამავე ქორწინების უღელს.

თუმცა ჯეკი ორ ცვლად მუშაობდა საწერ მაგიდასთან, მაგრამ ლექციების წასაკითხ დროს მაინც პოულობდა: ალამედის სოციალისტური პარტიისათვის — თემაზე: „მაწანწალობა“, სან-ფრანცისკოს მეცნიერებათა აკადემიისათვის „კონკურენციით გამოწვეული ზარალის შესახებ“. ადგილობრივი პრესა პატივისცემით იხსენიებდა ამ მოხსენებებს. როცა ქალაქ ოკლენდის მერის თანამდებობაზე კანდიდატის დასახელების მომენტი დადგა, ახალგაზრდა სოციალისტურმა პარტიამ გაბედა მონაწილეობა მიეღო ამ კამპანიაში და თავისი კანდიდატურა წამოეყენებინა. ვის უნდა რგებოდა ეს პატივი, თუ არა მათ რიგებში ყველაზე ცნობილს — მისტერ ჯეკ ლონდონს! თავის კანდიდატურაზე თანხმობის მიცემასთან ერთად ჯეკმა განაცხადა:

— საზოგადოებაში აღმოცენდა და საფუარივით იზრდება რწმენა მუნიციპალური საკუთრების დიადი პრინციპისადმი. ეს ჩვენი დამსახურებაა. საფუარი ეს ჩვენა ვართ, სოციალისტები. უკმაყოფილების დასაშოშმინებლად ძველ პარტიებს ძალაუნებურად უხდებათ მოწყალებასავით გადაუგდონ ხალხს განსაზღვრული პრივილეგიები. ეს ჩვენი პროპაგანდის შედეგია და ეს ჩვენ, სოციალისტებმა, გავაკეთეთ.

ოკლენდის წინასაარჩევნო კამპანიაში იგი იცავდა პოზიციას, რომ სოციალიზმი კაპიტალიზმის ტანზე — ეს არის ძაძა,

გამაღიზიანებელი საშუალება, რომელიც კაპიტალისტებს აიძულებს ისეთ დამამშვიდებელ მალამოს მიმართონ, როგორიცაა, მაგალითად, ხელფასის გადიდება, სამუშაო დღის შემცირება, საშუშაო პირობების გაუმჯობესება. იგი არწმუნებდა პროფკავშირის წევრებსა და აგრეთვე იმათ, ვინც არც ერთ კავშირს არ ეკუთვნოდა, ხმა მიეცათ სოციალისტებისათვის, ეჩვენებინათ თავისი ძალა და, ამრიგად, ახალი კოზირი მიეღოთ მეწარმეთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

მუშებმა ყურად არ იღეს მისი ეკონომიური მოსაზრებანი. ოკლენდისა და ალამედის მცხოვრებთაგან მხოლოდ ორას ორმოცდახუთმა მისცა ხმა მისი ზომიერი უტოპიის სასარგებლოდ.

მაისში ჟურნალ „პირსონსში“ დაიბეჭდა „მიდასის საყვარელი ხალხი“. მასში იგი არანაკლებ რევოლუციურად სცილდება ამერიკული ლიტერატურის ტრადიციებს, ვიდრე ერთი წლის წინ გამოქვეყნებულ „ჩრდილოეთის ოდისეაში“. მწერალი-სოციალისტი? შეერთებულ შტატებში ასეთს ჯერ კიდევ არავის იცნობდნენ. მაგრამ ჯეკი არასოდეს არ ცდილობდა მიემართა ნაცადი ანდა შემოწმებული ხერხისათვის; მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მწერალი-სოციალისტი გამხდარიყო. ეს გადაწყვეტილება მაშინ მიიღო, როცა მწერალ-სოციალისტად თავის გამოცხადებას იმდენივე გამბედაობა სჭირდებოდა, რამდენიც ჩვენს დღეებში — მის უარყოფას. ამ მოთხრობაში მან პირველად წამოაყენა ისეთი მძლავრი მსოფლიო პროლეტარული ორგანიზაციის შექმნის იდეა, რომელსაც ვერ დაძლევდა ვერც პოლიცია, ვერც არმია და ვერც მთავრობა; ორგანიზაციისა, რომელიც ძალით ჩაიგდებს ხელში მსოფლიო სიმდიდრეს. თუ „მიდასის საყვარელი ხალხი“ პირველი მოთხრობა არაა, რომელიც ამერიკაში დაიბეჭდა პროლეტარიატის შესახებ, სამაგიეროდ, ის პირველი მოთხრობაა, რომელიც საერთო-სახელმწიფო მასშტაბის ჟურნალში დაიბეჭდა. არ შეიძლება იმაზე ფიქრი, რომ „პირსონსმა“ ეს მოთხრობა მისი სოციალისტური მიმართულების გამო შეიძინა — მის რედაქტორს აზრადაც არ ჰქონია ასეთი რამ; უბრალოდ, ჯეკი მოთხრობების უბადლო ოსტატი იყო და ჟურნალი დახარბდა თავშესაქცევ „საშინელებებს“ იმ ვარაუდით, რომ მკითხვე-

ლი მას მიიღებდა ჟიულ ვერნის ფანტასტიკის თანაბრად, სოციალისტურ მოტივებს კი ვერ შეამჩნევდა.

„მიდასის საყვარელ ხალხს“ მოჰყვა „დებსის ოცნება“ და „რკინის ქუსლი“. პირველში ნაწინასწარმეტყველევი იყო სან-ფრანცისკოს 1934 წლის საყოველთაო გაფიცვა, ხოლო მეორეში — ფაშიზმის საყოველთაო ტერორი და თარეში. მწერლის სიკვდილის შემდეგ კრიტიკოსები სხვადასხვა შეხედულებისანი იყვნენ მისი მუშაობის შესახებ, მაგრამ ერთი რამ კი უთანხმოებას არ იწვევს: ჯეკ ლონდონი პროლეტარული ლიტერატურის მამამთავარია ამერიკაში. 1929 წელს ჟურნალმა „ახალმა მასებმა“ უბრალოდ და მართლად გამოხატა ეს მოსაზრება:

„საკმარისი არაა, რომ ნამდვილი პროლეტარული მწერალი მხოლოდ მუშათა კლასისათვის წერდეს, საჭიროა მუშათა კლასი მას კითხულობდეს. ნამდვილმა პროლეტარულმა მწერალმა პროლეტარიატის ცხოვრება უბრალო მასალად კი არ უნდა გამოიყენოს თავისი ნაწარმოებებისათვის; მისი ქმნილებანი რევოლუციის ცეცხლით უნდა სუნთქავდეს. ჯეკ ლონდონი პირველი და, ჯერჯერობით ერთადერთი, დიდი ტალანტის მქონე ნამდვილი პროლეტარული მწერალია ამერიკაში. მუშა მკითხველი კითხულობს ჯეკ ლონდონს. ეს ის ავტორია, რომლის ნაწარმოებების ერთხელ წაკითხვას არ სჯერდებიან და ხელმეორედ კითხულობენ ქარხნის მუშები, ფერმების მუშაკები, მატროსები, მეშახტეები, გაზეთის გამყიდველები. იგი მათ აერთიანებს ლიტერატურის საშუალებით; იგი მუშათა კლასის ყველაზე პოპულარული მწერალია ამერიკაში“.

შაბათის შეკრებები წინანდებურად მთელი კვირის სადღესასწაულო მოვლენად რჩებოდა, იმ განსხვავებით, რომ მეგობრები ახლა უფრო ადრე, დაბინდებამდე იკრიბებოდნენ. ჯეკი ყოველგვარ თავსატეხ გასართობთა თავგამოდებული ტრფიალი იყო. რა არ მოჰქონდათ მასთან: რებუსები, თავსატეხები, რაღაც საიდუმლოებათა შემცველი მექანიკური სათამაშოები, ყველა სახის ჩინური ბილიარდები. ბესი გულმოდგინედ ათვალიერებდა ჟურნალებს და აგროვებდა სათამაშოების რეკლამასთან დართულ კუპონებს, თავსატეხებსა და სახუმარო ამოცანებს. ვახშმად თხუთმეტი-ოცი კაცი გროვ-

დებოდა; მართავდნენ ცოცხალ სურათებს, აწყობდნენ პანტომიმებს, შარადებს; თავს იტეხდნენ ფოლადის გადაჭდობილი რგოლების გახსნაზე. სვამდნენ ძირგახვრეტილი ჭიქიდან, საიდანაც წყალი შადრევანივით ეღვრებოდათ ყელსახვევებზე; ჯიბეში ხელის ჩაყოფისას ამოჰქონდათ ხოლმე რაღაც ბეწვიანი პატარა თაგუნას მსგავსი. ისმოდა გაუთავებელი სიცილ-ხარხარი. მხიარულების სულის ჩამდგმელი ჯეკი იყო: მას უყვარდა სიცილი; იცინოდა მთელი სულითა და გულით, გულმოჯერებით, ვიდრე არაქათი გამოელეოდა: მას უსიხარულო ბავშვობა ჰქონდა და უნდოდა დაკარგული აენაზღაურებინა. თუნდაც აი, ასეთი გულუბრყვილო გართობებით.

გაცხარებული კამათის უცვლელი სარბიელი იყო მრგვალი მაგიდა, რომელზედაც ვახშმობდნენ ხოლმე. მასპინძელმა კარგად იცოდა, რითი შეიძლებოდა თითოეული მათგანის გამოწვევა; მოჩვენებით-სერიოზული რეპლიკებით მოთმინებიდან გამოჰყავდა სტუმრები, ვიდრე მათთან გენერალურ შეჯახებას არ მიაღწევდა. ამ შეკრებებზე ნელ-ნელა ჩნდებოდნენ ახალგაზრდა ქალებიც: ჟურნალისტები, მუსიკოსები, მწერლები; ვახშმის შემდეგ ცეკვავდნენ, მღეროდნენ და დაკვრითაც ერთობოდნენ. ევროპიდან დაბრუნდა მისის ნინეტა ეიმსის ძმისწული, პირველხარისხოვანი პიანისტი კლარა ჩარმიან კიტრეჯი. ჯეკი მის გვერდით ჩამოჯდებოდა ხოლმე პატარა სკამზე და სიამოვნებით უსმენდა, როგორ უკრავდა და მღეროდა იგი.

როცა მუსიკალური ნაწილი დამთავრდებოდა და ყველანი უფრო მშვიდ განწყობაზე დადგებოდნენ, ჯეკი გამოიტანდა რაც იმ კვირაში დაეწერა და ბუხართან მდგარ ტყავგადაკრულ სავარძელში ჩაჯდებოდა. ოთახში სინათლეს ჩააქრობდნენ და ხელნაწერის ფურცლებს მხოლოდ ბუხარში მოლაპლაპე ალი ანათებდა. იგი კითხულობდა, მეგობრები კი გულდასმით უსმენდნენ და შემდეგ თავიანთ შეხედულებებს უზიარებდნენ ერთმანეთს. ერთი, ზოგჯერ ორი საათიც კი გრძელდებოდა სჯა-ბაასი ლიტერატურაზე; შემდეგ ჯეკი რაიმე ახალ თავშესაქცევს წამოიწყებდა: გამოიტანდა ბანქოს და საზოგადოება განგებ ისეთ თამაშს ჩაუჯდებოდა, რომელიც უფრო მეტ სიცილსა და მხიარულებას გამოიწვევდა. გამარჯვება ან დამარცხება განა სულ ერთი არ იყო! ჯეკი ქანცის გამოლევამდე იცინოდა;

ფსონის მოგებისა თუ წაგების დროს ბავშვივით ღელავდა. ყველა, ვისაც კი შესაძლებლობა ჰქონდა დასწრებოდა ამ „ოთხშაბათობათა ღია კარებს“, დღემდე იხსენებს მათ, როგორც ცხოვრებაში ყველაზე საუკეთესო და ამაღელვებელ საღამოებს.

მსურველთათვის სახლში ყოველთვის ჰქონდათ ერთი გალონი წითელი, მეავე იტალიური ღვინო, ვისკი კი — არც ერთი წვეთი. აი, უკვე რვა-ცხრა წელი იქნებოდა. რაც ჯეკი აღარ სვამდა. როცა კლონდაიკში მიდიოდა, ჩილკუტის მწვერვალებზე გადასვლისას თან წაიღო ერთი კვარტი შოტლანდიური ვისკი და მხოლოდ ნახევარი წლის შემდეგ გახსნა იგი პირველად, რათა ნარკოტიულ საშუალებად გამოეყენებინა: ნახევარი ხახაში ჩაასხეს ერთ ოქროს მაძიებელს, რომელსაც ექიმმა ჰარვიმ ფეხი მოკვეთა; მეორე ნახევარი კი თვით ექიმმა შთანთქა. ავადმყოფი გადარჩა. . .

მაკ-კლურმა ჯერ კიდევ წლის დასაწყისში ურჩია ჯეკს ალასკის შესახებ მოთხრობების მეორე კრებული გამოეშვა. მასალა უკვე საკმაოდ ჰქონდა დაგროვილი. კრებული გამოვიდა მაისში სახელწოდებით „მისი მამების ღმერთი“. უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა ამ წიგნში მოთავსებულ მოთხრობათაგან ვერც ერთი ვერ შეედრება „ჩრდილოეთის ოდისეას“, მაგრამ შემოქმედებითი ოსტატობის საერთო დონე აქ უფრო მაღალია, ვიდრე პირველ კრებულში. ჯეკი განაგრძობს თხრობის მანერის რევოლუციურად გარდაქმნას; დაუნდობლად აძევებს მოთხრობიდან ყოველივე არაარსებითს, გარეგნულს, მოჩვენებითს, ფორმას ზიზილ-პიპილებს აცლის, რათა ხელი არ შეუშალოს მოქმედების განვითარებას. ამ მოთხრობებით მან დაამტკიცა, რომ ლიტერატურაში სიკვდილის თემა უფრო ძლიერია, ვიდრე სიყვარულისა. ზოგიერთ კრიტიკოსს მეორე კრებული ისე არ მოეწონა, როგორც პირველი, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, პრესის შეფასება ენთუზიაზმით იყო აღსავსე. აი, ერთი ამონაწერი „კომერციული განცხადებებიდან“: „მოთხრობები ღირს იმად, რომ მკითხველთა ფართო საზოგადოება ჰყავდეს და ჰყავს კიდევაც. მათში ხორცშესხმულია თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის ყველაზე უფრო საიმედო მიმართულებანი“. 1901 წლის ივლისში ჟურნალი „ნაცია“ ასე გამოეხმაურა ამ კრებულს: „მისი მამების ღმერთში“ მოთავსებული მოთხრობები ხასიათდება მკაფი-

ობით, სიმოკლითა და დრამატულობით. ზოგჯერ ენა ცოტა არ იყოს უხეშია, არც მაინც და მაინც სასიამოვნო. ცინიკური, კილო თავშეუკავებელი სითამამით აღსავსე, მაგრამ თუ თქვენ გსურთ წაიკითხოთ რაიმე საინტერესო, რომელიც გაგიტაცებთ და სულსა და გულში ჩაგწვდებათ — ამაზე უკეთეს წიგნს ვერც მოიფიქრებთ". სხვები წერდნენ: „პოს შემდეგ ჩვენი ყველაზე უფრო ძლიერი მწერალია...", „ახალი კიპლინგი დასავლეთიდან...", „ალასკისათვის იგივე გააკეთა, რაც ბრეტ-ჰარტმა კალიფორნიისათვის...", „გასაოცარი შთაბეჭდილებაა...", „წარმადობა და ძალა... გულახდილად; ცოცხლად... სიტყვის პირველხარისხოვანი ოსტატი... მწერლადაა დაბადებული... მახვილი დაკვირვების უნარი, რეალისტურობა... სიფაქიზე, სწრაფი ტემპი, სიმამაცე... ჯანსაღი ოპტიმიზმითაა აღსავსე... განაახლებს რწმენას ჩვენი რასის ძლიერებისადმი". უკმაყოფილების ხმებიც გაისმოდა: მოთხრობები ვულგარულია, სიმკაცრითაა აღსავსე, მეტისმეტად არასასიამოვნოა, აკლიათ ელვარება, დახვეწილობა და სიტყვაკაზმულობა.

ფელიქს პიანოს განსაცვიფრებელ სახლში, სადაც რამდენიმე ხნის წინათ ჯეკის ოჯახი გადასახლდა, სან-ფრანცისკოს გაზეთმა „ეკზამინერმა" რეპორტიორი და ფოტოგრაფი გამოგზავნა დავალებით — შეეგროვებინა მასალები ვრცელი კორესპონდენციისათვის, რომელსაც თან დაერთვოდა ჯეკისა და მისი სამუშაო ოთახის ფოტოსურათები. ექსცენტრიულმა იტალიელმა მოქანდაკემ ,ფელიქს პიანომ თავისი სახლის ფასადი თაბაშირის არაბესკებით, ლარნაკებით, ფავნებით, ანგელოზებით, ეშმაკებით, ფერიებით, კენტავრებით, ქერუბიმებითა და ვენახის ჩრდილში წამოწოლილი შიშველი ქალების ქანდაკებებით მორთო. ეს იყო როკოკოს სტილში შესრულებულ მორთულობათა მთელი კომპლექსი, სწორედ ის, რის წინააღმდეგაც იბრძოდა ჯეკი ლიტერატურაში. მძიმე დრო იყო და პიანომ თავისი სახლის დიდი ნაწილი უსასყიდლოდ დაუთმო ჯეკს მხოლოდ იმიტომ, რომ მდგმურების კმაყოფაზე ყოფილიყო. მართალია, სახლს გარედან რაღაც წარმოუდგენელი შესახედაობა ჰქონდა, მაგრამ შიგნით ბინა ხალვათი და მოხერხებული იყო.

„ეკზამინერში" მოთავსებული სტატიის შემდეგ ჯეკმა იგრძნო, რომ სან-ფრანცისკოს ყურეს რაიონში მან უკვე საყოველთაოდ მო-

იხვეჭა სახელი, მაგრამ ადგილობრივი მნიშვნელობის დიდებას არავითარი მატერიალური სარგებლობა არ მოჰქონდა. მრავალ წერილს იღებდა მისი ტალანტის თაყვანისმცემლებისაგან; ბევრი მათგანიდან ირკვეოდა, რომ მისი მოთხრობები და წერილები ყველაზე უფრო მოსწონდათ ქალებს. ისინი მას მრავალი სხვადასხვა სახის თხოვნით მიმართავდნენ. ერთ-ერთი ასეთი მანდილოსანი, თავისი მღვდლის რჩევით, ჯეკს სთხოვდა ეკისრა მისი ბავშვის მამობა: ბავშვი უზრუნველყოფილი იქნება შესანიშნავი სულიერი და ფიზიკური მემკვიდრეობით, — სწერდა იგი. ჯეკმა სულითა და გულით მოიწონა ამ ქალის წინადადების დარბაისლური ბიოლოგიური ბაზა, მაგრამ მაინც მოახერხა მისი თავიდან აცილება.

ჯეკი დიდ ვალებში ჩავარდა. ვისი არ გინდათ, რომ არ ემართა: მაღაზიის, გამსესხებელი დუქნისა და მეგობრების. „მისი მამების ღმერთის“ საავტორო ანარიცხებით დაიფარა მაკ-კლურისაგან მიღებული ავანსი; მომავალში კი გასამრჯელოს მიღების ძალიან ცოტა იმედი ჰქონდა. თუკი ჩეკი საიდანმე კიდევ მოდიოდა, მისი თანხა უკვე ერთი თვით ადრე იყო დახარჯული; მრავალი ნარკვევი და მოთხრობა გადასცა ჯეკმა ჟურნალებს, მაგრამ ფულის მიღებას ვერა და ვერ ეღირსა. არა ღირს ლიტერატურული საქმიანობა! თვეობით უნდა უცადო, ვიდრე გამომცემელი გადაწყვეტს, გამოადგება თუ არა შენი მოთხრობა. თუ აიღებს, რამდენიმე თვე კიდეც უნდა უცადო, ვიდრე დაბეჭდავს და შემდეგ კიდევ, ვიდრე ფულს მოგცემს. აღშფოთებული ჯეკი ცოფებს ჰყრიდა ასეთი სისტემის წინააღმდეგ. თუკი როცა ფეხსაცმელს ან ბოსტნეულს ყიდულობ, მაშინვე, ნაღდად უნდა გადაიხადო, რატომ გამომცემლები მაშინვე არ იხდიან საფასურს? რა უმართებულო დამოკიდებულებაა ადამიანისადმი, რომლის განსამრჯელო ასე ესაჭიროება ოჯახის საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას! ჯეკმა კიდევ უფრო მტკიცედ გადაწყვიტა, ბოლოს და ბოლოს აეძულებინა გამომცემლები მეტ ფასად აენაზღაურებინათ მისთვის.

ზაფხულში, როცა ჯეკმა ვალების გადახდის იმედი დაკარგა, იგი „ეკზამინერის“ რედაქციაში გამოიძახეს და სპეციალური წერილების წერა შესთავაზეს საკვირაო დამატებისათვის. ეს სწორედ ის განყოფილება იყო, რომლისთვისაც ოთხი წლის წინათ თავისი პირველი

ნარკვევი დაწერა, რათა ათი დოლარი ეშოვა ფლორას, ჯონი მილერისა და თავისი თავის გამოსაკვებად, ვიდრე ფოსტაში ადგილი განთავისუფლდებოდა. იგი წერდა სპორტულ მიმოხილვებს ბოქსზე; გემ „ორეგონის“ მოსვლაზე დაწერა ისტერიული სტატია, რითაც ადგილობრივი ლიტერატორების გულისწყრომა დაიმსახურა; შეთხზა წერილები „ქალიშვილთა დუელების“ შესახებ, ცივილიზაციის წიაღში ინდიელთა ტომის, უოშუს მოსვლაზე და ბოლოს, მთელი ათი დღე მოანდომა წერილებს გერმანულ „Schuetzenfest“-ის შესახებ. იგი ცდილობდა, სტატია ისეთი გესლიანი და გაბედული ყოფილიყო, როგორსაც „ეკზამინერი“ შეპირდა თავის მკითხველებს. წერილები რაღაც ნაძალადევი და ყალბი გამოუვიდა, სამაგიეროდ, რა რეალური იყო ის საკვები, რომელსაც მისი ოჯახი ღებულობდა!

აგვისტოში ჯეკს უბედურება ეწვია. რამდენიმე თვის მანძილზე მის მიერ დაწერილი მოთხრობების გადაკითხვისას, მაკ-კლურმა ბევრი მათგანი უარჰყო, მათ შორის „მრგვალპირსახიანი“ და „ნამ-ბო-კი — ტყუილების გუდა“; ჯეკის ტალანტში იმედგაცრუებული მაკ-კლური წერდა: „როგორც ეტყობა, თქვენი მუშაობა ისეთ მიმართულებას იღებს, რომელიც მიუღებელია ჩვენი ჟურნალისათვის. მე, რასაკვირველია, მესმის, რომ თქვენ თქვენი ტალანტის კარნახით მოქმედებთ. მაგრამ თუ შესაძლებლად არ სცნობთ მოგვაწოდოთ ჩვენთვის ვარგისი მასალები, როგორ ფიქრობთ, ხომ არ აჯობებდა შეგვეწყვიტა თქვენთვის ჯამაგირის გაცემა, ვთქვათ ოქტომბერში ან ნოემბერში?“ ეს მაშინ, როცა ექვსი სული სარჩენი ჰყავდა; შრებოდა შემოსავლის ერთადერთი საიმედო წყაროც!

მაკ-კლურმა აგრძნობინა, რომ თუ ძველებურად განაგრძობს წერას, ჟურნალი კარგ გასამრჯელოს გადაუხდის. თუ იგი მაკ-კლურს დაუჯერებს და შეეცდება კეთილსინდისიერად მიბაძოს თავის ადრინდელ ნაწარმოებებს, ანდა წინასწარ მიცემული სქემით იმუშავებს, შეიძლება კარგი საფასური მიიღოს. ხოლო, თუ იგი თავის ცნობისმოყვარე გონებას დაემორჩილება და შემდეგშიც განაგრძობს ადამიანთა მოქმედებისა და მხატვრული ფორმის ახალი, რევოლუციური სფეროების გამოკვლევას, მაშინ მას და მასთან ერთად იმათაც, ვინც მის კმაყოფაზეა, სანახევროდ მშიერი არსებობა მოელით. ამ ადამიანისათვის, რომელმაც ფიცი დადო, „აშკარა და თან-

შიმდევრული ცინიკი ყოფილიყო იქ, სადაც საქმე ფულს შეეხებოდა", მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება შეიქმნა მისაღები. იგი გულში დაემშვიდობა მაკ-კლურს და განაგრძო წერა იმაზე, რაც მის სულსა და გულს ეგუებოდა, რაზედაც, მისი რწმენით, საჭირო იყო წერა.

კიდევ ორი თვეც და მაკ-კლური შეწყვეტს ას ოცდახუთი დოლარის გადმოგზავნას. თუ ჯეკი გააფთრებით, თავგამოდებით იმუშავებს, ნუთუ ვერ შეძლებს რისიმე დაბეჭდვას, გამომცემლობათა სამყაროში ახალი გზების გამონახვას?



VI

„ახალი წელი ჩემთვის ჭღელვარებით, საზრუნავითა და იმედის გაცრუებით დაიწყო“. ვალებმა სამი ათას დოლარს მიაღწია. ისიც უბედურება იყო, რომ ხალხში სიმპათიითა და ნდობით სარგებლობდა და ამის გამო ყველა მეტად ხელგაშლილად აძლევდა სესხს. იმდენის შოვნა არ შეეძლო, რომ ყველა მის კმაყოფაზე მყოფი ერჩინა. მათი რიცხვი კი თანდათან მატულობდა. მუშაობა და სულ უფრო მზარდი დიდება ჯეკში კმაყოფილებას აღარ იწვევდა; მისი აზრით, როგორც ერთი, ისე მეორე, მეტად ნელა მიიწევდა წინ. მწუხარებას უმთავრესად გულგატეხილობის გამუდმებითი შემოტევები უორკეცებდა, რომელიც ჯერ კიდევ ადრე, ახალგაზრდობიდანვე აწუხებდა ხოლმე პერიოდულად. „გუშინ სადილად მოგვართვეს კუს წვნიანი და ნანადირევი, შამპანური და სხვა მრავალი საუკეთესო ღვინო, რომლებიც მე ჯერ არ მიგემნია. ისინი გულს სითბოს მატებენ და აზროვნებას — სიცხოველეს. გამახსენდა, ჩემი ახალგაზრდობის უბადრუკი ქეიფები (როცა ნაკლებ დამძიმებულ

გუნებაზე იყო, ეს ჭეიფები მას რომანტიულად ეხატებოდა). ცუდად ჩაცმულნი და ცუდად აღზრდილნი ხარბად ვსვამდით იაფფასიან, უვარგისსა და გულისამრევ სითხეს. თავი სიზმარში მეგონა და წუმპედან კუს წვენსა, ნანადირევსა და შამპანიურამდე ამობობღებული, მივხვდი, რომ იმასა და ამას შორის ერთადერთი სხვაობა — ეს არის მომწიფების პროცესზე ხელოვნების ზემოქმედების ხარისხი".

წუთიერ განცდათა გავლენით ნათქვამი მწარე, არაჯანსაღი სიტყვებია, არაფერს იმაზე მეტი, ვიდრე ჭმუნვის რეციდივი, გულზე რომ შემოწოლია დაუოკებელ ინდივიდუალისტს, რომელიც უფრო იმითაა დაკავებული, თუ როგორ დაიპყროს მსოფლიო. აი, რასა წერს თვითონ, გულზე შემოწოლილ მწუხარებას აყოლილი:

„რაში მდგომარეობს ამ ქიმიური ფერმენტის, ეგრეთ წოდებული, სიცოცხლის აზრი? გასაკვირი არაფერია, რომ საუკუნეთა მანძილზე პატარა, უმწეო ადამიანები ამ კითხვაზე პასუხის ძებნაში ღმერთებს ქმნიდნენ. პატარა ღმერთი — სიმპათიური შენაძენია. ყველაფერს ახსნის, მაგრამ რა გვეშველება ჩვენ? რა ვუყოთ იმათ, ვისაც ღმერთი არა სწამს? მატერიალისტური მონიზმი? სავსებით მიუღებელია".

საქმეთა მიმდინარეობის თვალსაზრისით, ჯეკს მაინცდამაინც არ გააჩნდა სულით დაცემის მიზეზი. 27 დეკემბერს მან წერილი მიიღო ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური გამომცემლობის, მაკმილანის კომპანიის პრეზიდენტის ჯორჯ რ. ბრეტისაგან. ბრეტი სწერდა, რომ ჯეკის ნაწარმოებები ყველაზე უკეთესია იმათ შორის, რაც ამერიკელ მწერლებს შეუქმნიათ ამ ჟანრში და, რომ კომპანია მხურვალედაა მოწადინებული ჯეკ ლონდონის თხზულებები გამოსცეს როგორც ამერიკაში, ისე ევროპაში. ამ წერილის პასუხად ჯეკმა ბრეტს მრავალი მოთხრობა გაუგზავნა ალასკისა და ინდიელების შესახებ „ყინვის შვილების" საერთო სახელწოდებით. სულ რაღაც ხუთი დღის შემდეგ, რაც „ქიმიური ფერმენტის, რომელსაც სიცოცხლე ეწოდება" — მელანქოლიური სენტენციები გაუჩნდა, მაკმილანმა მიიღო „ყინვის შვილები" და დათანხმდა ორასი დოლარი გადმოეგზავნა ავანსის სახით. პატია გაჰქრა! „არ ვიცი, — სწერდა იგი ბრეტს, — „ყინვის შვილები" არის თუ არა წინ გადად-

გმული ნაბიჯი ადრინდელ ნაწარმოებებთან შედარებით; ვიცი მხოლოდ, რომ ჩემს გულში ბევრი მნიშვნელოვანი წიგნია ჩამარხული. როცა მე ჩემს თავს ნამდვილად ვიპოვნი, ისინი ქვეყანას მოევლინება“.

თებერვალში დაიწყო „ხალხთა დიდი გადასახლება მთებში“. პიედმონტში ჯეკმა მოძებნა სახლი, ხუთი აკრი მიწის ფართობით; ნახევარზე მსხმოიარე ხეხილის ბაღი იყო გაშენებული, მეორე ნახევარი — ოქროსფერი ყაყაჩოებით იყო დაფარული. გარს შესანიშნავი ფიქვნარი ერტყა. სასტუმროს დიდი ოთახი ჰქონდა დათმობილი, სასადილო სექვოიას მოწითალო ხით იყო მოპირკეთებული; ფიქვნარის შუაგულში პატარა კოტეჯი იდგა ფლორასა და ჯონი მილერისათვის. ჩვენ „აქ შესანიშნავი ვერანდა გვაქვს — განიერი, გრილი, და მერე რა შესანიშნავი ხედია აქედან! ოცდაათ-ორმოცი მილის მანძილზე ყველაფერი ხელისგულივით მოჩანს: სან-ფრანცისკოს მთელი ყურე, მთელი მოპირდაპირე სანაპირო — მარინ კაუნთი, ტამალპაისის მთაც, რომ აღარაფერი ვთქვათ, „ოქროს კარიბჭესა“ და წყნარ ოკეანეზე. და ყველაფერი ეს თვეში 35 დოლარად!“

სახლი მუდამ სავსე იყო სტუმრებით. ზედმეტი ლოგინები იშვიათად თუ დარჩებოდა თავისუფალი. თუ აღმოსავლეთიდან რომელიმე მწერალი ჩამოვიდოდა, მას მაშინვე ჯეკს მიუყვანდნენ; გზადგამვლელი სოციალისტი ლექტორი იქნებოდა, თუ მსახიობი მუსიკოსი, საინტერესო მეგობრები თუ შეგობართა ნაცნობები — აქ ყველას გულთბილი მიღება ელოდა. ყველა გრძნობდა, რომ მისი მოსვლა უხაროდათ. ნაცნობთა წრე ფართოვდებოდა და ხარჯებიც მატულობდა... „ეკზამინერი“ ისევ ძველებურად აძლევდა ჯეკს სპეციალურ დავალებებს — ასე მაგალითად, ინტერვიუს აღება ფილიპინებიდან დაბრუნებული გუბერნატორის, ტაფტისაგან. „ღმერთო ჩემო, იძულებითი ნათითხნის რა გორებია დაგროვილი; როდის უნდა დავალწიო თავი ვალებს?“ — ბუზღუნით შესჩიოდა ჯეკი კლაუდსლი ჯონსს. ერთმა ოკლენდელმა ბაყალმა ჯეკს სთხოვა, გადაეხადა ვალი, რომელიც ასოცდათხუთმეტ დოლარს შეადგენდა. ჯეკი აენთო და მრისხანე ტონის წერილით მოითხოვა, თავი არ მოებეზრებინათ შეურაცხმყოფელი შეხსენებებით; ვაჭარს მართებს ზრდილობა დაიცვას, დაიცადოს; როცა მისი ვალის გადახდის რიგი მოაღ-

წევს, გადაუხდიან; არ გაბედოს მისი გაკოტრებულ მოვალედ გამოცხადება, ანდა რაიმე უსიამოვნების მიყენება, თუ არ უნდა, რომ კრედიტორთა რიგის ბოლოში თავისი ადგილი დაკარგოს.

ბაყალმა იფიქრა, რომ ეს წერილი მისთვის ცუდი რეკლამა არ იქნებოდა და იგი გაზეთების რედაქციებს გადასცა, რომლებმაც ის უდიდესი სიამოვნებით მოსდეს მთელ ქვეყანას სათაურით: მოვალე, რომელიც კრედიტორს რიგს უწესებს! არა, ასეთი დიდებული სურათის წინ თავის შეკავება შეუძლებელია! ამ შემთხვევიდან ჯეკს კარგი გაკვეთილი უნდა მიეღო და მომავალში წერილები უფრო თავშეკავებული ტონით დაეწერა, მაგრამ მან ეს მაინც ვერ შეითვისა.

ერთხელ წინადადება მისცეს გამოსულიყო ქალაქ სან-ფრანცისკოს ქალთა პრესის ასოციაციაზე. ჯეკი დათანხმდა ლექცია წაეკითხა კიპლინგზე, რომელსაც ამერიკელ მკითხველთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ვულგარულ-გაუთლელ ბარბაროსად თვლიდა. ლექციას ფართო რეკლამა გაუკეთეს; დიდი აუდიტორია შეგროვდა და თანაც არა ვიღაც-ვიღაცეები, არამედ ღირსშესანიშნავი ხალხი: მეტად მაცდუნებლად გამოიყურებოდა ჯეკ ლონდონის შეხვედრა რედიარდ კიპლინგთან. ჯეკი სცენაზე გამოვიდა და განაცხადა, რომ, საუბედუროდ, კიპლინგის შესახებ სტატია გაგზავნილი აქვს ერთი ინგლისური ჟურნალის რედაქციაში, რომელმაც შეიძლება იგი დაბეჭდოს. ვინაიდან ლექციის წაკითხვა არ შეუძლია, თუ მასალები ხელთ არ ექნება. იგი კიპლინგის ნაცვლად ლექციას წაიკითხავს „მაწანწალის“ თემაზე. ჯეკის ნაცვლად რომ ვინმე სხვა, უფრო ხათრიანი კაცი ყოფილიყო, მას ალბათ გაჰყინავდა სიცივის ტალღა, რომელიც მოედინებოდა დაძაბულ, უმოძრაოდ გაქვავებულ სან-ფრანცისკოელ მანდილოსანთაგან. მაგრამ ლექციის დასასრულს მათ თავის შეკავების უნარი დაკარგეს იმის გამო, რომ ჯეკი მაწანწალას ამართლებდა და მისი ამ მდგომარეობამდე მისვლის ბრალდებას საზოგადოებას აკისრებდა. გამძვინვარებული ქალები ისეთი გამეტებით დაესხნენ თავს ლექტორს, რომ თავმჯდომარე, ხელჩართული ჩხუბის თავიდან აცილების მიზნით, იძულებული შეიქნა კრება შეეწყვიტა. გაზეთებმა, რასაკვირველია, სრული ანგარიში მოათავსეს მომხდარი შემთხვევის შესახებ.

ყურესა და მის მიდამოებში ჯეკი უკვე დიდი ხანია ყურადსაღებ კოლორიტულ ფიგურად ითვლებოდა. ახლა მთელი ამერიკის მასშტაბით დაუმკვიდრდა მას განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი ადამიანის რეპუტაციაᲐ. აი რასა წერს ჟურნალ „მკითხველისაგან“ ჯეკთან ინტერვიუს მისაღებად გამოგზავნილი რეპორტიორი:

„ იშვიათია, რომ ვინმეს ისე ადვილად დაუახლოვდე, როგორც ჯეკ ლონდონს. იგი გულისხმიერი და გულწრფელია, ყოველგვარი პირობითობა მისთვის უცხოა; სამაგალითო მასპინძელია. თავისუფლად უჭირავს თავი, ბევრი რამ აქვს ბავშვური; კეთილშობილია, განუსაზღვრელად უბრალო, ორიგინალური და განსაკუთრებულად მიმზიდველი. სტუმარი თავიდანვე გრძნობს, რომ მას როგორც მეგობარს, ისე ეხვდებიან“. როგორც გადმოგვცემენ, თვითონ ჯეკი ამბობდა: „თუ მე რაღაც საკუთარი სტილი გამაჩნია, იგი ოფლის ღვრითაა შეძენილი, რკინის ქალამანი უნდა ჩაიცვა და ისე ეძებო შენი სტილი და თუ ზუსტად მას ვერ მიაღწევ, რაღაც მაინც შეგრჩება“. სან-ფრანცისკოს „ქრონიკლმა“, რომელმაც, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ მის დაბადებამდე, პირველმა დაიწყო ჯეკის რეკლამირება, მისი ფოტოსურათი მოათავსა და მთელი ორი გვერდი დაუთმო პიედმონტის ლიტერატურული კოლონიის აღწერას, რომლის ცენტრად დასახელებული იყო ფიჭვებით გარშემორტყმული ჯეკის სახლი.

ყოველდღიურ ლიტერატურულ მუშაობას გარდა, ჯეკი წერდა მოთხრობას ახალგაზრდობისათვის „მოგზაურობა „თვალწარმტაცზე“, სათავგადასავლო მოთხრობათა სერიას „ახალგაზრდობის თანამგზავრისათვის“ „სათევზაო პატრულის მოთხრობების“ ზოგადი სახელწოდებით. აგრეთვე სერიოზულ მოთხრობებს ალასკის შესახებ და „კემპტონისა და უეისის მიმოწერას“ ანა სტრუნსკაიასთან ერთად.

ეს უკანასკნელი წარმოადგენს რეალისტურ და რომანტიულ შეხედულებათა შედარებით ფილოსოფიურ ანალიზს. ავტორები უწინდებურად მიმოწერას მიმართავდნენ, როგორც თავისებურ საშუალებას ურთიერ სიყვარულში თავიანთი პოზიციის დასაცავად. ჯეკი, თავისივე თქმით, ბესიზე დაქორწინდა, როგორც „გონივრულ საწყისზე“. იგი წერდა: „ბიოლოგიური თვალსაზრისით, ქორწინება ეს არის დაწესებულება, რომელიც საჭიროა შთამომავლობის გა-

საგრძელებლად. რომანტიკული სიყვარული — გამოგონილი რამაა, რომელიც ადამიანის მიერ მოუფიქრებლადაა შემოღებული ბუნებრივ ურთიერთობაში. ეროტიული ლიტერატურა, თქმულებები დიდ სიყვარულსა და დიდ საყვარლებზე, სასიყვარულო სიმღერებისა და ბალადების ყვავილწნულები, სასიყვარულო ისტორიათა და თავგადასავალთა ზეპირგადმოცემანი, — ყველა ამათ გარეშე ადამიანი, მისთვის ჩვეული მანერით. უთუოდ ვერ შესძლებდა სიყვარულს". ბუნებით პოეტი ანა სტრუნსკაია კი დაჟინებით ამტკიცებდა: „განთიადის ვარდისფერი ნათელი ცის კაბადონზე, ხელის შეხება, ნაყოფთა ფერი და ფორმა და იდუმალი მწუხარების ცრემლები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ყოველივე ის, რაც გაუშვენებიათ და გამოუგონიათ პირველი სოციალური ხელშეკრულების დადების შემდეგ. განა შეიძლება ახსნა ცხოვრების ყვავილობა, მისი სიმშვენიერე და ხალისი, ყველაფერი, რაც სულსა და გულს მზის შუქით გივსებს, ყველაფერი. რაც გვეუბნება: გქონდეს იმედი, ეს ნიშნავს გაგაჩნდეს ცხოვრებისეული სიბრძნე?"

მარტისათვის მათ უკვე ორმოცდაათი ათასი სიტყვა ჰქონდათ დაწერილი და ჯეკი დარწმუნებული იყო, წიგნი გასაღდებოდა. სამუშაოების საჩქაროდ დამთავრების მიზნით, ჯეკმა ანა თავისთან მიიპატიჟა. ორი წლის შემდეგ, გაზეთების რეპორტიორთა დაჟინებით მოთხოვნაზე ანა სტრუნსკაიამ ამ ეპიზოდის შესახებ განაცხადა: „მისტერ ლონდონისაგან მივიღე წერილი, რომელშიც იგი მთხოვდა მასთან ჩავსულიყავი პიედმონტში ხელნაწერების დასახვეწად. ამ თხოვნას შეუერთდნენ მისი დედა და ცოლი. ვიზიტის პირველ დღეებში მისის ლონდონი ჩემს მიმართ გულთბილად იყო განწყობილი და დიდ ინტერესს იჩენდა ჩვენი სამუშაოსადმი. მაგრამ ხუთი დღის შემდეგ დავრწმუნდი, რომ იგი თანდათან მტრულად მეპყრობოდა.

მას ისეთი განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია, რომ მე თავი ზედმეტად მეგრძნო, მაგრამ ზოგიერთი ოდნავ შესამჩნევი ნიშნების მიხედვით დავასკვენი, რომ უკეთესი იყო წამოვსულიყავი. ცოლ-ქმარ ლონდონების შეგონებათა მიუხედავად, ასედაც მოვიქეცი. მისის ლონდონი და მე ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ, როგორც კარგი, გულითადი ნაცნობები. მეგობრული დამოკიდებულების გარ-

და, ჩემსა და მისტერ ლონდონს შორის არაფერი ყოფილა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არა მგონია მისტერ ლონდონი ისეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდეს, რომელთაც სინდისი ნებას აძლევთ ხოლმე საკუთარ სახლში სხვა ქალს ეარშიყონ. მას ჩემთან მუდამ უაღრესად წინდახედულად ეჭირა თავი. რაც ვნახე, იმის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ იმ დროს ჯეკი ცოლზე ჭკუას ჰკარგავდა".

ნამდვილად უმწიკვლო ანა სტრუნსკაია ჭეშმარიტ სიმართლეს ამბობს, ამას ჯეკიც ადასტურებს: „არა ქალურმა, არამედ მისმა ინტელექტუალურმა ღირსებებმა მომხიბლა. უპირველეს ყოვლისა, მასში იგრძნობოდა ინტელექტი და ნიჭიერება. საერთოდ, ნეტარებას განვიცდი, როცა ადამიანის სულში ვიქექები; ამ მხრივ კი ანა უშრეტ წყაროს წარმოადგენდა. „მრავალსახოვანი"—ასე შევარქვი მას. რა საალერსო სიტყვა შევურჩიე მას ჩვენი ახლო ურთიერთგანწყობის დასადასტურებლად? მისი ჭკუის ამსახველი, წმინდა ინტელექტუალური ტერმინი".

„თოვლის ქალიშვილის" გამოცემის უფლება მაკ-კლურს ეკუთვნოდა. მაგრამ მას ეს ნაწარმოები იმდენად არ მოსწონდა, რომ გამოექვეყნებინა, თუმცა ყოველი ღონე იხმარა, ის სხვა გამომცემლობას ცალკე წიგნად გამოეცა, რასაც კიდეც მიაღწია. „თოვლის ქალიშვილი" გამომცემლობა „ლიპინკოტმა" გამოსცა, რომელმაც სააკტორო ანარიცხების ანგარიშში შვიდას ორმოცდაათი დოლარი გადაუხადა ავანსად; ამ თანხიდან მაკ-კლურმა გამოქვითა რაც ჯერ კიდევ ერგებოდა ჯეკისაგან და დარჩენილი ას სამოცდახუთი დოლარი გადაუგზავნა. ჯეკს უნდოდა ხელნაწერი უკანვე დაებრუნებინა, მაგრამ უძლური იყო. თანაც, მართალია, ავანსი ცოტაა, მაგრამ ამით შეძლებს ყველაზე გულისგამაწყალებელი კრედიტორების გასტუმრებას. როცა ანაბეჭდი კორექტურისათვის გამოუგზავნეს, გული მოუკვდა: უარესს ვერც კი წარმოიდგენდა კაცი. ანაბეჭდებს კიდევ ახლები ემატებოდა. ბოლოს დარწმუნდა, რომ უიმედოდ ჩავარდნილი ნაწარმოების შესწორების ცდა უნაყოფო იქნებოდა.

21 ივლისს ჯეკმა დეპეშა მიიღო „ამერიკული პრესის" ასოციაციისაგან. წინადადებას აძლევდნენ სამხრეთ აფრიკაში წასულიყო კორესპონდენტად ინგლის-ბურების ომში. იმ დროს ჯეკის ვალი სამი

ათას დოლარს შეადგენდა. ბესი კვლავ ორსულად იყო, მაშასადამე, ხარჯები თავისთავად გაიზრდებოდა. მაგრამ მთავარი ეს კი არ იყო, არამედ ის, რომ მას ისევ უხმობდა თავგადასავლები. ერთი საათიც არ გასულიყო დეპეშის მიღებიდან, რომ თანხმობის პასუხი უკვე გაგზავნილი ჰქონდა. იმავე საღამოს მოემზადა, ხოლო მეორე დილას ოკლენდის იმ მიწაყრილთან, სადაც რვა წლის წინათ კელის მუშათა არმიის დაწევის მიზნით ცარიელ სატვირთო ვაგონში შეიპარა, ცოლი და ქალიშვილი გადაჰკოცნა და ჩიკაგოსაკენ გაემგზავრა. მატარებელში ერთმა შემთხვევითმა შეხვედრამ დააჩქარა მისი ცხოვრების მოვლენათა განვითარება. „ნება მომეცით მოგიყვეთ პატარა ეპიზოდი ჩემი ცხოვრებიდან, რათა თქვენთვის ნათელი გახდეს, რა ადვილად მიმონებს გრძნობა. გახსოვთ, სამხრეთ აფრიკაში რომ მივემგზავრებოდი? ჩემთან ერთად, იმავე ვაგონში მგზავრობდა ერთი ქალი ბავშვითა და მისი ძიძით. მგზავრობის დასაწყისშივე ჩვენ დავუახლოვდით ერთმანეთს და ჩიკაგომდე არ დავცილებივართ. ეს მხოლოდ წმინდა ფიზიკური ლტოლვა იყო და მეტი არაფერი. გარდა იმისა, რომ იგი მიმზიდველი ქალი იყო, ჩემთვის საინტერესო მასში ვერაფერი აღმოვაჩინე. ენება არ შეხებია გონებას. უფრო მეტიც, იმასაც ვერ ვიტყვი, რომ ერთიანად დაიპყრო ჩემი გრძნობა. გავიდა სამი დღე-ღამე და ჩემში არაფერი არ დარჩენილა“.

არაფერი, გარდა რაღაც სასიამოვნო მოგონებისა. ქალში იგი ყოველთვის აფასებდა სიხარულის მინიჭების უნარს. „ჩემი თვალსაზრისით, სხეული უმნიშვნელო რამაა. მთავარია სული. სხეული მე ისევე მიყვარს, როგორც ის ძველ ბერძნებს უყვარდათ. და მაინც სიყვარულის ეს ფორმა, არსებითად. სავსებით თუ არა, ნაწილობრივად მაინც, მხატვრულ ნაწარმოებს ენათესავება“.

იგი წერს: „იმ დღეებში მე თავისუფლად გადავაბიჯე ნებადართულის საზღვარს.“ მაგრამ ქორწინებიდან ორი წლის შემდეგ ალბათ ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მან თავის თავს ამის ნება მისცა. რაც შეეხება ამ პატარა ეპიზოდის ფსიქოლოგიურ შედეგებს. „საიდანაც ჩანს, თუ რა ადვილად მიმონებს გრძნობა“, ისინი მთელი სიძლიერით მხოლოდ მაშინ გამოვლინდა, როცა ჯეკი ინგლისიდან დაბრუნდა.

და, აი ზაფხულის პაპანაქებაში იგი ისევ ნიუ-იორკშია; ამჯერად მთავარ ქუჩებზე კი არ მათხოვრობს ცივი რძისა და წუნდებული ახალი წიგნების შესაძენად, არც სიტი ჰოლ პარკში წამოწოლილა მდელოზე; მან პირდაპირ მაკმილანის გამომცემლობას მიაშურა, სადაც პირველად შეხვდა ჟურნალის მფლობელს. ლიბერალსა და პატიოსან ადამიანს, რედაქტორის საქმის ოსტატს ჯორჯ პ. ბრეტს ძლიერ უყვარდა ლიტერატურა და ამავე დროს ერთგული მეგობრობაც შეეძლო. ქარიშხლისა და მღელვარების წლებში მას წილად ხვდა ჯეკ ლონდონის მფარველი ანგელოზი ყოფილიყო და მისი მგზნებარე თაყვანისმცემელი დარჩა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. ჯეკს გემზე მიეჩქარებოდა და ამიტომ სჯა-ბაასის დრო არ ჰქონდა. მაგრამ ერთზე კი მაინც შეთანხმდნენ: სამხრეთ აფრიკიდან დაბრუნების შემდეგ ჯეკი მუდმივ ურთიერთობას დაამყარებს გამომცემლობასთან და ყველა მის ნაწარმოებსაც მაკმილანის კომპანია გამოსცემს. გაიგო თუ არა ჯეკისაგან „კემპტონისა და უეისის მიმოწერის“ შესახებ, ბრეტმა მაშინვე თანხმობა განაცხადა წიგნის გამოცემაზე.

განზრახული იყო, რომ სამხრეთ აფრიკაში გამგზავრებამდე ჯეკი რამდენიმე ინტერვიუს აიღებდა ინგლისელი გენერლებისაგან ტრანსვაალის მომავლის გარკვევის მიზნით. მაგრამ ინგლისში ჩასულ ჯეკს დეპეშა დახვდა: შეიტყო, რომ მთელი ეს წამოწყება გადაიდო. იქითა და აქეთა გზის ხარჯები წინასწარ იყო გადახდილი. ცოტაოდენი ავანსი კი უკვე შემოხარჯოდა. გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა! იგი აღმოჩნდა ლონდონში — სახლიდან შვიდი ათასი მილის მოშორებით, ყოველგვარი სახსრისა და სამუშაოს გარეშე.

მაგრამ ჯეკი რის ჯეკია, თუ უცებ ვერ შეეგუება შექმნილ მდგომარეობას? სოციოლოგიის შესახებ წაკითხული შრომებიდან მან იცოდა, რომ ძნელია დასავლეთში უფრო საზარელი ჯურღმული მოიძებნოს, ვიდრე ლონდონის აღმოსავლეთის მხარე — ისტ-ენდია — ეს ნამდვილი მიწიერი ჯოჯოხეთი. ჯეკმა გადაწყვიტა, შეაღწიოს ისტ-ენდის სიღრმეში და გამოიკვლიოს მის ბინადართა ცხოვრების პირობები. მას დიდხანს არ უფიქრია იმაზე, რომ, არსებითად, ეს მეტად თავხედური და ძნელი წამოწყებაა — გაიაზრო და ანალიზი გაუკეთო სახელმწიფოს ერთ-ერთ ურთულეს ეკონომიურ პრობლემას იმ მიზ-

ნით, რომ შემდეგ შეარცხვინო და შეაძრწუნო ეს სახელმწიფო. გადამთიელს, რომელსაც სულ რამდენიმე დღეა, რაც ინგლისის მიწაზე დაედგა ფეხი, ასეთი საქმისთვის უგუნურება თუ არა, გამბედაობა მაინც სჭირდებოდა. იმავე დროს, ინგლისში უკვე გამოსული იყო მისი მოკლე მოთხრობების პირველი კრებული. უცნაურია, რომ კონსერვატულად განწყობილმა პრესამ ეს მოთხრობები კარგად შეაფასა; გამომცემლები მისადმი კარგად იყვნენ განწყობილნი. ამიტომ, სრულიად თავისუფლად შეეძლო ორ-სამი კვირა, თითქოსდა არდადეგებიაო, ინგლისელ ლიტერატორთა საინტერესო საზოგადოებაში გაეტარებინა. ამის ნაცვლად პეტიკოუტ ლეინში მოძებნა ნახმარი ტანსაცმლების სავაჭრო, შეიძინა საკმაოდ გაცვეთილი შარვალი, ცუდი პიჯაკი ერთადერთი ღილით, ნახშირის მტვირთავის მიერ დიდხანს ნახმარი ტლანქი ფეხსაცმელი, წვრილი ქამარი, მეტისმეტად გაქონილი კეპი და ისტ-ენდის შუაგულში გადაეშვა. ჯურღმულის ერთ-ერთ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ კვარტალში დაიქირავა ოთახი და თანდათანობით, სხვების შეუმჩნევლად შეუდგა მდგომარეობის გაცნობას. გამომცემლები შეძრწუნდნენ. ეს წარმოუდგენელია! მას თავისსავე ბუნაგში მოუღებენ ბოლოს! ჯეკს კი, ამ ხალხის შვილს, ეს შიში მხოლოდ სიცილს ჰგვრიდა.

იგი სამსახურიდან გამოგდებულ ამერიკელ მატროსად ჩათვალეს. მეზღვაური ჯეკი ისე ადვილად შეიჭრა თავის როლში, თითქოს მას არც კი განშორებოდეს. არც გარეშედ მიაჩნდათ და არც აკადემიური სიმაღლეებიდან ქედმაღლურად მაყურებელ მკვლევრად; იგი ისტ-ენდის ერთ-ერთი მაცხოვრებელთაგანი იყო. ადამიანს ყოველთვის როდი სწყალობს ბედი. მუშაობდა კაცი ზღვაზე, არ გაუმართლდა, უბედურება ეწია... მათ იგი თავის წრეში მიიღეს, ნდობა გამოუცხადეს და მასთან ერთად ბჭობდნენ კიდეც... ის, რაც ჯეკმა ამ დაღუპული ადგილის შესახებ გაიგო, ცოცხლად, ალალმართლად აღწერა წიგნში „ჯურღმულის ადამიანები". ეს წიგნი დღესაც ცოცხლობს და იგი მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ იმ კლასიკურ ნაწარმოებად ითვლება, რომელიც დამცირებულებსა და შეურაცხყოფილებს მიეძღვნა. „მე უბრალოდ მივუდექი საკითხს: ის, რაც სიცოცხლეს ახანგრძლივებს, სულიერსა და ფიზიკურ სიჯანსაღეს გვმატებს — კარგია, ხოლო ყველაფერი, რაც ამოკლებს, ასახიჩ-

რებს, ამახინჯებს ცხოვრებას და ტანჯვას იწვევს — ცუდია". ასეთი „უბრალო საზომით" მიუდგა იგი და დაადგინა, რომ ჯურღმულებში ცხოვრება, სადაც ლონდონის მოსახლეობის ერთი მეათედია დაბინავებული, ნიშნავს ნელსა და თანდათანობით სიკვდილს შიმშილისაგან. მთელი ოჯახები — მამა, დედა, ბავშვები — დღის უდიდეს ნაწილს მუშაობაში ატარებენ. მიუხედავად ამისა, ხელფასი ძლივს ყოფნით ბინის ქირის გადასახდელად. ერთადერთ ოთახში საჭმელსაც ამზადებდნენ, ჭამდნენ, ეძინათ და, საერთოდ, მიმდინარეობდა ცხოვრების ყველა ინტიმური მხარე. ავადმყოფობა, სასოწარკვეთილება და სიკვდილი—აი, ჯურღმულის ბინადართა განუყრელი თანამგზავრები. ჯეკი ხედავდა უსახლკარო კაცებსა და ქალებს, რომელთა ერთადერთი დანაშაული მხოლოდ სიღატაკე და ცუდი ჯანმრთელობა იყო. მათ ყველა იბრიყვებდა, აბუჩად იგდებდა და ისე უყურებდა, როგორც რომელიმე უხამს ქმნილებას. ჯეკმა ისიც მალე დაადგინა, რომ მათ შორის იყვნენ თანდაყოლილი უსაქმურები და არაფრისმაქნისი ლოთებიც; მაგრამ, ისევე როგორც ამერიკის გზებზე, იგი იქაც დარწმუნდა, რომ ისტ-ენდელთა ოთხმოცდაათი პროცენტი კეთილსინდისიერად შრომობდა, ვიდრე მოხუცებულობა, ავადმყოფობა ანდა საწარმოთა შეჩერება სამუშაოს ხელიდან არ გამოაცლიდა. ახლა უმუშევრები, ან უკეთეს შემთხვევაში შინ მომუშავენი, რომელნიც თავიანთ სენაკებში მუშაობდნენ პატაგონური სისტემით, ქალაქმა ბედისანაბარა მიატოვა განაჩენით: გაიხრწენით ნელ-ნელა, ვიდრე სიკვდილი ბოლოს არ მოგიღებთ და ამაზეც მადლობა თქვითო.

„ლონდონის უფსკრული — ეს უზარმაზარი სასაკლაოა. ამაზე უფრო სევდის მომგვრელ სანახაობას ვერც მოძებნით. ცხოვრება აქ ერთნაირად ნაცრისფრადაა შეღებილი; ყველგან ტალახია, იმედის ნიშანწყალი ან ნაპერწკალი არსაიდან მოჩანს. აბაზანა მათთვის აბსოლუტურად უცნობი საგანია; სისუფთავის დაცვის ყოველგვარი ცდა აქ სასაცილოდაც არ ჰყოფნით. მყრალ ჰაერში რაღაც უცნაური სუნი ტრიალებს; უფსკრულიდან მოედინება დამაჩლუნგებელი, ინერტულობამდე მიმყვანი ატმოსფერო, რომელიც გარს ეკვრის და ჰკლავს ადამიანს. წლიდან წლამდე ინგლისის სასოფლო რაიონებიდან აქეთ მოედინება ახალგაზრდა, ჯანსაღი ცხოვრების ნაკადი, რო-

მელიც მესამე თაობას ვერც კი აღწევს. მგლის ორმოს ძირში, რომელსაც „ლონდონს“ უწოდებენ, როგორც ყოველთვის, ისე დღესაც. ყოველწლიურად ოთხას ორმოცდაათი ათასი ადამიანი იღუპება რაიმე სარგებლის მოტანის გარეშე“.

ედუარდ მეშვიდის მეფედ კურთხევის დღეს ჯეკი ტრაფალგარის მოედნისაკენ გაემართა, რათა ეს შუა საუკუნეობრივი ბრწყინვალე, დიდებული, მაგრამ არაფრისმაქნისი მსვლელობა ენახა. მას თან გაჰყვნენ მტვირთავი, დურგალი და უმუშევარი მოხუცი მატროსი. ჯეკი მოწმე იყო, როგორ იყრიდა პირში ეს ხალხი მოლიპული ტროტუარიდან აღებულ ფორთოხლის ქერქს, ვაშლის ნაფცქვენს, მარცვლებგაცლილ ყურძნის მტევანს, ვაშლის გაშავებულ, ჭუჭყიან ნაღრღნებს, ბარდას მარცვლისოდენა პურის ნამცეცებს. „დაჟინებით გაიძახიან, თითქოს ჩემი კრიტიკა ინგლისში არსებული მდგომარეობის შესახებ მეტისმეტად პესიმისტურია. თავის გასამართლებლად უნდა მოგახსენოთ, რომ თუ სადმე არსებობს ოპტიმისტი — ეს მე ვარ. კაცობრიობის შესახებ მე არა იმდენად პოლიტიკური გაერთიანების მიხედვით ვმსჯელობ, რამდენადაც ცალკე აღებულ ადამიანთა მიხედვით. წინასწარ ვგრძნობ, რომ ინგლისელ ხალხს ბედნიერი, დიადი მომავალი ელის; ხოლო იმ პოლიტიკური მანქანისათვის, რომელსაც დღესდღეობით არ ძალუძს შეასრულოს თავისი ფუნქციები, მომავალში, სანაგვე ორმოს გარდა, ვერაფერს ვხედავ“.

ლონდონის მაძებარი პოლიციის ერთი აგენტისაგან ჯეკმა დაიქირავა ოთახი, თავშესაფარი, სადაც შეეძლებოდა აბაზანის მიღება, ტანსაცმლის გამოცვლა, კითხვა და წიგნზე მუშაობა რაიმე ეპვის გარეშე. სამი თვის განმავლობაში შეისწავლა ასობით ბროშურა, წიგნი და მთავრობის ანგარიშები ლონდონის ღარიბთა შესახებ; ესაუბრა უამრავ ქალსა და მამაკაცს; იღებდა ფოტოსურათებს და ფეხით შემოიარა ლონდონის მრავალი ქუჩა; ცხოვრობდა მუშათა სახლებში და ღარიბთა თავშესაფრებში, ხშირად რიგშიც იდგა უფასო სურსათ-სანოვაგისათვის; იძინებდა ახალ მეგობრებთან ერთად ქუჩებსა და პარკებში. ყოველივე ამის შედეგად შექმნა ნაწარმოები, რომელიც ნამდვილად შეიძლება ენერგიის, ორგანიზებულობისა და თემით მგზნებარედ გატაცების ზეიმად ჩაითვალოს.

ნოემბერში ჯეკი ნიუ-იორკში ჩამოვიდა და ჩემოდნით ხელნაწე-

რი ჩამოიტანა. მას იმედი ჰქონდა, მაკმილანი „ჯურღმულის ადამიანებს“ დაბეჭდავსო, მაგრამ თან დარწმუნებული იყო, რომ სოციოლოგიის საკითხისადმი მიძღვნილ წიგნში ბევრს ვერაფერს აიღებდა, განა ის არ იყო, ანა სტრუნსაკიას რომ განუცხადა, განზრახული მაქვს ნაწარმოებებში მივიღო ყველაფერი—თვით უკანასკნელ დოლარამდეც კი? იგი არ იყო, კლაუდსლი ჯონსს რომ სწერდა — კარგ ფასში მზადა ვარ ჟურნალებს სულიან-ხორციანად მივეყიდო? ფაქტიურად ეს კაცი საქმით უარყოფდა იმას, რასაც ქადაგებდა. უპირველეს ყოვლისა, იგი მწერალი იყო, შემდეგ სოციალისტი და უკვე ყოველივე ამის შემდეგ, დიდი თანხის შოვნის სურვილით შეპყრობილი საქმოსანი ყმაწვილი.

მეგობარი, რომელიც მას ნავსადგურში დაუხვდა, წერს:

„მას სრული, დაჭმუჭნილი ქურთუკი ეცვა, რომლის ჯიბეები წერილებითა და ქაღალდებით ჰქონდა გამოტენილი. შარვალი მუხლებთან ამობეროდა, პერანგს ეტყობოდა, რომ დიდიხანი იყო არ გაერეცხათ, ჟილეტი კი — საერთოდ არ ეცვა. წელზე ტყავის ღვედი ჰქონდა შემორტყმული, რომელიც შარვლის აჭიმის მაგივრობასაც სწევდა; თავზე პატარა კეპი ჩამოეფხატა“. რაც შეეხება ჯორჯ პ. ბრეტს, მას არაფერი არ შეუნიშნავს — მისთვის მხოლოდ ხელნაწერი არსებობდა; მან „ჯურღმულის ადამიანებში“ დაინახა ღრმა, ნამდვილი ნაწარმოები და სოციოლოგიური ხასიათის რამდენიმე გესლიანი კრიტიკული შენიშვნის შემდეგ, ხელნაწერი მაშინვე მიიღო გამოსაცემად.

„მინდა კლონდაიკს თავი დავანებო, — ეუბნებოდა მას ჯეკი, — ამ თემაზე დაწერილ ნაწარმოებებში უკვე ყველაფერი წვრილმანამდე ამოვწურე. დრო ა ძალ-ღონე უფრო მნიშვნელოვანზე მოვსინჯო; ვფიქრობ, ახლა ამის გაკეთებას შევძლებ. ექვსი ნაწარმოები მაქვს ჩაფიქრებული — ყველა რომანი. ორ წელი გავიდა ჩემი პირველი რომანის დაწერიდან. მას შემდეგ ცოტა როდი ვიმუშავე, გადავსინჯე ჩემი შეხედულებანი და დარწმუნებული ვარ, რომ შემიძლია რაღაც მნიშვნელოვანის შექმნა“.

ამაში არც ბრეტს ეპარებოდა ეჭვი. ჯეკის თხოვნაზე, ორი წლის განმავლობაში მაკმილანს ყოველთვიურად ას ორმოცდაათი დოლარი ეძლია მისთვის, გამომცემელი დათანხმდა. თავის მხრივ, კომპანიამ

უფლება მიიღო გამოეცა ყველაფერი, რასაც ჯეკი ამ ხნის განმავლობაში დაწერდა. გამომშვიდობებისას ბრეტმა მხოლოდ ერთი რჩევა მისცა, რომელიც მართლაც ყველაზე უკეთესი იყო, რაც ჯეკს ოდესმე ვინმესგან მიეღო:

„იმედი მაქვს, ამიერიდან შესძლებთ დახელოვნებას და შომავალში თქვენი ახლანდელი ნაწარმოებები საწინდარი იქნება ისეთივე წარმატებისა, როგორც ოდესღაც თქვენს პირველ ნაწარმოებებს ხვდათ წილად. უკანასკნელ ნაწარმოებებში ეს წინსვლა ისე შესამჩნევი არ არის, მათ სიჩქარის კვალი აჩნიათ. ლიტერატურის სამყაროში მხოლოდ ყველაზე საუკეთესოს უნდა დაეთმოს ადგილი, რისი შექმნაც ადამიანს შეუძლია“.

„ჩემს მიზანს არ შეადგენს, რაც შეიძლება მეტი დავწერო, — უპასუხა ჯეკმა. — ოღონდ როგორმე შევძლო ფეხზე წამოდგომა, შემდეგ კი წელიწადში საკმარისი იქნება ერთი, სამაგიეროდ, კარგი ნაწარმოები. მე ახლაც არა ვთვლი თავს ნაყოფიერ მწერლად. საერთოდ, ძალიან ნელა ვწერ, ხოლო თუ უკვე ბევრი მოვასწარი, ეს იმიტომ, რომ ყოველდღე დაუსვენებლად ვმუშაობ. დღევანდელ მუშაობაზეა დამოკიდებული, გვექნება თუ არა ხვალ საქმელი. ენერგიას ვხარჯავ ყოველგვარ დღიურ სამუშაოზე. როცა ვითარება შეიცვლება და შემეძლება აუჩქარებლად, გულმოდგინედ დავხვეწო და შევარჩიო საუკეთესო, მაშინ დარწმუნებული ვარ, ნამდვილად კარგად დავწერ“.

მატარებლის პულმანის ვაგონში, რომელიც მას დასავლეთისაკენ მიაქროლებდა, ჯეკმა სავარძელზე დააწყო სამი წიგნი — „თოვლის ქალიშვილი“, „მოგზაურობა „თვალწარმტაცზე“ და „ყინვის შვილები“, რომელნიც ნიუ-იორკში, მის დაბრუნებამდე რამდენიმე კვირით ადრე, ოქტომბერში, გამოეცათ. თუ რაღაც ერთ თვეში ერთი ავტორის სამი ნაწარმოები გამოდის, ცხადია, ეს იმდენად რეკორდი არაა, რამდენადაც სწორედ ის განუსჯელი სიჩქარე, რომლის შესახებ სავსებით მართებული და საქმისათვის სასარგებლო იყო ბრეტის საყვედური. ახლა, გადაწყვიტა მან, „როცა რომელიღაც ერთ გამომცემლობასთან კავშირი დამყარებულია“, თავის საქმეებს უკეთ წარმართავს. წიგნების გვერდით გაზეთების ამონაჭრები დაგროვდა. საჭიროა გაიგოს, როგორ გამოეხმაურა პრესა მის ნაწარმო-

ებებს. ლიპინკოტის გამომცემლობის მიერ გამოშვებულ „თოვლის ქალიშვილზე“ ბევრი მკვეთრი კრიტიკული შენიშვნა იყო. ავტორს უსაყვედურებდნენ, რომ მან ვერ შეძლო რომანის აგება, რომ ფრონა უელსი დამაჯერებლად არაა მოცემული. კრიტიკოსების სხვა შენიშვნები სავსებით მოსათმენი იყო; აღფრთოვანებით აღნიშნავდნენ ნაწარმოების ქმედით, თვალსაჩინო სტილს და წინასწარმეტყველებდნენ, რომ მეორე რომანი უკეთესი გამოუვიდოდა. ჯეკმა, თავისუფლად ამოისუნთქა: იგი მოელოდა, რომ ნაცარტუტად აქცევდნენ! „სენჩური კომპანის“ მიერ გამოცემულ წიგნზე — „მოგზაურობა თვალწარმტაცზე“ — კრიტიკა უფრო ზომიერ ტონებში იყო მოცემული. რომანი ხომ ახალგაზრდობისათვის იყო განკუთვნილი და იგი მეტს არც მოელოდა, ამ სამიდან ყველაზე მნიშვნელოვანმა — „ყინვის შვილებმა“—ალასკელი ინდიელების შესახებ (ეს ჯეკის პირველი ნაწარმოებები იყო, რომელიც მაკმილანმა გამოსცა)—ჯეკს ამერიკაში ცენტრალური ადგილი დაუმკვიდრა მოკლე მოთხრობების ჟანრში.

უკან გადაწოლილი, ხილვადაკარგული გამოხედვით აცილებდა სარკმელში გაელვებულ ადგილებს. ჯეკი კმაყოფილებით იგონებდა მდიდარი მოვლენებით აღსავსე იმ წლებს, როცა მიზნად დაისახა ამერიკულ ლიტერატურაში მოთხრობების ჟანრი აღედგინა. მოგონებები უნებლიეთ გადაიხლართნენ ქება-დიდებით აღსავსე სტრიქონებში, რომელთაც კრიტიკოსები არ იშურებდნენ „ყინვის შვილების“ შეფასებაში. „თხრობის ოსტატი, რომლის ბადალი მეტად მცირეა... დარგი, რომელიც მას გამარჯვებულის უფლებით ერგო... განსაცვიფრებელი ლიტერატურული მიღწევაა... იგი ურყევად დარჩება... ფართო აღიარებას მოიპოვებს და საუკუნეებს შემორჩება“. ჯეკი ბედნიერებასა და სიამაყესთან ერთად ნათლად გრძნობდა, რომ ეს მხოლოდ პირველი საფეხურია, რომ ბრძოლა მხოლოდ ახლა იწყებოდა. იგი ფიქრობდა და გეგმებს აწყობდა. რაც უკვე გაკეთებული აქვს მოთხრობისათვის, იმასვე გააკეთებს რომანისთვისაც. ეს იყო აღთქმა. მელვილის შემდეგ ამერიკულ ლიტერატურას არ შემატებია სერიოზული რომანი ზღვის თემაზე. იგი კი ამ ხარვეზს შეავსებს. ამერიკულ ლიტერატურას ჯერ კიდევ არ მოეპოვება დიდი პროლეტარული რომანი. იგი შექმნის ასეთ რომანებს. ისინი მოეწონებათ

კრიტიკოსებსა და მკითხველებს — ამაზე თვითონ იზრუნებს! უფრო მეტიც — იგი შეეცდება დააჩქაროს სოციალისტური რევოლუცია. სამუშაო უამრავია; ყველა ამ ჩანაფიქრის განხორციელებას თუ მეტი არა, ოცი წელი მაინც დასჭირდება. ვიდრე მის მიწიერ ცხოვრებას ბოლო მოეღებოდეს, იგი, რადაც არ უნდა დაუჯდეს, შეასრულებს ჩაფიქრებულ პროგრამას.

პიედმონტში ჩასულ ჯეკს იქ ელიზა დაუხვდა; თურმე უკვე ექვსი კვირა იყო, რაც ელიზა მათთან ცხოვრობდა და ფლორასა და ბესის შორის მშვიდობიანობას ამყარებდა. ოჯახში ჯეკის დაბრუნება სასიხარულო ამბავი იყო; 1902 წლის 21 ნოემბრის თარიღით ბრეტისადმი მიწერილ წერილში ჯეკი მოკლედ ჰყვება, თუ როგორ ცხოვრობს. „ვინაიდან, შექმნილი მდგომარეობის გამო, ოჯახი ისედაც მაწვა კისერზე, — წერდა ის, — გადავწყვიტე ბოლომდე მეგემნა ოჯახური სიხარულიც და ცოლი შევირთე. მართალია, ოჯახური უღელი დამძიმდა, მაგრამ ამის გამო ერთხელაც არ მიკბენია თითზე, პირიქით, ჭარბად, ერთიორად ვარ დაჯილდოებული“.

სამუშაო ჯეკს იმაზე მეტი ჰქონდა, ვიდრე ოდესმე: ახალ ნაწარმოებებს გარდა, „კემპტონისა და უეისის მიმოწერის“ ანაბეჭდებიც ელოდებოდა; „ჯურღმულის ადამიანების“ ხელნაწერსაც შესწორება და დამატება ესაჭიროებოდა. წიგნებისა და მოთხრობათა გამოცემების მოსამზადებელი სამუშაოების გამო თავის მოსაფხანი დროც აღარ ჰქონდა. იგი ისე ნეტარებდა ამ არეულ-დარეულობაში, რომ წინანდელ დღის რეჟიმს დაუბრუნდა: ცხრამეტი საათი მუშაობას, ხუთი—ძილს. ისვენებდა მხოლოდ ოთხშაბათობით, „ღია კარების“ საღამოებზე, როცა თავს იყრიდნენ ძველი მეგობრები (მათთან ერთად ახლებიც), პოკერს თამაშობდა და მეგობრებს აცნობდა ინგლისურ ეშმაკურ თავსამტვრევებს, რომელნიც სახელდახელოდ ეყიდა წამოსვლის წინ და თავის ერთადერთ ჩემოდანში ჩაეჩარა.

ბესიმ მოიმშობიარა და თავის მეუღლეს კიდევ ერთი ქალიშვილი შესძინა. ამჯერად ჯეკს ხელები არ გადაუჭრია, მაგრამ გადაჭრილი აღმოჩნდა იმ იმედის ძაფი, რომ ოდესმე ვაჟი ეყოლებოდა, რომელსაც გადასცემდა არა მარტო სახელს, არამედ ლიტერატურულ ტრადიციებსაც. იგი ისე განიცდიდა და წუხდა, რომ დარდისაგან

ავად გახდა. ამის შემხედვარე ბესიმ ვეღარ გაუძლო ჯეკის ასეთ მდგომარეობას და თვითონაც ჩაწვა.

დღე დღეს მისდევდა, მაგრამ ჯეკმა ვერაფრით ვერ შესძლო თავი ენუგეშებინა, ვიდრე ახალმა იდეამ არ გამოიყვანა ინდიფერენტულობისაგან. ჩაიფიქრა, დაეწერა სამი-ოთხი ათასსიტყვიანი მოთხრობა ძაღლზე, რომელიც ჩამოგავდა ერთი წლის წინათ ამავე თემაზე დაწერილ ამბავს. ოთხი დღის შემდეგ ჩაფიქრებული ოთხი ათასი სიტყვა უკვე დაწერილი ჰქონდა, მაგრამ თავისსავე განსაცვიფრებლად, ჯეკმა შენიშნა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. მოთხრობა იზრდებოდა და მასში ისეთი ნოტები აჟღერდა, რომლებზე ჯეკს არც უფიქრია. გადაწყვიტა მისთვის „წინაპართა ძახილი“ ეწოდებინა; დაე, რამდენიც გამოვა — გამოვიდეს: ახლა თვით ნაწარმოებია მისი ბატონი, ჯეკი კი — მოსამსახურე, მისი საქმეა წეროს და წეროს. აქამდე არც ერთ ნაწარმოებს არ გაუტაცნია იგი ასეთი სიძლიერით. ჯეკი მეტად კმაყოფილი იყო ამ ოცდაათი დღით: იმდენი სამუშაო ჰქონდა, რომ თავის ასაწევადაც არ ეცალა. უხეშ ქაღალდზე წერდა თავისი შსხვილი ფანქრით, მხოლოდ ზოგ ადგილას ორ-სამ სიტყვას თუ შეცვლიდა და ფურცელს ფურცელზე აწვდიდა მეგანქანეს. გადაავიწყდა ყველა და ყველაფერი: მეგობრები, ოჯახი, ვალები, ახლახან დაბადებული ბავშვი და ანაბეჭდებიც კი, რომელთაც შეკვრას შეკვრაზე უგზავნიდა ყოველდღე მაკმილანი. მისთვის მხოლოდ მისი ბეკი — სენბერნარისა და შოტლანდიური ჯიშის ნაგაზის ნარევი — არსებობდა; ძაღლი მანამდე ცხოვრობდა სანტა-კლარას ხეობაში მდებარე რანჩოში განცხრომით, როგორც აზნაური თავის ადგილ-მამულში, ვიდრე ერთხელ ხელი არ სტაცეს და გემით კლონდაიკის პირველყოფილ თოვლის უდაბნოსაკენ არ გაუყენეს გზას.

მაგრამ, აი დადგა „ღია კარების ოთხშაბათი“ და მეგობრებმა ერთიორად აინაზღაურეს გაცდენილი ოთხშაბათები. იმ საღამოს არავის ეცალა ბანქოსათვის, არც თავშეუკავებელი მხიარულებისა და ხუმრობისათვის. სტუმართაგან ზოგმა ფანჯარასთან მდგარ სავარძლებში მოიკალათა, ზოგმაც იატაკზე მიმოყრილ ბალიშებზე; მასპინძელი კი ბუხართან მდგარ მოხერხებულ სავარძელში ჩაჯდა და კითხვას შეუდგა. მონაცრისფრო-ლურჯმა თვალებმა მკაცრი გა-

მომეტყველება მიიღო. თითებით ჩვეულებისამებრ თმებს იბურძგნიდა. კითხულობდა ბეკის, კეთილშობილი ძაღლის ისტორიას, რომელსაც ერთგულად უყვარდა ადამიანი, ვიდრე ტყის ძახილმა და ბუნდოვანმა მოგონებამ წინაპრების — გ ა რ ე უ ლ ი მგლების — შესახებ, იგი პირველყოფილ ცხოვრებას არ დაუბრუნა. ჯეკი კითხულობდა, ოთახში ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით. ღამის პირველ საათზე კითხვა დაამთავრა. ლაპარაკის მოყვარულმა სტუმრებმა, როგორც იქნა, რამდენიმე სიტყვის თქმა ძლივს მოახერხეს. მაგრამ გაბრწყინებულ თვალებში ჯეკმა ადვილად ამოიკითხა მათი აზრები. როგორც იქნა! მაშასადამე, ტყუილად როდი წერს სამი წლის განმავლობაში ალასკაზე; დადგა მომენტი, როცა მან ისე უმწიკვლოდ და სრულყოფილად შეძლო თავისი ჩანაფიქრის მხატვრულ ფორმაში ჩამოყალიბება, რომ მსმენელებმა ამ მოკლე დროში მასთან ერთად განიცადეს მისი შთაგონება.

დილით ხელნაწერი კონვერტში ჩადო, შიგ მეორე ცარიელი კონვერტიც ჩაატანა, იმ შემთხვევისათვის, თუ უკანვე დაუბრუნებდნენ, მარკები დააკრა და ყველაზე პოპულარული ჟურნალის — „სატერდეი ივნინგ პოსტის“ რედაქციას გაუგზავნა. მისი მესვეურნი უფრო მეტს უხდიდნენ ავტორებს, ვიდრე სხვები. ამ რედაქციაში ჯეკი არავის იცნობდა; მის ნაწარმოებებს იქ გულთბილად არასოდეს ღებულობდნენ და ამიტომ დიდი იმედიც არ ჰქონდა, რომ რომანს ჟურნალში მოუთავსებდნენ. მაგრამ „ხელნაწერების ერთი კონვერტიდან მეორეში გადასალაგებელი ის გონებამახვილური მექანიზმი“, რომელსაც ისე გაშმაგებით ესხმოდა თავს ამ ოთხიოდე წლის წინ, როცა ჯერ მხოლოდ ახალბედა იყო, ამჯერად არ ამუშავდა. „სატერდეი ივნინგ პოსტმა“ ავტორის მიერ გაგზავნილი სუფთა კონვერტით არ ისარგებლა; მის ნაცვლად ჟურნალმა სხვა, თხელი და მოგრძო კონვერტი გამოუგზავნა, რომელშიაც ორი ათასი დოლარის ჩეკი იყო. თანაც წერილით ატყობინებდნენ, რომ ნაწარმოებს სიამოვნებით ღებულობენ.

ორი ათასი ერთი თვის მუშაობაში! იგი ყოველთვის ამბობდა, რომ სერიოზული ლიტერატურა ნაზღაურდებოდა, რომ წერას განაგრძობს თავისებურად და აიძულებს გამომცემლებს აღიარონ მისი ნიჭი. ორი ათასი დოლარი... ყველაფერს და ყველას ეყოფა: უმ-

ცროსი ქალიშვილის ექიმს, ბესის და ჯონი მილერის დედას, ფლორას ექიმებს; ანგარიშები ხომ უკვე დაგროვდა; საჭიროა გადაუხადოს დამზღვევ კომპანიას, უნივერსალურ მაღაზიას, ყასბებს, ბეაფთიაქეებს, მკერავს, საკანცელარიო ნივთების მაღაზიას — ყველაფერ ამას ხომ ასობით დოლარი სჭირდება. გაჭირვებაში მყოფ მეგობრებსაც უნდა დაეხმაროს! ამას გარდა, მას სჭირდება მინებჩასმული ახალი წიგნების კარადა! და კიდევ, აღმოსავლეთიდან უნდა გამოიწეროს ორმოცი წიგნი სიის მიხედვით... ამასაც ეყოფა! ასეთი დიდი სიხარული მას არ ახსოვს „ჩრდილოეთის ოდისეას“ დასაბეჭდად მიღების დღიდან. ესეც არაა გამარჯვება? სამოცი დღეც არ გასულა მას შემდეგ, რაც ნიუ-იორკიდან მომავალმა მატარებელში მიიღო გმირული გადაწყვეტილება, და აი, დაიწყო კიდეც ამერიკული რომანის აღორძინება. მასთან თავი მოიყარა ყველა იმ მეგობარმა, ვინც „წინაპართა ძახილის“ კითხვას დაესწრო: ყოველი მათგანის სურვილი იყო მიელოცა, ხელი ჩამოერთმია და მხარზე შეშოეკრა გამხნევებისა და შექების ნიშნად... მოდი და ნუ მოატანინებ ერთ გალონ მჟავე იტალიურ ღვინოს და შემთვრალი არ მიეცემი მომავლის საამურ ოცნებებს!

საქმეები გამოკეთდა; მეგობრებს ახლა უფრო ხელგაშლილად უხვდებოდა, ბესის დამხმარედ მეორე ხელზე მოსამსახურე დაიქირავა, რადგან იგი ჯერ კიდევ ვერ გამოჯანმრთელებულიყო და მუშაობა უმძიმდა. ახლა სახლში ლამაზი ქალებიც მოდიოდნენ; შემოქმედების მწვერვალების წარმატებითი იერიშის შემდეგ ჯეკი უკვე აღარ გაურბოდა ამდაგვარ სიამოვნებას. მის ქორწინებას მართლაც აკლდა ვნებითი აღგზნება. ეს რომ ასეც არ ყოფილიყო, სულ ერთია, ჯეკს ვერ ვუსაყვედურებთ, რადგან ერთად ცხოვრების ოცდათექვსმეტი თვის განმავლობაში თვრამეტი თვე ბესი ბავშვებს ელოდებოდა და მშობიარობის შემდეგ, თითოეულზე, სულ მცირე, ექვსი თვე მაინც ექიმობდა. ამის ატანა ძნელი იყო მჩქეფარე ტემპერამენტის მქონე ადამიანისათვის, რომელიც ქალის სიახლოვეს მიჩვეული იყო ჯერ კიდევ იმ სამახსოვრო დღეებიდან, რომლებიც მან მემისთან გაატარა „რეზლ-დეზლის“ გემბანზე; არც ის სამი დღე-ღამე წაშლილა მისი მეხსიერებიდან, რომელიც ჩიკაგოში მიმავალმა მატარებლის თანამგზავრთან გაატარა. მისთვის უკვე აღარ

ერსებობდა ვალდებულებანი, რომელნიც თავის შეკავებისაკენ მოუწოდებდა, თუმცა სამი წელიც არ გასულიყო მას შემდეგ, რაც წერდა:

„ჩემს დიდ გულს ბევრის მოთმენა შეუძლია; უთავბოლო ხეტიალის ნაცვლად თავს აღვირს ამოვდებ; ამით უფრო ავმაღლდები და უნაკლო ადამიანი შევიქნები“.

„თქვენთვის ცნობილია ჩემი მორალური პრინციპები, — წერდა იგი მოგვიანებით. — იმ პერიოდის ვითარებაც ცნობილია. იცით, რომ მე სინდისის ქენჯნას არ განვიცდიდი იმის გამო, რომ ხელიდან არ ვუშვებდი სიამოვნების მიღების შესაძლებლობას“. იგი რომ მართლაც ხელიდან არ უშვებდა ასეთ შემთხვევას, ეს ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ასეთ ფიზიკურ კავშირს იგი სიყვარულს არ უკავშირებდა. ეს მხოლოდ გრძნობადი აქტი იყო, რომელიც ორივე მხარეს სიამოვნებას ანიჭებდა და, მაშასადამე, ჯეკის აზრით, — ის ხომ გედონისტი იყო — ასეთი საქციელი იმდენად უფრო სათნოა, რამდენადაც მეტი უწყინარი სიამოვნების მოტანა შეუძლია. „დიახ, მე ვყაჩაღობდი, დავძრწოდი, ვუთვალთვალებდი მსხვერპლს, მაგრამ ეს მსხვერპლი არასოდეს არ ჩამიგდია ხელში მოტყუებით. წარმატების მიღწევის მიზნით არასდროს არ მითქვამს „მიყვარხარ“, თუმცა ხშირად ამის თქმა სავსებით საკმარისი იქნებოდა. ქალების მიმართ უაღრესად პატიოსანი ვიყავი, არასდროს არ ვითხოვდი იმაზე მეტს, რისი ანაზღაურებაც მე თვითონ არ შემეძლო. ან ვყიდულობდი ან ვიღებდი იმას, რასაც საკუთარი ნება-სურვილით მაძლევდნენ, სამაგიეროდ, საზღაურს სინდისიერად ვუბრუნებდი; არასდროს მითქვამს ტყუილი იმ მიზნით, რომ საწადელისათვის მიმეღწია, ანდა მიმეღო ის, რასაც სხვა გზით ვერ მივაღწევდი“. ჯეკი თავის გამართლებას ცდილობს: „მამაკაცს შეუძლია სიყვარულის გარეშეც აპყვეს თავის გულისთქმას, იგი ასეა შექმნილი. დედა-ბუნება დაჟინებით მოუწოდებს მას შთამომავლობის გაგრძელებისაკენ და მამაკაციც მის მოთხოვნას იმიტომ კი არ ემორჩილება, რომ იგი ცოდვილია თავისი ახირებულობის შედეგად, არამედ იმიტომ, რომ მას მძიმე ტვირთად აწევს კისერზე ბუნების ეს კანონი“.

მაკმილანისათვის შედგენილ ნაწარმოებთა სავარაუდო სიაში ჯეკს არ შეუტანია „წინაპართა ძახილი“, რადგან მაშინ აზრადაც არ

მოსვლია, რომ ამ ნაწარმოებს დაწერდა. ახლა ბრეტს გაუგზავნა ხელნაწერი. პასუხი 5 მარტს მიიღო. ბრეტს სახელწოდება არ მოსწონდა. „რაც შეეხება თვით ნაწარმოებს, ის მე ძალიან, ძალიან მომწონს. თუმცა, მართალი გითხრათ, ეს ნაწარმოები იმდენად კარგია და დამაჯერებელი, რომ მეშინია, ვაითუ ვერ დაიმსახუროს ნამდვილი სიყვარული სენტიმენტალური საზოგადოებისა, რომელიც აღფრთოვანებით იტაცებს სეტონ-თომპსონს". შემდეგ ბრეტი ურჩევდა არა ხელშეკრულების დადებას, რომელიც საავტორო ანარიცხებს ითვალისწინებდა, — ეს გამოიწვევდა გამოცემის დაგვიანებას, — არამედ წიგნის გაყიდვას, რათა იგი დაუყოვნებლივ დაებეჭდათ. „ამ წიგნთან დაკავშირებით მე მინდა ერთი ექსპერიმენტი ჩავატარო: მიმზიდველად გავაფორმო და თანაც დიდი თანხები დავხარჯო მისთვის გზის გასაკაფავად. ეს ხელს შეუწყობს თქვენი წიგნების სწრაფად გაყიდვას, თანაც არა მხოლოდ უკვე გამოცემულებს, არამედ იმათაც, რომელნიც მომავალში გამოიცემა. ჩემს მიზანს სრულიადაც არ შეადგენს თქვენი შეხედულების შეცვლა. საბოლოო გადაწყვეტილება მთლიანად თქვენზეა დამოკიდებული. თუ თქვენ არ გაწყობთ, რომ ფული ახლავე მიიღოთ, ჩვენ წიგნს გამოვცემთ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში".

„სატერდეი ივნინგ პოსტიდან" მიღებული ორი ათასი დოლარი უკვე დახარჯული იყო. ასორმოცდაათი დოლარი, რომელსაც მაკმილანის კომპანია აგზავნიდა ყოველთვიურად, არ ჰყოფნიდა ექვსი სულისაგან შემდგარ ოჯახს, ძიძა ჯენისა და ორი მოსამსახურის ჩაუთვლელად. არც ერთი წიგნიდან საავტორო ჰონორარი ათას დოლარზე მეტი არ მიუღია, ორზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. იქნება თუ არა ეს წიგნი გამონაკლისი? საეჭვოა. ასეც რომ იქნეს, ფულს, სულ ცოტა, ორი წელიწადი უნდა ელოდოს. ამ დრომდე ის უკვე შემოეჭმევა ყოველთვიური ავანსის სახით. ბრეტის წინადადება კი ნიშნავდა ორი ათასის ნაღდად, ახლავე, ხელზე მიღებას და... ჭამაც ხომ ქონებაზე ჰკიდია... მით უმეტეს, თუ უკვე ფიქრობ მეტად სასიამოვნო შესახედაობის პატარა გემის „სპრეის" („ზღვის ქაფი") ყიდვას. პირდაპირ გულს გაუხარდება მისი შეხედვა! ჯეკმა ბრეტის წინადადება მიიღო და „წინაპართა ძახილზე" ყველა უფლება მას მიჰყიდა.

„სპრეი“ იალქნიანი კარჭაპი იყო, რომელსაც ხალვათი კაიუტა ჰქონდა ორი ადამიანისათვის და სადაც საჭმლის დამზადებაც შეიძლებოდა. ჯეკმა ის მხოლოდ იმიტომ კი არ შეიძინა, რომ ზღვაზე ცხოვრება მოენატრა, არა; მას უკვე ჩაფიქრებული ჰქონდა, რომანი დაეწერა ზღვის შესახებ და ვიდრე წერას შეუდგებოდა, უნდოდა ერთხელ კიდევ ეგრძნო ფეხქვეშ გემბანი. აი, უკვე ცხრა წელი შესრულდა, რაც „სოფი საზერლენდიდან“ ფეხი გადმოდგა და მთელი აღკაზმულობა ყანგით დაფარულიყო. „ეს იქნება თითქმის სიტყვა-სიტყვით გადმოცემული ამბავი იმ შვიდთვიანი ნაოსნობის შესახებ, რომელშიც მეც ვიღებდი მონაწილეობას, როგორც მატროსი. რაც უფრო ხშირად ვუფიქრდები ახლა იმას, რა გადამხდა იმ რეისის დროს, მით უფრო საოცრად მეჩვენება ყველაფერი ეს“. „თქვენს ზღვის მოთხრობაზე, — სწერდა ბრეტი, — მე დიდ იმედებს ვამყარებ. ზღვის შესახებ, საერთოდ, ცოტას წერენ და რაც არის, ისიც არაფრად ვარგა; ასე რომ, ახლა კარგ მოთხრობას ზღვის შესახებ უთუოდ უჩვეულო წარმატება მოელის“.

ბრეტის ამ წაქეზებით აღფრთოვანებულმა ჯეკმა მოიმარაგა სურსათ-სანოვაგე და საბნები, „სპრეი“ ყურეში გამოიყვანა და ერთი კვირა წყალზე, სრუტეებისა და მდინარის დაჭაობებულ ტოტებზე გაატარა ისე, როგორც მაშინ, როცა ჯერ კიდევ თავზეხელაღებული ხამანწკებზე მეკობრე, ხოლო შემდეგ სათევზაო ინსპექციის მებადრაგე იყო. ბავიდა ერთი კვირა, ჯერ კიდევ გრძნობდა ნესტოებში ზღვის მარილიან ქარს, ხოლო დაკოჟრებულ ხელებში საიალქნე ბაგირს, როცა შინ დაბრუნდა. საწერ მაგიდას მიუჯდა და „ზღვის მგლის“ პირველი თავის წერას შეუდგა. თუ ხშირად აწყვეტინებდნენ მუშაობას, ანდა მეტისმეტად ბევრი მეგობარი იყრიდა თავს, იგი მოიმარაგებდა საჭმელს და მარტოდმარტო შესცურავდა ყურეში თავისი „სპრეით“. სანათურის სახურავზე წამომჯდარი ყოველ დილას ათას ხუთას სიტყვას წერდა. ადრე გაზაფხული იდგა, მზე სხეულს უთბობდა, ხოლო „ზღვის მგელზე“ ფიქრი — გულს. შემდეგ გაშლილი იალქნებით სეირნობდა, იხვებზე ნადირობდა მდინარე საკრამენტოზე ან თევზს იჭერდა ვახშმისათვის. ზოგჯერ შაბათსა და კვირაობით კარჭაპზე მიჰყავდა ბესი გოგონებთან ერთად, ელიზა ვაჟითურთ და მეგობრების მთელი გროვა.

ეს იყო სიხარულითა და მუშაობით აღსავსე პერიოდი. ვილშირის სოციალისტური ჟურნალი ყოველ ნომერში განაგრძობდა „ჯურღმულის ადამიანების“ ბეჭდვას. ამ ნაწარმოებით ჯეკი ამერიკელი სოციალისტების პირველ რიგში ჩადგა. ჟურნალ „ამხანაგისათვის“ დაწერა სტატია „როგორ გავხდი სოციალისტი“, „საერთაშორისო სოციალისტური მიმოხილვისათვის“ კი — მთელი რიგი კრიტიკული სტატიებისა. „ჯურღმულის ადამიანებისათვის“ ვილშირმა ცოტა მაინც გადაუხადა ჯეკს, მაგრამ, საერთოდ, სოციალისტური გაზეთებისათვის იგი ყოველთვის უფასოდ წერდა! ადგილობრივი სოციალისტებისათვის ორი მოხსენება მოამზადა — „კლასთა ბრძოლა“ და „შტრეიკბრეხერი“. ორივე სოციალისტურ პრესაში გამოქვეყნდა. ქვეყნის ყოველი კუთხიდან მას უკვე სწერდნენ პარტიული თანამოძმეები. წერილები ყოველთვის იწყებოდა სიტყვებით: „ძვირფასო ამხანაგო“ და მთავრდებოდა — „მარად თქვენი, რევოლუციის სახელით“. ყოველ წერილს ჯეკი თვითონ პასუხობდა და მათ იწყებდა სიტყვებით „ძვირფასო ამხანაგო“ და ამთავრებდა — „მარად თქვენი, რევოლუციის სახელით“.

სახელის მოხვეჭასთან ერთად ჯეკის სახლი პიედმონტში სანფრანცისკოს ყურეს რაიონის მცხოვრებთა სულიერი ცხოვრების ცენტრი ხდებოდა. კვირაში ას კაცზე ნაკლები როდი აღებდა მის სადარბაზო კარებს, რათა მასპინძლის სტუმართმოყვარეობით ესარგებლა. ორი ხელზე მოსამსახურე ჰყავდათ, ბავშვებს ძიძა ჯენი უვლიდა, მაგრამ საქმეს მაინც ვერ აუდიოდნენ. გამუდმებით მუშაობასა და სტუმრების უწყვეტ ნაკადს ბესი უკვე ვეღარ იტანდა. ერთხელ, „ოთხშაბათის ღია კარების“ დღეს, ბესიმ განგებ ნაკლები საჭმელი დაამზადა, ვიდრე საჭირო იყო უამრავი სტუმრის გამოსაკვებად. ბესის არც იმ ქალების სტუმრობა სიამოვნებდა, რომელნიც გარს ეხვეოდნენ ჯეკს, მის ჯეკს, რომელსაც სახეზე მუდამ მხიარული, ტკბილი ღიმილი დასთამაშებდა, და რომელმაც გადამდები სიცილი იცოდა. ბესი ეჭვიანობამ შეიპყრო. ჯეკს ახლა წამდაუწუმ ეპატიჟებოდნენ სხვადასხვა ოფიციალურ ცერემონიებზე; მას სურდა, რომ ასეთი შემთხვევებისათვის ცოლს ახალ-ახალი, ლამაზი კაბები შეეძინა; ბესი კი უარზე იყო. ელიზა შეიტყუებდა ხოლმე ბესის მაღაზიებში, რათა ეჩვენებინა, თუ როგორ უხდებოდა ხავერ-

დის გრძელი კაბა და ხავერდისავე პატარა ქუდი ფრთით. ამაოდ: ბესი ჯიუტად მუდამ ბლუზას, მატროსის კაბასა და მატროსისავე ქუდს ატარებდა. ასეთი უბრალო ჩაცმულობით გამოცხადდა იგი სან-ფრანცისკოს ბოჰემის ფეშენებელურ კლუბში ჯეკის საპატივცემულოდ გამართულ წვეულებაზე. ჯეკი ამას მწვავედ განიცდიდა! იგი აღტაცებული იყო ცოლის ტანადობით და უნდოდა იგი კარგად ჩაცმული ენახათ. თავის ჯიუტობას ბესი, ერთი მხრით, იმით ამართლებდა, თითქოს თავს ბრწყინვალე წრის შესაფერისად ვერ გრძნობდა, მეორე მხრივ, იმით, რომ მის დალუპულ საქმროს, ფრედ ჯეკობსს, როგორც ეტყობა, მის ტანზე სწორედ ბლუზები და მატროსის კაბები მოსწონდა.

ამ უმნიშვნელო უთანხმოებების მიუხედავად, ჯეკსა და ბესის შორის კარგი დამოკიდებულება არსებობდა. ჯეკი მხოლოდ იმაზე წუხდა, რომ ბესი ცოტას კითხულობდა და არ შეეძლო მასთან ერთად ახალ წიგნებზე ემსჯელა. როცა ამ თემაზე ჩამოუგდო ლაპარაკი, ბესიმ უპასუხა, რომ მას ბავშვი დილის ექვს საათზე აღვიძებს და ამ წუთიდან დაწყებული საღამოს ათ საათამდე ერთიმეორეს მოსდევს გაუთავებელი საქმეები. ჯეკმა თანაგრძნობით მოუთათუნა ცოლს ხელზე. ჰო, მან ყველაფერი იცის. აი, როცა ბავშვები წამოიზრდებიან, მას წიგნებისათვის უფრო მეტი დრო ექნება. ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ იხსენებდნენ, რომ გარეგნულად ბესი არ იყო ჯეკის შესაფერისი: ჯეკს ანცი ბიჭის შეხედულება ჰქონდა, მას კი დარბაისელი უბრალო დედაკაცისა. მიუხედავად ამისა, ყველა იმ აზრისა იყო, რომ ცოლ-ქმარი შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ. ამასვე ადასტურებს ელიზა ლონდონ-შეპარდი, რომელიც იმ ხანებში მათთან ხშირად დადიოდა. ჯეკის ჩანაწერების მიხედვით, იგი ცოლში მხოლოდ ერთ ნაკლს ხედავდა — ფანტაზიის, წარმოსახვის შეზღუდულობას. „მისი საერთო განვითარების დონე ვიწრო ჩარჩოებით იყო შემოფარგლული". ამასთან, ცოლის პაციენტებთან ერთად, იმასაც აღიარებდა, რომ მან თავიდანვე იცოდა ბესის ამ ნაკლის შესახებ, და რომ ბესის ემოციური სიდინჯე, პროზაულობა მას უკიდურესობამდე ესაჭიროებოდა და იზიდავდა კიდეც. კლაუდსლი ჯონსს, რომელმაც ჯეკს ცოლის შერთვის დროს განუცხადა: „მოლოცვებს თქვენი ქორწინების ათი წლისთავისათვის შემოვინა-

ზავო“, 1903 წლის მარტში ჯეკმა მისწერა: „სწორედ დროულია, ჩემი აზრით, რომ გადმოგვცეთ თქვენი დაგვიანებული მილოცვა. აი, უკვე მესამე წელია, რაც ცოლი შევირთე, ორი ბავშვი მყავს და ვფიქრობ, რომ ოჯახური ცხოვრება ჩინებული რამ ყოფილა. ასე რომ, ნუღა აგვიანებთ! ან არა და ჩამოდით, ჯერ მოგვინახულეთ, ბავშვებს დახედეთ და შემდეგ მოგვილოცეთ“.

„ზღვის მგლის“ საქმე ჩინებულად მიიწევდა წინ და ავტორისათვის იმაზე მეტი სიხარული მოჰქონდა, ვიდრე „წინაპართა ძახილს“. თავისუფალ საათებში ჯეკი შესანიშნავ მოთხრობებს წერდა ალასკაზე, ისეთებს, როგორიცაა „ათასი დუჟინი“, „ჩრდილოეთის ოქროსმაძიებლები“ და ათობით სხვას. „სპრეის“ გარდა, ჯეკმა ცხენი და ეტლიც შეიძინა, რათა თავისი ოჯახის წევრები და მეგობრები გაესეირნებინა ახლომახლო მიდამოებში. დათბა და მას დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა სადმე, გორაკზე პიკნიკის მოწყობა, თამაშობათა წამოწყება, აუზში ცურაობა, კოცონზე ხორცის შეწვა. აპრილის ბოლო რიცხვებში ჯეკი ეტლიდან გადმოვარდა და ხელის დიდი თითი დაუშავდა. „ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს გული თითის წვერზე მიცემდეს“ — ჩიოდა იგი; მაგრამ ამ უბედურმა შემთხვევამ ხელი ვერ შეუშალა „ზღვის მგელზე“ მუშაობაში — იგი წინანდებურად დღეში ათას სიტყვას წერდა. მთავარი გმირის პირველსახედ გამოიყენა კაპიტანი ალექს მაკლინი, რომლის განსაკუთრებული საგმირო საქმეების შესახებ ბევრი რამ გაეგონა ჯერ კიდევ „სოფი საზერლენდზე“ ყოფნისას. განმარტოებასა და მყუდროებას ჯეკი „სპრეიზე“ პოულობდა; ერთხელ, მოულოდნელმა შტორმმა იალქანი ნაკუწ-ნაკუწად უქცია და დიდი გაჭირვებით დაბრუნდა შესართავში.

ივნისში ანონიმურად გამოაქვეყნეს „კემპტონისა და უეისის მიმოწერა“. პრესა მას კეთილად განწყობილი შეხვდა. „არაჩვეულებრივია.. საზრიანია... ალალმართალია... ფართო მკითხველთა აუდიტორია უზრუნველყოფილია... თანამედროვეობის ცნობისმოყვარე სულითაა გამსჭვალული... ჭკუის კარგი მასწავლებელია... ახალი მიმართულებაა რომანის ჟანრში... ჭკვიანურია, მძაფრი... ფილოსოფია ორიგინალურია“. სან-ფრანცისკოს ჟურნალმა „არგონავტმა“ თანმიმდევრული დასკვნის საშუალებით დაადგინა ერთ-ერთი ავტორის ვინაობა. ეს ამბავი ისე სწრაფად გავრცელდა, რომ მეორე

ქამოცემის წინ მაკმილანმა ჯეკს ნებართვა სთხოვა ავტორების ვინაობა გამოემჟღავნებინა. „მიმოწერა“ მაინცდამაინც ჩქარა არ საღდებოდა: საშუალო მკითხველისათვის მას აკლდა შინაარსისა და მოქმედების მთლიანობა, ტემპის სიჩქარე. მიუხედავად ამისა, ჯეკმა და ანამ (იგი ახლა ნიუ-იორკში ცხოვრობდა) ერთმანეთს ბარათები მისწერეს, რომლებითაც ერთმანეთს ულოცავდნენ მნიშვნელოვანი სამუშაოს სასურველად დამთავრებას.

ივნისის ბოლოს ბესიმ გადაწყვიტა ზაფხულის პერიოდში ბავშვები ქალაქგარეთ გაეყვანა. სონომის ოლქის „მთვარის ხეობაში“, სახელდობრ, დაბა გლენ-ელენში, ბესიმ დაიქირავა პატარა სახლი, რომელიც მისის ნინეტა ეიმსს აეშენებინა. ჯეკი პიედმონტში დარჩა, რადგან ახლა სერიოზულად მუშაობდა „ზღვის მგელზე“ და, ამას გარდა, არ უნდოდა „სპრეით“ სეირნობისათვის თავის დანებება. ერთხელ, თვის ბოლო რიცხვებში, ჯეკი ჯორჯ სტერლინგთან და სხვა მეგობრებთან ერთად თავისი ეტლით მისეირნობდა. გზა ბორცვიანი იყო. ერთ-ერთი მათგანის გადალახვის დროს ეტლი გზას ასცდა და ხრამში გადავარდა; ამ მარცხის დროს ჯეკს ძლიერ დაუზიანდა ფეხი. მის მოსავლელად ხშირად მოდიოდა ჩარმიან კიტრეჯი. ივლისის დასაწყისში, როგორც კი ფეხზე დადგომა შეძლო, ჯეკი თავისიანებთან წავიდა გლენ-ელენში. იქვე, მამიდასთან, ჩამოვიდა მისს კიტრეჯიც.

„ტრანსკონტინენტური ყოველთვიური“ გაკოტრდა: როსკო ეიმსი და ედუარდ პეინი უმუშევრად დარჩნენ. მისის ეიმსმა და ედუარდ პეინმა პატარა მდინარის პირას ააშენეს დიდი, მაგრამ საკმაოდ მოუწესრიგებელი სახლი, რომელსაც „უეიკ რობინი“ უწოდეს. გაკრეჭილმა მღვდელმა, პეინმა, მორეებისაგან შეკრა მაგიდები და სკამები და სახლის პირდაპირ დადგა, რათა იქ ჰეშმარიტი რწმენის აღორძინებისადმი მიძღვნილი ფილოსოფიური დისპუტები გაემართა. ამ წამოწყებიდან ფულის მოგების მიზნით, მისის ეიმსმა გააშენა აგარაკები, დადგა კარვები და დაიწყო მათი ცოლ-შვილიან ხალხზე გაქირავება.

გლენ-ელენში ჩამოსულ ჯეკს თავისი ოჯახი კარგად მოწყობილი დაუხვდა ქერელის ტილოს-სახურავიან სახლში, რომელიც მოღვინისფრო-წითელი მანსანიტებისა და მარწყვის ხეებით დაფარულ

წარაფში იდგა. მოაგარაკენი კომუნად ცხოვრობდნენ, საჭმელს მდინარის ნაპირთან მდგარ საერთო სამზარეულოში ამზადებდნენ და გრძელ მაგიდაზე მიირთმევდნენ. ჯეკმა რამდენიმე დოლარი დახარჯა, რათა სუფთა და ციცი მდინარის წყალი ქვიშიან პლაჟთან დაეგუბებინათ. მთელი საზოგადოება აქ იყრიდა თავს საბანაოდ და მზეზე გასაშავებლად. ნასადილევს ჯეკიც აქ ისვენებდა, თამაშობდა წვრილფეხობასთან და თან ცურვას ასწავლიდა. დილდილობით სადმე სიგრილეში, მდინარის პირას განცალკევდებოდა და გადახერხილი მუხის ჯირკზე ჩამომჯდარი, ათას სიტყვას წერდა. ივლისის ერთ საღამოს, საბნებში მოხერხებულად გახვეული გლენ-ელენის მთელი მოსახლეობა, პატარა ბავშვების ჩათვლით, „ზღვის მგლის“ პირველი ნაწილის მოსასმენად შეიკრიბა. ჯეკმა ხელნაწერი დააწყო სწორედ იმ მუხის ჯირკზე, სადაც ჩვეულებრივად წერდა, ორივე მხარეზე თითო სანთელი დაამაგრა და კითხვას შეუდგა. მის ფეხთან, პირდაპირ, მიწაზე, მეზობლები ჩამოსხდნენ. განთიადის პირველმა სხივებმა უკვე შეაფერადა ცა სონომის მთის თავზე, როცა ჯეკმა უკანასკნელი გვერდი ჩაიკითხა. დამსწრენი, რომელთაც 1903 წლის ივლისის ბოლოს შესაძლებლობა ჰქონდათ გლენ-ელენში ნაკადულის ნაპირთან ჩამომსხდართ მოესმინათ, როგორ კითხულობდა ჯეკ ლონდონი „ზღვის მგელს“, იმ საღამოს დღემდე იხსენებენ, როგორც მათი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე ღირსშესანიშნავ და მშვენიერ შემთხვევას.

და, აი, სწორედ მაშინ, იმ რაღაც რამდენიმე საათის განმავლობაში, მოხდა აფეთქება, რომელმაც ლონდონების ოჯახის არსებობას წერტილი დაუსვა. თუმცა უმჯობესია ამის შესახებ თვით ბესის სიტყვები მოვიყვანოთ.

„ერთხელ ივნისის ბოლოს, საუზმის შემდეგ, მე და ჯეკი მუსაიფში გართულნი ნაკადულის ნაპირზე დავრჩით. მას სურდა რამდენიმე ხნით ოკლენდიდან წასულიყო, რადგან ხშირად ხელს უშლიდნენ მუშაობაში. მითხრა, სამხრეთ კალიფორნიის უდაბნოში რანჩოს შეძენას ვაპირებო და წინააღმდეგი ხომ არ იქნები, რომ იქ დავსახლდეთო. სრულიადაც არა, ვუპასუხე მე, მხოლოდ საჭიროა თადარიგი ბავშვებისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად (ბესი პირველ რიგში დედა იყო, ხოლო შემდეგ — ცო-

ლი). ჯეკი დამპირდა, რომ ყველაფერს მოაგვარებდა, და გადასახლება შემოდგომისათვის დავთქვით.

ორ საათზე ბავშვები წავიყვანე დასაძინებლად. მისს კიტრეჯი დიდი ხანია გველოდებოდა მახლობლად. ის და ჯეკი მუსაიფ-მუსაიფით ეიმსის სახლთან გაბმული დიდი ჰამაკისაკენ წავიდნენ. მე ამისათვის არავითარი ყურადღება არ მიმიქცევია, ბავშვები დავაწვინე და დალაგება დავიწყე. ჯეკი და კიტრეჯი ოთხი საათის განმავლობაში ისხდნენ ჰამაკში და საუბრობდნენ.

ექვს საათზე ჯეკი ჩვენთან შემოვიდა და თქვა:

— ბესი, უნდა დაგტოვო.

მე ვერ გავიგე, რაზე მელაპარაკებოდა და ვკითხე:

— რა, პიედმონტში აპირებ დაბრუნებას?

— არა, — მიპასუხა ჯეკმა, — სამუდამოდ მივდივარ... უნდა გაგშორდე.

გაოგნებული ლოგინის ნაპირზე დავეშვი და დიდხანს შევცქეროდი მას, ვიდრე, როგორც იქნა, არ ამოვილუღლუღე:

— ღმერთო ჩემო, რა გემართება, ჯეკ? სულ ახლახან არ იყო, სამხრეთ კალიფორნიის შესახებ რომ მელაპარაკებოდი...

ჯეკი ჯიუტად იმეორებდა, რომ თავს მანებებს, მე კი ისევ ვიმეორებდი:

— ვერაფერი გამიგია... რა მოხდა?

მაგრამ მისგან მეტის გაგება შეუძლებელი გახდა".

ვერავინ, და მით უმეტეს ბესი, ვერ მიმხვდარიყო, რომ ჯეკის ცხოვრებაში არაფერი „მომხდარა", გარდა ჩარმიან კიტრეჯისა. ბესის შეეძლო ბევრ სხვა ქალთან ეეჭვიანა ქმარი, მაგრამ ჩარმიანთან ეზრადაც არ მოსვლია. მისს კიტრეჯი ხუთი წლით, შეიძლება, ექვსითაც უფროსი იყო ჯეკზე; ლამაზი ქალის სახელი არ ჰქონდა გავარდნილი და პიედმონტში, სადაც მას ყველა იცნობდა, გესლიანი მითქმა-მოთქმის საგანიც კი იყო. მას ხშირად ხედავდნენ იქ, სადაც ჯეკი იყო, მაგრამ ბესი ამას ჯერ კიდევ პიედმონტიდან შეეჩვია. ერთი შეხედვით, ჯეკი მას გლენ-ელენში სხვებზე უფრო ხშირადაც არ ხვდებოდა; უფრო მეტიც, ჯეკს ცოლის თანდასწრებით არა ერთხელ უხსენებია იგი მეტად არასახარბიელოდ. ბესიმ იცოდა, რომ ჯეკს კიტრეჯი მაინცდამაინც არ მოსწონდა.

აი, რასა სწერდა მისს კიტრეჯი ჯეკს ივნისში, ამ ამბამდე ერთი თვით ადრე:

„ოჰ, შენ მშვენიერი, ყველაზე მშვენიერი ხარ! მე ვხედავდი, როგორ გიახალგაზრდავდებოდა სახე, როცა გეხებოდი. რა ხდება ამქვეყნად? სადაა ჩემი ადგილი? ალბათ არსად, თუ ეს არსად — მამაკაცის გულია“.

ჯეკი მაშინვე პასუხობს:

„სუროსავით შემოხვევია შენს ტანს ჩემი ხელები; ვკოცნი შენს ღია, ალალმართალ ტუჩებს, რომელსაც ვიცნობ და რომელნიც მიყვარს. შენ რომ მორცხვად, გაუბედავად დაგეჭირა თავი, შენი ხასიათის საწინააღმდეგოდ თავი პრანჭია უკარებად მოგეჩვენებინა, თუნდაც ერთი, ერთი წუთით რომ გაგეთამაშნა მოჩვენებითი მორცხვობა, ღმერთმანი, შენდამი, მგონი, სიძულვილით განვიმსჭვალებოდი. „ჩემო ძვირფასო, ჩემო ძვირფასო სიყვარულო“ — ვწევარ ძილგამკრთალი და ისევ და ისევ ამ სიტყვებს ვიმეორებ“.

7 ივლისს ჩარმიან კიტრეჯი ჯეკს წერს:

„ერთი რამ მაშინებს: ვშიშობ, ვერასოდეს შევძლებთ ვაღიაროთ, რა ვართ ერთმანეთისათვის. ეს გრძნობა განუზომლად დიდია, ხოლო ადამიანს მის გამოსახატავად მეტად მცირე საშუალებანი გააჩნია“. რამდენიმე დღის შემდეგ იგი ჯეკს სან-ფრანცისკოდან უგზავნის წერილს, რომელიც თავის კანტორაში დაბეჭდა მანქანაზე:

„შენ პოეტი ხარ და თანაც ასეთი ლამაზი. დამიჯერე, ჩემო კარგო, ჩემო ძვირფასო, რომ ჩემს სიცოცხლეში არაფერი ყოფილა ჩემთვის ასეთი საპიხარული, არაფრისაგან არ განმიცდია ასეთი ღრმა და ნამდვილი სიხარული. რა სასიხარულოა, როცა გწამს, რომ ის, ვინც შენთვის ყველაზე ძვირფასია, შენში არ მოტყუვდა!“

გლენ-ელენში მშვიდად ეძინათ ბავშვებს ქერელის ტილოს სახურავიან აგარაკში, ხოლო ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობებით შეპყრობილი მათი მამა, თავის ცხოვრებაში ყველაზე უფრო სატანჯველ ღამეს განიცდიდა, ჯეკი, პირველ ყოვლისა, რბილი ხასიათის კეთილი ადამიანი იყო. ყველაფერი გულთან ახლოს მიჰქონდა, ჩინებულად იცოდა, რა იყო წყენა და ამიტომ ყოველთვის ერიდებოდა სხვის წყენას. უდიდეს სიამოვნებას მაშინ განიცდიდა, როცა ადამიანს

უხმარებოდა, უნაწილებდა იმას, რაც გააჩნდა. ნუთუ იგი ისეთი მძაფრი და დაუცხრომელი გრძნობითაა შეპყრობილი, რომ ამის გავლენით სტოვებს ცოლ-შვილს ისევე, როგორც სიყმაწვილეში ჯონ ლონდონსა და ფლორას ტოვებდა? იგი ხომ ნაზი სულის პატრონია, სოციალისტი, დარწმუნებული, რომ საუკეთესო ადამიანებს სამაგიერო უნდა მიეზღოს, ადამიანი, რომელიც კაცობრიობისადმი თანაგრძნობითაა გამსჭვალული და ყოველგვარი ჯილდოს გარეშე ილტვის ხალხისათვის უკეთესი ხვედრის მისაღწევად! ამრიგად, მისი სინდისი, მისი სოციალური და მორალური შეხედულებანი აღგვილია პირისაგან მიწისა და მისი ადგილი დაიკავა უცნაურმა, მაგრამ ამ სოციალისტური შეხედულებების განუყრელმა თანამგზავრმა — ნიცშეანურმა იდეალმა. ეს ის ნიცშეანური ზეადამიანი ხომ არ არის, რომელიც ჯეკს ჩასძახის: „შენ შეძლებ გამოსტაცო ცხოვრებას ყველაფერი, რასაც კი მოისურვებ; არა ღირს თავი შეიწუხო იმით, თუ რას გრძნობს უსახო ბრბო, ანდა მონების მორალით — სამწუხაროდ, ბესიც ხომ მათ რიცხვს ეკუთვნის!“

დილით ჯეკი დაბრუნდა პიედმონტში, წამოიღო თავისი ბარგ-ბარხანა სახლიდან, რომელზედაც ისეთი სიამაყით წერდა ხოლმე მეგობრებს, და ფრენკ ეზერტონისაგან ოთახი დაიქირავა. რამდენიმე დღეც და გაზეთის ფურცლები აჭრელდა ცნობებით გაყრის შესახებ. რეპორტიორებთან ლაპარაკზე ჯეკმა უარი განაცხადა და უკეთესი მიზეზის უქონლობის გამო მათ ყველაფერი „კემპტონისა და უეისის მიმოწერას“ დააბრალეს. ჯეკი ხომ წერდა იქ, რომ „სიყვარულის გრძნობა გონებაზე არაა დამყარებული“, განცვიფრებული ბესისთვის კი ეს მტკიცება საკმარისი საბაბი გახდაო გაყრისათვის.



VII

ჯეკისა და ჩარმიან კიტრეჯის ურთიერთობა თავიდანვე მაღალი სტილით ხასიათდება. დროთა განმავლობაში მაღალფარდოვანი ურთიერთაღიარება სულ უფრო იზრდებოდა. 1 სექტემბერს ჩარმიანი ძას სწერდა: „შენ ჩემი ხარ, ჩემი საკუთრება, გაღმერთებ ბრმად, გაგიჟებით, მგზნებარედ. ასეთი სიყვარულისათვის ძალა არ შესწევს არც ერთ ქალიშვილს“. მეორე დღეს განაგრძობდა: „ოჰ, ჩემო ძვირფასო, ჩემო ვაჟკაცო! შენ, მთელი შენი სხეული ისე მიყვარს, როგორც არასდროს არავინ და მომავალშიც სხვას ასე ვეღარ შეიყვარებ“. ორი დღის შემდეგ: „ო, ჩემო ძვირფასო სიყვარულო, ჩემო ვაჟკაცო; ჭეშმარიტად შენა ხარ ჩემი გულის ნამდვილი მეუღლე და ისე ძლიერ მიყვარხარ!“ შემდეგი წერილი: „იფიქრე ჩემზე ნაზად, სიყვარულით, გაგიჟებით; იოცნებე ჩემზე, როგორც მეტად ძვირფას მეგობარზე, საცოლეზე, ცოლზე. შენი სახე, ხმა, ტუჩები, შენი ნაზი და მბრძანებლური ხელები — თვით შენ საკუთრივ — ჩემი ხარ, ჩემო სიტკბოებავ; შენზე ოცნებით ვიცხოვრებ, ვიდრე ისევ არ შევხვდებით. ო, ჯეკ, ჩემო ძვირფასო!“.

ჯეკს არ სურდა ჩამორჩენოდა არც გრძნობათა გამქღავნებაში და

არც სტილის შერჩევაში. იგი პასუხობს: „შენ ვერც კი წარმოიდგენ, რა ხარ ჩემთვის. ამის გამოთქმა, შენი არ იყოს. შეუძლებელია. რაღაც წარმოუდგენლად მაღელვებს შენთან შეხვედრის, შენი ხილვის, შენი შეხების პირველი წუთები. ვკითხულობ შენს წერილებს და ასე მგონია, შენც ჩემთან ხარ, ჩემთან, ხორცშესხმულად და ჩავცქერი შენს თაფლისფერ თვალებს. დიახ, ჩემო სულისდგმავ, ქალისადმი ჩემი სიყვარული შენით დაიწყო და შენითვე დამთავრდება“.

სკანდალის შიშით, რომელსაც აუცილებლად გამოიწვევდა გაურის ნამდვილი მიზეზის გამომჟღავნება, შეყვარებულები მალულად ხვდებოდნენ ერთმანეთს კვირაში ერთხელ ან ორჯერ. იმ დღეებში კი, როცა შეხვედრა არ შეიძლებოდა, დაუსრულებლად უგზავნიდნენ ერთმანეთს წერილებს. ეს წერილები, რომელთაც მისს კიტრეჯი ყოველდღიურად წერდა თავის კანტორაში სან-ფრანცისკოში, ხუთიათასამდე სიტყვას შეიცავდა. ორი უახლოესი წლის განმავლობაში ჯეკისადმი გაგზავნილი წერილების დასტა საკმარისი იქნებოდა ნახევარი დუჟინი სამუალო ტანის რომანისათვის. ისინი დაწერილია უცნაურად და კეკლუცად, მგრძნობიარედ და ნაირფეროვნად; მაგრამ ამ მრავალსიტყვაობის ქვეშ იგრძნობა ეშმაკი და ჭკვიანი ქალი... წერილებში მათი სიყვარული წარმოსახულია ყველა დროის უდიდეს სიყვარულად. მან ყოველთვის იცოდა, — ეუბნება ჯეკს მისს კიტრეჯი, — რომ ბედი რაღაც არაჩვეულებრივს უმზადებდა. „ო, ძვირფასო ჯეკ, ჩემო ძვირფასო, ჩემო სიყვარულო, ჩემო სათაყვანებელო კერპო, შენ არ იცი, როგორ მიყვარხარ“. ასე მეორდებოდა მანამ, ვიდრე ჯეკმა არ ირწმუნა, რომ იგი უყვართ ისე, როგორც არავინ ჰყვარებიათ ქვეყნის გაჩენიდან. დარწმუნებული ჯეკი ასე პასუხობს: „ჩემდამი შენი სიყვარული ისე დიდია, რომ ეჭვი მეპარება — შევძლებ კი ოდესმე მეც ასეთივე ძალით შეგიყვარო?“ წერილი წერილს მოსდევდა, თანაც ტონის მიმცემი ჩარმიანი იყო, ჯეკი კი თითქმის მექანიკურად აიტაცებდა ხოლმე ამ გამოწვევას. ლიტერატორი ხომ მათ შორის ჯეკია, მაშ როგორ შეიძლება, რომ თვითონ უფრო ნაკლებ მაღალფარდოვნად, ნაკლებ გრძნობიერად, ნაკლებ გულღიად წეროს, ვიდრე ჩარმიანმა?

„არა, არა, ჩემო სიყვარულო, — წერს ჯეკი, — ჩვენი სიყვარული

რაღაც მცირედ, უმნიშვნელოდ როდი მეჩვენება. მე მზად ვარ შენთვის ვიცოცხლო, ანდა თავი შემოგწირო — ეს კი თავისთავად ამტკიცებს, რომ ჩვენი სიყვარული ჩემთვის სიცოცხლესა და სიკვდილზე უფრო მნიშვნელოვანია. შენ იცი, რომ ქალთაგან შენ ჩემთვის ერთადერთი ხარ; რომ შენზე გამუდმებული დარდი თვით სასტიკ შიმშილზედაც საშინელია; რომ სურვილი იმაზე უფრო მძვინვარედ მღრღნის, ვიდრე დიდების ან სიმდიდრის წყურვილი მაწამებდა. ყველაფერი, ყველაფერი ამტკიცებს — და ამტკიცებს უცილობლად, რაოდენ დიდია ჩვენი სიყვარული".

ყოველდღიურად მის თვალწინ გაირბენდა ხოლმე მისს კიტრეჯის ათასობით სიტყვა და ჰიპნოტიზირებული ჯეკი რომელიმე, მესამეხარისხოვანი მარია კორელის ტონით იწყებდა წერას. ჩარმიანის ლიტერატურული მანერის გავლენით ჯეკი პასუხობდა მეცხრამეტე საუკუნისათვის დამახასიათებელი ისეთივე ღვლარჭნილ-საზეიმო აღიარებით, სწორედ ისეთივე სტილში, რომელსაც მან ჯერ კიდევ თავის შემოქმედების გარიჟრაჟზე ომი გამოუცხადა; სასიყვარულო სტილის იმ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით, რომლისაგან განთავისუფლება ვერა და ვერ შეძლო მთელი სიცოცხლის მანძილზე და რომელმაც ბევრი მისი წიგნი გააფუჭა. ჯეკი, რომელიც „კეპპტონსა და უეისის შიმოწერაში" სენტიმენტალური, პოეტური სიყვარულის წინააღმდეგ გამოვიდა და იცავდა თეორიას, რომელიც ამტკიცებდა — სიყვარული ბიოლოგიური მოთხოვნილებაა, ახლა უეცრივ გარდაიქმნა „გონდაკარგულ შეყვარებულად, რომელიც მზადაა კოცნაში მოკვდეს". რას იტყოდა ანა სტრუნსკაია, ჯეკის ზურგს უკან მდგარს რომ წაეკითხა ის სტრიქონები, სადაც მან ასე მკვეთრად შეიცვალა თავისი პოზიცია. რა სიამოვნებით, და თანაც ირონიული ღიმილით აჩვენებდა მას შედარებისათვის თავისსავე სტრიქონებს: „თუ არა ეროტიული ლიტერატურა, ადამიანი, უეჭველად, მისთვის დამახასიათებელი მანერით სიყვარულს ვერ შესძლებდა".

1903 წლის 10 ნოემბერს სტოკტონიდან მიწერილ წერილში გულისნადების აღიარების სიუხვემ უკვე აპოთეოზს მიაღწია: „იცოდე, ჩემო ტკბილო სიყვარულო, ვერც კი წარმომედგინა, რარიგ დიდი იყო შენი სიყვარული, ვიდრე საკუთარი ნებითა და ბოლომდე არ

დამნებდი; ვიდრე შენ, შენმა სიყვარულმა, მთელმა შენმა არსებამ, როგორც იქნა, არ აღმოსთქვა — „ჰო“. შენი მიმზიდველი სხეულით დაადასტურე ყველაფერი ის, რაც ჩემს მიმართ სულითა და გულით აღიარე. და, აი, მაშინ, მხოლოდ მაშინ მივხვდი ყველაფერს ბოლომდე. მე შევიგნე — უკვე ვიცი, რომ შენ ბოლომდე და მთლიანად ჩემი ხარ. თუ მთელი შენი სიყვარულის მიუხედავად, მაინც არ დამნებდებოდი, შენი ქალური სიდიადე ჩემს წინაშე ასეთი სისრულით ვერ გადაიშლებოდა; ასე უსაზღვრო არ იქნებოდა ჩემი სიყვარული, ჩემი თაყვანისცემა შენდამი. გადაათვალიერე ჩემი წერილები და მჯერა დარწმუნდები, რომ ჭეშმარიტმა სიგიჟემ მას შემდეგ შემიპყრო, როცა შენ მეფური სიუხვით დამასაჩუქრე. სწორედ მას შემდეგ, რაც შენ შემომწირე ყველაზე მთავარი რამ, ჩემს წერილებში გამოჩნდა სიტყვები, რომ მე შენი „მონა“ ვარ, რომ მზადა ვარ შენთვის მოვკვდე, და გადაჭარბებული ტრფიალების გამომსახველი მრავალი სხვა მომხიბვლელი სიტყვა. მაგრამ ეს გადაჭარბება როდია, ძვირფასო, არც სენტიმენტალური გონებაჩლუნგის მაღალფარდოვან სიტყვაცელეთა ჩმახვა. როცა ვამბობ, შენი მონა ვარ-მეთქი, ამას ვადასტურებ კიდეც, როგორც საღად მოაზროვნე ადამიანი და ეს საბოლოოდ იმას ნიშნავს, რომ მე ნამდვილად და საბოლოოდ შევიშალე“.

1890 წელს, ცხრამეტი წლის ჩარმიან კიტრეჯი, როგორც თვითონ ამბობს, „წითელლოყება გოგონა იყო, ბევრის აზრით, ლამაზი და კარგი ხასიათის მქონე. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მას ეჭვიანობა სძლევდა“. 1903 წელს კი, ოცდათორმეტი წლის ასაკში, მას უკვე ლამაზად აღარ თვლიდნენ: თხელი ტუჩები, წვრილი თვალები, და მოდუნებული ქუთუთოები ჰქონდა, მაგრამ თავი გამომწვევი სითამამით ეჭირა. იგი ბევრ რამეში ჰგავდა ფრონა უელსს, ჯეკის მიერ შექმნილ მეოცე საუკუნის ქალს. იმდროინდელი კარგად აღზრდილი ქალიშვილისათვის მიღებული არ იყო მუშაობა, მაგრამ მშობლების გარდაცვალების შემდეგ იგი იძულებული შეიქნა თვითონ ეზრუნა თავის თავზე და კიდევაც მიაღწია იმას, რომ პირველხარისხოვან მდიდნად ითვლებოდა, თუმცა თვეში „მცირე ხელფასს, ოცდაათ დოლარს იღებდა“. ბევრს კითხულობდა, მისთვის უცხო იყო შაბლონური შეხედულებანი. როცა 1900 წელს

ჯეკი მას პირველად შეხვდა, ჩარმიანს უკვე დაწყებული ჰქონდა თავის ბიბლიოთეკაში იმ ყველაზე გაბედული თანამედროვე რომანების შეკრება, რომელიც აკრძალული იყო. ნამდვილად უყვარდა მუსიკა და სასიამოვნოდაც მღეროდა; მას იმდენი დისციპლინა და ნებისყოფა გააჩნდა, რომ კვირაში ექვსი დღის მუშაობის შემდეგ კიდევ როიალზე დაკვრაში ვარჯიშობდა და ჩინებული პიანისტიც გახდა.

მომჯადოებელი, ელეგანტური, მდიდარი ტემბრისა და, ამასთანავე, სმენის დამატკბობელი ხმა ჰქონდა; უყვარდა სიცილი და მაშინაც კი იცინოდა, როცა მისი თანამოსაუბრენი ამის საბაბს ვერ ხედავდნენ; ლაპარაკით ხომ ვერა და ვერ დაღლიდი! შეუსვენებლად, ზედიზედ შეეძლო ოთხი-შვიდი საათის განმავლობაში ელაპარაკნა. სიტყვების ულეველ მარაგს ფლობდა და შეეძლო ცხოვრების ყოველი შემთხვევისათვის საჭირო სიტყვები და გამოთქმები გამოენახა. ჭკვიანური ბაასის ხელის შეწყობაც იცოდა და შენიშვნების დროულად მიწოდებაც; იშვიათი გამბედაობის მქონე ჩარმიანი, ხშირად დააჭენებდა ცხენს გორაკებზე და ეს მაშინ, როცა მხოლოდ ზოგიერთი ქალი თუ გაბედავდა ცხენზე შეჯდომას, ხოლო თუ გაბედავდა, ისიც იმიტომ, რომ ქალის ინგლისურ უნაგირზე შემომჯდარს გაესეირნა სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ გზებზე „ოქროს კარიბჭის“ პარკში. სულ დახელოვნების ცდაში იყო ეს პატივმოყვარე ქალი, რათა ინტელექტუალურ სფეროში წარმატებისათვის მიეღწია და საზოგადოებაში თავი გამოეჩინა: ამ მიზნით დააგროვა ფული ევროპაში სამოგზაუროდ; შეეძლო ფაიფურის ლანგრების მოხატვაც — ერთი სიტყვით, გულზე ხელდაკრეფილი არ იჯდა და ყოველწლიურად წარმატებას აღწევდა, ამა თუ იმ დარგში.

მაგრამ ყველაფერში, რაც კი სიყვარულს შეეხებოდა, იგი მეცხრამეტე საუკუნის სრულყოფილი პროდუქტი იყო. ბრტყელ-ბრტყელი, მაღალფარდოვანი ფრაზები, გიჟმაჟი კეკლუცობა, ახირებული და უცნაური ჩაჩი — მოკლედ ყველაფერში ფრონა უელსის სრულიად საპირისპირო იყო. მისს კიტრეჯის დღიურში ასახულია ამ ქალის ბუნების მრავალფეროვანი და რთული მხარეები, მათ შორის გულის ამაჩუყებლად სენტიმენტალური დამოკიდებულება სიყვარულისადმი. ყოველი მამაკაცი, თუნდაც შემთხვევითი ნაცნობი იყოს

იგი, მისი წარმოდგენით, დაუყოვნებლივ პოტენციურ შეყვარებულად გარდაიქმნებოდა; მას ან აღტაცებით შესცქერიან, ან ვნებით თვალს ვერ აცილებენ. რაც შეეხება მისივე სქესის წარმომადგენლებს, მათ ძნელად იტანდა. სჯეროდა. რომ მისი დანახვისთანავე ყოველ ქალს მისადმი ეჭვიანობის გრძნობა იპყრობდა; თავის მხრივ, ყოველი ქალიც მასში ეჭვს იწვევდა. ცდილობდა მამაკაცთა წრეში თავი ისე დაეჭირა, რომ მუდამ ყურადღების ცენტრში ყოფილიყო. შთაგონებულად და საქმის ცოდნით წარმოსახავდა ქალს, რომელშიც რაღაც საბედისწეროა. ნაცნობებისა და მეგობრების შეფასებით, იქ, სადაც საქმე მამაკაცს შეეხებოდა, მისთვის კერძო საკუთრების წესები უკვე აღარ არსებობდა. ახალგაზრდა ცოლები და საცოლეები შიშითა და უნდობლობით შესცქეროდნენ მას, რადგან იცოდნენ, როგორ ცდილობდა იგი ქმრის შოვნას.

მის ცხოვრებაში სწრაფად გაიელვებდნენ ხოლმე მამაკაცები და სწრაფადვე ქრებოდნენ. საოცარია, რატომ ვერ ახერხებდა ასეთი მიმზიდველი გარეგნობის ქალი გათხოვებას. ეს მდგომარეობა თვით მისს კიტრეჯისთვისაც გაუგებარი იყო. ნერვიულობდა მამიდაც — მისის ნინეტა ეიმსი — და ყოველი ახალი მამაკაცის გამოჩენისთანავე გამოიკითხავდა, რა აზრისა იყო იგი დაქორწინების შესახებ; წლები გადის, სხვა ქალიშვილები თხოვდებიან, მის ძმისწულს კი საშველი არ ადგება, რაშია საქმე?

ევროპიდან დაბრუნების შემდეგ მისს კიტრეჯი ლონდონების ხშირი სტუმარი გახდა პიედმონტში და ჯეკმაც, თავისი ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი სულიერი განწყობით გატაცებულმა, თავისი ცხოვრების ახალი ფურცელი გადაშალა. „უნდა გამოგიტყდე იმაში, რაც შენ უკვე იცი ჩვენი გაცნობის პირველი დღიდანვე. როცა პირველად გამოგელაპარაკე, მინდოდა ჩემი საყვარელი გამხდარიყავი. შაგრამ შენ ისეთი გულღია, ისეთი პატიოსანი და, რაც მთავარია, ისეთი თამამი იყავი! შენ რომ სხვაგვარი რამ გამოგემჟღავნებინა ან მიმოხვრაში, ან საქციელში, ანდა ფრაზაში, ალბათ, შევეცდებოდი დამემორჩილებინე ჩემი ნება-სურვილისადმი. მახსოვს, ერთხელ ჩვენ ერთად ვისხედით ეტლში და მე შემოგთავაზე: „იქნებ სათივესაკენ გაგვეხვია?“ შენ კი ღიმილით თვალი გამიყარე, დაცინვისა და გაპრანჭვის გარეშე; ამ გამოხედვაში არ ჩანდა

არც აღშფოთება, არც შიში და არც გაკვირვება! პირიქით, გულკეთილად, სათნოდ შემომხედე და უბრალოდ მითხარი: „დღეს არა“.

ბესისაგან წამოსვლის ორი თვის შემდეგ ჯეკი წერს: „ზოგჯერ ვფიქრობ, რატომ მიყვარხარ? შენი სხეულის სილამაზისათვის თუ ჭკუისათვის? ვაღიარებ, რომ არა მხოლოდ ამიტომ, არამედ იმ შინაგანი ცეცხლისათვის, რომელიც გასხივოსნებს, ალამაზებს ყველაფერს, რასაც კი ჩაიცვამ; გმატებს მგზნებარებასა და სილაღეს, რომელიც გულისხმიერსა და ამაყს გხდის, ამაყს საკუთარი თავითა და შენი სხეულით და რომელიც შენსავე სხეულს უნებურად. შენგან დამოუკიდებლად, აიძულებს თავისით იამაყოს“.

ეჭვს გარეშეა. რომ ახლო დამოკიდებულება ჯეკსა და მისს კიტრეჯს შორის დაიწყო ივნისში, როცა ჯეკი პიედმონტში მარტოდმარტო დარჩა მთელ სახლში. ბესისთან ერთად სამხრეთ კალიფორნიაში გადასახლებისა და მისთვის საყვარელი სან-ფრანცისკოს ყურეს თავის დანებება იმ მდგომარეობიდან გამოსვლის ცდა იყო, რომელშიც იგი აღმოჩნდა. ეტყობა, მისს კიტრეჯს ოთხი საათი დასჭირდა იმისთვის, რომ ბოლოს და ბოლოს ჯეკი თავის ნებაზე დაეყოლიებინა.

„ჯოანი ანდა ბესი ბიჭი რომ ყოფილიყო, — შენიშნა ჯეკის ერთ-ერთმა ყველაზე უახლოესმა მეგობარმა, — ვერავითარი ძალა ვერ შეძლებდა ოჯახიდან მის ჩამოშორებას“.

ჩარმიან კიტრეჯს გულწრფელად სჯეროდა, რომ ბესი ჯეკის შესაფერისი არ იყო: ცოლი, როგორიც მას ესაჭიროება, შეიძლება იყოს მხოლოდ იგი; ცოლი, რომელიც ოჯახზე მზრუნველობით ხელფეხს კი არ შეიბორკავს, არამედ მასთან ერთად იმოგზაურებს, შეეძლება თავდადება და შემართება. როგორც ეტყობა, მამიდა ნინეტის ხელშეწყობით, რომელიც თავიდანვე იფარავდა შეყვარებულთ, სწორედ ჩარმიანი იყო ის ფარული ძალა, რომელმაც დაანგრია ლონდონების ოჯახი. საერთოდ, ჯეკის სუსტი მხარის მოძებნა ადვილი საქმე იყო. მაგალითისათვის გავიხსენოთ, როგორ თავდავიწყებთ გაიტაცა იგი სულიერმა სიყვარულმა ანა სტრუნსკაიასადმი, ფიზიკურმა — ჩიკაგოს მატარებელში უცნობი ქალისადმი. ისიც არაა გამორიცხული, ჯეკს რომ ისეთი, სპეციფიკურ თავისებურებათა მქონე ქალი არ გადაყროდა, როგორიც მისს კიტრეჯი იყო, შეიძ-

ლება იგი ბესისთან დარჩენილიყო. მაშინ ოჯახი — ე. წ. შტაბი შეიქმნებოდა, ხოლო მოგზაურობაა და სათავგადასავლო შემთხვევების ძებნას იგი მარტო შეუდგებოდა. მაგრამ ისიც ადვილი შესაძლებელია, რომ თუ მას მისს კიტრეჯი ვერ დაეპატრონებოდა, იგი სხვას, მეხუთეს, მეათეს გადაყროდა... ამის შესახებ თვითონაც ხშირად ლაპარაკობს თავის მოთხრობებში: ამ ქვეყანაზე ერთი ძაღლი მეორესა სჭამს, ხოლო იმათ, ვინც ჩამორჩება — მგელი. ბესის არ ძალუძს ქმრის შენარჩუნება? რა ვუყოთ! მის კიტრეჯს ეს არ შეეხება, მას უფლება აქვს იბრძოლოს თავისი ბედნიერებისათვის; უფლება აქვს მოიტაცოს ის, რაც მას სურს. დიახ, ჯეკის საქციელი გულს ატკენს სამ, ყველაზე საყვარელ არსებას, რომელთაგან ორის ამქვეყნად მოვლინების მიზეზი თვითონვეა. სამაგიეროდ ისინი, რომლებიც ბესის უყვარს, დედის მიზეზით არ დაიტანჯებიან.

ეპვი რომ გაექარწყლებინა, მისს კიტრეჯი ხშირად მიდიოდ: ბესის სანახავად, რომელიც მას საიდუმლოდ უზიარებდა ოჯახურ ჭირ-ვარამს. 1903 წლის 12 სექტემბერს იგი ჯეკს სწერს: „გუშინ საღამოს ბესისთან ვიყავი. ჩინებულად მიმიღო, ისე ჩინებულად, რომ თავი უხერხულად ვიგრძენი. მთხოვა — გვესტუმრე, როცა მოგეხერხებაო. იმდენად თავაზიანი, იმდენად მხიარული იყო, რომ მომეჩვენა — მთელი ეს განხეთქილება, ეს გასაჭირი სიზმარი ხომ არ არის-მეთქი. ზოგჯერ, როცა გავიფიქრებ, რაც მოხდა, თავს ვსაყვედურობ, რომ საზიზღარი ადამიანი ვარ; მართალია, ასეთ შემთხვევებში გონება მომეშველება ხოლმე. მაგრამ, მაინც — ოჰ!!!“ ხუთი დღის შემდეგ ისევ განაგრძობს: „მე თითქმის უარეყავი ის აზრი, თითქოს ბესი ჩემზე სერიოზულად ეპვიანობს, თუმცა მისგან არაფერი გამაკვირვებდა! მას გონება ჯერ არ დაუკარგავს, მე კი ცრუ ადამიანს ვერ ვურიგდები“. იგი ისე მოხერხებულად თამაშობდა თავის როლს, რომ 2 ოქტომბერს ჯეკს უკვე შეეძლო მისთვის შეეტყობინებინა: „რაც შეეხება ჩვენი ურთიერთობის საკითხს, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. გუშინ საღამოს ბესი მელაპარაკებოდა, რომ უშენოდ ვერც წარმოუდგენია, როგორ უნდა გაძლოს. ერთი სიტყვით, ცამდე აპყავდი“.

მართალია, ბესის თავზარი დასცა ამ ამბავმა, მაგრამ სიამაყე და თავმოყვარეობა ბრძოლის, აყალმაყალის ატეხის ნებას არ აძ-

ლევდა. მისთვის სავსებით უცხო იყო ის ზრახვები, რითაც მისი ქმარი ხელმძღვანელობდა. უდრტვინველად იტანდა ყველაფერს, მაგრამ ის აოცებდა, რამ შეცვალა ადამიანი, რომელიც ასე დაჟინებით სთხოვდა ცოლად გაჰყოლოდა, თავისი გაიტანა და ბავშვები გააჩენინა, რომელიც არა მარტო მისი შრომით სარგებლობდა თავის საქმიანობაში, არამედ, ერთად ცხოვრების პირველ ხანებში, მისი ფულითაც, შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ სამი წლის მანძილზე. განა რა მოხდა ისეთი, რომ ასე მოულოდნელად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე მიატოვა?

გაჭირვებამ იგი ფლორა ლონდონთან დაამეგობრა. ბესიმ და ფლორამ სამი წლის განმავლობაში მოთმინებიდან გამოიყვანეს ჯეკი ჩხუბითა და დავიდარაბით, მაგრამ ჯონი მილერისადმი სიყვარულმა ფლორას აგრძნობინა, რა იყო დედობრივი სიყვარული. ახლა იგი ამხედრდა შვილის წინააღმდეგ, რომელმაც ოჯახს თავი დაანება. დედის ასეთმა საქციელმა გული დაწყვიტა ჯეკს და ამან კიდევ უფრო აუბნია თავგზა. მას დევნილობის მანია აეკვიატა; ჩიოდა, თითქოს ყველა მის წინააღმდეგ იყო ამხედრებული, თითქოს ყველას პირი ჰქონდა შეკრული, რათა იგი „მისი საყვარელი ქალისთვის“ ჩამოეშორებინათ. 22 სექტემბერს იგი „სპრეის“ გემბანიდან სწერდა მისს კიტრეჯს: „ყველა ადამიანური კანონის თანახმად მე არ შემეძლო შენთვის გვერდი ამევლო წყვდიადსა და სიბნელეში. შენ ჩემი იყავი, ჩემი და მთელ ქვეყანაზე არავის არ ჰქონდა ჩვენი განშორების უფლება. ამის მიუხედავად, მე მაინც ჩამომაშორეს, სამარცხვინოდ ჩამომაშორეს ქალს, რომელიც სიცოცხლეზე მეტად მიყვარს“.

ჯეკმა იმდენად დაკარგა ნათლად აზროვნების უნარი, რომ, კრიტიკის მიერ „წინაპართა ძაბილის“ ბრწყინვალე შეფასების მიუხედავად, რომელსაც ერთხმად უწოდებდნენ „ამერიკული ლიტერატურის კლასიკურ განძს“, თავს ძალა ვერ დაატანა მუშაობას შედგომოდა. ერთადერთი საშუალება, რომლითაც შეიძლებოდა თავი დაეღწია მის ირგვლივ შექმნილი ამღვრეული ატმოსფეროსათვის, იმაში მდგომარეობდა, რომ იქაურობას გასცლოდა; წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი აზრით, იგი „ზღვის მგელს“ საერთოდ ვერ დაამთევრებდა. როცა კაპიტალურად შეკეთების შემდეგ „სპრეი“ დაბრუნდა, ჯეკმა გზის ფული გადაუგზავნა სამხრეთ კალიფორნიაში

მცხოვრებ კლაუდსლი ჯონსს, რომელმაც თითქმის არაფერი იცოდა მეგობრის უსიამოვნების შესახებ და ორივენი მდინარე საკრამენტოს შესართავისაკენ გაემგზავრნენ; დილაობით წიგნებზე მუშაობდნენ, სადილობის შემდეგ — ცურაობდნენ, იხვებზე ნადირობდნენ, თევზაობდნენ. ქალების გარემოცვაში ცხოვრების შემდეგ, რომლის დროსაც მრავალ სირთულეს წააწყდა (და რომელნიც მისივე მიზეზით აღმოცენდებოდნენ ხოლმე), მამაკაცთა წრე ჯეკს მკურნალად მოევლინა. „რაც უფრო მეტხანს ვარ კლაუდსლისთან, მით უფრო მსიამოვნებს მასთან ყოფნა. იგი პატიოსანია და ერთგული, ახალგაზრდა და გაუხრწნელი, იცის გემზე დისციპლინის მნიშვნელობა და კარგი მზარეულია. ყოველივე ამასთან ერთად, სასიამოვნო და გულკეთილი ამხანაგიცაა“.

სწორედ რომ ვაკაციურად მოიშორა მან გულიდან ყველაფერი აღმაშფოთებელი. ყოველ დილას წერდა ათას სიტყვას „ზღვის მგლისათვის“. ერთადერთი საზრუნავი, რომელიც, ყველაფრის მიუხედავად, მაინც იჩენდა ხოლმე თავს, იყო ფინანსური სიძნელეები: 14 სექტემბრისათვის იგი ისევ უსახსროდ დარჩა. „ბესი გიმტკიცებს, რომ მე უკაპიკოდ დავრჩი, — წერს იგი მისს კიტრეჯს, — მართლაც უკვე ვგრძნობ, რომ შორს არა ვარ ამგვარი მდგომარეობისაგან. სიღატაკისაგან სულ რაღაც ასიოდე დოლარი მაშორებს და ამ დროს მოულოდნელად მოაქვთ ექიმის ანგარიში ას თხუთმეტ დოლარზე“. „ზღვის მგელზე“ მუშაობა გვერდზე გადადო და ხელი მიჰყო მოთხრობების წერას „ახალგაზრდობის თანამგზავრისთვის“, რათა ერთი თვის განმავლობაში დღიურ სამუშაოზე გადასვლით ცოტათი მინც გამოესწორებინა მდგომარეობა.

რამდენიმე დღეში ერთხელ შეივლიდა ხოლმე რომელიმე პატარა ქალაქის — სტოქტონის, ანტიოქის ან ვალიეხოს ფოსტაში კორესპონდენციისათვის. ერთხელ ბესისაგან წერილი მიიღო — ჯონი ტიფით გამხდარიყო ავად. ჯეკი მაშინვე ქალიშვილისაკენ გაექანა. იმის შიშით, ბავშვს რამე არ გაუჭირდესო, იგი თითქმის არ სცილდებოდა მის ლოგინს. როცა ექიმმა უთხრა, გოგონა სანთელივით დნებაო, ჯეკმა ეს ცოდვების სამაგიერო სასჯელად მიიღო და ფიცი დასდო, თუ მისი გოგონა გადარჩებოდა, უარს იტყოდა თავის დიდ სიყვარულზე და ოჯახს დაუბრუნდებოდა. გაზეთებში გა-

მოჩნდა ცნობა: ავადმყოფ გოგონას ლოგინთან მეუღლენი შერიგდნენო.

მაგრამ აი, ჯოანის გამოჯანმრთელება დაეტყო და ჯეკიც ისე მოიქცა, როგორც მეზღვაური ჩაძირული გემიდან, რომელიც მუხლზე ეცემა თავის დანჯღრეულ ტივზე და ღმერთს ევედრება: „ღმერთო მოწყალეო, მიხსენ მე, რათა ვიქნე მართლმორწმუნე კუბოს ფიცრამდე... თუმცა კმარა, ნუღა შეწუხდები. მგონი იალქანი მოჩანს“. როცა ჯოანი ფეხზე წამოდგა, იგი ისევ „სპრეიზე“ დაბრუნდა.

აწმყოში არეულ-დარეულობა სუფევდა, სამაგიეროდ, წარსულში კარგად იმუშავა და შრომაც დაუფასდა. „წინაპართა ძახილმა“ პოპულარობა მოიპოვა; ყველასათვის გასაგები ენით დაწერილს ყველა კლასისა და ასაკის მკითხველი ყიდულობდა. ნოემბრისათვის იგი უკვე მესამე იყო „ბესტსელერთა“ სიაში „ავბედითი საგუშაგოსა“ და „მომავალი სამეფოს მწყემსი ქალის“ შემდეგ; უკან ჩამოიტოვა საზოგადოების ისეთი საყვარელი ნაწარმოებები, როგორიცაა „მისის ვიგსი კომბოსტოს მინდვრიდან“, „რებეკა სანიბრუკის ფერმიდან“ და „როგორც ყველი ერბოში“.

ნოემბერში გამოვიდა „ჯურღმულის ადამიანები“, რომელმაც თითქმის ერთობლივი მოწონება დაიმსახურა. კრიტიკოსები აღნიშნავდნენ, როგორც სოციოლოგიური დოკუმენტი, ამ წიგნს ბადალი არ მოეპოვებაო; ჯეკ ლონდონს „ჯურღმულის ადამიანების“ გარდა რომ არაფერი შეექმნა, იგი მაინც დაიმსახურებდაო აღიარებას, როგორც ამ წიგნის ავტორი. ავტორი აიძულებს კუდაბზიკა და თვითდაჯერებულ საზოგადოებას ჩაუფიქრდეს — ნამდვილად საუკეთესოდ გამოიყენა თუ არა მან თავისი შესაძლებლობანი?

ბუნებრივი იქნებოდა, თუ ვივარაუდებდით, რომ ინგლისში ლონდონს ჩათვლიდნენ ცრუმოსახელედ, რომელიც სხვის სფეროში შეიჭრა. ინგლისის პრესამ იგი მართლაც დაადანაშაულა იმაში, რომ იგი დაუფიქრებლად ჩეხავს ყველაფერს. მაგრამ იმავე დროს აღიარა, რომ ჯეკ ლონდონის გარდა ვერავინ შეძლო შეეღწია ლონდონის ჯურღმულების ყოველ კუნჭულში.

„ზღვის მგლის“ პირველი ნაწილი ჯეკმა ბრეტს გაუგზავნა; ნაწარმოებმა მასზე ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ხელნაწერს აღფრთოვანებული რეკომენდაცია დაურთო და იგი ჟურნალ „საუკუნეს“ რედაქტორს გაუგზავნა.

როცა ეს ამბავი ჯეკმა შეიტყო, მან გაოცებით გადაიქნია თავი: „საუკუნე“ ცნობილი იყო; როგორც დინჯი, კონსერვატული ჟურნალი, ნავარაუდევი დარბაისელ, დაოჯახებულ მკითხველთათვის. ჯეკი არც ფიქრობდა. რომ ეს ჟურნალი დაიწყებდა ისეთი ბახვილი, აშკარა-რეალისტური ნაწარმოების ბეჭდვას, როგორიც „ზღვის მგელი“ იყო. იგი შეცდა. რედაქტორმა ჯეკს ოთხი ათასი დოლარი შესთავაზა რომანის ნაწილ-ნაწილ დაბეჭდვის უფლებისათვის, მხოლოდ იმ პირობით, თუ დამუშავების პერიოდში მყოფ მეორე ნაწილს შეამცირებდა და უკაცრიელ კუნძულზე დარჩენილი მთავარი გმირები (ქალი და მამაკაცი), საპატიო ჟურნალის ხელისმომწერთა თვალსაზრისით, საძრახისს არაფერს ჩაიდენდნენ.

ოთხი ათასი! ისიც მხოლოდ ჟურნალისათვის! ოთხი ათასი ხომ მან „წინაპართა ძახილის“ გამოცემაზე სრული უფლების მიცემისათვის მიიღო. ჯეკმა იალქნები აუშვა და სრული სისწრაფით გასწია მდინარის შესართავისაკენ. ნავი ნაპირს მიაყენა და „საუკუნის“ რედაქტორს დეპეშა გაუგზავნა, რომ თანახმაა შეამცირონ რამდენიც სურთ, რაც შეეხება დანარჩენს, „სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ წიგნის მეორე ნაწილი არ შეაცბუნებს მოკრძალებულ ამერიკელ ქალებს“. ხელშეკრულება დაიდო. ჯეკი ახალი ენერგიით შეუდგა მუშაობას და ოცდაათი დღის დაძაბული მუშაობის შემდეგ წიგნი დაამთავრა. ჟურნალმა არც ქაღალდი და არც მუყაოს ტყვეულება არ დაიშურა და აქამდე გაუგონარი მასშტაბის ფართო რეკლამით მთელ ქვეყანას აცნობა, რომ მისტერ ჯეკ ლონდონს, მოთხრობა „წინაპართა ძახილის“ ავტორს, სურვილი აქვს ჟურნალ „საუკუნის“ ფურცლებზე გამოაქვეყნოს თავისი ახალი ნაწარმოები „ზღვის მგელი“.

რამდენიმე თვის შემდეგ იგი ოთხი ათასი დოლარის პატრონი შეიქნება, მანამდე კი გროშიც არა აქვს და ისიც მაშინ, როცა შობამდე ერთი კვირაღა დარჩა. ბანკში ზუსტად ოცი დოლარი და ორი ცენტი ჰქონდა, საშობაო საჩუქრები კი ჯერ კიდევ არ შეეძინა. „იმის გათვალისწინებით, თუ როგორ საღდება „წინაპართა ძახილი“, ხომ არ ფიქრობს ბრეტი, საშობაო საჩუქრის სახით, ჩემს დაჯილდოებას? სწორედ რომ დროული იქნებოდა“. „წინაპართა ძახილს“ ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ, მაგრამ ბრეტმა ფული არ გამო-

გზავნა. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს სიძუნწის გამოვლინება ყოფილიყოს. წლების მანძილზე იგი ყოველთვის ხელგაშლილი იყო ზოგჯერ მეტად დიდი მოთხოვნილების მქონე თავისი ლიტერატურული „ვარსკვლავის" მიმართ. მაგრამ ამჯერად ყველაფერი წინასწარ იყო შეთანხმებული ჯეკთან. ბრეტს კარგად ესმოდა, რომ საჩუქრის გაგზავნა ხელშეკრულების პირობების დარღვევა იქნებოდა, ეს კი თავისთავად შესაძლებელს ხდიდა მომავალშიც ასეთი შემთხვევების გამეორებას. თუ ჯეკი „წინაპართა ძახილის" გამოცემის უფლებას დაიტოვებდა, მისი ჰონორარი ამ რამდენიმე წლის განმავლობაში თითქმის ასი ათას დოლარს შიაღწევდა, მაგრამ იმ პირობით, თუ ბრეტი იმდენივე თანხას გაიღებდა, რამდენიც ახლა დახარჯა წიგნისათვის გზის გასაკაფავად. ჯეკს თითზე საკბენი არაფერი ჰქონდა, როცა ყველა უფლება ბრეტს გადასცა. მან დიდძალი ფული დახარჯა, რათა ავტორისათვის სახელი მოეხვეჭა. ჯეკიც ყველაფერ ამას ანგარიშს უწევდა, რადგან კარგად ესმოდა, რას ნიშნავდა მისთვის რეკლამა,

ახალი 1904 წლის წინა დღეებში ცნობილი გახდა ომის აუცილებლობა რუსეთსა და იაპონიას შორის. როგორც სოციალისტი, ჯეკი ყოველგვარი ომის წინააღმდეგი იყო, რადგანაც ომში სხვადასხვა ქვეყნის მშრომელი ხალხი იხოცება, იმისთვის, რომ დაიცვან კაპიტალისტთა ინტერესები. მაგრამ, რაკი ომი მაინც დაიწყო, მას სურს ბრძოლის ველზე იყოს და ყველაფერი საკუთარი თვალით ნახოს. თავის დროზე ჯეკი გაეცნო ტაქტიკასა და სამხედრო ტექნიკას; მას აინტერესებდა, თუ რა საფრთხეს უქმნიდა ომის თანამედროვე მეთოდები ცივილიზაციას. ამას გარდა, საჭირო იყო გარკვეულიყო ყვითელი საშიშროების შესახებ არსებულ მრავალ თეორიაში. ბოლოს, იგი გრძნობდა, რომ თუ სამხედრო კორესპონდენტის რეპუტაციას დაიმსახურებდა, ყველა შემთხვევაში შეეძლებოდა ფულის შოვნა. მის წინ კვლავ გამოიკვეთა სათავგადასავლო ბილიკი — ბილიკი, რომლითაც შეეძლებოდა გასცლოდა ქორწინებითა და სატრფიალო გატაცებებით გამოწვეულ გართულებებს.

ჟურნალებმა და გაზეთებმა კორესპონდენტების გაგზავნა დაიწყეს იაპონიაში. ჯეკს ხუთმა სინდიკატმა მიმართა წინადადებით; იგი იმას დათანხმდა, რომელიც მეტ ფულს ჰპირდებოდა — ჰერს-

ტის კონცერნს. იანვრის პირველ რიცხვებში ჯეკი „ეკზამინერის“ რედაქციაში გამოცხადდა და სურათი გადაიღო შენობის სახურავზე. მუშის მუქი ფერის ტანსაცმელში, დაბალყელიან ფეხსაცმელში, დიდი ხნის გაუკრეჭავი, იგი ისე გამოიყურებოდა, თითქოს ეს-ესაა ახლა დაემთავრებინოს თავისი ცვლა ბელმონტის ორთქლის სამრეცხაოში. სურათებიდან ჩანს, რომ ბესისთან განშორების შემდეგ, ამ ექვსი თვის განმავლობაში, განვლილ ღელვასა და უსიამოვნებებს ამაოდ როდი ჩაევლო. ბავშვური გამომეტყველება ზრუნვითა და მღელვარებით ალსავსე გამომეტყველებით შეცვლოდა.

ჯეკმა ისე მოაწესრიგა საქმე, რომ მისთვის განკუთვნილი ყოველთვიური ჩეკი მაკმილანს ბესისათვის გადაეგზავნა. ამასთანავე, ელიზას სთხოვა, საჭიროების შემთხვევაში მისს კიტრეჯს დახმარებოდა. ეს იყო პირველი ნიშანი, რითაც ელიზა მიხვდა, რაც ხდებოდა. ჯონ სტერლინგს „ზღვის მგლის“ რედაქტირება მიანდო, ვიდრე მაკმილანი წიგნს სტამბაში გაგზავნიდა. 1904 წლის 7 იანვარს, ხუთი დღით ადრე ოცდარვა წლის შესრულებამდე, ჯეკ ლონდონი ბორნით გადავიდა უმბარკადეროში და გემ „ციმბირით“ იოკოჰამასაკენ გაემგზავრა.

„ციმბირზე“ თავი მოეყარა გაზეთების მხიარულ კორესპონდენტთა კომპანიას, რომელმაც თავის თავს მაშინვე მეტსახელად „ბორა“ უწოდა. ჰონოლულუდან გასვლის პირველ დღეს გემბანზე სპორტული თამაშობანი წამოიწყეს. ჯეკი მრგვალ ჯოხს გადაახტა, დაეცა და მარცხენა ფეხის იოგები დაეჭიმა. მარჯვენა ფეხი ჯერ კიდევ მაშინ დაიზიანა, როცა „კეთილშობილ მაწანწალად“ ყოფნისას ჩქარი ნატარებლიდან ჩამოვარდა; ამიტომ ამ უკანასკნელმა უბედურმა შემთხვევამ სავსებით გამოიყვანა მწყობრიდან. „სამოცდახუთი საათის განმავლობაში ოფლში ვიწურებოდი ზურგზე მწოლარე. გუშინ ერთმა კუზიანმა ინგლისელმა კორესპონდენტმა გემბანზე გამომათრია“. თავისი გაჩენის უბედურ დღეზე წუხილი გვიანღა იყო; კაბინა „ბორელებით“ გაივსო, რომელნიც ჯეკს ეხვეოდ უმასპინძლდებოდნენ სხვადასხვა ომებისა და შესრულებულ დავალებათა შესახებ.

როცა იოკოჰამაში ჩავიდნენ, მან ყოველ დახლთან, სადაც კი ადრე ჩვიდმეტი წლის ყმაწვილს „სოფი საზერლენდის“ განუყრელ სა-

მეულთან — დიდ ვიქტორთან და აკსელთან — დალევა უხდებოდა, თითო ჭიქა გადაჰკრა. შემდეგ მატარებელში ჩაჯდა და ტოკიოსაკენ გაემგზავრა, სადაც იმყოფებოდნენ მსოფლიოს ყოველი კუთხიდან ჩამოსული კორესპონდენტები. ისინი ელოდნენ, როდის დართავდა მათ ნებას იაპონიის მთავრობა მოქმედ არმიაში წასვლაზე. ოფიციალურად ომი ჯერ არ იყო გამოცხადებული და იაპონელი მოხელეები შეკითხვებზე ორჭოფულად პასუხობდნენ. სამაგიეროდ, კორესპონდენტებს ართობდნენ ექსკურსიებით ღირსშესანიშნავ ადგილებში, ბრწყინვალე ბანკეტებითა და ყურადღების მომდენებელი სხვა გასართობებით.

ჯეკი იმისთვის კი არ იყო ჩამოსული იაპონიაში, რომ ბანკეტებზე ევლო. ორი დღე მოთმინებით უგდო ყური დახვეწილ, ზრდილობიან, მიხვეულ-მოხვეულ ლაპარაკს, მერე კი ვეღარ მოითმინა, გაიკითხ-გამოიკითხა და გამოარკვია ისეთი რამ, რაც სხვა კორესპონდენტებს აზრადაც არ მოუვიდოდათ. სახელდობრ ის, რომ იაპონიის მთავრობას განზრახული ჰქონდა კორესპონდენტები ფრონტის ხაზისათვის არ გაეკარებინა. ამრიგად გაარკვია, რომ თუ სურდა გაზეთისათვის ომის ამბები მიეწოდებინა, ფრონტისაკენ გზა თვითონ უნდა გაეკაფა. „ბორელების“ გაუფრთხილებლად ჯეკი ტოკიოდან მატარებლით გაიპარა კობესა და ნაგასაკისაკენ; იმედი ჰქონდა, რომ იქიდან გემით ჩავიდოდა კორეის ქალაქ ჩემულპომდე, საიდანაც ფრონტზე გზავნიდნენ იაპონიის ნაწილებს.

რამდენიმე დღე უნაყოფო გამოკითხვაში გაატარა სანაპიროზე, ვიდრე არ გაიგო, რომ ჩემულპოსკენ გემი 1 თებერვალს გადიოდა. შეიძინა ბილეთი და უკვე ოცნებობდა, რომ მოქმედ არმიასთან ერთად გადაივლიდა კორეას, მაშინ როცა სხვა კორესპონდენტებს ტოკიოში ართობდნენ ბრწყინვალე სადილებით. თავისუფალი დრო ჰქონდა და ჯეკმა ქუჩებში დაიწყო ხეტიალი, უნდოდა ნახშირისა და ბამბის ბარდანების მტვირთავი ყულებისათვის სურათი გადაეღო. ითი წუთიც არ იყო გასული, რომ იგი უკვე ათვალიერებდა კორეისა და იაპონიის სამხედრო სატუსაღოთაგან ერთ-ერთის საკანს, რომელმაც მას სინანულით მოაგონა ერის ოლქის შედარებით წყნარი დაბის გამასწორებელი სატუსაღოს დერეფნის ზედამხედველი. ამ დროს იგი იაპონიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა დააპატიმ-

რეს, როგორც რუსეთის ჯაშუში! რვა საათის განმავლობაში ცემატყეპით დაკითხვის შემდეგ, მეორე დღეს სხვა, უფრო დიდ, ციხეში განაახლეს დაკითხვა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოუშვეს, მაგრამ... გემი უკვე წასულიყო.

გაიგო თუ არა, რომ ჯარისკაცებს ბანაკებიდან გვიან ღამითაც კი იძახებდნენ, ჯეკი გამწარებით დარბოდა სანაპიროზე, ეგებ კიდევ გამოჩნდეს ჩემულპოსკენ მიმავალი რომელიმე გემიო. ბოლოს, როგორც იქნა, 8 თებერვალს „კოგო მარუზე" აღმოჩნდა ადგილი, მაგრამ სწორედ გასვლის წინ გემს კონფისკაცია გაუკეთა მთავრობამ. იმით გაცოფებული, რომ ფრონტზე დროულად ვერ მივა და კორესპონდენციას ვეღარ მოამზადებს პირველი შეტაკების შესახებ, ჯეკი თავაღებით გაექანა კატერით პატარა გემისაკენ — იგი ჩემულპოს გზაზე მდებარე პორტ პუსანში მიდიოდა; ჯეკს ისეთ აურზაურში მოუხდა ჩაჯდომა, რომ ერთ-ერთი ჩემოდანი ზღვაში გადაუვარდა და მშვიდობით! გემი ადგილობრივი მიმოსვლისათვის იყო განკუთვნილი და მასზე ევროპული საჭმლის ნამცეციც არ მოიპოვებოდა, ღამეც ღია გემბანზე უნდა გაეთიათ, თოვლქუყაპში, ზუსტად ისე, როგორც რკინიგზის მახლობლად მდებარე მაწანწალათა „ჯუნგლებში", სადაც უსაბნოდ, სიცივისაგან აძაგძაგებულებს უნდა გაეთიათ მთელი ღამე.

პუსანში ჯეკი მეორე გემზე გადაჯდა, მაგრამ, როგორც კი მოკპხოს მიაღწიეს, გემს ხელისუფლება დაეპატრონა და მგზავრები უბოდიშოდ ნაპირზე გადასხეს. სიჩქარე, რომლითაც იაპონელებს ჯარისკაცები გადაპყავდათ კორეაში, თვალნათლივ მოწმობდა, რომ, დღეს თუ არა ხვალ, ომი გამოცხადებოდა. ჯეკი კი აქ უნდა მჯდარიყო, ჩემულპოდან ასეული მილის დაშორებით. დარწმუნებული, იყო, რომ გემი აღარ იქნებოდა. მას კი გასამრჯელოს იმიტომ უხდიან, რომ ომის შესახებ კორესპონდენციები გადაგზავნოს, მაშასადამე, რადაც არ უნდა დაუჯდეს, უნდა გაგზავნოს. მაგრამ როგორ მიაღწიოს ფრონტამდე? როგორ? ამ დროს მის არსებაში გაიღვიძა მარშალ უელმანის შვილისშვილმა, იმ მარშალ უელმანისა, რომელიც ბავშვობისას თავისივე შეკრული ტივით დაბრუნდა შინ, კლივლენდში, პუტ-ინ-ბეის ყურეში მდებარე კუნძულიდან. ყველაფერი ცხადია, უნდა დაიქირავოს ადგილობრივი ღია ჯონკა, გადაცუროს ყვითელი ზღვა შემდეგ კი კორეის ნაპირების დაყოლებით ჩემულპომდე მიაღწევს!

თერმომეტრი თოთხმეტ გრადუსს უჩვენებდა ნულს ქვემოთ. არაუშავს, კლონდაიკში სამოცის გადატანაც უხდებოდა. ქარი, რომელიც ყვითელ ზღვაზე ღმუოდა, ლინდერმანის ტბისაზე უფრო საშიში როდი იყო. განსაცვიფრებლად გაბედული, თავზეხელაღებული მოქმედება იყო, თუმცა არა იმაზე უფრო თავზეხელაღებული და გაბედული, თორმეტი წლისა რომ დაცურავდა სან-ფრანცისკოს ყურეში მძვინვარე სამხრეთ-დასავლეთის ქარის დროს ძირგახვრეტილი, დანჯღრეული ნავით. ეს გზა ნაკლებ ძნელი და საშიში კი არ იყო იმ გზებზე, რომლებითაც ვიკინგები სარგებლობდნენ ღია ნავით ატლანტის ოკეანის გადაცურვის დროს. მით უკეთესი! ჯეკმა სწრაფმავალი ჯონკა შეიძინა, დამხმარედ სამი მამაცი კორეელი დაიქირავა და ჩემულპოსაკენ გასცურა.

„მეტისმეტად გიჟური წამოწყებაა, მაგრამ რარიგ ზორბაა! ეჰ, ნეტა ახლა ჩემთვის შემოგახედათ! მე კაპიტანი ვარ. ჩემი ეკიპაჟი სამი კორეელისაგან შედგება, რომელთაც ინგლისურის ინჩიბინჩი არ გაეგებათ. შეღამებამდე კუნსანში ჩავედით, მაგრამ ანძის გარეშე, საჭის სამართიც მწყობრიდან გამოვიდა. კოკისპირულად წვიმს, ხოლო ქარი ძვლებამდე ატანს. უნდა გენახათ, როგორ მეფერებოდნენ, — ხუთი იაპონელი ქალიშვილი მეხმარებოდა ტანისამოსის გახდაში; აბაზანის შემდეგ დასაძინებლად წამიყვანეს და თანაც ერთმანეთს ესიტყვებოდნენ ჩემი ლამაზი თეთრი კანის შესახებ“.

კვლავ ზღვაში! ექვსი დღე-ღამე გამყინავ სიცივეში; შტორმი გაშმაგებით აქეთ-იქით ისვრის პაწაწინა გემს; ყოველ წუთს მოსალოდნელია დაღუპვა. მხოლოდ მაყალთან თუ შეძლებდა კაცი გათბობას, მაგრამ მაყალის ბოლი საწამლავის უფრო მეტ დოზას შეიცავდა, ვიდრე ცივი ნაციონალური საჭმელები, რომლებითაც, ნებსით თუ უნებლიეთ, მაინც უხდებოდა საზრდოობა. ფეხის არც ერთი კოჭი ჯერ კიდევ მორჩენილი არ ჰქონდა და ჯონკა, ასე ვთქვათ, ნახევრად ხეიბარს მიჰყავდა. თუ რა მდგომარეობაში იყო, როცა ჩემულპოს მიაღწია, ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ერთი ინგლისელი ფოტოგრაფი, რომელიც იქ უკანასკნელი გემით ჩასულიყო:

„როცა ლონდონი ჩემულპოში გამოჩნდა, იგი ვერ ვიცანი. ყუ-
რები, თითები და ფეხები მოყინული ჰქონდა. დავარდნილ ადამი-
ანს ჰგავდა. მაგრამ მისთვის ეს არაფერს ნიშნავდა: სამაგიეროდ,
ფრონტს მიაღწია. უნდა ვაღიარო, რომ ყველა იმ მამაკაცს შო-
რის, რომელთაც ჩემს სიცოცხლეში შევხვედრივარ, ჯეკ ლონდონი
ყველაზე უფრო თავზეხელაღებულია. ვაჟკაცობაში იგი არ ჩამო-
უვარდება თავისი რომანების არც ერთ გმირს“.

ჯეკმა შეიძინა ცხენები, ისწავლა ცხენოსნობა; ხელზე მოსამ-
სახურეები და „მაპუ“ (მეჯინიბე) დაიქირავა და გზას გაუდგა.
კორეის გასწვრივ, ჩრდილოეთისაკენ, რუსეთის ჯარის განლაგე-
ბისაკენ. გზები ყინულითა და ტალახით იყო დაფარული. ყოველ-
დღე, საღამომდე, უნდა გადაესწრო იაპონელი ჯარისკაცებისათვის,
და სოფელში პირველი შესულიყო, თორემ ღამის გასათევ ადგილს
ვერ იშოვიდა.

რამდენიმე კვირის განმავლობაში, ფორსირებული მარშის შემ-
დეგ, რომლის დროსაც ჯეკი წარმოუდგენელ გაჭირვებებს განიც-
დიდა, როგორც იქნა, ფხენიანს მიაღწიეს. ჩრდილოეთისაკენ ასე
ღრმად ჯერ არც ერთ სამხედრო კორესპონდენტს არ მიეღწია. აქ
ჯეკი ერთი კვირა სასყრობილეში ჰყავდათ. კორესპონდენტებმა,
რომელნიც ჯერ კიდევ მხიარულად ატარებდნენ დროს ტოკიოში,
საჩივრით მიმართეს იაპონიის მთავრობას, გაზეთების ბრაზმორე-
ული გამომცემლები დორბლებსა ჰყრიდნენ და დეპეშას დეპეშაზე
აგზავნიდნენ შეკითხვებით: რით აიხსნება ის, რომ ჯეკ ლონდონი
აგზავნის კორესპონდენციებს კორეის შესახებ. ისინი კი სდუმან.
ჯეკი ფრონტიდან ათი მილის დაშორებით უკან, ციულში, დააბრუ-
ნეს და, ტოკიოდან მიღებული ბრძანების თანახმად, სამხედრო
სატუსაღოში ჩასვეს ნებართვის გარეშე არმიასთან მგზავრობისათ-
ვის.

სხვა სახელმწიფოებისადმი შეგობრული განწყობილების დასამ-
ტკიცებლად იაპონიის მთავრობამ გადაწყვიტა ფართო ექსტი გაეკე-
თებინა. „ჩვენ, ე. ი. იმ თოთხმეტ კორესპონდენტს, რომლებმაც
წინააღმდეგობა გავუწიეთ აქ, ტოკიოში დაყოვნებაზე, ნება დაგვ-
რთეს არმიას გავყოლოდით. ეს კუკის კომპანიის მიერ ტურისტე-
ბისათვის ორგანიზებულ ექსკურსიას ჰგავს. გიდების მოვალეობას

ზედამხედველი ოფიცრები ასრულებდნენ. ვხედავთ მხოლოდ იმასრის დანახვის ნებასაც მოგვცემენ, ესე იგი, თითქმის არაფერს. სწორედ ამაში მდგომარეობს თანმხლები ოფიცრების მოვალეობა. ასე მაგალითად: ერთხელ ვიიუს კედლებიდან თვალს ვადევნებდით ბრძოლას მდინარე იალუზე, მაგრამ აი, გაანადგურეს იაპონელთა ერთი ასეული — გაიცა ბრძანება და ჩვენ უკან, ბანაკში, დაგვაბრუნეს".

გაზაფხულის დადგომასთან ერთად კორესპონდენტებს ნება დართეს მდინარე იალუს მეორე ნაპირზე გადასულიყვნენ. ეკლესიასთან, პატარა წარაფში, ჯარისკაცებმა თითოეულისათვის პატარა კოხტა სახლი ააგეს. ჯეკი ცურაობდა, თამაშობდა ბრიჯს, ბანაკს კი მხოლოდ ერთნახევარი მილით შეეძლო დაშორებოდა... იაპონელები იმ დროს რუსების სანგრებს ბომბებს უშენდნენ.

ძნელია მუშაობა, როცა მოწინავე ხაზიდან ორმოცი მილის დაშორებით ტყვესავით იმყოფები, მაგრამ ჯეკი ყველაფერს აკეთებდა, რაც კი შეეძლო. იაპონიის არმია საფუძვლიანად შეაფასა: „ცოცხალი ძალის შემადგენლობა და იაპონიის არმიის აღკაზმულობა საყოველთაო აღტაცებას იწვევს"; ანალიზი გაუკეთა ამა თუ იმ მხარის მანევრირებისა და ომის წარმოების ტაქტიკას. გამოადგა ფოტოგრაფიის გაკვეთილებიც, რომელსაც ბესი უტარებდა. მისი სურათები — არმია მარშის დროს, სანგრების მომზადება, არმია ბანაკად, დაჭრილების მოვლა, — პირველები მიიღეს ამერიკაში. ცხრამეტი კორესპონდენციისა და ასობით ფოტოსურათის გაგზავნის შემდეგ, ჯეკს სან-ფრანცისკოში დაბრუნებამდე უნდა ეცადა, რათა გაეგო, მიიღო თუ არა ისინი „ეკზამინერმა".

„ალმაშფოთებელია! არასდროს აღარ წავალ იმ ომში, რომელსაც აზიელები აწარმოებენ. ზომაზე მეტ უსიამოვნებას გადაეყრები. არც ერთ ომში კორესპონდენტებს ასე არ ეპყრობიან". ივნისში მზად იყო შინ დაბრუნებულიყო; დროის უნაყოფო დაკარგვას აზრი აღარ ჰქონდა: „მეტად მაღიზიანებს ის უმწეო მდგომარეობა, რომელშიც ვიმყოფები. არავითარი შესაძლებლობა არ არის ვიმუშაო ისე, როგორც მინდა. მხოლოდ ის მანუგეშებს, რომ დეტალურად გავეცანი აზიის გეოგრაფიას და ადგილობრივ მცხოვრებთა თავისებურებებს".

უკან დაბრუნების სურვილმა კიდევ უფრო მეტად მას შემდეგ შეიპყრო, როცა კინაღამ სამხედრო სასამართლოში არ ამოჰყო თავი. ერთხელ მისი „მაპუ“ არმიის შტაბში გამოცხადდა ცხენებისათვის ფურაჟის მისაღებად, მაგრამ ერთი კორეელის მიზეზით, ყველაფერი სრულად ვერ მიიღო, რაც ერგებოდა. ჯეკს ამ კორეელზე ისედაც დიდი ხანია ეჭვი ჰქონდა აღებული და ახლა ბრალი დასდო ჭურდობაში. ამის საპასუხოდ კორეელმა დანა მოუქნია, მაგრამ ჯეკმა ერთი შემოკვრით იგი მიწაზე დაანარცხა. ჯეკს უბრძანეს სასწრაფოდ გამოცხადებულიყო გენერალ ფუჯისთან, რომელიც მას მკაცრი სასჯელით დაემუქრა. ცნობამ, ჯეკ ლონდონს გასამართლება მოელისო, ტოკიომდე მიაღწია, სადაც იმყოფებოდა რიჩარდ ჰარდინგ დევისი და განცხრომაში ატარებდა დროს. დევისმა ელვის სისწრაფით უდეპეშა პრეზიდენტ რუზველტს, რომელმაც თავის მხრივ იაპონიას მკაცრი პროტესტი განუცხადა. გენერალმა ფუჯიმ განკარგულება მიიღო ტუსალი გაენთავისუფლებინა. ჯეკი დაბრუნდა ტოკიოში, სადაც კორესპონდენტები, უკვე ოთხი თვე იყო, არმიის თანხლების ოფიციალურ ნებართვას ელოდებოდნენ. დევისმა იოკოჰამამდე მიაცილა ჯეკი და აღუთქვა, ერთი გასროლაც რომ გავიგონო, მაშინვე სამშობლოში დავბრუნდებიო. ამდენი ხანი აქ უსაქმოდ გაატარო და ერთი გასროლის ხმაც ვერ გაიგონო — ეს უკვე მეტისმეტია.

„ერთადერთი იმის იმედიღა დამრჩენია, რომ რეპუტაცია სხვა ომში, თეთრკანიანთა არმიაში აღვიდგინო“, — წუწუნებდა ჯეკი. სიმართლე რომ ითქვას, იგი სულ ტყუილად სწუხდა: თავისი მოგზაურობიდან მან მეტი კორესპონდენციის გამოგზავნა შეძლო, ვიდრე სხვა რომელიმემ; სენსაციური მასალები იშოვა, განსაკუთრებით ფოტოგრაფიული. გაზეთის რედაქციაში სავსებით კმაყოფილი იყვნენ მისი მუშაობით.

ალმოსავლეთისაკენ ეს „თავშესაქცევი გასეირნება“ დიდმნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ გაზეთის კონცერნმა მისი სტატიები თვალში მოსახვედრი სათაურებით აღჭურვა. ამას დაემატა „წინაპართა ძახილის“ წარმატებაც და ჟურნალ „საუკუნის“ მიერ „ზღვის მგლისადმი“ მიძღვნილი ეფექტური რეკლამა... ერთი სიტყვით, სან-ფრანცისკოში მისი დაბრუნებისას იგი უკვე ყველაზე ცნობილი მწერალი იყო ამერიკაში.

ჯეკი დარწმუნებული იყო, რომ ემბარკადეროსთან გემიდან გადმოსულს ხელებგაშლილი შეეგებებოდა მისს კიტრეჯი. ამის ნაცვლად ხელგამოწვდილი დაუხვდა სასამართლოს მოხელე, რომელსაც ბესის განცხადების ასლი ეჭირა. განქორწინების შესახებ. „ეკზამინერიდან“ საპასუხო კორესპონდენტობისათვის კუთვნილ პონორარზე უადალა დავდოთ ბესისავე მოთხოვნით. ჯეკი შეწუხდა; ეს მისთვის შეტისმეტად დიდი თავზარი იყო. განაგრძო კითხვა, მაგრამ საკუთარ თვალებს არ დაუჯერა; გული გადაუტრიალდა: ოჯახური განხეთქილების მიზეზად ბესი ანა სტრუნსკაიას ასახელებდა!

ბესიმ განქორწინება მოიწადინა; ჯეკის სურვილიც ხომ ეს იყო, მაგრამ ანა სტრუნსკაიას ამ საქმეში ჩათრევა, ანასი, რომელიც უკვე ორი წელიწადია, რაც არ უნახავს!.. როცა ჯეკი გონს მოეგო, შეებით ამოისუნთქა: თურმე ბესი ანას სერიოზულ შეცოდებაში კი არ სდებდა ბრალს, არამედ მხოლოდ იმას ამტკიცებდა, რომ „კემპტონისა და უეისის მიმოწერაზე“ მათი ერთდროული მუშაობა შეიქმნა ცოლისადმი ჯეკის გულგრილობის მიზეზი.

მისს კიტრეჯი არ დახვედრია. მის ნაცვლად ელიზა შეეგება დასტა წერილებით. ერთი მათგანი აიოვას შტატის ქალაქ ნიუტონიდან იყო; მისს კიტრეჯი თურმე იქ ცხოვრობდა ნათესავებთან. „ეშიშობ გული გაგიტყდება, როცა გაიგებ, რომ კალიფორნიაში არა ვარ, — წაიკითხა ჯეკმა. — ყოველთვის, როცა კი თავში გამიელვებს, რა შეიძლება მოხდეს ამ თვეში, სულ უფრო და უფრო მიპყრობს შიში. სამარცხვინო გამქელავნება, საშინელება, ჩემთვის ძვირფასი ადამიანების აფორიაქება! ასე იმიტომ კი არ გწერ, რომ შენდამი გრძნობა გამინელდა, ჩემო ძვირფასო. პირიქით, მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთი შეგვიყვარდა, შენზე ისე გაგიყვებული, როგორც ამ წუთში ვარ, ჯერ არ ვყოფილვარ. მაგრამ სხვებისა და ჩემთვისაც სჯობს კეთილგონიერება შევინარჩუნო“.

ჯეკი გაბოროტებული, აღშფოთებული და განაწყენებული იყო. პიედმონტში ბესისთან მისვლისთანავე გოგონებს ჩაეკონა და თანაც გაიფიქრა „შტორმსა და სიცივეში ეყო ვაუკაცობა ღია ჯონკით ყვითელ ზღვას შებმოდა, მაშ ახლა რატომ არ უნდა მოიკრიბოს ძალონე და არ დაიცვას ცოლისადმი ერთგულება, მისადმი მოვალეობა, თუნდაც მაშინ, როცა სხვა შეიყვარა?“

მეორე დილით მთელ ამერიკას მოედო ცნობა, რომ ბესი ლონდონი ქმარს ეყრება, რადგან ჯეკმა თურმე იგი ანა სტრუნსკაიაზე გასცვალაო. სან-ფრანცისკოს გაზეთებიც ასეთი მყვირალა სათაურებით გამოვიდნენ. ამიერიდან მთელი მისი ცხოვრება, თვით უმნიშვნელო და იდუმალი წვრილმანებიც კი, გაზეთების ნადავლი გახდა. რეპორტიორების მიერ გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენებულმა ჯეკმა წამოიძახა: „მე მხოლოდ ერთი წვრილმანი მაღელვებს: აქ დასახელებულია ანა სტრუნსკაია, იგი კი ისეთი ადამიანია, რომელსაც შეუძლია ყველაფერი გულთან მეტად ახლოს მიიტანოს“.

„მე განცვიფრებული ვარ, — განუცხადა რეპორტიორებს მისს სტრუნსკაიამ. — უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მისტერ ლონდონს სულ ორჯერ თუ შევხვდი, რადგან ხან ევროპაში ვცხოვრობდი და ხან — ნიუ-იორკში. ლონდონებთან სტუმრად ვიყავი ორი წლის წინ და მაშინ სიტყვაც არავის დაუძრავს, ცოლ-ქმარი ლონდონები ერთმანეთს ვერ ეგუებიანო“. როცა 1937 წელს ბესის შეეკითხნენ—რატომ დაასახელე სასამართლოში ანა სტრუნსკაიაო, მან უპასუხა, რომ ნანობს თავისი შეცდომის გამო. „ვიცოდი, რომ ჯეკი თავს არ დამანებებდა, სხვა რომ არ შეუყვარებოდა და ვერ წარმომედგინა, ვინ უნდა ყოფილიყო იგი, თუ არა ანა სტრუნსკაია“.

ჯეკს დიდხანს არ დასჭირდა ცოლთან იმის მტკიცება, რომ მათ განხეთქილებასთან ანას არავითარი კავშირი არა აქვს. რაკი ამაში დარწმუნდა, ბესიმ მოითხოვა, რომ სტრუნსკაია სასამართლო პროცესზე არ ეხსენებინათ. ჯეკმა აუხსნა მას, თუ, მისი ვექილის რჩევით, ბესი მოითხოვს ქმრის ყოველგვარ შემოსავალს დაედოს ყადაღა, მაშინ თანხის უდიდეს ნაწილს იურისტები წაიღებენ, ბავშვებს კი თითქმის აღარაფერი დარჩებათ. მთლად გაჭაღარავებულმა, დარდიანმა, საშინლად შეურაცხყოფილმა ბესიმ ჯეკს ჰკითხა, შეუძლია თუ არა პიედმონტში აუშენოს სახლი; მაშინ იგი უფრო დამშვიდებული იქნება, რადგან ბავშვებს საიმედო თავშესაფარი ექნებათ. ჯეკმა აღუთქვა სახლის აშენება. მაშინ ბესიმ მოხსნა ყადაღა, საჩივრის ფორმულირებაც შესცვალა და განქორწინების მოტივად მხოლოდ ის დაასახელა, რომ იგი ქმარმა მიატოვა. „მთელი ჩემი სიმტკიცის გამოჩენა დამჭირდა, რომ ბავშვების გამო გადაწყვეტილება არ შემეცვალა. უკანასკნელი ორი დღე ჩემთვის იმ-

დენად მტანჯველი აღმოჩნდა, რომ თითქმის მზად ვიყავი, თავი შემეწირა გოგონებისათვის“.

ამის ნაცვლად მან ბესის შეატყობინა, რომ ის „სხვა“ ჩარმიანი კიტრეჯია. ბესი მძიმე დუმილით შეხვდა ამ ამბავს და ისღა უთხრა, მისს კიტრეჯის დანახვაც კი აღარ მსურსო.

ივლისში ჯეკი გლენ-ელენში წავიდა, ნინეტა ეიმსისაგან პატარა სახლი დაიქირავა და მისს კიტრეჯის დაბრუნებას დაელოდა. მიიღო თუ არა წერილი, რომლითაც ჩარმიანი სამგზავრო ფულის გამოგზავნას სთხოვდა, ჯეკმა ოთხმოცი დოლარის ჩეკი გაუგზავნა. საპასუხო წერილში ჩარმიანი მაინც ატყობინებდა, რომ სკანდალისა ეშინოდა. ბოლოს ჯეკი გაცხარდა: „ეს საძაგლობაა. ვიღაცა პატიოსნად არ იქცევა. ედუარდსა და ნინეტასაც ველაპარაკე; ორივე დარწმუნებულია, რომ ბესისაგან საშიში არაფერია. ჩემი ჩეკით ედუარდმა ფული მიიღო და გადმოგიგზავნა“... შემდეგ ამას მოსდევს აღშფოთებული ტონით დაწერილი ათი გვერდი, რომელიც გამსჭვალულია „ღრმა სიძულვილით“ ნინეტა ეიმსისა და ედუარდ პეინისადმი. ეს იყო სიძულვილით გამოწვეული პირველი აფეთქება. ამას მეორე, მესამე და კიდევ ბევრი მოჰყვა და თითოეულმა მძიმე კვალი დატოვა ჯეკის არსებაში.

ერთადერთი, რაც მას ახარებდა ზაფხულის ამ ცხელ დღეებში, ეს „სპრეით“ შორ მანძილზე გასეირნება იყო. „ეი, ჯეკ, როგორაა საქმეები კორეაში?“ — დანახვისთანავე შესძახოდნენ მას ყმაწვილები. ჯეკმა დაიბარა მანიუნგი, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა კორეაში. როცა ბიჭი ჩამოვიდა, ჯეკმა მეთექვსმეტე ქუჩისა და ბროდვეის კუთხეში დაიქირავა ხალვათი ბინა, წესიერების გულისთვის ფლორა იქ ჩასახლა და თვითონაც მასთან გადავიდა. იმით ბედნიერს, რომ შვილში აღარავინ შეეცილებოდა, ფლორას დაავიწყდა, როგორ ეჩხუბებოდა ჯეკს, როცა მან ბესის თავი დაანება. ფლორამ ახალ ბინაში მოიკალათა, როგორც მომხიბლავმა დიასახლისმა, ხოლო მანიუნგი სისუფთავეს იცავდა და „პატრონისათვის“ საჭმელ-სასმელს ამზადებდა.

ჯეკის სიცოცხლეში ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო უსიხარულო და უსარგებლო პერიოდი იყო. იგი უბედურად გრძნობდა თავს, ბავშვებიც დაკარგა და დიდი უსიამოვნებაც მიაყენა ბესისა და ანას,

გაჭირვების დროს აღარც ჩარმიანი ამოუდგა მხარში. კორეაში მუშაობისაგან სასიკეთო არაფერი გამოვიდა, ამაოდ ჩაუარა ჯანმრთელობისა და დროის დაკარგვამ. გონების დაძაბვას შედეგი არ მოჰქონდა, წარმოსახვაც თითქოს გამოეფიტაო. არც დიდი იდეებთ გააჩნდა და არც შინაგანი წვის ძალა, რაც ასე აუცილებელია რაიმე ღირსშესანიშნავის ჩასაფიქრებლად და განსახორციელებლად. „უკვე უაზროდ დავეხეტები ამ ქვეყანაზე, უსიამოვნებას ვაყენებ ყველას, ვისაც კი ვიცნობ, — სასოწარკვეთილი სწერდა იგი ანა სტრუნსკაიას. — უკვე ის აღარა ვარ, რაც ვიყავი. ჩვენი შეხვედრის გარიჟრაჟზე მატერიალისტი ვიყავი, მაგრამ ოპტიმიზმი ალამაზებდა ჩემს ცხოვრებას; ახლა კი სწორედ ეს აღარ გამაჩნია“.

მოკლე მოთხრობების მეოთხე კრებული, რომელიც მაკმილანმა 1904 წლის აპრილში გამოსცა სახელწოდებით „ადამიანისადმი რწმენა“, ისე სწრაფად გაიყიდა, რომ საჭირო შეიქნა მისი ხელახლა გამოშვება ჯერ ივნისში და, ახლა კიდევ აგვისტოში; მაგრამ ავტორი ამანაც ვერ წაახალისა. იგი დაეთანხმა ჟურნალ „ნაციას“ კრიტიკოსს, რომელმაც სინანული გამოთქვა, რომ ასეთ შესაძლებლობათა მქონე ადამიანი მთელ თავის დროს ყინულოვან ჩრდილოეთში ატარებსო. იგი გონებრივად და ფიზიკურად გამოიფიტა, გონება და სხეული აღარ ემორჩილებოდა. ყოველივე ამას თან დაერთო გრიპი... გრიპის შემდეგ კანის ნერვიული ქავილი აუტყდა, რაც ნამდვილი ტანჯვა იყო. გახდა, მოეშვა, ნერვები მოეშალა, ჩაიკეტა — არა მარტო იმიტომ, რომ უქეიფოდ იყო, უგუნებობის გამოც.

აგვისტოში ჯეკმა ათას ექვსას დოლარად პიედმონტში მიწის ნაკვეთი შეიძინა. ბესისაგან შეიტყო, როგორი სახლი სურდა, მოიწვია არქიტექტორი და თვალყურს ადევნებდა მუშაობის მიმდინარეობას. კორეიდან დაბრუნების შემდეგ „საუკუნემ“ და „ეკზამინერმა“ მის სახელზე ბანკში ოთხი ათასი დოლარი გადარიცხეს. მთელი ეს ფული და აგრეთვე მიწის ნაკვეთის დაგირავებით აღებული მნიშვნელოვანი თანხა სახლის მშენებლობას დასჭირდა; ჯეკი ისევ მშრალზე დარჩა. შეუძლებელი იყო, რომ მისი რკინისებური დისციპლინა გულგატეხილობის შემოტევას ჩაეხშო. იგი მუშაობას დაეწყო. ვიდრე კორეაში იყო, ათობით წიგნს მოესწრო გამოსვლა, საჭირო იყო მათი წაკითხვა! სტატიებს ამზადებდა გაზეთებისა და

ჟურნალებისათვის, მოხსენებებს ახლომახლო არსებულ ყველა სოციალისტური ორგანიზაციისათვის, სიტყვებს კლუბებისა და ეკლესიებისათვის (უსასყიდლოდ), რათა გაეთვითცნობიერებინა ხალხი და ამით რევოლუცია დაეჩქარებინა. ამავე დროს შეუდგა მოთხრობის წერას მოკრივეთა ცხოვრებიდან სათაურით „თამაში". დაიწყო თავისი პირველი პიესა („ქალის უგულვებელყოფა"), რომელსაც საფუძვლად დაუდო ერთ-ერთი თავისი მოთხრობა ალასკის შესახებ. საჯაროდ კითხულობდა ნაწყვეტებს რომანიდან — „ჯურღმულის ადამიანები" და „კლასთა ბრძოლა". ნერვიული ქავილი შეუწყდა და ძველებურად დაიწყო ოთხშაბათობით თავისი მეგობრების მიღება, მათთან ერთად ცურაობდა პიედმონტის აუზში და მონაწილეობდა პიკნიკებში. გაშმაგებით მუშაობდა და ერთობოდა, რათა არ ეფიქრა თავის მძიმე სულიერ განწყობაზე. მაგრამ კარგად კი მუშაობდა? ამაზე თავს აღარ იტყუებდა: „უწინდებურად გულმოდგინედ ვმუშაობ „თამაშზე". ვფიქრობ — კარგი არაფერი გამომივა, მაგრამ მუშაობა ჩემთვის მაინც სასარგებლოა. „ქალის უგულვებელყოფა", ღმერთმა უწყის, რა გამოვა, თუმცა უფრო დიდ რამეზე მაინც ვერ გავბედავ ჯერჯერობით მუშაობას".

მისი ერთადერთი საყრდენი ბრეტი იყო. წინასწარი გაყიდვით ოქტომბრის დასაწყისისათვის „ზღვის მგლის" ოცი ათასი ეგზემპლარი უკვე გაყიდული იყო და ამის საფუძველზე ბრეტმა ის თანხა, რომელსაც ყოველთვიურად უგზავნიდა ჯეკს, ორას ორმოცდაათ დოლარამდე გაადიდა. იგი გამუდმებით არწმუნებდა ჯეკს, რომ ეს მართლაც შესანიშნავი ნაწარმოებია, ხოლო ნოემბრის დასაწყისში შესანიშნავი ამბავი აცნობა: ბაზარზე წიგნის გამოსვლამდე. „ზღვის მგელი" წიგნის მაღაზიებს ორმოცი ათასზე მეტი შეესყიდათ. ეს ლონდონის მეათე წიგნი იყო, რომელიც ამ ოთხი წლის განმავლობაში გამოიცა. დეკემბერში ბრეტმა სამი ათასი დოლარის ჩეკი გამოუგზავნა, რომელიც, ჯეკის აზრით, აუცილებელი იყო დამზღვევი კომპანიისაგან აღებული სესხის და სხვადასხვა კრედიტორებისა და ნაცნობთა ვალების დასაფარავად.

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა „ზღვის მგლის" გასასყიდად გამოსვლა. თვალის დახამხამებაში იგი ყველაზე მოდური

წიგნი გახდა ახალ წიგნებს შორის; ყველგან მხოლოდ მასზე ლაპარაკობდნენ: ზოგნი აქებდნენ, სხვები აძაგებდნენ. ბევრი მკითხველი განაწყენებული იყო, კიდევ უფრო მეტიც, შეურაცხყოფილი ავტორის პოზიციით. სხვები გაბედულად გამოდიოდნენ მის დასაცავად. რაც შეეხება კრიტიკოსებს, ზოგი მათგანი მას ულმობელ, უხეშ, ერთი სიტყვით, უხამს ნაწარმოებად იხსენიებდა. მაგრამ მეორე — უმეტესი ნაწილი — ერთხმად ამტკიცებდა, რომ ეს ნაწარმოები „იშვიათი და თვითმყოფი ტალანტის გამოვლენაა და თანამედროვე მხატვრული ლიტერატურა უფრო მაღალ დონეზე აჰყავს". „ზღვის მგლით" დაიწყო ახალი, უმნიშვნელოვანესი ხანა ამერიკულ ლიტერატურაში; ეს მარტო მძლავრ რეალისტურ ჟღერადობას ანდა ფიგურათა და სიტუაციების სიმრავლეს კი არ მიეწერება, რაც მისთვის აქამდე უცნობი იყო. იგი ახალ ტონს აძლევს თანამედროვე რომანს და მას უფრო მეტ სიფაქიზეს, სირთულესა და სერიოზულობას მატებს. კიდევ რამ აიძულა ამერიკელები განეცადათ ეს მღელვარებით აღსავსე მოლოდინი, სადაც სიკვდილის საშიშროება ისე საშინლად და თანაც მომხიბვლელად გამოიყურებოდა, როგორც ეს მგელ ლარსენსა და ხემფრი ვან ვეიდენს შორის ორთაბრძოლაშია გემ „მოჩვენების" გემბანზე — სულიერ და მატერიალურ საწყისებს შორის ამ ორთაბრძოლაში? კიდევ სად შეიძლება მკითხველები წააწყდნენ ასეთ მომწიფებულ ფილოსოფიას, რომელიც მათ თვალწინ გადაუშლის რაღაც ისეთ წარმტაცს, რისთვისაც ეღირება ბრძოლა? რევოლუცია, რომელიც მეცნიერებმა — მეცხრამეტე საუკუნის კლასიკოსებმა — მოახდინეს, ჯერ-ჯერობით საფუძვლად დაუდო დრამატულად გაშლილ მოვლენებს; პოპულარულად და საინტერესოდ ჩამოაყალიბა მისი იდეები და ის გასაგები გახადა უამრავი ადამიანისათვის, რომელთაც ჯერ არასოდეს სმენოდათ, რა იყო ევოლუცია, ბიოლოგია ან მეცნიერული მატერიალიზმი. მისი რომანის ფურცლებზე უხილავად მიაბიჯებენ მთავარი გმირები — დარვინი, სპენსერი, ნიცშე: თავის საყვარელ მასწავლებელთა შეხედულებების მხატვრული ნაწარმოების ფორმით გადმოცემასთან ერთად, მწერალი ორი მოსაზრების ცხარე ბრძოლას გვიხატავს აზარტულად, სწორედ ისე, როგორც უფრო მოგვიანებით, ლონდონს თავის შესანიშნავ რომანში „მთვარის ხე-

ობაში" აქვს აღწერილი ვიზელ-პარკში მომხდარი ირლანდიელ ქვისმთლელთა ცემა-ტყეპა.

ბოლოს ჯეკს რომანში შეჰყავს ახალი პერსონაჟი — ქალი — და ამით ზიანს აყენებს ნაწარმოებს, რომელიც, მიუხედავად ამისა, ბოლომდე რჩება, როგორც მწერალ-რომანისტის ოსტატობის თითქმის უმწიკვლო ნიმუში. როცა ლიტერატურულმა კრიტიკოსებმა გმირი ქალი არაბუნებრივად, ცხოვრებაში არარსებულად აღიარეს, ჯეკი აღშფოთდა: „მე შემიყვარდა ქალი და მისი პორტრეტი წიგნში ავსახე, კრიტიკოსები კი მარწმუნებენ, თითქოს ცხოვრებაში ასეთები არ არსებობენო". მან წიგნში არამცთუ მისს კიტრეჯის სახე შეიტანა, არამედ იქ, სადაც მის შესახებ წერს, გამოიყენა ის ისტერიულ-აღგზნებული სტილიც, რომელიც ჩარმიანის წერილებზე პასუხის გაცემის დროს შეითვისა. იქ, სადაც ლაპარაკია მოდ ბრუსტერზე და მის სიყვარულზე ხემფრი ვან ვეიდენისადმი, „ზღვის მგელი" მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურისათვის დამახასიათებელი პრანჭვა-გრეხის სტილის პირწავარდნილი ნიმუშია; რაც შეეხება დანარჩენ ნაწილს, ის ყველა იმ საუკეთესოს წინამორბედია, რომელიც მეოცე საუკუნის ლიტერატურას ახასიათებს.

გამოსვლიდან რამდენიმე კვირის შემდეგ „ზღვის მგელი" მეხუთე იყო „ბესტსელერების" სიაში ისეთ მოტკბო ნაწარმოებთა შემდეგ, როგორიც იყო: კ. ჩ. გერსტონის „ბერიკები", ჰოლა კეინის „გზააბნეული შვილი", ფ. მარიონ კროფორდის „ვინ გაბედავს კანონის დარღვევას" და ჯორჯ ბარი მაკაჩინის „ბეველრი გრაუსტარკიდან". სამი კვირის შემდეგ კი ის პირველი იყო სიაში — ყველა დანარჩენი მეტად შორს ჩამოიტოვა. როგორც იქნა, მეოცე საუკუნემ ჩამოიშორა თავის წინამორბედთა ბორკილები. „ზღვის მგელი" დღესაც ისევე აღელვებს მკითხველებს და იგი ისეთივე დიდი მოვლენაა მათ ცხოვრებაში, როგორც 1904 წლის ნოემბერში იყო. დრო გადის, ის კი არ ძველდება. ბევრ კრიტიკოსს ის ჯეკ ლონდონის ყველაზე ძლიერ ნაწარმოებად მიაჩნია. მკითხველი, ხელახლა გადაკითხვისას, ისევ და ისევ იხიბლება ამ ნაწარმოებით.

მისს კიტრეჯი აიოვადან დაბრუნდა და ოკლენდში რამდენიმე მალული, მაგრამ თავბრუდამხვევი, შეხვედრის შემდეგ, ნინეტა ეიმსთან გაემგზავრა გლენ-ელენში. ასეთ მგზნებარე შეხვედ-

ებს შემდეგში უკვე იშვიათად ახერხებდნენ; ჯეკმა რამდენიმე აღფრთოვანებული წერილი გაუგზავნა, მაგრამ ბევრი მათგანი დაუდევრად იყო დაწერილი. ისინი მხოლოდ ახალი ამბების აღნუსხვასა შეიცავდა. ჯეკი უკვე ალარ იყო გაგიჟებული შეყვარებული, რომელიც მზადაა სული კოცნაში განუტევოს. მისი გონება ისევ ახალმა ზღუდეებმა მიიპყრო. მოვლენათა ამ ახალი მიმართულების შესახებ მისს კიტრეჯი გვატყობინებს: „ვიცი, რომ ამ რამდენიმე კვირის განმავლობაში შენი გონება და ინტერესები სხვამ მიიპყრო. არსებითად, ჩემო ძვირფასო ვაჟკაცო, შენ ხომ მხოლოდ და მხოლოდ ბიჭუნა ხარ, რომლის გამოცნობა საკვლევით ადვილია. მაგრამ იმ შეძრწუნებამ, რომელიც გადავიტანე იმ საღამოს, როცა შენ ქალაქში მოხსენებას აკეთებდი შტრეიკბრეხერებზე, მაიძულა მეტად გულდასმით ჩავფიქრებულიყავი. მე მოწმე ვიყავი, თუ როგორ ეძებდი მოხსენების შემდეგ მას თვალით დამსწრეთა შორის; ვხედავდი, როგორ დაუქნიე ხელი; როგორ შეცბუნდა იგი მისთვის დამახასიათებელი მანერით და უკან დაიხია ყოყმანით. შენი სიგარეტის შუქზე დავინახე, როგორ მიუახლოვდით ერთმანეთს. ჩემთვის ცხადი გახდა, რომ თქვენ წინა საღამოსაც ერთად იქნებოდით. აქ საქმე მხოლოდ იმაში კი არაა, რომ შენ ჩემი ერთგული არა ხარ,—განუყოფელი ერთგულება შენთვის უჩვეულოა და, საერთოდ, იშვიათად თუ შეხვდები ერთგულ მამაკაცს. მე უკვე დიდი ხანია ვვარაუდობდი ასეთი ღალატის შესაძლებლობას და ასე თუ ისე რამდენადმე შევურიგდი მას. ამ ბოლო დროს შენ მეტად ბედნიერად გრძნობ თავს, მე კი ვიცოდი, რომ შენი მხიარული განწყობილება ჩემი დამსახურება არაა. მაშასადამე, ამაში ვიღაცას მიუძღვის წილი და რაკი ასეა...“

...1905 წელი. ჯეკ ლონდონის სახელით აპრელდა გაზეთების სათაურები: რაც არ უნდა გაეკეთებინა მას, პრესას ყველაფერი აღელვებდა. ახალი წელი მან მშვიდად და წყნარად დაიწყო — იყო ლოს-ანჟელოსში, სადაც ადგილობრივი სოციალისტებისათვის ლექციების წასაკითხად მიიწვიეს. „სასიამოვნოა მისტერ ლონდონის შეხედვა,— წერდა ვინმე იულიან ჰოტორნი ლოს-ანჟელოსის „ეკზამინერში“. — იგი უბრალო და გულუბრყვილოა, როგორც ბანჯგვლიანი დათვი—გრიზლი. ჯანმრთელი, სიცოცხლით აღსავსე არა-

ჩვეულებრივი ბუნება განსაკუთრებულად ნათელი და გამჭრიახი გონების საფუძველია; გულთბილია და გულშემატკივარი, საკუთარი, დამოუკიდებელი შეხედულებები აქვს, რომელთაც გაბედულად გადმოსცემს". ვერც კი მოასწრო ოკლენდში დაბრუნება, რომ ლიბერალურად განწყობილმა კალიფორნიის უნივერსიტეტის რექტორმა სტუდენტებისათვის ლექციის წაკითხვა შესთავაზა; ეს დიდი პატივისცემა იყო იმ ადამიანისათვის, რომელიც შვიდი წლის წინათ იძულებული იყო უნივერსიტეტისათვის თავი დაენებებინა და ორთქლის სამრეცხაოში დაეწყო მუშაობა. ჯეკმა ახალგაზრდა მსმენელებს თავისი ერთ-ერთი ყველაზე მგზნებარე სიტყვით მიმართა. უდიდესი რევოლუცია, რომელიც კი სამყაროს იცის, ამბობდა იგი, მათ თვალწინ ხდება და თუ დროულად არ გამოფხიზლდებიან, ის მოულოდნელად წამოადგებათ თავზე. ლექციის დამთავრების შემდეგ ჯეკმა ინგლისური ენისა და ლიტერატურის პროფესორს შესჩივლა, რომ სტუდენტებს მანანის ფაფით ჰკვებავენ. „ამაში ვერ დაგეთანხმებით, მისტერ ლონდონ, — შეეპასუხა ის, — რეკომენდებული ლიტერატურის ჩვენს ახალ სიაში შეტანილია „წინაპართა ძახილის" ერთი თავი". ირგვლივ მდგომმა პროფესორებმა და მასწავლებლებმა გაიცინეს, ჯეკი კი გაწითლდა, რაღაც ჩაიდუდუნა იმის შესახებ, რომ უკვე მოუსწრიათ მის ნაწარმოებთა სავალდებულოდ შემოღება და ხმა ჩაიკმიდა. მეორე დღეს რექტორი საყვედურებით აავსეს, რატომ დართო ჯეკ ლონდონს ნება, ექადაგა რევოლუციის შესახებ. „ჩვენ აქ მოვიწვიეთ ადამიანი და არა მისი ლექციის საგანი, — აუშფოთებლად უპასუხა რექტორმა, — ლონდონმა დაიმსახურა ჩვენს წინაშე გამოსვლის უფლება".

შემდეგ ჯეკმა წინადადება მიიღო ლექცია წაეკითხა ქალაქ სტოქტონის საქმოსანთა კლუბში. სწორედ ამ ლექციით მან ისეთი აურზაური გამოიწვია, რომ თავისი გამბედაობითა და წინდაუხედაობით არ ჩამოუვარდებოდა ყვითელ ზღვაში. უძლიერესი შტორმის დროს, ანდა „ჯურღმულის ადამიანების" შესაქმნელად ლონდონის ჯურღმულებში მოწყობილ „ლაშქრობას". სტოქტონის გაზეთი, თუმცა რამდენადმე მიკერძოებით, მაგრამ დაწვრილებითსა და მეტად ცხოველ ანგარიშს გვაწვდის ამ შემთხვევის შესახებ. იგი ჭკუას არიგებდა ბიზნესმენებს, როგორც დანაშაულის ჩამდენ მოწაფე-

ებს. მე მსურს ვიცოდე, — ეკითხებოდა იგი, — თითოეულმა თქვენ-განმა იცის თუ არა რამე იმის შესახებ, სახელდობრ რა შეადგენს სოციალიზმის საგანს. ჯეკმა განუცხადა, რომ მათ ცოტა წაუკითხავთ და უფრო ნაკლები უნახავთ. იგი მუშტებს ურტყამდა მაგიდაზე და პაპიროსის კვამლს ბოლქვებად უშვებდა. ყოველივე ამან იმდენად შეაშფოთა და საქციელი წაუხდინა მის მსმენელებს, რომ ისინი გა-ოგნებისაგან ადგილზევე გაშეშდნენ.

მაგრამ ისინი დიდხანს არ ყოფილან ჩუმად. სიტყვის დასას-რულს ჯეკმა თავზარი დასცა სტოქტონის საქმოსნებს; მან განაცხა-და, რომ რუსი სოციალისტები, რომელნიც მონაწილეობას იღებდ-ნენ 1905 წლის რევოლუციაში და რომლებმაც ბოლო მოუღეს მეფის ზოგიერთ მოხელეს, მისი ძმები არიან. მსმენელები გააფთრებუ-ლი ყვირილით წამოცვივდნენ ადგილებიდან. მეორე დილით მთელ ქვეყანაში გაჰყვიროდა გაზეთების სათაურები: „ჯეკ ლონდონი თა-ვის ძმებს უწოდებს მკვლელებს რუსეთიდან!“ რა ამბავი დატრიალ-და! მოითხოვდნენ, რომ ჯეკს უარეყო თავისი სიტყვები. ბობოქ-რობდნენ გაზეთების მოწინავე წერილები. „იგი ანარქისტია! — გაი-ძახოდა ერთი, — უნდა დააპატიმრონ და გაასამართლონ, როგორც სახელმწიფო მოღალატე!“ მაგრამ ჯეკი უდრეკი აღმოჩნდა. რუსი რე-ვოლუციონერები მისი ძმებია და არვის არ შესწევს ძალა გადაათქმე-ვინოს ეს აზრი.

საზოგადოება დიდხანს და დაჟინებით ცდილობდა მისგან თავი-სებური ლიტერატურული საკვირველება შეექმნა: ერთადერთი და თავისებური გენია კალიფორნიიდან. „ხოლო სოციალიზმით, — ამ-ბობდნენ საზოგადოების მესვეურნი, — იგი მხოლოდ ერთობა. რამ-დენადმე ფიცხი და თავშეუკავებელია? მერე რა — სამაგიეროდ, ორიგინალურია. სოციალისტური თეორიები მხოლოდ ენინიანობით მოსდის, ეს მალე გაუვლის“. ამიერიდან მისთვის ყველა კარი ყრუდ დაიკეტა, თითქოს ისევ მაწანწალა ყოფილიყოს „დიდი გზი-დან“. მას უკვე აღარ ეპატიჟებოდნენ, როგორც თვითონ ამბობდა, „საამო საღამოს ჩაიზე“, ანდა დიდ წვეულებებზე, სადაც შეტისმე-ტად თავდაჭერილ, გახამებულ პერანგიანთა შორის იგი ცხადდებოდა გაუხამებელ თეთრ პერანგში და აფრიალებული ჰალსტუხით. ბოლოს და ბოლოს საზოგადოებამ დაასკვნა, რომ იგი ძრ ხუმრობდა, როცა

ისე ლამაზად ლაპარაკობდა სასადილო მაგიდასთან მათზე, როგორც ხავსმოდებულ კლასსა და პარაზიტულ ხორცმეტებზე.

სკანდალი ჯერ კიდევ არ მინელებულიყო, რომ ჯეკმა ხელახლა წარმოთქვა სიტყვა. მან ახსენა, რომ უილიამ ლოიდ-ჰარისონმა 1856 წელს დაგმო მონობა და განაცხადა: „ეშმაკსაც კი წაუღია კონსტიტუცია!“ უფრო გვიან იგივე გაიმეორა გენერალმა შერმან ბელამ, როცა იგი ანგარიშს უსწორებდა გაფიცულებს. მეორე დილით ჯეკი ისევ გახდა იმ დღის გმირი. „ეშმაკსაც კი წაუღია კონსტიტუცია“, — ამბობს ჯეკ ლონდონი“, — გაჰყვიროდნენ ასობით გაზეთები კალიფორნიიდან ნიუ-იორკამდე. ჯეკმა ყოველგვარი ზომები მიიღო, რათა განემარტა, რომ იგი არაა ამ სიტყვების ავტორი, მაგრამ გაზეთებს რაში ენაღვლებათ გახმაურებული სტატია ზიანს მიაყენებს ვინმეს თუ არა!

ბრმა ფანატიკოსების მიერ ადამიანის გაბიაბრუების ნებართვასთან ერთად, ბეჭდვის თავისუფლება უფრო ჭკვიან ადამიანებსაც აძლევდა შესაძლებლობას თავისი აზრი გამოეთქვა. რადიკალობისაგან შორს მყოფ სან-ფრანცისკოს „ბიულეტენში“ ჯეკმა წაიკითხა: „მგზნებარე გულახდილობა და სიძულვილი ბოროტებისადმი, აი, რა ღვივის ახალგაზრდა ჯეკ ლონდონის რევოლუციურ გულში, — ეს კი ისევ იგივე „ბოსტონის ჩაის სმის“[1] სულისკვეთებაა. საბოლოოდ ეს სულისკვეთება რესპუბლიკას შეუნარჩუნებს რაც კი საუკეთესო გააჩნია, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ მონური მორჩილების უაზრო სულისკვეთებას; გონებრივი სიბადრუკე და ეგოიზმი — აი, რას ემყარება მონური ქედმოხრილობა“.

რამდენიმე დღის შემდეგ იმ საშუალო სკოლის სადისკუსიო კლუბმა ოკლენდში, რომელშიც ჯეკი სწავლობდა, ლექციის წაკითხვა სთხოვა. ამის გაგებისთანავე სკოლის დირექტორმა უარი განაცხადა კლუბისათვის სკოლის შენობის დათმობაზე. გაზეთებმა ეს

---

[1] „ბოსტონის ჩაის სმა“ — ერთ-ერთი ეპიზოდია, რომელიც წინ უძღოდა ამერიკელი ხალხის ომს ინგლისელებთან დამოუკიდებლობისათვის. 1773 წელს ამერიკის ქალაქ ბოსტონის მოქალაქეები თავს დაესხნენ ჩაით დატვირთულ ინგლისურ გემს და, საგადასახადო უღლისადმი პროტესტის ნიშნად, ზღვაში გადაყარეს მის მიერ ჩამოტანილი საქონელი.

შემთხვევაც თითზე დაიხვიეს და კალიფორნიამ ისევ დაიწყო განსჯა, ვინაა მართალი და ვინ მტყუანი. „შესაძლოა თვით სოციალიზმს აქვს ყველა ის ნაკლი, რომელსაც მას მიაწერენ, — გესლიანად განაცხადა სან-ფრანცისკოს გაზეთმა „პოსტმა“, — მაგრამ სოციალიზმის პროპაგანდის საუკეთესო საშუალება სწორედ მისი პროპაგანდის აკრძალვაა“.

ფართო აღიარებას, რაც მისი მეოხებით მიიღო სოციალიზმმა ამერიკაში, ჯეკი აღტაცებაში მოჰყავდა. ამას გარდა, ეს უფასო რეკლამაა, რაშიაც, ვინ იცის, რამდენი ათასი უნდა გადაეხადა, თუკი მას თვითონ შეუკვეთდა. გაიზარდა მოთხოვნა მის წიგნებზე, ყველგან იყიდებოდა „ზღვის მგელი“, „წინაპართა ძახილი“ და „ჯურღმულის ადამიანები“. ყველგან კითხულობდნენ და ყველა მსჯელობდა მათ შესახებ. შეგეძლოთ არ დათანხმებოდით მის იდეებს დემოკრატიის ეკონომიურ საფუძველზე დამყარების შესახებ, შეკამათებოდით მეთოდებზე, რომელთა მეშვეობითაც ჯეკს რევოლუციური იდეები შეჰქონდა ამერიკულ ლიტერატურაში, მაგრამ უკვე შეუძლებელი იყო იმ ფაქტის უარყოფა, რომ იგი ამერიკის ახალგაზრდა წამყვანი მწერალი იყო. ხოლო მტრები, პირიქით, ეხმარებოდნენ მას ამის მიღწევაში.

გამწვაევებული აურზაურის დროს, რომელიც ჯეკ ლონდონის სოციალისტური შეხედულებების გარშემო გაიმართა, მაკმილანმა მისი „კლასთა ბრძოლა“ გამოუშვა. წიგნმა ისეთი ინტერესი გამოიწვია, რომ ივნისსა, ოქტომბერსა და ნოემბერში საჭირო შეიქნა მისი ხელახლა გამოცემა. განსაცვიფრებელი მიღწევაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს რევოლუციური ნარკვევების კრებული გამოვიდა იმ ქვეყანაში, სადაც დაუნდობლად უარყოფდნენ თვით ისეთი მოვლენის არსებობის ფაქტს, როგორიც კლასთა შორის ბრძოლაა; სადაც სოციალიზმს დასცინოდნენ, სძულდათ იგი, ურჩხულად, გველეშაპად გამოსახავდნენ, რომელიც საკუთარ შვილებს ნთქავს. მწერლის ხმა მოგვაგონებდა ხმას მღაღადებლისას უდაბნოსა შინა, მაგრამ თანდათანობით სულ უფრო მეტი ადამიანი უთმობდა გულისყურს ამ ხმათა ბგერებს; განსაკუთრებით ეს ითქმოდა ახალ თაობაზე, რომელსაც ის-ის იყო გადაელახა ამერიკის პირველმოსახლეთა შეხედულებების ვიწრო ჩარჩოები და დაეწყო იმის შეჯამება, თუ რა უჯდებოდა ხალხს მძიმე მრეწველობის მიღწევები.

ამ თაობისათვის ჯეკ ლონდონი უდიდესი ადამიანი იყო; ეს ხალხი მგზნებარე რწმენით ისწრაფვოდა მისი წიგნებისაკენ. ამერიკაში ახლაც ყველგან შეხვდები ადამიანებს, რომელნიც სიამაყით გიამბობენ, რომ ისინი ჯეკ ლონდონმა გახადა სოციალისტად. მისი ბრალი სულაც არ არის, რომ მათი სოციალისტური შეხედულებანი ყოველთვის ხანგრძლივი არ აღმოჩნდებოდა ხოლმე!

მარტში ჯეკმა ისევ მისცა თანხმობა ოკლენდის მერის თანამდებობაზე სოციალისტური პარტიიდან მისი კანდიდატურის წამოყენების შესახებ და 981 ხმა მიიღო, ე. ი. ზუსტად ოთხჯერ მეტი, ვიდრე 1901 წელს. აპრილში მანიუნგთან ერთად იგი გლენ-ელენში გაემგზავრა, სადაც, უეიკ რობინის მახლობლად, ნინეტა ეიმსისაგან პატარა სახლი დაიქირავა კვირაში ექვს დოლარად. მისის ეიმსმა ხმა დააგდო: ჯეკი დედასთან „ოკლენდში მომხდარ უსიამოვნებათა გამო“ დაბრუნდაო. გულუბრყვილო მეზობელი-ფერმერები ვერაფერს ვერ ხვდებოდნენ.

სონომის ოლქში მშვენიერი გაზაფხული იდგა. ჯეკს ისევ დაუბრუნდა კარგი განწყობილება და სულიერი სიმხნევე; ზამთრის სევდა დავიწყებას მიეცა. „შავმა კატამ“ მისგან ერთი მოთხრობა შეიძინა და ჯეკმა მიღებული სამასი დოლარიდან ორას ორმოცდაათი ცხენში მისცა, რომელზედაც დაუღალავმა მისს კიტრეჯმა ოცდაათი მილი — მთელი გზა ბერკლიდან გლენ-ელენამდე — ჭენებით გაიარა. სექვოიებითა და ფიჭვებით დაფარულ ტყის ფერდობზე გავლით ისინი ცხენებით სონომის მთაზე ადიოდნენ და მოღვინისფრო-წითელი მანსანიტისა და მარწყვის ხეებს შუა მდებარე ბილიკებზე სეირნობდნენ. სუფთა ჰაერი დამათრობელ არომატს აფრქვევდა, ხოლო როცა სავსე მთვარე ამოდიოდა, ხეობას მოთეთრო-მნათი ბურუსი გადაეკვროდა ხოლმე, „ახლა კი ვიცი, რატომ უწოდებენ ინდიელები ამ ადგილს „მთვარის ხეობას“, — შენიშნა ჯეკმა.

შემოქმედებითი ძალის ხელახალი სრული გაფურჩქვნის პერიოდში მან „თეთრი ეშვის“ სახელწოდებით დაწერა მოთხრობა, რომელიც „წინაპართა ძახილით“ დაწყებული თემის გაგრძელებას წარმოადგენს. იმის მაგივრად, რომ პირველყოფილი ინსტინქტის ხმას დამორჩილებოდა და ცივილიზებულ სამყაროს გაცლოდა, თეთრი ეშვი მიყრუებულ, მივარდნილ ადგილმდებარეობას ტოვებს, რათა

ადამიანთან იცხოვროს. რა ვუყოთ, თუ ეს წიგნი „წინაპართა ძახილის“ დონემდე ვერ ადის. ის მაინც გულში ჩამწვდომი ლამაზი მოთხრობაა და ადამიანში იმ სასიხარულო მღელვარებას იწვევს, რომელსაც იგი პირველხარისხოვანი ნაწარმოების წაკითხვის დროს განიცდის ხოლმე. ყოველ კვირა ჯეკი მთელი გვერდის მასალას ამზადებდა ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვის შესახებ ჰერსტის კონცერნისათვის. წიგნის—„პროფკავშირის დელეგატის“ განხილვისას იგი ზოგად მონახაზებში გვაცნობს პროფესიული კავშირების თანამედროვე ბრძოლას დამქირავებლებთან; მეორე წიგნის დადებითი მხარეების აღნიშვნასთან ერთად, სამარცხვინო ბოძზე აკრავს შრომის პატაგონურ სისტემას; ამ წიგნს ეწოდება „გრძელი დღე“ და მოგვითხრობს იმაზე, თუ რა გაჭირვებას განიცდის ნიუიორკში ფაბრიკის მუშა ქალი. ეპტონ სინკლერმა და ჯ. ჯ. ფელპსტოკსმა აღმოსავლეთში დააარსეს სტუდენტთა სოციალისტური საზოგადოება და აღმასრულებელი კომიტეტის პირველსავე სხდომაზე მის პრეზიდენტად ჯეკ ლონდონი აირჩიეს. მაკმილანის გამომცემლობამ გამოაქვეყნა ჯეკის მოთხრობა მოკრივეების შესახებ „თამაში“; კრიტიკოსებმა იგი დაგმეს, როგორც უმნიშვნელო და საეჭვო შინაარსის ნაწარმოები. ჯეკი იძულებული შეიქნა მათთვის გაზეთებიდან ამონაჭრები გაეგზავნა იმის დასამტკიცებლად, რომ ძლიერი დარტყმის შედეგად ხალიჩაზე დაცემულ მოკრივეს მართლაც შეიძლება კეფა დაემსხვრეს.

ზაფხულის სიცხეები ახლოვდებოდა. ჯეკმა ახლაც რამდენიმე დოლარი გადაიხადა და რუ დააგუბებინა, სადაც მეზობლებიც მოდიოდნენ საბანაოდ. ჯეკი დილაობით მუშაობდა, ნასადილევს ცურაობდა და სტკბებოდა ცხოვრებით... თუ არ ჩავთვლით იმას, რომ თავისი ქალიშვილები ენატრებოდა. ერთხელ შუადღის პაპანაქების შემდეგ ჯეკი გორაკებს შორის ცხენით სეირნობითა და ფერდობიდან მონადენი სალბის სურნელებით დამტკბარი, შემთხვევით ჰილის რანჩოს წააწყდა. ეს ოცდაათი აკრის სიდიდის ნაკვეთი ხეობიდან სონომის მთამდე გაჭიმულიყო. „აქ არის უზარმაზარი სექვოიები, რომელთაგან ზოგიერთი ათი ათასი წლისაა. უამრავია ნაძვი, მუხა, ფოთლოვანი და მარადმწვანე ხეები. ბლომად იზრდება მანსანიტები და ხემარწყვები. ბევრია ღრმა ხეობები, რუები და წყაროებიც.

ესაა ყველაზე ლამაზი და ხელუხლები ას ოცდაათი აკრი სიდიდის ფართობი, როგორიც კი საერთოდ შეიძლება ამერიკაში მოიძებნოს“.

რანჩო მაშინვე უზომოდ შეუყვარდა ჯეკს და იქვე გადაწყვიტა, იგი აუცილებლად მისი საკუთრება გახდებოდა. ამ აზრის განმტკიცებაში მეტად შეუწყო ხელი მისს კიტრეჯმაც; მხოლოდ ჯეკის ქალაქიდან გაყვანით, სხვა ქალებთან ჩამოშორებით შეეძლო ჩარმიანს თავიდან აეცილებინა მისი დაკარგვის შესაძლებლობა, რაც კინაღამ არ მოხდა ამ რამდენიმე თვის წინ. ჯეკი ცხენით გაემგზავრა სოფელ გლენ-ელენში. იქ შეიტყო, რომ ნაკვეთი იყიდება და იგი შვიდი ათას დოლარადაა შეფასებული. ბაეშვივით აფორიაქებული ჯეკი საღამოს ხუთ საათზე უკვე ჰილებთან იყო ნასყიდობის გაფორმების სურვილით შეპყრობილი.

— გავიგე, რომ ჩოვეტისთვის შვიდი ათასად დაგიფასებიათ. ნამდვილია? — შეეკითხა იგი მისტერ ჰილს.

— დიახ, — უპასუხა მან. — ათი წლის წინათ სწორედ ამდენი ჩოვითხოვე.

— ვყიდულობ! — წამოიძახა ჯეკმა.

— რატომ ჩქარობთ? ჯობია ახლა შინ მიბრძანდეთ და ორ-სამ დღეს იფიქროთ.

ჯეკის წასვლის შემდეგ მისტერ ჰილმა თავისი მოსაზრებანი ცოლს გაუზიარა. ჩოვეტს მან შვიდი ათასი იმიტომ სთხოვა, რომ იმას რანჩოს წყალსატევების ექსპლოატაცია ჰქონდა განზრახული. ჯეკი კი მიწის დამუშავებას ფიქრობს, ამიტომ ხუთი ათასზე მეტს ვერ გამოართმევს. ჯეკს იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს, სულ იმის ფიქრში იყო, როგორ მოაწყობდა თავის მშვენიერ რანჩოს. ძლიერ აფორიაქებული მეორე დღესვე ჰილთან მიიჭრა.

— ახლა ფასზე მოვილაპარაკოთ... — ის იყო დაიწყო ჰილმა, რომ სიბრაზისაგან მთლად გაწითლებული ჯეკი სკამიდან წამოხტა და დაიჭექა:

— ჩემთან ეს არ გაგივათ! ასეთ ოინებს მე არ მოვითმენ! უფლება არა გაქვთ ფასი ასწიოთ! აქ ყველა მხოლოდ ჩემს მოტყუებაზე ფიქრობს. ხომ შეაფასეთ შვიდი ათასად — მაშასადამე, მორჩა და გათავდა, ვყიდულობ!

სიტყვათა ამ მღელვარე ნაკადში ჰილმა ერთი სიტყვის ჩართვაც ვერ მოახერხა. მან მოიცადა, ვიდრე მყიდველი დამშვიდდებოდა. და შემდეგ წყნარად წარმოთქვა:

— კეთილი, მისტერ ლონდონ, ინებეთ.

გავიდა წლები. ჯეკი ძლიერ დაუმეგობრდა ჰილების ოჯახს. ნხოლოდ მაშინ მოუყვა მისტერ ჰილი, თუ როგორ მოიტყუა ჯეკმა თავი ორიათას დოლარში. ჯეკმა გულიანად იცინა: ასე მომიხდება, ვერ ვისწავლე საკუთარი ჩვევების დაოკება.

იმ საღამოს ჯეკი და მისს კიტრეჯი გეგმებს აწყობდნენ. რანჩოში მდგარი ძველი ფარდული შეიძლებოდა საჯინიბოდ და მოჯამაგირის საცხოვრებლად გამოეყენებინათ. შემოდგომისთვის, ვიდრე ჯეკი მთელ ამერიკას შემოივლის სალექციო ტურნეთი, მოჯამაგირე ტერიტორიას მოასუფთავებს, საკვებად ვარგის ბალახსა და სიმინდს დათესავს, ააშენებს საღორეებსა და საქათმეებს — ერთი სიტყვით, ყველაფერს მოაგვარებს იმ დღისათვის, როცა ბესი განქორწინების საბუთს მიიღებს და შესაძლებელი იქნება ხელახლა დაქორწინება.

რანჩოს საყიდლად საჭირო შვიდი ათასის სათხოვნელად ჯეკმა ბრეტს მიმართა. „იმ კაცისათვის, — უპასუხა მან, — რომელსაც ამქვეყნად განსაზღვრული როლის შესრულება უხდება, საეჭვოა რაიმე აზრი ჰქონდეს ქვეყნის რომელიმე კუთხეში უძრავი ქონების შეძენით თავის შებოჭვას, როგორი ლამაზი და პროდუქტიულიც არ უნდა იყოს ის მამული“.

ჯეკმა კიდევ ერთხელ მისწერა: „მე შეგნებულად ვიყიდე ისეთი მიწა, რომლისგან ვერაფერს მივიღებ. მოგებასა ან დანაკარგზე საზრუნავი არ მექნება, ხოლო ოცი წლის შემდეგ ეს ნაკვეთი ას ოცი ათასი დოლარი ეღირება. გადავწყვიტე — ერთხელ და სამუდამოდ მტკიცედ მოვიდგა ფეხი“.

ბრეტი დანებდა ჯეკის ჭირვეულ მოთხოვნას და შვიდი ათასი დოლარი გადაუგზავნა „ზღვის მგლის“ საავტორო ანარიცხების ანგარიშში. ჰილის რანჩო გახარებული ჯეკის საკუთრებაში გადავიდა. მაშინვე დაიქირავა მოჯამაგირე, იყიდა ცხენები, კვიცი, მეწველი ძროხა, გუთანი, მაზიდა, ფურგონი, ეტლი, ცხენის აღკაზმულობა, ქათმები, ინდაურები, გოჭები...

ბოლოს, როცა ფულის თავშეუკავებელი ხარჯვის ვაკხანალია დამთავრდა, ჯეკს ერთი დოლარიც არ აღმოაჩნდა; ახლო მომავალშიც არაფერი ჰქონდა მისაღები. „ყველაფერი ამის ყიდვა მოულოდნელი იყო და მთლად გამაჩანაგა. ამასთანავე დღე-დღეზე ველი შემაძრწუნებელ ცნობას ბესისაგან, რომ ესაჭიროება ასი დოლარი ცხენისა და ეტლის შესაძენად. მთელი თანხა, რომლის მიღებაც მაკმილანისაგან შემეძლო, მიწის საფასურის გადახდას დაჭირდა. რაც დამრჩა, ფარდულის აგებასაც არ ეყოფა, სახლისას — მით უმეტეს. ვწერ მოთხრობებს, რათა საჩქაროდ ვიშოვნო ფული“.

4 ოქტომბრისათვის მაკმილანთან კრედიტი იმდენად გაიზარდა, რომ შემდგომი ავანსისათვის უკვე განსაზღვრული პროცენტის გადახდა მოსთხოვეს. ბანკში მის ანგარიშზე 207 დოლარი და 83 ცენტი იყო; ამავე დროს, გადაუდებელი ხარჯები მოელოდა: ბესისათვის — 75 დოლარი, დედას — 55, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისთვის—57, გლენ-ელენში აგარაკის ქირა — 24, მაღაზიის ანგარიშების გასანაღდებლად—50. „ჩიკაგოში წასასვლელად მე და მანიუნგის გზის ფული გვჭირდება; ერთი დღის შემდეგ ჩარმიანი გამოგვყვება, მაშასადამე, იმასაც სახარჯო უნდა. დედას ურს ის თანხა გავუდიდო, რომელსაც ყოველთვიურად ვაძლევ. ამასვე მოითხოვს ბესი. ეს-ეს არის ჯონ მილერის ავადმყოფი დედის საავადმყოფოს ანგარიშების გასანაღდებლად 100 დოლარი გადავიხადე. საბრალო ჯონ კინგის ყალბი ბრალდებით ორმოცდაათი წლით პატიმრობის მისჯას უპირებენ და აპელაციის პუბლიკაციისათვის 100 დოლარს შევპირდი; კიდევ ერთი ანგარიში დარჩა 45 დოლარზე, თუ მეტი არა, თივის საწნეხი მანქანისათვის; ამათ გარდა, ნოემბერში დამზღვევ კომპანიას უნდა გადავუხადო 700 თუ 800 დოლარი. აბრიგად, როგორც ხედავთ, არა მარტო შლამზე ვავირიყე, არამედ იალქნებიც უსიცოცხლოდ დაეშვნენ“.

მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ჯეკმა მილიონზე ბევრად მეტი მიიღო მწერლობით, მაგრამ თითქმის არასდროს ყოფილა საკუთარი ფულის ბატონ-პატრონი, ყოველ შემთხვევაში, იმ მომენტში მაინც, როცა მათ ხელზე იღებდა. იგი ჯერ დახარჯავდა, მერე კი თავს იმტვრევდა, სად ეშოვნა საჭირო თანხა. როგორც ემილ ჯენსენმა კლონდაიკში თქვა, იგი წინასწარ არასდროს განსჯიდა — ღირდა

თუ არა რისკის გაწევა. რასაკვირველია, უკეთესი იყო არ დაეხარჯა, ვიდრე ფულს არ იშოვნიდა, აღარც ვალი ექნებოდა და აღარც დარდი. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მას თავში არ მოსდიოდა. „ფულის ხარჯვის ჩვეულება — ო, ღმერთო, შემინდე! მე მუდამ მისი მსხვერპლი ვიქნები“.

დადგა ოქტომბერი და ჯეკი ბანიუნგის თანხლებით სალექციო ტურნეში გაემგზავრა. მასთან რომ უფრო ახლოს ყოფილიყო, მისს კიტრეჯი ნიუტონში, მამიდასთან დაბრუნდა. ტურნეს, რომლის დროსაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის დიდ ქალაქთა უმეტესობა უნდა მოევლო, პრესაში ფართო რეკლამას უკეთებდნენ. ჯეკი სწრაფად ხდებოდა თავისი დროის ერთ-ერთ ყველაზე რომანტიულ ფიგურად. სოციალიზმისა და მეცნიერული ევოლუციის, ამერიკულ ლიტერატურაში ახალი და ჯანსაღი რეალიზმის მაცნე და სიახალგაზრდავის, გამბედაობის განსახიერება იყო. ქალთა კლუბების წევრებს მოსწონდათ მისი ვაჟკაცური გარეგნობა, პაპიროსის გაბოლების მანერა, ის მგზნებარე გულწრფელობა, რომლითაც იგი ლაპარაკობდა სოციალურ რეფორმაზე, მომხიბვლელი ღიმილი და გადამდები სიცილი. იგი დღეში ასობით დოლარს იღებდა, ყოველ ქალაქში პოულობდა საინტერესო და ჭკვიან ხალხს და პრესის მეგობრულ განწყობილებას იმსახურებდა. „ჯეკ ლონდონი განსაკუთრებული მიმზიდველობის ძალის პატრონია. მისი ფაყოყოჩება რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ამას უთუოდ ჩაიდენდნენ მისი თაყვანისმცემლები, ქალებიცა და მამაკაცებიც, რომლებიც მუდამ გარს ახვევიან. მას თეატრის ახალგაზრდა კერპის ბედი ეწვია. მაგრამ, საბედნიეროდ, პატივმოყვარეობა არ ახასიათებს“.

და, აი, 18 ნოემბერს, შაბათს, ჯეკს მიუვიდა ცნობა, რომ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით ბესიმ მიიღო თანხმობა განქორწინებაზე. მან სასწრაფოდ ნიუტონიდან დეპეშით ჩიკაგოში გამოიძახა მისს კიტრეჯი, სადაც უნდა დაქორწინებულიყვნენ. ჩარმიანი მეორე დღესვე, სალამოს ხუთ საათზე ჩამოვიდა, მაგრამ ჯეკს საქორწინო ლიცენზია არ ჰქონია, ხოლო დაწესებულება, საიდანაც იგი უნდა მიეღო, ცხადია, დაკეტილი იყო. ჯეკი თავქუდმოგლეჯილი დაჰქრიდა ეტლით ჩიკაგოს ქუჩებში, რათა რომელიმე გავლენი-

ანი მეგობარი წაეყვანა მოწმედ. პირველი ვიზიტი უშედეგოდ დამთავრდა; ასევე მეორეც, მესამე მეგობარი კი, რომელიც ქალაქში ერთ თანამდებობის პირს იცნობდა, პირდაპირ გაშლილი სუფრიდან ააყენა. კიდევ დიდხანს იხეტიალეს ეტლით და ბოლოს, როგორც იქნა, მოხელის ბინას მიაღწიეს. მოხელე თანახმაა ყველაფერი გააკეთოს ჯეკ ლონდონის დასახმარებლად, მაგრამ რა საჭიროა ასეთი სისწრაფე? რატომ არ შეიძლება დავიცადოთ დილამდე, როცა ლიცენზიის ბიურო გაიღება და შესაძლებელი იქნება ყველაფერი ჭარტივად და ადვილად გაკეთდეს? დაცდაზე ჯეკმა უარი განაცხადა; მან თავისი არგუმენტაციის მთელი ძალა მოიშველია და, როგორც იქნა, დაიყოლია მოხელე. მათთან ერთად ეტლით წასულიყო ქალაქის სამხრეთ ნაწილში; იქ ლოგინიდან წამოაყენეს ნამძინარევი კლერკი, რომელიც საქორწინო ლიცენზიებს განაგებდა. საგონებელში ჩავარდნილი კლერკი იძულებული გახდა დაჰყოლოდა დაგვიანებით მოსული სტუმრის მტკიცე გადაწყვეტილებას. სასწრაფოდ ჩაიცვა და მთელი კომპანიის თანხლებით ქალაქის თვითმმართველობაში გაჰყვა; გაიღო თავისი განყოფილების კარები და საქორწინო ლიცენზია შეავსო. რამდენიმეჯერ ამაო ცდის შემდეგ, როგორც იქნა, მოძებნეს მომრიგებელი მოსამართლე, ვინმე გრანტი, და მან თავის საოჯახო ბიბლიოთეკაში შეასრულა ჯეკ ლონდონისა და ჩარმიან კიტრეჯის ქორწინების რიტუალი.

მეორე დილით, 1905 წლის 20 ნოემბერს, როცა მისი დაქორწინების „უხამსი სიჩქარე" ცნობილი გახდა, ამერიკული პრესა შეცბუნდა. ბესისთან განქორწინების მიზეზად აქამდე იმ შინაგან უთანხმოებას მიიჩნევდნენ, რომლის გამო განშორება ორივე მხარისათვის სასურველი იქნებოდა. მაგრამ მეორედ დაქორწინების ციებ-ცხელებიანმა მოლოდინმა აშკარა გახადა, რომ ჯეკმა ოჯახი სხვა ქალის მიზეზით დაანგრია; ამრიგად, მთელ ისტორიას არასასურველი ელფერი დაედო. თუ გასულ შაბათამდე პრესა მისადმი მეგობრულად იყო განწყობილი, ორშაბათიდან მის წინააღმდეგ უკვე არა მარტო გულისწყრომა და აღშფოთება გამოავლინა, არამედ დაცინვაც. სამშაბათს, დილით, გაზეთები იუწყებოდნენ: „ჯეკ ლონდონის ქორწინება უკანონოა", ვინაიდან ილინოისის შტატის განქორწინების ახალ კანონებში, რომლებშიც ჯერ კიდევ სრულ

არევ-დარევას ჰქონდა ადგილი, კანონიერად ითვლება მხოლოდ ის ქორწინება, რომელიც გაფორმებულია განქორწინების შესახებ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთი წლის შემდეგ. რეპორტიორების მიერ თავმობეზრებული ჯეკი გრძნობდა, რომ ხელახლა იწყებოდა მისი ლენა. იგი აენთო და გაცხარებულმა წამოიძახა: „თუ საჭიროა, დაუყოვნებლივ გავიმეორებ ქორწინების მთელ ცერემონიას ამერიკის ყოველ შტატში!“ ვინ მოთვლის, რამდენმა ენამახვილმა მიუძღვნა გულსიანი სტატია ამ ამბავს — ეს რა დაქორწინების ტრფიალი ყოფილა მისტერ ლონდონიო!

საკმარისი იყო წინდახედულობა გამოეჩინა, რამდენიმე თვე დაეცადა და ქორწინება კალიფორნიაში დაბრუნებამდე გადაედო, რომ აიცილებდა ამ აურზაურს. ყველაფერი ჯერისწერის შესახებ მოკლე ცნობით დამთავრდებოდა. მაგრამ არა, მაინცდამაინც თავი მიუშვირა ყოველი მხრიდან წამოსულ სეტყვას. კათედრებიდან წარმოთქვამდნენ ქადაგებებს მის საწინააღმდეგოდ; პიტსბურგისა და დერბის საჯარო ბიბლიოთეკებიდან მისი წიგნები ამოიღეს და სხვა ქალაქებსაც მოუწოდეს მათთვის მიებაძათ. ქალთა კლუბებმა მითითება მიიღეს გაეუქმებინათ მისი ლექციების ჩატარება. უცნაურია, აღნიშნავდა ბევრი გაზეთი, რომ ადამიანები, რომელნიც თავის შინაურ საქმეებს სათანადოდ ვერ აგვარებენ, პრეტენზიას აცხადებენ მთელ კაცობრიობას ასწავლონ. რატომ იყო საიდუმლოებით მოცული მისტერ ლონდონის მეორე ქორწინება და რატომ გაფორმდა იგი ასეთი სიჩქარით? — კითხულობდნენ სტატიათა ავტორები. კიცხავდნენ მისს კიტრეჯსაც იმის გამო, რომ მან დაანგრია ჯეკისა და ბესის ოჯახური ცხოვრება.

ამერიკელ სოციალისტებსაც ძვირად დაუჯდათ თავისი ლიდერის საქციელი. კაპიტალისტურმა პრესამ არ დააყოვნა მის ხელში ჩავარდნილი იარაღის გამოყენება. „ესეც თქვენი სოციალისტი! ბედის ანაბარა ტოვებს ცოლსა და შვილებს... ცხადჰყოფს უზნეობას... სოციალიზმი ანარქიზმია, იგი დაანგრევს ჩვენს ცივილიზაციას, ქაოსს გამოიწვევს...“ მეგობარმა სოციალისტებმა სცადეს პროტესტი გაეცხადებინათ: „არ შეიძლება ჩირქი მოვცხოთ სოციალიზმს მხოლოდ ლონდონის არასწორი საქციელის გამო. ამდაგვარ საქციელს

„სოციალიზმი კაპიტალიზმზე ნაკლები სიმკაცრით როდი ჰკიცხავს!“ ამაოდ! თუ ლიდერი დაარღვევს მორალის განსაზღვრულ ნორმებს, მაშასადამე, ამით სოციალიზმის საქმესაც ზიანი მოღვა.

როცა მეგობრებმა ჯეკს უსაყვედურეს, „შენი მიზეზით, სულ მცირე, ხუთი წლით მაინც დაყოვნდება სოციალისტური რევოლუცია ამერიკაშიო, მან ღიმილით უპასუხა: „პირიქით. მე მგონია, რომ, სულ მცირე, ხუთი წუთით მაინც შევძელი რევოლუციის დაჩქარება“.

რამ აიძულა იგი ასეთი სიჩქარით, ყველას თვალწინ გაეთამაშნა ეს დაგვიანებული ცერემონია და თეატრალურ სანახაობასავით საქვეყნოდ გამოეტანა თავისი ახალი ქორწინება? ნაწილობრივ ეს იყო რომანტიული ჟესტი, რომელიც მისს კიტრეჯისათვის ჩაიდინა, ნაწილობრივ — დაუდევარი, მოუფიქრებელი საქციელი, ადამიანური აღტყინება, რომელიც საშუალებას არ გაძლევს შეჩერდე და მოიფიქრო: რას იტყვის ხალხი? ნაწილობრივ ეს სქელკანიანი ირლანდიელის ნამდვილი ყოყოჩობა იყო, რომელიც აინუნშიაც არ აგდებს, მოეწონება თუ არა ვინმეს მისი საქციელი. ბოლოს, მან მაშინვე შეირთო მეორე ქალი, რათა დაეწყნარებინა სინიდისი იმ ბოროტებისათვის, რაც ბესისა და, მისი სახით, საერთოდ ყველა ცოლს მიაყენა.

რამდენიმე კვირა გრძელდებოდა თავდასხმები გაზეთების ფურცლებიდან და ეკლესიების კათედრებიდან. ბევრმა მისი ნაწარმოებები უკვე ნაკლები სერიოზულობით მიიღო და, ამ თვალსაზრისით, გახმაურებულმა სახელმა და დიდებამ შას ზიანი მიაყენა; სამაგიეროდ, გაიზარდა მკითხველთა რიცხვი. საჭირო იყო საბოლოო, გადამწყვეტი დარტყმა და კამათს ბოლო მოეღებოდა. ეს კი ქალთა მოდურშა კლუბმა „ევერილამ“ შესძლო. ღია სხდომაზე ქალებმა ორი რეზოლუცია მიიღეს:

1. მოწონებულ იქნას სახელმძღვანელოებით უფასოდ სარგებლობა სახელმწიფო სკოლებში;

2. დაგმობილ იქნას:

ა) უნივერსიტეტებში ფეხბურთელთა გუნდების შექმნის პრაქტიკა და

ბ) ჯეკ ლონდონი.



VIII

სალექციო ტურნეს მარშრუტმა ჯეკი, როგორც იქნა, 1906 წლის იანვარში ნიუ-იორკამდე მიიყვანა. იქ მას შეხვდა პილიგრიმების ეკლესიის მღვდელი და ნიუ-ჰეივენელი სოციალისტების მეთაური დოქტორი ალექსანდრე ირვინი. ეს ლამაზი მამაკაცი წარმოშობით ირლანდიელი იყო, ხოლო რწმენით — იდეალისტი. დოქტორი ირვინი ნიუ-იორკში იმ მიზნით ჩამოვიდა, რომ ჯეკი დაერწმუნებინა, ლექცია წაეკითხა იელის უნივერსიტეტში. ჯეკი დათანხმდა; ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა: მეტად მაცდუნებელი შესაძლებლობაა ჯეროვნად ესაუბრო იელის სამი ათას სტუდენტს სოციალიზმზე. დოქტორი ირვინი პირველივე მატარებლით ნიუ-ჰეივენში დაბრუნდა და იელის სადისკუსიო კლუბს წინადადებით მიმართა ეკისრა ლექციის ორგანიზება. კლუბის წევრები შიშით დათანხმდნენ დაეთმოთ ჯეკ ლონდონისათვის მეორე დღეს აუდიტორია, მაგრამ იმ პირობით, თუ მისი გამოსვლა თავიდან ბოლომდე ზომიერების ფარგლებს არ გასცდებოდა.

აღფრთოვანებული დოქტორი ირვინი იმ საღამოსვე მივიდა

ბხატვარ-სოციალისტ დელფანტთან, რომელმაც ათი აფიშა დაამზადა. მშვენიერი შესახედაობის ჯეკი აფიშაზე გამოსახული იყო სვიტერით. სურათის ქვემოთ, ცეცხლის დიდი ალის ფონზე ლექციის თემა — „რევოლუცია“ იყო დაწერილი. ვიდრე გათენდებოდა, დელფანტმა და დოქტორმა ირვინმა უნივერსიტეტის ტერიტორია შემოიარეს და ხეებზე გააკრეს აფიშები. ახლადგამოღვიძებულ იელის უნივერსიტეტს ელდა ეცა ამ თვალსაჩინო განცხადებების დანახვაზე. სამეცნიერო საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა დაუყოვნებლივ გამოიძახა სადისკუსიო კლუბის თავმჯდომარე და განუცხადა, რომ ლექცია უნდა მოიხსნას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მიაღწევს ვულსი ჰოლის დარბაზში ლექციის ჩატარების აკრძალვას. იელის უნივერსიტეტში ვერავინ ვერ იქადაგებს რევოლუციაზე! კლუბის წევრები თითქმის დაეთანხმნენ მას, მაგრამ დოქტორმა ირვინმა დაჟინებით მოითხოვა, უნივერსიტეტის უფრო ახალგაზრდა მასწავლებლებს მოლაპარაკებოდნენ — ეგზ მათ დაეჭირათ მხარი და დაეძლიათ რეაქციონერები. პროფესორი უილიამ ლიონ ფელპსი პირველთაგანი აღმოჩნდა, რომელმაც კლუბის თავმჯდომარის მიერ საქმის ვითარების გაცნობის შემდეგ იკითხა: „განა იელის უნივერსიტეტი მონასტერია?“.

საყვედური ისე მოხდენილად და ამასთან ისე თავაზიანად იყო თქმული, რომ ოპოზიცია იძულებული გახდა ხმა ჩაეკმიდა. საღამოს რვა საათზე სამმა ათასმა სტუდენტმა და სამასმა მასწავლებელმა — უნივერსიტეტის თითქმის მთელმა შემადგენლობამ აავსო ვულსი ჰოლი. ჯეკი სცენაზე გამოვიდა. მას გულთბილად შეხვდნენ და ყურადღებითაც უსმენდნენ. მომხსენებელი აღნიშნავდა, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან „შვიდი მილიონი ადამიანი უკანასკნელ ძალ-ღონეს არ იშურებს მთელ სამყაროში დოვლათის დაგროვებისათვის ძლევამოსილი შეტევისა და არსებული წეს-წყობილების სრული განადგურებისათვის ბრძოლაში. რევოლუციის დროშის ქვეშ ერთმანეთის მხარდამხარ მდგარი ეს ადამიანები თავის თავს ამხანაგს უწოდებენ. აი, კაცობრიობის უსაზღვრო ძლიერება; აი, ხელისუფლება და ძალა. მხურვალე გატაცება ამოქმედებს რევოლუციონერებს; მათ წმინდათა-წმინდად მიაჩნიათ კაცობრიობის ინტერესები, მაგრამ განსაკუთრებულ თავაზიანობას არ იჩენენ ლეშის ბატო-

ნობისადმი“. ჯეკი მთელი საათის განმავლობაში ეკონომიკური სკალპელით აშიშვლებდა კაპიტალისტური სისტემის წყლულებს და თავისი გამოსვლა დაამთავრა მოწოდებით: „კაპიტალისტების კლასის ძალაუფლებამ კრახი განიცადა, მაშასადამე, მათ ხელიდან უნდა გამოგლიჯოთ მართვა-გამგებლობის სადავეები. მუშათა კლასის შვიდი მილიონი წარმომადგენელი აცხადებს, რომ მთელ ძალ-ღონეს მოახმარს მუშათა დანარჩენი ნაწილის გადმობირებასა და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. რევოლუცია აქვე ხდება, აი, ამ წუთში. აბა, სცადეთ და შეაჩერეთ იგი!“

დოქტორ ირვინის თქმით, „მსმენელებს თმები ყალყზე დაუდგათ“. სტუდენტებს შორის ორი ათეულიც არ იქნებოდა, რომელიც თუნდაც მის რომელიმე სიტყვას ეჯიზიარებდა, მაგრამ როცა ჯეკმა დაამთავრა, ოვაციის ჭექა-ქუხილი ატყდა. იელის უნივერსიტეტმა დიდსულოვნად უარი განაცხადა ჰოლის სარგებლობისათვის ფულის მიღებაზე და მთელი შემოსავალი — ოცდახუთ-ოცდახუთი ცენტი თითოეულისაგან — სრულიად მოულოდნელად ნიუ-ჰეივენის სოციალისტურ ორგანიზაციას დარჩა.

ლექციის შემდეგ ჯეკი და დოქტორი ირვინი, უნივერსიტეტის ათი რჩეული ორატორის თანხლებით, პატარა რესტორან ოულდ-ბორში წავიდნენ, რათა თითო ტოლჩა ლუდით ყელი ჩაესველებინათ და საფუძვლიანად მოელაპარაკნათ. ჯეკს მარტო უხდებოდა ყველასთან გამკლავება. ამ გაცხარებული და არეულ-დარეული კამათის მსვლელობის დროს ჯეკი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ კერძო საკუთრების საძირკველს წარმოადგენს ან ქურდობა, ან ძალმომრეობა; დამსწრეები ერთხმად ადასტურებენ, რომ, მართალია, ჯეკმა ერთიც ვერ მიიმხრო, მაგრამ თავისი პოზიციები მაინც არ დასთმოო. დილის ოთხ საათზე, როცა დოქტორ ირვინს ჯეკი თავისი სახლისაკენ მიჰყავდა, შეამჩნიეს მუშათა ჯგუფი, რომელიც ჯეკს ელოდებოდა ლექციისათვის მადლობის სათქმელად. დილის რვა საათზე კი კარზე მოადგა იელის „ახალი ამბების“ წითური და ულაზათო შესახედაობის რეპორტიორი, რომელსაც უნდოდა უშუალოდ ჯეკ ლონდონისაგან მიეღო ინტერვიუ — ეს ხელს შეუწყობდა გაზეთის რედაქციაში მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას. რეპორტიორი გვარად სინკლერ ლუისი იყო.

ლექციებით ორი კვირის მოგზაურობის შემდეგ, 10 იანვარს ჯეკმა ისევ ნიუ-იორკს მიაშურა. აქ იგი მოხსენებით უნდა გამოსულიყო „მოახლოებული კრიზისის შესახებ“ სტუდენტთა სოციალისტური საზოგადოების პირველ ღია სხდომაზე, რომელმაც იგი პრეზიდენტად აირჩია. ზოგის აზრით, გრანდ სენტრალ პალასში თავმოყრილი ხალხის რიცხვი ოთხი ათასს შეადგენდა, ხოლო სხვებისა — ათი ათასს, მაგრამ ერთი რამ უდავოა: აქ იყო ატლანტის სანაპიროელი ყველა სოციალისტი, რომელსაც კი ბედმა გაუღიმა და ნიუ-იორკამდე ბილეთის ფული იშოვა. მოხსენების გამმართავი ორგანიზაციის სახელწოდების მიუხედავად, დარბაზში შეკრებილ ათასობით მუშას შორის ალბათ, უნივერსიტეტის ასიოდე სტუდენტიც არ იქნებოდა. მატარებელი, რომლითაც, ფლორიდაში გამართული ლექციის შემდეგ, ჯეკი ჩრდილოეთში ბრუნდებოდა, იგვიანებდა, მაგრამ საზოგადოება მოწყენას არ გრძნობდა — მათ წინაშე გამოვიდა ეპტონ სინკლერი — სტუდენტთა სოციალისტური საზოგადოების მაორგანიზებელი ძალა, მისი სული და გული. იგი დღე-დღეზე ელოდებოდა თავისი წიგნის გამოსვლას, სახელწოდებით „ჯუნგლი“, რომელიც ჩიკაგოს სასაკლაოებს შეეხებოდა. ეპტონი მუშებს ეუბნებოდა, რომ მათ შეუძლიათ დაეხმარონ ამერიკაში ეკონომიური დემოკრატიის დამყარების საქმეში. ათ საათზე გამოჩნდა ჯეკი თავისი აწეწილი თმებით; მას ეცვა შავი შევიოტის კოსტუმი, თეთრი ფლანელის პერანგი თეთრი ყელსახვევით და ლაქის დაღრეცილი ფეხსაცმელი. მისი დანახვისთანავე მთელი ეს ხალხი ფეხზე წამოხტა და ისეთი აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყო, რომ ჯეკს მთელი სიცოცხლის მანძილზე არ დავიწყნია. მათი კოლოსი იყო იუჯინ ვ. დებსი, მებრძოლი წინამძღოლი, მათი ახალგაზრდა წინასწარმეტყველი კი—ჯეკ ლონდონი. ეპტონ სინკლერი მოგვითხრობს: ჯეკ ლონდონმა ერთი წამითაც ვერ შეძლო სიჩუმის დამყარება, რათა მისთვის მოესმინათო. შეკრებილნი წითელ დროშებს აფრიალებდნენ და მთელი ხუთი წუთის განმავლობაში მგზნებარედ უკრავდნენ ტაშს. როცა ორატორმა იწინასწარმეტყველა, 2000 წლისათვის დამხობილი იქნება კაპიტალისტური საზოგადოებაო, აუდიტორია გაშმაგებულმა აღტაცებამ მოიცვა — მერე რა, თუ ვერც ერთი მათგანი ვერ მოესწრება საშინელი სამსჯავროს დღეს!

ჯეკი ნიუ-იორკში ერთი კვირა დარჩა. ეს ქალაქი მასზე ყოველთვის უცნაურად მოქმედებდა: ფიზიკურად აღაგზნებდა, ფსიქიურად კი აძაბუნებდა. იგი დოქტორ ირვინს უუბნებოდა, ყოველთვის, როცა ნიუ-იორკში ვიმყოფები, ისეთი გრძნობა მიპყრობს, მინდა ყელი გამოვიღადროო. სტუდენტთა სოციალისტური საზოგადოების მიერ მოწყობილი ლექციის მეორე დღეს იგი საუზმეზე შეხვდა ეპტონ სინკლერს, რათა ერთად შეემუშავებინათ საზოგადოების მუშაობის გეგმა. მაგარი სასმელების აკრძალვის მგზნებარე მომხრე — სინკლერი — იგონებს, რომ მათ შეხვედრამდე ჯეკს უკვე მოესწრო დალევა; აღგზნებული თვალები მოუსვენრად უბრწყინავდა; საუზმის დროსაც გამუდმებით სვამდა. ჯერ კიდევ ნიუ-იორკში ჩასვლამდე ჯეკმა ქება-დიდებით აღსავსე რეცენზია მიუძღვნა „ჯუნგლებს“, რომლითაც დიდებისაკენ გზა გაუხსნა ამ „ნაგვის მქექავს“[1] და მის კლასიკურ ნაწარმოებს.

3 თებერვალს, ქალაქ სან-პოლში ლექციის ჩატარების დროს, ჯეკი ავად გახდა. ტუჩების ირგვლივ მუწუკები გამოაყარა გაცივების შედეგად; დარჩენილი ლექციები მოხსნა და გლენ-ელენში დაბრუნდა. აქ კომპანიონებისაგან — ნინეტა ეიმსისა და ედუარდ პეინისაგან—იქირავა უეიკ რობინის ნაწილი. სწორედ აქ ჩაისახა იმ თავგადასავლის გეგმა, რომელთან შედარებით ქარწყლდება მისი მჩქეფარე ცხოვრების ყველა თავგადასავალი.

ჯერ კიდევ გასულ ზაფხულში, როცა გლენ-ელენის ნაპირზე მზის აბაზანებს იღებდა, იგი ხანდახან დამსვენებლებს უკითხავდა ხოლმე ნაწყვეტებს კაპიტან ჯოშუა სლოკამის ნაწარმოებიდან „მარტოდმარტო სამყაროს ირგვლივ იალქნიანი გემით“. კაპიტან სლოკამის გემის სიგრძე ოცდაჩვიდმეტი ფუტი იყო; ჯეკმა ხუმრობით შენიშნა, რომ არ შეუშინდება, მაგალითად, ორმოცი ფუტის სიგრძის პატარა გემით სამყაროს ირგვლივ მოგზაურობას. ახლა იგი კვლავ უეიკ რობინშია. თავი მოაბეზრა ქალაქებმა, ხალხის გროვამ, მლიქვნელობამ. მას კარგად ესმოდა, რომ ყოველი მხრიდან მიზანში ჰყავ-

---

[1] „ნაგვის მქექავები“ ეწოდება ლიტერატორთა ჯგუფს, რომლის წევრები XX საუკუნის დასაწყისში დაუზოგავად ამხილებდნენ ამერიკული საზოგადოების მანკიერ მხარეებს.

დათ ამოღებული და, რომ მტრულად ეპყრობოდნენ მეორედ დაქორწინებისა და სხვა მრავალი მიზეზის გამო.

და, აი, მან ისევ წამოიწყო ლაპარაკი სამყაროს ირგვლივ მოგზაურობაზე. უკვე დიდი ხანია განზრახული ჰქონდა სწორედ ასეთი ექსპედიციის მოწყობა სამხრეთის ზღვებისაკენ. ეს, მისი ერთ-ერთი სანუკვარი სურვილი, სტივენსონისა და მელვილის რომანტიკულმა მოთხრობებმა ჩაუნერგეს. მას მხარი დაუჭირა ჩარმიანმაც, რომელიც თავგადასავლების ტრფიალი იყო. მხარი დაუჭირეს ნინეტა ეიმსმა და ედუარდ პეინმაც იმ იმედით, რომ კაპიტნად როსკო ეიმსი იქნებოდა.

„რანჩოში სახლი იყო ასაშენებელი, ხეხილის ბაღისათვის გამოყოფილ ნაკვეთსა და საველახეში ნერგები უნდა ჩამეყარა, აქა-იქ ცოცხალი ღობეც მქონდა შემოსავლები. ბევრი სხვა საქმეც იყო მოსაგვარებელი. გამგზავრებას დაახლოებით ხუთი წლის შემდეგ ვფიქრობდით, მაგრამ ცდუნება ძლიერი აღმოჩნდა. რატომ ახლავე არ უნდა წავიდეთ? დაე, ბაღი, ვენახი და ცოცხალი ღობე წამოიზარდოს, ვიდრე ჩვენ აქ არ ვიქნებით. ბოლოს და ბოლოს, ხომ არ ვახალგაზრდავდები“. ჯეკი, რომელიც ყოველთვის სწრაფად ილებდა გადაწყვეტილებას, ახლაც ადვილად აჰყვა აღტყინებას, მაგრამ ის კი არ განსაზღვრა, რამდენი დაუჯდებოდა ყოველივე ეს. მტკიცედ გადაწყვიტა — სლოკამის მსგავსად პატარა გემით შემოევლო დედამიწის ირგვლივ.

უეიკ რობინში დაბრუნებიდან ათი დღის შემდეგ, ჯეკმა აღმოსავლეთის ექვსი წამყვანი ჟურნალის რედაქტორს დაუგზავნა წერილები წინადადებით—წილში შემოსულიყვნენ და მისი წამოწყებისათვის საჭირო თანხა გაეღოთ. „გემის სიგრძე იქნება ორმოცდახუთი ფუტი. უფრო ნაკლებიც შეიძლება, მაგრამ ამ შემთხვევაში აბაზანები ვეღარ ჩაეტევა. მოგზაურობა ოქტომბერში დაიწყება. დანიშნულების პირველი პორტი ჰავაი იქნება. იქიდან წყნარი ოკეანის სამხრეთის მიმართულებით სამოასაკენ გავემართებით, მოვივლით ახალი ზელანდიის, ავსტრალიისა და ახალი გვინეის ნაპირებს; გვერდს ავუვლით ფილიპინებს და იაპონიისაკენ გავემართებით. კორეა და ჩინეთიც ხომ იქვეა, შემდგომ კი — ინდოეთი, წითელი, ხმელთაშუა და შავი ზღვები; აქედან ატლანტის ოკეანით ნიუ-იორკისაკენ გავს-

წევთ და ჰორნის კონცხის შემოვლით სან-ფრანცისკოში დავბრუნდებით. ზამთარში სანკტ-პეტერბურგში შევივლი და, შესაძლოა, შავი ზღვიდან დუნაის ავყვე ვენამდე. მოვინახულებ ნილოსისა და სენის სათავეებს. რატომ არ უნდა შევიარო პარიზში, არ ჩავუშვა ღუზა ლათინურ კვარტალში და გემის ცხვირი არ მივმართო პარიზის ღვთისმშობლის ტაძრისაკენ, ხოლო კიჩო — საცხედრისაკენ? აჩქარებას არ ვაპირებ; ჩემი ვარაუდით მოგზაურობას შვიდ წელზე უფრო ადრე ვერ დავამთავრებ".

სან-ფრანცისკოს ყურეში შეიძლებოდა ხელსაყრელ ფასებში საიმედო საზღვაო გემის შერჩევა, მაგრამ ჯეკმა უარყო ეს აზრი: საკუთარის გარდა, იგი სხვა გემით არ წავა სამოგზაუროდ. სან-ფრანცისკოში ცოტა როდი იყვნენ გემის არქიტექტორები, თავის საქმის კარგი მცოდნენი. მაგრამ ჯეკისათვის ვარგისი იქნება მხოლოდ ისეთი გემი, რომელიც მის აზროვნებაში წარმოისახება. ყურეში დახელოვნებული გემთმშენებლებიც იყვნენ და ნავსაშენებიც მოიძებნებოდა, მაგრამ იგი მხოლოდ იმ გემის პატრონი გახდება, რომელსაც თვითონ ააგებს.

მან გადაწყვიტა აეგო გემი, რომელიც გვერდს აუვლიდა გემთმშენებლობის ტრადიციებს. მთელი მისი ცხოვრებაც ხომ ამ საერთო ნორმიდან გადახრას წარმოადგენდა? მას აეკვიატა „კეჩის" აგების აზრი, რომელიც რაღაც საშუალო იქნებოდა კარჭაპასა და სანდალს შორის და, ამავე დროს, ორივეს ღირსების შემცველიც. თანაც ჯეკი გულახდილად აღიარებდა, რომ არამცთუ არასდროს უმოგზაურია კეჩით, თვალითაც არ უნახავს იგი. ასე რომ, ყველაფერი ეს ჯერჯერობით თეორიის მეტი არაფერი იყო. იგი გემთმშენებლობის წვრილმანებში ჩაეფლო და ისეთ პრობლემებზეც კი იმტვრევდა თავს, როგორიცაა, ვთქვათ, რომელი უკეთესი იქნება: ორი, სამი თუ ოთხტაქტიანი ძრავა, ნაპერწკლისა თუ წყვეტითი ანთებით; რომელი კონსტრუქციის ბრაშპილი უფრო სრულყოფილია და რით დაჭიმოს ტაკელაჟი — ტალრეპებით თუ დამჭიმი საკეტებით. ახალს იგი ჩქარა ითვისებდა და თანაც ყოველთვის სწორედ დედაარსს. ახლაც ასე იყო: რამდენიმე კვირაში ბევრი რამ შეითვისა თანამედროვე გემთმშენებლობის დარგში.

წინათ, თავისი ცხოვრების საუკეთესო დღეებში, როსკო ეიმსი

მომცრო გემებს მართავდა სან-ფრანცისკოს ყურეში. ამ გამოცდილების გამო აიყვანა ჯეკმა იგი სამუშაოდ, თვეში სამოცი დოლარი დაუნიშნა და დაავალა: სან-ფრანცისკოში წაეღო პროექტები და ხელმძღვანელობა გაეწია „სნარკის“ აგებისათვის. ჯეკმა გადაწყვიტა კარპაპისათვის „სნარკზე ნადირობიდან“ ამოღებული ფანტასტიკური ცხოველის სახელწოდება — „სნარკი“ ეწოდებინა. ყველა დაინტერესებული პიროვნებისათვის მეტად ხელსაყრელი იყო სჭქმის ამდაგვარი წამოწყება, ხოლო ხანშიშესულ, ჭირვეულ როსკოს დიდი ხნის შემდეგ პირველად ეძლეოდა გასამრჯელოს მიღების შესაძლებლობა. ჟურნალმა „კოსმოპოლიტმა“ წინადადება მისცა გემისათვის მისი სახელწოდება მიეკუთვნებინა. თუ ჟურნალი გემის აგების ხარჯებს გაიღებს, — უპასუხა ჯეკმა, — იგი თანახმაა გემს, არამცთუ „კოსმოპოლიტენ მეგეზინი“ უწოდოს, არამედ გზადაგზა ხელმოწერაც შეაგროვოს ამ ჟურნალზე. მან გამოიანგარიშა, რომ „სნარკის“ აგებას შვიდი ათასი დოლარი დასჭირდებოდა და აქედან გამომდინარემ ასეთი მითითება მისცა როსკოს: „ფული არ დაზოგოთ. დაე, „სნარკზე“ ყველაფერი საუკეთესო იყოს. გარეთა მოპირკეთებაზე ნუ სწუხხართ — ფიჭვიც გამოდგება. კონსტრუქციისათვის ფული არ დაიშუროთ. ყურადღება მიაქციეთ, რომ „სნარკი“ ყველა გემზე უფრო გამძლე და მტკიცე იყოს. ამაზე ფულს ნუ დაზოგავთ. მე წერას შევუდგები და იმდენ ფულს ვიშოვნი, რამდენიც საჭირო იქნება“.

ჯეკმა როსკო გაისტუმრა ნახაზებითა და ჩეკის წიგნაკით, თვითონ კი სერიოზულ ჩანაფიქრს ჩაუჯდა. აი, უკვე ოთხი თვეა, რაც შემოქმედებითი სამუშაოსათვის ხელი არ უხლია. ინგლისიდან კატალოგით გამოწერილ მრავალ წიგნს შორის სტენლი ვატერლოოს „ებას ისტორიაც“ იყო. „ებას ისტორია“ პირველ ცდას წარმოადგენდა ლიტერატურაში, აესახათ იმ დროის ცხოვრება, როცა ადამიანი ცხოველი უფრო იყო, ვიდრე ადამიანი. ამ წიგნის შექმნას ვატერლოომ ათი წლის მეცნიერული და ლიტერატურული შრომა მოანდომა, რის შედეგად ნაწარმოები თუმცა მეცნიერული, მაგრამ მოსაწყენი გამოვიდა. ჯეკმა მასში დაინახა მექანიზმი, რომლის საშუალებით შეიძლებოდა სული ჩაედგა დარვინის ევოლუციის თეორიისათვის. იგი გამოიყენებს კიდეც ამ შესაძლებლობას. ბევრ რა-

შეში ვატერლოოს წიგნზე დაყრდნობით მან იმავე დღეს მოხაზა ზოგადი გეგმა, მეორე დილით კი წერას შეუდგა. ნაწარმოებს უწოდა „ადამამდე“. ესაა იმის მაგალითი, თუ რა მოხდენილად ურჩევდა ჯეკი სახელწოდებებს თავის თხზულებებს. უბრალო ხერხის გამოყენებით — თანამედროვე ბიჭუნას ღამით ესიზმრება, რომ იგი ისტორიამდელ ხანაში ცხოვრობს — ავტორი მეტად მოხერხებულად უპირისპირებს ერთმანეთს ამ ორ პერიოდს. ეს ნაწარმოები ისე გულთბილად და ბუნებრივადაა დაწერილი, რომ მკითხველს სჯერა, დიახ, სწორედ ასე ცხოვრობდა ადამიანი მას შემდეგ, რაც მაიმუნის მდგომარეობიდან ისტორიული ნაბიჯი გადადგა წინ. „ჩინებული შოთხრობა გამოვა, საუცხოოდ იქნება გადმოცემული პირველყოფილი ცხოვრება“, — ხარობდა ჯეკი.

მოთხრობა „ადამამდე“ იმ შავბნელ პერიოდში იყო ჩაფიქრებული, როცა რელიგიის ორგანიზებული ძალები ევოლუციის თეორიას ებრძოდნენ და იგი ეშმაკის ჩაგონებით მკრეხელების მონაჩმახად იყო გამოცხადებული, ე. ი. მანამდე, ვიდრე ჭეშმარიტი მეცნიერების მიღწევები საფუძვლიანად შეანგრევდნენ დოგმატიკის ციხე-სიმაგრეთა კედლებს. მოთხრობა დარვინისა და უოლესის პოპულარიზაციის გაბედულ ცდას წარმოადგენდა და მიზნად ისახავდა მათი შრომები ხელმისაწვდომი გაეხადა ფართო მასებისათვის, ხალხს შესაძლებლობა ჰქონოდა უკეთ გარკვეულიყო თავის წარსულში. ჯეკი თხრობის განუმეორებელი ოსტატი იყო და ეს ნაწარმოები პირველყოფილი ადამიანების შესახებ თავისი მომხიბვლელობით არ ჩამოუვარდებოდა ალასკაზე დაწერილ არც ერთ მის მოთხრობას. „ადამამდე“ არ შეიძლება მივაკუთვნოთ უმაღლესი კლასის ლიტერატურულ ნაწარმოებთა ჯგუფს: აქ თავი იჩინა იმ სიჩქარემ, რომლითაც იგი ქაღალდზე იქნა გადატანილი, მაგრამ მის წაკითხვას, დიდი სიამოვნების განცდასთან ერთად, ცოტა სარგებლობა როდი მოაქვს, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის, რომელიც ეს-ესაა იწყებს მომწიფებას.

როსკომ შეისყიდა მასალები, მოაგროვა მუშები, გემთსაშენ დოკში დაიქირავა სადგომი და ჯეკს აცნობა, რომ გემის ხერხემლის ჩაყრა მოხდება 1906 წლის 18 აპრილს. წინა დღით ჯეკი გაუწყვეტლივ ლაპარაკობდა მომავალ ნაოსნობაზე, იგონებდა,

„ბავშვობაში მელვილის „ტაიპის“ კითხვის დროს მთელ საათებს ვატარებდი ოცნებაში. სწორედ მაშინ გადავწყვიტე, როცა წამოვიზრდები და ძალ-ღონეს მოვიკრებ, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ტაიპიზე ვიმოგზაურებ-მეთქი“. გათენებამდე დიდი ხნით ადრე ჯეკს მოეჩვენა, თითქოს მისი საწოლის ქვეშ იატაკი ირყეოდა და გამოეღვიძა. ცხადი იყო, სიზმარში ტაიპის ველი ნახა და მღელვარებისაგან თვითონვე აწრიალდა ლოგინში. მოაღწია თუ არა განთიადმა, შეკაზმა თავისი უოშო ბანა. სონომის მთის მწვერვალთან რომ მივიდა, დაინახა, სან-ფრანცისკო ცეცხლის ალში იყო გახვეული. მაშინვე ჭენებ-ჭენებით უკანვე დაბრუნდა უეიკ რობინში, ჭენებითვე გაექანა ოკლენდისაკენ, რათა მატარებლისათვის მიესწრო, შემდეგ ბორნით გადავიდა სან-ფრანცისკოში, სადაც ფოტოსურათები გადაიღო და დაუყოვნებლივ, დეპეშით გაგზავნა კორესპონდენცია „კოლიერსისათვის“.

მიწისძვრისა და ხანძრის შედეგად სან-ფრანცისკოში მომხდარ უამრავ დიდ ტრაგედიას შორის ერთი პატარა ტრაგედიაც მოხდა: იახტა „სნარკის“ საფუძვლის ჩაყრა არ შედგა. დაიწვა მასალები, რომელთა საფასური უკვე გადახდილი იყო; არსად არ იშოვებოდა მუშახელი; დანგრეული იყო რკინეულის დამამზადებელი ქარხანა, შეუძლებელი შეიქნა ნიუ-იორკიდან გამოწერილი მოწყობილობების ქალაქში შემოტანა. უახლოეს კვირეებში სამუშაოთა დაწყებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. იქვე დატოვა როსკო, რათა მას რაც შეიძლება მალე მოეგვარებინა „სნარკის“ მშენებლობის დაწყება, თვითონ კი გლენ-ელენში დაბრუნდა და მოთხრობების წერას შეუდგა. ამ დროს დაწერა მან თავისი საუკეთესო მოთხრობები: „სიცოცხლის სიყვარული“,[1] „თეთრი ადამიანის გზა“, „თქმულება კიშზე“, „მოულოდნელი“, „მშიშარა“, „ნეგორი“. ჯეკი დაეჭვდა, რომ „სნარკის“ აგება უფრო მეტი დაუჯდებოდა, ვიდრე თავდაპირველად ვარაუდობდა.

ივნისში, როგორც იქნა, შედგა ხერხემლის ჩაყრა. ჯეკმა კი საბოლოოდ მიაგნო იმ რომანის დედააზრს, რომლის დაწერის იდეა

---

[1] მოთხრობა „სიცოცხლის სიყვარული“ გაცილებით ადრეა დაწერილი, 1905 წელს კი გამოქვეყნდა.

დიდი ხანია მოსვენებას არ აძლევდა, რომანისა, რომელიც მიეძღვნებოდა ადამიანთა საზოგადოების ეკონომიურ ცხოვრებას. „დავიწყე სოციალისტური რომანი და თავითფეხებამდე ჩავეფლე მასში! ვფიქრობ დავარქვა „რკინის ქუსლი". არაუშავს-რა სათაურია, არა? შენ სად შეგწევს ძალა ასეთი რამისათვის, საბრალო, ბეჩავო კაპიტალისტო! ეჰ, ოდესმე მაინც შეძლებს პროლეტართა კლასი წესრიგი დაამყაროს თავის სახლში!" მძლავრი წარმოსახვა, რომელმაც სულ რაღაც ორი თვის წინ საშუალება გამონახა მოეთხრო ათეული ათასი წლის წინანდელ ამბებზე, ახლა ახალ ხერხს ქმნის — როგორ გადაიტანოს „რკინის ქუსლი" მომავალში — შვიდასი წლის შემდგომ: ნაპოვნია ერნესტ ევერგარდის მანუსკრიპტი, რომელიც დამალეს მას შემდეგ, რაც ოლიგარქიამ სისხლში ჩაახრჩო ხალხთა მეორე აჯანყება. აი, რას წერდა „რკინის ქუსლის" წინასიტყვაობაში ანატოლ ფრანსი, რომელმაც ჯეკ ლონდონს ამერიკელი კარლ მარქსი უწოდა: „ჯეკ ლონდონი დაჯილდოებულია სახელდობრ იმ ტალანტით, რომლისათვის ხელმისაწვდომია უბრალო მომაკვდავთათვის დაფარული მოვლენები; ტალანტი, რომელიც მომავლის განჭვრეტის განსაკუთრებული ნიჭითაა დაჯილდოებული".

„რკინის ქუსლით" ჯეკ ლონდონმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ იდეები უფრო მძლავრ აღელვებას იწვევს, ვიდრე ფაბულა, რომ სწორედ ისინი ამოძრავებენ სამყაროს. იგი დავალებული იყო თავისი მასწავლებლებისაგან და ახლა უბრუნებდა მათ იმას, რითაც ვალდებული იყო: „ზღვის მგლისა" და „ადამამდეს" გამო — სპენსერს, დარვინს, ჰეკსლის; „რკინის ქუსლის" გამო — კარლ მარქსს, მისი მოძღვრების პოპულარიზაციით დრამატული ნაწარმოების ფორმაში, სადაც ფართო მასებისათვის გასაგებად ხდიდა სოციალისტურ და რევოლუციურ იდეებს. კარლ მარქსი კმაყოფილი დარჩებოდა „რკინის ქუსლით".

ამ ნაწარმოებზე მუშაობისას ჯეკმა მიმართა იმ ვეებერთელა კატალოგებსა და კარტოთეკებს, რომელთაც გულმოდგინედ აესებდა რაოდენიმე წლის განმავლობაში. აქედან ამოკრიფა მან საკმარ ფაქტიური მასალა, რათა რომანი აღერებულიყო როგორც ერთ-ერთი უმკაცრესი საბრალდებულო აქტი, რაც კი ოდესმე წარუდგენიათ კაპიტალისტებისათვის. ამერიკელებს ეკონომიკა მშრალ, მო-

საწყენ, გულისგამაწყალებელ საგნად მიაჩნდათ. უფრო მეტიც — ყოველგვარი მსჯელობა პრინციპებზე, რომლებიც საფუძვლად ედო კერძო საკუთრებისა და დოვლათის განაწილების სისტემას, ისევე მკაცრად იყო აკრძალული, როგორც ევოლუციისადმი მიძღვნილი დისკუსია. მრეწველები და ბანკირები საქმეებს იმავე უფლებით განაგებდნენ, რომელიც რესპუბლიკურ რევოლუციამდე მეფეთა წმინდათა-წმინდა უფლების სახელწოდებით იყო ცნობილი. „იმაზეც მადლიერი იყავით,—ეუბნებოდნენ ისინი მუშებს,—ჩვენი სიბრძნისა და გულკეთილობის წყალობით, უზრუნველყოფილი რომ ხართ სამუშაოთი და პურით“. ეკლესია მეწარმეთა მხოლოდ ყურმოჭრილი მონა იყო, პატრონის ნაწყალობევით გასუქებული. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ თუნდაც ის შემთხვევა, რომელსაც ჯეკი თვითონ წაწყდა ჩიკაგოში სალექციო ტურნეს დროს. ქალაქში მხოლოდ ორი მღვდელი აღმოჩნდა, თავს რომ ლიბერალად აღიარებდნენ და იმათაც კი უარი განაცხადეს ყოფილი გუბერნატორის ჯონ პ. ალტგელდის პანაშვიდის გადახდაზე იმ მიზეზით, რომ მან ერთ დროს შეიბრალა ის ადამიანები, რომელთაც უსამართლოდ დასდეს მსჯავრი ჰეიმარკეტის აჯანყებაში მონაწილეობისათვის[1]. ეკლესიას არ ჩამორჩებოდა ეგრეთ წოდებული უმაღლესი განათლებაც: უნივერსიტეტებში ასწავლიდნენ მხოლოდ იმას, რის ნებასაც მჭიდროდ გატენილი ჯიბე იძლეოდა.

ყველაფერი ეს, საბუთებით დადასტურებული, ჯეკმა შეიტანა თავის თხზულებაში — ერთ-ერთ ყველაზე უფრო საშიშ და ბრწყინვალე ნაწარმოებში, რომელიც კი ოდესმე შეუქმნია ადამიანს. თუ ლიტერატურის დარგისათვის „რკინის ქუსლი“ არც იმაე დიდი შენაძენია, სამაგიეროდ, იგი უდიდესი განძია ეკონომიური რევოლუციის საქმეში. ამ ნაწარმოებში ჯეკმა არამცთუ იწინასწარმეტყვე-

---

[1] 1886 წლის 4 მაისს ჰეიმარკეტის მოედანზე, ჩიკაგოში, მუშათა მიტინგზე პროვოკატორმა ყუმბარა ისროლა. პოლიციამ სროლა ასტეხა, ბევრი მუშა დახოცეს და ბევრიც დაჭრეს. საზიზღარი პროვოკაცია ხელისუფლებამ იმისათვის გამოიყენა, რომ ანგარიში გაესწორებინა მუშათა ლიდერებთან. მიუხედავად იმისა, რომ დაპატიმრებულთა მიმართ ბრალდების დამტკიცება ვერ შეძლეს, შვიდ მათგანს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, დანარჩენებს კი პატიმრობა სხვადასხვა ვადით.

ლა ახლანდელი ფაშიზმი, არამედ დაწვრილებით აღწერა ის მეთოდებიც, რომელთაც მიმართავს იგი ყოველგვარი წინააღმდეგობის ჩასახშობად და არსებული კულტურის აღსაგველად პირისაგან მიწისა. „რკინის ქუსლს“ დღესაც ისე კითხულობ, თითქოს იგი გუშინ იყოს დაწერილი; ამდაგვარივე წარმატებით შეიძლებოდა მოგვლენოდა იგი ათი წლის შემდეგაც. თანამედროვე ლიტერატურაში ვერ მოძებნი უფრო მომხიბვლელ თავს, როგორიცაა ის ნაწილი, სადაც ერნესტ ევერგარდი ორთაბრძოლაში ებმება ფილომატების კლუბის წევრებთან—წყნარი ოკეანის სანაპიროს ამ უძლევამოსილეს ოლიგარქებთან. თავის გამოსვლაში ევერგარდი აშიშვლებს მოგების სისტემის უნაყოფო და მტაცებლურ არსს და წინაპარმეტყველებს მრეწველობის მუშათა ხელში გადასვლას. ძნელად თუ მოიძებნება უფრო წინასწარმეტყველური სიტყვები, ვიდრე ის, რომლითაც ოლიგარქების ლიდერი პასუხობს ევერგარდს: „აბა, სცადეთ და წაეპოტინეთ თქვენი ნაქები, მძლავრი ხელებით ჩვენს სასახლეებს, ჩვენს დიდებულ ფუფუნებას. — მაშინ გიჩვენებთ, რა არის ძალა. ყუმბარებისა და კარტეჩის ჭექა-ქუხილში, ტყვიამფრქვევთა ბათქაბუთქში დაიჭექებს ჩვენი ხმა. თქვენს მეამბოხეებს ნაცარტუტად ვაქცევთ ჩვენი ქუსლებით. გავისეირნებთ თქვენს სხეულებზე. აქ ბატონები ჩვენა ვართ: სამყარო ჩვენია და ჩვენადვე დარჩება. რაც შეეხება იმათ, ვინც შრომობს, — მათი ადგილი ლაფშია. ასე იყო საუკუნეების განმავლობაში და ასევე დარჩება; ვიდრე ძალაუფლება მე და ჩემისთანებს ეკუთვნის — თქვენ ლაფში ისხდებით“.

ორმოცდახუთი ფუტის სიგრძის კეჩით შეიდწლიანი მოგზაურობა სამყაროს ირგვლივ? „რკინის ქუსლი“ ისეთი გაქანების მოვლენაა, რომელთან შედარებით „სნარკით“ განზრახული მოგზაურობა სან-ფრანცისკოს ყურეს ბორნით გადაცურვას თუ შეიძლება შევადაროთ. ამ წიგნის წერის პროცესში ჯეკისათვის ცხადი იყო, რომ შეძლებულ ხელისუფალთა ულმობელ გულისწყრომას დაიმსახურებდა; წერდა და კარგად ესმოდა, რომ ზიანი მოუვიდოდა მის კარიერას, რომ „რკინის ქუსლს“ შეუძლია ავნოს წინანდელ ნაწარმოებებს და დაღუპოს ისინიც, რომელნიც ჯერ არ დაუწერია. იგი წერდა იმის სრული შეგნებით, რომ შესაძლოა მაკმილანი იძულებული გახდეს

უარი განაცხადოს მის გამოქვეყნებაზე, რომ ვერც ერთი ჟურნალი ვერ გაბედავს მის ნაწილ-ნაწილად დაბეჭდვას და, რომ შეიძლება მასზე გაწეული შრომის გასამრჯელოდ იმდენიც ვერ მიიღოს, რამდენიც საჭმელ-სასმელში დაიხარჯა, როცა წერდა. ეს იყო დიდი გაბედულება, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ მის ფინანსურ მდგომარეობას „სნარკის“ აგებასთან დაკავშირებით. თავისსავე ბრძანებიდან გადაუხვეველად: „ნუ დაზოგავთ საახსრებს, რათა იახტა ამტანი და გამძლე იყოს“,—ჯეკმა გემბანისათვის შეუკვეთა ყველაზე უფრო ძვირად ღირებული პიუჯეტსაუნდის ფიცრები, რომ შემოფიცრულს ჟონვა არ დაეწყო; ნავი ოთხ ჰერმეტულ ნაკვეთურად გაჰყო: სადაც არ უნდა დაეწყო გემს ჟონვა, წყალს შეიძლებოდა მხოლოდ ერთ ნაკვეთურში შეეღწია. ნიუ-იორკში ქაცი გაგზავნა სამოცდაათცხენისძალიანი ძვირფასი ძრავას ჩამოსატანად; შეიძინა ჩინებული ბრაშპილი და ღუზის ასაწევად სპეციალური გადამცემი შეუკვეთა. მოაწყო ზღაპრული სააბაზანო ოთახი — სპეციალური, გონებამახვილურად ჩაფიქრებული მოწყობილობებით, ტუმბოებით, ბერკეტებითა და სარქველებით ზღვის წყლისათვის; შეიძინა ნიჩბიანი კარჭაპი, შემდეგ კი პატარა ძრავა. „სნარკის“ ცხვირი ისე ააგო, რომ მას ვერც ერთი ტალღა ვერ გადაუვლიდა. მართალია, ეს მეტად ძვირი დაუჯდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ასეთი ლამაზი ცხვირი მას არც ერთ გემზე არ ენახა. ინტერვიუს მისაღებად გამოგზავნილი რეპორტიორები წერდნენ, საკმარისია ნაოსნობაზე ჩამოაგდოთ ლაპარაკი, რომ იგი მაშინვე ბავშვად იქცევაო; ახალი სათამაშო იშოვა და მისი თამაშით სურს გული ბოლომდე იჯეროსო.

შუა ზაფხულში ჯეკმა აღმოაჩინა, რომ „სნარკზე“ უკვე ათი ათასი დოლარი დახარჯა, გემი კი სანახევროდაც არ იყო აგებული. ამ ათი ათასმა უკანასკნელ დოლარამდე შთანთქა ყველაფერი, რაც კი გააჩნდა. საავტორო ანარიცხები და მაკმილანისა და ინგლისური გამომცემლობებისაგან მიღებული ავანსებიც; ოთხასი დოლარი, რომელიც მაკ-კლურისაგან მიიღო მოთხრობისათვის „სიცოცხლის სიყვარული“, ჰონორარი იმ მოთხრობებისათვის, რომელნიც „ადამამდეს“ დასრულების შემდეგ დაწერა. ამას გარდა, იგი არჩენდა ფლორას, ჯონი მილერს და ძიძა ჯენის, რომელნიც ფლორასათვის

აგებულ სახლში ცხოვრობდნენ; ბესისა და ქალიშვილებს, რომელნიც ბესისათვის აგებულ სახლში იმყოფებოდნენ; ჩარმიანს, როსკოეიმსს, ნაწილობრივ, ნინეტა ეიმსსა და ედუარდ პეინს უეიკ როჩინში; ამას გარდა, რანჩოში მუშაობდა ათისთავი მუშებით, რომელნიც რგავდნენ, ასუფთავებდნენ, იძენდნენ ინვენტარსა და მასალებს.

გამომცემლები, რომელთაც ჯეკმა თებერვალში მღელვარებით აღსავსე წერილები დაუგზავნა, გულცივად შეხვდნენ მის თხოვნას „სნარკით“ ნაოსნობის შესახებ კორესპონდენციების ანგარიშში ავანსის მიცემაზე. ფულის შოვნა, ყველას უზრუნველყოფა სიის მიხედვით — კმაყოფაზე მყოფი თოთხმეტი ნათესავისა და რანჩოში მომუშავე მუშების — და ამასთანავე ჯამაგირის გაცემა იმ მუშებისათვის, რომელნიც „სნარკზე“ მუშაობდნენ! ფულის შოვნის მთელი ეს პროცესი ცნობილი გახდა, როგორც „ლონდონის ყოველთვიური სასწაული“. საღი გონება კარნახობდა: თავი დაანებე „სნარკს“, ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც, შენ ხომ არ ძალგიძს ანგარიშების განაღდება. ანდა, თუ მაინც და მაინც გინდა კვლავაც გადაყარო ფული „სნარკში“, ხელი აიღე „რკინის ქუსლზე“. კომპრომისი? არა, ეს მას არ სჩვევია. დილდილობით ქაღალდზე იღვრებოდა „რკინის ქუსლის“ მგზნებარებით აღსავსე სტრიქონები — ათასი სიტყვა ყოველ დილით. ხოლო დღის მეორე ნახევარში, კვირაობითა და დღესასწაულის დღეებში წერდა მოთხრობებს, სტატიებს, ნარკვევებს — რაგინდარას, ოღონდ კი ეშოვა ასეულები, რომელთაც ნთქავდა „სნარკი“. ჟურნალმა „კოსმოპოლიტმა“ შეიძინა სტატიების მთელი სერია იმ დღეების შესახებ, როცა იგი მაწანწალად დახეტიალობდა „გზებზე“. მანვე დამატებით ათასი დოლარი გამოგზავნა იმ სტატიის ანგარიშში, რომელიც ჯეკს უნდა დაეწერა მანამდე, ვიდრე „სნარკი“ გაემგზავრებოდა: ეტყობა, „კოსმოპოლიტს“ მეტად ეეჭვებოდა, შეძლებდა თუ არა ორმოცდახუთფუტიანი იახტა ოდესმე მიეღწია თუნდაც უახლოეს ნავსადგურამდე.

1 ოქტომბრისათვის — ეს იყო ზღვაზე გასვლის ნავარაუდევი თარიღი — „სნარკმა“ უკვე შთანთქა თხუთმეტი ათასი დოლარი და ჯერ მხოლოდ სანახევროდ იყო დამთავრებული. ჯეკმა „სნარკის“

აგებაში ჩაყარა ის ორი ათასი დოლარიც, რომელიც მიიღო ჟურნალისაგან „ყველასათვის“ მოთხრობის „ადამამდე“-ს ნაწილ-ნაწილ-ლად გამოცემაში; ორი ათასი, რომელიც „კოსმოპოლიტმა“ გადმოგზავნა; ორი—„ქალთა საოჯახო თანამგზავრისაგან“ მიღებული ავანსი სტატიისათვის ადგილობრივ მცხოვრებთა საოჯახო ყოფის შესახებ და კიდევ ორიც—რიგი მოთხრობებისათვის ალასკაზე. მიუხედავად ამისა, ცხადი გახდა, რომ თუ განზრახული აქვს განაგრძოს სამუშაოები კეჩზე, საჭირო იქნება ხესხის აღება ფლორასათვის ნაყიდი სახლის დაგირავებით. ამავე დროს, როგორც იქნა, თვითონვე მიხვდა, რომ ტრაგიკული შეცდომა დაუშვა როსკო ეიმსის დაქირავებით. ეიმსი ჭირვეული და უნიჭო ორგანიზატორი იყო, ვერ შეძლო ხელქვეითებისაგან მოეთხოვა სიბეჯითე და ისინიც ხან მუშაობდნენ, ხან არა; ყბედი და ახირებული სამმაგ ფასებში ყიდულობდა აღკაზმულობას; იძენდა მასალებს, რომელნიც საჭირო არ იყო, ჩეკებს ისეთი აღკაზმულობის შესაძენად არიგებდა, რომელთა გაკეთებასაც არავინ ფიქრობდა. თავისი თავისადმი დაუცხრომლად მომთხოვნი ჯეკი, რომელიც ძირფესვიანად სწავლობდა ცოდნის ყოველ დარგს, კვლევა-ძიებათა ყოველ სფეროს, ვიდრე მასზე წერას დაიწყებდა, არც კი ფიქრობდა, რომ ასეთივე მოთხოვნის წაყენება იყო საჭირო მასთან მომუშავე ადამიანებისადმი, და სასურველს სინამდვილედ იღებდა.

მდგომარეობა კიდევ იმით გართულდა, რომ „კოსმოპოლიტმა“, რომლისგანაც ძლივძლივობით ამოქაჩა ავანსი—ათასი დოლარი, ახლა მთელი გვერდი ააჭრელა განცხადებებით, რომ იგი ჯეკ ლონდონს „სნარკით“ დედამიწის ირგვლივ სამოგზაუროდ ერთადერთი მიზნით აგზავნის — წეროს მოთხრობები ჟურნალისათვის. „ყველგან სამმაგად ითხოვენ, ყველაფერს აწეულ ფასებში მახვევენ თავზე, უარს მეუბნებიან წინასწარ შეთანხმებულ ფასზე და ყველაფერი ეს იმ მოსაზრებით ხდება, თითქოს მე საკუთარ ფულს კი არ ვხარჯავ, არამედ მდიდარი ჟურნალისას“.

ჟურნალის ცრუ განცხადებებმა ჯეკს ორმაგი ზიანი მიაყენა: მათ სხვაგვარად წარმოადგინეს მოგზაურობა, ასე რომ, ჯეკი ახლა გამოიყურებოდა, როგორც ჟურნალის დაქირავებული რიგითი თანამშრომელი და არა თავგადასავლების მაძებარი. „კოსმო-

პოლიტი“ ამასაც არ დაჯერდა და დაამახინჯა პირველი სტატია „სნარკის“ შესახებ. ჯეკი გრძნობდა, რომ პატიოსნად არ ექცეოდნენ. ასეთ შემთხვევებში ის მუდამ ჩინებულ ფორმაში იყო — „კოსმოპოლიტის“ რედაქციას მრისხანე წერილით მიმართა: „თქვენ მე საზიზღრად მექცევით. ჩემს პრაქტიკაში ესაა პირველი კონფლიქტი ჟურნალთან და, ვიმედოვნებ, უკანასკნელიც; მაგრამ ვინაიდან ის აღმოცენდა, დათმობაზე წასვლას არ ვაპირებ: ან ერთად ვიმუშაოთ, ან — არა. სინდისქვეშ რომ გითხრათ, მე ურთიერთობის გაწყვეტას ვარჩევდი, რაკი თქვენ არ შეგიძლიათ სინდისიერად და სამართლიანად მომექცეთ და ეს საკუთარ თავსვე დააბრალეთ. მე შებრალებას არა გთხოვთ, მაგრამ ნურც ჩემგან ელით დანდობას. თქვენ გსურთ იცოდეთ, როდის გამოვგზავნი მორიგ სტატიას? სანამ რაღაც-რაღაცეებს არ გამოვარკვევ, ამას ვერ გაიგებთ. საშინელი სამსჯავროს დღე უფრო მალე მოვა, ვიდრე მეორე სტატია. მოთხრობის ქარგას მე ვთხზავ; მისი დაქუცმაცების უფლება არა გაქვთ. და, საერთოდ, ეშმაკსაც კი წაუღიხართ, ვინა ხართ თქვენ? რა უფლების ძალით მიეცით თავს ნება, შეასწოროთ ჩემი ნამუშევარი? როგორც ეტყობა, გადაწყვიტეთ, ვითომც ჩემს ნაწარმოებებში იმისთვის ვაქსოვდე გულს, მწერალ-პროფესიონალის გაწვრთნილ გულს, რომ იგი დასაფლეთად გადასცეთ გაზეთების მეპატრონეთა გემოვნების საამებლად: კატეგორიულად და გადაჭრით ვამბობ უარს ვისთანაც არ უნდა იყოს, ვითანამშრომლო თქვენს დაწესებულებაში!“

უზომო ხარჯებზე უფრო საწყენი ის იყო, რომ დაწყებულ საქმეს ბოლო აღარ ეღებოდა. „სნარკის“ ჩაბარება 1 ნოემბრისათვის იყო დათქმული, მერე—15-სათვის, ხოლო შემდეგ—1 დეკემბრისათვის.

უკიდურესობამდე მიყვანილი ჯეკი ოკლენდში გადასახლდა, როსკო შინ დააბრუნა ნავიგაციის საქმის შესასწავლად, გემის დასამთავრებელი სამუშაოების ხელმძღვანელობა კი თავის თავზე აიღო. მან თოთხმეტი მუშა მოიწვია, რომელთაც თავბრუდამხვევი სიდიდის ჯამაგირი დაუნიშნა და, თანაც, საქმის დაჩქარებისათვის, პრემიასაც შეპირდა — თითო დოლარს დღეში. ამის განსახორციელებლად საჭირო შეიქნა ჰილის რანჩოს დაგირავება. კოლოსალური ხარ-

ჯების მიუხედავად, 15 დეკემბერს იგი მიხვდა, რომ „სნარკის“ დამთავრებას ისევ და ისევ დიდი დრო სჭირდებოდა. ისევ გადაინაცვლა გამგზავრების თარიღმა.

გაზეთებმა პატარა სატირული ლექსებით დაცინვები დაიწყეს ზოზინა ხელოსან მისტერ ლონდონის მისამართით. მთლად არეულს იმით, რომ „კოსმოპოლიტმა“ ჭკუაში აჯობა, როცა პირველმა დაბეჭდა სტატია „სნარკის“ შესახებ, ახლა „ქალთა საოჯახო თანამგზავრმაც“ მოსთხოვა ადგილობრივ მცხოვრებთა ყოფის შესახებ სტატიის წარმოდგენა მანამდე, ვიდრე ჯეკი ჯერ კიდევ აქ, სან-ფრანცისკოში იმყოფებოდა. მეგობრები სანაძლეოს დებდნენ მისი გამგზავრების თარიღის შესახებ.

პირველი სანაძლეო მოიგო ათისთავმა ჰილის რანჩოდან და „სნარკში“ დაბანდებულ ოცი ათას დოლარზე ამ თანხის დამატებაც მოუხდა. ეს მოხდა 1907 წლის 1 იანვარს. „ამის შემდეგ სანაძლეოები გრიგალისებური ცეცხლით დამატყდა თავზე. მეგობრები მძარცველი ყაჩაღებივით შემომერტყნენ. საკმარისი იყო თარიღი დამესახელებინა, რომ მაშინვე საწინააღმდეგო სანაძლეოს მთავაზობდნენ. მეც ვენიძლავებოდი, ვკამათობდი გაუთავებლად და თან ყველას ვუხდიდი“.

„სნარკით“ მოგზაურობის შესახებ გაზეთებმა და ჟურნალებმა ისეთი აურზაური ასტეხეს, რომ ჯეკს ქვეყნის ყოველი მხრიდან ათასობით წერილი მოსდიოდა თხოვნით, თან წაეყვანა სამოგზაუროდ. მათგან ოთხმოცდაათი პროცენტი მზად იყო ყოველგვარი სამუშაოს შესასრულებლად; ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი გასამრჯელოსაც არ ითხოვდა. „უამრავი ექიმი — სახმელეთო და საზღვაო — თანახმა იყო უხელფასოდ ემუშავა. ვინ გნებავთ, რომ აქ არ ყოფილიყო! რეპორტიორები, კბილის ექიმები, კამერდინერები, მზარეულები, მხატვარ-ილუსტრატორები, მდივნები, ინჟინერ-მშენებლები, მექანიკოსები, ელექტრიკოსები, სამსახურიდან გადამდგარი საზღვაო კაპიტნები, სკოლის მასწავლებელი ქალები, სტუდენტები, ფერმერები, დიასახლისები, მატროსები და გემსართავების ოსტატები“. ჯეკმა მხოლოდ ერთი თხოვნის მიმართ ვერ შეიკავა თავი. ეს იყო შვიდგვერდიანი წერილი, რომელიც გამოუგზავნა გამოუცდელმა ყმაწვილმა, ვინმე მარტინ ჯონ-

სონმა, კანზას-ტოპიკის შტატის დედაქალაქიდან. „მ ზ ა რ ე უ ლ ო-ბ ა თ უ შ ე გ ი ძ ლ ი ა თ?“ — უდეპეშა ჯეკმა. „ო ლ ო ნ დ ა ც გ ა-მ ო მ ც ა დ ე თ“, — უპასუხა მარტინ ჯონსონმა და ტოპიკის ბერძ-ნული სასადილოს სამზარეულოსაკენ მოკურცხლა სამუშაოს საძო-ებელად. იანვარში აფრიკის მომავალი მკვლევარი უკვე ოკლენდში იყო „სნარკზე“ სამოგზაუროდ გამზადებული. მხოლოდ „სნარკი“ ჯერ კიდევ არ იყო მზად. ვინაიდან ჯეკი ყოველთვის თვლიდა, რომ მის მუშაკებს უთუოდ კარგი გასამრჯელო უნდა ჰქონოდათ, სიას კიდევ ერთი მიემატა — მარტინ ჯონსონის ჯამაგირი.

მართალია, ჯეკი დარწმუნდა, რომ როსკო არაფერში არ ვარ-გოდა, მაგრამ იგი მაინც არ დაითხოვა, მრავალრიცხოვანი შესაძ-ლებლობიდან არც ერთით არ ისარგებლა, რათა იახტის კაპიტნად საქმის მცოდნე ოსტატი აეყვანა; თითოეულ მათგანთან ხომ შეეძ-ლო შეთანხმებულიყო იმავე ას დოლარზე თვეში, რომლის დანიშვნასაც აპირებდა როსკო ეიმსისათვის. არ აიყვანა არც ერთი პირველი კლასის მეზღვაური, რომელნიც თანახმა იყვნენ თუნდაც უხელფასოდ ემუშავათ „სნარკზე“. ამის ნაცვლად ერთადერთ მე-მანქანედ და მატროსად დაიქირავა სტანფორდის უნივერსიტეტის სტუდენტი, ახოვანი და ხათრიანი ყმაწვილი ჰერბერტ სტოლცი. ეკი-პაჟის შემადგენლობამ ასეთი სახე მიიღო: ჯეკი, ჩარმიანი, როსკო ეიმსი, მარტინ ჯონსონი, ჰერბერტ სტოლცი და იაპონელი იუნგა ტოჩიგი; ჯეკის გარდა, არც ერთმა მათგანმა არ იცოდა აფრების აწევა ანდა ლუზის აშვება.

„რკინის ქუსლის“ დამთავრების შემდეგ, ჯეკმა პირველი ორი თავი წაიკითხა რიოსკინის კლუბში. ოკლენდის ერთმა გაზეთმა ამის შესახებ აღნიშნა, რომ იგი ყოველთვის ოკლენდს იყენებს თავისი სოციალისტური იდეების საცდელ ქვად, რადგან იცის—თუ ეს იდე-ები აქ გავიდა, მერე ყველგან გავა. შემდეგ ჯეკმა ხელნაწერი ბრეტს გაუგზავნა. ბრეტმა იწინასწარმეტყველა, რომ ამ ნაწარმოებს გაზეთე-ბი ან დუმილით აუვლიან გვერდს, ან თავს დაესხმიან ავტორსა და გამომცემელს. ამავე დროს აღიარებს, რომ ნაწარმოები კარგია და თანახმაა შედეგების გაუთვალისწინებლად დაბეჭდოს. ეს დიდი გა-ბედვა იყო. ოღონდ იგი სთხოვდა ჯეკს, ამოეღო სქოლიოში ჩამო-ტანილი შენიშვნა, რომლის გამო, როგორც ბრეტი თვლიდა, ორი-

ვეს ციხეში ამოაყოფინებდნენ თავს სასამართლოს შეურაცხყოფისათვის. ამაზე ჯეკმა უპასუხა: „თუკი მე ბრალს დამდებენ სასამართლოს უპატივცემულობაში, სულითა და გულით მოხარული ვიქნები, ექვსი თვე ჩავჯდე ციხეში. ამ ხნის განმავლობაში შეიძლება ორიოდე ნაწარმოების დაწერა და კითხვითაც გულის მოჯერება“.

დიახ, მას მართლაც მნიშვნელოვანი საფუძველი ჰქონდა მონატრებოდა საპყრობილის მშვიდი და მყუდრო ცხოვრება. „სნარკმა“ იგი ნამდვილ სიგიჟემდე მიიყვანა. თებერვალში, ერთი წლის თავზე მას შემდეგ, რაც გამომცემლობათა რედაქტორებს ენთუზიაზმით აღსავსე წერილები დაუგზავნა, „სნარკი“ აგების სტადიაში დიდ ხნის ყოფნის გამო, უფრო ჩქარა ინგრეოდა, ვიდრე შეკეთებას ასწრებდნენ. იახტა ფარსად, ლონდონისეულ ახირებულებად გადაიქცა. გაზეთები აშკარად დასცინოდნენ. გემს არავინ სერიოზულ საქმედ არ თვლიდა, მით უმეტეს მისი მშენებლები. „სნარკის“ დასათვალიერებლად მრავლად მოდიოდნენ ძველი, გამოცდილი მეზღვაურები, საზღვაო საქმის ოსტატები, რომლებიც თავის ქნევით სტოვებდნენ მას და ყოველგვარ უბედურებას უწინასწარმეტყველებდნენ. მეზღვაურები ამბობდნენ, „სნარკი“ ცუდადაა დაგეგმილი, კიდევ უფრო ცუდად აღკაზმული და ღია ზღვაში ჩაიძირებაო. სანაძლეოს სდებდნენ, იგი ვერასდროს ვერ მიაღწევს ჰავაიმდე. კორეელმა ბიჭმა მანიუნგმა, რომელიც სამი წელი კეთილსინდისიერად ემსახურა თავის „პატრონს“, აიძულა ჯეკი მისთვის ანგარიში გაესწორებინა; განგებ მიმართა ჯეკს სულელური კითხვით: „ღმერთს ყავა მივართვა?“ იგი დარწმუნებული იყო, რომ, სულერთია, ჰავაიზე მაინც ვერ მოხვდებოდა. იახტის ირგვლივ დღე და ღამე თავს იყრიდნენ ცნობისმოყვარეები, იკრიჭებოდნენ უსაქმოდ მოხეტიალენი...

დარწმუნებულმა, რომ „მდგომარეობა ხელს არ უწყობს“, რომ სან-ფრანცისკოში იახტის მშენებლობას ვერასოდეს ვერ დაამთავრებს, ჯეკმა გადაწყვიტა მისი ჰონოლულუში გადაყვანა იმ სახით, როგორც იყო, და მშენებლობის იქ დამთავრება. ვერც კი მოასწრო ამ გადაწყვეტილების მიღება, რომ „სნარკმა“ ყონვა დაიწყო. ამის ლიკვიდაციას რამდენიმე დღე დასჭირდა. ბოლოს, როცა შესაძლებელი გახდა მისი ძელებზე შეყენება წყალში ჩასაშვებად, გზაში

ორ კარჭაპს შუა გაიჩხირა და გვერდები მნიშვნელოვნად დაუზიანდა. მუშებმა იგი ძელებამდე მაინც მიიყვანეს და შეუდგნენ წყალში ჩაშვებას, მაგრამ ძელები გაიშალა, „სნარკი“ კიჩოზე გადაწვა და ზღარბანი მოადინა შლამიან ტალახში. ორთქლის ორი ბუქსირი მთელი კვირის განმავლობაში ყოველდღე, დილისა და საღამოს მოქცევათა ხელშეწყობით, ეწეოდა და ექაჩებოდა „სნარკს“, რათა იგი შლამიდან ამოეთრიათ. როცა ჯეკმა მისაშველებლად ბრაშპილი აამუშავა, სპეციალურად დამზადებული გადამცემები ნამსხვრევებად იქცა, ბარაბნები—ნაცარტუტად, ხოლო ბრაშპილი სამუდამოდ გამოვიდა მწყობრიდან. სასოწარკვეთილმა ჯეკმა ჩართო ნაქები სამოცდაათცხენისძალიანი მოტორი, რომელმაც გახეთქა ნიუ-იორკიდან ჩამოტანილი თუჯის დგანი, ყალუზე დადგა, დაამსხვრია ყველა ჭანჭიკი და სამაგრი და, უკვე ყოვლად უსარგებლო, გვერდზე გადაწვა.

ამ დროისათვის გემის აგებაზე უკვე დახარჯული იყო ოცდანუთი ათასი დოლარი. უახლოესი მეგობრები ცდილობდნენ ჯეკისათვის ჩაეგონებინათ, რომ იგი დამარცხდა, რომ უმჯობესია ჭიატოვოს „სნარკი“ იქვე, სადაც დგას, და უარი თქვას ნაოსნობაზე. მას არწმუნებდნენ, რომ ზღვაში ამდაგვარი გემით გასვლა, რასაკვირველია, თუ ჯეკი საერთოდ შეძლებდა მასზე გამგზავრებას, იგივე თვითმკვლელობა იყო. პასუხად ჯეკმა შესძახა: „მე უკან ვერ დავიხევ!“

ყოველდღე ბორგავდა დაუდევარი მუშების, დაწუნებული მასალისა და მომწოდებელთა გამო, რომელნიც დაჟინებით გულს უწყალებდნენ ანგარიშებით; გაზეთების გამო, რომლებიც მოურიდებლად დასცინოდნენ. ახლა რომ თავი დამარცხებულად ეღიარებინა, საქვეყნოდ დაცინვის საგანი გახდებოდა. ასეთ შერცხვენას კი ვერასოდეს გადაიტანს! იგი სიტყვის კაცია. დაე, ეს იყოს უკანასკნელი, რაც მას დარჩენია გასაკეთებელი, მაგრამ გემს მაინც წაიყვანს ჰავაის კუნძულებისაკენ. უმჯობესია გმირის სიკვდილით დაიღუპოს წყნარი ოკეანის ღრმა წყლებში, ვიდრე ითმინოს დაცინვები ვაჭრებისა და მუშებისაგან, რომლებმაც იგი გაჰყვლიფეს; გაზეთებისაგან, რომლებმაც იგი დაცინვის საგნად გადააქციეს; უსაქმურ მეგობართა ბრბოსაგან, რომელიც მას ღიმილით გიჟს უწოდებდა და რომელთა გავლენით ხალხი ნიძლავს დებდა — ჯეკი ვერასოდეს იხილავსო ჰონოლულუს, და ამ დროს კამათის მსურველნიც კი არ

ჩანდნენ! „ილაჯგაწყვეტილებმა, ოფლად დაღვრილებმა, ჩამოვათრიეთ „სნარკი“ დამახინჯებული ძელებიდან და ოკლენდის ქალაქის ნავმისადგომში დავაყენეთ. შინიდან საზიდრებით მოვზიდეთ აღჭურვილობა: წიგნები, საბნები, პირადი ბარგი. ამათთან ერთად გემბანზე უწესრიგო ნაკადად მოედინებოდა: შეშა და ნახშირი, მტკნარი წყალი და ავზები, ბოსტნეული, სანოვაგე, საპოხი ზეთი, მეშველი კანჯო და მოტორიანი ნავი, ყველა ჩვენი მეგობარი, ეკიპაჟის მეგობრებისა და ზოგიერთი მათი მეგობრის ჩაუთვლელად. ამათ გარდა, იყვნენ რეპორტიორებიც და ფოტოგრაფებიც, უცნობებიც და გულშემატკივრებიც. ყველაფერი ეს ნახშირის მტვრის ღრუბლებში იყო გახვეული“.

როგორც იქნა, ხანგრძლივი, მძიმე და გულისგამაწყალებელი შრომა დამთავრდა და გამგზავრება დაინიშნა 1907 წლის 2 აპრილს, შაბათს. შაბათ დილით ჯეკი ჩეკის წიგნაკით, ავტოკალმითა და საშრობით ხელში გემბანზე ავიდა. ხელზე ჰქონდა თითქმის ორი ათასი დოლარი — ყველაფერი, რისი გამორთმევაც შესძლო ავანსის სახით მაკმილანისა და ჟურნალებისაგან, და საბოლოო ანგარიშის გასასწორებლად ლოდინი დაუწყო ას თხუთმეტი მომწოდებელი ფირმის წარმომადგენლებს, მათ ხომ — ეს უკვე ცხადი იყო — ასე დიდი ხნით დააგვიანეს იგი. მაგრამ ფულის მისაღებად მოსულ მომწოდებელთა ნაცვლად, „სნარკზე“ გამოცხადდა სასამართლოს აღმასრულებელი და ანძაზე მიაკრა უწყება. იგი იუწყებოდა, იახტა ჩამოერთმევა, თუ ჯეკი ვალს არ გადაუხდის ვინმე სელარსს, რომლისაც ორას ოცდათორმეტი დოლარი ემართა. „სნარკი“ დაპატიმრებული იქნა, ჯეკს მისი ადგილიდან დაძვრის უფლება არ ჰქონდა. იგი გიჟივით დარბოდა ქალაქში, ცდილობდა ეპოვა თავისი კრედიტორები, შერიფი, მერი, ყველაფერზე მზად იყო, ოღონდ კი თავი დაეღწია შექმნილი მდგომარეობიდან. ამაოდ: კვირა დღე იყო და ყველანი ქალაქიდან გასულიყვნენ.

ორშაბათ დილით იგი ისევ „სნარკის“ ბაქანზე იჯდა და სიბრაზისაგან დაბრმავებული, გაცოფებული, რომ მთელი მისი გეგმები ინგრეოდა, მარჯვნივ და მარცხნივ ურიგებდა კრედიტორებს ბანკნოტებს, ოქროსა და ჩეკებს. იმის თავიც აღარ ჰქონდა, შეემოწმებინა, სწორად იყო თუ არა შედგენილი ანგარიშები, დარწმუ-

ნებულიყო, კიდევ აქვს თუ არა ვალი, ხომ არ გადაიხადა იგი უკვე ამა თუ იმ ანგარიშით. ყველაფრის შეკამების შემდეგ გამოარკვია, რომ „სნარკი“, რომლის მძლავრი ძრავა ბორტზე იყო მიბმული, როგორც ბალასტი, ძალური გადაცემა გამოყვანილი იყო მწყობრიდან, მეშველ კანჯოში წყალი შედიოდა, ხოლო მოტორიანი ნავი ადგილიდან არ იძვროდა, — სწორედ ეს, საღებავაქერცლილი „სნარკი“ ოცდაათი ათასი დოლარი დაუჯდა.

გაძარცულმა, გამასხარავებულმა, გამოტირებულმა, ამხანაგებისაგან ბედის ანაბარად მიტოვებულმა, როგორც ღიმედო იდიოტ-რომანტიკოსმა, ჯეკმა ანძაზე აღმართა კალიფორნიის ფეხბურთის გუნდის სვიტერი, ჯიმი ჰოპერის საკუთრება, და ღუზა ხელით ამოსწია. ხოლო შემდეგ შტურმანთან, მართვა რომ არ შეეძლო, მემანქანესთან, რომელსაც მანქანების არაფერი არ გაეგებოდა და მზარეულთან, რომელმაც არც ერთი კერძის გაკეთება არ იცოდა, ერთად „სნარკი “ძლიეძლივობით დაეშვა ქვევით, შეაართავის გასწვრივ, გადასცურა ყურე და „ოქროს კარიბჭის“ სრუტის გავლით წყნარ ოკეანეში გავიდა.

ჯეკი არ იყო პრაქტიკული კაცი — აი, მისი წარუმატებლობის თავი და ბოლო, მაგრამ ყოველივე ეს ასე ძვირად არ დაუჯდებოდა, თუ არა გარემომცველთა გაიძვერობა და სიხარბე. წინა ბიმსები, რომელთაგან თითოეული შეიდნახევარი დოლარი დაუჯდა, და რომელნიც მუხისაგან უნდა ყოფილიყო გაკეთებული, ახლოდან დათვალიერების დროს ნაძვისა აღმოჩნდა; მათი მაქსიმალური ფასი მხოლოდ ორნახევარ დოლარს შეადგენდა. პიუჯეტ-საუნდიდან ჩამოტანილი განსაკუთრებული ფიცრები დაიშალა და გემბანმა ისე ძლიერ დაიწყო ყონვა, რომ წყალმა გაავსო ბუნკერები, სამანქანო განყოფილებაში გააფუჭა ინსტრუმენტები და დაღუპა სურსათის მთელი მარაგი კამბუზში. ყონავდა „სნარკის“ ბორტებიდან და ფსკერშიც, შემდეგ ყონვა დაიწყო ერთ-ერთი ძვირადღირებული ჰერმეტული ნაკვეთურიდან მეორეში. მათ შორის იქაც კი, სადაც საწვავი ინახებოდა. ლითონის ნაწილები ხელში იშლებოდა, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც ტაკელაჟსა და რანჰოუტს მოხმარდა. მომაჯადოებელ საბაზანო ოთახში პირველ დღეებშივე მწყობრიდან გამოვიდა მახვილგონიერული ონკანები, ჭნოპები და ბერკეტები.

სანოვაგის შემოწმებისას ჯეკი დარწმუნდა, რომ ფორთოხლები მოყინულიყო, ვაშლი და კომბოსტო, რომელიც ნაოსნობის უფრო ადრეული თარიღისათვის იყო მოტანილი, ლპებოდა და, მეტი გზა არ იყო, უნდა გადაეყარათ. სტაფილოზე ვიღაცას ნავთი გადასხმოდა, ჭარხალი ხესავით მაგარი აღმოჩნდა, სახამებელ საწვავს ცეცხლი არ ეკიდებოდა, კარტოფილს დამპალი ტომრებიდან ნახშირი ცვივოდა და წყალს იგი შპიგატიდან ზღვაში გაჰქონდა.

ნაოსნობის დაწყებიდან რამდენიმე დღე გავიდა, ვიდრე ჯეკმა აღმოაჩინა, რომ მთელი ამ თვეების განმავლობაში როსკო ეიმსს ნავიგაციისა ვერაფერი ვერ შეესწავლა, თუმცა ფულს ყოველთვის წესიერად იღებდა; რომ მას არ შეეძლო გემის მდგომარეობის განსაზღვრა; რომ საცერივით დაცხრილული „სნარკი“ ბედის ანაბარა აღმოჩნდა სადღაც წყნარ ოკეანეში. ჯეკმა ამოქექა ნავიგაციის წიგნები, გულდასმით შეისწავლა ისინი, შემდეგ ჩაკრული ნახაზები ამოიხაზა და სექტანტით მზის სიმაღლე განსაზღვრა. „ასტრონომებისა და მათემატიკოსების წყალობით, გემის მართვა მზის, მთვარისა და ვარსკვლავების ორიენტაციით ბავშვური გართობაა. ერთხელ მთელი დღე ვიჯექი კუბრიკში და ცალი თვალით გემი მიმყავდა კურსზე, მეორეთი ლოგარითმებს ჩავკირკიტებდი. ორი დღის განმავლობაში ზედიზედ ორ-ორი საათი ვსწავლობდი გემის მართვას და, განსაკუთრებით, ზენიტში მზის სიმაღლის გაზომვის პროცესს. შემდეგ ავიღე სექტანტი, გამოვთვალე ცდომილება და გავზომე მზის სიმაღლე. თუ ვამაყობ? მერედა როგორ! სასწაულებს ვახდენდი. ყურს ვუგდებდი ვარსკვლავების საუბარს და ისინი მეხმარებოდნენ ზღვის გზასავალზე“.

ბობოქარ წყლებში შევიდნენ. ზღვის ავადმყოფობის მწვავე შეტევამ ლოგინს მიაკრა მარტინ ჯონსონი და იუნგა ტოჩიგი. ჯეკი ახლა სხვა მოვალეობასთან ერთად იძულებული იყო მუხლებამდე წყალში მდგარიყო კამბუზში და ამაოდ ცდილიყო რაიმე ცხელი საჭმლის შეთითხნას. ჩარმიანი კი, არა მარტო თავის ჯერს მორიგეობდა საჭესთან, არამედ ორჯერ ოთხსაათიანი მორიგეობაც ჩაატარა და გემი აღებული კურსით წაიყვანა შავ აქაფებულ ტალღებში, მაშინ, როცა ხუთ მამაკაცს მშვიდად ეძინა. როსკო კი, რომელმაც გემი განსაკუთრებულად კალორიული კონსერვებით დატვირთა და რომლე-

ეიც ასობით დოლარი დაუჯდა — რასაკვირველია, არა საკუთარი — იჯდა თავის კაიუტაში და ამ კალორიებს ნთქავდა. ჯეკის შეკითხვაზე, რატომ არ შეიძლება, რომ გემბანი გარეცხოს და, საერთოდ, შეეცადოს დაიცვას სისუფთავე. როსკომ განაცხადა, არ შემიძლია მუშაობა, რადგან ვიტანჯებიო... კუჭის შეკრულობით.

სწორედ აქ, ჭუჭყში, განსაცდელში, არეულობაში, როდესაც მთელი სამყარო ფეხქვეშ ენგრეოდა, ამ სიტყვების სრული მნიშვნელობით, წინა სანათურის სახურავზე ჩამომჯდარი ჯეკი შეუდგა, შეიძლება ითქვას, თავისი საუკეთესო რომანის, ამერიკული ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი ნაწარმოების „მარტინ იდენის" წერას. თავდაპირველ ხელნაწერ ვარიანტში ძალიან მცირე შესწორებებია, რაც მოწმობს, როგორ რკინისებურ დისციპლინას უწესებდა იგი თავის თავს. რა გულისყურით ეძლეოდა იგი მუშაობას.. ერთი კვირის შემდეგ მზემ გამოანათა, მარტინ ჯონსონი და ტოჩიგი ჩამოცოცდნენ საწოლებიდან. კაპიტნისა და მისი ბრძანებების გარეშე დარჩენილი ჰერბერტ სტოლცი კი რაც შეეძლო თვითონ აკეთებდა ყველაფერს, რათა გემი ქარის მიმართულებით წარემართა. ჯეკი ყოველ დილას წერდა ათას სიტყვას და ჯიუტად აგრძელებდა ავტობიოგრაფიულ მოთხრობას იმის შესახებ, თუ როგორ იბრძოდა განათლებაში ხარვეზების შესავსებად, როგორ გადაიქცა სამი მოკლე წლის განმავლობაში გაუთლელი მატროსიდან კულტურულ ადამიანად და ცნობილ მწერლად. წიგნის მთავარი გმირებია თვითონ, მეიბლ ეპლგარტი მთელი თავისი ოჯახით და ჯორჯ სტერლინგი პოეტ ბრისენდენის სახით. რუფ მორზეს სახე — ასე უწოდა მწერალმა გმირ ქალს — დაწერილია დამაჯერებლად, რადგან მისი პირველსახე რეალური, ცოცხალი ადამიანი იყო. ეს ერთადერთი ქალია, რომელიც მუშათა წრეს არ ეკუთვნის და რომელიც ჯეკ ლონდონმა ბუნებრივად და დამაჯერებლად წარმოსახა. „მარტინ იდენი" ძხურვალე, მკაცრი, მეტად ცხოვრებისეული რომანია, იგი გვანცვიფრებს თავისი წინასწარმეტყველური სიძლიერით. პოეტი ბრისენდენი უმტკიცებს მარტინ იდენს, რომ საჭიროა ცხოვრება დაუკავშიროს სოციალიზმს, წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმატების ფიღწევისას დაკარგავს ყოველივეს, რაც ადამიანს ცხოვრებასთან აკავშირებს. მარტინი უარყოფს სოციალისტურ რწმენას, ამის შემ-

დეგ კი, დიდებით გულმოჯერებული, გადაწყვეტს თავი მოიკლას და ზღვაში ვარდება.

წიგნის გამოსვლიდან ორი წლის შემდეგ ქალთა კლუბმა სანხოსეში მოიწვია ლიტერატურული მიმომხილველი მაირა მაკლეი და სთხოვა განეხილა „მარტინ იდენი". გამოსვლის დროს მისის მაკლეიმ გამანადგურებლად გააკრიტიკა გმირი ქალი სიმხდალისა და სისუსტისათვის; იმისათვის, რომ დაამსხვრია, როგორც მარტინ იდენის, ისე საკუთარი ცხოვრება. საიდან უნდა სცოდნოდა მას, რომ პირველ რიგში მჯდომი ნაზი, ჩამომჭკნარი შინაბერა, რომელიც მომაკვდინებელი სევდით შეცქეროდა მას, მეიბლ ეპლგარტი იყო.

ოცდაშვიდი დღის ნაოსნობის შემდეგ გამოჩნდა ხმელეთი. ამ ხნის განმავლობაში, სხვათა შორის, გამოირკვა, რომ „სნარკის" შესანიშნავი ცხვირი, რომელშიც ჯეკმა ამდენი სიყვარული და ფული ჩააქსოვა, არათუ გამოუსადეგარი, საშიშიც კი იყო: შტორმიან ამინდში იგი ხელს უშლიდა გემს დრეიფზე დამდგარიყო. ჯეკი შეწუხდა, რომ შეცდომა დაუშვა საშტურმანო საქმეში. მისი ვარაუდით უახლოეს ხმელეთამდე კიდევ ასი მილი იყო. მალე გამოირკვა, რომ ეს იყო ხალეაკალას მწვერვალი, რომელიც ზღვის დონიდან ათი ათასი ფუტის სიმაღლეზეა აღმართული — მართლაც ასი მილის დაშორებით. ჯეკი, რომელიც ყოველთვის თავისი ფიზიკური მიღწევებით უფრო ამაყობდა, ვიდრე სულიერით. სიხარულით მეშვიდე ცაზე ავიდა — ასეთი აღმაფრენა ჯეკს მას შემდეგ არ განუცდია, რაც იაპონიის ნაპირებთან ტაიფუნის დროს „სოფი საზერლენდის" შტურვალს ეჭიდებოდა.

მეორე დილით ადრე დრეიფით შემოუარეს „ალმასის თავის" კონცხს და თვალწინ, როგორც ხელის გულზე, გადაეშალათ კუნძული ჰონოლულუ. „სნარკის" შესახვედრად გამოვიდა ჰავაის იახტ-კლუბის კატერი, რომელმაც მოუტანა გაზეთები დეპეშებით შეერთებული შტატებიდან — „სნარკი" ჩაიძირაო. იახტ-კლუბის უფროსმა გულთბილად მიულოცა მათ ჰავაის კუნძულებზე ჩამოსვლა, გაუძღვა პირლ-ჰარბორისაკენ, შინ მიიპატიჟა ცხელი აბაზანის მისაღებად და ტაროს ფესვებიდან დაყენებული ადგილობრივი კოკტეილის, „პოის" გასასინჯად. ჯეკის მეგობარმა ტომ ჰორბონმა მათ ჰილოს კუნძულზე დაუთმო კოტეჯი. ყოველ დილით ჯეკს ჩიტე-

ბის გალობა აღვიძებდა. ორი ნაბიჯი და იგი უკვე ფირუზისფერ ლაგუნაში ბანაობდა. შემდეგ საუზმობდა ხეების ქვეშ გაშლილ სუფრაზე, რომელზედაც დახვავებული იყო ალისფერი ბალბები და პრიალა მარჯნისფერი წიწაკები — ამაზე ტოჩიგი ზრუნავდა. საუზმის შემდეგ ლურჯი კიმონოთი შემოსილი ჯეკი სამუშაოდ მოლზე მოიკალათებდა იმპროვიზებულ საწერ მაგიდასთან. ნარკვევში „მიუწვდომელი და შემზარავი" იგი დეტალურად ჰყვება იმაზე, როგორ გაუჭირდა „სნარკის" აგება და წყალში ჩაშვება; ნარკვევში „თავგადასავლების წყურვილი" — იმ ათასობით წერილზე, რომელთა ავტორებს სურვილი ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ ამ თამამ ჩანაფიქრში; ნარკვევში „ბრმადმავალი ოკეანეში" — თუ როგორ დაიკარგა „სნარკი" იმის გამო, რომ როსკომ არ იცოდა გემის მართვა და როგორ შეისწავლა ჯეკმა შტურმანის საქმე. იგი უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა უსახსრობით. ნარკვევები საინტერესო გამოვიდა და ჟურნალები მათ სიამოვნებით იღებდნენ. დაწერა „კოცონი" — ტრაგიკული მოთხრობა ალასკასადმი მიძღვნილი სერიიდან.

პირველ თორმეტ დღეს, რომელიც „სნარკმა" პირლ-ჰარბორში დაჰყო, ჯეკი იახტაზე არ გამოჩენილა. მეცამეტე დღეს, მიუახლოვდა თუ არა „სნარკს" ნავით, დარწმუნდა, რომ გემბანი ერთხელაც არ მოერწყოთ შლანგით და იგი, გადაუხურავ აღკაზმულობასთან ერთად, ხმებოდა და იშლებოდა ტროპიკული მზის ქვეშ. მან ანგარიში გაუსწორა როსკო ეიმსსა და ჰერბერტ სტოლცს და ისინი კალიფორნიაში დააბრუნა. ამერიკულმა გაზეთებმა მაშინვე აუწყეს მკითხველებს, „სნარკზე" ჩხუბი და განხეთქილება სუფევსო. ნინეტა ეიმსის განაწყენების რიდით. რასაც როსკოს მხილება გამოიწვევდა, ჯეკს არავითარი ზომები არ მიუღია თავის დასაცავად და სამგზავრო ფული გადაუგზავნა იუჯინ ფენელონს, ჯორჯ სტერლინგის მეგობარს, რათა მას მემანქანედ ემუშავა „სნარკზე". ფენელონმა, როგორც გაზეთები აღნიშნავდნენ, „მთელი თავისი ცოდნა ზღვის შესახებ ცირკთან ერთად მოგზაურობის დროს შეიძინა, სადაც იგი მძლეოსნად გამოდიოდა, აგრეთვე მაშინ, როცა მღვდლის ხარისხის მოსაპოვებლად ემზადებოდა". ჰავაის კუნძულებზე ჩამოსვლისთანავე ფენელონი რამდენიმე თვე ცდილობდა „სნარკის" წესრიგში

მოყვანას, მაგრამ შემდეგ კარმელში გაბრუნდა, ორჩხომელი კი იმაზე უარეს მდგომარეობაში დატოვა, ვიდრე იგი ოდესმე ყოფილა.

ჰავაი განა მარტო თვით იყო „მშვენიერი, ალერსიანი მხარე, ადამიანებიც მშვენიერები აღმოჩნდნენ“. ჟურნალების „ვარსკვლავისა“ და „წყნარი ოკეანის კომერციაჟორის“ რედაქტორებმა წვეულება გამართეს ახლადჩამოსულთა პატივსაცემად. ისინი მიიწვიეს პრინც კალამანაოლესა და მისი უდიდებულესობა დედოფალ ლილიუკანანის მიერ გამართულ მიღებაზე, განუწყვეტლივ ართობდნენ და აცნობდნენ კუნძულის დიდებულ სილამაზეს. თვითეულ დღეს ერთიმეორეზე მრავალფეროვანი, ახალი თავგადასავალი მოჰქონდა: ჯეკი პრინც კალამანაოლესთან ერთად თევზაობდა მაშხალების შუქზე, ესწრებოდა ადგილობრივ „ლუაუებს“ — კვნესის დღესასწაულებს, ბანაობდა მთვარის ნათელ და თბილ შუქზე, ცხოვრობდა რანჩო ჰალეაკალაში კუნძულ მაუიზე. რანჩოს მმართველ ლუის ფონ ტემპსკის იგი დაჰყავდა ცხენების რემის გადარეკვისა და მოზარდულების ხედნის და დაღვის საყურებლად. მასთან ერთად ცხენით იმოგზაურა უჩვეულოდ ლამაზი და საშიში ბილიკებითა და უფსკრულზე გადებული ქერელის მოქანავე ხიდებით რვა ათასი ფუტის სიმაღლეზე მდებარე ჰალეაკალას კრატერის სანახავად, რომლის მწვერვალიდან მოჩანდა ყველა კუნძული და ზღვა. ეს გასეირნება აისახა ნარკვევში „მზის სავანე“.

ერთი კვირა გაატარა მან მოლოკაიზე, სადაც ჩარმიანთან ერთად ცხოვრობდა კეთროვანთა შორის, როგორც თანასწორი; მათთან ერთად მხარდამხარ ისხდნენ ორივენი მონადირეთა კლუბში, იდგნენ ტირში, ისროდნენ თოფებიდან, რომელთაც ჯერ კიდევ შეენახა კეთროვანთა ხელების სითბო, ესწრებოდნენ მათ მიერ გამართულ დღეებს. კუნძულს ავბედითი სახელი ჰქონდა გავარდნილი და კეთროვნები ეჭვდრებოდნენ ჯეკს, დაეწერა სიმართლე და ეუწყებინა ქვეყნისათვის, რომ ისინი კარგად და ბედნიერად ცხოვრობენ. ჰილოში დაბრუნებისთანავე ჯეკმა შეასრულა დაპირება და ნარკვევში — „კეთროვნების კოლონიაში“ — გულთბილად აღწერა ამ ტრაგიკულ, და მშვენიერ კუნძულზე ყოფნის ამბავი.

წყლის თხილამურების სპეციალისტმა ალექსანდრე ჰიუმ ფორდმა ასწავლა, როგორ უნდა გაჰყოლოდა ტალღებს ფიცარზე მდგომი მოქცევის დროს. ჯეკს მზეზე ისე დაეწვა ნაზი კანი, რომ მთე-

ლი ორი კვირა ვერ მოიშუშა. მიუხედავად ამისა, მაინც დაწერა სტატია „ღმერთებისა და გმირების სპორტი“, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სპორტის ამ სახეობის განვითარებას ამერიკაში. მან შეიყვარა ამ კუნძულების აუჩქარებელი, სილამაზით აღსავსე ცხოვრება; მუშაობაც ეწყობოდა: სწრაფად იწერებოდა „მარტინ იდენი“, სხვაზე რომ არაფერი ითქვას.

როდესაც „კოსმოპოლიტში“ დაბეჭდილი მოთხრობების სერია — „გზა“ მზად იყო ცალკე წიგნად გამოსაცემად, ბრეტმა ჯეკს მოსწერა: უარს ხომ არ იტყვის ჯეკი ამ წიგნზე, თუ იგი, ბრეტი, შეძლებს დაამტკიცოს, რომ წიგნის გამოცემით ავტორი წააგებს მკითხველთა თვალში? „როგორც სხვა ჩემს ნაწარმოებებში, — პასუხობდა ჯეკი, — ისე „გზაშიც“ მე სიმართლის ერთგული ვრჩები. იმის მიხედვით, თუ როგორი სიძლიერით გამოსჭვიოდა ჩემი ნაწარმოებებიდან ჩემი ხასიათი, იწყებოდა ყოველგვარი ჭექა-ქუხილი — ათვალისწუნება, მტრული გამოხდომები, საყოველთაო გაკიცხვა; ყოველივე ეს გადავიტანე. ყოველთვის მტკიცედ ვიცავდი იმ აზრს, რომ ლიტერატორის მთავარი ღირსება გულწრფელობაა. თუ მართალი არა ვარ და ქვეყანა შეძლებს დამარწმუნოს ამაში, მე ვიტყვი: „მშვიდობით, ამაყო სამყაროვ!“ გადავბარგდები რანჩოში და დავიწყებ კარტოფილის დარგვასა და ქათმების მოშენებას, რათა კუჭი ცარიელი არ მქონდეს. არასოდეს ყურად არ მიღია რჩევა — მემოქმედა წინდახედულად — სწორედ ამაშია ჩემი წარმატების საიდუმლოება“.

ერთ გონივრულ რჩევას მაინც მოეკიდა გულისყურით — რჩევას, რომელმაც სიცოცხლე შეუნარჩუნა, კერძოდ: ოქტომბრის შუა რიცხვებში, კუნძულ ჰილოდან მარკიზის კუნძულებზე მგზავრობისას, მას გემბანზე ჰყავდა ნამდვილი საზღვაო კაპიტანი ფორმალურობის სრული დაცვით შეკაზებული ქაღალდებითა და ჰოლანდიელი მატროსი. კაპიტანი უორენი ვადაზე ადრე გაათავისუფლეს ორეგონის საკატორღო საპყრობილედან, სადაც იგი სასჯელს იხდიდა მკვლელობაში ბრალდების გამო; მატროსი ჰერმანი თავის დროზე მამისეულ კეჩს დაატარებდა ჰოლანდიის ნაპირებთან. ჯეკს რომ წინდახედულობა გამოეჩინა და გამოცდილი მეზღვაურები აეყვანა ჯერ კიდევ „სნარკის“ აგების ანდა ჰავაიზე გამგზავრების წინ, იგი

ოცი ათას დოლარსაც შეინარჩუნებდა და ჯანმრთელ ნერვებსაც-ეკიპაჟის თავდაპირველი შემადგენლობიდან თავგადასავლების ერთადერთი, ნამდვილად ღირსეული მაძიებელი აღმოჩნდა ორი მეტრის სიმაღლის ლამაზი მამაკაცი მარტინ ჯონსონი, რომელიც „სნარკის“ ძვირფასი შენაძენი გახდა მას შემდეგ, რაც კოკის თანამდებობიდან მემანქანედ იქნა გადაყვანილი. ორი წლის მოგზაურობის მანძილზე ჩარმიანმაც დაუმტკიცა ჯეკს თავისი ღირსებები, იგი ყველაფერზე მზად იყო; მის სიმამაცეს ბოლო არ უჩანდა; გაჭირვების დროს მხნედ, მტკიცედ იდგა საშიშროების წინაშე — როგორც საიმედო თანამგზავრი-მამაკაცი. რაც არ უნდა განეზრახა ჯეკს — ერთი კვირის გატარება მოლოკაის კეთროვნებს შორის, სოლომონის კუნძულებზე ადამიანთა თავებზე სანადიროდ მიმავალ მონადირეთა რიგების შევსება, ცხენით გადასვლა ქერელის ხიდებზე, ღრმა ტროპიკულ ხეობაში ჩასვლა, წყნარი ოკეანის გადაკვეთა ისეთ ადგილას, სადაც ვერც ერთ ილქნიან გემს ვერ გაუბედავს ცხვირის გამოჩენა — იგი ყოველთვის ინარჩუნებდა ვაჟკაცობასა და საზრიანობას, თვით თავბრუდამხვევ შემთხვევებშიც კი არ ჰკარგავდა სულის სიმტკიცეს და ამხანაგობას უწევდა მხიარულების დროსაც. თუ ჯეკი საერთოდ ეძებდა თანამგზავრ ქალს, რომელიც შეძლებდა მის მხარდამხარ ევლო ხეტიალის დროს, მან იგი ჰპოვა ჩარმიანის სახით.

ჰილოდან გამგზავრების რამდენიმე დღის შემდეგ ჯეკმა გადაშალა წყნარი ოკეანის სამხრეთ წყლებში იალქნიანი გემების ტარების ინსტრუქცია და წაიკითხა: ისტორიაში რეგისტრირებული არაა არც ერთი შემთხვევა, რომ იალქნიანი გემი ჰავაის კუნძულებიდან მარკიზის კუნძულებამდე მისულიყო. უფრო მეტიც, ეკვატორული დინებისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის პასატების განლაგების გამო, მარკიზის კუნძულებამდე მიღწევა შეუძლებლად ითვლებოდა. „შეუძლებელმა როდი შეაშინა „სნარკი“, — იხსენებს ჯეკი. სავსებით შეუდრეკლად განაგრძო მან გზა და მაინც მიაღწია მარკიზის კუნძულებს; ეს ჭეშმარიტად სასწაული იყო გემთმიმოსვლასა და საიალქნო ხელოვნებაში. ალბათ, იგი სიკვდილს მხოლოდ იმიტომ გადაურჩა, რომ ბედისწერას გადაეწყვიტა: ადამიანში, რომელსაც ჯეკ ლონდონის სახელით იცნობენ, იმალება თხზულებები, რომლებიც მანამდე უნდა დაიწეროს, ვიდრე შესაძლებელი გახდება მისთვის სიცოცხლის მოსპობა.

ისინი როგორღაც უნებლიეთ შეიჭრნენ პასატებსა და ეკვატორულ წყნარ წყლებს შორის და „სნარკი“ რამდენიმე დღე-ღამე უმოძრაოდ იდგა. ქარი სცემდა, წვიმა ურტყამდა, ტალღები ზედ ევლებოდა, არა ერთხელ დაატყდათ თავს ისეთი გრიგალი, რომ იფიქრებდი, პატარა, დახვრეტილი „სნარკი“ ასანთივით დაიფშვნებაო. სამოცი დღის განმავლობაში თვალი არ მოუკრავთ არც იალქნისათვის და არც გემის კვამლისათვის. ტალღებმა ბორტიდან გადალეკა მტკნარი წყლით სავსე კასრების ნახევარზე მეტი და წყურვილისაგან დაიღუპებოდნენ, თუ არა ბედნიერი შემთხვევა, რომელმაც წვიმა მოუვლინა. ჯეკისთვის არ არსებობდა უფრო დიდი სიამოვნება, ვიდრე თვალხუჭუნას თამაში სიკვდილთან. იგი ტკბებოდა, როგორც ბიჭუნა; „სნარკი“ რუკაზე შეუტანელ წყლებში დაჰყავდა, ნადირობდა დელფინებზე, ზვიგენებზე, ზღვის კუებზე; იწვა სანათურის სახურავზე, სუნთქავდა მარილიანი ჰაერით და გრძნობდა, როგორ ალერსიანად არწევდა ოკეანე; მუშაობდა „მარტინ იდენზე“ — ყოველდღე ათას სიტყვას წერდა, თხზავდა წარმტაც ნარკვევებს — „წყნარი ოკეანის გავლით“. თბილ დღეებში გემბანზე იჯდა და ჩარმიანს, კაპიტან ჯორენს, მარტინ ჯონსონს, ჰერმანს, მხიარულ იაპონელ იუნგას ნაკატას, რომელმაც ტოჩიგი შეცვალა, და კოკ უოდს უკითხავდა ნაწყვეტებს სტივენსონის თხზულებიდან მარკიზის კუნძულებისა და ტაიტის შესახებ. კონრადის „ტაიფუნიდან“ და „სიჭაბუკიდან“, მელვილის „თეთრი ქურთუკიდან“, „ტაიპიდან“ და „მობი დიკიდან“. „სნარკთან“ დაკავშირებული განვლილი ულიამოვნებანი დაავიწყდათ — აფრიანმა გემმა ხორცი შეასხა ცამეტი წლის რომანტიკოსის ოცნებას, რომელიც ნთქავდა ყველა სათავგადასავლო მოთხრობას, რასაც კი პოულობდა მისთვის მისს. კულბრიტი ოკლენდის საჯარო ბიბლიოთეკაში.

ორთვიანი ნაოსნობის შემდეგ „სნარკი“ მიადგა მარკიზის ერთ-ერთ კუნძულს — ნუკა-ხივას. „ჩრდილო-დასავლეთიდან პასატი ჰქროდა, ჩვენ კი ჯიუტად მივყვებოდით ჩვენს გზას სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ასე გაგრძელდა ათ დღეს. 6 დეკემბრის დილის 5 საათზე გამოჩნდა მიწა — სწორედ იქ, სადაც მოველოდნენ, ე. ი. პირდაპირ ცხვირწინ. ქარის მხრიდან ჩავუარეთ უა-ხუკას, ნუკა-ხივის სამხრეთის მხარის გასწვრივ და ღამით, უკუნეთ სიბნელეში, მძაფრი

ქარი რომ გვიტევდა, შევაღწიეთ ტაიოგაეს ვიწრო ყურეში და ჩავუშვით ღუზა. ღუზის ჯაჭვის ჟღარუნს კლდეებიდან ბანს აძლევდა გარეული ცხვრების ბღავილი, ხოლო ჰაერი, რომლითაც ჩვენ ვსუნთქავდით, ყვავილების არომატით იყო გაჟღენთილი".

ნუკა-ხივაში წილად ხვდათ ბედნიერება, დაექირავებინათ ოთახები სწორედ იმ კლუბში, სადაც მარკიზებზე ყოფნის დროს ხშირად ატარებდა საღამოებს რობერტ ლუის სტივენსონი — ჯეკისათვის ეს სიჩარულისა და კმაყოფილების ახალი წყარო იყო. მეორე დღესვე, როგორც კი ცხენებზე შესხდომა შესძლეს, „სნარკის" მთელი ეკიპაჟი „ტაიპიში" აღწერილ ჰაპაას არაჩვეულებრივ ხეობაში გაემგზავრა. მელვილის სიტყვებით, ჰაპაა დასახლებული ყოფილა მეომარი და ძლიერი ტომით, რომელიც ნაყოფიერ ტროპიკულ ბაღებში ცხოვრობდა. მაგრამ იმედი გაუცრუვდათ: იმ დროისათვის, როცა ჯეკმა შეძლო თვითონ ემოგზაურა ცხენით ჰაპაას ხეობაში, იგი უკაცრიელ, სევდის აღმძვრელ ტროპიკულ, მივარდნილ ადგილად გადაქცეულიყო. მარკიზელთა ნაწილი, რომელიც „აბეზარი თეთრი კაცის" მიერ კუნძულზე შემოტანილ გამანადგურებელ ეპიდემიას გადაურჩა, სწრაფი ჭლექისაგან იხოცებოდა თავიანთ უბადრუკ ქოხებში. ამ დიდებული რასის მოსპობას ჯეკმა მიუძღვნა ნაღვლიანი ნარკვევი, რომელსაც მელვილის პატივსაცემად „ტაიპი" უწოდა. „სამუდამოდ გაქრა ძალა და სილამაზე და ტაიპის ხეობა გადაიქცა ერთ მუჭა ბედკრულთა თავშესაფრად. ისინი იტანჯებიან კეთრით, სპილოს ავადმყოფობითა და ჭლექით. გაჰქრა სიცოცხლე ამ მშვენიერ ბაღში".

თორმეტი თვალწარმტაცი დღე გაატარა ჯეკმა მარკიზებზე — ნადირობდა გარეულ თხებზე, მონაწილეობდა ადგილობრივთა დღესასწაულებში, ცეკვებსა და ნადიმებში. მეცამეტე დღეს კი ღუზა ამოიღო და ტუამოტუს კუნძულების ჩავლით ტაიტისაკენ გაემართა, სადაც მას ფოსტა ელოდა. აქ მან გაიგო, რომ „სნარკზე" თურმე კვლავ ჩაუქნევიათ ხელი — მას დაღუპულად სთვლიდნენ; რომ სანფრანცისკოს მეზღვაურები იხსენებდნენ თავიანთ წინასწარმეტყველურ სიტყვებს: „გემი ცუდადაა დაგეგმილი, კიდევ უფრო ცუდად მოწყობილი". ბევრი გაზეთი გულწრფელ წუხილს გამოთქვამდა ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლის დაღუპვის გამო. სხვები ჯეკს ბრალს

სდებდნენ, განზრახ არ იძლევა ცნობებს თავის შესახებ, რათა შეშფოთება გამოიწვიოს თავისი პერსონის გამოო". ერთ მოწინავე სტატიაში იგი ამხილეს კიდეც იმის გამო, თითქოს იშოვა მოხერხებული აგენტი, რომელმაც მისთვის იაფფასიანი რეკლამა მოიგონა, რაც თითქოსდა ერთიორად უნაზღაურებდა იახტის ღირებულებას.

მხოლოდ რვა თვის წამოსული იყო სახლიდან, მაგრამ ახლა, მრავალრიცხოვან ყუთებში დაგროვილი ფოსტის გადასინჯვისას, ჯეკისთვის აშკარა გახდა, პატრონი თუ არ არის, საქმეებში ძალიან მალე იწყება უწესრიგობა. სავსებით დარწმუნებულმა, ჯეკი წყნარი ოკეანის ფსკერზე განისვენებსო, ოკლენდის ბანკმა ფლორას გირაოდან სახლის გამოსყიდვის უფლება ჩამოართვა. ჯერ კიდევ ჰილოში გაცემული მთელი რიგი ჩეკები — რვაასი დოლარის ოდენობით — უკან დააბრუნეს ოკლენდის სხვა ბანკის წარწერით „მიმდინარე ანგარიში ამოწურულია", რამაც პრესაში ძალიან დიდი ხმაური გამოიწვია.

გლენ-ელენის დატოვებისას ჯეკმა თავისი უფლებები ნინეტა ეიმსს გადასცა, რომელსაც უნდა ეწარმოებინა მისი საქმეები. როგორც რწმუნებულ პირს. ეიმსმა გასამრჯელო თვითონვე დაინიშნა — თვეში 10 დოლარი. ახლა იგი 20-მდე გაზარდა და, გარდა ამისა, ჯეკს თვეში ორმოც დოლარს ახდევინებდა ცარიელი ოთახებისათვის. ანგარიშების გაცნობის შედეგად ჯეკმა შეატყო, რომ ნინეტა ეიმსმა ათასი დოლარი დახარჯა ბეღელზე მინაშენის აგებაზე, რათა რანჩოში დაესახლებინა ათისთავი ცოლითურთ; დეკემბერში ათას ოთხასი დოლარი დაიხარჯა ფლორას, ჯონი მილერის, ძიძა ჯენის, ბესისა და მისი ქალიშვილების შენახვაზე, მუშების გასაუმრებლად, რანჩოს ინვენტარისა და სხვა საჭიროებისათვის, დამზღვევი კომპანიების გადასახადზე და უეიკ რობინის მოვლა-პატრონობაზე. მეორე ანგარიში, საერთო თანხით ათას დოლარზე, წარმოადგენდა „სნარკის" აღჭურვილობის სიას სამ გვერდზე — დაწყებული ათასი გალონი ბენზინიდან და დამთავრებული ასი შეკვრა სპეციალური ეგვიპტური სიგარებით ჯეკისათვის და კონფეტის დუჟინობით კოლოფებით. აურაცხელი ხარჯები იყო, რომ არაფერი ვთქვათ იმ ათას დოლარზე, რომელიც ყოველთვიურად იხარჯებოდა „სნარკის" ეკიპაჟსა და მომსახურებაზე. დეკემბერში მაკმილანმა

გაყიდულ ნაწარმოებთა საავტორო ანგარიშები გადაუხადა ხუთიათას ხუთასი დოლარის ოდენობით. ნიუ-იორკელმა აგენტმა რეინოლდსმა, რომელიც ზოგჯერ დახმარებას უწევდა მას, მოთხრობა „კოკონი“ მიპყიდა ჟურნალ „საუკუნეს“ სამასორმოცდაათ დოლარად; ნინეტა ეიმსმა ნარკვევი „კეთროვანთა კოლონია“ მოათავსა „ქალის საოჯახო თანამგზავრში“, ხოლო „როგორ მივაგენით გზას“ და „მიუწვდომელი და საოცარი“ — „ჰარპერულ ყოველკვირეულში“; ფული მიიღო ინგლისური ჟურნალებისა და გამომცემლებისაგან, სკანდინავიელ, გერმანელ, ფრანგ და იტალიელ გამომცემლებისაგან. ყოველივე ამის მიუხედავად შეიტყო, რომ იმჟამად, 1908 წლის პირველ კვირას, მას ხელზე მხოლოდ და მხოლოდ სამოცდაექვსი დოლარი ჰქონდა. უახლოეს მომავალში კი ფულის მიღების არავითარი იმედი.

ჯერ კიდევ 1907 წლის 28 მაისს, ჰონოლულუში ჩასვლისთანავე, პირველი, რაც მან თქვა, იყო: „მე გავკოტრდი და ალბათ, იძულებული ვიქნები აქ შევჩერდე მანამდე, ვიდრე ფულს არ ვიშოვი“. ამის შემდეგ დაწერა რამდენიმე საგზაო ნარკვევი და მოთხრობა ჰავაის კუნძულებზე, რომელნიც ჟურნალებს სამასიდან ხუთას დოლარამდე დაუჯდათ თითოეული. სულ რაღაც ოთხნახევარი წელი გავიდა გახმაურებული „წინაპართა ძახილის“ გამოქვეყნების შემდეგ, მან კი ამ ხნის განმავლობაში იმდენი გამოიმუშავა, რომ შესძლო დაეხარჯა ორმოცი ათასი „სნარკზე“, თერთმეტი — რანჩოზე, ათი — ბესის სახლზე, რვა — ფლორას სახლზე და კიდევ, დაახლოებით ოცდათხუთმეტი ათასი, ყველანაირ მუქთახორასა და სარჩენად აკიდებულზე, რომელთა რიცხვი განუწყვეტლივ იზრდებოდა. ამჟამად ნაოსნობა ყოველთვიურად ათასი დოლარი უჯდება, და, აი, ინებეთ, სამოცდაექვსი დოლარის ამარა ზის ტაიტში!

ტაიტიდან სან-ფრანცისკოში მიდიოდა გემი „მარიპოზა“. ჯეკმა გადაწყვიტა სახლში ამ გემით გამგზავრებულიყო, რათა საქმეები მოეწესრიგებინა. საიდან იშოვა ორი ბილეთის ფული — თავისა და ჩარმიანისათვის — გამოცანად რჩება. „სნარკი“ კაპიტან უორენისა და ეკიპაჟის მზრუნველობის ქვეშ დატოვა და კალიფორნიაში დაბრუნდა. ჯეკის მრავალრიცხოვანი ნათესავები, რომელნიც მღელვარებით ელოდებოდნენ „მარიპოზას“ იმ იმედით, რომ ფოსტა მი-

ელოთ და დარწმუნებულიყვნენ, ჯეკი ცოცხალი და უვნებელია, მოულოდნელობისაგან გაშეშდნენ, როცა შეიტყვეს, რომ იგი უკვე სან-ფრანცისკოში იყო. გაზეთების არაჩვეულებრივად მყვირალა სათაურებმა ყველას აცნობეს მისი დაბრუნება. ერთი რეპორტიორი წერდა: „სიტყვებით — „სახიდან მოუშორებელი ღიმილი" — ნახევრადაც კი ვერ გამოვთქვამთ იმას, თუ როგორი ღიმილი აქვს ლონდონს. ეს არის რაღაც გულუხვი, გულითადი, გაშლილი, როგორც ზღვის სივრცე — შეხედავ და გული ხარობს". ბევრი საყვედურობდა ჯეკს, რომ მან მოგზაურობა ბოლომდე არ მიიყვანა. ხოლო როცა ჯეკმა განაცხადა, მომავალ კვირას „მარიპოზას" ჯკანვე მივყვები და „სნარკზე" ვბრუნდებიო, ზოგიერთმა მისმა ნაცნობმა ეს ხუმრობად მიიღო და სიცილი დაიწყო, სხვები კი ცდილობდნენ შეეცვლევინებინათ მისთვის ეს გადაწყვეტილება. მან ხომ უკვე უჩვენა ყველას, რისი გაკეთებაც შეუძლია. მორჩა! რა საჭიროა ბედთან თამაში? განა უფრო გონივრული არაა სახლში დარჩენა? ეტყობა, მათ არ დაიჯერეს, როცა ჯეკმა რეპორტიორებს განუცხადა, „სნარკზე" გატარებული დღეები ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი დღეებიაო ჩემს ცხოვრებაში.

მან დაუყოვნებლივ უდეპეშა მაკმილანს და სთხოვა გამოეგზავნა ავანსი თითქმის დამთავრებული „მარტინ იდენისათვის". ამ ფულით გირაოდან დაიხსნა ფლორას სახლი და ბანკს გადუხადა ჰილის რანჩოს განუწყვეტლივ მზარდი პროცენტები; შეუთანხმდა „ჰარპერის ყოველკვირეულს" ნარკვევების სერიის გამოშვებაზე „სნარკის" შესახებ. ამით შესაძლებლობა მიეცა გადაეხადა ყველაზე საუწრაფო ვალები და ჩეკები მიეცა: ფლორასათვის თებერვლის ჩეკი ორმოცდათორმეტ დოლარზე, ბესისათვის — სამოცდათხუთმეტზე, ძიძა ჯენისათვის — თხუთმეტზე. „ქალის საოჯახო თანამგზავრის" დამატების გადასინჯვისას იგი მიხვდა, რატომაც ახდევინებდნენ ყველაფერში სამმაგად ჰავაისა და ტაიტის კუნძულებზე. მას შემდეგ, რაც „კოსმოპოლიტმა" გაავრცელა არაკი, თითქოს იგი აგზავნიდა ჯეკ ლონდონს ქვეყნის გარშემო სამოგზაუროდ, ჯეკმა დაარღვია მასთან ხელშეკრულება და შეუთანხმდა „ქალის თანამგზავრს". მაგრამ, ვაი, რომ ცდუნება მეტად დიდი იყო, და „თანამგზავრსაც" არ ეყო ძალა უარი ეთქვა გემრიელ ლუკმაზე. მან „კოსმოპოლიტის" მაგალითს მიბაძა — ანალოგიური ყალბი ამბავი შეთხზა.

1907 წელი ჯეკის ოთხი წიგნის გამოსვლით აღინიშნა. ესე იგი, ერთით მეტით 1902 წლის პარეკორდო რიცხვზე. იგი სულ ოცდათერთმეტი წლისა იყო, მაგრამ უკვე მოესწრო ოცი წიგნის გამოშვება. თავისი გონების საგანძურს იგი ისევე უხვად ანიავებდა, როგორც იმავე გონებით შეძენილ ქონებას.

„ადამამდე", ევოლუციის თეორიის მხატვრული განსახიერება, მოთხრობა პირველყოფილი ადამიანის შესახებ, ამერიკაში ახლაც წინანდებურად სიამოვნებით იკითხება; „გზა", რომელსაც გამოქვეყნებისას თითქმის არც კი მიაქციეს ყურადღება, ამჟამად აღიარებულია ერთ-ერთ ლიტერატურულ წყაროდ, რომელიც ალალმართლად ასახავს ამერიკელ მაწანწალათა ცხოვრებას. წიგნში „სიცოცხლის სიყვარული" — შედის ლონდონის რამდენიმე ყველაზე ოსტატურად დამუშავებული მოთხრობა ალასკის შესახებ. ყველაფერი ეს ფულის გულისთვის დაწერა, რაც მას „სნარკის" ასაგებად სჭირდებოდა. ამ ნაწარმოებთა სრულყოფის მაღალი დონე მოწმობს, რომ ზოგი ადამიანი, რომელიც მხოლოდ ლიტერატურის გულისათვის წერს, არც ცხადად და არც სიზმრად არ ფიქრობს ისეთ სიბინძურეზე, როგორიც ფულია, მაინც არარაობას ქმნის, მაშინ როდესაც სხვები ფულის გულისათვის წერენ და მაინც ჭეშმარიტ ლიტერატურას ქმნიან. აქ განმსაზღვრელი ფაქტორია ტალანტი და არა ის, თუ როგორ მოიხმარს ადამიანი ამ ტალანტისაგან მიღებულ გასამრჯელოს. ჯეკ ლონდონისათვის დამახასიათებელი იყო სიმართლის სიყვარული, სიმამაცე — თამამად თქმა იმისა, რასაც გრძნობდა და ფიქრობდა; იგი მრავალმხრივ განვითარებული ადამიანი იყო. ეს სულიერი სიმდიდრე, ეს მთლიანობა ერწყმოდა მთხრობელის თანდაყოლილ ნიჭს, რომელიც ჭომწიფდა გონივრული და დაუცხრომელი მუშაობის შედეგად. იმ გარემოებამ, რომ უფულობას განიცდიდა, ვერ აიძულა იგი ან ნაკლები მოთხოვნები წაეყენებინა თავისი თავისათვის ანდა კომპრომისზე წასულიყო იქ, სადაც საქმე ხელოვნებას ეხებოდა; იგი ყოველთვის დარწმუნებული იყო, რომ კარგი სამუშაო კარგი გასამრჯელოს ღირსია.

ბრეტის წინასწარმეტყველება „რკინის ქუსლის" ბედის შესახებ გამართლდა—გაზეთების უმრავლესობას არც კი აღუნიშნავს წიგნის გამოსვლა. სხვებმა, თანაც სულ ცოტამ, განაცხადეს, მართლ-

მსაჯულების მარჯვენამ ავტორი მკაცრად უნდა დასაჯოსო. თითქმის შეუმჩნეველმა წიგნმა, რომელმაც კარგი შეფასება ვერ მიიღო, ვერც აღიარება ჰპოვა. მას თითქმის არავინ ყიდულობდა, გარდა ერთი მუჭა ამერიკელი მარქსისტებისა. ათი წლის შემდეგ კი ეს წიგნი მსოფლიოში ცნობილი გახდა, როგორც ერთ-ერთი უდიდესი კლასიკური ნაწარმოები რევოლუციის შესახებ. რაც შეეხება რუსებს, ამის შემდეგ ჯეკ ლონდონი მათი ღმერთი გახდა. რარიგ ბოროტად არ უნდა დასხმოდა თავს „რკინის ქუსლს" კაპიტალისტური პრესა, უფრო გაბოროტებული იყო სოციალისტური პრესა, რომელიც ერთი წლის წინ ლანძღავდა ჯეკს იმის გამო, რომ იგი ანგარიშს არ უწევდა უამრავ საქმეს სამშობლოში და მიემგზავრებოდა თავისი ბრწყინვალე იახტით. ახლა მას ბრალს სდებდნენ იმაში, რომ უღალატა თავის საქმეს, რომ სისხლისღვრის მოწოდებით ხალხში ბტრულ დამოკიდებულებას იწვევს სოციალიზმისადმი; თავის წინააღმდეგ იმხედრებს პარტიის წევრებსაც კი, რომელნიც მშვიდობიანად არიან განწყობილნი და სურთ, რომ სოციალიზმი ნელ-ნელა მკვიდრდებოდეს ცხოვრებაში განათლებისა და საკანონმდებლო ორგანოების საშუალებით, კენჭისყრის გზით და არა ბარიკადებზე სიკვდილის საფასურად. დიახ, აპრილში კაპიტალისტური და სოციალისტური ბეჭდვითი სიტყვა ერთხმად მიიჩნევდა მას საფრთხედ[1] საზოგადოებისათვის, მაგრამ საძი თვის შემდეგ სოციალისტებმა არათუ აპატიეს მას, არამედ შესთავაზეს კიდეც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე წამოეყენებინა თავისი კანდიდატურა სოციალისტური პარტიიდან.

თავისი სიტყვის ერთგული ჯეკ ლონდონი ჩარმიანთან ერთად დაბრუნდა „მარიპოზაზე", რათა გაეგრძელებინა შვიდწლიანი მოგზაურობა დედამიწის გარშემო. 9 აპრილს იგი ტაიტიდან გავიდა „სნარკით" და კურსი აიღო ბორა-ბორასკენ—პოლინეზიის ამ მარგალიტისაკენ. ბორა-ბორაზე იგი ადგილობრივ მეთევზეებთან ერ-

[1] „რკინის ქუსლს" უარყოფითად გამოეხმაურნენ სოციალისტების ოპორტუნისტულად განწყობილი ხელმძღვანელები. ამერიკული სოციალისტური მოძრაობის რევოლუციურმა ბირთვმა კი მაღალი შეფასება მისცა რომანს. წიგნი დადებითად შეაფასეს აგრეთვე იუჯინ დებსმა და ბილ ჰეიუდმა.

თად ქვით ხოცავდა თევზებს; რაიატეაზე ცხოვრობდა მკვიდრ პოლინეზიელებს შორის, რომელნიც ცივილიზებულ ქვეყნებში არნახული ველურობით უმასპინძლდებოდნენ ჯეკს საჩუქრებითა და სანოვაგით. პაგო-პაგოში იგი ადგილობრივმა მეფემ მიიღო თავის რეზიდენციაში.

როცა სუვასაკენ, ფიჯის კუნძულებისაკენ, განაგრძობდა გზას, „სნარკი" შეორმის ზოლში მოხვდა და რამდენიმე დღით ასცდა კურსს ქრისტომეტრის დაზიანების გამო. ივნისში მიაღწიეს ფიჯის კუნძულების დედაქალაქს სუვას. აქ კი კაპიტანმა უორენმა მიატოვა „სნარკი". რომელიც უკიდურესად საჭიროებდა შეკეთებას, ნაპირზე გადაიყვანა და უკან აღარ დაბრუნებულა. ჯერ კიდევ მაისში კაპიტანი ნეიერრო ოფიცერმა, რომელიც ორჯერ სიშმაგეში გადაიზარდა. რაღა გაეწყობოდა, ჯეკმა ბარგი გაუგზავნა და ამის შემდეგ თვითონ უმკლავდებოდა კაპიტნის მოვალეობას. მოგზაურობდა სოლომონის კუნძულებზე, ცხოვრობდა ქოქოსის პალმის დაბურულ პლანტაციებში, „აშკარა, აღმაშფოთებელ ველურობის საზღვარზე—მეორე ასეთ ადგილს ვერ მოძებნი დედამიწაზე", მალაიტაზე, სადაც ველურის ხელით არა ერთი თეთრი ადამიანის თავი დაგორებულა მხრებიდან, ჯეკი მეგობრებთან ერთად გემ „მინოტაური" გაემგზავრა ბუშმენების შესაგროვებლად პლანტაციებზე კატორღული მუშაობისათვის. ერთხელ მას საფარიდან თავს დაესხნენ კაციჭამიები, რომელთაც სურდათ გაეძარცვათ და ჩაეძირათ გემი, ხოლო ეკიპაჟის თეთრკანიანი წევრებისაგან მოეწყოთ „კაიკაი", ე. ი. მოეჭრათ თავები, სხეულს კი თავიანთი სურვილისამებრ გასწორებოდნენ. გემი ისედაც კინალამ წყალქვეშა კლდეს დაეჯახა, აქ კი ყვირილით შეუტიეს შავკანიანთა ურდოებმა, რომლებიც მოწამლულ ისრებს ისროდნენ. „როცა „მინოტა" პირველად დაეჯახა წყალქვეშა კლდეს, გარშემო არც ერთი კანოე არ ჩანდა, მაგრამ მოულოდნელად, ბორათა მსგავსად, რომლებიც წრისებურად გარს ერტყმიან ნადავლს, არავინ უწყის საიდან გამოჩნდნენ კანოები. თოფებით შეიარაღებულმა ეკიპაჟმა, რომელიც სიკვდილით დაემუქრა მოახლოების შემთხვევაში, ასი ფუტის მანძილზე შეაჩერა ადგილობრივი მცხოვრებლები. შავები, საზარელნი, მშიდროდ დაწყობილნი, ისინი ნიჩბებით აჩერებდნენ თავიანთ კა-

ნოებს და სახიფათო ხაზიდან, რომელსაც მოქცევის ტალღები ეხეთქებოდა, უკან არ იხევდნენ. ეს მართლაც რომ შესაფერი თავგადასავალი იყო იმისათვის, ვისაც ახალგაზრდობაში „რეზღ-დეზღ-ზე“ არასოდეს ჩამოუწევია აფრა, ვისაც ოთხჯერ გაეჩერებია ტრანსკონტინენტური ექსპრესი, ნავით გადაუცურავს „თეთრი ცხენის“ ჭორომები და ადგილობრივი ჯონკათი გადაულახავს ყვითელი ზღვა! „აი, მესმის ასეთი ცხოვრება!“—შესძახა მან.

ჯეკი დაწერილებით ჩანაწერებს აწარმოებდა, იღებდა ლოტოსურათებს, ყოველ კუნძულზე თავისი კოლექციისათვის ეძებდა ადგილობრივთა კანოებს, ნიჩბებს, ნიჟარებს, ხის მოჩუქურთმებულ ნივთებს, შუბებს, ჩიბუხებს, ფინჯნებს, ჭილოფებს, ვანკუტებს, ტაპას ქსოვილებს, მარჯნებსა და ადგილობრივთა სამკაულებს. ყველაფერმა ამან გლენ-ელენში დაბრუნების შემდეგ მოელი ზეზეუმი შეადგინა. სადაც არ უნდა ყოფილიყო—ფიჯიზე, მარკიზებზე თუ სამოაზე, ათიოდე თეთრკანიანი თუკი შეგროვდებოდა, იგი მოსენებას კითხულობდა რევოლუციაზე.

გარშემო მძვინვარებდა კეთრი, სპილოს ავადმყოფობა, მალარია, მკრეჭელი სირსველი, გარი-გარი (კანის ავადმყოფობა, რომელიც საშინელ ქავილს იწვევს,) სოლომონის ავადმყოფობა, ანუ ფრამბეზია, კანის წყლულები და ასობით სხვა ტროპიკული დაავადება. „სნარკი“ მცურავ ლაზარეთად გადაიქცა. საკმარისი იყო ეკიპაჟიდან ვინმე შემთხვევით წაბორძიკებულიყო გემბანზე და ჩალურჯებოდა რაიმე ადგილი, საკმარისი იყო ნაპირზე ნავის ათრევის ან ჯუნგლებში გზის გაკაფვისას ფეხი გაეფხაჭნათ, რომ მთელ ტანს ედებოდა კანის ავადმყოფობა, თანაც ზოგიერთი წყლული ვერცხლის დოლარის ოდენა იყო. სოლომონის კუნძულებზე მთელი ეკიპაჟი მალარიით გახდა ავად. ზოგჯერ ერთდროულად ხუთს ჰქონდა შეტევა და მეექვსეს ისღა რჩებოდა, რომ თვითონ წაეყვანა „სნარკი“ ყოველგვარ ამინდში. ჯეკს ისე ხშირად ჰქონდა შეტევები, რომ (ქინაქინის მიღებით) იმდენსავე დროს ატარებდა ლოგინში, რამდენსაც ფეხზე. ფიჯისაკენ მგზავრობისას მან ორჯერ მოიფხანა ქინქლებისაგან დაკბენილი ადგილი და მთელი სხეული წყლულებითა და გამონაყარით დაეფარა. მაგრამ თვით ეს უსიამოვნებებიც მას მხოლოდ ახარებდა, რომანტიულ ფერებში ეხატებოდა სიძნელეები,

რომლებიც შეეფერებოდა შორეული ქვეყნების მკვლევარს, უშიშარ და უდრეკ თეთრ ადამიანს, მსოფლიო რომ დაიპყრო. მას მოსწონდა, როცა თავის თავს თვითნასწავლ ექიმს უწოდებდა. იგი იღებდა კბილებს, სულემით სწამლობდა ჩარმიანისა და მარტინ ჯონსონის ღია წყლულებს, კოკ უოდს ძალით ასმევდა ქინაქინას—კოკი ტროპიკული მალარიით დაავადდა და აღმოსავლური ფატალიზმით ემზადებოდა სიკვდილისათვის.

იმ დღეების გარდა, როცა ჯეკს მალარია ჩააწვენდა ხოლმე, იგი მკაცრად იცავდა ერთხელ და სამუდამოდ გამომუშავებულ წესრიგს: ყოველ დილით—ათასი სიტყვა. ჩარმიანიც ისეთივე თავგამოდებით ასრულებდა მოვალეობას, როგორც ჯეკი: მანქანაზე ბეჭდავდა მის ხელნაწერებს და მისივე კარნახით აწგენდა პასუხებს უამრავ წერილზე.

„თავგადასავალი" ერთადერთი რომანია, რომელიც ჯეკმა მრავალი თვის დაძაბული შრომის შედეგად დაწერა სამხრეთის ზღვებზე მოგზაურობის შესახებ. მოქმედება ვითარდება ქოქოსის ხის ერთ-ერთ პლანტაციაში, სადაც იგი ცხოვრობდა სოლომონის კუნძულებზე ყოფნის დროს. კრიტიკოსებისაგან თავდაცვისას, რომლებმაც უკმაყოფილება გამოთქვეს ამ „აღმაშფოთებელი, აშკარა ველურობის" გამო, ჯეკმა განაცხადა, რომ ასახავს მხოლოდ იმას, რაც საკუთარი თვალებით ნახა. სამწუხაროდ, უტყუარობა ყველაფერი როდია, რაც მოეთხოვება ცოცხალ, დამაჯერებელ ლიტერატურულ ნაწარმოებს. „თავგადასავალი" საინტერესო ნაწარმოებია ისეთი მკითხველისათვის, რომელიც ისწრაფვის მოსცილდეს სინამდვილეს, მაგრამ ასეთივე ნაწარმოების დაწერას შესძლებდა ათობით მისი თანამედროვე. რომანი სერიებად გამოვიდა ჟურნალ „პოპულარულში" — ამ გამომცემლობის ხელისმოწერნი, სამწუხაროდ, ვერ დაიკვეხნიდნენ ფაქიზ ლიტერატურულ გემოვნებას—შემდეგ ცალკე წიგნად გამოვიდა და ყველაფერი ამით დასრულდა.

„სნარკჯე" მოგზაურობაში" შეგროვილი ნარკვევები ეს არის მხატვრულად და თამამად დაწერილი საგზაო შენიშვნები, შედგენილი თბილი, გულითადი, მეგობრული მანერით, რაც ასე შეუცდომლად ასახავს ჯეკ ლონდონის ბუნებას. მაგრამ არავის — და, პირველყოვლისა, თვით ჯეკსაც—აზრად არ მოუვიდოდა მათთვის.

ნამდვილი ლიტერატურული ღირსებები მიეწერა. „სნარკის“ გემბანზე ყოფნისას, და შემდგომაც ჯეკმა შექმნა ოცდაათი მოთხრობა, რომლებიც სამხრეთის ზღვებზე ცხოვრებას შეეძღვნა. ზოგიერთი მათგანი მართლაც კარგია (ისეთები, როგორიცაა: „მაპუის სახლი“, „კერპთაყვანისმცემელი“, „კეთროვანი კულაუ“ „ჩუნ-ა-ჩუნი“ და „ატუ იხ, ატუ!“). მკითხველი თითქოს მოშორებით ზის და გაკვირვებული შესცქერის ადგილობრივ ინტერმეცოს მსგავს იშვიათ სანახაობას. მოთხრობები „აბეზარ თეთრ ადამიანზე“, რომელიც აშინაურებს შავ ველურებს და მთელი მსოფლიოს ბატონ-პატრონი ხდება, წარმტაცი ეგზოტიკითაა გაჟღენთილი, მაგრამ მათში თითქმის არაფერია ისეთი, რაც საყოველთაო ინტერესს გამოიწვევდა. ძნელია შეერწყა გმირს, იცხოვრო, იბრძოლო და მოკვდე მასთან ერთად, როგორც ეს მაშინ ხდება. როცა კითხულობ ალასკის გმირების, ლონდონის თანამემამულეების — ამერიკელების შესახებ. რაც შეეხება მოგზაურობას სამხრეთის ზღვებზე, ვის სჭირდება იგი თვით ჯეკის გარდა? სოციალისტები აკრიტიკებდნენ ჯეკ ლონდონს იმის გამო, რომ იგი მიემგზავრებოდა მაშინ, როცა სამშობლოში ასე ბევრი საქმე იყო. ისინი მართალი იყვნენ უფრო ღრმა გაგებით: ლონდონის ყველაზე უბრალო ნაწარმოებები, რომელნიც მან თავის ხალხს, მის ჩვეულებებს, მის ბედს მიუძღვნა, ქმნიან ამერიკულ ლიტერატურას, ჩვენთან რჩებიან არა მარტო მოგონებების გასაცოცხლებლად, არამედ იმისათვისაც, რომ თვალთახედვის არეს გაფართოებით გააღრმაონ სიყვარული ბეჭდვითი სიტყვისადმი.

„სნარკზე“ მოგზაურობა მრავალგზის ანაზღაურდა, თუ ვილაპარაკებთ თავგადასავალზე. მაგრამ საკითხავია, შეიტანა თუ არა მან წვლილი ლიტერატურის საგანძურში? საეჭვოა. თუმცა ჯეკს ეს მაინცდამაინც დიდად არ აწუხებდა. „მე ყოველთვის იმის მომხრე ვარ, რომ ჩემთვის მონიჭებული სიცოცხლის რაღაც პატარა ნაწილიც კი უფრო მაღლა დავაყენო, ვიდრე ხელოვნება, ანდა რაიმე სხვა მოვლენა, რომელიც ჩემი არსების გარეშეა“,—უყვარდა თქმა ჯეკს.

მუშაობაში მკაცრი დისციპლინის დაცვასთან ერთად, იგი ძალღონეს არ იშურებდა, რათა თავისი საქმეებიც წესრიგში ჰქონოდა. მან განიზრახა უეიკ რობინის მახლობლად აეშენებინა პატარა სახ-

ლები, რათა დაბრუნების შემდეგ მეგობრები იქ მიეღო. ამ მიზნით მისის ეიმსს მისწერა ცხრაგვერდიანი წერილი, რომელიც ინსტრუქციებსა და სამშენებლო დარგის მრავალ ტექნიკურ ცნობას შეიცავდა. სადღაც შორს, ათასი მილის დაშორებით, სოლომონის კუნძულებზე მყოფი ჯეკი ისეთ დეტალებზე ფიქრობდა, როგორიც იყო მაგალითად: რა მხარეზე უნდა იღებოდეს თითოეული კარი, სად იქნება მოთავსებული ტუალეტი და სად პირსაბანი. იგი თანაშემწეებს ნათელ, ლოგიკურ, ამომწურავ წერილებს უგზავნიდა, მაგრამ რაც უფრო მეტ მითითებას აძლევდა, მით უფრო იწეწებოდა საქმეები. ჯეკი ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო, რომ ვისაც წლიურად ოციდან ოცდაათიათას დოლარამდე შემოსავალი აქვს, დიდ საქმეებსაც აწარმოებს და, მაშასადამე, ახლო უნდა იყოს „ფაბრიკასთან". ხდებოდა ხოლმე, რომ მისი ნიუ-იორკელი რწმუნებული მოთხრობას აძლევდა რომელიმე ინგლისურ ჟურნალს, ამ დროს კი ნინეტა ეიმსი ამავე მოთხრობას ამერიკულ ჟურნალში ათავსებდა. იყო შემთხვევებიც, როცა ჯეკი დახარჯავდა ამერიკული ჟურნალიდან აღებულ ჰონორარს და უცებ ეს უკანასკნელი მრისხანედ ითხოვდა ფულის დაბრუნებას: იგი მოატყუეს, რადგან ჩამოართვეს ამ ნაწარმოების ინგლისში გამოქვეყნების უფლება. ამერიკელი და ინგლისელი გამომცემლები კინკლაობდნენ, ერთმანეთს ეცილებოდნენ კოლონიებში ჯეკის წიგნების გავრცელების უფლებას,— ეს კი საბოლოოდ საქმეს ამუხრუჭებდა. გამომცემლები, რომლებიც ადრე უარს არ ეტყოდნენ მისი მოთხრობებისა და ნარკვევების შეძენაზე, თუ შესაძლებლობა ექნებოდათ სწრაფად მოეგვარებინათ ზოგიერთი დეტალი, ახლა ხელნაწერებს უკან აბრუნებდნენ, რადგან სოლომონის კუნძულებზე მყოფ ავტორთან მოლაპარაკებაზე ძალიან დიდი დრო იხარჯებოდა. წიგნის ბაზარზე მის ნაწარმოებებზე ფასმა აიწია. ისეთი ჟურნალები, როგორიც იყო „კოსმოპოლიტი" ანდა „კოლიერსი", ხელნაწერში ხუთასიდან ექვსას დოლარამდე უხდიდნენ. მაგრამ ახლა, როცა გამომცემლები აღარ ყიდულობდნენ მის ნაწარმოებებს, ნინეტა ეიმსმა ქუჩის მოვაჭრესავით დაიწყო მისი მოთხრობებისა და სტატიების ჩამოტარება გასაყიდად. „აბა, ვის გინდათ ჯეკ ლონდონი? რამდენს იძლევით მოთხრობაში?"—და რამდენიც არ უნდა შეეძლიათ, ჰყიდდა. გამომ-

ცემლებმა სწრაფად აიღეს ალღო, რომ პანიკის ნიშნად, ჯეკ ლონ-დონის ხელნაწერები ბაზარზე გამოჰქონდათ და, საერთოდ, თავი შეიკავეს მათი შეძენისგან. წიგნის ბაზარი აივსო მისი ნაწარმოებებით, შემოსავლის ყოველი წყარო უეცრად დაშრა.

განსაცვიფრებელ დოკუმენტს წარმოადგენს ამ პერიოდში ნინეტა ეიმსის მიერ ჯეკისათვის გაგზავნილი მძვინვარებით აღსავსე წერილები, რომლებიც ასობით გვერდს შეიცავს და საბეჭდ მანქანაზეა დაბეჭდილი. მათ ერთი შეხედვისთანავე ემჩნევათ ნათესაური მსგავსება იმ ასობით ნაბეჭდ გვერდთან, რომელთაც ხუთი წლის წინ ჯეკს უგზავნიდა ნინეტას ძმისწული. მაღალფარდოვან, ფერადოვან, საქარინით უხვად შეზავებულ, მუდმივი სიყვარულის, ერთგულებისა და თავგანწირვისათვის მზადყოფნის მტკიცებით აღსავსე ამ წერილში იგრძნობა ფოლადისებური თითების სასიკვდილო მუხრუჭები. თავის უეიკ რობინს ნინეტა ეიმსმა კიდევ ერთი ფრთა მიაშენა, ხოლო როცა ჯეკი ისევ დასახლდა გლენ-ელენში, იგი ქირას ახდევინებდა ჯეკს იმ ოთახებში, რომლებიც ჯეკისავე სახსრებით იყო აშენებული. მან ხელმეორედ გაიდიდა ხელფასი—ამჯერად ოცდაათ დოლარამდე თვეში, თანაც ამის შესახებ ჯეკს ადრინდელი რიცხვით აცნობა და თან შეეკითხა, აპირებს თუ არა იგი საერთოდ უხადოს თუნდაც საარსებო მინიმუმი? ასეთი გამოხდომებით გატანჯულმა ჯეკმა პროტესტი განაცხადა: „მე ყოველთვის ვამაყობდი იმით, რომ მას შემდეგ, რაც პირველი დოლარი გამიჩნდა, სინდის-ნამუსით ვუხდიდი ყველას, ვისაც თუნდაც პატარა სამსახური გაუწევია ჩემთვის“.

ნინეტა ეიმსი თვიდან-თვემდე წუწუნებდა თავის ხელმოკლეობაზე, რომ იგი გაჭირვებას განიცდის, რომ შესაძლებლობა არა აქვს დაუბრუნოს ჯეკს „სნარკის“ გამგზავრების წინ ნასესხები ვალი. ბოლოს და ბოლოს ჯეკმა მისწერა: „ოკლენდის ბანკი ჩემს ანაბრებზე პროცენტებს არ მაძლევს. აუცილებლობის შემთხვევაში, გამოიყენეთ იგი, გეთაყვა“. ჩეკის წიგნაკები ნათლად მეტყველებს, რომ მისის ეიმსმა იგი სიტყვაში ჩაიჭირა: აქ ასობით ჩეკია გაცემული სანატორიუმებზე, ექიმებსა და აფთიაქებზე; ჩეკები მორთულობაზე, ავეჯსა და უეიკ რობინის რემონტზე; ანგარიშები მებაყლეებისა და გასტრონომებისგან პროდუქტების ისე დიდ რაოდენობაზე,

რომელიც საკმარისი იქნებოდა სოლიდური სასტუმროს მცხოვრებთა გამოსაკვებად.

ყოველივე ეს ან ისე ხდებოდა, რომ ჯეკმა არ იცოდა ამის შესახებ, ანდა უკიდურეს შემთხვევაში, მათზე, ასე თუ ისე, მისი ნებართვა მაინც არსებობდა. მაგრამ რაც ჯეკმა არ იცოდა, იყო ის, რომ ჰილის რანჩოზე დახარჯული ყოველი ოცდახუთი ცენტი მას ოთხმაგად უჯდებოდა. მანვე გადაიხადა ახალი ბეღლისათვის ქვის მასიური კორპუსის აშენების საფასური, ხოლო ხუთი წლის შემდეგ, როცა გლენ-ელენში მიწისძვრა მოხდა და კედლები გაიბზარა, იგი დარწმუნდა, რომ ამ კედლებს არ შეიძლება ღრუ ვუწოდოთ მხოლოდ იმიტომ, რომ მუშები ჭამის შემდეგ შუაკედლისში კონსერვის ქილებსა და სხვა ნარჩენებს ყრიდნენ. შემდეგ ამოტივტივდა ათისთავის სახლში საბაზანო ოთახის მოწყობილობასთან დაკავშირებული ისტორია: ჯეკმა სრულად გადაიხადა ახლის საფასური, მაგრამ როცა მოწყობილობა გლენ-ელენის სადგურზე გადმოტვირთეს, იგი ყოვლად გამოუსადეგარი ძველმანი აღმოჩნდა. ყველაზე საწყენი მაინც ის იყო, რომ მისის ეიმსმა შეწყვიტა ყოველთვიური ანგარიშების გადმოგზავნა. შეწუხებული ჯეკი მას მითითებებს სწერს პენრინიდან, როგორ გაართვას თავი ათობით საქმეებთან დაკავშირებულ გართულებებს, და უჩივის, რომ მან მხოლოდ თებერვლისა და მაისის ანგარიში გამოგზავნა, თუმცა 1908 წელს ერთი თვეც არ იყო ისეთი, მისის ეიმსს მისთვის რომ არ მიეწერა.

მთელ ამ არეულ-დარეულობაში ნინეტა ეიმსმა ერთი ისეთი კარგი საქმიანი ოპერაცია ჩაატარა, რომ ჯეკმა ყველაფერი აპატია. მან „წყნარი ოკეანის ყოველთვიურს“ ზღაპრულ ფასად —შვიდი ათას დოლარად გადასცა რომან „მარტინ იდენის“ ნაწილ-ნაწილად გამოშვების უფლება. ამან არათუ ყველა ვალი დაფარა, არამედ ჯეკს რამდენიმე ათასიც დარჩა სახარჯოდ.

სომონის ხეობაში ჰილის რანჩოს ესაზღვრებოდა კოლერის რვაასი აკრი ფართობის ვენახი და ლამოტის ას ათი აკრი ფართობის რანჩო. თვეების განმავლობაში ნინეტა ეიმსი დაჟინებით ახსენებდა ჯეკს, ვენახი ოცდაათი ათას დოლარად—თითქმის მუქთად—იყიდებაო. ასევე დაჟინებით უმეორებდა, რომ ათი ათასად შეიძლება ლამოტის რანჩოს შესყიდვაო. ჯეკისათვის არავითარი აზრი არ ჰქონ-

და ამ რანჩოს შეძენას—მას უკვე ჰქონდა ას ათი აკრი მიწის შესანიშნავი ნაკვეთი, რომელზედაც ჯერ ერთი ღამეც არ გაეტარებინა. ხუთი წელი კიდევ აპირებდა მსოფლიოს გარშემო გემით მოგზაურობის გაგრძელებას. „მარტინ იდენში“ ახლახან მიღებულმა შვიდი ათასმა დოლარმა კი იგი მოსალოდნელ განადგურებას გადაარჩინა. მაგრამ გაახსენდა მთაგორიანი, სექვოიებში ჩაფლული ლამოტის რანჩო, გაახსენდა ბედნიერი საათები, როცა ცხენით ეშვებოდა ამ ხეობაში, ანდა მაღლა მიუყვებოდა ვენახსა და მარწყვის ხეებს შორის დაკლაკნილ ბილიკებს... საპასუხო ფოსტით ნინეტა ეიმსმა განკარგულება მიიღო შეესყიდა ლამოტის რანჩო. დაახლოებით სამი ათასი მან ერთბაშად შეიტანა, დანარჩენის საფასურად მიწა დააგირავა. სოლომონის კუნძულებს შორის თავისი კეჩით მოცურავე ჯეკი, რომელიც უახლოეს ხანებში აპირებდა სწვეოდა იაპონიას, ინდოეთს, სუეცის არხს, და რომელმაც არ იცოდა, მოახერხებდა თუ არა თავისი ახლად დამთავრებული მოთხრობის სადმე მოთავსებას, ანდა ხვალინდელი ანგარიშის განაღდებას, ახლა ორას ორმოცი აკრი უმშვენიერესი მიწის მფლობელი გახდა კალიფორნიის მთისწინეთში.

1908 წლის სექტემბერში თვითნასწავლი ექიმის როლის შესრულება მას უკვე არავითარ სიამოვნებას აღარ ანიჭებდა: ხელები დაუსივდა. მხოლოდ დიდი ტკივილის ფასად ახერხებდა თითების მოხრას. შემდეგ ხელებიდან ტყავი გადასძვრა—ჯერ ერთი ფენა, შემდეგ მეორე, მეოთხე, მეექვსე... ტანჯვა-წამება ერთი წუთითაც არ წყდებოდა. ექიმებს ვერ გაეგოთ, რას წარმოადგენდა ეს უცნაური დაავადება. ამას დაერთო საერთო ნერვიული აშლილობა; ზოგჯერ ისე უმწეო ხდებოდა, გემბანზეც ვერ ახერხებდა მოძრაობას იმის შიშით, რომ მტკივნეული ხელების წავლება დასჭირებოდა რაიმეზე. ნერვიულმა აშლილობამ სულიერ მდგომარეობაზეც იმოქმედა: გაუხსენა დევნის მანიამ—თითქოსდა მის წინააღმდეგ რაღაც ჭანიზრახეს, ყველამ პირი შეკრა, რათა ხელი შეუშალონ მას ქვეყნის გარშემო მოგზაურობის დასრულებაში.

გაჭირვებებმა და საშიშროებებმა ჯეკი ვერ შეაშინა; ხარჯებმა და დაცინვებმა მხოლოდ უფრო განამტკიცა მისი გამბედაობა. მაგრამ ავადმყოფობამ იგი ბოლოსდაბოლოს სავსებით მოტეხა. ძალ-

ღონეგამოლეული მოელაპარაკა ერთ სამსახურიდან გადამდგარ კაპიტანს, რომ იგი უპატრონებდა „სნარკს“, თვითონ კი სიდნეიში მიმავალ გემ „ნაკომბაზე“ ბილეთები შეუკვეთა თავისთვის, ჩარმიანის, მარტინ ჯონსონისა და ნაკატასათვის.

გამგზავრების წინა ღამეს იგი მარტო ავიდა „სნარკზე“. სავსე მთვარე დანათოდა იმ გემის გემბანს, რომლის შექმნის იდეა მის გონებაში ჩაისახა, და რომელიც მისი ხელმძღვანელობით დავაკაცდა: აქ მისთვის ძვირფასი იყო ყოველი წვრილმანი, მას უყვარდა „სნარკი“—მისი ნაკლოვანებანი და სუსტი მხარეებიც კი. ისინიც ხომ მისი ხელების ნაყოფია. კეჩმა გაამართლა მასში დაბანდებული ყოველი დოლარი, მასზე დახარჯული ენერგიის ყოველი წვეთი, ყველა შეურაცხყოფა და დაცინვა, რომლებიც ჯეკმა გადაიტანა. დროდადრო „სნარკი“ თვითნებობდა, დახეტიალობდა, სადაც მოესურვებოდა; ზოგჯერ ვერ უმკლავდებოდა თავის მოვალეობებს. მიუხედავად ამისა, იგი მაინც პირნათლად მოემსახურა პატრონს, მორჩილად და უვნებლად გადაატარა იგი ოკეანეთა ათასობით მილის სივრცეზე, აჩუქა მას მდიდარი ეგზოტიკური შთაბეჭდილებები, რომლებსაც იგი გაიხსენებს მოღრუბლულ, ნაღვლიან დღეებში. ერთად, შეუდრეკლად შეჰყურებდნენ ისინი სიკვდილს თვალებში, ერთად ებრძოდნენ შტორმებს, მედგრად იდგნენ წვიმასა და ქართან ჭიდილში; უძრავად იწვნენ ეკვატორულ უქარო ზოლში; თბებოდნენ კაშკაშა, მცხუნვარე მზეზე და შეჰხაროდნენ ზღვის მარილიან ჰაერს. „სნარკი“ კარგი მეგობარი იყო. ჯეკმა გამოთხოვებისას მტკივნეული ხელით მიუალერსა მის მოაჯირებს, მოწყობილობას, ანძებს და გულწრფელი სენტიმენტალური ცრემლები გადმოსცვივდა, როცა გაიფიქრა, რომ მეგობრებს სწორედ ასე ემშვიდობებიან.

ზღვაზე ოცი მძიმე, მტანჯველი დღის გატარების შემდეგ იგი სიდნეის საავადმყოფოში დაწვა. ხუთი კვირა გაკრული იყო საავადმყოფოს თეთრ სარეცელზე. ავსტრალიელი სპეციალისტები ჩიხში მოექცნენ: მედიცინის ისტორიამ დღემდე არ იცოდა ასეთი დაავადება. „მე ბავშვივით უძლური ვარ. ხელები მისკდება ხოლმე და ჩვეულებრივზე ორჯერ უფრო მსხვილი ხდება; ამასთანავე მათგან ერთდროულად შვიდი ფენა კანი მძვრება. დღე-ღამის განმავლობაში ფეხის ფრჩხილები ისეთივე სისქისა ხდება, რაც სიგრძე აქვთ“...

დარწმუნებულმა, რომ საავადმყოფოში ვერ უშველიდნენ, ჯეკ-მა სიდნეიში ყოფნის მომდევნო ხუთი თვე ჯერ სასტუმროებში გა-ატარა, შემდეგ კი ბინა დაიქირავა იმ იმედით, რომ რაიმე სამკურ-ნალო საშუალება „სნარკზე“ დაბრუნებას შეაძლებინებდა. წერა მას არ შეეძლო—აბა, როგორ! იგი ისეთ ტკივილებს განიცდიდა, რომ კითხვასაც ძლივს ახერხებდა. ბერნსისა და ჯონსონის სპორ-ტული ბრძოლის რეპორტაჟი—აი, ერთადერთი, რისი გაკეთება მაინც შესძლო ავსტრალიაში. ღიმილი, რომელზედაც სულ რა-ღაც ერთი წლის წინ წერდნენ, „არ სცილდება მის სახესო“, უკვა-ლოდ გაჰქრა: ახლა იგი იყო უბრალო ახალგაზრდა კაცი, გაუგება-რი სნეულებით გულდამძიმებული და თავგზააბნეული.

1909 წლის მაისის დასაწყისში ნათელი გახდა, რომ თუ ჯეკ-ლონდონი შინ არ გაემგზავრებოდა, მისი ძვლები ისევე გარდუვა-ლად დარჩებოდა ტროპიკებში, როგორც, ვთქვათ, მაშინ, ახალ-ჰერბიდის ბუშმენებს თავი რომ მოეჭრათ და „კაი-კაი“ მოეწყოთ. მან შტურმანი და მარტინ ჯონსონი სოლომონის კუნძულზე გაგზავნა, რათა მათ „სნარკი“ სიდნეიში მოეყვანათ. „სნარკი“ მე სავაჭრო-გემის ლოთი კაპიტნისამარა დავტოვე და იმ დროისათვის, როცა კეჩი სიდნეიში მოიყვანეს, მასზე ძალიან ცოტა რამ იყო დარჩენი-ლი. აქამდე ვმარჩიელობ და ვერ მივმხვდარვარ, რა მოუვიდა ჩემს ავტომატურ შაშხანებს, გემის მოწყობილობებს, სანადირო თო-ფებს, ორ ფოტოაპარატს და სამი ათას ფრანგულ ფრანკს“. ჯეკმა „სნარკიდან“ გადმოიტანა თავისი პირადი ნივთები და გემი აუქციო-ნიდან გაიყიდა სამი ათას დოლარად. ბედმა დასცინაო, რომ იტ-ყვიან, სწორედ ისე მოხდა: იგი ერგო პიროვნებებს, რომლებიც სოლომონის კუნძულების მცხოვრებთაგან მუშებს აგროვებდნენ პლანტაციებზე კატორღული სამუშაოსათვის. ასეთი დასასრული ეწვია მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი სოციალისტის მიერ აგე-ბულ გემს.

1909 წლის 23 ივლისს, ორ წელიწადზე მეტი ხნის მოგზაურო-ბის შემდეგ, მან სან-ფრანცისკოს ნავსადგურში კორესპონდენტებს ასე განუცხადა: „საშინლად დავიღალე და სახლში დაებრუნდი, რათა კარგად დავისვენო.“ მას მძიმე ტვირთად აწვა აურაცხელი ვალები, ჯანმრთელობა მეტად შერყეული ჰქონდა, ამერიკული გა-

ზეთები მისდამი ან მტრულად იყვნენ განწყობილნი, ანდა გულგრილად. ჟურნალების რედაქტორებმა უკანასკნელი წლის განმავლობაში ჯეკ ლონდონისაგან ძალიან მცირე ნამდვილი ნაწარმოები მიიღეს და ფიქრობდნენ, იგი საბოლოოდ გამოიფიტაო. მკითხველებსაც კი მობეზრდათ მისი უკანასკნელი ნაწარმოებები. სრულიად სამართლიანად სდებდნენ ბრალს ავტორს იმაში, რომ სამი გმირიდან მოთხრობის დასასრულს ოთხი კვდებოდა. ეს იმას წააგავდა, ჯეკს რომ უხეირო მართვის შედეგად გემი მარჯნის ტროპიკულ ბრაგებზე დაესვა და იგი იქ დიდ ტალღას ნელა, ნაწილ-ნაწილად დაუმსხვრია.

IX

სიდნეიდან აქეთობას გზაში ჯეკს უკითესობა დაეტყო. ნელა მოცურავდნენ სამხრეთ ამერიკისა და პანამის არხის გავლით. შინ დაბრუნებულს ზომიერმა კალიფორნიულმა ჰავამ მალე აღუდგინა ნორმალური მდგომარეობა. ერთხელ, შემთხვევით წააწყდა წიგნს სახელწოდებით „ტროპიკული განათების მოქმედება თეთრებზე", საიდანაც შეიტყო, რომ მის უცნაურ დაავადებაში არაფერია ავისმომასწავებელი—თურმე მისი კანი ტროპიკული მზის ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედების შედეგად იშლებოდა. ჯეკი დამშვიდდა და ამ ფსიქოლოგიურმა გარდატეხამ განაპირობა მისი სავსებით გამოჯანმრთელება. აგვისტოში იგი უკვე მდინარეში ცურაობდა, რომელზეც ისევ მოაწყო საგუბარი და უოშო ბანაზე შემჯდარი დადიოდა ჰილისა და ლამოტის რანჩოში, სუნთქავდა სალბის ცხელსა და სამკურნალო ჰაერს, ფიჭვისა და სიცხით გადატრუსული მშობლიური მიწის სურნელს.

სტუმრებისათვის სახლების შენება, რომელთა შესახებ მისის ეიმსს სწერდა სოლომონის კუნძულებიდან, აღარავის მოსვლია ფიქ-

რად. ამიტომ ჯეკი ისევ უეიკ რობინში დაბინავდა, სახელდობრ ომ მინაშენში, რომელიც მისი არყოფნის დროს ააგეს. იგი ისეთი ადამიანი როდი იყო, ძველი წყენა გაეხსენებინა ვინმესათვის! პატივისცემით გაისტუმრა ნინეტა ეიმსი, უყიდა ჩვიდმეტი აკრი ფართობის მამული „თევზის რანჩოს“ სახელწოდებით, რათა ძროხის მოსაძოვებელი ადგილი ჰქონოდა, ხოლო როცა როსკო ეიმსს გასცილდა და ედუარდ პეინს გაჰყვა ცოლად, საქორწინო ტუალეტი და ხუთასი დოლარი აჩუქა.

ჯეკს უვლიდა და საჭმელს უმზადებდა საზრიანი ნაკატა, მის მყუდროებას ჩარმიანი იცავდა, თვითონ კი სერიოზულად ჩაუჯდა მუშაობას.

უპირველეს ყოვლისა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, საქმეები უნდა მოეყვანა წესრიგში: მან უკან დაიბრუნა ბაზარზე გასული თავისი ყველა ხელნაწერი და გამომცემლებს შეატყობინა, რომ დიდი ხნით ჩამოვიდა შინ, ჩამოიტანა ჩინებული მასალა და ამიერიდან ყოველგვარ გაუგებრობას ბოლო მოეღება. სამი თვის განმავლობაში ჟურნალებში არც ერთი სტრიქონი არ გამოჩენილა მისი ხელმოწერით—საუკუნის დასაწყისში გამოცემულ „ჩრდილოეთის ოდისეას“ შემდეგ ამერიკელი მკითხველები პირველად დარჩნენ ჯეკ ლონდონის გარეშე. ეს თვეები მან გმირულ შრომას შესწირა: ყოველდღე თორმეტი საათის დაძაბული მუშაობა, კვირაში შვიდი სამუშაო დღე—აი, განრიგი, რომელსაც დაუმორჩილა თავისი თავი ჯერ კიდევ მოწაფეობის დროიდან. ჯეკმა იცოდა, რომ მკითხველის განწყობის დაბრუნება უფრო ძნელია, ვიდრე მისი მოპოვება. გამომცემლებისა და კრიტიკოსების აზრით, იგი უკვე გამოიფიტა, დასცალა ყველა თავისი ვაზნა და ხალხს თავი მოაბეზრა. კეთილი! ჯეკმა იცოდა, რომ მხოლოდ ოდნავ შეახო ხელი მშვენიერი, ამაღელვებელი ამბების მარაგს, რომელთა გაცნობაც მხოლოდ მას ხვდა წილად.

გამოვიდა „მარტინ იდენი“ და თუმცა ეს ნაწარმოები უკეთესი მიღების ღირსი იყო, ვიდრე ლონდონის ყველა დანარჩენი ნაწარმოები, მაგრამ არამეგობრულად განწყობილი კრიტიკოსები მას ან აგინებდნენ, ანდა აგდებულად იხსენიებდნენ. ბრეტმა პრესის შეფასებაში რეკლამისათვის ვერც ერთი საქებარი სტრიქონი ვერ

აღმოაჩინა. ჯეკი ჩიოდა, რომ კრიტიკოსებმა ვერ გაიგეს, რომ რეცენზენტები ბრალს სდებენ, თითქოს ჩამოშორდა სოციალიზმს და მაცდუნებლად ხატავს ინდივიდუალიზმს, მაშინ როცა სინამდვილეში მისი ნაწარმოებები აშიშვლებს ნიცშესეული ზეკაცის ფილოსოფიას. ეპტონ სინკლერისადმი გაგზავნილ „მარტინ იდენის“ ეგზემპლარზე მან წააწერა: „მარტინ იდენის“ შექმნის ერთ-ერთი ძირითადი იდეა იყო ინდივიდუალიზმის დაგმობა. ალბათ, ვერ დავძლიე სამუშაო, რადგან სწორედ ეს იდეა ვერ შენიშნა ვერც ერთმა რეცენზენტმა.“ არა, მან დასძლია სამუშაო. უბრალოდ, ჯეკმა დაწერა ადამიანის ცხოვრების ისეთი მიმზიდველი ისტორია, რომ სადღაც გზაში დაჰკარგა თავისი საწინააღმდეგო ფილოსოფიური შეხედულებები. მას რომ სცოდნოდა, „მარტინ იდენი“ ამერიკელ მწერალთა მთელი თაობის შთაგონების წყარო გახდებოდა, რომ ოცდაათი წლის შემდეგ ეს ნაწარმოები უდიდეს ამერიკულ რომანად იქნებოდა აღიარებული, ასე გულნატკენი აღარ იქნებოდა ამ ცივზე უფრო ცივი შეხვედრით.

რაც უფრო მეტ ვალს იღებდა ჯეკი, მით უფრო უკეთესად მუშაობდა; რაც უფრო მეტი უპირატესობა იყო მოწინააღმდეგის მხარეზე, მით უფრო მეტი აღგზნებით ებმებოდა ბრძოლაში. იგი შეუდგა თამამად ჩაფიქრებული რომანის „დრო-არ-იცდის“ წერას, რომელიც მიძღვნილია კლონდაიკისა და სან-ფრანცისკოსადმი; ოთხი საუკეთესო მოთხრობა დაწერა სამხრეთის ზღვების შესახებ; ხალხურ დიალექტზე შექმნა ორი ამაღელვებელი ამბავი — „სამუელი“ და „ზღვის ფერმერი“, რომლებშიც მოქმედება ირლანდიის სანაპიროზე ვითარდება. მრისხანება ყოველთვის იყო მისი ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მამოძრავებელი ძალა. იგი სიგიჟემდე იყო მისული: კინაღამ თავი არ შესწირა მოგზაურობას, კრიტიკოსებმა კი გამოაცხადეს, ჯეკ ლონდონი გამოწურული ლიმონიაო — მოდი და ნუ გაბრაზდები! ოცი ტომის გამოცემის შემდეგ ყოვლისმშთანთქმელი შემოქმედებითი აღფრთოვანება რამდენადმე მინელდა და ახლა იგი თავის ყოველდღიურ ნორმას მდგომარეობის გავლენით ასრულებდა. უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში ეს უღელი უცვლელად ისე მძიმე რჩებოდა, რომ უნებლიეთ ეკვდები: შეიძლება ჯეკი განგებ არ იხდიდა ვალებს, რადგან ეს ხელს უწყობ-

და მუშაობაში. „მე, თანმიმდევრულად ყოველდღე ვუმატებ ჩემს რომანს ათას სიტყვას, და ამ გრაფიკის შეცვლევინება მხოლოდ საშინელ სამსჯავროზე მიმხმობ საყვირის ხმას თუ შეუძლია“.

ჯეკი ისე კეთილსინდისიერად და ნაყოფიერად მუშაობდა, რომ ნოემბრისათვის დაამთავრა თავისი საკეთესო მოთხრობა მოკრივეებზე — „ხორცის ნაჭერი“ — და იგი ჟურნალ „სატერდეი ივნინგ პოსტს“ მისცა შვიდას ორმოცდაათ დოლარად, თანაც ხელშეკრულება დაუდო, რომ მომავალ წელს წარუდგენდა კიდევ თორმეტ მოთხრობას. დაამთავრა თუ არა „დრო-არ-იცდის“, ნიუ-იორკის ჟურნალ „ჰერალდს“ შვიდი ათასად გადასცა მისი სერიული გამოცემის უფლება. რომანის ხელახლა გამოცემაზე განსაკუთრებული უფლების მიღებისთანავე, „ჰერალდმა“ იგი იმდენჯერ გაყიდა, რამდენმა გაზეთმაც სურვილი გამოთქვა მის შეძენაზე. ამასთანავე მან დაიწყო ჯეკ ლონდონისა და მისი რომანისადმი მიძღვნილი მხურვალე წამახალისებელი სტატიების ბეჭდვა, ხოლო ასობით გაზეთი, რომლებიც სერიული გამოცემის უფლებას ყიდულობდნენ, იბეჭდავდა ამ სტატიებს. ბეჭდვითი სიტყვის ამ კეთილმოსურნე კომპანიამ გაანეიტრალა ის დაცინვანი და შეურაცხყოფანი, რომელთაც ჯეკი უკანასკნელ დროს ისმენდა.

„დრო-არ-იცდის“ ერთ რიგში უდგას ამერიკული რომანის ისეთ მნიშვნელოვან წარმომადგენლებს, როგორიცაა „წინაპართა ძახილი“, „ზღვის მგელი“, „რკინის ქუსლი“, „მარტინ იდენი“, „ჯონ ქერის მარცვალი“, „მთვარის ხეობა“ და „ვარსკვლავთა შორის მოხეტიალე“. რომანის პირველი მეასედი, სადაც ლაპარაკია ალასკის იმდროინდელ ისტორიაზე, ვიდრე კლონდაიკში ოქროს აღმოაჩენდნენ, და იმის შესახებ, თუ როგორ მისდევდა დრო-არ-იცდის ფოსტას ხერკლი სიტიდან დაიოში, — ყველაზე მომხიბვლელია იმათ შორის, რაც კი ყინულოვან ჩრდილოეთზე ოდესმე დაწერილა. გლენელენის სილამაზის აღწერა — რომანის უკანასკნელი მესამედი — ნათლად მოწმობს, თუ როგორი თავგამოდებით უყვარდა ავტორს ბუნება და ისიც, თავის მხრივ, წინ უშლიდა თავის სიმშვენიერეს, თავის ნაზ მომხიბვლელობას. მაგრამ ლონდონის ჭეშმარიტი დამსახურება იმაში მდგომარეობს, თუ რა დიდი ოსტატობით აქვს მას ჩაქსოვილი თავისი სოციალისტური შეხედულებები რომანის „დრო-

არ-იცდის“ შუა ნაწილში, რომელიც თითქოსდა ფაბულური, თავგადასავლური ნაწარმოების სახით არის დაწერილი. ფილოსოფია ხდება მოქმედების განუყოფელი ნაწილი, იგი იპყრობს მკითხველს; თვითონაც ვერ ხვდება, ისე ითვისებს მკითხველი მას, როგორც თხრობის მსვლელობით გამოწვეულ რაღაც ბუნებრივსა და აუცილებელს. მკაცრად უსწორდება ყაჩაღებს — ქალაქ სან-ფრანცისკოს ბიზნესმენებს, და მერე ნიცშესებურად მოაზროვნე ეს ქერათმიანი გაიძვერა, მეკობრე დრო-არ-იცდის ასე მსჯელობს: „თაობიდან თაობამდე სიმდიდრის წყაროდ რჩება შრომა. იქნება ეს ერთი ტომარა კარტოფილი, როიალი თუ შვიდადგილიანი ავტომანქანა, ყველაფერი შრომამ შექმნა და არა სხვა რამემ. ყალთაბანდობა უკვე შემდეგ იწყება—როცა საქმე გაყოფაზე მიდის. ასი ათასობით ადამიანი თავს იმტვრევდა იმაზე, რა ფანდი ეხმარა, რომ მუშებსა და მათ მიერ შექმნილ სიმდიდრეს შუა აღმოჩენილიყო. ასეთ გაიძვერებს ბიზნესმენებს უწოდებენ. იმ ლუკმის სიდიდე, რომელსაც ეს გაიძვერა მიიტაცებს, საბართლიანობის კანონებით კი არ განისაზღვრება, არამედ მუშტის ძალით და უსინდისობის ხარისხით. იქ ყოველთვის მოქმედებენ პრინციპით: „მიდი ბოლომდე, ვიდრე არ გასკდება“.

ჯერ კიდევ მთვლემარე ამერიკისათვის 1910 წელს ამის თქმა აშკარა მკრეხელობა იყო—ნამდვილი პროლეტარული მწერლის სიტყვები. და იმის გამო, რომ მწერლის ეს შეხედულება ზერელე კი არაა, არამედ თითქოს ორგანულად ერწყმის გმირის დაკვირვებებსა და დასკვნებს, ეს ნაწარმოები არ ჰკარგავს თავის პოლიტიკურ მიმართულებას და, იმავე დროს, ხელოვნების ქმნილებასაც წარმოადგენს. როცა „რკინის ქუსლი“ გამოვიდა, ჯეკს უსაყვედურეს, საშუალო დონის პროპაგანდის გულისათვის პირველხარისხოვანი რომანისტი დაღუპეო. ჯეკი მაშინ მათ პასუხობდა: მას შეუძლია პროპაგანდა და ხელოვნება ისე მჭიდროდ შეაკავშიროს, რომ მკითხველი ვერც მიხვდება, სად გადის მათ შორის ზღვარი. რომანში „დრო-არ-იცდის“ მან წარმატებით გაართვა თავი ამ ძნელ ამოცანას. მილიონობით მკითხველი გატაცებით ადევნებდა თვალს „დრო-არ-იცდის“ მდაუარი მოქმედი პირის საგმირო საქმეებს. ასე დაიბრუნა ჯეკ ლონდონმა, როგორც სოციალისტი, ისე ბურჟუაზიული მკითხველის განწყობა.

ამგვარად, დადასტურდა, რომ ჯეკს შემოქმედებითი ძალის ერთ-

წვეთიც არ დაუკარგავს! ამავე დროს ჩარმიანმა განუცხადა, რომ ბავშვს ელოდებოდა — აი, მოვლენა, რომელიც ღირს ზარბაზნების სალუტით აღნიშნო! ჯეკმა ხელი მოჰკიდა თავისი ცხოვრების კიდევ ერთი უდიდესი ოცნების განხორციელებას. მან დაიწყო სახლის შენებლობა, სადაც თავისი სიცოცხლის დასასრულამდე ფიქრობდა ცხოვრებას. სახლის ასაშენებლად მან განსაცვიფრებელი ნაკვეთი შეარჩია ჰილის რანჩოს ერთ-ერთ კანიონში, რომელიც გარშემორტყმული იყო სექვოიებით, ვენახით, შავი ქლიავის ბაღებითა და მანსანიტის ტყეებით. ახალ სახლში საკმაო ადგილი იქნებოდა იმ ოთხი ათასი ტომისათვის, რომელნიც მან შეაგროვა თავის ბიბლიოთეკაში, თეთრი მუყაოს უამრავი კოლოფისათვის, რომლებშიც იგი აწყობდა ოფიციალურ ანგარიშებს, სოციალისტურ ბროშურებს, გაზეთებიდან ამონაჭრებს, შენიშვნებს ნაციონალური დიალექტების, სახელებისა და ზნე-ჩვეულებების შესახებ, ლექსებისათვის, რომელთაც ძველებურად წითელყდიან საქაღალდეებში აკერებდა. აქვე დაეტევა საქმიანი და პირადი კორესპონდენციით თავამდე გატენილი ფოლადის საარქივო კალათები და შავი ვიწრო ყუთების მთელი რიგი—ოცდაათ-ოცდაათი სიმაღლეში—სადაც ინახავდა თავის განძეულობას, სუვენირებს გზისა და ალასკის დროიდან. სუვენირებს, რომელნიც კორეიდან და სამხრეთის ზღვებიდან ჩამოიტანა; ასობით სახუმარო სათამაშოებს, თავსამტვრევებს, წყლის პისტოლეტებს, ლითონის მონეტებს, რაღაც განსაკუთრებული ბანქოების დასტებს; შეეძლება კომფორტი შეუქმნას სტუმრებს, ყოველ ოთახში იქნება ელექტროგანათება და წყალსადენი; გრილ ნახევარსარდაფში მოეწყობა უზარმაზარი დასასვენებელი ოთახი მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცებისათვის. იქ შესაძლებელი იქნება სერიოზული ლაპარაკი პოლიტიკაზე, ანეკდოტების მოყოლა, წრის, პოკერის, ბილიარდის თამაში, ხმაური და პამპულობა, რამდენიც მოესურვებათ. იქნება მუსიკის მშვენიერი ოთახი, სადაც დაკვრით შეიქცევენ თავს ჩარმიანი და მისი მრავალრიცხოვანი მეგობარი-მუსიკოსები; უზარმაზარი სასადილო, სადაც სუფრასთან თავის მოყრა შეეძლება ორმოცდაათ კაცს, რათა დასტკბენ ჩინებულად დამზადებული საჭმელებითა და სასიამოვნო საუბრით; სახლის პატრონის სექვოიით მოპირკეთებულ საძილე ოთახში საკმაო ფართობი იქ-

ნება მოხერხებულად ჩაფიქრებული ღამის მაგიდისათვის, რომელზედაც მოთავსდება ნაკატას მიერ ღამისათვის მომზადებული ყველა ატრიბუტი — ახლა მასზე ისეთი სივიწროვეა, რომ ჩაცივებული სასმელი მუდამ წიგნზე ეღვრება. ბოლოს და ბოლოს მას ექნება მოხერხებული სამუშაო ოთახი დიქტოფონით და გამოცდილი მდივნისათვის სპეციალურად გამოყოფილი ფართობით.

ჯეკი აცხადებდა, რომ იშენებს „საგვარეულო ციხე-დარბაზს". ალასკელი ინდიელები თეთრკანიან დამპყრობს „მგელს" ეძახდნენ. ამ სიტყვამ დაიპყრო ჯეკის წარმოსახვა — მან ხომ მანამდეც თავი მძლეთამძლედ — მგლად წარმოიდგინა. თავისი ნაწარმოებისათვის სახელწოდებათა შერჩევის დროსაც სარგებლობდა ამ სიტყვით: „მგლის შვილი", „ზღვის მგელი", ჯორჯ სტერლინგისათვის გაგზავნილ წერილებსაც ასე აწერდა — „მგელი", ახლა კი „მგლის სახლს" აშენებდა — თეთრკანიანთა დიდი ბელადის სახლს. მას მთელი არსებით, სულითა და გულით სჯეროდა, რომ ჩარმიანი ვაჟს აჩუქებდა, რომელიც გახდებოდა ლონდონთა დინასტიის მამამთავარი და სამუდამოდ დამკვიდრდებოდა „მგლის სახლში."

მტკიცედ გადაწყვიტა, სახლი უთუოდ ყველაზე ლამაზი და ორიგინალური ნაგებობა ყოფილიყო მთელს ამერიკაში; ამის მისაღწევად მზად იყო ყოველგვარი ხარჯი გაეწია. სახლი მასიური წითელი ქვისაგან უნდა აშენებულიყო, რომლითაც უჩვეულოდ მდიდარი იყო „მთვარის ხეობა"; ხის კონსტრუქციები დამზადდა სექვოიისაგან, რომელთა წლოვანება ათობით ათასი წლით განისაზღვრებოდა. სან-ფრანცისკოდან მოიწვია არქიტექტორები და ბევრი ბედნიერი საათი გაატარა მათთან ერთად ფიქრებში ნახაზებზე, ოთახების განლაგების დაზუსტებაზე, ექსტერიერის ისეთნაირად დაპროექტებაზე, რომ შენობა ორგანულად შეხამებოდა გორაკებს. სანტა-როზაში მან მოძებნა დახელოვნებული კალატოზი — იტალიელი ფორნი და ისეთი სახლის აგება უბრძანა, რომელიც საუკუნეებს გაუძლებდა: ქვის ყოველი დიუმი უნდა გაირეცხოს წყლით და გაიფხიკოს ფოლადის ჯაგრისით; კედლები მტკიცედ უნდა იდგნენ — ამისათვის საჭიროა მეტი ცემენტი და ნაკლები კირი და, რომ ერთ-ერთი მუშა გამუდმებით უნდა ასველებდეს კედლებს, მაშინ ისინი მეტად ჩქარა არ გამაგრდება და არ დაიფშვნება. სართულებ-

შორისი გადახურვა ორმაგი უნდა იყოს, აქა-იქ — სამმაგიც; შიგნითა ტიხრები მთლიანი მორებისა იქნება, ამასთანავე, მეტი სიმტკიცისათვის, გარეთა მორები დგარებს ჭანჭიკებით მიემაგრება; სახურავის ღარები, აგრეთვე წყალსადენის ყველა მილი, უნდა გაკეთდეს სპილენძისაგან.

როგორც თავგამოდებული ინდივიდუალისტი, იგი აპირებდა საკუთრად აეშენებინა უგრანდიოზულესი სასახლე ამერიკაში. როგორც სოციალისტს, განზრახვა ჰქონდა მშენებლები უზრუნველეყო კარგი სამუშაოთი და ოცდასამი ოთახიდან მეტი ნაწილი სტუმრებისათვის დაეთმო. საქმის დასაჩქარებლად, ფორნის განკარგულება მიეცა მშენებლობაზე ოცდაათი კაცი აეყვანა.

1910 წლის გაზაფხულზე ჯეკმა მეტად გონივრული ნაბიჯი გადადგა — თავისთან მუდმივ საცხოვრებლად მოიწვია ელიზა ლონდონ-შეპარდი და მას გადასცა გამგებლობაში მთელი რანჩო. მისის შეპარდი უკვე ორმოცდასამი წლისა იყო. ცოტა მწუხარება და სულიერი ტკივილები როდი გადაიტანა მან მას შემდეგ, რაც მამისეული რანჩო დატოვა ლივერმორში. ეს შეუხედავი, თავმდაბალი, პატიოსანი, მოხერხებული დ პრაქტიკული ქალი ძველებურად საყვარელი იყო. ქმარს რომ პატენტების ბიუროს საქმეების წარმოებაში წაშველებოდა, საკუთარი სურვილით იურისტი გახდა. ეს უბრალო, ჭკვიანი და უპრეტენზიო ქალი ყველას სიმპათიით სარგებლობდა; წლების განმავლობაში ჯეკის ერთგული მეგობარი იყო და ისევე ნაზად უყვარდა იგი, როგორც საკუთარი ვაჟი ირვინგი.

ვერც კი მოასწრო ელიზამ ხელთ აეღო მმართველობის სადავეები, რომ მაშინვე გართულდა მისი მოვალეობები: ჯეკმა იყიდა კოლერის ის ვენახები, რომელზედაც ისე ხშირად სწერდა ნინეტა ეიმსი ჯერ კიდევ „სნარკზე“ მოგზაურობისას. ეს რვაასი აკრი ფართობის ნაკვეთი აერთიანებდა ჰილის, ლამოტისა და სათევზაო რანჩოებს. ვენახები ოცდაათი ათასი დოლარი დაუჯდა, მაგრამ იმ დროს მის განკარგულებაში ამ თანხის მხოლოდ ნაწილიღა იყო, რადგან უკვე დაწყებული ჰქონდა „მგლის სახლის“ მშენებლობა, და ისიც ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, ასევე ოცდაათი ათასი უნდა დამჯდარიყო. რამ აიძულა ჯეკი შეეძინა ეს რვაასი აკრი მიწა მაშინ, როცა გადახდის საშუალება არ ჰქონდა, როცა მას ისედაც ბევრი ჰქონდა შესა-

ნიშნავი მიწები: იცხოვრე, დაამუშავე, დატკბი. ისე, უბრალოდ, შეიძლება იაფი მოეჩვენა და იმიტომ: რაღაც ოცდაათ ათასს გადაიხდიდა და ასეთი მშვენიერი ადგილი მისი გახდებოდა. მისი ორი რანჩო გაერთიანდებოდა, საითკენაც არ უნდა გაეხედა, ყველგან სრულუფლებიანი პატრონი იქნებოდა... თუმცა ჯეკი ყოველთვის ამბობდა, რომ ძნელია ასეთი საქციელის ახსნაო. „მომწონს“, — მორჩა და გათავდა. „ფილოსოფია მთელი თვე საფუძვლიანად და მოსაწყენად ჩასჩიჩინებს ინდივიდუუმს, თუ რა უნდა გააკეთოს მან, ინდივიდუუმი კი, ვერც კი მოასწრებ თვალის დახამხამებას, რომ გეტყვის: „მე კი ასე მომწონს“, — და ფილოსოფიაც, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, გაქრება. „მე მომწონს“ — აი, რა აიძულებს ლოთს სმას, ხოლო მრავალტანჯულს — ძაძის ტარებას. აი, რა აიძულებს ერთს—ეძებოს დიდება, მეორემ — ოქრო, მესამემ — სიყვარული, მეოთხემ—ღმერთი“. ჯეკს ვენახები მოეწონა და შეიძინა კიდეც.

1910 წლის ივლისში ისევ გაფრინდა აღმოსავლეთისკენ გულშემზარავი წერილები თხოვნით, გადმოეგზავნათ ფული. „მწვავედ განვიცდი უფულობას იმის გამო, რომ ათი ათასი დოლარი უნდა გადავიხადო შეძენილ ნაკვეთში. ვითხოვე შეწყალება და გადახდის ვადა 26 ივნისამდე გადამიდეს; მაგრამ თუ ამ დროისათვისაც ვერ შევძელი ფულის შეტანა — მარტო მიწა კი არ იკარგება, არამედ ბეც“.

ბავშვის მომლოდინე ჩარმიანი ოკლენდში გაემგზავრა. ჯეკმა მუშების მთელი ჯარი დააყენა ახალი საცხენოსნო ბილიკის გასაწმენდად. ბილიკი მის სამფლობელოს აერთიანებდა და ნაკვეთს რკალავდა სწორედ იმ ადგილას, სადაც „მგლის სახლი“ შენდებოდა: მან გადაწყვიტა ცოლისათვის სიურპრიზი მოემზადებინა იმ დღისათვის, როცა ის რანჩოში ვაჟით დაბრუნდებოდა, — იმაში, რომ ამჯერად ვაჟი შეეძინებოდა, უკვე ეშვი არ ეპარებოდა. რა სასიამოვნო იყო მთელი საათობით, განუწყვეტლივი ფიქრი იმ საზეიმო წუთზე, როცა ბიჭს პონიზე შესვამდა და მემკვიდრის გვერდიგვერდ, ცხენით შემოივლიდა თერთმეტი ასეული აკრის ფართობის ნაკვეთს — ვაჟიშვილის მომავალ სამფლობელოს.

19 ივნისს ჩარმიანს ქალიშვილი შეეძინა. ბავშვმა სულ სამი დღე

იცოცხლა. გოგონა ელიზამ დაასაფლავა. გაუქარვებელ მწუხარებაში მყოფი ჯეკი ერთი შეკვრა გაზეთებით იღლიის ქვეშ, ლუდხანაში შევიდა, რომელიც მეშვიდესა და ვებსტერ-სტრიტის ქუჩების კუთხეში მდებარეობდა, იმ ზღვისპირა სამიკიტნოების ახლოს, სადაც ძველად უყვარდა შესვლა. სამიკიტნოს მეპატრონე მალდონიმ ეჰვი აიღო, რომ იგი მის დაწესებულებაში რეკლამის გასაკრავად გამოცხადდა და დაუწყო ჩხუბი, რაშიც მისი ოთხი დამქაშიც ჩაერია. მაგრად ნაცემმა ჯეკმა როგორც იქნა თავი დაიძვრინა. იგი დაჟინებით მოითხოვდა მალდონის დაპატიმრებას, მაგრამ მოსამართლემ უარი განაცხადა საქმის გარჩევაზე, გალეშილთა მუშტი-კრივს სასამართლოსთან არავითარი კავშირი არა აქვსო. საპოლიციო -უბნიდან „გალეშილთა მუშტი-კრივის“ ამბავი დაიტაცეს რეპორტიორებმა თავიანთი გაზეთებისათვის, სადაც გაორკეცებული გატაცებით ასხამდნენ ლაფს ჯეკს — აი, დახეთ, გაილეშა მაშინ, როცა ცოლი საავადმყოფოშია, ხოლო ბავშვი ეს-ესაა გარდაიცვალა. ვიღაც კეთილისმსურველებმა აუხსნეს ჯეკს, რატომ არ გაუწია მოსამართლემ მფარველობა: ის მიწის ნაკვეთი, სადაც ლუდხანაა მოთავსებული, მოსამართლის საკუთრებაა. ჯეკმა მას მრისხანებით აღსავსე წერილი მისწერა, რომლის ასლებიც გაზეთების სინდიკატებს დაეგზავნა. წერილში აღწერილი ჰქონდა საქმის ვითარება და ბოლოს ნათქვამი იყო: „ოდესმე, სადმე, როგორმე მე თქვენ სამაგიეროს გადაგიხდით და ისიც ისე, რომ ბოლომდე იგემებთ კანონის მძიმე სასჯელს“. შემდეგ მან განცხადებები მოათავსა ყველა ადგილობრივ გაზეთში თხოვნით — აცნობონ ყველაფერი, რაც გამოააშკარავებს მოსამართლის, მიწის იმ ნაკვეთის მფლობელის უკანონო საქმიანობას, სადაც მალდონის ცუდი რეპუტაციის მქონე საწარმო ჰყავისო. მას აინტერესებდა ყველა სფერო — პოლიტიკური, იურიდიული, თუ საზოგადოებრივი რომლითაც კი შეძლებდა მოსამართლის შერცხვენას. ცრუ ბრალდება მთვრალების ცემა-ტყეპაში მისი მონაწილეობის შესახებ, აშკარა საზიზღრობა იყო, მაგრამ მოსამართლის წინააღმდეგ ამერიკის ყველა გაზეთში დაბეჭდილი წერილის წაკითხვისას მკითხველნი კომიკური სასოწარკვეთილებით გადააქნევდნენ ხოლმე თავს. რჩებოდა შურისძიების მხოლოდ ერთადერთი, სამყაროსავით ძველი ხერხი: ამ ის-

ტორიის შესახებ ჯეკმა დაწერა მოთხრობა, რომელსაც უწოდა „ეჭვიანობის სარგებლიანობა“. მასში მიწასთან გაასწორა მოსამართლე. შემდეგ კი მოთხრობა გაზეთ „პოსტს“ მიჰყიდა შვიდასორმოცდაათ დოლარად.

რამდენიმე დღის შემდეგ გასიებული და ჩაწითლებული თვალით გაემგზავრა რენოში, სადაც ათი დღე დაჰყო. ნიუ-იორკის „ჰერალდისათვის“ წერდა კორესპონდენციებს სპორტულ ბანაკებში ვარჯიშების მიმდინარეობის, ჯონსონსა და ჯეფრისს შორის მატჩის შესახებ. მას უყვარდა მოკრივეთა ასპარეზობისათვის თვალყურის დევნება; ათმა დღემ, რომელიც ბანაკებში გაატარა სხვა კორესპონდენტებთან ერთად, რომელთა შორის ამ საქმეში მისი ადრინდელი მეგობრებიც იყვნენ, შეუმსუბუქა ბავშვის დაკარგვით გამოწვეული მწარე გრძნობა. მას აეკვიატა წინათგრძნობა, ისე მოკვდება, რომ ვაჟიშვილს ვერ ეღირსება, და ეს რწმენა მასში სიცარიელისა და უნაყოფობის შეგრძნებას აღვივებდა — მასში, რომელმაც ქვეყნიერებას უკვე ოცდაოთხი წიგნი მისცა.

ოკლენდში დაბრუნებულმა ახლად აღებულ ფულით პატარა იალქნიანი გემი შეიძინა. — ეს უკვე მეოთხე იყო მის ცხოვრებაში. გემს ერქვა „რომერი“, რაც „მოხეტიალეს“ ნიშნავს; ჯეკი ფიქრობდა ამ გემით სან-ფრანცისკოს ყურესთვის ირგვლივ შემოევლო. ძლივს მოასწრო ჩარმიანმა გამომჯობინება, რომ მათ არდადეგები მოაწყვეს წყალზე: მუშაობდნენ, სეირნობდნენ, ვახშმისათვის თევზს იჭერდნენ. როცა იგი გლენ-ელენში დაბრუნდა, მეზობლებმა, სამხრეთის ზღვების რომანტიკული ამბების მოსმენის იმედით ჯეკი ადგილობრივ კლუბში, ჩოვიტ ჰოლში მიიწვიეს. სცენიდან ლაპარაკზე ჯეკმა უარი განაცხადა; მაშინ თავმჯდომარემ მეზობლად მდებარე საბაყლოდან საპნის ყუთი მოიტანა; ორატორი შედგა მასზე და მთელი აუდიტორიისათვის დასანახი გახდა. გლენ-ელენის ფერმერებმა ერთი სიტყვაც ვერ გაიგონეს ტაიტიზე, ფიჯიზე, სამოაზე, თავგადასავალთა შესახებ... არა! ჯეკ ლონდონმა მთელი დრო იმისათვის გამოიყენა, რომ დაემტკიცებინა იუჯინ ვ. დებსის თეორია: „იქ, სადაც ლაპარაკია კლასობრივ ბრძოლაზე, არ არის და არც შეიძლება იყოს კარგი კაპიტალისტი ან ცუდი მუშა — ყოველი კაპიტალისტი — შენი მტერია, ყოველი მუშა კი — ამხანავი“.

ზაფხულის თვეები გადიოდა; პატარა ქალიშვილის დაკარგვით გამოწვეული გულისტკივილი შუშდებოდა. ოკლენდის ისტორიასთან დაკავშირებული უსიამოვნებებიც ქარწყლდებოდა. ყველაზე დიდი სიამოვნება ჯეკისათვის ახლა ის იყო, რომ დაუსტვენდა თავის საყვარელ „წაბლისფერ მგელს“, შეაჯდებოდა უოშო ბანას და შინდვრების გავლით, „მგლის სახლისაკენ“ გასწევდა, რათა ენახა, რა გაკეთდა დღის განმავლობაში, გამოლაპარაკებოდა ფორნის, მუშებს. განა სასიამოვნო არ არის შენიშნო, რომ მუშებიც, როცა ისინი გრძნობენ, რომ მათ ხელს უწყობენ ხელოვნების დიდი ნაწარმოების შექმნაში, სახლისადმი ისეთივე სიყვარულით იმსჭვალებიან, როგორც თვითონ! მუშები რანჩოში კარვებში ცხოვრობდნენ. მუშაობის დამთავრების შემდეგ ისინი ზოგჯერ მაღალ გორაკზე ადიოდნენ, თან არ ივიწყებდნენ ერთი დოქი ღვინისა და აკორდეონის წაღებას; იქ, თბილსა და თითქოს ახლოს მდებარე ვარსკვლავების ქვეშ, ისინი მღეროდნენ სენტიმენტალურ იტალიურ სიმღერებს. კარგ ამინდში, საღამოობით ჯეკიც ხშირად უერთდებოდა მათ, რათა ერთად ემღერათ, გადაეკრა ერთი ჭიქა მეავე წითელი ღვინო და განეხილა დღის განმავლობაში მშენებლობაზე წამოჭრილი საკითხები.

„ჯეკი საუკეთესო ადამიანი იყო, — ჰყვება ფორნი. — მე არ შევხვედრივარ მასზე უფრო ადამიანურ კაცს. ყველასადმი კეთილს ვერასდროს ნახავდი ღიმილის გარეშე. ნამდვილი დემოკრატი იყო, კეთილშობილი ადამიანი, ჯენტლმენი; უყვარდა ოჯახი, უყვარდა მუშა კაცი. ოთხი წლის სამსახურის მანძილზე მე მისგან ცუდი სიტყვა არ გამიგონია!“ როცა მუშები დასაძინებლად შეემზადებოდნენ, ჯეკი თითოეულ მათგანს ხელს ჩამოართმევდა, ტკბილ ძილს უსურვებდა და შინისაკენ გაემართებოდა ქლიავის ბაღის გავლით, ნაყოფისა და ფოთლების არომატით დამტკბარი. იქვე, გვერდით, მისი წაბლისფერი მგელი მირბოდა.

ჯეკი ჩარმიანის უსაზღვრო ერთგული იყო. ფურგონით, რომელშიც ოთხი ოჩანი ცხენი იყო შებმული, ჯეკმა მასთან და ნაკატასთან ერთად მოიარა ჩრდილოეთ კალიფორნიის, ორეგონისა და ვაშინგტონის ყველაზე მივარდნილი ადგილები. ჩარმიანი უწინდებურად შუდამ მზად იყო ყოველგვარი თავგადასავლისათვის, მასთან ერთად

დააჭენებდა ცხენს, ყვინთავდა, იალქნების ქვეშ ცურაობდა, უმღეროდა ჯეკს, მისთვის უკრავდა როიალზე, ბეჭდავდა მის ხელნაწერებს საწერ მანქანაზე, წერილებსაც წერდა კარნახით. იმავე დროს ჯეკი მეგობრულად იყო განწყობილი ბესისადმი: თვეში რამდენჯერმე მიდიოდა პიედმონტში ბავშვების სანახავად, თამაშობდა მათთან, დაჰყავდა ისინი ცირკსა და თეატრში. „მისტერ ლონდონი, — განუცხადა ბესიმ რეპორტიორებს, — ყველაფერს აკეთებს თავისი ქალიშვილებისათვის, რაც კი შესაძლებელია, და გულწრფელად უყვარს ისინი. ოკლენდში ყოფნისას ხშირად ნახულობს; საათობით ლაპარაკობენ და თამაშობენ ხოლმე ერთად. ბავშვებსაც უყვართ მამა. ან რატომ არ უნდა უყვარდეთ? რაც შემეხება მე, უკვე აღარ განვიცდი არც სიმწარეს და არც განაწყენებას. მას ვერც კი წარმოუდგენია, რარიგ ბევრს ნიშნავს ჩემთვის ის, რომ იგი ბავშვებს ასე ეპყრობა“. ბესი მადერნს ყოველთვის ახასიათებდა ტრაგიკული კეთილშობილება.

როგორღა იყო ფლორა? რაც უფრო ეპარებოდა მოხუცებულობა, ფლორა ლონდონის ახირებულობაც ძლიერდებოდა იმ შორეულ დღეებთან შედარებით, როცა იგი ქმრის საქმეებში ერეოდა. ჯეკმა მას უყიდა სახლი, მასთანვე ჩაასახლა ძიძა ჯენი, რათა დედისათვის მოევლო და ყოველთვიურად, დანიშნულ დროს, უგზავნიდა ორმოცდათხუთმეტი დოლარის ჩეკს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფლორა დადიოდა ოკლენდში მეზობლებთან და ჩიოდა, თითქოს ჯეკ ლონდონი მას არ ეხმარება, რომ ცხოვრება უჭირს. რას იზამ, საჭიროა რამე მოიფიქროს. იგი გახსნის ფურნეს — მეზობლები ხომ უარს არ იტყვიან მისგან შინაური პურის შეძენაზე? მეზობლები გულითა და სულით წუხდნენ. ღმერთო ჩემო, როგორ შეიძლება ასე უსულგულოდ მოექცე მოხუც დედას! ესეც შენი მდიდარი და სახელგანთქმული შვილი! რასაკვირველია, ისინი ყოველდღე სიხარულით იყიდიან მისგან თითო შინაურ პურს. ძალიან კარგი! ფლორამ შეიძინა ღუმელი და შეუდგა საქმეს. მალე ეს ამბავი მთელ ოკლენდს მოედო და პატარა ქალაქი შეძრწუნდა. ჯეკი თავს იმტვრევდა, როგორ შეენელებინა დედის საქმიანობა; მან დედას მისწერა მოთმინებითა და სინაზით აღსავსე წერილი, რომლის წაკითხვისას არ შეიძლება არ შეგეცოდოთ ავტორი:

„ძვირფასო დედა! მე მხოლოდ რამდენიმე ციფრი და მოსაზრებამსურს მოგიყვანო შენი ფურნის შესახებ. ყველაზე სარფიან თვეს შენ სუფთა მოგება მიიღე შვიდი დოლარი და ორმოცდაათი ცენტი. ღუმელი ღირს ოცდაექვსი დოლარი. თუ სამი თვის განმავლობაში მთელი შენი შემოსავალი — შვიდ-შვიდ-ნახევარი დოლარი — ღუმელის ვალის გადასახდელად დაიხარჯება, სამ თვეს ტყუილ-უბრალოდ მოგიწევს მუშაობა. იმავე დროს, ვინაიდან სახლში ვერაფრის გაკეთებას ვეღარ შეძლებ, ვინმე უნდა დაიქირავო. ეს კი დაგიჯდება არანაკლებ იმ შვიდნახევარი დოლარისა, რაც პურის ცხობას შემოაქვს...“ იგი ძალიან კარგად იცნობდა დედას, რომ მის გრძნობებზე ემოქმედნა, აეხსნა, რომ სახელს უტეხს მას. გადათქმევინება შეიძლებოდა, როგორც მას უყვარდა თქმა, მხოლოდ და მხოლოდ მისი „საქმიანი ალღოს“ დარწმუნებით.

წერილმა გაჭრა: ფლორამ თავი დაანება პურის ცხობას. მაგრამ რას მოახმაროს თავისი ულევი ენერგია? უცებ მოისაზრა: ბროდვეიზე გახსნის გაზეთების ფარდულს. ჯეკმა ძლივს მოასწრო ჩარევა, რათა აღეკვეთა ეს ახალი წამოწყება. მალე რანჩოში სიარულს შოუხშირეს კრედიტორებმა ფლორას ნავაჭრის ანგარიშებით — რისთვის სჭირდებოდა მას ყველაფერი ეს? მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა... ბრილიანტები, ექვსასი დოლარის ღირებულების. ჯეკი ბოლომდე ალერსიანი იყო დედისადმი, უგზავნიდა მას ყოველ ახალ წიგნს გულისამაჩუყებელი წარწერით, ერთხელაც არ წამოცდენია საყვედური, რა ზიანს აყენებს იგი თავისი ახირებული გამოხდომებით. მაგრამ მას მაინც არ ასვენებდა შიში: ვინ იცის, კიდევ რა ახალი ფუჭი „პროექტები“ მოუვა ფლორას თავში, რას ფარავს მისი იდუმალებით მოცული უჯიათი მზერა ფოლადის ჩარჩოიანი სათვალეების ვიწრო შუშებიდან? თანდათან ჯეკს დაეუფლა საშინელი ეჭვი, რომ დედამისი არასოდეს არ იყო მთლად ნორმალური. იმავე დროს კი — რა ულინაურად ეხამება ერთმანეთს ადამიანთა თვისებები — ჯონი მილერის მეხსიერებაში ფლორა დარჩა ქალთა შორის საუკეთესო, ნაზ, მოყვარულ, სავსებით ჯანსაღად მოაზროვნე დედად და მეგობრად; ხოლო ისინი, ვისაც მუსიკას ასწავლიდა, იგონებენ, ფლორა სასიამოვნო, მიმზიდველი მოხუცი მანდილოსანი იყოო.

ნებისმიერ მოთხრობაში გაზეთი „პოსტი“ ჯეკს ახლა შვიდასორმოცდაათ დოლარს უხდიდა, „კოლიერსი“ — ათასს სთავაზობდა, „ჰერალდი“ — შვიდასორმოცდაათს საშობაო პატარა მოთხრობაში; ჟურნალ „კოსმოპოლიტთან“ ხელშეკრულება დასდო მოთხრობების სერიაზე „სმოკა ბელიუზე, როგორც მან თავის გმირს უწოდა; ყოველ მოთხრობაში — შვიდასორმოცდაათი დოლარი. მაკმილანმა გამოსცა „დაკარგული სახე“, მოკლე მოთხრობების კრებული, „რევოლუცია“, ნარკვევების კრებული, და „დრო-არ-იცდის“. „დაკარგულმა სახემ“ დამსახურებულად გამოიწვია გულთბილი გამოხმაურება; ეს იყო მეტად მარჯვედ დაწერილი იუმორისტული მოთხრობა ალასკის შესახებ; მასთან ერთად: „ნდობა“, „ის ადგილი“, „სად წავიდა მარკუს ო'ბრაიენი“ და ისეთი მგზნებარე და დრამატული ნაწარმოებები, როგორიცაა „ოქროს სხივი“ და „კოცონი“. ოსტატობის ასეთი მწვერვალებისათვის მას არ მიუღწევია თავისი მოკლე მოთხრობების პირველი კრებულების — „მგლის შვილისა“ და „მისი მამების ღმერთის“ გამოსვლის დროიდან. „რევოლუცია“, რომელიც სხვადასხვაგვარი და ხარისხით არათანაბარი ნარკვევების კრებულს წარმოადგენს, გულგრილად მიიღეს, სამაგიეროდ, რაოდენ სასიამოვნო იყო ის მიღება, რაც „დრო-არ-იცდის“ ხვდა წილად — თუმცა ეს მოსალოდნელიც იყო.

ძალის, ენერგიის, გულისხმიერებისა და ბოლოს, ტალანტის შეხამებით ჯეკმა შეძლო ის, რისი ძალაც მხოლოდ ტიტანებს შესწევთ: უფსკრულის სიღრმიდან, რომლის ფსკერზე დარჩენილს მხოლოდ სიკვდილი და განადგურება ელოდა, იგი ისეთ სიმაღლეზე ავიდა, და ისიც ერთ წელზე ნაკლებ დროში, რომლისთვისაც მანამდე ვერც ერთ ამერიკელ მწერალს ვერ მიეღწია.

უეიკ რობინში დროებითი მდგმურების უფლებით ცხოვრება შეუძლებელი ხდებოდა. აშკარა იყო, რომ „მგლის სახლის“ დამთავრებამდე ორი წელი მაინც გაივლიდა, და, აი, 1911 წლის ივნისში, ჯეკმა გადადგა ნაბიჯი, რომელთანაც დაკავშირებული აღმოჩნდა მისი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი და ნაყოფიერი წლები — შეიძინა კოლერის ვენახების ცენტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელზედაც იდგა ცარიელი მარანი, მიტოვებული სახლი და რამდენიმე დამხმარე ნაგებობა. ჯეკმა განკარგულება გასცა, რომ კალატო-

ზებს სახლისათვის დიდი ტევადობის სასადილო მიეშენებინათ ვეუბერთელა ბუხრით და ფართო აივნით დასასვენებლად; შემდეგ გაეფართოვა სამზარეულო, შეაკეთა დასაძინებელი ოთახები და აივნები, რომლებიც ასევე დასაძინებელი ოთახების დანიშნულებას ასრულებდა. ერთი ოთახი სამუშაოდ გამოიყენა: კედლებზე მოაწყო თაროები წიგნების, ქაღალდებისა და კარტოთეკის მუყაოს კოლოფებისთვის. დახურული პატარა აივანი, სადაც თვითონ ეძინა, გადაჰყურებდა მყუდრო ტროპიკულ ბაღს, რომელიც სახლის წინ იყო გაშენებული; უკანა აივანი კი — გაშლილ ეზოს, მის უკან იდგა დიდი ბეღელი. ამ უკანასკნელისაგან ცხრა პატარა მოხერხებული ოთახი გააკეთებინა სტუმრებისათვის. ნაკატამ, რომელიც მთავარი განმგებელი გახდა, კიდევ ორი იაპონელი დამხმარე მუშაკი აიყვანა: ერთი — მზარეულად, მეორე კი — დამლაგებლად.

სახლი რანჩოში იმთავითვე ბედნიერი მონაპოვარი აღმოჩნდა: აქ ყველა უბრალოდ, თავისუფლად გრძნობდა თავს და შეეძლო ისე ემხიარულა, როგორც მოესურვებოდა. ჯერ კიდევ უეიკ რობინში ყველა აგარაკი და კარავი სავსე იყო ჯეკის მეგობრებითა და ახლობლებით — ერთი საწოლიც არ იყო თავისუფალი. აქ იყვნენ ჯორჯ სტერლინგიც, კლაუდსლი ჯონსიც და ჯემს ჰოპერიც, სოციალისტი ამხანაგები, ანარქისტები, კორესპონდენტები, მატროსები, მაწანწალები და კიდევ ვიღაც-ვიღაცეები, რომელნიც არც ერთ კატეგორიას არ ეკუთვნოდნენ. ახლა, როცა ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, ჯეკი სტუმრად იწვევდა მთელ ქვეყანას. ყოველი დღე „ოთხშაბათის ღია კარების“ დღე გახდა. ვინც არ უნდა ჩამოსულიყო დასავლეთში — მსახიობი. ლიტერატორი თუ ფილოსოფოსი, იგი უსათუოდ, ორი დღით მაინც შეივლიდა „ბიუტი რანჩში“—„სილამაზის რანჩოში“—როგორც ჯეკმა უწოდა თავის კარმიდამოს. ყოველ იმ ათობით ათას წერილზე, რომლებსაც იგი რანჩოდან აგზავნიდა, და რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ეგზავნებოდა იმათ, ვინც მას ეჩხუბებოდა, მტრობდა და შეურაცხყოფას აყენებდა — იგი არ ივიწყებდა წაეწერა: „ალაყაფის კარების რაზები ადვილად იღება გარედან, ხოლო საბნები და საჭმელი ყოველთვის იშოვება მეგობრებისათვის „სილამაზის რანჩოში“. გვესტუმრეთ და იცხოვრეთ, რამდენ ხანსაც გენებოთ“. დაპატიჟების მიღების მსურველი იმდე-

ნად ბევრი იყო, რომ ჯეკი იძულებული გახდა, სპეციალური პროს-პექტიც კი დაებეჭდა მითითებით, როგორ ჩასულიყვნენ გლენ-ელენ-ში სან-ფრანცისკოსა და ოკლენდიდან. იშვიათად მომხდარა, რომ ყველაფრის დამტევ — „რეზინის“ — სასადილო მაგიდასთან ათზე ნაკლებ სტუმარს მოეყაროს თავი, ხშირად თუ მეტი არა, ოცი მაინც იყო ხოლმე. მაგალითად, ერთხელ სასადილო მაგიდასთან შეიყარ-ნენ ჰაიარ დაიალი — ინგლისელთა წინააღმდეგ მიმართული ინდოელ-თა დიალისტური მოძრაობის დამაარსებელი, ერთი ამერიკელი მწე-რალ-რომანისტი, სტანფორდის უნივერსიტეტის მათემატიკის პრო-ფესორი, მეზობელი ფერმერი, ინჟინერი ლუთერ ბერბანკი, მატ-როსი, რომელიც ახლად იყო დაბრუნებული პენანგის კუნძულე-ბიდან, პრინცესა ულა ჰამფრი, მსახიობი, რომელიც სულთნის ჰა-რამხანაში იყო ნამყოფი, სამი მაწანწალა და ერთი სულელი, რომე-ლიც სახლის აშენებას აპირებდა სან-ფრანცისკოდან ნიუ-იორკამდე! როგორიც არ უნდა ყოფილიყო სტუმრების საზოგადოებრივი მდგო-მარეობა, ყველას ერთნაირად განაცვიფრებდა აქ შეკრებილი სა-ზოგადოება. მასპინძლის ზოგიერთი მეგობარი — ბრწყინვალე, მაგ-რამ უსაქმური ადამიანები, რომლებიც თვეობით არ სცილდებოდნენ რანჩოს, აბაზანას ზედმეტი ფუფუნების საგნად სთვლიდნენ და ისეთი „სურნელება“ ასდიოდათ, რომ მათ სპეციალური სახლი აუ-შენეს ტყეში. ჭამით ყველანი მაინც ერთად ჭამდნენ დიდ მაგიდაზე, ქვის სასადილოში. ათასობით ადამიანი იმყოფებოდა ჯეკთან სტუმ-რად ამ ხუთი წლის განმავლობაში: ევროპელი პოლიტიკური მოღ-ვაწეები და ფილოსოფოსები, მღვდლები, კატორღელები, დიდი ბიზნესის მაგნატები, ინჟინრები და დიასახლისები. მას მოსწყინდა მოგზაურობანი ქვეყანაზე — დაე, ახლა ქვეყნიერება თვითონ გა-მოცხადდეს მასთან. როცა სადგურ გლენ-ელენს მატარებელი მოადგებოდა, არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას ფურგონი არ დახ-ვედროდა. მას სტუმრები „სილამაზის რანჩოში“ უნდა მიეყვანა დაკ-ლაკნილი ყამირი გზების გავლით, რომელიც წინათ ტონობით ყურ-ძნის გადატანას ემსახურებოდა.

ჯეკმა აღარ იცოდა, სიხარულისაგან რა ექნა: ამ მამულის, ამ სა-ზოგადოების კეთილგანწყობილ მეთაურად ყოფნა, იმის ხილვა, რომ მეგობრებსა და ნაცნობებს მოსწონთ შენი მასპინძლობა, ცხე-

ნებით სეირნობა მის გორაკებზე, მის საწოლებზე ძილი, — ყველაფერი ეს მისთვის უმაღლესი ნეტარება იყო. მაგრამ ყველაფერზე მეტად უყვარდა გამოკითხვა, თავის თავად რას წარმოადგენდნენ მისი სტუმრები, მოსინჯვა, „თუ რა უყრიათ მათ თავში"; ხასიათის ნირი, აზრები და მსჯელობანი, ადამიანთა სუსტი მხარეები, სიტყვის კოლორიტი, ვიღაცის ცხოვრების ამბავი — აი, ქვაკუთხედი მისი ვარაუდების შესამოწმებლად. სტუმრებს კი, როგორც ამას უამრავი შეფასება ცხადყოფს, ანცვიფრებდა და აღაფრთოვანებდა მისი ნათელი გონება და სწრაფი აზროვნება, ღრმა და მრავალმხრივი ცოდნა, და, რაც მთავარია, ის სისწრაფე, რომლითაც ჯეკი იგებდა და ითვისებდა მაგიდასთან თავმოყრილი სტუმრების, მეცნიერების სხვადასხვა დარგის — ტექნიკის და ხელოვნების — საქვეყნოდ ცნობილ სპეციალისტთა სიბრძნეს. რაც არ უნდა უმნიშვნელო ყოფილიყო სტუმრების მოტანილი ცნობები—სულ ერთია, იმ მომენტისათვის, როცა მნახველი რანჩოდან წასასვლელად დაიწყებდა მზადებას, ისინიც კი უკვე მასპინძლის საკუთრებას შეადგენდა. ჯეკი ყოველთვის ისეთ თემებზე ლაპარაკობდა, რომელიც თვითონ მას კი არა, მის თანამოსაუბრეს აინტერესებდა, ოსტატურად სვამდა კითხვებს, ცხარედ კამათობდა, ეპვის ქვეშ აყენებდა ძირითად ცნებებსაც და ამასთანავე კორექტივი შეჰქონდა, აზუსტებდა საკუთარ შთაბეჭდილებებს, ცნობებს, წარმოდგენებს, მსჯელობათა მეთოდებს. სამეცნიერო დისპუტებზე მას არა ერთხელ გაუკრავს მოწინააღმდეგე ორივე ბეჭებზე თავისსავე სპეციალობაში. იგი ტკბებოდა ამგვარი გონებრივი შეჯიბრებით. „მე მზად ვარ ყოველგვარი თვალსაზრისი მივიღო", — იყო მისი საყვარელი დევიზი.

მას მაძიებელი გონება გააჩნდა, ნამდვილი მეცნიერის ცნობისმოყვარეობა; ჯეკმა თავი მოუყარა სოციალიზმის შესახებ წიგნების, ბროშურების, მოხსენებების, საგაზეთო და საჟურნალო სტატიების ერთ-ერთ საუკეთესო კოლექციას ამერიკაში, მისი სამუშაო ოთახის თაროები ჭერამდე იყო გატენილი წიგნებით, რომელთაც იგი გამუდმებით იწერდა ნიუ-იორკიდან, ინგლისიდან. „რაც შემეხება მე, ჩემთვის წიგნები არასოდეს არ იქნება საკმაო, არასოდეს მომეჩვენება, თითქოს ისინი ბევრ ადგილს იკავებენ. შეიძლება ყველა ვერც კი წავიკითხო, მაგრამ ჩემთან ხომ იქნებიან და ვინ იცის,

რომელი უცნობი ნაპირი მიხილავს ცოდნის ზღვაში მოგზაურობის დროს". სხვადასხვა დარგის სახელმოხვეჭილი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ისეთი მდიდარი ინტელექტი, როგორიც ჯეკ ლონდონს ჰქონდა, მათ არ შეხვედრიათ; მათი ერთსულოვნება ამ პუნქტში — უდიდესი პატივისცემის ხარკია ადამიანისადმი, რომელსაც ცამეტი წლის ასაკში მუშად მოუხდა მუშაობა კონსერვის ქარხანაში, რადგან მეტისმეტი სიღარიბის გამო სკოლაში სწავლა არ შეეძლო.

ალექსანდრე ირვინი გადმოგვცემს, რომ ჯეკი თითქმის ჩურჩულით, ჩუმი, ყურთასმენის დამტკბობი, ქალივით ნაზი ხმით ლაპარაკობდა. იგი მუდამ ზრდილობიანი და თავაზიანი იყო, მაშინაც კი, როცა ფარისევლობასა და სისულელეს გადაეყრებოდა, — ასეც ხდებოდა ხოლმე. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო — რანჩოში ხომ უამრავ, სავსებით უცნობ ხალხს პატიჟებდნენ. მოდიოდნენ ისეთი მამაკაცები და ქალებიც, რომელთა მრწამსი მას ეზიზღებოდა და რომელნიც ცივილიზაციის მტრებად მიაჩნდა. ეს ადამიანები იძინებდნენ, იკვებებოდნენ მის სახლში, სხდებოდნენ მის ცხენებზე და რაოდენ დიდ ხანსაც არ უნდა დარჩენილიყვნენ სტუმრად, ვერასოდეს მიხვდებოდნენ, როგორ იყო ჯეკი მათდამი განწყობილი. მის სახლში ღამე გაუთევიათ სხვადასხვა სკოლისა და მიმართულების წარმომადგენლებს, სხვადასხვა სულიერი და მატერიალური დონის, შთამომავლობის მქონე ადამიანებს... და ყველაფერი ეს იმისათვის, რომ ჯეკ ლონდონს შესაძლებლობა ჰქონოდა თავის ნაწარმოებებში აღებეჭდა მათი სულიერი სიმდიდრე და მრავალფეროვნება. იგი სტუმრებისაგან იღებდა ყველაფერს, რისი შეთავაზებაც კი მათ შეეძლოთ: სიბრძნესა და ჭვიცობას, ვაჟკაცობასა და სისუსტეს, სულმდაბლობას, მხიარულ სილაღეს. მოწინააღმდეგის უფრო ხმამაღალი დაყვირებით ან ძალით დამორჩილება ეცადა? არასოდეს! მას კამათის არსი აინტერესებდა და არა მისი შედეგი.

ყველა ერთხმად ლაპარაკობს მისი მძლავრი ნატურის უცილობელ მომხიბვლელობაზე. ქალაქ ნეიპის მცხოვრები ჯანეტ უინშიპი, რომლის მშობლები ლონდონის მეგობრები იყვნენ, იხსენებს, როგორი მოწყენა სუფევდა ხოლმე ოთახში შეკრებილ რომელიღაც კომპანიაში; სავარძელში გადაწოლილები სდუმდნენ — საუბრის-

თვის თავი ვერ მოებათ. შემოვიდოდა ჯეკი — და ოთახში თითქოს ელექტრომუხტი შემოიჭრაო. ყველანი ერთბაშად მთელი არსებით გამოცოცხლდებოდნენ. იგი უზღვავ ენერგიას ფლობდა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ იყო. ჯეკი მგზნებარე, მღელვარე, ბრწყინვალებით მოსილი, სიცოცხლით იყო აღსავსე და ყოველ შემხვედრს სიხარულის ბედნიერ შეგრძნებას, კმაყოფილებას უნერგავდა. ყველაფერი, რასაც ჯეკის მრავალრიცხოვანი მეგობრები ლაპარაკობენ ამის შესახებ, ირვინმა მოკლე წინადადებაში შეაჯამა: „ჯეკ ლონდონი — ესაა კოლოსი ცხოვრების სარბიელზე“.

ვიდრე ჯეკი დასაძინებლად დაწვებოდა, ჩვეულებრივად თერთმეტ საათზე ნაკატა საღამურ მაგიდაზე დააწყობდა ქაღალდს, ფანქარს. ანაბეჭდებს შესასწორებლად, იმ წიგნებსა და ბროშურებს, რომელთაც იგი ამ მომენტში კითხულობდა; დამწყები მწერლების ხელნაწერებს რედაქციისა და შეფასებისათვის, მსუბუქ საუზმეს — ჩაკვნეტ რამეს და ძილიც გაგიკრთება, ერთ კოლოფ სიგარეტს და ერთ დოქს ყინულში ჩაცივებული რომელიმე სასმელით: ჯეკი ხანდახან მოსვამდა ხოლმე, რათა პირი არ გაშრობოდა გამუდმებით თუთუნის წევისაგან. ხმაურა სიჩუმეში დიდხანს, დიდხანს ენთო ლამფა და ტერასაზე მარტოდმარტო დარჩენილი ადამიანი მუშაობდა — კითხულობდა, აკეთებდა შენიშვნებს, ეწეოდა, სვამდა ყინულოვან სასმელს, ფიქრობდა ბეჭდვით სიტყვაზე, სიმართლესა და სიცრუეზე, ადამიანთა შორის სამართლიანობასა და სიმკაცრეზე... ასე გრძელდებოდა, ვიდრე დაღლა არ მიეპარებოდა და პატარა ნამცეცივით თვალს აღგზნებულ ქუთუთოებში არ ჩაეტმასნებოდა. არა მხოლოდ ცოდნის სიყვარულით, არამედ იმის შიშითაც შეგულიანებული, რომ უკვე ჩასახული, საქვეყნოდ აღიარებული რაიმე ახალი და მნიშვნელოვანი არ გამორჩენოდა—იგი გამუდმებით აქეზებდა თავის თავს — „შეიცნობდე!“ მის საღამურ მაგიდაზე მოუცილებლად იდო პოლ დე შეიუს ხელუხლებელი ორტომეული. ამ მწერლის „მოგზაურობანი აფრიკაში“ იყო პირველი სათავგადასავლო წიგნი, რომელიც ხელში მოხვდა რვა წლის ბიჭუნას ლივერმორის რანჩოში. პოლ დე შეიუს ორტომეული, სახელწოდებით „ვიკინგების საუკუნე“, საღამური მაგიდიდან გაჰქრა მხოლოდ ჯეკის გარდაცვალების შემდეგ.

დაახლოებით ღამის პირველ საათზე, წიგნის იმ გვერდზე, სადაც შეწყვეტდა კითხვას, ჯეკი ჩადებდა ასანთის ღერს, გადააადგილებდა ისრებს სამუშაო ოთახის კარებზე ჩამოკიდებულ მუყაოს ციფერბლატზე, რათა ნაკატას სცოდნოდა, რომელ საათზე გაეღვიძებინა პატრონი. იშვიათად, რომ ხუთ საათზე მეტი ძილის უფლება მიეცა თავისათვის; ციფერბლატზე ნაჩვენები გაღვიძების ყველაზე გვიანი დრო ექვსი საათი იყო. როგორც წესი, ზუსტად ხუთ საათზე ნაკატას შემოჰქონდა დილის ყავა. ჯეკი ლოგინშივე ასწორებდა ჩარმიანის მიერ წინა დღით გადაბეჭდილ ხელნაწერს, კითხულობდა მისი დაკვეთით გადმოგზავნილ ოფიციალურ მოხსენებებსა და ტექნიკურ სტატიებს, კორექტურას უკეთებდა გამომცემლების მიერ გამოგზავნილ ახალ ანაბეჭდებს, ადგენდა მიმდინარე მუშაობის გეგმასა და მომავალი მოთხრობების მონახაზებს. რვა საათზე უკვე მაგიდას უჯდა და წერდა მორიგი ნაწარმოების თავდაპირველი ვარიანტის ათას სიტყვას, თანაც ზოგჯერ თვალს გადაავლებდა კნოპით კედელზე მიმაგრებულ ოთხტაეპიან ლექსს:

ავდგები დილით — ჩავუჯდები მაშინვე საქმეს,
ღმერთო, ოღონდაც მუდამ ასე ხალისით ვენთო...
და თუკი ერთხელ ამ ქვეყნიდან შეც უნდა გავქრე, —
შემაძლებინე — იმქვეყნადაც ვიშრომო, ღმერთო.

თერთმეტი საათისათვის დღის ნორმა უკვე შესრულებული ჰქონდა და ხელებწაკაპიწებული ეფლობოდა უზღვავი რაოდენობის საქმიანსა და პირადი კორესპონდენციების გროვაში. ახლა ჯეკი წელიწადში საშუალოდ ათიათას წერილს იღებდა და ყოველ მათგანს გულდასმით, დაკვირვებულად პასუხობდა. არც ისე იშვიათი იყო, როცა დღეში ას წერილს „ნთქავდა“ — და იმავე დღეს კარნახობდა ასევე წერილის პასუხს.

სტუმრებმა იცოდნენ, რომ დილის საათები მუშაობისათვის იყო განკუთვნილი და ამ დროს სიჩუმეს იცავდნენ. ზუსტად პირველ საათზე, რვასაათიანი სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, ჯეკი „გამოძვრებოდა“ უკანა აივანზე, აბურძგნილი, გაღეღილი თეთრი პერანგით, შუბლზე ირიბად ჩამოფხატული მწვანე წინაფრიანი ქუდით, კბილებში პაპიროსითა და ბღუჯა ქაღალდებით ხელში. „გა-

მარჯობათ, მოქალაქენო!“ — შესძახებდა იგი ნათელი ღიმილით და მაშინვე ყველაფერს აღავსებდა თავისი მიმზიდველი სითბოთი, თავისი კეთილი, წმინდა, ბავშვური მომხიბვლელობით, ულევი სასიცოცხლო ძალითა და გადამდები გულღიაობით. მისი გამოჩენა იმის ნიშანი იყო, რომ მთელი დღის განმავლობაში გართობა არ შეწყდებოდა.

იწყებოდა საუზმე, რომელიც შეიძლებოდა ორ საათსაც გაგრძელებულიყო, თუ საინტერესო მუსაიფი გაიბმებოდა ანდა მეგობრული ხუმრობისათვის თავშესაქცევი ობიექტი ჩაუვარდებოდათ ხელში. შემდეგ სახლსა და ბეღელს შუა მდებარე ეზოში გამოჰყავდათ ცხენები, რომლებზედაც კომპანია სხდებოდა და ჯეკთან ერთად მიემგზავრებოდა სონომის მთის მწვერვალისაკენ, იქიდან კი მთის თხემის ჯაჭვის გასწვრივ, საიდანაც სან-ფრანცისკოს ყურეს სანახაობა იშლებოდა. თუ მზიანი დღე იყო, კავალკადა, მასპინძლის მეთაურობით, ჭენებით მიჰქროდა ტბისაკენ, რომელიც მორწყვის მიზნით იყო შექმნილი. ადრე ის გუბე იყო და წყაროებით ივსებოდა, ჯეკმა კი აქ ქვის კაშხალი ააშენა. იქ მისვლისას ახლად მოჭრილი მორებისაგან შეკრულ საცურაოში გადაიცვამდნენ საბანაო კოსტუმებს, ცურაობდნენ, სეირნობდნენ საბრძოლო კანოებით, რომლებიც სამხრეთის ზღვებიდან იყო ჩამოტანილი, ფემთმისადგომებში მზეზე ირუჯებოდნენ, თამაშობდნენ ართურმას, აწყობდნენ ცხენოსანთა ტურნირებს, ბოქსსა და ინდურ ჭიდაობას, გადააბრუნებდნენ ხოლმე იმ სტუმრების ნავებს, რომლებიც ქალაქური ტანისამოსით სეირნობდნენ ტბაზე. შებინდებისას ჯეკი რაზმს ტყე-ტყე გაუძღვებოდა, სადაც სექვოია, ნაძვი და მარწყვის ხეები იზრდებოდა; ბილიკი, რომელსაც რაზმი მიჰყვებოდა, „მგლის სახლის“ ახლოს გადიოდა. აქ სტუმრები ჩამოქვეითდებოდნენ. ჯეკი დაატარებდა მათ შენობის ხარიხებს შორის, უყვებოდა, თუ რა ლამაზი იქნება მისი „მგლის სახლი“, თანაც სიამაყით ყურადღებას მიაქცევინებდა ხოლმე ქვის უნაკლო წყობაზე და უხსნიდა, რომ სახლს ხანძრისაგან დაზღვევა არ დასჭირდება: მილები აზბესტით ექნება დაფარული, ხის კონსტრუქციები — ცეცხლგამძლე საღებავით, კედლები ქვისაა, ხოლო სახურავი — კრამიტის. ასეთი სახლისათვის ცეცხლი საშიში არაა.

რანჩოში დაბრუნებისას ტანისამოსს გამოიცვლიდნენ, ეცნობოდნენ ახლად ჩამოსულებს, მაძღრისად სადილობდნენ და იწყებდნენ პოლიტიკურ და ფილოსოფიურ საკითხებზე კამათს. ჯეკის საყვარელი თავშესაქცევი იყო ბანქო და მალე ყველანი „წითელ ძაღლს“ ანდა „პედროს“ თამაშს შეუდგებოდნენ—ოცდახუთ-ოცდახუთი ცენტი თითოეულ „ცხვირზე“. ჯეკი წინანდებურად იგონებდა სხვადასხვა სახის, ერთიმეორეზე უკეთეს, სახუმაროებს. როცა რანჩოში ემა გოულდშანის მსგავსი რომელიმე ანარქისტი ჩამოდიოდა, იგი სასადილო მოწყობილობაზე დასდებდა წიგნს, რომლის ყდაზე დიდი ასოებით იყო დაბეჭდილი სახელწოდება „ხმამაღალი ხმაური“. საკმარისი იყო წიგნის გადაშლა, რომ ანარქისტს იგი მოულოდნელად ხელში უფეთქდებოდა: მასში ტყაცუნა იყო ჩამალული. ანარქისტი შიშისაგან შეშდებოდა, ჯეკი კი იხელთებდა მომენტს და ხსნიდა: „აი, ხედავთ, თქვენ ძალით ვერასდროს ვერ დაიმორჩილებთ ქვეყნიერებას, შემთხვევაც რომ მოგეცეთ—ვერას გახდებით!“ გვერდგახვრეტილი ჭიქა შემონახული იყო მოკრძალებული და უბრალო სტუმრისათვის, რომელსაც იმდენად აღელვებდა დიდი ლონდონის გვერდით მაგიდასთან ჯდომა, რომ მღელვარებისაგან სუნთქვისაც კი ეშინოდა, ჭამაზე ხომ ფიქრიც ზედმეტი იყო.

ნორვეგიელი მოქანდაკე და მეზღვაური ფინ ფროლიხი, რომელიც ჯეკის მიერ აღზევებული იყო „სასახლის მოქანდაკისა და ხუმარის“ ხარისხზე და რომელიც დაჯილდოებული იყო გამაყრუებელი, არაადამიანური, ჰექა-ქუხილის მსგავსი ხარხარის უნარით, მოგვითხრობს: „ჩამოვედი რანჩოში და რას ვხედავ: ყველა ბავშვივით ანცობს, ერთმანეთს დასცინიან, ყველაზე მხიარულ თამაშობებს იგონებენ. როცა ჯეკს გააპამპულებდნენ, იგი ყველაზე ხმამაღლა იცინოდა“. დიდი მოწონებით სარგებლობდა ასეთი თავშესაქცევი: ერთ-ერთს ზურგით მიაყენებდნენ სასადილოს კარებთან, ვითომ და სიმაღლეს უზომავდნენ, ამ დროს კი კარს უკან დამალული ხის ჩაქუჩს დასცხებდა სწორედ იმ ადგილას, სადაც საბრალოს თავი ჰქონდა მიდებული. ყველაზე მეტ სიცილს მაინც მეორე ოინი იწვევდა: იმ ოთახის იატაკს, სადაც სტუმარს ეძინა, ნახვერტებს გაუკეთებდნენ, მათში თოკს გაატარებდნენ და საწოლის ფეხებს მოაბამდნენ. როცა სტუმარი დაიძინებდა, ონავრები დაექაჩებოდნენ

თოკს და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ არწევდნენ ლოგინს, სტუმარი კი ღამისპერანგისამარა ტყვიასავით გავარდებოდა გარეთ ყვირილით: „მიშველეთ! მიწისძვრაა!“ მორიგ ხუმრობაში, სახელწოდებით „ტლაშ-სდექ“, ახალმოსულ სტუმარს გაშლილი ფეხებით დასვამდნენ მიწაზე და დაიწყებდნენ მის წინ წყლის დასხმას, მას კი ხელებით ტალახი უნდა მოეზილა და კაშხალი აეშენებინა, რათა წყალი შეეჩერებინა. როცა წყალი საკმაოდ მოგროვდებოდა და მშენებლის საქმიანობა გააფთრებულ სახეს იღებდა, რათა წყალს კაშხალი არ გაენერგია, მას ფეხზე სტაცებდნენ ხელს, ექაჩებოდნენ წინ და იგი თავისივე ხელით გამზადებულ ტლაპოში იწყებდა ფართხალს. „ჯეკი? იგი ხომ დიდი ბავშვია, — ამბობს კერი ბერლინჰეიმი, მეზობელი სონომის ხეობიდან. — რაც არ უნდა ეკეთებინა, დასვენება იქნებოდა ეს, თუ მხიარულება, მთელი გულმოდგინებით აკეთებდა, ხუმრობისა და სიცილისათვის იგი მზად იყო ძლიერ შორს შეეტოპა“. სტუმრებმა როგორღაც გაიგეს, რომ ჯეკს სოლომონის კუნძულებზე უმი თევზი ეჭამა. მაშინ ჯეკმა წინადადება შემოიტანა, ეყარათ ცენტი და ვისაც ყველაზე პატარა ბანქო ერგებოდა დასტიდან, ცოცხლად გადაეყლაპა... ვთქვათ, თუნდაც ოქროს თევზი აკვარიუმიდან, რომელიც მაგიდის შუა ადგილას იდგა. ყველა დათანხმდა. ბანქოს დასტა გადაჭრეს და ყველაზე პატარა ბანქო ერგო სტუმარს, რომელიც დაქორწინებას აპირებდა. სასიძომ აკვარიუმიდან კუდით ამოიყვანა პატარა თევზი და მართლაც გადაყლაპა, რამაც საერთო სიცილი და ტაშისცემა გამოიწვია, პატარძალმა კი დაიყვირა, ამიერიდან აღარასოდეს ვაკოცებო მას.

რანჩო თითქოსდა მხიარულებისათვის იყო შექმნილი. ამიტომაც ჯეკს იგი გაორკეცებით უყვარდა. მისი განუყრელი მეგობარი იყო ჯორჯ სტერლინგი: ინდიელის მკვეთრად გამოკვეთილი სახე, დაქანებული შუბლი, რომელიც წარბებიდან მახვილი კუთხით უკან მიემართებოდა და საგულდაგულოდ იყო დაფარული ჩამოყრილი ქოჩრით. ეს იყო ბრწყინვალე სახე — მახინჯი და იმავე დროს, მშვენიერი: ნერვიული, ალღოიანი, გულღია გამომეტყველების. ტკივილი, მწუხარება—ყველაფერ ამას იგი ცხოვრებაში განსაკუთრებული სიმწვავით აღიქვამდა. მის პოეზიაში მრავალი ბრწყინვალე სტრიქონია ბიბლიური მოტივებით შეზავებული. კეთილხმოვანი, მაგრამ

უშინაარსო ფრაზებით გადატვირთული ზოგჯერ იგი მაღალფარდოვნად ჟღერს. სტერლინგს ცოლად ჰყავდა ლამაზი ქალი, დიდებული, ტანადი, ძლიერ ჩამოჰგავდა ბესი მადერნს. ჯორჯი ჭიანჭველასაც კი არ დაადგამდა ფეხს, ისეთი რბილი ხასიათისა იყო ბუნებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დამშვიდებული სინდისით ერთობოდა სხვა ქალებთანაც; თუმცა იცოდა, რომ ამით თავის ცოლს, კერის, ტანჯვას აყენებდა. ჯეკისაგან განსხვავებით, იგი მდიდარი ბიძის მფარველობით სარგებლობდა და ცხოვრების პროლეტარულ საფუძველზე მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა. ღვინისა და ქალების მოყვარული ეს შეუდარებელი დონ-ჟუანი, თითქმის დამთავრებული ნიმუში იყო გადაშენების გზაზე მდგარი ბოჰემისა.

ამბობენ, „წითელი ძაღლის“ ან „პედროს“ პარტიის წაგებისას ჯორჯ სტერლინგი, კომპენსაციის სახით, ერთ სირჩა სპირტეულს გადაჰკრავდაო ჯეკის მარაგიდან, ხოლო ჯეკი, წაგების შემთხვევაში, ჩვეულებისამებრ ხელნაწერს მორიგ სიტყვას მიაწერდა, რათა აენაზღაურებინა დაკარგული ოცდახუთი ცენტი. სასადილოში იდგა ბუფეტი, რომელშიც ჩამწკრივებული იყო ბოთლების გრძელი რიგი და სტუმრებს ნება ეძლეოდათ ესვათ, რამდენიც მოესურვებოდათ. კვირა ისე გავიდოდა, რომ ჯეკი ბუფეტს არ გაეკარებოდა, თვით ტრადიციული კოკტეილის გადასაკვრელადაც კი სადილის წინ. ტოკიოში, „სნარკზე“ მოგზაურობის დროს, და რენოშიც ხანდახან, იგი სვამდა ძმაკაც კორესპონდენტებთან ერთად; რანჩოში კი წვეთს არ იკარებდა პირში, თუ არ ჩავთვლით განსაკუთრებულ შემთხვევებს, როცა, დასვენების დროს, თავს ნებას აძლევდა ერთი ჭიქა გადაეკრა კომპანიის ხათრით.

გლენ-ელენი იმ ხანებში სასპორტო დაბად გადაიქცა. მთავარი ქუჩის ორსავე მხარეს ღვინის სავაჭროები და სამიკიტნოები იყო ჩამწკრივებული. როცა ჯეკს მოუნდებოდა დროებით გაცლოდა ოჯახს, საქმეებისა და მოვალეობების მძიმე უღელს, მეგობრებს, რომლებითაც მუდამ სავსე იყო სახლი, იგი შეაბამდა ეტლში ცხენს, საკისრულებზე ჩამოჰკიდებდა სპეციალურ ზანზალაკებს და მთელი სისწრაფით მიჰქროდა დაკლაკნილი ყამირი გზით ქვეით, დაბაში. ზანზალაკების ხმაზე სიცხისაგან გათანგული გლენ-ელენი გამოცოცხლდებოდა. „ჯეკ ლონდონი ჩამოსულა მთიდან!“ — დაიყვირებდა

ვინმე და ეს ამბავი მყისვე მთელ სოფელს მოედებოდა. მხიარული, მომღიმარი ხალხი ქუჩაში გამოეფინებოდა; აღფრთოვანებული მებუფეტეები ისწრაფვოდნენ ამოეღოთ ბოთლები, ხოლო ჭიქები და სირჩები სარკესავით გაეკრიალებინათ. როცა ჯეკი მთავარ ქუჩაზე მიჰქროდა, თითოეული უყვიროდა: „გამარჯობა, ჯეკ!“ ჯეკიც დაინახავდა თუ არა ნაცნობს, ასწრებდა მიეძახებინა: „სალამი, ბილ!“— და სომბრეროც დაექნია. ცხენებს პირველსავე საბმურზე მიაბამდა, უახლოეს სამიკიტნოში შევიდოდა და იქ, ისევე, როგორც მატროსობის დროს, „მთელ რაზმს თავს მოუყრიდა დახლთან“. მისი თანდასწრებით ვერავინ გაბედავდა ფულის გადახდაზე ხმის ამოღებას. შეკრებილნი რაიმე ბოროტი განზრახვის გარეშე აჯავრებდნენ ჯეკს, სიცილით იხოცებოდნენ, როცა მის თავგადასავლებს ისმენდნენ, თავის აზრს გამოთქვამდნენ უკანასკნელი ნაწარმოების შესახებ, ჰყვებოდენ ახალთახალ ანეკდოტებს, განსაკუთრებით ებრაულს — ჯეკს ასეთები უფრო უყვარდა. კიდევ რამდენიმე წუთი, კიდევ ერთი ჭიქა — და იგი უკვე მორიგ სამიკიტნოში გადადიოდა, სადაც უცდიდნენ იქაური მუდმივი მუშტრები, რათა მისალმებოდნენ, ბეჭებზე ხელი შემოეკრათ და დანახარჯს კვლავ მხოლოდ ჯეკი იხდიდა; აქაც გაისმოდა გამაყრუებელი მამაკაცური ხარხარი, სუფევდა იგივე მეგობრული სულისკვეთება. დაბაში, ალბათ, ათი-თხუთმეტი საქეიფო ადგილი მაინც იქნებოდა და საღამომდე ჯეკი თითეულ მათგანში ასწრებდა შესვლას, კვარტი ვისკის დალევას და, სულ ცოტა, ას კაცთან გახუმრებას. შემდეგ უბრუნდებოდა ეტლს, ახსნიდა ცხენებს, გლენ-ელენის მცხოვრებთა ყვირილში: „მომავალ შეხვედრამდე, ჯეკ! ხშირად გვინახულე!“ — დასძრავდა ეტლს და აჰყვებოდა გრძელ ყამირ გზას, რომლის ახლოს, ერთი გორაკიდან მეორემდე, გაჭიმულიყო მისი ბაღები და ვენახები. გლენ-ელენში იხსენებენ, რომ ეს იყო ყველაზე სასიხარულო დღეები წელიწადში, როცა ზევით, გორაკებში ყურს მოჰკრავდნენ ზანზალაკების ნაცნობ ხმას და გზაზე ოთხ ცეცხლოვან ტაიუზე ამხედრებული ჯეკ ლონდონი გამოჩნდებოდა კოვბოურ ქუდში, პეპელა ჰალსტუხსა და თეთრ ხალათში გამოწყობილი, უშფოთველი ღიმილითა და თითოეულისათვის მეგობრული სალმით.

კვირაში ერთხელ, ნასადილევს, ჯეკი შეაბამდა ხოლმე წყვილ

ყველაზე მარდ ცხენს და უდიდესი სიჩქარით მიჰქროდა სანტა-როზაში, ოლქის მთავარ ქალაქში, ლუდისა და ღვინის წარმოების ცენტრში. აქაური ძველი მაცხოვრებელნი კარგად სვამდნენ, მაგრამ პოლიტიკაში ისეთი რეაქციული შეხედულებებისა იყვნენ, რომ ჯეკს, თავისი სოციალისტური რწმენით, გზააბნეულ ცხვრად კი არა, უბრალოდ, ჭკუაზე შეშლილად სთვლიდნენ. ზანზალაკების ყღარუნით ჩაიქროლებდა მთავარ ქუჩაზე, შეჩერდებოდა აირა პაილის კანტორასთან — „უძრავი ქონების გასაყიდ საააგენტოსთან“ — და დაუძახებდა: „ჰეი, პაილ, წავედით!“ — და ორთავენი გაემართებოდნენ სასტუმრო ოვერტონის ბარში. აქ ჯეკი დახლთან თავის ადგილს დაიკავებდა — სულ განაპირას, დარბაზისაკენ ზურგით — და კვარტ შოტლანდიურ ვისკის მოითხოვდა. იგი სვამდა მაღალი ჭიქიდან, რომელშიც თორმეტი უნცია ჩადიოდა; პაილისათვისაც ყოველთვის თვითონ დაასხამდა პირველ ორ ჭიქას, რის შემდეგ პაილს შეეძლო იმდენი დაელია, რამდენსაც მოისურვებდა, ანდა სრულებით არ დაელია.

როცა ვიღაცამ პაილს ჯეკ ლონდონის პარტნიორი უწოდა დალევის დარგში, მან წამოიძახა:

„—აბა, მე სად შემიძლია პრეტენზია განვაცხადო ასეთ წოდებაზე! ანდა ვის შესწევს მაგის უნარი! ჯეკი სავსებით განსაკუთრებული რამ იყო. მართალს გეუბნებით, რაღაც ძარღვიანი. მე რომ ერთ ჭიქას დავლევდი, იგი — ოთხს, ხოლო ზოგჯერ ხუთსაც. კიდევ საოცარი იცით რა იყო? დახლთან გამართული საუბრის ორმოცდაათი პროცენტი — როგორ ფიქრობთ, რას ეხებოდა? — სოციალიზმს. იგი სწორედ ამისათვის ჩამოდიოდა სანტა-როზაში — აქაურზე უკეთეს მოკამათეებს ხომ ვერსად ნახავთ! აქ იგი არ უყვარდათ, რადგან ჯეკი არ არჩევდა, ვინ იყო მის წინ — მოსამართლე, ბიზნესმენი თუ სავაჭრო პალატის დირექტორი; ყველას ეუბნებოდა — კაპიტალისტური სისტემა უკვე დალპაო. უკვე რამდენი წელი იყო, რაც იგი სანტა-როზაში დადიოდა, მაგრამ ერთხელაც არ გამიგონია, რომ ვინმე დასთანხმებოდა. როცა რაიმე ხრიკიან კითხვას დაუსვამდი ახალ, სოციალისტურ სახელმწიფოზე, იგი ერთ წამს დაფიქრდებოდა, მერე თავს გადააქნევდა და იტყოდა: „მოიცა, ერთი კიდევ გადავკრათ და მერე ერთბაშად ყველაფერი ნათელი გახდება“. ყლუ-

პი — და საქმეც გაკეთებული იყო: იწყებოდა ლაპარაკი იმაზე, თუ რა იაფად მიეცემოდა საქონელი მომხმარებელს, როცა იგი სარგებლობისთავის იქნებოდა დამზადებული და არა გამორჩენისთვის“.

როცა პაილი მასთან არ იყო, ჯეკი შედიოდა ოვერტონის ბარში, სწრაფად მიმოავლებდა თვალს დარბაზს, მივიდოდა თავის კუთხეში, ერთ-ორს გადაჰკრავდა, შემდეგ კი ვინმეს. მოიხმობდა და იწყებდა საუბარს.

— მაშასადამე, აი, იმ პუნქტის შესახებ, რომელზედაც თქვენ ამ დღეებში ლაპარაკობდით, — წამოიწყებდა იგი, — თითქოს სოციალიზმი კერძო ინიციატივას სპობდეს. მე ამაზე ვიფიქრე და რაღაც ახალი იდეები დამებადა...

მეგობრები, რომელთაც მასთან ერთად უხდებოდათ სმა, იხსენებენ, რომ საკამათო თემები სულ სხვადასხვა იყო: ომი, სიღარიბე, როგორც ბოროტმოქმედების წყარო, ბიოლოგია, შრომის ორგანიზაცია, ფრეიდის ფსიქოანალიზი, კორუპცია სასამართლო წარმოების სისტემაში, ლიტერატურა, მოგზაურობა და მომავალი სოციალისტური საზოგადოება. ექვს საათზე მორიგ კომპანიონთან ამთავრებდა ერთი ბოთლი შოტლანდიური. გამოცლას, ჩაჯდებოდა, ეტლში და შინ მიდიოდა. საერთოდ ცხენებს ჩინებულად ეპყრობოდა, მაგრამ დალევის შემდეგ მათი ჭენება უყვარდა. ბილ ჰილი, რომელიც მას ჯერ ოვერტონის ბარის დახლთან, შემდეგ კი სხვა ბარებშიც ემსახურებოდა, ამბობს:

— ჯეკს შეეძლო მეტი სპირტეული დაელია, ვიდრე რომელიმე სხვას, მაგრამ ეს მას არაფრად არ მიაჩნდა. ყოველთვის წესიერად და ღირსეულად ეჭირა თავი. როცა დაწესებულებიდან წასვლის დრო მოაღწევდა, იგი მიდიოდა, როგორც ჯენტლმენი. თუ გრძნობდა, რომ საკმაოდ დალია, — მაშასადამე, კმარა. იგი ჭირვეული ან ღვარძლიანი არასდროს არ მინახავს — ყოველთვის კეთილად იყო განწყობილი და ამავე დროს, გულღია. არასოდეს არ ჩაეჩრებოდა ჯამათში, თუ ისეთი ვინმე არ შეხვდებოდა, რომელსაც ნამდვილად შეეძლო კამათი; მაგრამ თვით მას ვინ შეედრეგოდა! ვისთვის არ გინდოდა, რომ არ ეჯობნა.

პაილიც ამბობს, რომ არასოდეს არ უნახავს ჯეკი მთვრალი — მას ჭეშმარიტად ვისკის დალევის ირლანდიური ნიჭი ჰქონდა. იგი

სვამდა, რათა გაექარწყლებინა დაღლა და ნერვიული დაძაბულობა, ამოედგა ენა, „ხრახნები“ გაეპოხა თავში, გული გადაეყოლებინა, შესვენება მოეწყო.

სწორედ სმის დროს წამოიჭრა იმ თხზულების ჩანაფიქრი, რომელმაც ყველაზე მეტი დიდება — კარგიცა და ცუდიც — მოუტანა, ვიდრე რომელიმე სხვამ. „ჯონ ქერის მარცვალი“ ავტობიოგრაფიული მოთხრობაა; ის, რაც იქაა ნათქვამი მისი ლოთობის შესახებ, — სიმართლეა, მაგრამ, როგორც ეს უმრავლეს ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებს ემართება, „მთელი უბედურება იმაშია, რომ „ჯონ ქერის მარცვალში“ მთელი სიმართლე ბოლომდე არაა ნათქვამი, მთელი სიმართლის თქმა ვერ გავბედე“. არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ცხოვრებაში არის ხოლმე პერიოდები, როცა იგი სულით ეცემა; ანდა გულგატეხილობის შემოტევის დროს ფიქრობს იმაზე, რომ იგი უკანონოდ დაბადებულია, რაც გულს უმძიმებს, ჭკუასა და გონებას უწამლავს. თუმცა კარგ განწყობილებაზე ყოფნისას ადვილად შეუძლია დაუმტკიცოს თავს, რომ ეს უმნიშვნელო რამეა, ჩაიქნიოს ხელი და დაივიწყოს. უფრო ხშირად იგი იმიტომ უფრო სვამდა, რომ ჩაეხშო მოუშორებელი ვარამი, რომელსაც ასე ღრმად გაედგა ფესვები მის გულში და სულს უხუთავდა. უდიდესი გულმოდგინეობით უმალავდა ყველას დეპრესიის პერიოდულ შემოტევებს. ასეთი შემოტევები იშვიათად ემართებოდა — სულ დიდი, ხუთ-ექვსჯერ წელიწადში — და ვერ ასწრებდნენ ჯეკი მანიაკურ-დეპრესიულ ავადმყოფად გადაექციათ, როგორიც არის ხოლმე ხშირად ხელოვნების ადამიანი, მხატვარი. მიუხედავად ამისა, როცა ეს შეტევები მოუვლიდა, შეეძლო შეზიზღებოდა თავისი მუშაობა, სოციალიზმი, რანჩო, მეგობრები, თავისი მექანიკური ფილოსოფია და ჩინებულად დაეცვა ადამიანის უფლება თვითმკვლელობის შესახებ. ასეთ წუთებში თავისი ჭაპანი მეტისმეტად მძიმედ ეჩვენებოდა და იფიცებოდა, ამ ტვირთით ერთ ნაბიჯსაც აღარ გადავდგამო წინ; ბევრს სვამდა, ხდებოდა უხეში, არაგულისხმიერი, გულქვა, შარიანი. მაგრამ ხშირად შეტევა იმავე დღეს გაუვლიდა ხოლმე.

„ჯონ ქერის მარცვლის“ ლიტერატურული ღირსება იმით კი არ განისაზღვრება, თუ რამდენად ზუსტად ასახავს იგი სინამდვილეს. მას კითხულობ, როგორც ახალ, უბრალოდ, ალალმართლად

და გულის ამაჩუყებლად დაწერილ რომანს. შესანიშნავია „თეთრი ლოღიკისადმი“ მიძღვნილი გვერდები; მთელი წიგნი კი კლასიკური ნაწარმოებია ლოთობის შესახებ. მასში რომ თუნდაც ყველაფერი მოგონილი ყოფილიყო, იგი მაინც დარჩებოდა პირველხარისხოვანი, დამაჯერებელი მხატვრული პროზის ნიმუშად. იგი ჯერ ჟურნალ „სატერდეი პოსტში“ დაიბეჭდა, შემდეგ ცალკე წიგნად გამოვიდა და მილიონობით ადამიანმა წაიკითხა. მღვდლები ჩაებღაუჭნენ მას, რადგან შიგ მორალური რჩევა-დარიგება იპოვეს სიმთვრალის მავნებლობის შესახებ; მასზე უფლებას აცხადებდნენ სიფხიზლის კავშირები, სპირტიანი სასმელების აკრძალვის მომხრეთა ორგანიზაციები, მსმელთა დაწესებულების მოსპობისათვის მებრძოლთა ლიგები. „ქერის მარცვლისაგან“ ისინი ადგენდნენ პამფლეტებს, ბეჭდავდნენ და ათასობით ეგზემპლარს ავრცელებდნენ. „ჯონ ქერის მარცვალმა“ ღვინის მრეწველობის მესვეურთა წინააღმდეგ გააერთიანა ისეთი ორგანიზაციები, რომელთაც ამქვეყნად სხვა ვერაფერი აიძულებდა ხელიხელჩაკიდებულად ემოქმედათ: ესენი იყვნენ პედაგოგები, პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, მეცნიერები. მოთხრობა ფილმადაც გადაიღეს და ღვინის ქარხნის პატრონები დიდძალ თანხას იძლეოდნენ, ოღონდ იგი აეკრძალათ. ისეთი დიდი აურზაური და მღელვარება ატყდა, რომ ასეულ ათასობით ადამიანი, რომელთაც მას შემდეგ, რაც სკოლის კედლებს გასცდნენ, წიგნი ხელში არ აეღოთ, ხარბად დაეწაფნენ „ჯონ ქერის მარცვალს“. ჯეკმა მასში გამოხატა თავისი გამარჯვება ალკოჰოლზე, მაგრამ ხალხმა, რომელიც მიჩვეულია წიგნიდან ის ამოიკითხოს, რაც მას მოსწონს, გადაწყვიტა — ავტორი ხელიდან წასული ლოთიაო.

სიფხიზლის მომხრეთა მოძრაობის მძლავრი აფეთქების გამოწვევით „ჯონ ქერის მარცვალი“ ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი შეიქნა სპირტის სასმელების აკრძალვის შესახებ კანონის გამოცემის საქმეში, რაც შეერთებულ შტატებში მიღებულ იქნა 1919 წელს. წარმოიდგინეთ, ადამიანი, რომელიც ხშირად სვამს, რათა ჩაახშოს დაუცხრომელი ტკივილის გრძნობა, რასაც უკანონოდ დაბადების გაფიქრება იწვევს; რომელიც, ცოტა სასიამოვნო წუთს როდი ატარებს ბოთლთან საყვარელი მეგობრების წრეში მხიარულ სიცილ-ხარხარში; რომელსაც არც კი უფიქრია სმისათვის თავი დაენებე-

ბინა, — აი, ამ ადამიანმა დააჩქარა აკრძალვის ამ შავბნელი ეპოქის მოსვლა. ეს იყო ბედის მწარე დაცინვა, რომელიც ისედაც არ ინდობდა ამ ადამიანს.

დრო გადიოდა; ჯეკი აკვირდებოდა, როგორ ხნავენ და თესავენ გაზაფხულზე მის მინდვრებს, როგორ მწვანდება ისინი ზაფხულის დადგომასთან ერთად, მერე ყვითლდება, გრძელი, გვალვიანი შემოდგომის მცხუნვარე მზის ქვეშ მოწითალო-მიხაკისფერი ხდება, ხედავდა, როგორ ასველებდა მათ ზამთრის წვიმები. იგი ამაყობდა თავისი მუშაობით, ამაყობდა ახლად გაწმენდილი, განახლებული მიწით, თავისი უამრავი მეგობრით. ცხოვრებაში ყველაფერი კარგად მიდიოდა და მის სახეს არ სცილდებოდა ნაცნობი ღიმილი. „არასდროს არ მინახავს, ვინმეს ასეთი ენითაუწერელი მომხიბვლელობა ჰქონოდეს, — ჰყვება ფინი ფროლიხი. — რომელიმე მქადაგებელს რომ შესძლებოდა საკუთარი პიროვნების მიმართ ამდაგვარი სიყვარულის შთაგონება, იგი რელიგიის მორწმუნედ გახდიდა მთელ მსოფლიოს. ლაპარაკის დროს ჯეკი შეუდარებლად კარგი იყო: დიდი, მეტყველი თვალები და არანაკლებ მეტყველი, ნერვიული ტუჩები ჰქონდა, სიტყვები კი თითქოს მორაკრაკებდნენ. რაღაც განსაკუთრებული იყო მასში, გონება წუთში სამოცი მილის სისწრაფით მუშაობდა და მისი დაწევა შეუძლებელი იყო. რაზედაც არ უნდა ყოფილიყო ლაპარაკი, ტუჩების კუთხეები ზევით აეწეოდა, სიტყვებში იუმორი გამოკრთებოდა და, გინდოდა თუ არ გინდოდა, უნდა გეცინა ქანცის გაწყვეტამდე“.

იგი ბედნიერი იყო, ყველას უყვარდა და სამუშაოც შვიდმილიანი ნაბიჯებით მიიწევდა წინ.

ჰილის რანჩოს შეძენიდან რამდენიმე დღის შემდეგ ჯეკი კლაუდსი ჯონსს სწერდა: „მეურნეობის გაჩაღებას არ ვაპირებ; რანჩოში მხოლოდ ერთი გაწმენდილი ნაკვეთია და ისიც ალბათ საძოვრისათვის დამჭირდება“. მაგრამ გამოირკვა, რომ მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობისადმი ინტერესი დღეობით კი არა, საათობით ეზრდებოდა; ყოველი გაუმჯობესება მეურნეობის ახალი დარგების ათვისებას იწვევდა. გამოიწერა სოფლის მეურნეობის ჟურნალ-გა-

ზეთები, რჩევა-დარიგებისა და ინფორმაციისათვის მიმართა კალიფორნიის უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებას და შტატის სასოფლო-სამეურნეო დეპარტამენტს.

თანდათან აღმოაჩინა, რომ ეს დიდად საინტერესო საქმიანობა ძალიან იტაცებდა.

უცხო მხარეებში თავგადასავლების ძებნით დაღლილმა ჯეკმა შათი ძებნა საკუთარ სახლში დაიწყო. იგი ფერმერობამ გაიტაცა. ჩვეული აღგზნებით მოეკიდა ახალ საქმიანობას და იმდენი რამის გაგება მოასწრო, რომ სულ მალე იგრძნო, მისდა შეუმჩნევლად, ავტორიტეტული სპეციალისტი ხდებოდა.

რაც უფრო მეტად ეცნობოდა კალიფორნიის სოფლის მეურნეობას, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ საქმე ცუდად იყო, რომ აქ მთელი სიცხადით გამოსჭვიოდა ეკონომიური სისტემის ნაკლოვანებანი; ყველაფერი ალალბედზე კეთდებოდა, არარაციონალურად, სახსრების უთავბოლოდ განიავებით; ყველაფერი ძირითად, მეცნიერულად დასაბუთებულ გარდაქმნას მოითხოვდა. მას აქვს მიწა, აქვს სახსრები, აქვს ცოდნა და გამბედაობაც შესწევს; თუ ყველაფერ ამას ერთად შეაკავშირებს, დალუპვისაგან იხსნის კალიფორნიის სოფლის მეურნეობას. თავისი საგნის თანდათანობით შესწავლისა და მისი სულ უფრო ღრმად დაუფლების შედეგად, ჯეკს ნათელი წარმოდგენა შეექმნა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს სანიმუშო ფერმა — ისეთი, როგორის გაშენებასაც ოდესღაც ფიქრობდა მისი მამინაცვალი ჯონ ლონდონი ჯერ ალამედაში, შემდეგ კი — ლივერმორში. ეს სანიმუშო ფერმა, რომელსაც იგი მომავალში გააშენებს, მთელ ქვეყანას უჩვენებს გზას სოფლის მეურნეობის უმაღლესი ტიპისაკენ, შესაძლებლობას მისცემს ფერმერებს მიწისა და პირუტყვისაგან მიიღონ უფრო მაღალი ხარისხის პროდუქცია.

ჯეკი მიხვდა, რომ კოლერისა და ლამოტის რანჩოები გამოფიტული იყო, აღარაფრად ვარგოდა იმიტომ, რომ მათი წინანდელი მესაკუთრეები ორმოცი წელი ამუშავებდნენ მიწას სასუქის შეუტანლად და ანეულის გარეშე. ოლქში საქონელი გადაგვარდა. საჯიშედ პატარა ტანის, უჯიშო ხარებს იძენდნენ. ასეთივე იყვნენ ცხენები, ღორები და თხები. კალიფორნიის ნოყიერი გორაკები ცდებოდა. „საჭიროა შემუშავდეს მეცნიერული მეთოდები ფერდობების ნაყო-

ფისმომცემ ფართობებად გადასაქცევად“. ჯეკი ასე მსჯელობდა: თუ იგი გამოფიტულ მიწას ძალებს აღუდგენს, ააღორძინებს პირუტყვის მაღალ ჯიშიანობას, ერთხელ და სამუდამოდ უკუაგდებს მეზობელ-ფერმერების გამანადგურებელ, მტაცებლურ მეთოდებს, რომელნიც ზედიზედ კოტრდებოდნენ; თუკი იგი მიზნად დაისახავს მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქციის მიღებას, შესძლებს იხსნას სოფლის მეურნეობა კალიფორნიის მის კუთვნილ რაიონში მაინც. ამ ამოცანას მოახმარა ჯეკმა თავისი ენერგია, ნიჭი და სახსრები. ყველა გეგმას ელიზასთან ერთად ადგენდა, შემდეგ კი უკვე ელიზა იძლეოდა საჭირო განკარგულებებს და სამუშაოებსაც იგი მეთვალყურეობდა.

„ამ მომენტში მე ექვსი განადგურებული რაჩნოს პატრონი ვარ, რომლებიც ერთ სამფლობელოშია გაერთიანებული. ეს ექვსი განადგურებული რანჩო სიმბოლურად გამოხატავს, სულ მცირე, თვრამეტჯერ გაკოტრებას; სხვანაირად რომ ვთქვათ, მოძველებული მოსაზრების მქონე არა ნაკლებ თვრამეტმა ფერმერმა დაკარგა თავისი ფულიცა და მიწაც; თვრამეტი გული დაიმსხვრა. მე გამოწვევა მივიღე: საკუთარი ჭკუით, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების უმაღლესი მიღწევების გამოყენებით მივაღწიო წარმატებას იქ, სადაც დამარცხება განიცადა ამ თვრამეტმა. პირობას ვდებ, რომ შევძლებ, პირობას ვდებ მთელი ჩემი ვაჟკაცობით, ქონებით, წიგნებით — ყველაფრით, რაც კი გამაჩნია“.

გაწმენდილ მინდვრებში დათესა ცერცვი და კანადური ბარდა და სამ წელიწადს ზედიზედ გადახნა ჭირნახული, რათა ნიადაგი გაემდიდრებინა. მისი სახლის პირდაპირ მდებარე გორაკების კალთები დაუმუშავებელი იყო; ჯეკმა მუშები დაიქირავა და დაავალა გაეწმინდათ და ნაკვეთები ტერასებად გაეკეთებინათ — როგორც მას კორეაში ენახა. ოცდაორი კაცი მუშაობდა ვენახებში, სხლავდნენ და ვაზებს გვერდითა ყლორტებს აცლიდნენ. ჯეკმა ელიზას განუცხადა — ვენახი მასზე გაწეულ ხარჯებს აანაზღაურებსო. შემდეგ შეკაზმა უოშო ბანა და ჭენებით გაემართა გლენ-ელენისკენ, სადაც ხმა უნდა მიეცა დაბაში სპირტიანი სასმელების აკრძალვისათვის, რადგან მიაჩნდა, სამიკიტნოები საშიშროებას წარმოადგენდნენ მუშათა ოჯახებისათვის. დარწმუნებულმა, რომ რამდენიმე წლის შემ-

დეგ ღვინით ვაჭრობას აკრძალავენ საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბით (თანაც გაიგო, რომ ვენახების ნიადაგი მეტად გამოფიტული და გამოუსადეგარი იყო კარგი მოსავლის მისაღებად), ჯეკმა ბრძანა, ამოეთხარათ ვაზები შვიდასი აკრის ფართობის ნაკვეთზე, გაენოყიერებინათ მიწა და დაერგოთ ევკალიპტის ხეები. სოფლის მეურნეობის შესწავლისას იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მომავალში დიდი მოთხოვნა იქნებოდა ევკალიპტზე. იგი იძლევა ეგრეთ წოდებულ „ჩერქეზულ კაკალს“ და თანაც ამ ხის მაგარი მერქანი მოსაპირკეთებლად და სამშენებლო დეტალების დასამზადებლად იხმარება.

პირველ წელს ათი ათასი ხე დარგო, მეორე წელს — ოცი ათასი. შემდეგ კიდევ... — ვიდრე მის მიწაზე ევკალიპტების რაოდენობამ ას ორმოცი ათას ძირს არ მიაღწია; მათ დარგვაზე ორმოცდაექვსი ათას რვასს სამოცდაორი დოლარი დაიხარჯა. „მე ახლა დავრგავ მათ, და ამით ყველაფერი გათავდება, ოცი წლის შემდეგ კი, ყოველგვარი გარჯის გარეშე, ეს მთელი განძი იქნება“. მისი ვარაუდით, კაპიტალი ბანკზე არა ნაკლებ საიმედოდ იქნებოდა შენახული და ამასთან ოცდაათ პროცენტ მოგებასაც მოუტანდა.

დანარჩენ მინდვრებზე იგი რგავდა ჭარხალს, სტაფილოს, თესავდა შვრიას, ხორბალს, ქერს, სამყურასა და იონჯას — ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც მისი აზრით პირველხარისხოვან რანჩოში უნდა იქნას გაშენებული. ყველაფერ ამის მოსაყვანად ელიზამ კალიფორნიის უნივერსიტეტში გაიარა დაუსწრებელი სწავლების კურსი. როცა ლუთერ ბერბანკმა სანტა-როზადან, თავისი საცდელი ბაღებიდან, რამდენიმე ცალი ახალი, უეკლო კაკტუსი ჩამოიტანა, ჯეკმა, რომელიც მუდამ მზად იყო ყოველივე ახლის გამოსაცდელად, მთელ მინდორზე დარგო ისინი საქონლის გამოსაკვებად.

ჯიშიანი ცხენების გამოსაყვანად ორი ათას ხუთას დოლარად შეიძინა პრემირებული შირული ულაყი, შემდეგ კი ოთხი შირული ფაშატი — თითო შვიდას-შვიდას დოლარად. ეგონა, რომ ისევ დადგებოდა დიდი საფორნე ცხენების ხანა და სან-ფრანცისკოს მეფორნეებისაგან შეისყიდა ყველა ფაშატი, რომელთაც ქვაფენილზე ფეხი მოეტეხათ. როცა მინდვრების გასაწმენდად და დასახნავად ახალი საფორნე ცხენები დასჭირდა, ისინი ვერსად იშოვა და მათ შესაძენად სამხრეთ კალიფორნიაში გაემგზავრა. თუ საჭირო ჯიშის ძრო-

ხებსა და ხბორებს ვერსად გამოძებნიდა, აცხადებდა სასოფლო-სამეურნეო ჟურნალებში, მიდიოდა მეცხოველეობის გამოფენაზე საკრამენტოში და იძენდა პრემირებულ პირუტყვს: პრემირებულ მოკლერქიან სანაშენო ხარს—რვაას დოლარად, რვა საუკეთესო ხბოს—თითოს სამასორმოცდაათ დოლარად; დადიოდა ბაზრობაზეც, შეიძინა მშვენიერი ჯიშის გოჭები და ანგორული თხის მთელი ჯოგი — ოთხმოცდახუთი სული. განზრახული ჰქონდა მეზობლებისათვის ნაკლებ ფასებში მიეყიდა თავისი პირუტყვის ნაწილი, რათა გაეუმჯობესებინა ადგილობრივი პირუტყვის ჯიში, მაგრამ ჯერ საჭირო იყო საკუთარი ჯოგის სულადობის გადიდება და მეცნიერული მეთოდებით მათი ჯიშის გაუმჯობესება. ამას გარდა, ფიქრობდა ძროხისა და ღორის ხორცის დახარისხებას (ისე, როგორც ამას მამინაცვალი აკეთებდა ბოსტნეულის მიმართ), რათა სან-ფრანცისკოს სასტუმროებისათვის მხოლოდ რჩეული ხორცი მიეწოდებინა. იგი აშენებდა ახალ საჯინიბოებს, საძროხეებს, საღორეებს; გლენ-ელენში შეიძინა და რანჩოში გადმოიტანა მთელი სამჭედლო თავისი მოწყობილობებით. მუშებისათვის, რომელთა რიცხვი სულ უფრო მატულობდა, აშენებდა კოტეჯებსა და პატარა სახლებს, სადაც ცოლშვილიანები და მარტოხელები სახლდებოდნენ.

წერდა სტატიებს სოფლის მეურნეობის ახალი მეთოდებით წარმართვის შესახებ, აკეთებდა შენიშვნებს ახალი რომანისათვის — უკან, მიწისკენ მობრუნების შესახებ, პასუხობდა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებისა და საცდელ ფერმათა მრავალრიცხოვან წერილებზე, ინტერვიუს აძლევდა გაზეთების ცნობისმოყვარე რეპორტიორებს თავისი ახალი საქმიანობის შესახებ. საქონლის შესყიდვის ერთმა ექსპედიციამ იგი ლოს-ანჟელოსში მიიყვანა, სადაც ჯეკმა თავის მეგობარ ფელიქს პიანოსთან დაბინავებისას მეგაზეთეებს შემდეგი განუცხადა: „შევუდექი იმის გამოკვლევას, თუ რატომაა, რომ ჩვენთან, კალიფორნიაში, რაღაც ორმოც-ორმოცდაათ წელში მიწა გამოიფიტა, მაშინ როცა ჩინეთში ნიადაგი ათასი წლობით მუშავდება და იგი დღემდე მაინც ნაყოფიერია. გადავწყვიტე, სრულებით არაფერი არ მოვიწიო რანჩოდან. მომყავდა ბალახეული, რომლითაც საქონელს ვკვებავდი, ამ ადგილებში პირველმა გამოვიყენე ნიადაგში სასუქის შემტანი მანქანა; დავაყენე ხალხი, გავაკაფვინე ბუჩქნარი და ახალი ფართობი სახნავად ვაქციე.

ქვეყანაში სავალალო მდგომარეობაა, და, აი, რატომ: ათი წლის განმავლობაში მშიერთა რაოდენობა შეერთებულ შტატებში თექვსმეტი მილიონით გაიზარდა. ეს ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობა, სწორად წარმართვის შემთხვევაში, ისეთი წამოწყებაა, რომელიც უთუოდ მოიტანს შემოსავალს. ამ ათი წლის განმავლობაში ღორების, ცხვრების, სარძევე და სახორცე ძროხების სულადობა ფაქტიურად იმის გამო შემცირდა, რომ მსხვილი რანჩოები წვრილ ფერმებად დაქუცმაცდა. მეურნე, რომელიც ჯიშიან პირუტყვს აშენებს, უფრთხილდება და აახლებს ნიადაგს, უეჭველად მიაღწევს წარმატებას".

ათას ასი აკრი მიწის დამუშავებით მან შესძლო მიეცა ხალხისათვის სამუშაო და, მაშასადამე, თავის რჩენის საშუალებაც. ჯეკმა განკარგულება გასცა, ვინც არ უნდა მოსულიყო რანჩოში სამუშაოს სათხოვნად, ელიზას არავითარ შემთხვევაში უარი არ ეთქვა. დაე, კაცმა სამი-ოთხი დღე წაიმუშაოს, ისიც ხომ ფულია! დაე, ამ ხნის განმავლობაში სამი-ოთხჯერ მაინც ჰამოს დღეში მაძღრისად. თუ ვინმესთვის სამუშაო არ აღმოჩნდებოდა, ელიზას რამე უნდა მოეფიქრებინა: ფერდობების ქვებისაგან გაწმენდა ან მინდვრებს შორის ღობეების გაკეთება. „მგლის სახლის" მშენებლობის ხელმძღვანელი ფორნი გაფრთხილებული იყო: „ფორნი, არასოდეს არ გაუშვა ვინმე, ვიდრე იგი სამ-ოთხ დღეს არ წაიმუშავებს, ხოლო თუ კარგი მუშა გამოდგება, მუდმივ სამუშაოზე დატოვე".

სან-კვენტინისა და ფოლსომის ტუსაღები, რომელთაც ვადაზე ადრე ანთავისუფლებდნენ, თუ მათთვის სამუშაო აღმოჩნდებოდა, ჯეკს სთხოვდნენ, მიეღო ისინი რანჩოში სამუშაოდ. ჯეკი ყოველთვის ატყობინებდა სატუსაღოების ხელმძღვანელებს, რომ მზადაა განთავისუფლებულს მისცეს სამუშაო; უარს ეუბნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არც ერთი თავისუფალი ლოგინი, არც ერთი თავისუფალი კუთხე აღარ იყო მუშებისათვის განკუთვნილ სახლებში. ერთმა ასეთმა მთხოვნელმა უარის მიღების შემდეგ მოსწერა: „ნუ გეშინია, მე საოჯახო საქმის გაკეთებაც შემიძლია. რატომ უნდა ვიქურდო — მე ხომ მხოლოდ კაცისმკვლელი ვარ!" ჩვეულებრივად რანჩოში ათი ნატუსაღარი მაინც ცხოვრობდა და მუშაობდა.

იმ დროისათვის, როცა ჯეკის საქმიანობამ სოფლის მეურნეობის

დარგში უმაღლეს წერტილს მიაღწია (ეს კი 1913 წელს მოხდა), მის საგადასახადო უწყისში აღნიშნული იყო რაღაც თავბრუდამხვევი ოდენობის თანხა: სამი ათასი დოლარი თვეში. ორმოცდაცამეტი კაცი მუშაობდა რანჩოში, ოცდათხუთმეტი—„მგლის სახლის“ მშენებლობაზე, სხვანაირად რომ ვთქვათ, მისი წყალობით ასამდე მუშა იკვებებოდა ცოლ-შვილით — მაშასადამე, საშუალოდ, ხუთასი სული მაინც. ხელფასის დარიგების დღეს იგი უოშო ბანათი შემოუვლიდა მინდვრებსა და გორაკებს და მუშებს ხელფასს სარტყელზე ჩამოკიდებული კლონდაიკის დღეებიდან შემორჩენილი, ოქროს ქვიშისათვის განკუთვნილი ქისიდან ურიგებდა ოქროს მონეტებით. იმის შეგნება, რომ იგი ხალხს სამუშაოს აძლევს, ჯეკს ნაკლებ სიამოვნებას როდი ჰგვრიდა, ვიდრე ფერმერობა, ანდა რწმენა, რომ იგი კალიფორნიის სოფლის მეურნეობის მხსნელია.

მთელი ოლქის ფერმერები მას მასხრად იგდებდნენ იმის გამო, რომ სამი მოსავალი გადახნა, რომ სანიმუშო რანჩოს აშენებდა; დასცინოდნენ მუშებს, რომელთაც „რვასაათიან სოციალისტებს“ უწოდებდნენ. ჯეკს ახლაც ისევე დასცინოდნენ, როგორც უწინ, „სნარკის“ აგებისას. იგი ჯერ კიდევ მაშინ ჩიოდა: „ადამიანმა გამონახა ფულის შოვნისა და ხარჯვის სუფთა, სასარგებლო ხერხი, თითოეული კი, ვისაც არ ეზარება, მზადაა ამისთვის სული ამომხადოს. დოლი ანდა გოგოები თუ გამიტაცებდა მიუზიკ-ჰოლიდან, მაშინ სხვა საქმეა, უფრო გულდამშვიდებით მომეპყრობოდნენ“. იმათ, ვინც აფრთხილებდა და ურჩევდა, ასეთი დიდი თანხა ექსპერიმენტებში არ დაებანდებინა, იგი პასუხობდა: „მე მუშებს კი არ ვცანცლავ ფულს, არამედ თვითონ ვშოულობ პატიოსნად და მინდა იმაზე დავხარჯო, რომ ხალხს სამუშაო ჰქონდეს, რომ კალიფორნიაში აღვადგინო მიწათმოქმედება. რატომ არ უნდა მოვიხმარო საკუთარი ფული ისე, როგორც მესიამოვნება?“

სიამოვნებას კი იგი ბლომად ღებულობდა. ყოველი ახალი სტუმარი სარძევე ფერმაში მიჰყავდა და სიამაყით უჩვენებდა თითოეული ძროხის წველადობის მაჩვენებლებს, მის მინდვრებზე მოწეულ ნოყიერ იონჯასა და სიმინდს, რანჩოში გამოყვანილი საქონლის, თიკნებისა და კრავების გაუმჯობესებულ ჯიშებს. როცა მისმა ერთ-ერთმა პირუტყვმა გამოფენაზე უმაღლესი ჯილდო მიიღო, მის სიხარულს

საზღვარი არ ჰქონდა. ჩარმიანთან და ნაკატასთან ერთად „რომეჩით“ სანაოსნოდ ანდა ოთხცხენა ეტლით მგზავრობისას ჯეკი რჩევისა და დარიგების წერილებს უგზავნიდა ელიზას; იგი კი, თავის მხრივ, დაწვრილებით აცნობებდა, თუ რა კეთდებოდა რანჩოში. „თვალყური ადევნე, რომ გამორეკვის დროს ღორებს დამატებითი საკვები მისცენ; როგორ მოხდა, რომ ქერის ყანა დაიტბორა? ძრავა და სარწყავი შლანგი მზისაგან ხომ დაცულია? გოჭებს ქოლერა აქვთო — ეს მეტად სამწუხაროა! უბრძანე, რომ ოცბაგიანი საძროხეს საძირკველი შეაკეთონ; ახლა სწორედ დროა, რომ სამუშაოზე დაკავებულ ცხენებს და კვიცს ნავროტთან ერთად დამატებითი საკვები მისცენ. როცა ხეხილის ბაღის გვერდით ქვის ზღუდის შენებას დაიწყებენ, უთუოდ შეამოწმე, რომ დიდი ქვები მოზიდონ, — დაე, ლამაზი კედელი იყოს“. ყველაფერი ყველაზე დიდი, ყველაზე საუკეთესო უნდოდა ყოფილიყო: „მგლის სახლი“, ქვის ზღუდე, იონჯა და სიმინდი, შირული ცხენები, ძროხები, ღორები, თხები... ძალა და ენერგია მასში აღვიძებდა საკუთარი უპირატესობის შეგნებას, უნერგავდა აკვიატებულ აზრს იმის შესახებ, რომ იგი მეფე უნდა იყოს ადამიანთა შორის (დაე, უკანასკნელნი პირველნი გახდნენ, ნაძირალა კი — მეფე). არანაკლებ აკვიატებული ჰქონდა აზრი იმის შესახებ, რომ იგი მესიაა, რომელიც მოწოდებულია დაღუპვისა და დაცემისაგან იხსნას ამერიკული ლიტერატურა და ეკონომიკა, ახლა კი ამას სოფლის მეურნეობაც დაემატა.

ლიტერატურული საქმიანობით ჯეკის შემოსავალი წელიწადში სამოცდათხუთმეტი ათას დოლარს შეადგენდა, ხარჯავდა კი ასი ათასს. ყველაფერი, რასაც კი ფლობდა, თვით საკუთარი მომავლის გამოუკლებლად — დაგირავებული და გადაგირავებული იყო. ყოველი თვის პირველ რიცხვში ჯეკი და ელიზა გვერდიგვერდ ისხდნენ კანტორკულასთან სასადილო ოთახის კუთხეში და კანტორის წიგნებში თავჩაქინდრულები გულისგამაწვრილებლად ანგარიშობდნენ, როგორ მოეგვარებინათ საქმე, რათა ყველა ვალი დაეფარათ. როცა ერთხელ ასე უფულოდ დარჩნენ, ელიზა იძულებული გახდა სახლი, რომელიც ოკლენდში ჰქონდა, დაეგირავებინა და აღებული ხუთასი დოლარით პირუტყვისათვის საკვები შეეძინა. წერილები, რომელთაც ჯეკი აღმოსავლეთისაკენ გზავნიდა, აღსავსე იყო გოდებით:

„ფული!“ „გთხოვთ გამომიგზავნოთ 2000 დოლარი, რაც თქვენგან მერგება მოთხრობებისათვის, რადგან კალიფორნიაში სილოსის პირველ კოშკს ვაშენებ....“ „თქვენ კიდევ უნდა მომცეთ 5000 დოლარი წიგნის პუბლიკაციის ანგარიშში; უნდა ავაშენო ახალი საძროხე...“, „საჩქაროდ მჭირდება 1200 დოლარი ქვის სამსხვრევის შესაძენად...“, „დაუყოვნებლივ გამომიგზავნეთ 1500 დოლარი; რანჩოში კერამიკული სადრენაჟე სისტემა უნდა მოვაწყო, რათა ნიადაგის ზედა, ნოყიერი ფენა არ ჩამოირეცხოს...“, „თუ ჩვენ წინასწარ ხელშეკრულებას დავდებთ ამ სერიის მოთხრობებზე, ამით შესაძლებლობას მომცემთ ხელსაყრელ ფასებში — 4500 დოლარად — შევიძინო ოთხასი აკრი ფართობის ფრუნდის რანჩო, რომელიც ჩემს რანჩოს აკრავს“. ჯეკის წყალობით აღმოსავლეთის გამომცემლებმა ფართო განათლება მიიღეს ყველაფერში, რაც კი მეცნიერულ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას შეეხებოდა, და მაინც ისინი ზოგჯერ გააფთრებამდე მიდიოდნენ. „მისტერ ლონდონ, სრულიად არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, თუნდაც მართლაც გესაჭიროებოდეთ გოჭების კიდევ ერთი პარტია“, ანდა: „რატომღაც არა გვგონია, რომ ჩვენს მოვალეობაში შედიოდეს თქვენი მინდვრების გაწმენდა“. ერთმა გამბედაობაც კი მოიკრიბა და განუცხადა, რომ „ცუდი არაფერია იმაში, თუ მწერალი ფერმას ფლობს, მაგრამ იმ პირობით, რომ იგი ფერმერობას არ მოიწადინებს“. იწყებოდა გაჭიანურებანი, განაწყენებანი, კინკლაობანი, სეტყვასავით ცვიოდა მღელვარებით აღსავსე, ხოლო ზოჯერ გულმოსული დეპეშები, მაგრამ იგი მაინც უცვლელად მოითხოვდა ფულს; ათასი ათასს მოსდევდა — და სიმინდის შესანახად ერთ სასილოსე კოშკს კი არ აშენებდა, არამედ ორს, აგებდა საძროხეს, ყიდულობდა ქვისსამსხვრევს, გაჰყავდა სადრენაჟო და სარწყავი მილები. შეისყიდა ფრუნდის რანჩო და ახლა, საბოლოო ჯამში, მისმა სამფლობელომ ათას ხუთასი აკრი შეადგინა. „მგლის სახლი“ კრამიტით იყო გადახურული, რომელიც ორი ათას ხუთასი დოლარი დაუჯდა, ხოლო თვით სახლის ფასმა, რომელიც, სხვათა შორის, სამი წლის განმავლობაში შენდებოდა და ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი, სამოცდაათი ათასს მიაღწია. რამდენადაც მალე მოდიოდა ფული, იმდენად ჩქარა ეცლებოდა ხელიდან იგი ელიზას და ისიც ხშირად მისი სურვილის საწინააღმდეგოდ. ბევრია ფული?

მაშასადამე, შეიძლება მეტი მუშების დაქირავება, მეტი მინდვრების გაწმენდა, ახალი პირუტყვის შეძენა, ახალი სადრენაჟე და სარწყავი სისტემის გაყვანა. არ ყოფილა თვე, რომ მას ოცდახუთათას დოლარზე ნაკლები ვალი ჰქონოდა; ხშირად კი დავალიანება ორმოცდაათ ათასამდე აღწევდა.

იმის გარდა, რომ ამიერიდან მას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა მუშების დაკმაყოფილებაზე, ჯეკი განაგრძობდა რჩეულ, მაგრამ თანდათანობით მზარდ ნათესავთა (და მათ ნათესავთა), მეგობრების (და მათი მეგობრების), სტუმრების, ღარიბების, რომელთაც ეხმარებოდა, ყოველგვარი ჯურის მუქთახორებისა და მუქთამჭამელების უზრუნველყოფას. ხელგაშლილობა და სულგრძელობა მისთვის ისეთივე ბუნებრივი მოთხოვნილება იყო, როგორც ჰაერი, რომლითაც სუნთქავდა. ამერიკაში უკანასკნელმა მაწანწალამაც კი იცოდა. რომ მისი ყოფილი მეგობრებიდან ყველაზე უფრო ცნობილთან შეიძლება დამშვიდებით ჭამო, დალიო და ღამეც გაათიო. ასე რომ, მათი უმრავლესობის მარშრუტში „სილამაზის რანჩოც“ შედიოდა. ჯიმ ტალი, რომელმაც, ჯეკის მსგავსად, მწერალ-რომანისტის სახელი მოიხვეჭა „გზაზე“ ყოფნის შემდეგ, ჰყვება, თუ როგორ ჩაუდო ერთხელ, საღამოს, ლოს-ანჟელოსში ჯეკმა გამოწვდილ ხელში ხუთი დოლარი ვიღაც ლოთს, რომელმაც ღამის გასათევი ფული სთხოვა. შემდეგ იგონებს, რომ ჯეკი მასთან ერთად სამიკიტნო „ლასტ ჩანსში“ სავსე ბოთლიდან დაისხამდა ხოლმე ერთ სირჩა ვისკის, დახლზე ხუთ დოლარს დასდებდა და იტყოდა: „გამიგონე, ჯონი, გადაეცი ბიჭებს, რომ იყო ჯეკ ლონდონი; დაე, დალონ, მე ვპატრონებ“.

პატიმრები უგზავნიდნენ ხელით დაწნულ აღვირებს, რომლებიც მას, რასაკვირველია, სრულებით არ სჭირდებოდა. სანაცვლოდ, ოც-ოც დოლარს უგზავნიდა თითოში — როგორ უნდა უთხრა უარი ტუსაღს, რომელიც ცდილობს ცოტა ფული იშოვოს?

თითქმის ყველა მეგობარი ართმევდა სესხად ფულს — და ისიც არა ერთხელ, არამედ სისტემატურად. უკან არც ერთი დოლარი არ მიუღია. ათობით კაცისაგან ღებულობდა წერილებს თხოვნით, ფული გაეგზავნა; დიდი უმრავლესობის ამ თხოვნას იგი აკმაყოფილებდა. რომელიღაც სრულიად უცნობი მწერლები თხოვდნენ სუბ-

სიდიის მიცემას, ვიდრე ისინი თავის რომანებს არ დაამთავრებდნენ; ჯეკი ყოველთვიურად უგზავნიდა მათ ჩეკებს. როცა სოციალისტურ და მუშათა გაზეთებს ფინანსურად უჭირდათ (რასაც ისინი თითქმის განუწყვეტლივ განიცდიდნენ), იგი უფასოდ უგზავნიდა თავის ნარკვევებსა და მოთხრობებს, თანაც იწერდა ამ გაზეთებს თავისთვისა და მეგობრებისათვის. როცა სოციალისტურ ან პროფკავშირულ მოღვაწეებს აპატიმრებდნენ, იგი ფულს აგზავნიდა მათთვის ვექილის დასაქირავებლად. როცა სახსრების უკმარობის მიზეზით გაფიცვებს ჩავარდნა ემუქრებოდა, უფასო სასადილოები იხსნებოდა მისი ფულით. როცა ჯეკმა შემთხვევით გაიგონა, რომ ავსტრალიაში ცხოვრობს ქალი, რომელსაც ორივე ვაჟიშვილი მსოფლიო ომში დაეღუპა, მან ყოველგვარი თხოვნის გარეშე, ყოველთვიურად დაიწყო ფულის გზავნა — ორმოცდაათი დოლარი — და ამას აკეთებდა თვით სიკვდილამდე. როცა ნიუ-იორკის შტატის მთებიდან ვიღაც მოხუცმა ქალმა მოსწერა, სიღარიბისაგან ვიტანჯებიო, ხოლო ჯეკს იმ დროს ანგარიშზე ერთი დოლარიც არ ჰქონდა, გულშემზარავი წერილებით სული ამოხადა ბრეტს, თხოვდა — ფული გადაეგზავნა ბედკრული ქალისათვის მომავალი ჰონორარის ანგარიშში. როცა სან-ფრანცისკოში საოპერო სტუდიის გახსნა განიზრახეს, მან ვალდებულება იკისრა, სტუდიის საჭიროებისათვის ყოველთვიურად განსაზღვრული თანხა გაეღო. როცა უცნობმა სოციალისტმა ამხანაგმა ორეგონიდან მოსწერა, მომყავს ორსული ცოლი და ოთხი ბავშვი რანჩოში დასატოვებლად, ვიდრე ჭლექზე ვიმკურნალებო, ჯეკმა პასუხად უდეპეშა: დასაბინავებელი ადგილი არა მაქვს, არამც თუ კოტეჯი, ერთი თავისუფალი საწოლიც კიო.. მაგრამ ამასობაში ოჯახი უკვე გამოემგზავრა ორეგონიდან. როცა ისინი რანჩოში გამოცხადდნენ, ჯეკს დეპეშის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს, ისე გამოძებნა მათთვის კოტეჯი, ჰკვებავდა შთელ ოჯახს, მზრუნველობდა, მოაწესრიგა სათანადო დახმარების საკითხი, როცა მეხუთე ბავშვი უნდა მოვლენილიყო ამქვეყნად, ხოლო ექვსი თვის შემდეგ, არიზონიდან დაბრუნებულ ოჯახის მამას ცოლი და ბავშვები სრულად და უვნებლად ჩააბარა.

ჯეკი ათასობით წერილს იღებდა მოძმე სოციალისტებისაგან, რომელთაც რანჩოში ჩამოსვლა და დასახლება უნდოდათ.

„მხოლოდ ერთი აკრი მიწა, რამდენიმე ქათამი და, კმაყოფილი ვიქნები“.

„ხომ არ შეგეძლებათ დამითმოთ ორიოდე აკრი მიწა და ძროხა? სულ ესა, რაც ჩემს ოჯახს ესაჭიროება“.

ჯეკმა ელიზას უბრძანა, მეტი ხალხი აღარ აეყვანა; მაგრამ აი, რანჩოში შემოეხეტა ვიღაც მუშა ცოლითა და შვილებით, რადგან ყური მოეკრა, აქ ყოველთვის იშოვებაო სამუშაო, — და ჯეკმა იგი თვითონვე დაიქირავა. ელიზა, რომელიც მთელ ბუღალტერიას განაგებდა, ამბობს, შემოსავლის ნახევარს ჯეკი სხვებს აძლევდაო. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ იგი ისეთ სამუშაოსაც კი ანაზღაურებდა, რომელიც სრულიად არ ესაჭიროებოდა, ეს ციფრი მისი შემოსავლის თითქმის ორ მესამედს მიაღწევს. მის ხარჯზე შეეძლო ეცხოვრა ყველას, ვისაც შესაფერი ამბების მარაგი აღმოაჩნდებოდა, მაგრამ, სულ ცოტა, ფულის ნახევარს მაინც იგი მანამდე არიგებდა, ვიდრე სთხოვდნენ. მხოლოდ ერთხელ თქვა უარი დახმარებაზე: მოკრივე ბობ ფიცსიმონსის ცოლმა დეპეშა გამოუგზავნა თხოვნით, საჩქაროდ გადაეგზავნა მისთვის ასი დოლარი, მაგრამ რისთვის — ეს არ განუმარტა. ჯეკი თვითონაც თავს იმტვრევდა იმაზე ფიქრით, სად ეშოვა სამი ათასი დოლარი დამზღვევი კამპანიის ვალის დასაფარავად და საგირავნოს პროცენტების გადასახდელად. ამიტომ უდეპეშა, ერთი გროშიც არა მაქვსო. ორი დღის შემდეგ კი, როცა ჯეკმა გაზეთებში წაიკითხა — მისის ფიცსიმონსს ოპერაცია გაუკეთეს საოლქო საავადმყოფოს ღარიბთა კლინიკაშიო, მან თავისთავს არ აპატია; ამიერიდან თუ ფულისათვის მიმართავდნენ, თვითონაც რომ არ ჰქონოდა, მიდიოდა და საჭირო თანხას სხვისგან სესხულობდა.

თავის თავზე იგი ცოტას ხარჯავდა, უბრალო საჭმლით იკვებებოდა და უბრალოდაც იცვამდა. სამაგიეროდ, მეგობრებზე, სტუმრების მიღებაზე მთელ ქონებას ხარჯავდა, თვითონ სტუმრად იშვიათად დადიოდა. თუ ვინმესთან სადილად უნდა წასულიყო, ჯერ შინ შეჭამდა ნახევარ გირვანქამდე შნიცელს, რადგან სხვისი გაკეთებული საჭმელი არ უყვარდა. იგი მეტისმეტად პუნქტუალური იყო ყველაფერში, რაც ფულს შეეხებოდა. მის მაგიდასთან ბანქოს თამაშისას არც ერთ სტუმარს უფლება არ ჰქონდა მეორისათვის ვა-

ლის ხელწერილი მიეცა. იგი თვითონ უხდიდა იმას, ვინც იგებდა, ხელწერილს კი ჩამოართმევდა და სიგარეტის კოლოფში ინახავდა. ერთხელ, როგორღაც, მის სამუშაო ოთახთან ჩავლილმა ფლორიხმა დაინახა, რომ ფანჯრიდან ფანტელებად ცვიოდა თეთრი ქაღალდების ნაკუწები. რამდენიმე მათგანი აიღო და მიხვდა: ჯეკმა ეს-ესაა დახია ხელწერილების კიდევ ერთი შეკვრა.

მისი ცხოვრება გვიხატავს ნამდვილი კალიფორნიელის სურათს— კაცობრიობის მოდგმის უჩვეულო ნიმუშს, თავისი შტატის მიწის განუყოფელ ნაწილს, მეორეს ასეთს ვერსად იპოვი. კალიფორნიის მკვიდრთა უმრავლესობის მსგავსად, იგიც, მართალია, ზომიერ ფორმებში, მაგრამ მაინც იყო განდიდების მანიით შეპყრობილი; თუ მეგობართა საზოგადოებაში და მასთან ერთად მომუშავე ამხანაგების წრეში თავის მიღწევებს ნამდვილად თავმდაბლად და უბრალოდ ეკიდებოდა, სამაგიეროდ, მარტო რომ დარჩებოდა, უკიდურესად თვითდაჯერებული ხდებოდა. მოთხრობების, ნარკვევებისა და რომანების ასობით შავ ჩანაწერში წამდაუწუმ გხვდებათ მინაწერები: „სახელგანთქმული მოთხრობა“, „უძლიერესი რომანი“, „შემაძრწუნებელი იდეა“ „გასაოცრად კარგი მასალაა“, „კოლოსალური მოთხრობაა“. როგორც ბევრი ნამდვილი კალიფორნიელი, იგიც ბრგე ადამიანი იყო, გულითადი მოპყრობაში, ჯანსაღი ფიზიოლოგიური მიდრეკილებით; თაყვანს სცემდა სხეულის სილამაზეს, ძალას, სიმარჯვეს, რაც თავის მხრივ აიძულებდა ხელოვნებითა და კულტურით მოხიბლულიყო. ბავშვივით ეწაფებოდა გართობასა და მხიარულებას, მაგრამ ყველაზე მეტად სიცილი უყვარდა და ისიც არა ჩუმად, მორიდებულად, არამედ გაშმაგებით, მთელი ხმით. მოურიდებელი ადამიანი იყო და — როგორც მიღებულია კალიფორნიის მცხოვრებთა შორის — ეჯავრებოდა მეტისმეტი თავდაჭერილობა ხასიათსა და შეხედულებებში, ვერ იტანდა წინასწარ აკვიატებულ და ცრუ შეხედულებებს, დამკვიდრებულ ტრადიციებს, სიამოვნებითა და თავგამოდებით ეწეოდა ბრძოლას მათ წინააღმდეგ. როგორც კალიფორნიის წინანდელ მაცხოვრებლებს — ესპანელებს — მასაც სახლი თავშესაფრად გაეხადა, რომელიც ერთნაირად იყო ღია, როგორც წარჩინებულების, ისე მდაბიოების, მდიდრებისა და ღარიბებისათვის. ვიდრე სტუმარი შიმშილსა და წყურვილს არ მოიკლავდა

და ღამეს არ გაათევდა, ისე არ გაუშვებდნენ. ნეტარების მწვერვალზე ჯეკი მაშინ იყო, როცა მის მაგიდას ასე, ოციოდე კაცი მაინც მოუსხდებოდა. თავისი ესპანელი წინამორბედის მსგავსად, ვერ იტანდა ვიწროობას, უყვარდა ხალვათობა, უნდოდა იმდენი ადგილ-მამულის მფლობელი ყოფილიყო, ერთ დღეს რომ ვერ შემოუვლიდა.

კალიფორნიის აღმომჩენ ოქროსმაძიებელთა შთამომავალს ფული ამიტომაც ეზიზღებოდა, რომ მას ასე ადვილად და ბევრს შოულობდა. დაუნანებლად ფლანგავდა, რათა ქვეყანას დაენახა, რა უმნიშვნელო გავლენა აქვს მასზე ფულს. დიახ, მას არ ენანებოდა არც მიწა, არც თავისი ქისა, არც მეგობრობა და არც გონების საგანძური. იგი ნამდვილი კალიფორნიელი იყო და უნდოდა ყველაფერი მთელი სისრულით გაეკეთებინა: მუშაობის დროს—მ უ შ ა ო ბ ა, შემოქმედების დროს—შემოქმედება; გამარჯვება, გართობა, ხუმრობა, სიცილიცა და სიყვარულიც მთელი გატაცებით შეეძლო. დამოუკიდებელი და თვითნება, ძნელად თუ მოექცეოდა ვისიმე გავლენის ქვეშ, მაგრამ განწყობილებებს ადვილად აჰყვებოდა ხოლმე; მერყეევი იყო, ზოგჯერ ჯორივით ჯიუტი, შფოთიანობა და წინასწარგანზრახული სიმკაცრე სჩვეოდა. როგორც კალიფორნიის ერთგულ შვილს, ეზიზღებოდა სულიერი და ფიზიკური სიმხდალე; თვითონ გამოირჩეოდა იშვიათი გამბედაობით. „ჩაჟიდება და სიმტკიცე დათვისა ჰქონდა, —ამბობს აირა პაილი.—რისი საშიშროებაც არ უნდა ჰქონოდა, უკან არ დაიხევდა!“ როგორც ნამდვილი კალიფორნიელი, იგი თავს პიონერად, ნოვატორად, უმაღლესი ცივილიზაციის შემქმნელად სთვლიდა. ირგვლივ ისეთი სიძლიერე, ისეთი დოვლათიანობა, ისეთი ხალვათობა სუფევდა, რომ მას უსაზღვროდ სწამდა: რაც კი საუკეთესოა სამყაროში, ყველაფერი კალიფორნიის მიწაზე იბადება.

ლაღი, მდიდარი ბუნების წიაღში მცხოვრები, იგი თვითონაც სტიქიასავით თავისუფალი იყო; ადვილად იტაცებდა ახალი იდეები, გეგმები, სიყვარულის ან მრისხანების ალი. გარშემო დიადი სიმშვენიერე სუფევდა — აი, ამიტომაც აფასებდა იგი ადამიანისა და ბუნების სილამაზეს. მოუთმენელს, შმაგს, გრძნობამორეულს თავდაკიწყებამდე უყვარდა თავის გამოჩენა, სხვების განცვიფრება, გაზვიადება; პირველყოფილი უხეში შეგრძნებები წინანდებურად იტაცებდა, მაგრამ მასზე გავლენა მოახდინა რომანტიულმა სიმშვენიერე-

ვაც, მშობლიური ადგილების დოვლათიანობამ: მისი მჩქეფარე ძალა ერწყმოდა სილამაზისა და ტანჯვის თითქმის ქალურ აღქმას. პირდაპირი, გულმართალი, ხშირად ქოთქოთა, რამდენადმე უხეში, იგი არასდროს ეჭვის თვალით არ შესცქეროდა თავის თანამოძმეებს, ადამიანებს და სწამდა თითოეული მათგანის პატიოსნება, ვიდრე საწინააღმდეგოში არ დარწმუნდებოდა. აი, რატომ იყო იგი ზოგჯერ მეტად მიმნდობი, გულუბრყვილო, აი, რატომ იყო ადვილი მისი გათამაშება. თავისი უშიშრობით, ამტანობით, სიცოცხლისუნარიანობით იგი მოგაგონებდათ დიდ რუხ დათვს — ემბლემას, რომელიც ამერიკის დროშაზე იყო გამოხატული. თავისი შეხედულებისა და სიყვარულის ერთგული, ხელგაშლილი და დიდსულოვანი, რომელსაც მხოლოდ მაშინ შეუძლია გულისწყრომა განიცადოს, როცა სიღარიბეს ან უსამართლობას გადაეყრება, იგი ნამდვილი კერპთაყვანისმცემელი, პანთეისტი იყო, რომელიც, როგორც ღვთაებას, თაყვანს სცემდა სილამაზესა და ბუნების სტიქიურ ძალებს; გამოუსწორებელი ოპტიმისტი, რომელსაც სწამდა პროგრესი, მზად იყო სიცოცხლე შეეწირა დედამიწაზე ადამიანთა გონივრული საზოგადოების შექმნისათვის.

—

1913 წლის გაზაფხულისათვის ჯეკი მსოფლიოში ყველაზე ცნობილი მწერალი იყო. მას ყველაზე მეტს უხდიდნენ ნაწარმოებებში და ამ დროისათვის დიდების იმ საფეხურამდე ავიდა, რომელიც საუკუნის გარიჟრაჟზე კიპლინგს ეჭირა. მისი მოთხრობები და რომანები ითარგმნებოდა რუსულ, ფრანგულ, ჰოლანდიურ, დანიურ, პოლონურ, ესპანურ, იტალიურ და ძველებრაულ ენებზე. მისი ფოტოსურათები ისე დიდი რაოდენობით გამოდიოდა, რომ მილიონობით ადამიანისათვის ნაცნობი და ძვირფასი შეიქნა ეს ახალგაზრდა, ლამაზი და მკაფიოდ ჩამონაკვთული სახე.

მსოფლიოს ყველაზე მივარდნილ ადგილებამდეც კი აღწევდა ზღაპრები ჯეკ ლონდონის შესახებ. მის ყოველ სიტყვას, ყოველ ნაბიჯს მაშინვე აიტაცებდნენ და იმეორებდნენ გაზეთები, ხოლო როცა გასამეორებელი არაფერი იყო — მერე რა, თუ მეგაზეთეები თვითონვე შეჰქმნიდნენ ახალთახალ მასალებს. „მახსენდება, ერთსა და

იმავე დღეს ჩემზე სამი ცნობა გამოქვეყნდა. პირველში ამტკიცებდნენ, რომ ქალაქ პორტლენდში (ორეგონის შტატი) წამეჩხუბა ცოლი, თავისი ბარგიბარხანა ჩემოდანში ჩააწყო და გემით სან-ფრანცისკოში გაემგზავრა დედასთან. მეორე ნომერი სიცრუე იმაში მდგომარეობდა, თითქოს ქალაქ ევრიკაში (კალიფორნიის შტატი) ჩხუბი ავტეხე ლუდხანაში და ვიღაც მილიონერმა ტყის მრეწველმა მცემა. მესამე მონაჭორი ღაღადებდა, რომ მთის ერთ კურორტზე (ამჯერად ვაშინგტონის შტატში) ნიძლავში ასი დოლარი მოვიგე ტბაში ისეთი განსაკუთრებული სახესხვაობის კალმახის დაჭერისათვის, რომლის დაჭერა სავსებით შეუძლებლად ითვლება. უნდა აღინიშნოს, რომ იმ დღეს, რომელზედაც აქ ლაპარაკია, მე ცოლთან ერთად ვიმყოფებოდი ნაკრძალი ტყეების მივარდნილ ადგილას, ორეგონის სამხრეთ-დასავლეთით, სარკინიგზო, საავტომობილო, სატელეფონო და სატელეგრაფო ხაზებიდან დაშორებით".

ასეთ ყალბ ცნობებზე იგი არასდროს არ პასუხობდა, მათგან არც თავს იცავდა, თუმცა ისინი ზოგჯერ მეტად მწვავედ კბენდნენ და აღიზიანებდნენ. „იცით თუ არა თქვენ, რომ, როცა რომელიღაც სტუდენტი-ქალი ახეტიალდა გორაკზე ბერკლის ახლოს და მას თავს დაესხა მაწანწალა, გაზეთებმა განაცხადეს: ეჭვს გარეშეა, იგი სხვა ვინ იქნებოდა, თუ არა ჯეკ ლონდონი!" იგი ერთხელაც არ მიუწვევიათ სან-ფრანცისკოს მბეჭდავთა კლუბში, ხოლო როცა კლუბის წევრებს შენობის აგება დასჭირდათ და დაუფიქრებლად სთხოვეს ჯეკს ამ საქმისათვის ორი ათასი დოლარი შეეწირა — ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა უარის თქმამ ჯეკს სიამოვნება მოჰგვარა.

მაგრამ ამ ცრუ და, უფრო მეტად, ცილისმწამებლურ მონაჭორებზე ბევრად უარესი იყო სტატიები და ბროშურები, რომლებიც მისი სახელით ქვეყნდებოდა. ყველაზე მეტი უსიამოვნება მიაყენა მას ნაბეჭდმა ფურცელმა სახელწოდებით „იდეალური მებრძოლი": „ყმწვავილო! კარგ ჯარისკაცად გახდომა ყველაზე უმდაბლესი მიზანია, რომელიც კი შეგიძლია ცხოვრებაში აირჩიო. კარგი ჯარისკაცი არასოდეს არ ცდილობს გაარკვიოს, რა არის კარგი და რა ცუდი. თუ მას უბრძანებენ ესროლოს თანამოქალაქეებს, მეგობრებს, მეზობლებს, იგი უყოყმანოდ დამორჩილდება. თუ უბრძანებენ, ესროლოს ქუჩაში პურის მოთხოვნით გამოსულ ბრბოს, იგი

უარს არ იტყვის. ხედავს, როგორ იღებება ალისფრად მოხუცთა ჭაღარა თავები, როგორ გადმოსჩქეფს ქალის მკერდიდან სისხლი, რომელსაც თან მიაქვს მისი სიცოცხლე, მაგრამ იგი არც სინდისის ქენჯნას განიცდის და არც შებრალებას. კარგი ჯარისკაცი სიკვდილის ბრმა, გულქვა, უსულგულო მანქანაა!"

ეს, მეტად ოსტატურად შეთხზული სტატია შინაარსითა და სტილით გასაოცრად ჰგავდა იმას, რასაც ჯეკი წერდა. შეერთებული შტატების არმიის ოფიცერთა შორის აურზაური ატყდა: ეს ხომ პირადი შემადგენლობის შეურაცხყოფაა. კონგრესში საჩივრები შეიტანეს. ფოსტის სამინისტრომ გადაწყვიტა სისხლის სამართლის პასუხისგებაში გადაეცა იგი ფურცლის ფოსტით გავრცელებისათვის. ჯეკის აღშფოთებულმა უარყოფამ ბოლო მოუღო სასამართლოს დევნას, მაგრამ მას სიკვდილამდე მოსვენებას არ აძლევდნენ „ამ სამხედრო ჭორისათვის".

მთელს ამერიკაში, ვინ იცის, სად არ ჩნდებოდნენ მისი ორეულები განთქმული სომბრეროთი, პეპელა-ჰალსტუხითა და მისნაირივე პალტოთი; რასაკვირველია, სწორედ ისინი შეიქნენ არა ერთი და ორი საგაზეთო ჭორის წყარო. ორეულები მისი სახელით აკეთებდნენ მოხსენებებს, ჰყიდდნენ ვითომდა მის დაწერილ ხელნაწერებს, იბრძოდნენ მექსიკელ რევოლუციონერთა რიგებში დიასის წინააღმდეგ, ჯეკის ნაცვლად ხელს აწერდნენ ყალბ ჩეკებზე და ბოლოს, ტემპერამენტიანი, ცოტა არ იყოს უხეში და პრიმიტიული ჯეკ ლონდონის სახელით სატრფიალო ქსელსაც კი აბამდნენ. განუწყვეტლივ მოდიოდა წერილები ადამიანებისაგან, რომელნიც ამას ხვდებოდნენ იქ, სადაც ჯეკი არასოდეს ყოფილა. ყველაფერი ეს სასაცილოდ გამოიყურებოდა, ვიდრე სან-ფრანცისკოში არ გამოცხადდა მისი ორეული და არშიყობა არ დაუწყო მანდილოსანს, რომელსაც ბეიბი ერქვა. მანდილოსანი გლენ-ელენში აგზავნიდა ღია ბარათებს (უკონვერტოდ) შეკითხვით: „განა უკვე აღარ გიყვარვარ?" და ხელს აწერდა: „შენი შეყვარებული". ჯეკის საეჭვო წარმოშობა იმასაც კი იწვევდა, რომ ვიღაც, სავსებით უცხო ადამიანები აცხადებდნენ, თითქოს ჯეკ ლონდონი მათი შვილი, ძმა, ბიძა ანდა ბიძაშვილი იყო. ერთი ასეთი ვერსია წარმოიშვა ქალაქ ოსვიგოში (ნიუ-იორკის შტატი). ერთი ადგილობრივი ოჯახი აღიარებდა, რომ ჯეკ ლონდონი

სინამდვილეში ჰარი სენდსია, რომელიც თოთხმეტი წლისა გაიქცა ოჯახიდან. გაზეთებმა ერთად მოათავსეს ჰარი სენდსისა და ჯეკის სურათები, რათა მკითხველები დარწმუნებულიყვნენ მათ მსგავსებაში.

დადებითი შეფასებები და კეთილი სურვილებით აღსავსე კრიტიკული სტატიები ერთმანეთს ენაცვლებოდა თავდასხმებში მის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე. ჯეკს ბრალს სდებდნენ ალასკის დამახინჯებულად წარმოსახვაში, ამ მხარის ცხოვრების უცოდინარობაში. ფრედ თომპსონი, რომელმაც ჯეკთან ერთად ტვირთიანად იმოგზაურა იუკონზე, ხოლო შემდეგ ოცი წელიწადი იცხოვრა ალასკაში, დასცინოდა ამ ვითომდა მცოდნეებს. იგი იგონებდა, თუ რა მოულოდნელად ელოდნენ ალასკის ძველი მაცხოვრებლები ჯეკის ახალ მოთხრობებს კლონდაიკის შესახებ, რადგან იცოდნენ, სიმართლე დაუმახინჯებლად სწორედ იქ იქნებოდა აღწერილი.

მას ისე ხშირად სწამებდნენ პლაგიატობას, რომ დღეც არ გაივლიდა რაიმე დავის გარეშე. ჯერ კიდევ 1902 წელს ბრალად დასდეს ფრანკ ნორისის მოთხრობის სიუჟეტის მოპარვა. შემდეგ გამოირკვა, რომ თურმე ანალოგიურ თემაზე კიდევ სხვა მოთხრობა ყოფილა გამოქვეყნებული, რომელიც მესამე პიროვნებას ეკუთვნოდა. აღმოჩნდა, რომ სამივე მწერალი სიეტლში მომხდარმა რაღაც ერთმა და იგივე ამბავმა ააღელვა. როცა მოთხრობა „ადამამდე“ გამოვიდა, სტენლი ვატერლოომ (რომლის „ებას ისტორია“ დაედო საფუძვლად ამ ნაწარმოებს) საერთაშორისო მასშტაბის სკანდალი ატეხა. ჯეკმა აღიარა, რომ იგი დიდადაა დავალებული ვატერლოოსაგან, მაგრამ დაბეჯითებით განაცხადა, რომ პირველყოფილი ადამიანი არა კერძო, არამედ საზოგადოებრივი საკუთრებაა; ფრენკ ჰარისმა, ხან მწერალმა და ხან რედაქტორმა მდგომარეობის გათვალისწინებით, სახელი იმით მოიხვეჭა, რომ „რკინის ქუსლიდან“ ამოღებული ერთი ნაწყვეტის გვერდით მოათავსა თავისი ერთ-ერთი სტატია, საიდანაც ჯეკმა ვითომც ისარგებლა ლონდონის ეპისკოპოსის მიერ წარმოთქმული სიტყვით. თურმე ჯეკ ლონდონი ლიტერატურის ქურდია! აურზაურის დასაშოშმინებლად ჯეკს სათქმელად ესღა დარჩენოდა: „მე პლაგიატი კი არა, გულუბრყვილო ვარ: მეგონა, ჰარისს ციტირებული ჰქონდა ნამდვილი ისტორიული დოკუმენტი“.

გასავლისათვის მხარი რომ აება, დაეფარა რანჩოს შენახვითა და „მგლის სახლის“ მშენებლობით გამოწვეული უამრავი ხარჯები, ჯეკი იძულებული იყო განუწყვეტლივ ეწერა ბაზრისათვის გამოსადეგი მოთხრობები. თუ იგი შეჩერებას გაბედავდა სულის მოსათქმელად, უამრავი ვალისა და ვალდებულების გროვა წამოიქცეოდა და თავისი სიმძიმით მასაც გასრესდა. ყველაზე უკეთ საღდებოდა ნაწარმოებები ალასკის შესახებ, და იგიც წვითა და დაგვით აცხობდა მათ ერთიმეორის მიყოლებით, თან დასძენდა: „მაინც ვერ ვაღწევ თავს კლონდაიკს“. მიუხედავად იმისა, რომ მყიდველთა გემოვნების მიხედვით უნდა ეწერა, მისი გახსნილი გონების, მჩქეფარე და მდიდარი წარმოსახვის წყალობით, ალასკაზე დაწერილი ბევრი მოთხრობა კარგი გამოდიოდა. ასეთებია „მაკ-კეის შთამომავალი“ და „აბეზარი თეთრი კაცი“ კრებულში „სამხრეთის ზღვების ზღაპრები“, „სიამაყის ტაძარი“ და „შერიფი კონა“ — კრებულში „სიამაყის ტაძარი“. ფულისათვის დაწერილი იყო მოთხრობები მხოლოდ სმოკ ბელიუზე[1]. ამბები, რომელთაც მისი კალამი წარმოსახავდა, იქმნებოდა მის გონებაში. ისინი მბრძანებლურად ითხოვდნენ გამომზეურებას — უფულობა მხოლოდ უშუალო საბაბი იყო, რომელიც აიძულებდა მაშინვე, დაუყოვნებლივ ეწერა. თუ ადრინდელ „ხალტურას“ არ ჩავთვლით, „სმოკ ბელიუს“ სერია პირველი, ნაკლები ლიტერატურული ღირებულების მქონე ნამუშევარი იყო. ძველ ლიტერატურული ღირსება აკლდა: წმინდა წყლის ღიღური სამუშაოს ნორმა; ანდა ცემენტი, მორები და სპილენძი სახლის ასაშენებლად. ამ საქონლის სანაცვლოდ იგი პატიოსნად აწვდიდა კარგ მასალას: „სმოკ ბელიუს“ შესახებ ცამეტი მოთხრობის დაწერა სასიამოვნო შრომა არ იყო, მაგრამ რაკი ხელი მოვკიდე, შევეცადე, რაც კი შემეძლო, საუკეთესო შემექმნა, ყოველგვარი შეღავათის გარეშე!“

ოსტატობის დონემ მის მოთხრობებში დაცემა იწყო—ნაწილობრივ იმიტომ, რომ იგი დაიღალა მცირე ფორმის ვიწრო ჩარჩოებისა-

---

[1] ჯეკ ლონდონი მძიმედ განიცდიდა გამომცემელთა ზეგავლენას. ამ წლებში იგი აღიარებს, რომ ეზიზღება სამწერლო პროფესია. „არჩევის შესაძლებლობა რომ მქონოდა,—წერს იგი წერილში,—არასდროს ხელს არ მოვკიდებდი კალამს, ერთი გამონაკლისის გარდა—დამეწერა სოციალისტური სტატიები და ბურჟუაზიული სამყაროსთვის მეთქვა, რა საშინლად მეჯავრება იგი“.

გან, რაც გაქანების საშუალებას არ აძლევდა. მას სურდა მხოლოდ რომანები ეწერა. ამ პერიოდში შექმნილი ორი რომანი „ჯონ ქერის მარცვალი“ და „მთვარის ხეობა“ მის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვში შევიდა, უფრო მეტიც, ისინი ღირსია გვერდში ამოუდგნენ ამერიკული რომანის ყველაზე სრულყოფილ ნიმუშებს. თუ მესამე ნაწილს არ ჩავთვლით, სადაც სოფლის მეურნეობის შესახებაა ლაპარაკი (შეიძლება მისი ცალკე წიგნად გამოყოფა), „მთვარის ხეობა“ შეიცავს ყველაზე ღრმა აზრებს, ბრწყინვალე, საუკეთესო სტრიქონებს, რაც კი ჯეკ ლონდონის ჭკუასა და გონებას შეუქმნია. არაჩვეულებრივი დამაჯერებლობითაა მოცემული საუთაოზე მომუშავე ქალის საქსონისა და დამტარებელ ბილის სახეები; ამერიკულ-ირლანდიური ფოლკლორის ნამდვილი ნიმუშია „კალატოზთა კლუბელების“ სეირნობის დროს ატეხილი ჩხუბის აღწერები ვიზელ-პარკში, სადაც ჯეკი ბავშვობისას, კვირა საღამოობით, რესტორნებში იატაკს ჰგვიდა ხოლმე; რკინიგზელთა გაფიცვის დროს დატრიალებული დრამის აღწერა მეოთხედი საუკუნის გასვლის შემდეგაც საგაფიცვო მოძრაობისადმი მიძღვნილი ნაწარმოების საუკეთესო ნიმუშად რჩება.

ზოგჯერ დიდი გაჭირვებით უხდებოდა ჟურნალისათვის შესაფერი სიუჟეტის შერჩევა. მაინცდამაინც ასეთ დაძაბულ მომენტში მოვიდა წერილი სინკლერ ლუისისაგან, სწორედ იმ წითური ახმახისაგან, რომელიც ოდესღაც ინტერვიუს ითხოვდა „იელის ახალი ამბებისათვის“, ახლა კი ცდილობდა მწერალი გამხდარიყო. ლუისი რამდენიმე სიუჟეტის მონახაზს სთავაზობდა... თითოეულს შვიდნახევარ დოლარად. იქნებ გამოგადგეთ! ჯეკმა ისინი გადასინჯა, შეარჩია „საშინელების ბაღი“ და კიდევ ერთი სიუჟეტი და ლუისს თხუთმეტი დოლარის ჩეკი გადაუგზავნა. ელვის სისწრაფით მოვიდა პასუხი: ლუისი მადლობას უთვლიდა და თანაც ატყობინებდა, რომ ამ მომენტში ზემოაღნიშნული თხუთმეტი დოლარი შეადგენდა პალტოდ წოდებულ დეტალს, რომლის დანიშნულებაა თავისი მფლობელი დაიფაროს ნიუ-იორკის ცივი ქარებისაგან.

შემდგომში, ყრუთა სწავლების ხელშემწყობი ამერიკული ასოციაციის ორგანოში, „ვოლტა რევიუში“ მუშაობისას, ლუისმა გამოგზავნა სიუჟეტური მონახაზების ახალი პარტია—სულ ოცდაერ-

თი, რომელნიც, როგორც თვითონ აღნიშნავდა, „შედგენილია ნამდვილად საქმიან ზედნადებ საქონელზე, რომელიც გეგზავნებათ ქვენორე ხელისმომწერის მეშვეობით ამა და ამ დღეს ფასების აღნიშვნით თითოეულზე“. ხელს აწერდა: „სინკლერ ლუისი, ანუ ჰელი, იგივე წითური“. თანდართულ წერილში იგი იმედს გამოთქვამდა, რომ ჯეკი ფართოდ გამოიყენებდა ამ სიუჟეტებს და ეს, ბოლოს და ბოლოს, შესაძლებლობას მისცემს ლუისს, მოიშოროს კაბალა და დაუბრუნდეს თავისუფალ შემოქმედებას. თუ მას რაღაც მაინც გამოუვიდა, ამტკიცებდა ლუისი, ეს მხოლოდ ძილის წყალობითაა, ხოლო ძილი იმდენად იაფი გასართობია და, ამავე დროს, ჭკუის სასწავლებელი, რომ არ ღირს მისი ტყუილუბრალოდ განიავება. ჯეკმა მისგან იყიდა იდეა სახელწოდებით „ილუზიათა სახლი“ ზედნადებში აღნიშნული შეფასებით—ორნახევარ დოლარად; შეიძინა „მრუში მამა“, „ჯონ ავერის დანაშაული“, „ახსნა-განმარტებები“, „რეკომენდაციები“, „შიშისა და საყვედურის გარეშე“, „ქალი, რომელმაც სული მამაკაცს ჩააბარა“ — ხუთ-ხუთ დოლარად; „მოკრივე ფრაკში“, „ჯანსაღი აზრის საპყრობილე“ — შვიდნახევარ-შვიდნახევარ დოლარად, „ბატონი ცინცინატუსი“ — ათ დოლარად და ლუისს ორმოცდათორმეტი დოლარი და ორმოცდაათი ცენტის ჩეკი გაუგზავნა. როგორ დახარჯა ლუისმა ეს ფული, ცნობილი არა, მაგრამ მან სიამაყით აცნობა ჯეკს, რომ მისი „წითელი რუკა“ —სოციალისტის პარტიული ბილეთი—ახლა სრულ წესრიგში იმყოფება. ,ლუისის იდეები საფუძვლად დაედო მოთხრობას „როცა მთელი სამყარო ახალგაზრდა იყო“, რომელიც დაიბეჭდა „პოსტში“ და „მძვინვარე მხეცი“, რომელიც ნაწილ-ნაწილად დაიბეჭდა ჟურნალ „პოპულარულში“. როცა მან ლუისს მისწერა, რომ ცხოვრებაში პირველად გრძნობს ზიზღს მუშაობისადმი და არ იცის, რა უყოს ლუისისეულ „მკვლელობათა ბიუროს“, სინკლერ ლუისში გაიღვიძა პროფესიონალურმა სიამაყემ და სრულიად უსასყიდლოდ გამოუგზავნა ჯეკს კონსპექტი, საიდანაც ცხადი ხდებოდა, თუ როგორ უნდა გადაკეთებულიყო ფაბულა.

ჯეკის ნატურის სიმდიდრე და კეთილშობილება განსაკუთრებით ვლინდებოდა დამწყები მწერლების მიმართ, რომლებიც ყოველი მხრიდან შემოჯროდნენ და ისე დიდი რაოდენობით უგზავნიდნენ

ხელნაწერებს, რომ თვალი უბნელდებოდა, თითქოს მოზღვავებულ კალიას მზე დაუჩრდილავსო. დღე ისე არ გავიდოდა, რომ რომელიმე იმედის მომცემ ავტორს მისთვის მანუსკრიპტი არ გამოეგზავნა თხოვნით—თავისი აზრი გამოეთქვა, შეესწორებინა, დახმარებოდა გამოქვეყნებაში. ამ მანუსკრიპტებს, დაწყებული ერთგვერდიანი ლექსებიდან და დამთავრებული რვაასგვერდიანი რომანითა და ტრაქტატებით, იგი უდიდესი ყურადღებით კითხულობდა და შემდეგ ავტორს უგზავნიდა ვრცელ კრიტიკულ განხილვას, რომელიც თავისთავად წლების მანძილზე შემუშავებული ლიტერატურული ტექნიკის განსახიერებას წარმოადგენდა. ამ უცნობ ადამიანებს იგი აძლევდა ყველაფერ საუკეთესოს, რაც კი გააჩნდა, დროისა და ენერგიის დაუზოგველად. თუ ნაწარმოებს ღირსად მიიჩნევდა, ცდილობდა ჟურნალში დაებეჭდა, ანდა რომელიმე გამომცემლობისათვის მიეყიდა; თუ სუსტად ჩათვლიდა, ავტორს პირდაპირ ეუბნებოდა თავის აზრს. გულწრფელი კრიტიკისათვის იგი ხშირად მძაფრი ბრალდებების მსხვერპლი ხდებოდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დაბეჯითებით იცოდა, პასუხის გაცემის შემთხვევაში მისთვის ლანძღვის უკიდურესს სიტყვებსაც არ დაიშურებდნენ, იგი ავტორს მაინც უთითებდა, რაში მდგომარეობდა ნაკლი და როგორ შეიძლებოდა მისი გამოსწორება. ერთმა ავტორმა, რომელმაც დაწუნებულ ხელნაწერთან ერთად მკაცრი შეფასებაც მიიღო, განსაკუთრებულად უკიდურესი ლანძღვით მიმართა მას. ჯეკმა მხოლოდ სამი საათი დაიტოვა ძილისათვის, რომელიც მის დაღლილ ტვინს მეტად ესაჭიროებოდა, და თითქმის მთელი ღამე მოანდომა ბრწყინვალე და მოთმინებით აღსავსე შვიდგვერდიან წერილს (ესე იგი, ერთი მოთხრობის სიდიდისას, რომელშიც მას ხუთას დოლარს მისცემდნენ). იგი ყოველმხრივ არიგებდა ადრესატს — ესწავლა კრიტიკის ისე მიღება, რომ იგი შემდგომ გამოეყენებინა თავის მუშაობაში.

გაჯავრება შეეძლო მხოლოდ ერთი კატეგორიის მწერლებზე—იმათზე, რომელთაც უნდოდათ ჯეკს მათთვის წარმატების ყველაზე იოლი გზა ეჩვენებინა. ასეთებს ჯეკი ეუბნებოდა: „ადამიანი, რომელიც ოცნებობს ოსტატობის დაუფლებაზე და იმავე დროს მიაჩნია, რომ მისი ტალანტი ვიღაც სხვამ უნდა დახვეწოს, განწირული ადამიანია: მხოლოდ რაღაც საშუალო—აი, მისი ხვედრი. თუ

შენ გსურს ღირსეულად შეასრულო ამოცანა, თვითონ უნდა იღვწოდე დახელოვნებისათვის. გაბედულად შეუდექი საქმეს! შუბლით შეამტვრიე კარები! მტკიცედ მიჰყევი დინებას, არ დანებდე! ნუ წუწუნებ. ნურც მე და ნურც სხვას ნუ შეეკითხები, როგორ მოგვწონს ის, რაც შენ გააკეთე; ნუ იტყვი, რომ შენი ნაწარმოები სხვისაზე უარესი არაა. აკეთე ისინი ასჯერ უკეთესად და მაშინ შენ აღარც დრო გექნება და არც ხალისი შეადარო ისინი სხვის საშუალო დონის ნაწარმოებს".

ჯეკის ქაღალდებს შორის ინახება იმ დროის თითქმის ყველა გამოჩენილი მწერლის წერილები. სადაც ისინი უზიარებენ თავიანთ გასაჭირს, არასასიამოვნო ამბებს, შიშს. თვითონაც უზიარებდა მათ თანაგრძნობას, სიყვარულს, ამხნევებდა კიდეც, უნერგავდა სიმტკიცეს, რწმენას თავისი თავისადმი, ლიტერატურისა და სიმყაროსადმი, რომლის ჩაწვდომასაც ცდილობდნენ. როცა გამომცემლობაში, საზოგადოებრივი თვალსაზრისით, ღირსშესანიშნავი წიგნი გამოჩნდებოდა ხოლმე, ერთ ეგზემპლარს მას უგზავნიდნენ; ჯეკიც კეთილსინდისიერად კითხულობდა მას და აგზავნიდა დადებითი შეფასების დეპეშას, რაც საჭირო იყო წიგნისთვის გზის გასაკაფად.

საქმიან ურთიერთობაში ჯეკი არა ნაკლებ პატიოსანი და დიდსულოვანი იყო რედაქტორებისა და გამომცემლების მიმართ. მას ყოველთვის უყვარდა „ფართო გაქანების თამაშის წამოწყება" და მუდამ საწყენად რჩებოდა, როცა მეორე მხარე, ბიზნესის ხალხი, თამაშში „წვრილმანდებოდა". ჯეკი რბილი, დამყოლი და ზრდილობიანი მანამდე იყო, ვიდრე არ მიხვდებოდა, რომ მას ატყუებენ, ან მის სამუშაოს აფუჭებენ; მაშინ კი გააფთრებული დათვის მძვინვარებით თავს ესხმოდა მას, ვინც აწყენინებდა.

1910 წლიდან მოყოლებული, როცა გამოქვეყნდა რომანი „დროარ-იცდის", ჯეკმა მაკმილანს გაუგზავნა პიესა „ქურდობა", ნარკვევების კრებული სამხრეთის ზღვების შესახებ სახელწოდებით „მოგზაურობა „სნარკზე" და მოკლე მოთხრობების ოთხი ტომი. არც ერთ ამ ნაწარმოებს არ ჰქონია დიდი წარმატება. ბრეტმაც აცნობა, რომ მოკლე მოთხრობები არ საღდებოდა: ბაზარი გაავსო ათობით იაფფასიანმა ჟურნალმა, რომლებშიც მოთავსებულია სავსებით ასა-

ტანი მიბაძვები იმ მოთხრობებისა, რომლებითაც ჯეკმა სახელი გაითქვა. ბრეტს უკვე აღარ შეეძლო ეგზავნა მისთვის ავანსი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ხუთი ათასსა და უფრო მეტსაც შეადგენდა. ამრიგად, 1912 წელს, ათი წლის განმავლობაში წარმატებით თანამშრომლობის შემდეგ, ჯეკი დაშორდა ბრეტსა და მაკმილანის კომპანიას და კონტრაქტი დადო „საუკუნესთან" („სენჩუური კომპანისთან"). ახალმა გამომცემლობამ გამოუშვა სერია „სმოკ ბელიუ", კრებული „ღამეში დაბადებული" და მოთხრობა „მძვინვარე მხეცი", მაგრამ უარი თქვა სამი თვის განმავლობაში —„ჯონ ქერის მარცვალზე" მუშაობის პერიოდში —თვეში ათასი დოლარით დაფინანსებაზე. სამი წლის მანძილზე „ჯონ ქერის მარცვალი" პირველი ნაწარმოები იყო, რომელიც ავტორს ბრწყინვალე წარმატებას უქადდა, და ჯეკი, რომელსაც მაინც და მაინც არ მოსწონდა ურთიერთობა „საუკუნესთან", და რომელმაც თავის გამომცემლებს ცეცხლის მფრქვეველი დეპეშების მთელი ჯერი მიაყენა, ცდილობდა კონტრაქტისაგან განთავისუფლებულიყო და ისევ მაკმილანს დაბრუნებოდა.

„ყველა გამომცემელი იმ აზრისაა, რომ თქვენ შეგიძლიათ „ქერის მარცვალი" სხვა კომპანიას გადასცეთ. ერთადერთი, რასაც თქვენთვის ხელის შეშლა შეუძლია,—ესაა დიდი მოგების მიღების სურვილი. თქვენ მზადა ხართ ერთ მუჭა ვერცხლში გაჰყიდოთ თქვენი კომპანიის კარგი სახელიცა და საკუთარი თავიც. მაშ ასე, კეთილი ინებეთ და დაიმახსოვრეთ, რომ მე წამგლეჯი არა ვარ და „ქერის მარცვლის" მილიონობით მკითხველი უახლოეს დღეებში თქვენს შესახებაც წაიკითხავს რაღაც-რაღაცეებს. გავარდება მეხი და მაშინ არა ერთი და ორი დღე მოგიხდებათ პატიების თხოვნა და მუხლის მოყრა მთელი ქვეყნის წინაშე; ხოლო როცა თქვენ უკვე მტვრად იქცევით, ამ ქუხილის გამოძახილი მიაღწევს იმათ ყურამდე, რომელნიც ჯერ კიდევ არ დაბადებულან და თქვენ კუბოში გადატრიალდებით. აბა, ჰე! მითხარით, გსურთ ანგარებიანი ადამიანის სახელი დაგრჩეთ?.. მე ისეთი არაადამიანური სიძნელეები გადამიტანია ზურგით, როგორიც თქვენ, ძვირფასო მეგობრებო, არც დაგსიზმრებიათ; ისეთი მოთმინება გამოვიმუშავე, როგორზეც თქვენ

წარმოდგენაც არა გაქვთ. პირად კეთილდღეობას, ფინანსურ გამორჩენას მე ისეთი უდარდელი ზიზღით ვეკიდები, რომელსაც, ვეჭვობ, ჩაწვდეს თქვენი უბადრუკი გონება. სამაგიეროდ, საკმარისია სარკეში ჩემს თავს შევხედო, რომ ყოველთვის კმაყოფილი დავრჩე იმით, რასაც იქ ვნახავ — არა იმას, რასაც თქვენ, კეთილნო ბატონებო; თვალს შევავლებ წიგნის თაროებს, იქ ჩემი წიგნები ჩამწკრივებულა—ის ოცდათოთხმეტი, რომლებიც უკვე დაბეჭდილია. მთელ ამ რიგზე მხოლოდ ერთი უშნო წიგნია: თქვენ მიერ ახლახან გამოცემული „მძვინვარე მხეცი“. ძველი ამბავია: ორი ოთხზე ზომის გამომცემელი მზადაა გამოსცეს ავტორის შრომა სიდიდით რვა ათზე. წინანდებურად პასუხს ველი 1913 წლის 10 მაისის გრძელ დეპეშაზე. ამ დღეების განმავლობაში თქვენ შესაძლებლობა გქონდათ ოჯახურ წრეში დამტკბარიყავით საკვირაო სადილით, მოგენახულებინათ ცოლი და ბავშვები, გამოგეჩინათ გულკეთილობა და ადამიანის სახეც კი მიგეღოთ. მაშ გადაწყვიტეთ, დაგლახვროთ ეშმაკმა! ჩემდამიც გამოიჩინეთ გულკეთილობა და ადამიანობა, დამანებეთ თავი! თქვენ ხომ იცით, რომ ახალ გამომცემელს ვერაფერს მივაწვდი „ქერის მარცვლის“ გარდა, ესაა მთელი ჩემი აქტივი. უარი თქვით რამდენიმე დოლარის მოგებაზე და შესაძლებლობა მომეცით, ისე წავიდე, რომ უკანასკნელი ტყავი არ გამაძროთ“. „საუკუნემ“ არ უპასუხა. კიდევ ერთი უკანასკნელი სასოწარკვეთილი დეპეშა: „გულისწყრომა— ეს შემიძლია გავიგო, მაგრამ გაბუტვა, ბრიყვი სახედრის მსგავსი ჯიუტობა—ეს ისეთი პრიმიტიულობაა, რომ ვერ გამიგია, ადამიანებს, რომელთაც თავი თანამედროვედ და სავსებით ცივილიზებულად მოაქვთ, როგორ შეუძლიათ ამგვარად მოიქცნენ“.

საქმე იმით დამთავრდა, რომ „საუკუნემ“ მაინც არ ისურვა უარის თქმა „ქერის მარცვალზე“. „ცხოვრებაში მეტად ხშირად ვყოფილვარ ხოლმე ბეჭებზე გაკრული, რათა წყენა ან მტრობა დაშემალა მხოლოდ იმიტომ, რომ მცემეს“, — მისწერა ჯეკმა გამომცემლებს, რომლებთანაც მხოლოდ სინდისით თანამშრომლობდა. მიუხედავად ამისა, „ჯონ ქერის მარცვლის“ გამოქვეყნების შემდეგ, იგი ისევ მაკმილანს დაუბრუნდა და ამიერიდან აღარ უცდია რისკის გაწევა და მისი ღალატი. იგი ბრეტს გამოუტყდა, რომ თვი-

თონაც არ იდგა თავის სიმაღლეზე, როცა „საუკუნესთან“ კონ-ტრაქტის გაუქმებას ცდილობდა.

1913 წლის ზაფხულში იგი ჩარმიანთან ერთად კარმელში გაემ-გზავრა სტერლინგებთან და მათთან რამდენიმე ბედნიერი კვირა გა-ატარა. ცურაობდნენ მოქცევის ტალღებში, მზის აბაზანებს იღებ-დნენ ქვიშაზე წამოწოლილნი, აგროვებდნენ მოლუსკ-აბელონებს, კოცონზე სწვავდნენ მათ და პირს იტკბარუნებდნენ, თანაც ახალ-ახალ ოთხტაეპიან ლექსებს ამატებდნენ სახუმარო პოემას აბელო-ნების შესახებ. რა სასაცილოდაც არ უნდა მოგეჩვენოთ, სხვებზე უკეთ დაამახსოვრდათ სტერლინგის ლექსი:

ვისაც გსურთ ვახშმად შემწვარი მწყერი, —
დე, მოგიმართოთ უფალმა ხელი;
მე კი ღმერთსა ვთხოვ, რომ მქონდეს ფული,
და ვახშმად თუგინდ—გამხმარი პური.

შინ, „სილამაზის რანჩოში“, დილის სიგრილეში ჯეკი განაგრძობ-და მუშაობას რიგ ჩაფიქრებულ დიდ რომანებზე. ასე დაიწერა „ამ-ბოხება „ელსინორაზე“, რომელიც „ზღვის ყაჩაღების“ სახელწო-დებით ნაწილ-ნაწილ დაიბეჭდა ჟურნალ „კოსმოპოლიტში“. ნაწარ-მოების ის ნაწილი, სადაც სიუჟეტის ხაზი იშლება, განსაკუთრებით, რაც ზღვას ეხება, ჩინებულადაა გაკეთებული: ტყუილად კი არ ეძა-ხდნენ ჯეკს ამერიკელ კონრადს; მეორე ნაწილი, სადაც მთავარი გმი-რი კი არ მოქმედებს, არამედ მსჯელობს, სუსტია და თხზულებას ისე ამახინჯებს, რომ „ამბოხებას „ელსინორაზე“ სწრაფი და დამსახუ-რებული სიკვდილი ეწვია.

დღის მეორე ნახევარში ჯეკი ცხენით შემოივლიდა ხოლმე ნოყი-ერ ჭალებს, სადაც, მზის მცხუნვარე სხივების ქვეშ, ნაყოფი მწიფდე-ბოდა და ბოიზ სპრინგზის აუზში მეგობრებთან ბანაობით ამთავრებ-და დღეს. უკან დაბრუნებისას ყველა ბარში შეივლიდა თითო სირ-ჩის გადასაკრავად, ახალი ანეკდოტის მოსასმენად და გასამხიარუ-ლებლად. უკვე ბინდდებოდა ხოლმე, როცა იგი „მგლის სახლს“ უახ-ლოვდებოდა ფორნისა და მუშებთან გამოსალაპარაკებლად. სახ-ლი თითქმის მზად იყო და 1913 წლის აგვისტოსათვის ჯეკს მის მშე-ნებლობაზე უკვე ოთხმოცი ათასი დოლარი ჰქონდა დახარჯული. გა-

ზეთები მას შეუბრალებლად აკრიტიკებდნენ—სოციალისტურ პრინციპებს გადაუხვია და თავისთვის ციხე-დარბაზს იშენებსო; გაჯავრებულ სოციალისტებს შიაჩნდათ, რომ ჯეკმა მათ უღალატა. პაილი ამბობს, რომ როცა ჯეკს საყვედურობდნენ მისი სახლის ბრწყინვალების გამო, იგი იბნეოდაო. რეპორტიორებს კი ერთსა და იგივეს უმტკიცებდა: რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს „მგლის სახლი“, ჯეკი კაპიტალისტი არაა; იგი მან თავისი ხელფასით ააგო. როცა „მგლის სახლს“ ყველანი ციხე-დარბაზს უწოდებდნენ, იგი უარყოფდა და ამბობდა, რომ მეფური სექვოიები და წითელი ქვა მისი საკუთრებაა, ხოლო თუ სახლი იუსტინიანეს ან ცეზარის სასახლეს ჰგავს, ეს ბედნიერი შემთხვევითობაა, რაშიც მას ერთი დოლარიც არ დაუხარჯავს. როცა ჰარისონ ფიშერმა განაცხადა, ეს ულამაზესი სახლიაო ამერიკაში, ჯეკი უკვე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ „მგლის სახლზე“ დახარჯულმა ფულმა და ძალ-ღონემ თავისი აანაზღაურა.

ბოლოს, როგორც იქნა, დადგა 18 აგვისტო—სახლის დალაგების დღე. ელექტრიკოსებმა დაასრულეს გაყვანილობა, დურგლებმა და წყალსადენის ოსტატებმაც დაამთავრეს სამუშაო. ფორნის მუშები ოთახიდან ოთახში დადიოდნენ და სკიპიდრით გაჟღენთილ ჩვრებს აგროვებდნენ, რომლითაც ისინი შენობის ხის ნაწილებს წმენდნენ. მეორე დილით ჯეკსა და ჩარმიანს მუშათა ბრიგადა დაეხმარებოდა ახალ სახლში გადასვლაში. იმ საღამოს ფორნი თერთმეტ საათამდე მუშაობდა ძველ სახლში ჯეკთან ერთად და შემდეგ „მგლის სახლის“ ჩავლით თავისი სახლისკენ წაწანწალდა. ღამის ორი საათი იქნებოდა, როცა იგი მეზობელი ფერმერის ყვირილმა გააღვიძა:

— ფორნი, იწვის! „მგლის სახლი“ იწვის!

როცა ფორნიმ ხეობას მოაღწია, მთელი სახლი უკვე ცეცხლის ალში იყო გახვეული.

რამდენიმე წუთის შემდეგ აქოშინებულმა, თმააშლილმა ჯეკმაც მოირბინა. იმ ბორცვზე, სადაც მღეროდა ხოლმე და იტალიელ მუშებთან ერთად ღვინოს სვამდა, იგი გაქვავდა. მის თვალწინ ლრიალით ბობოქრობდა ჯოჯოხეთური ცეცხლი. ერთდროულად იწვოდა სახლის ყველა ნაწილი; აგვისტოს შუა რიცხვები იყო, წყალი არსად მოიძებოდა. ჯეკს მეტი აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა,

რომ აცრემლებული სახით მდგარიყო და ეცქირა, როგორ ინგრეოდა მისი ცხოვრების კიდევ ერთი საწუკვარი ოცნება.

იწვოდა ხის ყველა კონსტრუქცია, რაფებსაც კი რაღაც უცნაური მოლურჯო ალი მოსდებოდა. სახლის ირგვლივ, რკალისებურად, დარგული იყო სექვოიები, ხოლო მათ მიღმა, ჯეკის საძინებელი ოთახის მოსაპირკეთებლად, შტაბელებად იყო დაწყობილი სექვოიის ფიცრები. სახლის ირგვლივ მდგარ სექვოიებს ცეცხლი არ წაჰკიდებია, ფიცრები კი, რომლებიც მათ უკან ეწყო, იწვოდა. ცეცხლის გარეშეში ბევრზე იყვნენ დაეჭვებულნი. ანონიმურ წერილებში, რომლებიც ჯეკის სახელზე მოდიოდა, ასახელებდნენ შეპარდსაც, რომელსაც ელიზა ეყრებოდა,—იგი სწორედ იმ დღეს წაეჩხუბა ჯეკს. „მგლის სახლის“ ახლოს ვიღაცას ენახა მუშა, რომელიც ჯეკმა რანჩოდან გააგდო იმიტომ, რომ ცოლს სცემა; ზოგიერთები ფიქრობდნენ, რომ ცეცხლი მან გააჩინა. ასახელებდნენ ათისთავს—ფიცხსა და არასასიამოვნო კაცს. ვინ იცის, ვისღა არ სდებდნენ ბრალს: ფორნისაც, შურიან სოციალისტებსაც და რითიმე განაწყენებულ მაწანწალებსაც. ფორნის აზრით, ხანძარი თვითაალების შედეგად გაჩნდა — შეიძლება ალი გაუჩნდა სკიპიდრით გაჟღენთილ ჩვრებს, რომლებითაც ხის ნაწილებს სწმენდნენ. შესაძლოა, მაგრამ, მაშინ გაუგებარია, რატომ ერთბაშად წაეკიდა ცეცხლი მთელ სახლს. ხანძარი რომ ერთ რომელიმე ოთახში გაჩენილიყო, ქვის კედლები ხელს შეუშლიდა მის გავრცელებას. შეიძლებოდა ყველა ოთახს ცეცხლი ელექტროგაყვანილობის უვარგისობით მოსდებოდა, თუკი დენი იქნებოდა ჩართული... მაგრამ, სახლის ირგვლივ, სექვოიების რკალს იქით, შტაბელებთან ხომ მავთულები არ გადიოდა.

ჯეკი დარწმუნებული იყო, რომ სახლს ვიღაცამ გაუჩინა ცეცხლი—თუ ადამიანმა არა, მაშინ ბედისწერამ, რომელსაც არ სურდა, ჯეკი თავისი შრომის ნაყოფით დამტკბარიყო; ბედისწერამ, რომელიც თვლიდა, რომ სოციალისტს არ შეშვენის სასახლეში ცხოვრება. ამ გრძელი და მწარე ღამის განმავლობაში ჯეკმა მხოლოდ ორჯერ ამოიდგა ენა. როცა ხანძარი მთლად მოედო სახლს, მან ჩაიჩურჩულა:

— მე მერჩია ვყოფილიყავი ის, ვისაც სახლი დაუწვეს, ვიდრე ის, ვინც დაწვა.

განთიადისას, როცა სახლისაგან მხოლოდ ქვის გარეთა კარკასი დარჩა, და რომელიც ისე ჩტკიცედ იყო ნაგები, რომ საუკუნეებს გაუძლებდა, მან მშვიდად წარმოთქვა:

— ფორნი, ხვალ ხელახლა დავიწყებ შენებას.

„მგლის სახლი“ ხელახლა მან ვეღარ ააშენა. იმ ღამით მის გულში რაღაც ჩაიფერფლა და სამუდამოდ დაიღუპა.



I

ოთხი დღე იწვა ჯეკი ლოგინში დახურულ ვერანდაზე, რომელიც ტროპიკულ ბაღს გადაჰყურებდა. მას ერთბაშად მოერია ყველა ავადმყოფობა, რაც ოდესმე გადაეტანა „გზისა“ და კლონდაიკის დღეებიდან დაწყებული და დამთავრებული კორეითა და სოლომონის კუნძულებით. იმის გაფიქრებაზე, რომ ხანძრის გაჩენაში ბრალი მიუძღოდა ერთ-ერთ იმათგანს, რომელიც მან შეიკედლა და შეიტკბო, ჯეკი ზიზღის მწვავე გრძნობას განიცდიდა. მას მხოლოდ „მგლის სახლის“ გამაჩანაგებელმა განადგურებამ კი არ დასცა თავზარი; იგი გულდამძიმებული იყო იმით, რომ ჰკარგავდა ადამიანებისადმი სიყვარულსა და ნდობას, და ეს აწუხებდა გამუდმებით. უეცრად მისთვის ბევრი რამ გახდა ნათელი, რასაც წინათ ვერც ამჩნევდა ან ამჩნევდა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა. „მგლის სახლის“ ხანძარი მას სიმბოლურად ეჩვენებოდა: სწორედ ასევე დაიღუპება ყველაფერი ის, რის გაკეთებასაც იგი ცდილობდა სოციალიზმისა და ლიტერატურისათვის. ამ დღეებში ის შესამჩნევად დაბერდა.

როგორც კი წამოდგა ლოგინიდან, პირველ ყოვლისა, „მგლის

სახლისკენ“ გაემგზავრა უოშო ბანათი მინდვრის ბილიკის გავლით და დიდხანს, დაკვირვებით ნაღვლიანად შესცქეროდა წითელი ქვისაგან ნაგებ დიდებულ ჩონჩხს, რომელსაც სონომის ლურჯი ციხაკენ აეზიდა თავისი გაშიშვლებული კოშკები. ამიერიდან ხანძრის ნარჩენებს „ნანგრევები“ ეწოდა. ჯეკს შეეძლო თავი გაკოტრებულად გამოეცხადებინა, მაგრამ ამის ნაცვლად მან მოიჯარადრეებს სრულად გაუსწორა ანგარიში. წმინდა ზარალმა სამოცდაათი ათასი დოლარი შეადგინა. სმოკ ბელიუს მოთხრობებზე დახარჯული დრო და ენერგიაც წყალში გადაყრილი აღმოჩნდა. ყოველივე ეს მას კვლავ და კვლავ აფიქრებინებდა, სადღაც იქ, ფერფლის ქვეშ, ხომ არ იმალება მორალი, რომელიც მან უნდა შეითვისოს? ცნობილია, რომ ამ დროს მისი ვალი ასი ათას დოლარს აღწევდა, მაგრამ ეს უზარმაზარი თანხა როდი უმძიმებდა გულს, არა, ტვინს უხვრეტდა იმაზე ფიქრი, თუ რამდენი ათასი სიტყვის დაწერა მოუწევს, ვიდრე ამ თანხას აანაზღაურებს.

ჯეკმა კვლავ განუმეორა ფორნისა და ელიზას, რომ „მგლის სახლს“ ხელახლა ააშენებს; ფორნის უბრძანა ნანგრევები ნაგვისაგან გაეწმინდა, ხოლო ელიზას — განკარგულება გაეცა სექვოიის ახალი პარტია მოეპრათ გასაშრობად. მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი ამაოა... სახლს ისევ გადაუწვავდნენ, ეს იქნება და ეს, როცა „კოსმოპოლიტმა“, ზარალით გამოწვეული თანაგრძნობის ნიშნად, ყოველთვიური ორი ათასის ჩეკი ვადაზე ადრე გამოუგზავნა, ჯეკმა ნივთებით გადატვირთულ თავის კაბინეტს მინაშენი გაუკეთა შტოებგაშლილი მუხის ჩრდილქვეშ და იქ გადაიტანა საწერი ნივთები, სახურავიანი მაგიდა-ბიურო გორგოლაჭებზე, ქაღალდებითა და წერილებით გატენილი მავთულის კალათები, ფოლადის რეგისტრატორები შეგროვილი მასალებით და მუყაოს კოლოფ-კარტოთეკები ასობით მოთხრობისათვის განკუთვნილი შენიშვნებით.

იგი ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა; ყველაფერი ისე იყო, როგორც ძველად, და მაინც ყველაფერი სხვანაირად ეჩვენებოდა. რანჩოს შემოვლისას ამჩნევდა, რომ მუშები სამუშაოს თავს არიდებენ, ცდილობენ რაც შეიძლება მეტი წაგლიჯონ, გაკეთებით კი ნაკლები გააკეთონ. თანდათანობით, აქა-იქ გამოკითხვის შედეგად, იგი მიხვდა, რომ მუშებს რანჩო მდიდრის ახირებად მიაჩ-

ნდათ და მას სერიოზულ საქმედ არ თვლიდნენ ისევე, როგორც თავის დროზე ნავსადგურის მუშები—„სნარკს“. ეს მარტო მუშებს როდი ეხებოდა. ერთხელ, როცა ჯეკი სამჭედლოსთან ჩამოხტა უოშინგანადან და ახლადდაჭედილი ცხენი დაათვალიერა, შეამჩნია, რომ მჭედელს ნალის ბორგების მიზნით, ჩლიქი ერთნახევარ სანტიმეტრზე მოეხერხა. გადაათვალიერა წარმოდგენილი ანგარიშები და როცა ისინი მეტისმეტად გაბერილად მოეჩვენა, ქალაქში გაემგზავრა, რათა მედუქნეებთან გაერკვია, რაში იყო საქმე. მას უთხრეს, რომ ათისთავი ქრთამს ითხოვდა ოცი პროცენტის ოდენობით თითოეული დოლარიდან და ისინიც იძულებული გახდნენ ეს თანხა ანგარიშებისათვის მიემატებინათ.

1900 წელს ჯეკი ანა სტრუნსკაიას სწერდა: „მართალია, ვკიცხავ მეგობართა ნაკლს, მაგრამ ეს განა იმას ნიშნავს, რომ ისინი არ უნდა მიყვარდეს?“ სიყვარული, მოთმინება და სულგრძელობა —აი, ის სამი წყარო, რომელიც მის ბუნებას ასაზრდოებდა. მაგრამ, ვაი, რომ ახლა ეს წყაროები სულ უფრო ხშირად იშუქრებოდნენ დაშრობით! ერთხელ, როგორღაც, მან ოკლენდში მცხოვრებ ერთ თავის მეგობარს, ერნსტს, სთხოვა—რამდენიმე საჯაგავი ცხენი ეყიდა მისთვის. მომსახურებისათვის ერნსტმა საკომისიო აიღო და, ამას გარდა, ანგარიშში ჩაურთო თავისი ხარჯებიც, შემდეგ კი რანჩოში გაუგზავნა დაწესებულზე ნაკლები წონის ორი ცხენი და დამატებით კიდევ ორი დაავადებული ჯაგლაგიც. როცა ჯეკმა მისწერა, რომ ასეთი ცხენები მას არ გამოადგებოდა, ერნსტმა გაჯავრებული, ნაწყენი წერილით უპასუხა.

„შენ დადიხარ და წუწუნებ, რომ შეურაცხყოფა მოგაყენეს, მაგრამ ახლა მე მკითხე რა დღეში ვარ?—წერდა მას ჯეკი.—წარმოიდგინეთ, თურმე სულ გავთავხედდი: გავბედე მეთქვა, რომ წყვილი მუშა ცხენი იწონის არა ათასხუთას გირვანქას, როგორც შენ ამბობდი, არამედ ათას სამას ორმოცდაათს, ხოლო მეორე წყვილი —ეს ძველი მძორი—მხოლოდ წიწილების საკვებად თუ გამოდგება. მორჩა! შენ უკვე აფეთქდი, რაც შეგიძლია გაჰყვირი, რომ ყალთაბანდი გიწოდეს. არავინ იცის, რაში გადაჰყარე ჩემი ფული, ახლა კი მეუბნები: „წადი, იშოვე!“ თურმე გაწყენინეს — წარმოგიდგენიათ! მაგრამ თუ დაფიქრდი, რამდენ დოლარში მომატყუე? რაღა

შემრჩა ხელში? ყველაფერი, რაც ცხენების შესაძენად შემეძლო გამომეყო, უკვე აღარა მაქვს, ხოლო რანჩოს დასამუშავებლად ცხენები არ მყოფნის“.

ჯერ კიდევ 1904 წელს, გაიგო თუ არა, რომ მისი მეგობარი, გაზეთის მუშაკი ნოული უმუშევარია, ჯეკმა მას გადასცა უფლება სცენისა ან ეკრანისათვის გადაეკეთებინა „ზღვის მგელი“. ნოულს ინსცენირებისათვის უნდა მიეღო საავტორო ანარიცხების ორი მესამედი. ამის ნაცვლად მან დრამატიზაციის უფლება ვიღაც სხვას მიჰყიდა, ხოლო ამოგებული თანხა—სამი ათას ხუთასი დოლარი—თვითონ დაიტოვა. ახლა, „ზღვის მგლის“ ეკრანიზაციაზე რომ ხელშეკრულება დაედო ჰობარტ ბოსუორტთან, ჯეკს ამ უფლების გამოსასყიდლად გამომცემლობისაგან უნდა გამოეთხოვა ეს თანხა. ამასობაში ნოული ისევ გამოცხადდა და შეეცადა დაეთანხმებინა ჯეკი, რათა მას ფული დაებანდებინა „მილეგრაფ კომპანის“ წამოწყებაში, რომლის დაარსებასაც იგი აპირებდა იმ მიზნით, რომ გაუმჯობესებული ხერხით დამზადებული ლითოგრაფიული ნაწარმისათვის გასაღების ბაზარი შეექმნა. ჯეკმა გადაწყვიტა, არც სიმკაცრე გამოეჩინა და არც ცინიკი გამხდარიყო. განკარგულება გასცა, რომ ბრეტს ათასი დოლარი მიეცა ნოულისათვის. როცა კომპანიას კიდევ დასჭირდა სახსრები, მან ოთხი ათასად დააგირავა ფლორას სახლი. „მე ყოველთვის გულახდილი ვარ და მთლიანად ვენდობი მეგობრებს“,—სწერდა იგი ნოულს. ჯეკის კუთვნილი აქციები არარეალური აღმოჩნდა, კომპანია გაკოტრდა.

ერთხელ ჩარმიანმა სასწრაფოდ სამასი დოლარი მოსთხოვა. ჯეკმა ვალის დაბრუნება სთხოვა ასობით კაცსა და ქალს, რომელთა დავალიანება, ერთად აღებული, ორმოცდაათი ათას დოლარს აღემატებოდა და რომელნიც ფიცსა სდებდნენ, ვალს სრულად, უკანასკნელ ცენტამდე, დაგიბრუნებთო. მან მხოლოდ ორმოცდაათი დოლარი შეაგროვა. თავის სიცოცხლეში პირველად დაეჭვდა: ხომ არ დასცინიან მას მეგობრები? იქნებ მათ იგი დიდი ხანია ჩერჩეტ, ქარაფშუტა ირლანდიელად გამოაცხადეს, რომელიც მთვრალი მატროსივით ფანტავს ფულს? დაუსრულებლად ერთიდაიგივე მეორდებოდა: იგი სულ არიგებდა და არიგებდა, სხვები კი სულ ართმევდნენ და ართმევდნენ. ადრე გულგატეხილობა თავისთავად

მოუვლიდა ხოლმე, მაგრამ მალე უქარწყლდებოდა. ახლა ფიქრები სულ უფრო მძიმე და მწარე ხდებოდა.

აი, უკვე რამდენიმე წელია ბესის არწმუნებდა, გოგონები ჩამოეყვანა გლენ-ელენში საზაფხულო არდადეგებზე, რათა მათაც შეჰყვარებოდათ „სილამაზის რანჩო“. ბესიმ მხოლოდ ერთხელ მიიღო მიწვევა და პიკნიკზე ჩამოვიდა ჯოანის, ბესისა და ნაცნობების თანხლებით. ვერც კი მოასწრეს შოლტზე საუზმის გაშლა, რომ მათ ცხენით ჩაუქროლა ჟოკეის წითელ კეპსა და მამაკაცის წითელ პერანგში გამოწყობილმა ჩარმიანმა—მტვრის თხელმა ფენამ დაფარა სანოვაგე. ჯეკი ყველა წმინდანს ფიცულობდა, რომ თუ ბესი ნებას მისცემდა მისთვისაც რანჩოში კოტეჯი აეშენებინა, ჩარმიანს ახლოსაც არ გაეკარებდა. ბესიმ უარი უთხრა. ჩარმიანის მიზეზით ქმარი დაჰკარგა და ეშინოდა ახლა ქალიშვილებიც არ დაეკარგა. მან უპასუხა, რომ, მისი აზრით, მეორე მისის ლონდონი, მორალის თვალსაზრისით, შეუფერებელი მაგალითის მაჩვენებელია მოზარდი გოგონებისათვის.

ასევე უშედეგოდ დამთავრდა ჯეკის ცდა, თუნდაც ერთი ტკბილი სიტყვა ან თანაგრძნობის ჟესტი დაემსახურებინა ჯოანისაგან, რომელსაც უკვე ცამეტი წელი შეუსრულდა. მას კი იმედი ჰქონდა, ჯოანი საკმაოდ მომწიფებულია იმისათვის, რომ მისი თანამებრძოლი და მეგობარი გახდეს. 24 აგვისტოს, ოთხი დღის შემდეგ, რაც „მგლის სახლი“ დაიწვა, იგი წერილს სწერს თავის ქალიშვილს და ემუდარება, გაიხსენოს, რომ იგი მისი მამაა, რომ იგი აჭმევდა და აცმევდა მას, მისცა საცხოვრებელი ადგილი და თავშესაფარი, უყვარდა მისი პირველი ამოსუნთქვიდანვე. „შენ კი როგორ მექცევი?—ეკითხება იგი.—ნუთუ მე მართლა ისეთი სულელი ვარ, რომელიც უხვად გასცემს და სამაგიეროდ კი არაფერს იღებს? გიგზავნი წერილებს, დეპეშებს, შენგან კი ერთი სიტყვაც არ ჩანს. მაშასადამე, არ გსურს ჩემი შეწყნარება? მე მხოლოდ უფასო სადილის ტალონი ვარ და მეტი არაფერი? გიყვარვარ კია საერთოდ? წარმოვადგენ თუ არა რაიმეს შენთვის? ავადა ვარ—შენ სდუმხარ. სახლი დამეღუპა, შენ მაშინაც არ გაიმეტე ჩემთვის ერთი სანუგეშო სიტყვა. არა, სამყარო იმათ რიდი ეკუთვნის, ვინც სდუმს. თავისთავად დუმილი სიცრუეა, თუ კი მისი დახმარებით სიყვარულს სიცი-

ლის საგნად აქცევენ, ხოლო მამას — უფასო სადილის ტალონად. ნუთუ არ ფიქრობ, რომ უკვე დროა, შენგან რაიმე გავიგონო? იქნებ ელოდები, რომ სამუდამოდ დამეკარგოს შენგან თუნდაც ერთი სიტყვის მოსმენის სურვილი?"

იყო კიდევ ერთი ყველაზე სასტიკი აღმოჩენა, რომელიც ჯეკმა თავისი გამოფხიზლების პერიოდში შეამჩნია. მან ულმობელი სიცხადით დაინახა, რომ ჩარმიანი ორმოცდასამი წლის ასაკშიც ბავშვი იყო და თავს ირთობდა რაღაც უმნიშვნელო ბავშვური გასართობებით. მეზობლები იგონებენ, როგორ ჰყვებოდა ჩარმიანი „გაუთავებელ ამბებს, ბავშვურად ჩმახავდა სისულელეებს თავის ძვირფას სამკაულებზე, ანტიკურ მორთულობებზე, ქუდებზე და სხვა წვრილმანებზე. მას სურდა სამუდამოდ შერჩენოდა ქალური სინაზე, მუდამ მომხიბვლელი და მომაჯადოებელი ყოფილიყო". ჯეკი იტანჯებოდა, როცა ამჩნევდა, როგორ ცდილობდნენ სტუმრები დაემალათ დაბნეულობა, შეცბუნებულნი იყვნენ მისი არაბუნებრივი მანერებით, კეკლუცობითა და მონდომებით — ნორჩი, თვალწარმტაცი ქალიშვილი წარმოესახა, როგორადაც მუდამ მოჰქონდა თავი; რომ ისინი განცვიფრებული იყვნენ ჩარმიანის უცნაური, ძვირფასი სამკაულებით, მკვეთრი წითელი ფერის საკარნავალო კოსტუმებით, მაქმანშემოვლებული ჩაჩებით, როგორსაც ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში ატარებდნენ. მისი დედინაცვლის ქალიშვილი იხსენებს, რომ ბავშვობაში ჩარმიანს ჩვეულებად ჰქონდა კუთხიდან თავი გამოეყო, სახე დაემანჭა ან ეოხუნჯა და გაქცეულიყო, რათა უკან დასდევნებოდნენ. იგი ახლაც თითქოს კუთხიდან გამოიყურებოდა, ოხუნჯობდა და მოელოდა, რომ გამოედევნებოდნენ. ერთ საღამოს ჯეკი და ელიზა სასადილოში კანტორკულასთან ისხდნენ და თავს იმტვრევდნენ, როგორ გადაეხადათ ვალები. ამ დროს ოთახში შემოიჭრა ხავერდის ქსოვილის ნაჭერში უცნაურად გახვეული ჩარმიანი და პრანჭვა-გრეხით გაიარა ოთახში: „აბა, შემომხედე, მეგობარო, ხომ საუცხოვო გამოვა? ეს-ესაა ორი ნაჭერი ვიყიდე". იგი წავიდა და ოთახში ხანგრძლივი, ნაღვლიანი დუმილი ჩამოვარდა. შემდეგ ჯეკი ელიზას მიუბრუნდა და უთხრა:

— ეს ჩვენი ბავშვია და ჩვენც ყოველთვის უნდა ვიზრუნოთ მასზე.

მას რომ შესძლებოდა, ისევ წასულიყო სამხრეთის ზღვებზე სამოგზაუროდ, მოეწყო მოგზაურობა ოთხცხენა ეტლით, ან თავგადასავალთა ძებნას გაეტაცა, ჩარმიანი ძველებურად იდეალური ამხანაგი იქნებოდა. მაგრამ ახლა ჯეკი სახლში ცხოვრობდა, იგი დაიღალა, თანაც გულგატეხილობა შეეპარა. მას ესაჭიროებოდა ჭკუადამჯდარი ქალი, „რომელიც ორივე ფეხით მტკიცედ იდგებოდა მის გვერდით“ მოწიფულ ადამიანთა სამყაროში; ქალი, რომელიც გაიზიარებდა მის ფართო სარეცელს და რომელსაც იგი, ღამით შიშისაგან გამოღვიძებული, შეძლებდა ხელით შეხებოდა.

მეგობრებით, ნათესავებითა და დასავლეთის ქვეყნებში მიმოფანტული ათასობით თაყვანისმცემლით გარშემორტყმული ჯეკი აუწერელ სიმარტოვეს განიცდიდა. მთელი ძალ-ღონით, როგორც ეს შესწევს იმას, ვისი დღეებიც უკვე დათვლილია, სტანჯავდა მას თავისი სისხლისა და ხორცის—ვაჟის უყოლობა, ვაჟისა, რომელზეც შეიძლებოდა დანდობა, რომლის მძლავრი მხარი იქნებოდა მისი საყრდენი მოხუცებულობის წლებში, ვაჟი, რომელსაც გადასცემდა თავის სახელს და რომელიც მისი საქმეების გამგრძობი იქნებოდა.

„მგლის სახლი“ დაიწვა, ზაფხულის ხანგრძლივმა გვალვამ გაანადგურა მოსავალი, მაგრამ მაინც სწორედ 1913 წელი აღმოჩნდა მისთვის ყველაზე ნაყოფიერი; ჯეკის შემოქმედებამ ამ წელს ზენიტსაც[1] მიაღწია. ჟურნალებში გამოქვეყნდა მისი ოთხი რომანი, მათ შორის—„ალისფერი შავი ჭირი“, რომელიც მოგვითხრობს; თუ როგორ დაუბრუნდა კაცობრიობა პირველყოფილ ცხოვრებას, როცა შავმა ჭირმა პირისაგან მიწისა აღგავა თანამედროვე ცივილიზაციას. ცალკე გამოცემებად გამოვიდა: ჯერ ერთი, კრებული „ღა-

---

[1] შეფასებები, რომელსაც ი. სტოუნი აძლევს ჯეკ ლონდონის ცალკეულ ნაწარმოებებს, ხშირად მეტად სუბიექტურია. ამ შემთხვევაში იგი ცდება, როცა ლონდონის შემოქმედებითი ნიჭის გაფურჩქვნის წლად 1913 წელს ასახელებს. სტოუნის მიერ ჩამოთვლილი ზოგიერთი ნაწარმოები ლონდონს უფრო ადრე აქვს დაწერილი: კერძოდ, მოთხრობები „მექსიკელი“ და „ღამით დაბადებული“ პირველად 1911 წელს გამოქვეყნდა, „მკვლელობა“ — 1910 წელს, მოთხრობა „მძვინვარე მხეცი“ — 1911 წელს და ა. შ.

შით დაბადებული“—ისეთი ძლიერი მოთხრობებით, როგორიცაა „მექსიკელი“, „მკვლელობა“ და „როცა ახალგაზრდა იყო“, მეორეც—მოთხრობები მოკრივეებზე—„მძვინვარე მხეცი“, რომელიც სინკლერ ლუისის ერთ-ერთ სიუჟეტზეა აგებული; და მესამე —სულ რაღაც სამოც დღეში ერთიმეორეს მიყოლებით გამოვიდა საყოველთაოდ ცნობილი ორი რომანი: „ჯონ ქერის მარცვალი“ და „მთვარის ხეობა“. ეს სარეკორდო ჩამოთვლა ნათელყოფს, თუ რატომ სთვლიდნენ გამომცემლობათა სამყაროში ჯეკ ლონდონს ბუნების სტიქიურ მოვლენად და არა ჩვეულებრივ ადამიანად.

ბედს, რომელმაც ამდენი გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა, თურმე ჯერ კიდევ შესძლებია გაენებივრებინა იგი და მოპყრობოდა ისე, როგორც თავის რჩეულს. წლის ბოლოს, როცა ჯეკმა დაამთავრა მომქანცველი „ამბოხება „ელსინორაზე“ და იგრძნო, რომ ახალი იდეა სჭირდებოდა, სან-კვენტინოს საპყრობილედან გაანთავისუფლეს მისი მეგობარი ედ მორელი. ხუთი წლის განმარტოებული პატიმრობის შემდეგ მორელს გახადეს პატიმრის დამაწუნარებელი ქურთუკი, გამოუშვეს კარცერიდან და საპყრობილეს მთავარ მამასახლისად დანიშნეს. ჯეკი მრავალი წლის განმავლობაში ცდილობდა, მოეხერხებინა, რომ მორელისათვის ეპატიებინათ დანაშაული და ბოლოს, როცა თავისი გაიტანა, უდეპეშა: „გილოცავთ; გთხოვთ მეწვიოთ“. მორელს იგი პირველად ოკლენდის რესტორან „სედლ როკში“ შეხვდა და ეს ნაცნობობა, ისე როგორც სხვა მრავალი, რომლებიც მიმოწერის დროს აღმოცენდა, მალე მტკიცე მეგობრობაში გადაიზარდა. მორელი დიდხანს რჩებოდა ხოლმე „სილამაზის რანჩოში“, სადაც ჯეკი ღრმა ინტერესით უსმენდა მის თხრობას: ტყუილად კი არ აინტერესებდა მთელი კრიმინოლოგია და პენოლოგია, ბოროტმოქმედება და დასჯის სისტემა.

მალე მან მუშაობა დაიწყო თავისი მერვე და უკანასკნელი დიდი რომანის—„ვარსკვლავთა შორის მოხეტიალეს“—შექმნაზე. შეუძლებელია ჟრუანტელი არ მოგვგვაროს იმ სტრიქონებმა, რომლებიც ეძღვნება დამაწყნარებელ ვიწრო ტილოს ქურთუკების ტყვეობაში დატანჯულ პატიმრებს; გულთბილად მოგვითხრობს ავტორი, როგორ იბადება მეგობრობა ციხის სულისშემხუთველ საკნებში. მისი თამამი ფანტაზია პატიმრებთან ერთად მიფრინავს წინ, დროის

სივრცეში. ამ ნაწარმოების კითხვისას გრძნობ, რომ მოხდება რა-ღაც საშინელი და ირინდები მღელვარებით აღსავსე მოლოდინში; „ვარსკვლავთა შორის მოხეტიალე“ გამსჭვალულია ადამიანისადმი ღრმა თანაგრძნობით. ის ფაქიზ ლირიულ, მუსიკალურ ტონებშია დაწერილი. ეს არის ჭეშმარიტად შესანიშნავი ლიტერატურული ნა-წარმოები.

მუშაობამ ჯეკს შვება მოუტანა და სიხარულის ისეთ წყაროდ ექ-ცა, რომ სულიერმა და ფიზიკურმა ავადმყოფობებმა მეორე პლან-ზე გადაინაცვლა. როგორც ერთ დროს, პიედმონტში, ახლაც მას სიამოვნებას ჰგვრიდა, როცა ნაწარმოების დამთავრებულ თავს სტუმრებს წაუკითხავდა. ერთ ყმაწვილს, რომელმაც დახმარებისთვის მიმართა, ჯეკმა უპასუხა: „ჯერ თექვსმეტის, ხოლო შემდეგ ოცი წლის ასაკში მეც გადავიტანე გულგატეხილობის პერიოდი; ოცდახუთის და ოცდაათი წლისას, როგორც ხდება ხოლმე, ყველა-ფერი მოყირჭებული მქონდა, ყველაფერზე გულგრილი ვიყავი, ძალ-ღონე გამოლეულმა არ ვიცოდი, სად გავქცეოდი მოწყენას. და, აი, ინებეთ. ვცხოვრობ არხეინად, ვსუქდები და როცა არ მძინავს, ერთადერთი რასაც ვაკეთებ, ისაა, რომ ვიცინი“. აი, რას გვიამ-ბობს მორელი ამ პერიოდის შესახებ: „რაც არ უნდა ეთქვა, რაც არ უნდა გაეკეთებინა, თქვენ ყოველთვის გხიბლავდათ მისი გულკე-თილობა. მას შეეძლო რაიმე საწყენი ეთქვა, გულმოსულს თავხე-დური რამ წამოეროშა, მაგრამ ეს არავის სწყინდა, იმიტომ რომ ბო-როტი გულით არ იყო ნათქვამი. დიახ. იგი იშვიათი მომხიბვლელობის პატრონი იყო, ასეთები ცოტანი არიან!“

ადამიანი, რომელიც დიდიხანია სამწერლო ასპარეზზე გამოვი-და, რომელმაც კარგი კარიერა შეიქმნა, ძალაუნებურად იძულებუ-ლი ხდება დიდი დრო დაუთმოს საქმეების მოწესრიგებას, თავისი ინტერესების დაცვას. ჯეკმა ყველა თავისი ნაწარმოების ეკრანიზა-ციის უფლება გადასცა მსახიობ ჰობარტ ბოსუორტს, იმ პირობით, რომ შემოსავლის განსაზღვრულ ნაწილს თვითონ ფიიღებდა. ვერც კი მოასწრო ბოსუორტმა მუშაობა დაეწყო, რომ სხვა კინოკომპა-ნიებმა თვითნებურად გაინაწილეს ლონდონის ნაწარმოებები: და-იწყეს მათი ეკრანიზაცია და ისიც ისეთი თავგამოდებით, რომ თუ ქუჩის ერთ მხარეზე უჩვენებდნენ „ზღვის მგლის“ ერთ ვარიანტს,

მოპირდაპირე კინოთეატრში მეორე ვარიანტი გადიოდა. საავტორო უფლებებში სრული არეულ-დარეულობა სუფევდა; უფრო მეტიც — სასამართლოს გადაწყვეტილება ავტორის სასარგებლოდ არ გამოჰქონდა: თურმე, როცა მწერალი ჟურნალს გადასცემს მასალას სერიული გამოცემისათვის, უკანასკნელი ავტომატურად იღებს ყველა უფლებას ამ მასალაზე. ჯეკისათვის ცნობილი გახდა, რომ ყოველ მის ნაწარმოებზე, რომელიც პირველად ჟურნალში გამოქვეყნდება, მეტი უფლება აქვს ჟურნალს, ვიდრე მას, ავტორს. რაც შეეხება კინომეკობრეებს, ისინი ჟურნალისაგან სულ მუქთად იძენდნენ საავტორო უფლებებს.

არტურ ტრეინთან და სულ ახლახან დაარსებულ მწერალთა ლიგასთან ერთად, ჯეკმა ბრძოლა დაიწყო საავტორო უფლების კანონის გადასინჯვისათვის, რათა ავტორს, რომელიც ნაწარმოებს მიჰყიდდა ჟურნალს, დარჩენოდა უფლება ამ ნაწარმოებზე. ამ „იურიდიულ ბრძოლას“, რომელიც რამდენიმე წელს გაგრძელდა, ჯეკმა მთელი თავისი ძალა, ენერგია, ფულადი სახსრები შეალია; იყო ნიუ-იორკში და ჰოლივუდში, იყვანდა ვექილებს, გამოდიოდა სასამართლოში, ადგენდა ასობით მგზნებარე წერილსა და დეპეშას. ახალი ნაწარმოებების შესაქმნელად საჭირო დრო ამ გრძელსა და ძნელ ბრძოლებს მოახმარა. მაგრამ არა უშავს! იგი ეხმარებოდა ამერიკელ მწერალთა მომავალ თაობას, რათა მათი შრომის ნაყოფი მათვე რგებოდათ და სხვას არავის.

მექსიკაში რევოლუცია მიმდინარეობდა ვილისა და კარანსას ხელმძღვანელობით. 1914 წლის მაისში („ვარსკვლავთა შორის მოხეტიალის“ დამთავრებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ) ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გადაწყვიტა სახაზო გემი გაეგზავნა ჯარისკაცებით და აეღო ნავსადგური ვერა-კრუსი. მას შემდეგ, რაც ჯეკს ხელი შეუშალეს სამხედრო კორესპონდენტად ემუშავნა რუსეთ-იაპონიის ომის ფრონტზე, იგი მოუთმენლად ელოდა იმ დღეს, როცა შესძლებდა თავი გამოეჩინა ამ საქმეში. როგორც კი შესთავაზეს მექსიკაში გამგზავრებულიყო „კოლიერსის“ კორესპონდენტად (ათას ასი დოლარი კვირაში, სამგზავრო ხარჯების ანაზღაურებით), იგი ოცდაოთხ საათში გაემგზავრა ჰალვესტონში, ხოლო იქიდან გემით ჩავიდა ვერა-კრუსში.

მაგრამ მან ახლაც ვერ შესძლო სამხედრო კორესპონდენტი გამხდარიყო—ამჯერად იმ მიზეზით, რომ ომი არ დაიწყო. შეერთებული შტატების გეგმაში არ შედიოდა მექსიკის დაპყრობა და მისი პროტექტორატად გადაქცევა; მათ ვერა-კრუსში აჩვენეს თავისი იარაღის ძალა და ამით დაკმაყოფილდნენ. ჯეკი კვლავ ადგენდა ვაუკაცურ სტატიებს: „ომის სისხლიანი საქმე“ და „მექსიკური არმია“; წერდა იმის შესახებ, თუ როგორ ამყარებდა შეერთებული შტატების არმია სისუფთავესა და წესრიგს ვერა-კრუსის კლოაკაში, იმაზე, თუ როგორ დაესხნენ თავს რევოლუციონერები უცხოელ ნავთის მრეწველებს ტემპიკოში. თითქმის ორი თვე გაატარა ახალი სამხედრო ამბების ძიებაში; ამის სანაცვლოდ კი წილად ხვდა მძვინვარე დიზენტერია და მოგონება იმის შესახებ, როგორ დაუცარიელა ჯიბეები საფრანგეთისა და ესპანეთის კორესპონდენტებსა და დიპლომატიურ წარმომადგენლებს ერთხელ კამათლის თამაშის დროს. აი, ყველაფერი ის, რაც მან მექსიკიდან წამოიღო, თუ არ ჩავთვლით მასალებს მოკლე მოთხრობათა სერიისათვის ამ ქვეყნის შესახებ. ჯეკი ამ აზრმა გაიტაცა და როცა „კოსმოპოლიტის“ რედაქტორიც დაინტერესდა, იგი გეგმებისა და შენიშვნების შედგენას შეუდგა.

დიზენტერიით გატანჯული, ფერმკრთალი და დასუსტებული ჯეკი გლენ-ელენში დაბრუნდა. რაც შეიძლება ჩქარი გამოჯანმრთელების მიზნით, იგი რამდენიმე კვირით „რომერით“ სანაოსნოდ გაემგზავრა სან-ფრანცისკოს ყურეში. გამოჯანმრთელება მეტად მტკივნეულად და დიდხანსაც გაგრძელდა. „კოსმოპოლიტის“ რედაქტორმა დაასკვნა, ამერიკელ მკითხველს ყელში ამოუვიდა მექსიკაო და გადაიფიქრა მოთხრობათა სერიის ბეჭდვა. წინათ, როცა ჯეკში მებრძოლი სული ღვიოდა, იგი მაინც დაწერდა მექსიკურ მოთხრობებს და კიდეც აიძულებდა ჟურნალებს მადლობა ეთქვათ მისთვის ამ შრომისათვის. ახლა კი, მაშინვე თავი დაანება მასალას და ხელნაწერისათვის ერთი სიტყვაც აღარ დაუმატებია. შესაძლოა ამით მთელმა მსოფლიომ და თვით ჯეკმაც დაკარგა შესანიშნავი ნაწარმოებები, მით უმეტეს, თუ ნავარაუდევი მოთხრობები ისეთივე იქნებოდა, როგორიც „მექსიკელია“[1] — ესაა ერთადერთი მოთხრობა, რომელიც მან მაინც დაწერა.

[1] მოთხრობა „მექსიკელი“ მექსიკაში წასვლამდე სამი წლით ადრე, 1911 წელს დაიწერა.

ჯეკის ჯანმრთელობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა; როგორც კლაუდსლი ჯონსი ლაპარაკობს, გახშირდა „სულიერი დეპრესიის პერიოდები, როცა იგი თითქმის სრულიად ჰკარგავდა ნებისყოფას.“ სულიერი განწყობის ციკლი სწრაფად ეცვლებოდა. სულ უფრო და უფრო უძნელდებოდა ყოველდღე ათასი სიტყვის წერა... მიუხედავად ამისა, 1914 წლის შემოდგომაზე მან თავის გამომცემელს შეატყობინა, რომ მუშაობა დაიწყო ახალ რომანზე, და რომ ეს იქნება რაღაც გრანდიოზული, ყველაზე შესანიშნავი, რაც მას აქამდე შეუქმნია. გარემოებანი, რომლებშიც ვითარდება მოქმედება, ისეთი არაჩვეულებრივია, რომ „... მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში მსგავსი რამ არ მოიპოვება. რომანის გეგმის გადათვალიერების შედეგად შემიძლია დავარწმუნოთ, რომ ეს სწორედ ის არის, რისკენაც ვისრწაფვოდი მას შემდეგ, რაც წერა დავიწყე. ეს იქნება რაღაც ახალი, ყველა იმათგან განსხვავებული, რაც კი აქამდე შემიქმნია.“

იყო თუ არა ეს რწმენა გულწრფელი? ხომ არ ცდილობდა იგი თავის შეფუცხუნებას, რათა გადაელახა დაღლილობა და სასოწარკვეთა, უფრო საკუთარი თავი დაეინტერესებინა სამუშაოთი, ვიდრე რედაქტორი? ასე იყო თუ ისე, იგი შეუდგა რომანის „დიდი სახლის. პატარა დიასახლისის“ წერას, რომლის არსში ჩაქსოვილია მიწისადმი ადამიანის დაბრუნების აზრი. სოფლის მეურნეობის შესახებ ჩაფიქრებული ნაწარმოები, რომელსაც საფუძვლად უდევს სანიმუშო ფერმის შექმნისა და კალიფორნიაში ფერმერობის აღორძინების იდეა, თანდათანობით გადაიზარდა „სასიყვარულო სამკუთხედის“ სახელწოდებით ცნობილი ლიტერატურის თანრიგში; ნაწარმოები აღსავსეა მეცხრამეტე საუკუნის მწერალთათვის დამახასიათებელი ფერადი სენტიმენტალური გაზვიადებით. ესაა ყალბი, ნაწვალები, მაღალფარდოვანი ნაწარმოები; მკითხველი განცვიფრებულია, ვერ გაუგია, როგორ შეიძლება ეს გაზვიადებული აზრები ჯეკ ლონდონს ეკუთვნოდეს. განა სულ რამდენიმე თვის წინ არ დაამთავრა „ვარსკვლავთა შორის მოხეტიალე“, შექმნა ისეთი პირველხარისხოვანი მოთხრობები, როგორიცაა „ჩაწერილია ჭკუასუსტთა თავშესაფარში“, სადაც მოქმედება მიმდინარეობს ჰილის რანჩოსთან მდებარე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, ანდა „საზღვარს მიღმა“, ძლიერი და დამაჯერებელი მოთხრობა პროლეტარიატის შესახებ.

საკუთარ თავში რწმენა, დისციპლინა, ყურადღების დაძაბვა, შემოქმედებითი აღმაფრენა—ყველაფერი ეს ძველებურად ემორჩილებოდა; მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ჯეკ ლონდონის ტვინს, ამ მძლავრ მექანიზმს, რომელმაც თოთხმეტი წლის განმავლობაში ორმოცდაერთი ნაწარმოები შექმნა, დაღლა, ალღოს შესუსტება დაეტყო.

ჯოანის მიერ წინა წელს მიყენებული შეურაცხყოფის მიუხედავად, ჯეკმა ერთხელ კიდევ სცადა საბოლოოდ ქალიშვილების თავის მხარეზე გადაყვანა. როცა საშუალო სკოლის მეორე საფეხურზე ახლად გადასულმა ჯოანმა მას თავისი ნაწარმოები—პიესა გამოუგზავნა, ჯეკმა ისე გაიხარა, თუნდაც თვითონ დაეწეროს რაღაც არაჩვეულებრივი. „საშინლად მომეწონა! პირდაპირ არა მჯერა: ნუთუ ასეთი დიდი ქალიშვილი მყავს? ნუთუ მას შეუძლია ასეთი პიესის დაწერა!“ იგი დიდხანს უზიარებდა ყველას, როგორც საქმიან, ისე პირად წერილებში, რომ მისი ქალიშვილი უკვე მეორე საფეხურის მოსწავლეა.

ჯეკმა კარგად მოიფიქრა მოქმედების გეგმა, თავმდაბლად გამოცხადდა პიედმონტში და ბესის გააცნო თავისი წინადადება. თუ იგი ბავშვებს ნებას მისცემს მოვიდნენ მასთან რანჩოში, რათა ხელახლა გაეცნონ მამას, შეიყვარონ რანჩო, მასთან ერთად მოიარონ ყველა მისი ბილიკი, ჯეკი შეცვლის ანდერძს, რომლის თანახმადაც, მისი სიკვდილის შემდეგ ყველაფერი ჩარმიანს რჩება, და ქონებას ბავშვებს დაუტოვებს. რანჩოს განცალკევებულ ნაკვეთზე აუშენებს ბესის სახლს, რათა მას შეეძლოს ბავშვებთან ყოფნა. მას ყოველთვის ექნება შესაძლებლობა ბავშვებთან მოვიდეს და დარწმუნდეს, რომ ჩარმიანი მისგან მოშორებითაა. იგი ყველაფერს გააკეთებს, რასაც კი ბესი მოითხოვს, ყველაფერს, ოღონდ დათანხმდეს და ბავშვები დაუბრუნოს. ბესიმ არ დათმო.

მაშინ, რამდენიმე დღის შემდეგ, მან უშუალოდ ჯოანს მიმართა. „დაფიქრდი, ჯოან. შენს ასაკში იოლი არაა პასუხი გასცე მსგავს წინადადებას. ისიც არაა გამორიცხული, რომ იმის გააზრებისას, რაც მე კვირა საღამოს გითხარი, შესაძლოა არასწორი გადაწყვეტილება მიიღო—დარჩე პატარა სამყაროს პატარა მკვიდრად. შენ ამ შეცდომას დაუშვებ, თუ დაუჯერებ დედას—

შიწის უმნიშვნელო ნაგლეჯზე არსებული პატარა ქალაქის პატარა არსებას. მან შენი მომავალი სხვა ქალისადმი ეჭვიანობას შესწირა. მე გადაგიშლი დიდ სამყაროს, იმ აწმყოს, რისთვისაც ცხოვრობენ, შეიცნობენ. ფიქრობენ და საქმიანობენ დიდი ადამიანები".

ამას მიჰყვა შეშფოთებული, მუდარით აღსავსე წერილების მთელი წყება. ჯოანი დიდხანს სდუმდა. ბოლოს დაუთმო მის დაჟინებულ თხოვნას და ერთგვერდიანი წერილი გამოუგზავნა. იგი სავსებით კმაყოფილია თავისი ცხოვრებისა და არავითარი სურვილი არა აქვს მისი შეცვლისა. იგი მუდამ დედასთან იქნება; ამავე დროს, აღაშფოთებს მამის გაშორნათქვამები ბესის მიმართ; მას კარგი დედა ჰყავს და ჯოანსაც უყვარს იგი. დასასრულ, დაბეჯითებით სთხოვდა, ნუ აიძულებდა ეწერა ასეთი საშინელი წერილები; დაე, ეს იყოს უკანასკნელი, გამოსამშვიდობებელი წერილი; ყველაფერი გათავდა.

ჩარმიანი შეეცადა ჩამოეცილებინა ჯეკისათვის „მოხეტიალე ფილოსოფოსთა" საზოგადოება, რომელიც ყოველთვის მთლიანად თავის კმაყოფაზე ჰყავდა რანჩოში. მისი პასუხი გულის სიღრმიდან ამოხეთქილი გმინვა იყო: „ერთი საათის საუბარი სტრონ ჰამილტონთან ბევრად უფრო დიდი სიამოვნებაა, ვიდრე ის, რაც მე მომანიჭეს ვაიმუშებმა. ღმერთო ჩემო, ის ხომ მინაზღაურებს ყველაფერს, რასაც მასზე ვხარჯავ! ხოლო მუშები? არასოდეს! დაიხსომე, გეთაყვა, რომ რანჩო ჩემი თავსატეხია. სხვადასხვა ტიპების გამო, რომელნიც ჩემთან მუშაობდნენ, იმაზე ათასჯერ მეტი დავკარგე, რაც ლოგინი ან საჭმლის ნამცეცები ღირს, რომელთაც ჩემს ნაწანწალებზე ვხარჯავ. ეს უმნიშვნელო გროშებია, მაგრამ იგი სუფთა გულიდან მოდის, მე კი გულში არცთუ ისე ბევრი ნაზი გრძნობა დამრჩენია ახლობლებისადმი. მიბრძანებ, ისიც აღმოვიფხვრა?"

ჩარმიანი დაღვრემილი, გულმოსული დადიოდა, ყველაფერში ერეოდა, ყველას მბრძანებლობდა, იძლეოდა განკარგულებას, რომელი ხე მოეჭრათ და რომელი არა, მუშაობაში ხელს უშლიდა, აცხადებდა, რომ იტანჯება უძილობით, მთელი ღამეები არ სძინავს და მოითხოვდა, რომ მუშებს, რომელნიც რანჩოში შვიდ საათზე ცხადდებოდნენ, არ გაებედათ და ცხრა საათზე ადრე სახლს

არ მიახლოვებოდნენ, რათა არ გაეღვიძებინათ იგი. როცა ჯეკი შეეცადა შთაეგონებინა მისთვის, რომ იგი ამით მუშაობას აფერხებს, მან აიღო თავისი ლოგინი და ბეღელში გადასახლდა. მეტი გზა არ იყო, ჯეკმა მუშებს უბრძანა სახლს არ გაჰკარებოდნენ, თუნდაც ამის გამო უსაქმოდ დარჩენილიყვნენ. ასე გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე ერთხელ, დილის შვიდ საათზე მინდვრის შემოვლისას, თივის ზვინზე არ წააწყდა ჩარმიანს ერთ ახალგაზრდა სტუმართან. ისინი მზის ამოსვლით ტკბებოდნენ.

ოდესღაც იგი ბესის კიცხავდა, რომ იგი არაა თავაზიანი დიასახლისი, არ იცვამს როგორც წესია და მეტისმეტად ეჭვიანია. ბედმა უმტყუნა და იგივე თვისებები აღმოაჩინა ჩარმიანშიც. იგი არც ცდილობდა დიასახლისის მოვალეობა ეკისრა, სახლში წესრიგი დაეცვა. ყველაფერს იაპონელი მსახურები აკეთებდნენ, იგი კი სტუმარი იყო საკუთარ სახლში. როცა სტუმრები მოვიდოდნენ, განკუთვნილ ოთახში მათ ან ჯეკი მიაცილებდა, ანდა ნაკატა. ერთი სტუმარი ქალი იხსენებს, როგორ უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა ჯეკი იმის გამო, რომ ჩარმიანი არასდროს არ იწუხებდა თავს ახალმოსულებზე ზრუნვით: ქალებისათვის ტუალეტის ჩვენებაც კი ჯეკის მოვალეობას შეადგენდა. იმ დროს, როცა ბესი განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევდა ქალებს, — იმათ გარდა, რომელნიც ჯეკს კისერზე ეკიდებოდნენ,—ჩარმიანი განურჩევლად ეჭვიანობდა ყველაზე. ჯეკს იშვიათად ეძლეოდა უფლება, სადაც არ უნდა ყოფილიყო, გამოჩენილიყო ჩარმიანის გარეშე, ხოლო როდესაც ერთად მიდიოდნენ სადმე, ჩარმიანი წამოიწყებდა თამაშს, რომელსაც დამსწრე ქალებმა „გამთიშველობანა“ უწოდეს: ჯეკს უფლება ჰქონდა სხვა ქალთან ელაპარაკა არა უმეტეს ორი წუთისა, თუნდაც ეს ლაპარაკი მომავალ არჩევნებზე ყოფილიყო. ამ ვადის გასვლის შემდეგ ჩარმიანი მუსაიფს აწყვეტინებდა ვრცელი მონოლოგით.

ერთხელ, ჯეკისთვის ლოს-ანჯელოსში გასაგზავნ დეპეშას მისმა მდივანმა, ჯეკ ბირნსმა, მიაწერა, რომ ერთ მის მეგობარ ქალს (რომლის ოჯახის ყველა წევრს ჯეკი დიდი ხანია იცნობდა და უყვარდა კიდეც) სურდა მისი ნახვა. ჩარმიანმა ბირნსს უბრძანა ეს ადგილი ამოეშალა და უთხრა, რომ იგი მალე თვითონვე გაუგზავნის ჯეკს

დეპეშას და ყოველივეს აცნობებს. არავითარი დეპეშა მას არ გაუგზავნია. იგი მზად იყო წელი მოეწყვიტა ჯაფით, ოღონდ კი ჯეკს მდივნად ქალი არ აეყვანა. „არავის არ შემოვუშვებ,—ამბობდა იგი, —ამ საქმის ხელიდან გაშვება არ შეიძლება“. და მხოლოდ მაშინ, როცა ჯონი მილერის დედა გარდაიცვალა და ჯონის მამინაცვალი—ჯეკ ბირნსი—უმუშევრად დარჩა, ჯეკმა უფლება მიიღო აეყვანა იგი მუდმივ მდივნად, რომელიც მას მეტისმეტად ესაჭიროებოდა.

ნიო-იორკიდან ჩარმიანს დეპეშა გამოუგზავნეს, რომლითაც ატყობინებდნენ: „ჯეკი მთელ დროს ატარებს ქალთან, რომელიც ორმოცდამერვე ქუჩაზე ცხოვრობს ვან კორტლენდტის სასტუმროში. ემი“. ჯეკი, რომელიც დაჩაგრულად, უბედურად გრძნობდა თავს, ბორგავდა, ეძებდა კავშირს ქალებთან. მრავალი წლის წინათ იგი ჩარმიანს სწერდა: „ნება მიბოძეთ გიამბოთ პატარა ეპიზოდი, საიდანაც თქვენთვის ნათელი გახდება, თუ რა ძლიერია ჩემში ხორციელი საწყისები“. მაგრამ ამგვარი განურჩევლობა, როგორც ეტყობა, უფრო ოჯახური უთანხმოებით იყო გამოწვეული, ვიდრე თანდაყოლილი გარყვნილებით. ხომ იყო ბესის ერთგული, ვიდრე რაღაცამ ხელი არ შეუშალა მათ ფიზიკურ სიახლოვეს და არ დაანგრია მათი ოჯახური ცხოვრება. ჯეკი ცხრა წელი იყო ჩარმიანის ერთგული, ვიდრე მათი სულიერი კავშირი არ დაირღვა. მაშინ ყველაფერი თავიდან დაიწყო.

იგი უწინაც სვამდა: ზოგჯერ—მელანქოლიის მორიგი შეტევის დასაძლევად, ხშირად კი—კომპანიის ხათრით, გართობის მიზნით. ახლაც ბევრს სვამდა, მაგრამ არა იმისათვის, რომ სიამოვნება ეგრძნო, არამედ ტკივილების ჩასახშობად. უწინ რანჩოში იშვიათად თუ სვამდა, ახლა კი წამდაუწუმ! კვირაში არა ერთხელ, არამედ სამჯერ ან ოთხჯერ, სადილის შემდეგ, შეაბამდა ცხენებს და სანტა-როზაში მიემგზავრებოდა. აირა პაილი იგონებს, რომ ჯეკი უკვე უბრალოდ, გართობის მიზნით კი აღარ კამათობდა, არამედ ბრაზობდა, დახლზე მუშტებს ურტყამდა, აღარ ფარავდა, თუ რარიგ ეზიზღება ხალხი, რომელიც მსჯელობის დროს უფრო პირადი ანგარებით ხელმძღვანელობს, ვიდრე ლოგიკით. თუ არ ჩავთვლით იმ აღვირახსნილ ღრეობებს, რომელთაც ახალგაზრდობაში ეწეოდა ხამანწკებზე მეკობრეობის დროს, ჯეკს შეეძლო სმა, მაგ-

რამ შეეძლო სულაც არ გაჰკარებოდა სპირტეულს. სულ რაღაც ერთი წლის წინ, როცა იგი გემ „დირიგოთი“ ჰორნის კონცხის შემოვლით აღმოსავლეთიდან ბრუნდებოდა, სადაც საქმეზე იყო წასული, ჯეკმა, გარდა ათასობით წიგნისა და ბროშურისა, რომელთა შესწავლასაც აპირებდა, ბალტიმორიდან ორმოცი გალონი ვისკიც წამოიღო. „სიეტლს რომ მივადგებით, ან ეს ათასი წიგნი იქნება წაკითხული ან ეს ორმოცი გალონი გაჰქრება“. გემიდან გადმოსვლისას ჯეკს ის ათასი წიგნი წაკითხული ჰქონდა, ვისკისათვის კი ხელი არ ეხლო. ყველაფერი შეიცვალა: ახლა მისთვის ვისკი აუცილებელი გახდა დროის მოსაკლავად. ავადმყოფობა აიძულებდა ესვა; ლოთობა ავადმყოფობას ამძაფრებდა. ვისკისაკენ მას იზიდავდა დაღლილობა და სულიერი დაცემულობა. მაგრამ ვისკი ღლიდა და დალევის შემდეგ კიდევ უფრო ეცემოდა სულიერად. წავიდა ახალგაზრდობა. მასთან ერთად ჯანმრთელობა, ნათელი აზრები, სიახლე, ბედნიერება, მუშაობით კი ისევ ძველებურად მთელი ძალღონით მუშაობდა—და ერთი კვარტი შოტლანდიური ვისკის (ყოველდღიური ულუფა) შემდეგ ფეხზე ვეღარ დგებოდა. ხალხს წინათაც ნანახი ჰქონდა, როგორ სვამდა ჯეკი; ახლა ისინი ხედავდნენ, როგორ თვრებოდა იგი.

სულ უფრო ჰკარგავდა რწმენას მეგობრების მიმართ, მათ მიმართ, ვისთანაც საქმის დაჭერა უხდებოდა. ორმა მეგობარმა, როცა რანჩოში დამზადებული ყურძნის წვენი გასინჯეს, ჯეკს შესთავაზეს გამსაღებელი კომპანიის ჩამოყალიბება. ისინი მისცემენ კაპიტალს, ჯეკი კი — თავის სახელსა და ყურძენს. თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო, რომ სასამართლოში დაიბარეს: ერთგულმა მეგობრებმა საქმე აღძრეს, რათა ოცდათერთმეტი ათასი დოლარი გამოეცანცლათ მისთვის. მას შემდეგ, რაც ჯეკმა სამნახევარი ათასი დახარჯა „ზღვის მგლის“ დრამატიზაციის უფლების გამოსასყიდლად და თავისი საუკეთესო ნაწარმოებები კინოკომპანიებს გადასცა, პროდიუსერებმა აცნობეს, რომ შემოსავალი არ არის და მას არაფერი არ ერგება. ვიღაცამ მიჰყიდა მას არიზონის ოქროს საბადოში მონაწილეობის ნახევარი წილი—ჯეკმა არც კი გამოიძია, სად იმყოფებოდა ეს საბადო. ოკლენდის ახლად შექმნილი გამსესხებელი და საგირავნო კომპანია „ფიდელიტის“ აქციების ერთი შეკვრის შე-

ძენის შემდეგ მან ორი წლის განმავლობაში თავი ვეღარ დააღწია სასამართლოებს. „ბირჟის ავანტიურას, სათამაშო თეთრ სათვალავს მაგიდაზე, ლატარიის ბილეთს“ მისთვის ყოველთვის უბედურება მოჰქონდა.

მაგრამ ყველაზე დიდი უსიამოვნება მიაყენეს ნინეტა და ედუარდ პეინებმა, რომელთაც იგი უკანასკნელ დღემდე ეხმარებოდა მატერიალურად. ამ წყვილმა წყლის ამღვრევა დაიწყო; ისინი მეზობლებს აგულიანებდნენ, ხელი მოეწერათ თხოვნაზე, რათა ჯეკისათვის აეკრძალათ მეორე წყალსაცავით სარგებლობა, რომელიც მის ერთ-ერთ გორაკზე მდებარეობდა, იქ. სადაც კაშხალი ააგო ზამთრის წვიმების ტენის შესახარჩუნებლად. საბუთად ის მოსაზრება მოჰყავდათ, რომ ამით დაპატარავდებოდა მათ ახლო ჩამომდინარე ნაკადული. სხვა მეზობლებს განსაკუთრებული შიში არ გამოუმჟღავნებიათ, რომ შეიძლებოდა წყალი მოკლებოდათ. მაგრამ სხვაგვარად ფიქრობდნენ ნინეტა და ედუარდი; მათ საქმე ბოლომდე მიიყვანეს და სასამართლოს დადგენილება თავის სასარგებლოდ გამოიტანეს. ჯეკის ყურამდე მიაღწია, რომ ზოგიერთი მეგობარი, რომელიც სისტემატურად სთხოვდა მას ფულს, ზურგს უკან ლაპარაკობდა: „ჯეკი ისე იოლად შოულობს ფულს, რომ სულელი იქნება, ვინც არ დაეხმარება მას დახარჯვაში“. ჯორჯ სტერლინგიც კი, რომელსაც ჯეკმა, გაკოტრების გამო, ის იყო ასი დოლარი გადაუგზავნა გამოუსადეგარი სიუჟეტისათვის, კიცხავდა —იგი „ჰერსტის ოქროს ხათრით“ წერსო. წინა წლებში ფულის შოვნა ადვილი, სახალისო საქმე იყო. სიხარბეს, სიზარმაცეს, ორპირობას — ყველაფერ ამას წარსულში ხუმრობით ურიგდებოდა, როგორც ადამიანი, რომელმაც ადამიანებზე ყველაზე ცუდი რამ გაიგო და აღარაფერი უკვირს. მაგრამ ახლა, როცა სულ უფრო და უფრო ერეოდა სევდა და ავადმყოფობა, არ შეეძლო გულის ტკივილის გარეშე ეცქირა, რა ბოროტად უხდიდნენ სამაგიეროს სიკეთისა და ხელგაშლილობისათვის. დღეების განმავლობაში აწვალებდა თავის მოქანცულ გონებას იმაზე ფიქრით, რით დახმარებოდა იმათ, ვინც სამაგიეროს ბოროტებით უზღავდა.

დადგა 1915 წლის ღრუბლიანი, ცივი ზამთრის თვეები და თებერვალში ჯეკი ჩარმიანთან ერთად ჰავაის კუნძულებზე გაემგზავრა,

რათა ზამთრის დანარჩენი პერიოდი იქ გაეტარებინათ. იქ, მზის თბილ სხივების ქვეშ, ყოველდღე ცურაობისა და ცხენით სეირნობისა შედეგად ისე გამომჯობინდა, რომ შეეძლო ახალ რომანზე — „ჯერი-კუნძულელზე“ — დაეწყო მუშაობა. ეს იყო უკანასკნელი აფეთქება, ყველაფერი, რაც ლონდონისეული მგზნებარე სულისკვეთებიდან დარჩა. „წინასწარ მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჯერი — თავისებურად ერთადერთი რამაა, რაღაც ახალი, განსხვავებული ყოველივე იმისაგან, რაც დღემდე შეუქმნიათ ბელეტრისტიკაში—და არა მხოლოდ რუბრიკით—„ლიტერატურა ძაღლის შესახებ“, არამედ საერთოდ მხატვრულ ლიტერატურაში. მე შევქმნი ახალ, ცოცხალ, ბრწყინვალე ნაწარმოებს, ძაღლის ბუნების სურათს, რომელიც მოეწონებათ ფსიქოლოგებს და გაახარებს იმათ, ვისაც ძაღლები უყვარს“. „ჯერი-კუნძულელი“ მართლაც რომ წარმტაცი ისტორიაა ძაღლის თავგადასავალზე (ამბავი ახალჰებრიდის კუნძულებზე ხდება). თავისუფალ კიმონოში მაგიდასთან მჯდომი ღია აივანზე, რომელიც პალმებით გაშრემორტყმულ ლაგუნას გადაჰყურებდა, ჯეკი ფიქრებით ალასკის თოვლიან დაბლობებში დაჰქროდა „წინაპართა ძახილის“ გმირთან, ბეკთან, რომელმაც იგი პირდაპირი გზით დიდებამდე მიიყვანა. სასიამოვნოა ძაღლებზე ფიქრი და წერა; მათ შეუძლიათ ერთგულების ბოლომდე შენარჩუნება!

ზაფხულისათვის მან დაამთავრა „ჯერი-კუნძულელი“ და გლენელენში დაბრუნდა. ბოჰემის ხეივანში, პატარა მდინარე რაშნ რივერის ნაპირზე გამართეს ბოჰემის კლუბის მხიარული დღესასწაული; ჯეკი იქ შეხვდა ბევრ ნაცნობ მხატვარს; იცავდა სოციალისტურ პრინციპებს, ეკამათებოდა ბოროტებისადმი სრული მორჩილების მომხრეებს, ბანაობდა მდინარეში და ბევრს სვამდა. დღესასწაულის შემდეგ მან რანჩოში მოიყვანა სტერლინგი, მარტინესი და კიდევ რამდენიმე მეგობარი; ღრეობა გრძელდებოდა. მისმა ავადმყოფობამ მწვავე ხასიათი მიიღო, მაგრამ მას არ სურდა, დროებით მაინც, ვიდრე გამოჯანმრთელდებოდა, თავი დაენებებინა ვისკისათვის. ამ დროს იგი მხოლოდ კინორომან „სამთა გულზე“ მუშაობდა—ამ თავშესაქცევ აბდაუბდაში „კოსმოპოლიტმა“ ოცდახუთი ათასი შესთავაზა. სერიოზული, თავსამტვრევი სამუშაოს თავიდან აცილების შესაძლებლობით გახარებული ჯეკი ყოველდღე საათნახევარში „აცხობდა“ თავის ათას სიტყვას.

იგი ზოგჯერ ახლაც არ იყო სიცილ-ხარხარის წინააღმდეგი, მაგრამ ეს ნაძალადევი მხიარულება იყო. „წინანდებურად აღარ აწყობდა მხიარულ თამაშობებსა და თავშესაქცევებს, — იგონებს ფინ ფროლიხი, — არ იბრძოდა, აღარ უნდოდა ბორცვებზე ცხენით სეირნობა. თვალები ჩაეფერფლა, გაჰქრა წინანდელი ელვარება. ახლა იგი საუბარში ებმებოდა არა იმიტომ, რომ რამე ახალი გაეგო, გონებრივი ორთაბრძოლით დამტკბარიყო. მას უნდოდა კამათში ყველასათვის ეჯობნა, ღიზიანდებოდა, ჩხუბობდა. როცა ეპტონ სინკლერმა რანჩოში სტუმრად ჩასვლა დააპირა, ჯორჯ სტერლინგმა არ ურჩია: ჯეკი გამოიცვალა—სხვანაირი გახდაო.

ერთადერთი, რაც მას ჯერ კიდევ სიმშვიდესა და სიხარულს ანიჭებდა, ეს იყო რანჩო. იგი ზიზღით განიმსჭვალა ყველას მიმართ, ვინც მასთან მუშაობდა, მაგრამ მიწის სიყვარული არასოდეს დაუკარგავს. „მე იმ კატეგორიის ფერმერებს ვეკუთვნი, რომელთაც ქვეყანაზე არსებული ყველა წიგნი გადაუქექავთ ეკონომიურ ფასეულობათა ძიებაში, მაგრამ ბოლოს მაინც დაბრუნებიან მიწას—ყოველგვარი ეკონომიკის წყაროსა და საფუძველს“. იგი განაგრძობდა ახალი მინდვრების დამუშავებას, ახალი კულტურების გამოყვანას, სარწყავი სისტემის გაფართოებასა და გაგრძელებას, ქვის შენობათა აგებას ცხოველებისათვის. სან-კვენტინის საპყრობილეში მყოფ ჯო კინგს, რომელსაც ექვსი წლის წინათ ფული მისცა აპელაციის გამოსაქვეყნებლად და რომლის შეწყალებისათვისაც ჯერ კიდევ არ აკლებდა გარჯას, ჯეკი სწერდა: „ეს-ეს არის დავამთავრე ისეთი საღორის აგება, რომელიც აღტაცებაში მოიყვანს ყველას, ვინც ჩვენთან, შტატებში დაინტერესებულია ღორის ხორცის წარმოებით. ასეთი საღორე არ ყოფილა და არც არის. მისი აგება სამი ათასი დოლარი დამიჯდა, სამაგიეროდ, მხოლოდ მოელაში იგი თორმეტ პროცენტს დამიზოგავს. ჩემს რანჩოში ყველა ღორს პასპორტი აქვს — სხვა ჯურისას არ ვაჭაჭანებ. განზრახული მაქვს უახლოეს მომავალში ავაშენო სასაკლაო და რეფრიჟერატორი“.

იგი არაფერს არ აზვიადებდა, როცა ჰყვებოდა გოჭების სასახლეზე — მალე ასე შეარქვეს ამ საღორეს. ღორის თითოეული ოჯახისათვის ცალკე „სავანე“ იყო გამოყოფილი, როგორც შიგნით, ისე გარეთაც, ხოლო თითოეულ მათგანს წყალსადენის ორ-

ორი ონკანი ჰქონდა. ფორნიმ შენობა წრის სახით ააგო, ცენტრში ქვის კოშკი იყო საკვების შესანახად. ეს საღორე კი არა, ხელოვნების ნაწარმოები იყო, უნაკლო არქიტექტურული ნაგებობა.

ჯეკი ფორნისთან ერთად მრგვალი ბოსლის აგებასაც გეგმავდა, ისეთსავე საფუძვლიანსა და ეკონომიურს, როგორიც გოუების სასახლე იყო. „გთხოვთ დაიმახსოვროთ,—სწერს იგი „კოსმოპოლიტის“ რედაქტორს,—რომ რანჩო ჩემი თვალისჩინია. მე შედეგებისათვის ვიღვწი და მივაღწევ კიდეც მათ, ისინი კი ოდესმე თავის ადგილს დაიკავებენ წიგნებში“.

ნელ-ნელა, მაგრამ სულ უფრო მკაფიოდ აყალიბებდა იგი თავის ახალ იდეას სანიმუშო ფერმის შექმნის შესახებ, რომელიც წარმოიშვა, როგორც მისი გეგმის შემდგომი ეტაპი. მან განიზრახა დაეარსებინა სასოფლო თემი რჩეულთათვის. რანჩოდან დაითხოვს ცუდ მუშებს, დაიტოვებს მხოლოდ პატიოსან, სრულფასოვან და მიწის მოყვარულ ხალხს. თითოეულისათვის იგი ცალკე კოტეჯს ააშენებს; გახსნის უნივერსალურ სავაჭროს, სადაც საქონელი თვითღირებულებით გაიყიდება, და პატარა სკოლას მუშათა ბავშვებისათვის. ამ სანიმუშო თემში ჩარიცხულ ოჯახთა რიცხვი დამოკიდებული იქნება მხოლოდ იმაზე, თუ რამდენს გამოჰკვებავს მიწა. „ჩემი ყველაზე სანუკვარი იმედია ის, რომ ასე ექვსი-შვიდი წლის შემდეგ რანჩოში „ჩემიანებთან ყოფნა“ შემეძლება“. იგი არც კი ფიქრობდა შემოსავალზე, არც იმაზე, რომ ამოეგო რანჩოში დაბანდებული მეოთხედი მილიონი; მას მხოლოდ „თავისიანებთან ყოფნა“ უნდოდა, შესაძლებლობა ჰქონოდა დახმარება აღმოეჩინა მიწის სიყვარულით გაერთიანებულ მუშათა ნამდვილი თემისათვის.

ეს გეგმები მალე, ერთიმეორის მიყოლებით ჩაიფუშა. მიუხედავად იმისა, რომ კალიფორნიის უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტსაც კი მიმართა საღორის აგებაში რჩევა-დარიგებისათვის. გოუების სასახლეში ქვის იატაკი დააგეს: ყველა მის წმინდა სისლის მცხოვრებს ფილტვების ანთება დაემართა და დაიხოცა. ჯეკის იმედს, პრემირებულ მოკლერქიან ხარს, მომავალი წმინდა ჯიშის მამამთავარს, ბაგაზე ფეხი დაუცდა და კისერი მოი-

ტეხა. ანგორული ცხვრის ფარა ეპიდემიამ მოსპო. შირული ულაყი, რომელმაც გამოფენებზე მრავალჯერ მიიღო მაღალი ჯილდო და. რომელიც ჯეკს ადამიანივით უყვარდა, მკვდარი იპოვეს სადღაც მინდორში. საერთოდ, შირული ცხენების შესყიდვით შეცდომა დაუშვა; ამ ცხენებს ფეხებზე ხშირი ბალანი ეზრდებათ, რის გამოც შეუძლებელია ზამთარში მათი სუფთად, სამუშაო მდგომარეობაში შენახვა. მათი საფასური წყალში გადაყრილი აღმოჩნდა. კიდევ ერთი შეცდომა იყო საჯაგავი ცხენების შეძენა; მათ ყოველი სამუშაოდან აძევებდნენ: გამოიგონეს უფრო მსუბუქი სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომელთაც შესაბამისად უმკლავდებოდნენ შედარებით უფრო მსუბუქი წონის ცხენები; ამას გარდა, გამოჩნდა ტრაქტორებიც. მოულოდნელად გამოირკვა, რომ არავის არ ესაჭიროება ის ასორმოცი ათასი ევკალიპტის ხე, რომლებიც უნდა გაზრდილიყო, რათა ოცი წლის შემდეგ პატრონისათვის სიმდიდრე მოეტანათ: ჩერქეზული კაკლისადმი ინტერესი გაჰქრა, ხეები კი ჯერ კიდევ შეიძლებოდა შეშად გამოეყენებინათ.

მან წაგო. იცოდა, რომ საქმე წაგებული იყო, და მაინც არ უნდოდა, გამოტეხილიყო. ვინმეს რომ გაებედა ეთქვა: „გამიგონე, ჯეკ, რანჩო შეცდომაა და თანაც ძვირად ღირებული შეცდომა. თავი დაანებე მას შენივე თავისათვის“,—იგი წამოიძახებდა: „არ შემიძლია უკან დახევა!“—ისევე, როგორც ადრე, როცა არწმუნებდნენ „სნარკისათვის“ თავი დაენებებინა.

საჭირო იყო ფულის შოვნა, რანჩოს შენახვა და ისიც ყოველდღიურად დიდი ვაი-ვაგლახით წერდა ათას სიტყვას. წერა! ეს პროცესი, რომელიც უწინ ისევე ესაჭიროებოდა, როგორც სიცხელი, როგორც ჰაერი, ახლა სულს უწამლავდა. „აუცილებლობა—აი, რა მაიძულებს ჯერ კიდევ ვწერო. აუცილებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთ სტრიქონსაც არ დავწერდი. ისე რომ...“

მხოლოდ თვითონ როდი გაუგრილდა გული თავისი მუშაობისადმი. გულგრილობას იჩენდნენ მისი ნაწარმოების სიმრავლით სულშეხუთული კრიტიკოსები და მკითხველები. „სამთა გულის“ დამთავრებისას იგი წერდა: „ეს საიუბილეო ნაწარმოებია. მისი დამთავრებით მე აღვნიშნავ ჩემი დაბადების ორმოცი წლისთავს,

ორმოცდამეათე წიგნის გამოსვლას და მეთექვსმეტე წლისთავს, რაც მე ეს თამაში დავიწყე". რამდენიმე დღის შემდეგ კი ბუზღუნით აღნიშნა: „დიდი ხანია არც ერთი ბესტსელერი არ გამოჩენილა ჩემი სახელით. განა სხვები უკეთესად წერენ? შეიძლება მოვბეზრდი მკითხველებს?" უკანასკნელი ნაწარმოები, რომელიც გულთბილად მიიღეს, „მთვარის ხეობა" იყო. „ძლიერთა ძალას" შეხვდნენ, როგორც რაღაც საშუალოს, როგორც ჯეკ ლონდონის კიდევ ერთ კრებულს და მეტი არაფერი. მაგრამ აქ ხომ თავმოყრილი იყო მისი საუკეთესო პროლეტარული მოთხრობები, მისი წინასწარმეტყველური ნაწარმოებები—იმის ბრწყინვალე ნიმუშები, თუ როგორი უმოკლესი გზით მიჰყავდა იგი მომავლისაკენ თამამ და თავისებურ ტალანტს. რომელიღაც მარტოხელა მიმომხილველი მეგობრულად გამოეხმაურა და ჯეკი, მისდამი მიმართვაში, წერს: „თქვენ ერთადერთი ადამიანი ხართ შეერთებულ შტატებში, ოდნავ მაინც რომ აფასებთ „ვარსკვლავთა შორის მოხეტიალეს". დანარჩენმა კრიტიკოსებმა განაცხადეს, რომ ეს ჩემთვის მორიგი, ჩვეულებრივი ნაწარმოებია. იცით რა, მასში სიმამაცე, ვაჟკაცობა და სისხლი ბლომადაა, თანაც პირველყოფილი—ერთი სიტყვით, ქალებისათვის მძიმე წასაკითხია, მეტად სჭარბობს საშინელებანი; თუ რომელიმე გადაგვარებულს არ ჩავთვლით, მამაკაცებისათვისაც არ ღირს წაკითხვა. როგორიც ცხოვრებაა მთელი თავისი დაუნდობელი სიბოროტით—ისეთივეა ჩემი ნაწარმოებებიც. მაგრამ ცხოვრება, ჩემი აზრით, სავსეა არა ბოროტებით, არამედ სიძლიერით და მეც ვცდილობ ასეთივე სიძლიერით აღვავსო ჩემი მოთხრობები".

ჯეკს „კოსმოპოლიტთან" დადებული ჰქონდა ხელშეკრულება, რომლითაც იგი ვალდებული იყო ხუთი წლის განმავლობაში ყოველწლიურად მისთვის ორი რომანი დაეწერა. ტიტანი, რომელიც თანდათან სუსტდებოდა, ისე საიმედოდ იყო შებორკილი, რომ მისი მდივანი ბირნსი ასე პასუხობს ერთი ლიტერატორის წინადადებას —ჯეკთან ერთად ემუშავნა ახალ იდეაზე: „მისი ნაწარმოებების ღირსება მთლიანად დამოკიდებულია გამომცემლებზე, რომლებისგანაც კიდევ რამდენიმე წლითაა შეზღუდული ხელშეკრულებით". ოცდათხი წლის ასაკში, საკუთარ მოსაზრებაზე დაყრდნობით, ჯეკმა გამაცოცხლებელი ნაკადი შეიტანა საჟურნალო სამყაროში. ახლა

კი, აი, რას ურჩევს იგი დამწყებ მწერალს: „თუ თქვენ გსურთ ჟურნალებში ითანამშრომლოთ, სწერეთ ის, რაც მათ ესაჭიროებათ. ჟურნალები საკუთარ თამაშს ეწევიან. თუ გსურთ მასში მონაწილეობა მიიღოთ—დაემორჩილეთ!“

ჯეკს უკვე აღარ შეეძლო წელში გამართვა და ბრძოლაში ჩაბმა. როცა ერთხელ კალიფორნიის პატარა ქალაქის სკოლის მასწავლებელმა სთხოვა, გამოქომაგებოდა ვერაგი პოლიტიკური წყობის წინააღმდეგ, ჯეკმა აი, რა უპასუხა: „დიდი ხანი არაა, რაც ბრძოლაში ჩავები იმისათვის, რომ პოლიტიკური საქმეები პატიოსნად ეწარმოებინათ, რომ ყოველ მამაკაცსა და ყოველ ქალს სამართლიანად მოპყრობოდნენ. როცა ვიხსენებ ბრძოლებში გატარებულ წლებს, თავს როგორღაც ვეტერანად ვგრძნობ. არ შეიძლება ითქვას, რომ მე ვარ ვეტერანი, რომელმაც დამარცხება განიცადა. არა! მაგრამ გამოუცდელი ახალბედებისაგან განსხვავებით, არც იმას მოველი, დღეს იერიში დავიწყო და ხვალვე, განთიადისას, აღებული იყოს მტრის ბანაკი. მე იმ ვეტერანთა რიცხვს ვეკუთვნი, რომელნიც არ ელიან, რით დამთავრდება კამპანია და ვეღარ წინასწარმეტყველებენ იმას, როდის დამთავრდება იგი“. მეორე ნაკანობს, რომელსაც იმედი ჰქონდა, ჯეკი მიემხრობოდა ერთობლივ შეტევას რელიგიის წინააღმდეგ, იგი სწერდა: „ბრძოლა რელიგიისათვის? ეს რაღაც შორეულ, პატარა, ბუნდოვან წამოწყებად მეჩვენება. ბრძოლა ჯერ კიდევ მიმდინარეობს, მაგრამ დედამიწის სადღაც მიყრუებულ, უცნობ კუთხეში. ჩემი აზრით, თქვენ ებრძვით მოწინააღმდეგეს, რომელმაც უიმისოდაც უკვე განიცადა მორალური დამარცხება“. მერი ოსტინის ჩივილზე, ჩემი საუკეთესო ნაწარმოებები გაუგებარი რჩებაო, დაღლილი ჯეკი პასუხობს: „ყოველივე საუკეთესომ, რაც კი ჩემმა გონებამ და გულმა შექმნა, მსოფლიო მკითხველისათვის ფაქტიურად შეუმჩნეველად ჩაიარა, ეს არც მაწუხებს. მე განვაგრძობ გზას იმითაც კმაყოფილი, რომ მკითხველს ჩემს ნაწარმოებებში აღაფრთოვანებს უხეში, სრულყოფილი ძალა და მისი მსგავსი სისულელეები, რაც სრულიად არაა დამახასიათებელი ჩემი მუშაობისათვის; თუ მარტოობისათვის ხარ განწირული, მაშასადამე, იდეები კიდეც მარტო! რამდენადაც მახსოვს, ყოველ დროში წინასწარმეტყველთა და ნა-

ოელმკვრეტელთა ხვედრი მარტოობა იყო—თუ არ ჩავთვლით იმ შემთხვევებს, როცა მათ კოცონზე სწვავდნენ ანდა ქვებით ჰქოლავდნენ“.

იგი თავის კაბინეტში შეიმალა იმ დათვის მსგავსად, რომელიც ბუნაგში შეძვრება ხოლმე ლოკვით ჭრილობის მოსაშუშებლად. გულმოსულ, გულისტკივილით აღსავსე, იმედგაცრუებულ წერილებს ღებულობდა პატივისმცემლებისა და მიმდევრებისაგან: ხალხი ცეცხლში ყრიდა ჟურნალის იმ ნომრებს, რომელშიაც „ნოქვეყნდა „დიდი სახლის პატარა დიასახლისი“. „დაბრუნდით დედამიწაზე“,—ეეედრებოდნენ ისინი. მწვავედ შეურაცხყოფილი ჯეკი გაშმაგებით იცავდა თავს: „ნება მომეცით, ერთხელ და სამუდამოდ გაუწყოთ, რომ მე მეტად ვამაყობ „პატარა დიასახლისით“.

მაგრამ იყო კიდევ ერთი რაღაც, რაც, ელიზას გარდა, არც ერთმა ცოცხალმა არსებამ არ იცოდა: მას სტანჯავდა შიში, რომ ჭკუაზე შეიშლებოდა. ტვინი მეტად გამოეფიტა იმისათვის, რომ ემუშავნა; ამავე დროს კი იძულებული იყო ყოველდღე ეწერა. მძიმე და აუტანელ დატვირთვას, ერთი დღეც იქნება, ტვინი ვეღარ გაუძლებდა—აი, რისა ეშინოდა. ამას ემატებოდა ფიქრი, რომ დედამისი მთლად ნორმალური არ იყო. ეს კიდევ უფრო აშინებდა. იგი კვლავ და კვლავ ეეედრებოდა ელიზას: „თუ გონებას დაკარგავ, აღმითქვი, რომ საავადმყოფოში არ გამგზავნი. აღმითქვი!“

ელიზამ ვერაფრით ვერ გააქარწყლა მისი შიში, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის დიდის ამბით ეფიცებოდა, რომ არასოდეს არ დაანებებდა თავს, არ გაგზავნიდა საავადმყოფოში და მასზე თვითონ იზრუნებდა.

ჯეკი კიდევ ებღაუქებოდა უკანასკნელ იმედს: მოენახა და შეეყვარებინა ნამდვილი, დარბაისელი ქალი, რომელიც მასაც შეიყვარებდა და, არა მხოლოდ შეიყვარებდა, არამედ ვაჟსაც აჩუქებდა. მან იცოდა, რომ ჩარმიანი ვერასოდეს ვერ მისცემდა მას ვაჟს, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ასე მგზნებარედ ენატრებოდა. ჯეკი წუხდა, რომ იგი, რომელმაც ათობით ადამიანი შექმნა თავის მრავალრიცხოვან ნაწარმოებთა ფურცლებზე, ისე მოკვდება, რომ ვაჟს ვერ ეღირსება. მან დაიფიცა, ასე თუ ისე, მას მაინც ეყოლება ვაჟი. იგი იპოვნის ქალს, რომელიც აჩუ-

ქებს ვაუს და მრიყვანს მას აქ, რანჩოში. ჯეკმა იპოვა ასეთი ქალი, მხურვალედ შეიყვარა იგი, ქალმაც ასეთივე სიყვარულით უპასუხა—ამას მრავალი საბუთი ადასტურებს. მაგრამ ჯეკი მაინც ჩარმიანთან დარჩა—ვერ შეძლო მისი გულისტკენა: მასთან უწინდებურად ალერსიანი იყო, როგორც ბავშვთან, წინანდებურად უძღვნიდა თავის წიგნებს მგზნებარე წარწერებით. არა ერთი წელი იყო ჩარმიანი მისი ერთგული მეგობარი და ჯეკი ამისათვის სამუდამოდ მისი მადლობელი დარჩა.

ჩარმიანი ნერვიულობდა, გული ელეოდა მოუსვენრობისაგან, განუწყვეტლივ იტანჯებოდა უძილობით; მან იცოდა, რომ ჯეკი არ იყო მისი ერთგული, რომ ამჯერად შეიძლებოდა დაეკარგა იგი. ოკლენდში გაყრის ჭორებიც გავრცელდა. ჯეკის გარდაცვალების მეორე დღეს ჩარმიანმა ყველას განუცხადა რანჩოში, რამდენიმე თვის განმავლობაში პირველად შევძელი დაძინებაო.

ჯეკმა იცოდა, რომ იგი ჩიხში მოექცა. დარდებისა და გაჭირვებებისაგან— მერედა ვინ მოთვლის რამდენი იყო ისინი!—თავდაცვის მიზნით იგი განუწყვეტლივ სვამდა. მუშაობა... ახლა იგი რაღაც რეფლექსად ექცა: ოდესღაც მძლავრი ორგანიზმის მექანიკურ აქტად. 1915 წელს „დიდი სახლის პატარა დიასახლისის“ გარდა გამოვიდა მოთხრობა „ჰიპერბორული სასმელი“; მაგრამ ორივე ეს ნაწარმოები დაწერილი იყო ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ; 1914 წლის 1 დეკემბერს იგი წერდა: „გუშინ დავამთავრე ჩემი ბოლო რომანი „დიდი სახლის პატარა დიასახლისი“; ხვალიდან ხელს მოვკიდებ მომდევნო რომანის გეგმას, რომელსაც ვფიქრობ ვუწოდო „უსახურავო ყუთი“. ეს თხზულება არ დაწერილა. „მკვლელების ბიურო“ შუა გზაზე მიატოვა: უიმედოა! 1916 წლის ივლისში ჩარმიანთან ერთად ჰავაიზე გაემგზავრა იმ იმედით, რომ მზე ისევ განკურნავდა ავადმყოფობისაგან.

ოდესღაც, თავისი გზის დასაწყისში, მან საზეიმო მოწოდება გადაისროლა: „ სოციალიზმი—უდიდესია მათ შორის, რაც დედამიწაზე არსებობს“. ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ იგი წერილებს იწყებდა მიმართვით „ძვირფასო ამხანაგო“ და ხელს აწერდა „მარად თქვენი, რევოლუციის სახელით“. სულ ახლახან დაწერა მგზნებარე წინასიტყვაობა ეპტონ სინკლერის ანთოლოგიისათვის „მოწოდე-

ბა სამართლიანობისაკენ“, , რომელიც დედამიწაზე გაბატონებული თვითნებობის, სიმკაცრის, ტანჯვის მკაცრ განაჩენს წარმოადგენს. მეგობართა ვერაგობამ და მუშათა არაკეთილსინდისიერებამ ვერ შეარყია მისი რწმენა სოციალისტური სახელმწიფოსადმი, ეკონომიური ფილოსოფია და სოციალიზმის ზოგადსაკაცობრიო ლოგიკა ახლა უფრო მტკიცედ სწამდა, ვიდრე ოდესმე. მაგრამ იგი გააოფთრა იმ კაცობრიობამ, რომელიც თავისი ბორკილების დამსხვრევის ნაცვლად მძინარე აპათიით დაათრევდა მათ. გემზე თავის კაიუტაში მჯდომი წერდა:

„მე გამოვდივარ სოციალისტური პარტიიდან იმიტომ, რომ მან დაკარგა თავისი ცეცხლოვანი, მებრძოლი სული და ჩამოშორდა კლასობრივ ბრძოლას. მე ვიყავი ძველი, რევოლუციური, დაუოკებელი, მებრძოლი სოციალისტური მუშათა პარტიის წევრი. კლასობრივი ბრძოლის სულისკვეთებით აღზრდილს მჯერა: მუშათა კლასი ბრძოლით, დარაზმულობით, მტერთან შეურიგებლობით მიაღწევს თავისუფლებას. რამდენადაც უკანასკნელ წლებში შეერთებულ შტატებში სოციალისტური მოძრაობა მთლიანად განიმსჭვალა დაშოშმინებისა და შემთანხმებლობის სულისკვეთებით, ჩემი გონება ვერ ურიგდება შემდგომში ამ პარტიის რიგებში ყოფნას. აი, რატომ ვაცხადებ, რომ გამოვდივარ მისი რიგებიდან“.

მან ცოტა რამ როდი შესძინა სოციალიზმს და მისგანაც ბევრი მიიღო. იგი ფიქრობდა, პარტიას იმისათვის სტოვებდა, რათა კურსი მარცხნივ აეღო, მაგრამ ამას არაფერი შეუცვლია: მას შემდეგ, რაც თხუთმეტი წლის განმავლობაში სულითა და გულით ემსახურა პარტიას, მან თავისი წასვლით მას მძიმე დარტყმა მიაყენა, თავის თავს კი—სასიკვდილო. განა იგი არ იყო, „მარტინ იდენში“ ბრისენდენის პირით გმირს რომ აფრთხილებდა: „მტკიცედ დაუკავშირდი სოციალიზმს, თორემ როცა წარმატება მოვა, შენს სიცოცხლეს მიზანი აღარ ექნება“. განა ის არ პასუხობდა მისი ტალანტის ერთ-ერთ პატივისმცემელს 1912 წლის დეკემბერში:

„როგორც ეს უკვე ნათქვამია „ჯონ ქერის მარცვალში“, მარტინ იდენი—ეს მე ვარ. მარტინ იდენი ბოკვდა, რადგან იგი ინდივიდუალისტი იყო, მე კი ვცოცხლობ, რადგან სოციალისტი ვარ და ჩემთვის, მაშასადამე, დამახასიათებელია საზოგადოებრივი თვითშეგნება“.

ჰავაის კუნძულებმა ამჯერად დაჰკარგეს თავისი განმკურნავი ძალა: ჯეკს არც ფიზიკური და არც სულიერი უკეთესობა არ დაეტყო. იგი რაღაც-რაღაცებს წერდა. გამოქვეყნდა „მაიკლი, ჯერის ძმა“, რაღაც სუსტი ჰავაური მოთხრობები, დაიწყო მუშაობა რომანზე ჩერის, ევრაზიელი ქალიშვილის შესახებ, მაგრამ ვერ დაამთავრა. ცდილობდა ღვინოში ჩაეხშო დარდი და საკუთარ თავში დაურწმუნებლობა, სვამდა განუწყვეტლივ. ვერაფერმა ვერ უშველა. როცა გლენ-ელენში დაბრუნდა, მეგობრებმა ძლივს იცნეს: ელიზას გადმოცემით, ეს სულ სხვა ადამიანი იყო. გასუქებულიყო, კოქები შესივებოდა, სახე შეშუპებული ჰქონდა, თვალები კი — ჩამქრალი. ყოველთვის ბავშვური შესახედაობის მქონე, ახლა კი მოწყენილი, ავადმყოფი, დათრგუნვილი ჯეკი თავის წლებთან შედარებით გაცილებით მეტი ხნისა ჩანდა. მეგობრებს ახლა იშვიათად იწვევდა რანჩოში, რათა სადილად იხვით გამასპინძლებოდა. სულიერი წონასწორობის დაკარგვის შედეგად უნებისყოფოდ მიჰყვებოდა დინებას. მას მთვრალს ხედავდნენ ხოლმე ოკლენდში, არ ერიდებოდა საზოგადოებრივ ადგილებში აყალმაყალსაც.

მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ მან მალე მოინახულა ბესი პიედმონტში. ყოფილი ცოლ-ქმარი ნაზად შეხვდა ერთმანეთს. როგორც იქნა, ჯეკმა ძლივს შეიგნო, რომ ბესის მკაცრად მოექცა, რომ ბავშვების დაკარგვაში თვითონ იყო დამნაშავე. მან ბესის შესთავაზა, გაგიორკეცებო ყოველთვიურ დახმარებას. ბესი დათანხმდა.

„თუ მე შენთვის ოდესმე საჭირო ვიქნები,—უთხრა ჯეკმა ყოფილ ცოლს, — იცოდე, მოვალ, რაგინდ შორს არ უხდა ვიმყოფებოდე“. „მეეჭვება, რომ ოდესმე დამჭირდები, ჯეკ, მაგრამ თუ ეს მოხდა, შეგატყობინებ“, — უპასუხა ბესიმ.

ელიზას გარდა, ქვეყანაზე მხოლოდ ერთი ადამიანი იყო, რომელიც ჯეკს უყვარდა, რომელსაც ბოლომდე ენდობოდა: ნაკატა. „ექვსი თუ შვიდი წლის მანძილზე შენ ჩემთან იყავი დღეცა და ღამეც. სადაც არ ვყოფილვარ ამქვეყნად, ჩემთან ერთად შენც განვლე საფრთხე. ჩვენ ხშირად შევხვედრივართ ქარიშხალსა და სიკვდილს; ისინი ჩვენთვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მახსენდება, რა კეთილშობილურად გეჭირა თავი ჩემს გვერდით ქარიშხლიან დღეებში. მახსენდება, როგორ მიელიდი ავადმყოფობის დროს,

მახსენდება მხიარულების საათებიც, როცა შენ ჩემთან ერთად იცინოდი და მე კი—შენთან ერთად". კბილის ექიმის სპეციალობის შესასწავლად „პატრონისაგან" ჰონოლულუში წასული ნაკატა პასუხობს: „თქვენ მომეცით მე ჭერი და საზრდო; მთელი ღამე ფეხზე გაათენეთ ჩემს გადასარჩენად, როცა მოვიწამლე. ძვირფას დროს კარგავდით, რათა ჩემთვის წერა-კითხვა გესწავლებინათ. სტუმრებსა და ნაცნობებს ჩემს თავს აცნობდით, როგორც თქვენს მეგობარს, როგორც შვილს. თქვენ ჩემთვის მართლაც მამა იყავით. თქვენმა დიდმა გულმა—აი, რამ შექმნა ეს, ჩემთვის უსაზღვროდ ძვირფასი ურთიერთობა". ასე ჰპოვა ჯეკმა ნაკატაში, თავის იაპონელ მოსამსახურეში, ერთადერთი ვაჟიშვილი, ერთადერთი სიყვარული ვაჟისადმი, რომელიც წილად ხვდა ეგემნა.

— ჯეკ, შენ ყველაზე უფრო მარტოხელა ადამიანი ხარ ამქვეყნად. ის, რაზედაც გულის სიღრმეში ყოველთვის ოცნებობდი, არასოდეს არ გქონია, — უთხრა მას ერთხელ ელიზამ.

— ღმერთო ჩემო, მერედა შენ როგორ მიხვდი?

იგი ყოველთვის ამბობდა: „მინდა ცოტა ხანს ვიცოცხლო, მაგრამ მხიარულად". მისი სურვილი იყო მეოცე საუკუნის ცის კამარაზე დამაბრმავებელ კომეტასავით ისე გაეელვა, რომ მისი იდეების ანარეკლი შემორჩენოდა ყოველი ადამიანის გულს. კაშკაშა, მაღალი ალით წვა, დაფერფლვა, რათა სიკვდილს ანაზდეულად არ მიესწრო, ვიდრე უკანასკნელი აზრი, თუნდაც უმნიშვნელო წვრილმანი, ბოლომდე არაა მიყვანილი. იგი ყოველთვის ეთანხმებოდა ჯორჯ სტერლინგს: დიდხანს ნუ შეყოვნდები საკუთარი გვამის საზოგადოებაში; გააკეთე საქმე? მაშასადამე, სიცოცხლეც დასრულებულია—გამოემშვიდობე და წადი.

რჩებოდა თხზულებები, რომელთა დაწერის სურვილი ჯერ კიდევ ჰქონდა ჯეკს: რომანი „ქრისტე", ავტობიოგრაფია სახელწოდებით „მეზღვაური უნაგირზე", „შორეული შორეთები" — მოთხრობა იმ დღეებზე, როცა ჩვენი პლანეტა გაცივებას დაიწყებს. ვიდრე ძალ-ღონე გააჩნდა, ეგონა ვერც ერთი თხზულება ვერ გამოსახავდა სრულად იმას, რისი თქმაც სურდა. მან ორმოცდაათი წიგნი დაწერა—და განა ამით ამოიწურა მთელი მისი უნარი? მაგრამ დაიღალა. როცა ახლო ჩაუვლიდა თავის კაბინეტში ჩამწკრივებულ

თეთრი მუყაოს კოლოფებს, იგი ისევ და ისევ არწმუნებდა თავის თავს, რომ ახალბედა კი არა, ვეტერანია. მან იცოდა, რომ მტრის ბანაკი აღებული არ იქნებოდა განთიადისას—არც დღეს, არც ასი წლის შემდეგ.

ჯეკმა თავისი ბრძოლა დაამთავრა, საქმე გააკეთა, სათქმელი თქვა და დასვენება დაიმსახურა. ბევრი შეცდომა დაუშვა, უთვალავი სისულელე ჩაიდინა, სამაგიეროდ, დიდ მიზნებს ემსახურებოდა და წვრილმანებს არასოდეს არ გამოსდევნებია. დროა განზე გადგეს, ადგილი დაუთმოს ახალგაზრდობას, ვინც გზას იკაფავს მწვერვალებისაკენ. მის მიერ აღწერილი მოკრივეების მსგავსად, გზა უნდა დაუთმოს „ახალგაზრდობას—უშრეტსა და უძლეველს, რომელიც ყველაფერს მიაღწევს და არასოდეს არ მოკვდება“,—როგორც იგი ხშირად ამბობდა.

საკვირველია, ფიქრობდა ჯეკი, როგორ შეუძლია ადამიანს, თავისდა უნებურად, სახელი მოიხვეჭოს იმით, რაც მისთვის სავსებით უცხოა. მაგალითად, კრიტიკოსები ჰკიცხავენ, ზეშთაგონება გაკლიაო—მას, რომლის შრომები მთლიანად ფილოსოფიითა და ეაცობრიობისადმი სიყვარულითაა გაჟღენთილი. განა მის თხზულებებში არ ჟღერს ორი მოტივი: ერთი—გარეგანი, ზედაპირული, მეორე ღრმა, ფარული, რომელსაც მხოლოდ ცოტანი თუ მიხვდებიან? ჯერ კიდევ იმ დროს, როცა იგი კორესპონდენტად იყო რუსეთ-იაპონიის ომში, როგორღაც მასთან სასტუმროში გამოცხადდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი და შეატყობინა, რომ ძირს, მოედანზე, მთელი მოსახლეობაა შეკრებილი მის სანახავად. ჯეკს ეს მეტად ეამა: წარმოიდგინეთ—მისმა დიდებამ თვით შორეული კორეის მიყრუებულ ადგილამდეც კი მიაღწია! მაგრამ როცა იგი სპეციალურად მისთვის აღმართულ ტრიბუნაზე ავიდა, მოხელე შეეკითხა, ხომ არ დათანხმდება იგი, კეთილი ინებოს და... პირიდან ხელოვნური კბილები გამოიღოს? მთელი ნახევარი საათი იდგა ჯეკი ტრიბუნაზე და ბრბოს აპლოდისმენტების ქვეშ პირიდან იღებდა და ისევ ისვამდა ხელოვნურ კბილებს. სწორედ მაშინ გაუელვა პირველად აზრმა, რომ ადამიანი იშვიათად ხდება ცნობილი იმით, რისთვისაც იბრძვის და რისთვისაც კვდება.

ერთ ქალიშვილს, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა,

იგი სწერს: „ახლა უკვე, მოწიფულობის ასაკში, მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩიტი ბდღვნად ღირს. მეტად ბედნიერი ცხოვრება გავატარე. მე უფრო გამიმართლდა, ვიდრე ჩემი თაობის მილიონობით ადამიანს. რა ვუყოთ, რომ ბევრი ვიტანჯე. სამაგიეროდ ბევრი ისეთიც განვიცადე, ვნახე და შევიგრძნე, რაც ჩვეულებრივი ადამიანისათვის მიუწვდომელია. დაიხ, ჩიტი უთუოდ ღირს ბდღვნად და, აი, ამის დადასტურებაც: ყველა მეგობარი ერთხმად ამტკიცებს, რომ მე ვსუქდები. განა ეს თავისთავად არ ცხადყოფს ჩემს სულიერ გამარჯვებას?"

მაგრამ აღმოჩნდა, რომ თვით ბრძოლის პროცესი გამარჯვებაზე ბევრად უფრო სასიამოვნოა: ბავშვობაში დედის წყალობით სიღატაკის უფსკრულში გადაჩეხილმა, თვითონ, ვისიმე დახმარების გარეშე, გაიკაფა გზა მწვერვალისაკენ.

ჯეკს ეგონა, რომ მასთან ერთად მთელი სამყაროც ბერდებოდა. „შეიძლება ითქვას, რომ თავგადასავალთა სამყაროსთან ყველაფერი გათავებულია. გაუფერულდა და პროზაული გახდა შვიდი ზღვის უჩვეულო-ლამაზი სანაოსნო ქალაქებიც კი". იგი ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ ამბობდა: „მე ვარ იდეალისტი, რომელსაც სწამს რეალური სინამდვილე. აი, რატომ ვცდილობ ყველა ჩემს ნაწარმოებში მისი ერთგული დავრჩე, ე. ი. ჩემს მკითხველებთან ერთად მტკიცედ, ორივე ფეხებით ვიდგე მიწაზე; რა სიმაღლეზედაც არ უნდა დანავარდობდეს ჩემი ოცნებები, მათ საფუძველს რეალობა უნდა შეადგენდეს". დიახ, იგი ოცნებობდა, და ეს იყო მაღალი ოცნებები. ახლა კი დაუბრუნდება სინამდვილეს და არც შეკრთება იმის დანახვაზე, რომ ოცნებასაც და ცხოვრებასაც ბოლო ეღება.

მაგრამ ვიდრე ეს დასასრული მოსულა, ჩაქრობის გზაზე დამდგარმა ჯეკ ლონდონის გონებამ უკანასკნელად იფეთქა ძველებური სიძლიერით. მან ორი შესანიშნავი მოთხრობა დაწერა—ერთი ალასკაზე: „როგორც არგონავტები ძველად", მეორე — „გზაზე": „პრინცესა", რომელმაც იგი ისევ გადაისროლა ახალგაზრდობის მჩქეფარე, რომანტიულ დღეებსა და პირველ წარმატებებში.

მან ფორნის უბრძანა, დაეწყო ქვის მრგვალი შენობის აგება სარძევე ფერმისათვის; ზევით, რანჩოსაკენ მიმავალ გრძელ გზაზე დაიძრა ცემენტის ტომრებით დატვირთული საზიდრები. იგი კვლავ

გაგზავნის სან-ფრანცისკოში უმაღლესი ხარისხის რძეს, კარაქს, ყველს—„ჯეი ელის“—ჯეკ ლონდონის მარკის ყველაზე მაღალხარისხოვან საქონელს... ალბათ, მოხუცი ჯონ ლონდონი, ცოცხალი რომ იყოს, იამაყებდა ასეთი ვაჟით. ჯეკი, ელიზასთან ერთად გაემგზავრა საკრამენტოში კალიფორნიის ბაზრობაზე. ყველაფერი, რაც განზრახულია, გაკეთდება რანჩოში, ეუბნებოდა იგი ელიზას. საქმის სამი მეოთხედი უკვე გაკეთებულია და მალე ისინი არავისგან არ იქნებიან დამოკიდებული. მან ნიუ-იორკიდან და ინგლისიდან გამოიწერა წიგნები: „ნავსადგურ ლა როშელის ალყა“, „რასობრივი რღვევა“, „ბედნიერება ქორწინებაში“, დრაიზერის „გენიოსი“, სტენლის „კონგო“ და ნახევარი დუჟინი კიდევ სხვა—ბოტანიკასა და ევოლუციაზე, მაიმუნებსა და კალიფორნიის ფლორაზე, ნიუ-იორკის დამაარსებელ ჰოლანდიელებზე.

ჯეკმა განიზრახა მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, შეუკვეთა კიდეც ბილეთები, მაგრამ შემდეგ უკანვე დააბრუნა. გადაწყვიტა მარტო ნიუ-იორკში წასულიყო, მაგრამ ნინეტა პეინმა სწორედ ამ დროს აღძრა მის წინაღმდეგ სასამართლოში საქმე წყალსაცავებზე და იძულებული შეიქნა, გლენ-ელენში დარჩენილიყო. თითქმის ყველა იმ აზრისა იყო, რომ მას უფლება ჰქონდა წყლით ესარგებლა. სასამართლო პროცესის უკანასკნელ დღეს იგი განუწყვეტლივ, ოთხი საათის განმავლობაში ჩვენებას აძლევდა და სასამართლოს დარბაზი დატოვა ფორნისთან ერთად, რომელიც ამბობს, ჯეკს იმ დღეს საშინელი ტკივილები ჰქონდაო: დაეწყო ურემია. რამდენიმე დღის შემდეგ საუზმეზე მოიწვია ყველა მეზობელი, რომელთა სახელითაც თხოვნა იქნა შეტანილი სასამართლოში; აი, სწოდ მაშინ, მეგობრულ საუბარში, ისინი არწმუნებდნენ მას, არასოდეს არ გვინდოდა სასამართლოს შენთვის წყალსაცავით სარგებლობა აღეკვეთაო.

სამშაბათს, 1916 წლის 21 ნოემბერს ჯეკმა მოათავა ყველა სამზადისი, რადგან მეორე დღეს ნიუ-იორკში მიდიოდა. საღამოს ცხრა საათამდე ტკბილად ესაუბრებოდა ელიზას. უთხრა, რომ შეივლიდა ჩიკაგოს პირუტყვის ბაზარში, შეარჩევდა შესაფერ ცხოველებს და გამოგზავნიდა რანჩოში, ხოლო ელიზა დათანხმდა წასულიყო ბაზრობაზე ორეგონის შტატის ქალაქ პენდლტონში, რათა ენახა,

ხომ არ შეიძლება იქ მოკლეფეხებიანი დეკეულებისა და მოზვრების შეძენა. ჯეკმა მას დაავალა, ჯერ ერთი, მუშის თითოეული ოჯახის განკარგულებაში გამოეყო თითო აკრი მიწა და თითოეულ ნაკვეთზე აეგო სახლი; მეორე. შეერჩია ადგილი სათემო სკოლისათვის და მესამე, მიემართა სპეციალური სააგენტოსათვის, რათა გამოეგზავნათ კარგი მასწავლებელი ქალი. ამას გარდა, საჭირო იყო ნაკვეთის შერჩევა მაღაზიის ასაგებად. იგი ცდილობდა საქმე ისე დაეყენებინა, რომ ყოველივე აუცილებელი აქვე, რანჩოში ეწარმოებინათ, შეექმნათ ნატურალური მეურნეობა, ფქვილისა და შაქრის გარდა არაფერი არ შემოეზიდათ.

უკვე ძილის დრო იყო. გრძელი ჰოლის გავლით ელიზამ იგი კაბინეტის კარებამდე მიაცილა.

— სანამ დაბრუნდები, — უთხრა ელიზამ, — მე მაღაზიას ავაშენებ, საქონელსაც შევზიდავ და სკოლასაც მოვაპირკეთებ. გამოვიწერ მასწავლებელ ქალს. კიდევ რა? ჰო, შემდეგ მე და შენ მივმართავთ მთავრობას—დაე, გაგვიხსნას აქ საფოსტო განყოფილება; მერე აღვმართოთ დროშა და გვექნება ჩვენი საკუთარი პატარა ქალაქი, რომელსაც დავარქმევთ „დამოუკიდებლობას“, კარგი?

ჯეკმა მხრებზე დაადო ხელი, უხეშად მოუჭირა და სავსებით სერიოზულად უთხრა:

— კეთილი, მოხუცო,—და კაბინეტის გავლით აივანზე, თავის საძინებელ ოთახში გავიდა.

ელიზაც გაეშურა დასაძინებლად.

დილის შვიდ საათზე მასთან გიჟივით შევარდა იაპონელი მსახური სეკინე, რომელიც ნაკატას ცვლიდა.

— მისის, ჩქარა! ბატონო უგრძნობლადაა, თითქოს მთვრალია! ელიზა აივნისაკენ გაიქცა. ერთი შესედვაც საკმარისი აღმოჩნდა, რათა დარწმუნებულიყენენ, რომ ჯეკი უგრძნობლად იყო. იგი ტელეფონს ეცა და სონომადან, ექიმი ალენ თომპსონი გამოიძახა. ექიმის დასკვნით ჯეკი უკვე დიდი ხნის გულწასული იყო. იატაკზე ეგდო ორი ცარიელი შუშა მორფისა და ატროფინის ეტიკეტებით, ხოლო საღამურ მაგიდაზე იდო ბლოკნოტი, სავსე რიცხვებით, რომლითაც საწამლავის სასიკვდილო დოზა გამოეანგარიშებინა. თომპსონმა ტელეფონით განკარგულება გასცა, რათა სონომას მეაფთი-

აქეს მორფით მოწამვლის საწინააღმდეგო შრატი მოემზადებინა და თავის ასისტენტს, ექიმ ჰეისს, სთხოვა, პრეპარატი რანჩოში მოეტანა. ექიმებმა ჯეკს კუჭი ამოურეცხეს, შეუშხაპუნეს აღმგზნები ნივთიერება, დაუზილეს კიდურები. ყველა ამ პროცედურის დროს მხოლოდ ერთხელ მოეჩვენათ, რომ იგი გონს მოდიოდა. ჯეკმა თვალები ოდნავ ააახილა, ტუჩები აამოძრავა, რაღაც „ჰელლოს“ მსგავსი წაილუღლუღა და ისევ დაკარგა გრძნობა.

„მოწყალების დის მოვალეობას,—იხსენებს ექიმი თომპსონი,—მწუხარებით გულდათუთქული ელიზა ასრულებდა. რაც შეეხება მისის ჩარმიან ლონდონს (რომელსაც ჯეკმა 1911 წელს მთელი თავისი ქონება უანდერძა), იმავე დღეს ჩემთან ლაპარაკში აღნიშნა, რომ, თუ ჯეკ ლონდონი მოკვდებოდა,—რაც მის ახლანდელ მდგომარეობაში საესებით დასაშვები იყო—მისი სიკვდილი არაფერს დაბრალდებოდა, გარდა ურემიული მოწამვლისა. მე შევეკამათე, რომ ჯეკის სიკვდილის მხოლოდ ამით ახსნა ძნელი იქნებოდა: ტელეფონით ლაპარაკი დილით შეიძლებოდა უნებურად მოესმინა ვისმე. გარდა ამისა, მეაფთიაქესაც ხომ შეეძლო ვინმესთვის ეთქვა, რომ შხამსაწინააღმდეგო პრეპარატი მოამზადა; ამრიგად, სიკვდილის მიზეზს მაინც მორფით მოწამვლაში დაუწყებენ ძებნას.“

საღამოს შვიდი საათისათვის ჯეკი გარდაიცვალა. მეორე დღეს მისი ნეშტი ოკლენდში გადაასვენეს, სადაც ფლორამ, ბესიმ და ქალიშვილებმა პანაშვიდი გადაუხადეს. მთელი მსოფლიო დასტიროდა მის სიკვდილს. ევროპის პრესაში ამ შემთხვევას უფრო მეტი ყურადღება დაეთმო, ვიდრე ავსტრიის იმპერატორის ფრანც იოსების სიკვდილს, რომელიც წინა დღეს გარდაცვლილიყო. ამერიკელთა მწუხარებას ძალიან კარგად ასახავს ლუთერ ბერბანკის შეუღლის საქციელი: იმ დროს მის სახლში დროს ატარებდა უნივერსიტეტის ქალაქში შეკრებილ ახალგაზრდათა კომპანია. გაზეთის გაშლისთანავე მისის ბერბანკმა შესძახა მათ: „შეწყვიტეთ სიცილი! ჯეკ ლონდონი გარდაიცვალა!“

ედვინ მარკჰემმა მას ოდესღაც უწოდა ახალგაზრდობის, შემართებისა და გმირობის ნაწილაკი დედამიწაზე. მისი წასვლით ჩაქრა სამყაროს კიდევ ერთი ჩირაღდანი.

იგი კრემირებული იქნა ღამით, მისი ფერფლი კი ისევ „სილამა-

ზის რანჩოში“ ჩამოიტანეს. სულ რაღაც ორი კვირის წინ, ერთ დიდებულ გორაკზე ელიზასთან ერთად გავლისას, ჯეკმა ცხენი შეაჩერა და თქვა:

— ელიზა, როცა მოვკვდები, ჩემი ფერფლი ამ გორაკზე დამარხე.

ელიზამ გორაკის მწვერვალზე, რომელიც მცხუნვარე მზისაგან მარწყვისა და მანსანიტის ხეებით იყო დაცული, ორმო ამოთხარა, შიგ ჩაასვენა ურნა ჯეკის ფერფლით და საფლავს ცემენტი მოასხა. ზემოდან უზარმაზარი წითელი ქვა დაადო. ჯეკი ამ ქვაზე ამბობდა ხოლმე: „ქვა, რომელიც მუშებს არ გამოადგათ“.

ბიოლოგიტყვაობა

კალიფორნიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ლოს-ანჟელოსში, ინახება ირვინგ სტოუნის სამუშაო ჩანაწერები: საუბრები ჩარმიანთან, ჯეკ ლონდონის წერილების პირები (სტოუნის შენიშვნებით), ამონაწერები სხვადასხვა ხასიათის წყაროებიდან, ფოტოსურათები. მთელი ეს მასალა მოწმობს ბიოგრაფის მიერ გაწეულ დიდ მუშაობას.

თავისი წიგნისათვის სტოუნმა გამოიყენა როგორც ჯეკ ლონდონის მიმოწერა, ისე მეგობართა და ახლობელთა მემუარები. იგი ფურცლავდა იმდროინდელ გაზეთებს, ესაუბრებოდა მწერლის თანამედროვეებს, რომლებიც 30-იანი წლების ბოლოს, როცა ეს წიგნი იქმნებოდა, ჯერ კიდევ ცოცხალნი იყვნენ. ავტორი ისწრაფვოდა ისეთი წიგნი დაეწერა ლონდონის შესახებ, რომელიც დამაჯერებელიც იქნებოდა და წარმტაცად საკითხავიც.

მან მიაღწია კიდეც ამას.

ცხადია, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ მიუხედავად წიგნის დოკუმენტური მასალით გამდიდრებისა, „მეზღვაური უნაგირზე" მაინც მხატვრული ბიოგრაფიაა. აქედან გამომდინარე, იგი შეიცავს მხატვრული გააზრების ელემენტებსაც. საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ ავტორმა წარმოსახვის წყალობით შეავსო მწერლის ბიოგრაფიის უცნობი ადგილები და დაგვიხატა ამა თუ იმ მოვლენის სურათები, არამედ იმაშიც, რომ სტოუნმა ფართოდ გამოიყენა ჯეკ ლონდონის ზოგიერთი ნაწარმოები. ტყუილად როდი გვაფრთხილებს იგი წიგნის შესავალში, რომ „ესაა მოთხრობა ჯეკ ლონდონზე, გადმოცემული მისივე სიტყვებით..."

ლონდონის ბევრი მოთხრობა, რომანი და ნარკვევი აღადგენს მისი ბიოგრაფიის ეპიზოდებს, მაგრამ სწორი არ იქნებოდა გაგვეიგივებინა ესა თუ ის გმირი ავტორთან, ანდა ასახული მოვლენები სინამდვილეში მომხდარად ჩაგვეთვალა. თვით ლონდონი არაერთხელ აფრთხილებდა გულუბრყვილო მკითხველებს ამგვარი დასკვნებისაგან. მის ცხოვრებაში ბევრად სჭარბობდა პროზა, მაგრამ იგი არ ყოფილა ისეთი ბრწყინვალე, როგორადაც ეს ირვინგ სტოუნმა წარმოგვიდგინა. ამ „ნაკლს" დიდი სიამოვნებით ვაპატიებთ ავტორს, და ვაპატიებთ არა მხოლოდ ამბის წარმტაცად და მომხიბლავად ასახვის გამო, არამედ იმის გამოც, რომ მან შესძლო ჩასწვდომოდა შესანიშნავი ამერიკელი მწერლისა და ადამიანის ძირითად თვისებებს.

ამა თუ იმ პიროვნების ცხოვრების მხატვრული ასახვისას მნიშვნელო-

ვანია არა ესა თუ ის წერილმანი, არამედ წიგნის საერთო ტონი, წიგნის გმირის ავტორისეული შეფასება, მისი ხასიათის გაგება. ამ მხრივ, უნდა ითქვას, ირვინგ სტოუნმა მიზანს მიაღწია. მან სწორად გაიგო ჯეკ ლონდონის წარმატებებისა და წარუმატებლობის მიზეზები. ბიოგრაფის არგუმენტაციები ძლიერი და დამაჯერებელია.

ბევრად უფრო სუსტია ირვინგ სტოუნი ჯეკ ლონდონის ცხოვრებისეული ტრაგედიის ახსნისას. მისი აზრით, თითქოს ჯეკ ლონდონს არ გააჩნდა ფულის სწორად გამოყენების უნარი, რომ მას უამრავი ვალები უბიძგებდა შეეთხზა მხატვრულად ნაკლები ღირებულების მქონე ნაწარმოებები, რომ შემოქმედებითმა დაძაბულობამ, რასაც შედეგად გადაღლა მოჰყვა, გამოიწვია გულის აცრუება სამწერლო საქმიანობისადმი.

ლონდონის ცხოვრების ტრაგედიის ახსნისას სტოუნი არ გვიჩვენებს, თუ რა გავლენას ახდენდა ჯეკ ლონდონზე ამერიკული ტრადიციები, მისი გარემომცველი საზოგადოება; სწორედ მათ განსაზღვრეს მწერლის შემოქმედების შინაარსიც და თვით მისი ბედიც. და განა სწორედ ყველაფერმა ამან არ მიიყვანა საბოლოოდ ჯეკ ლონდონი სულიერ და შემოქმედებით კრიზისამდე?

არსებობს სამი სოციალური ფაქტორი, რომლებმაც სხვადასხვა დროს და სხვადასხვაგვარად გავლენა მოახდინა ჯეკ ლონდონზე და გადამწყვეტი როლი ითამაშა მისი ცხოვრების ამგვარად წარმართვაში. ესენია: სწრაფვა კაპიტალის დაგროვებისაკენ, რეაქციული ლიტერატურული ტრადიციები და რასისტული იდეოლოგია.

კაპიტალის დაგროვებისაკენ სწრაფვა იპრება ამერიკული ცხოვრების ყველა სფეროში, სწამლავს ყველა ასაკის ადამიანებსა და ყველა კლასს, განსაზღვრავს მორალსა და გემოვნებებს, შეხედულებებსა და მიზნებს. თავის დროზე დოლარის ამ კულტს გმობდნენ დიდი ამერიკელები: უოლტ უიტმენი, მარკ ტვენი, თეოდორ დრაიზერი; მის წინააღმდეგ იბრძოდნენ აშშ-ის უბრალო ადამიანები. მიუხედავად ამისა, დღემდე ეს კულტი მტკიცედაა ფეხმოკიდებული ამერიკულ საზოგადოებაში. ესაა პირველი, რაც უნდა გავითვალისწინოთ ჯეკ ლონდონის პირადი ტრაგედიის მიზეზის გარკვევისას.

შემდეგ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ლონდონი მაშინ გამოვიდა ლიტერატურულ ასპარეზზე, როცა ჯერ კიდევ ძლიერი იყო ე. წ. „ნატიფ რეალისტთა“ ტრადიციები. ესენი იყვნენ ტკბილი რომანებისა და მოთხრობების ავტორები, რომლებიც გვერდს უვლიდნენ ამერიკული ყოფის ულმობელ სიმართლეს, მის სოციალურ კონფლიქტებს, მის წინააღმდეგობებსა და მანკიერ მხარეებს.

ზოგიერთი მწერლის სწრაფვა—თავიანთ ნაწარმოებებში ცხოვრება ისეთად აესახათ, როგორიც იგი სინამდვილეში იყო, მიემართათ იმ თემებისათვის, რომლებიც აღელვებდა უბრალო ადამიანებს, გამოეყენებინათ მხატვრული ლიტერატურა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ საბ-

რძოლველად — გამომცემლობისა და კრიტიკოსების სასტიკ პროტესტს აწყდებოდა.

მესამე მომენტი, რომელსაც არ შეიძლება გვერდი აუაროთ ჯეკ ლონდონის შემოქმედებაში 1910 წლის შემდეგ მომხდარი გარდატეხის მიზეზის გარკვევისას, არის რასისტული იდეოლოგია.

ორი საუკუნის მიჯნაზე აშშ აგრესიულ იმპერიალისტურ სახელმწიფოდ გადაიქცა. ფართოდ ვრცელდება ანგლო-საქსების რასობრივი უპირატესობის თეორიები, წიგნები, რომლებიც შეიცავს ქადაგებას დაპყრობებისაკენ, ქება-დიდებას ასხამს კოლონიზატორებს. ამგვარი ნაწარმოებების აეტორად სხვა მწერლებთან ერთად იმ პერიოდში გვეელინება აშშ-ის მომავალი პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი.

შოვინისტურმა და რასისტულმა პროპაგანდამ გაელენა მოახდინა თვით პროგრესულად მოაზროვნე ამერიკელთა მსოფლმხედველობაზეც.

ლონდონის ნაწარმოებები, რომლებშიც აისახა წინააღმდეგობანი სინამდვილესა და საზოგადოებრივ მოძრაობას შორის, თვით მწერლის სულში მიმდინარე ბრძოლა, არ არის ერთნაირად სრულფასოვანი თავისი მხატვრული და იდეური დონით.

საბჭოთა მკითხველს ჯეკ ლონდონის შემოქმედებაში უყვარს ძლიერი, ახლის მთქმელი, ადამიანისადმი რწმენით გამსჭვალული ნაწარმოებები. მისი რომანები: „მარტინ იდენი“, „ზღვის მგელი“, „თეთრი ეშვი“, „რკინის ქუსლი“, მოთხრობები: „წინაპართა ძახილი“, „სიცოცხლის სიყვარული“, „მექსიკელი“, ნოველები კრებულიდან „გზა“, სტატიები და ნარკვევები — ამერიკული და მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს წარმოადგენენ.

ჯეკ ლონდონი XX საუკუნის დასაწყისის ამერიკული სოციალისტური მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი ფიგურა იყო, სოციალისტური იდეების მგზნებარე დამცველი და ერთგული. მაგრამ ცხრაასათიანი წლებიდან იგი ნელ-ნელა სცილდება აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. ამას ხელი შეუწყო განხეთქილებამ სოციალისტურ პარტიაში: 1912 წელს წესდებას დაუმატეს დებულება, რომლის მიხედვითაც პარტია უარს ამბობდა ბრძოლის რეეოლუციურ მეთოდებზე და თავისი რიგებიდან სდევნიდა კიდეც ამ მეთოდების დამცველებს. მართალია, ჯეკ ლონდონმა თანდათან გაწყვიტა კავშირი აშშ-ის სოციალისტურ და მუშათა მოძრაობასთან, მაგრამ თავისი რეეოლუციური იდეალები მან ბოლომდე შეინარჩუნა. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ლონდონი მშრომელთა განთავისუფლების იდეის ერთგული დამცველი იყო. ამას მოწმობს სიკვდილამდე ერთი წლით ადრე დაწერილი წინასიტყვაობა ანთოლოგიისათვის „სამართლიანობისაკენ მოწოდება“. მასში იგი ლაპარაკობს იმ ახალი კულტურის აშენების აუცილებლობაზე, რომელშიც აისახებოდა ადამიანის სიყვარული ადამიანისადმი. „ჩვენ უკვე ვიცით, — წერდა ჯეკი, — როგორ იქმნება ღმერთები. დადგა დრო, შევქმნათ სამყარო“.

ირვინგ სტოუნის წიგნი, რასაკვირველია, არ ამოსწურავს მთელ იმ დოკუმენტებსა და ფაქტებს, რომლებიც დაკავშირებულია დიდი და საინტერესო მწერლის ბიოგრაფიასთან. დასანანია, რომ ავტორი არაფერს ამბობს ჯეკ ლონდონის ურთიერთდამოკიდებულებაზე მისი დროის გამოჩენილ თანამედროვეებთან; თითქმის არაფერს ამბობს ძლიერ საინტერესო, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შეუსწავლელ პრობლემებზე—ლონდონის დაინტერესებაზე რუსული კულტურითა და რუსეთის რევოლუციური მოძრაობით. შესაძლოა ავტორმა არ იცოდა, რომ ჯეკ ლონდონმა მხურვალედ დაუჭირა მხარი 1905 წლის რევოლუციის მონაწილეებს. როცა 1906 წლის გაზაფხულზე, პარტიის დავალებით, ამერიკაში მაქსიმ გორკი ჩავიდა, ლონდონი იმათ შორის იყო, ვინც მატერიალურად და მორალურად ეხმარებოდა რევოლუციურ რუსეთს.

ზემოაღნიშნულ და რიგ სხვა ნაკლოვანებათა მიუხედავად, ირვინგ სტოუნის წიგნი უაღრესად საინტერესოა. პირველიდან უკანასკნელ გვერდამდე იგი გამსჭვალულია გულწრფელი სიყვარულით ამერიკელი ხალხის ამ სახელოვანი შვილისადმი.[1] სტოუნისავე სიტყვებით, ჯეკ ლონდონი ბავშვობიდან მაგალითის მიმცემი ყოფილა მისთვის. ჯერ კიდევ ექვსი წლისა გაეცნო იგი გამოჩენილი მწერლის მოთხრობებს; მისმა წიგნებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს სტოუნის აზროვნების ჩამოყალიბებაში; „მარტინ იდენმა“ შთააგონა მას სამწერლო მოღვაწეობის დაწყება. 15 წლიდან ოცნებობდა ირვინგ სტოუნი დაეწერა საყვარელი მწერლის ბიოგრაფია და დაწერა კიდეც 1938 წელს. აქედან მოყოლებული „მეზღვაური უნაგირზე“ რჩება ერთ-ერთ საუკეთესო წიგნად ჯეკ ლონდონის ცხოვრებაზე.

---

[1] საინტერესოა აღინიშნოს, რომ თვით ავტორის ცხოვრებაში ბევრია საერთო ჯეკ ლონდონის ცხოვრებასთან: დაიბადა იგი 1903 წელს, სან-ფრანცისკოში. ათი წლიდან ყიდდა გაზეთებს, მუშაობდა ფერმაში, კონსერვის ქარხანაში, გამოიცვალა ბევრი სხვა პროფესიაც.